

LEGENDARY BOOKS



Eneida

Vergiliu



LUCRARE APILATA CU SPERANȚA LUCRARE

gramar

კუგლიუს ვერგილიუს მარო

ენეიდა

ლათინურიდან თარგმნა
რომან მიმინოშვილმა

წიგნი პირველი

ვუმღერი ბრძოლებს ვაჟკაცისა, ვინაც პირველად
ბედმა ტროიდან გადმოხვეწა იტალიაში.

მოვლო მრავალი მიწა-წყალი ღმერთების ნებით
რისხვასაყოლილ მძლე იუნოს სიმკაცრის გამო.

5

ბევრიც იომა, ვიდრე ქალაქს მისცემდა ფუძეს,
კერპებს – ლაციუმს, სად დამკვიდრდა ტომი ლათინთა,
ალბელთ მამანი და გოდოლნი ამაყი რომის.

მუზავ, მიზეზი გვამცნე ღმერთის შეურაცხების,
ღმერთთა დედოფლის მრისხანების, რომ ეგოდენი

10

არგუნა ვაჟკაცს, ქველს და სათნოს, შრომა მტანჯველი!
ზეციერთ სული ნუთუ ასე ულმობელია?

ძველი ქალაქი იყო ერთი, ტვირელთ სამკვიდრო,
იტალიის წინ, კართაგენი, შორს – ტიბრის წყლიდან,
ბედკეთილი და მეომარი, სიუხვით სავსე.

15

ის ერთი, თურმე, თვით იუნოს ერჩია ყველას,

კუნძულ სამოსსაც: საჭურველს და ეტლს იქა ფლობდა.
ქალღმერთი ქალაქს იზრახავდა ტვირელთ სამეფოდ,
თუ ბედისწერა ინებებდა ამ მოწყალებას.

მას გაეგონა, რომ ტროელთა შთამომავალი

20

ოდესმე ტვირელთ ამაყ კოშკებს იავარყოფდა,
ძლიერი ხალხი დათრგუნავდა ლიბიის მხარეს:
პარკებს ჰქონიათ მისი ბედი გადაწყვეტილი.
ამას შიშობდა სატურნია; ახსოვდა, ძლევა
ძვირფას არგიველთ რომ არგუნა ტროის ციხესთან.

25

ჯერაც არ დაცხრა მრისხანების მიზეზი სულში,
რადგან მშვენება დაუწუნა პარისმა ქალღმერთს.
არ გაუნელდა სიძულვილი ტროელთა მოდგმის,
და მოტაცებულ განიმედეს პატივი შურდა.
სწორედ ამიტომ ზღვის სივრცეზე მოხეტიალეს —

30

დანაეს მოდგმას, აქილევსის რისხვას აცდენილს,
გზა გადაუჭრა ლაციუმში. მრავალი წელი
წილად ხვდა დევნილთ ზღვად ყიალი და უგბობა.
ო, მძიმე იყო დაბადება რომაელ ხალხის!

ის იყო, ძველი სიცილია თვალს მიეფარა,

35

აფრა გაშალეს, მლაშე ქაფი მხნედ გაჭრეს რვალით,
რომ გაიფიქრა მძლე იუნომ, გულდასერილმა:

„ნუთუ კვლავადაც უნდა დავშთე მათგან ძლეული,
ვერ განვაშორო იტალიას ტევკრთა ბელადი,
რაკი მიკრძალავს ბედისწერა? მართო პალადას

40

შეეძლო განა არგიველთა ფლოტის მოსპობა,

ოილევის ძის, აიაქსის სიგიჟის გამო?..

იუპიტერის ელვა სტყორცნა შავ ღრუბლებიდან,
გემნი მიფანტა, ზღვაში შთანთქა ქარიშხლის ქროლით.

მკერდგაპობილი დამნაშავე, აღმოდებული,

45

გრიგალის ძალით აიტაცა, ბასრ კლდეს მიაკრა.

დედოფალიც ვარ, მეუღლეც ვარ იუპიტერის,

დაცა ვარ მისი, მაინც ვებრძვი რამდენი წელი

ერთ ხალხსა ოდენ! ტაძარს ჩემსას ამიერიდან

ვინღა სცემს თაყვანს, ზორვად მდგომი საკურთხეველთან?”

50

ასე ფიქრობდა აალებულ გულში ქალღმერთი,

ეწვია მამულს ტაროსისა, სად წივის ავსტრი, —

ეოლიაში. იქ მღვიმეში მეფე ეოლუს

შხუილა ქარებს, მოგუგუნე გრიგალსა თრგუნავს,

ჯაჭვებით აბამს და ჯურღმულში კეტავს შებორკილს.

55

განრისხებულნი აღიძვრიან ხოლმე გრუხუნით,

ქარაფებს ირგვლივ აწყდებიან, ხოლო ეოლუს,

კვერთხის მპყრობელი, მწვერვალიდან მათ რისხვას აცხრობს.

ასე რომ არა, ზღვას და მიწას და ცის კამარას

ჰაერში მიფანტ-მოფანტავდნენ ზეატაცებულთ!

60

მძლეთამძლე მამამ ამის შიშით შავ ჯურღმულებში

ჩაკეტა ქარნი, ზედ დაამხო მთანი მაღალნი.

შემდგომ ხელმწიფეც განუწესა, რომელს სადავით

შეეძლო მათი ახსნაცა და დამორჩილებაც.

იუნო მასთან გამოცხადდა, მიმართა თხოვნით:

65

„ეოლუს, შენ ხომ ღმერთმა მამამ და კაცთ უფალმა

მოგცა შეძლება ქარით აღძრა მრისხანე ზვირთნი!
ტირენის ზღვიდან იტალიას მიილტვის ტომი,
დამარცხებული ილიონი და პენატები.
ქარიშხალს მიეც ძალა თვისი, შთანთქას ხომალდნი,
70

ზღვაზე გაფანტოს და გვამები აატივტივოს!
მყავს ორჯერ შვიდი ტანკენარი, ლამაზი ნიმფა,
უტურფესია იმათ შორის დეიოპეა,
მას ქორწინების ხუნდით შევკრავ, მოგეახლება,
რომ შენთან იყოს დღემუდამჟამ სანატრელ ჯილდოდ
75

და მშვენიერი მოდგმის მშობელ მამად გაქციოს!“
მაშინ მიუგო ეოლუსმა: „ო, დედოფალო,
ნება შენია, მე კი მმართვეს დამორჩილება!
შენით ვფლობ კვერთხსა და სამეფოს, შენა მრთავ ნებას,
რომ მეც ვილხენდე ღვთაებათა ნეტარ ნადიმზე,
80

წარღვნა-ქარიშხლის განრიგების უფლებით მმოსავ“.
ეს თქვა თუ არა, შუბი დაჰკრა და გაანგრია
მთის ფერდი. თითქოს ბრბო უძლვეი მოაწყდა კარებს,
მძვინვარე სუნთქვა დააფრქვია მიწას გრიგალმა.
ზღვა შემოსაღტა, ყოველივე ძირისძირამდე
85

აღძრა ნოტუსმა და ევრუსმა, მძლე აფრიკუსმა
ქუხილით ხმელეთს შეახეთქა ზვირთი მრისხანე.
გაისმა გმინვა საზარელი, ბაგირთ ჭრიალი,
დღეცა და ზეცა მიიტაცა ქუფრმა ღრუბელმა
ტევკრთა თვალთაგან, ზღვაზე გაწვა პირქუში ღამე.
90

ქუხდა ცის კიდე, ციმციმებდა ცეცხლით ეთერი,

აშკარა სიკვდილს უქადოდა რჩეულ ვაჟუცებს.
ყინვამ დაშალა ენეასის მძლავრი სახსრები,
ამოიგმინა, ხელაპყრობით შესძახა მთიებს:
„სამგზის და ოთხგზის ის ყოფილა უნეტარესი,
95

ვინც მამათ თვალწინ ილიონის მაღალ თაღებქვეშ
სიკვდილს ეღირსა! ტიდევსის ძევ, დანაელთ დასში
უმამაცესო, ხომ შეგეძლო ტროის ველებზე
მოგესპე, სული ამოგერთვა მძლავრი მარჯვენით, —
იქ, სად ჰექტორი ეაკიდის განგმირა შუბმა,
100

სად წევს დიადი სარპედონი, სადაც სიმოისს
აბჯარ-ბექთარი და მეომართ გვამები მიაქვს!“ —
ასე გოდებდა. აქვილონის აღძრულმა ქროლამ
აფრა მოგლიჯა და ტალღები ცად ააშხეფა.
დაცაილეწნა ხოფნი, გემი გვერდზე მობრუნდა,
105

ფერდს ტალღა ეცა, წყლის მთა მოდგა, ქიმს დაეკიდა
მრისხანე ზვირთი, მერმე იგი შუა გაიპო,
ტალღათა შორის მიწა ჩანდა, ქუხდა ხმელეთი.
სამი ხომალდი მიახეთქა ნოტუსმა ქარაფს,
იტალთ ენაზე „არასი“ თუ სამსხვერპლო ჰქვია
110

იმ ქედს ხელთუქმნელს, ზღვის ტალღებზე ხარბად
ამოჩრილს.

ევრუსმაც სამი მიაღეწა მეჩენზე, ვაგლახ, —
ნაფოტად იქცნენ და ქვიშაზე გაფანტა ტალღამ!..
ლიკიელთა და უერთგულეს ორონტეს ხომალდს
ბელადის თვალწინ აეშალა დიდი მორევი,
115

ეძგერა კიჩოს, თავდაყირა მოწყდა მესაჭე,
გემი კი სამგზის დატრიალდა იქვე, ადგილზე
და ზღვის ჯურღმულმა შთანთქა იგიც, გაუძღომელმა.
ბობოქარ ზღვაზე ტივტივებდა მიყრილ-მოყრილი
ფიცრების გროვა, საჭურველი და ტროის განძი.

120

ილიონევისი მძლავრი გემი და აქატესი,
ხომალდი, რომელს ალექსე და აბანტი წაჰყვა,
ქარმა დაგლიჯა საშინელმა, დამღუპველ ტალღას
დაფლეთილ ფერდში ატარებდნენ ხომალდნი უხვად.
მაშინვე იგრძნო ნეპტუნუსმა, რომ აღდგა ზვირთი,

125

მკაცრად გრგვინავდა ქარიშხალი და უკუიქცნენ
ფსკერზე ნაკადნი ტალღებისა. შეძრწუნებულმა
ზღვის ზედაპირზე გასახედად ამოყო თავი.
თვალი მიაპყრო ენეასის გაფანტულ გემებს,
წყლით დამძიმებულთ და დაღუპულთ ცის ჩამოსკდომით.

130

ქაღალმერთ იუნოს განრისხება ძმამ იგრძნო წამსვე.
მოუხმომ ევრუსს და ზეფირუსს, ასე მიმართა:
„ნუთუ ესოდენ იმედი გაქვთ თქვენი ძალისა,
რომ ცა და მიწა, ქარიშხალნო, ჩემ უნებურად
გსურთ შეანივთოთ და ტალღათა აშალოთ მთები?

135

მე თქვენ გიჩვენებთ!.. გირჩევნიათ დააცხროთ ღელვა!
კვლავ თუ გაბედავთ, უკვე ველარ გადამირჩებით!
უკუიქცით, მოახსენეთ მბრძანებელს თქვენსას:
იგი როდი ფლობს ზღვის სამეფოს, სამკბილა ფიწალს,
ბედმა მე მომცა. მას არგუნა სალი კლდეები —

140

საფარი თქვენი. ევრუს, ლაღად გრძნობდეს ეოლუს
თავს მხოლოდ იქა! ჯურღმულებში ჩაახშოს ქარი“.
ეს თქვა თუ არა, ზღვის ტორტმანი დააცხრო ღმერთმა.
მიფანტ-მოფანტა მყის ღრუბლები, მგეს გზა გაუხსნა,
ტრიტონთან ერთად კიმოთოემ კლდეს მოაშორა
145

ტევკრთა ხომალდი. თვით სამკბილა ფიწლით შველოდა,
მეჩეჩებს წმენდდა, აწყნარებდა ზღვას აღელვებულს,
ტალღების ზემოთ დაცურავდა მსუბუქ ბორბლებზე,
ეს იმას ჰგავდა, ხშირად ბრბოს რომ ჯანყი შეიპყრობს
და მდაბიოთა აღელდება სული მძვინვარე.
150

ცვივა ქვები და ნაკვერცხლები, ხმაღს მართავს რისხვა...
ამ დროს შემთხვევით მორჭმულ მოყმეს თუ მოჰკრეს თვალი,
ყურებს დაცქვეტენ, შედგებიან, გაყუჩდებიან.
სიტყვა დააცხრობს გულს, გონებას დააშოშმინებს.
ასე გადასწვდა თვალუწვდენელ ზღვის კიდევანსა
155

მეუფე, ოდეს ცისქვეშეთში, სწრაფმავალ ეტლში
ლაღად მიუშვა მძლავრ მერანთა სადავეები.
ამ დროს მაშვრალნი ენეანნი ეძებდნენ ნაპირს,
მიისწრაფოდნენ ლიბიისკენ ქანცდალეულნი.
ვრცელი და მყუდრო კუთხე ზღვისა ნავსაყუდელად
160

კუნძულს შთენია, ხმელეთს წიბო ზღვაში ჩაუდგამს,
ზედ ეხლებიან ზვირთნი, უკუიფანტებიან.
აქეთ და იქით კლდოვან ნაპირს ზეაუმართავს
სალი კლდეები, მათს მწვერვალქვეშ ფართოდ გაშლილა
მდუმარე წყალი, იქვე ზემოთ ტყეს მოშრიალეს
165

საშინელ ჩრდილით დაუფარავს შემოგარენი.
კლდეთა მღვიმეში თვალნათლივ ჩანს გამოქვაბული,
წყარო ჩუხჩუხებს და უხეში ჯორჯო დგას ქვისა,
აქ არის სახლი ფერიების. მაშვრალ ხომალდებს
აქ ვერც ბაგირი გააჩერებს, ვერც ღუზა მრუდე.
170

შვიდი ხომალდი ენეასმა გადარჩენილი
აქ მოაყენა; და ტროელნი, მიწის მსურველნი,
ქვიშას მიადგნენ საოცნებოს, ხმელეთს მიანდეს
მლაშე ზღვის წყალში განბანილი სველი სხეული.
კვესს გაჰკრა მაშინ აქატემაც თავდაპირველად,
175

ფოთოლს მოედო ნაპერწკალი, გვერდით მიუწყო
საზრდოდ ფიჩხები, გააჩალა აბედით ცეცხლი.
გამოიტანეს მაშვრალეებმა სველი ხორბალი —
ცერერას განძი, ზღვის ღელვისგან გადარჩენილი,
ცეცხლთან დააწყვეს გასაშრობად და დასაფქვავად.
180

ამ დროს გავიდა კლდის მწვერვალზე გმირი ენეას
და ზღვას გახედა, ხომ არ ჩანსო სადმე ანთეუს,
ან ბირემები ფრიგიული, გრიგალში მსრბოლი,
კაპისი, ანდა იარალი კაიკუსისა?
არსაით გემი... ხმელეთზე კი სამი ირემი
185

იხილა, შემდეგ — მთელი ჯოგი, გაშლილ იალაღს
რომ შესეოდა. შედგა გმირი ანაზდეულად.
შემდეგ აიღო ხელში მშვილდი, მარდი ისარნი —
მას რომ ერთგულმა აქატემ მყის მოურბენინა,
ჯერ მოსრნა ჯოგის მეთაურნი, ამაყი თავი
190

ქორბუდა რქებით რომ შეემკოთ. შემდეგ აიკლო
სხვებიც და ისრით გადადენა დაბურულ ტევრში.
არ მოისვენა, ვიდრე შვიდი დიდი სხეული
ძირს არ განართხო გემთა რიცხვის შესაბამისად.
ბანაკს დაბრუნდა და ნადავლი გაანაწილა.

195

საამო ღვინო, აკესტემ რომ ტრინაკრიაში
თიხის ღოქებში ჩამოუსხა, მეგობრებს მისცა
და მწუხარება განუქარვა კეთილი სიტყვით:
„ძმანო, წინათაც მოვსწრებივართ უბედურებას
უფრო საზარელს... ღმერთი საზღვარს მისცემს ამასაც!

200

თქვენ ხომ სკილასაც, მოგუგუნე კლდეებს პირქუშსა
მიახლებიხართ და გცნობიათ კიკლოპის ლოდიც.
კვლავაც აღაგზნეთ სული თქვენი, დატოვეთ დარდი!
ეგებ წარსულის მოგონება საამოდ გვექცეს.
ფათერაკებით საშინელი გზები დავლახეთ,

205

მივალთ ლაციუმს, ბედისწერა მოგვივლენს იქა
მყუდრო სავანეს: იქ აღდგება ტროის სამეფო.
ბედნიერ დღისთვის შეინახეთ უვნებლად თავი!“ —
ამას ამბობდა ხმამაღლივ და ზრუნვით მაშვრალი
ხალხს იმედს ჰფენდა, დარდს კი გულში იკლავდა ჩუმად.

210

გარს მოეხვივნენ ნადიმისთვის მირთმეულ ნადავლს,
როს გაატყავეს, გამოშიგნეს ნანადირევი,
ნაწილი აქნეს და ცვრიანი შამფურს ააგეს;
ნაპირზე დადეს კარდალები, აანთეს ცეცხლი,
დანაყრდნენ, ძალა მოიკრიბეს მსუყე საკვებით,

215

და რა შეექცნენ, მოიღვინეს ძველი ბახუსით.
ოდეს დაიცხრეს შიმშილი და სუფრა აშალეს,
დაკარგულ მოძმეთ კეთილ სიტყვით მოიგონებდნენ.
შიშსა და იმედს უნაცვლებდნენ: ხან თვლიდნენ ცოცხლად
ხან დაღუპულად, რაკი ძახილს ვერ მიაწვდენდნენ.

220

მამა ენეასს გულში მძიმე ოხვრა აღმოხდა
ამიკუსისა და გულადი ორონტეს გამო,
სწუხდა ლიკუსის, კლოანტუსის, გიასის ხვედრზე.
მაშინღა დაცხრა, როს ეთერში იუპიტერმა
აფრით მოფენილ ზღვას გახედა, ხმელეთს და ქვეყნებს,

225

ნაპირებს, ხალხით დასახლებულს, ცის კაბადონზე
დადგა, ლიბიის სამეფოსკენ მიაპყრო მზერა.
როს ღმერთის გულში ესოდენი ზრუნვა სუფევდა,
ეახლა ვენუს სევდიანი, თვალეში ცრემლი
უციმციმებდა. ასე უთხრა: „ო, მეუფეო

230

ღმერთთა და კაცთა, მარადისო, ელვით საზარო!
განა შენ ჩემმა ენეასმა რა დაგიშავა,
ან ტროელებმა, მათ წინაშე რკალი ქვეყნისა
მთლად რომ შეკრულა იტალიის მისადგომებთან?
აღთქმა ხომ დადე, რომ ოდესმე ტევკრთა სისხლისგან

235

გაჩნდებიანო რომაელი წინამძღოლები,
მთელ ქვეყანაზე, ზღვა და ხმელზე გამეფებულნი.
რაღამ შეცვალა, ნეტავ, მამავ, განზრახვა შენი?
დაცემულ ტროის ნანგრევებში მეყო ნუგეშად
აღთქმა ღვთიური, კეთილ ბოლოს რომ გვპირდებოდა.

240

დღეს ბედისწერა მრავალნაცად მამაცებს დევნის...
სად უდებ საზღვარს მათ სატანჯველს, დიდო მეუფევ?
ხომ განერიდა ანტენორი აქაველთ ლაშქარს,
თავშესაფარი ილირიკის ყურეში ჰპოვა —
ლიბურნელთ შორის და წიაღვლო ტიშავის წყალიც,
245

მაღალ მთიდან რომ მოჩუხჩუხებს ცხრა სათავითა,
ველებს გააღლობს და ესწრაფვის ზღვას შესართავად!
ტევკრთა სავანედ დააარსა პატავიუმი,
სახელი მისცა ხალხს და ტროის აბჯარ-ბექთარი
შემოიტანა. აწ მშვიდობით მუნ განისვენებს...
250

ჩვენ, შვილნი შენნი, ვის აღუთქვი ზეცის გუმბათი,
ქაღღმერთის რისხვით, — ვაი ჩვენს თავს, — ხომალდებს
ვკარგავთ.

ერთ ბედქვეშა ვართ იტალიას განშორებულნი.
ეგ არის ჯილდო თაყვანების? კვერთხს ეგრე გვაძლევ?
კაცთა და ღმერთთა მამამ პირმშოს შეხედა მაშინ
255

ლიმილით, ცას და ბუნებას რომ ჰფენს ნათელ სხივებს.
ასულის ბაგეს ეამბორა და ტკბილად უთხრა:
„ნუ შიშობ, ჩემო კითერეა, არ უღალატებს
ბედი შენს რჩეულთ, კედლებს ნახავ ლავინიუმის,
ქალაქს მიიღებ, ვარსკვლავიან ცაში აიყვან
260

სათნო ენეასს, არ გარდავალ მე აღთქმას ჩემსას,
გეტყვი, რადგანაც შენ დაგტანჯა ამ საზრუნავმა,
გაგანდობ ბედის სიადუმლოს: დიდ ომს გადიხდის,
იტალიაში როცა შევა, დათრგუნავს ტომებს,
ქალაქის ზღუდეს და კაცთა ზნეს მისცემს საფუძველს.

265

მესამე წელი ლაციუმში იხილავს მეფედ,
სამიც გაივლის რუტულების დათრგუნვის შემდეგ.
ყრმა ასკანიუს, ამჟამად რომ იულუს ჰქვია
(სანამდის იდგა ტროა, იგი იყო ილუსი),
მთვარის ოცდაათ მოქცევაში ძალაუფლებას

270

თვისას აჩვენებს, სახელმწიფოს ლავინიიდან
სხვაგან გადიტანს, გაამაგრებს ვრცელ ალბას ციხეს.
სამასი წელი იქ იმეფებს ჰექტორის მოდგმა,
სანამ ილია დედოფალი მუცლად არ იღებს
მარსისგან ნაყოფს და არა შობს ტყუპ შთამომავალს.

275

ძუ მგლის წაბლისფერ საფარველით ნუგეშცემული
ხალხს წარუძღვება რომულუსი და მარსის კედლებს
აღაგებს, შემდგომ თავის სახელს მისცემს რომაელთ.
მე არ განვსაზღვრავ დროს და საზღვარს ხელმწიფებისა
ბოლო არა აქვს მათს მეფობას! თვითონ იუნო,

280

დღეს რომ ზღვა, ზეცა და ქვეყანა შიშით შეუძრავს,
ჩემთანვე ერთად რომაელთა შემწე იქნება —
მთელი სამყაროს მფლობელების, ტოგით მოსილთა.
მე ასე მინდა! წელთა სრბოლას მოჰყვება ჟამი,
ოდეს ფთიას და ლამაზ მიკენს ასარაკუსის

285

დათრგუნავს მოდგმა და არგოსში გაბატონდება.
დაიბადება კეისარი ტროელთ სისხლიდან,
ძალით მოიცავს ოკეანეს, დიდებით — მთიებს,
იულიუსი იულუსის მიიღებს სახელს.
აღმოსავლური საგანძურით სავსეს წაიყვან

ოდესმე გეცად და ილოცვენ მოკვდავნი მისდა.
 შემდეგ დაცხრება ჟამთ სიავე. ჭაღარა რწმენა
 და ვესტა მოვა. რემუსი და ძმა ქვირინუსი
 ხალხს დაუდგენენ კანონს. რკინის კლიტე დაახშობს
 ომის კარიბჭეს. შიგ სიცოფე დაუოკველი,

295

იარაღებზე მჯდომი, ასი სპილენძის ჯაჭვით
 მტკიცედ შეკრული, კბილს დაახრჭენს პირსისხლიანი“, —
 ასე თქვა. თხემით გარდმოგზავნა მაიას პირმშო,
 რომ ქვეყანა და კართაგენის ახალი თალი
 ტევკრთა საფარად გახსნილიყო, ბედის არმცოდნე

300

დიდო რომ ლტოლვილთ არ დასხმოდა. სწრაფმა
 ფრთოსანმა

ვრცელი ჰაერი გადალახა, გაჩნდა ლიბიას.
 იქ აღასრულა მან ბრძანება. გულში ჩამარხეს
 ღვთის განჩინება. დედოფალმა თავდაპირველად
 ტევკრთ სათნო სული და კეთილი ზრუნვა აჩვენა.

305

ბევრი იფიქრა ენეასმა ღამით: სისხამზე,
 ოდეს პირველი სხივი მზისა გამოკრთებაო,
 უნდა გავიგო, ქარიშხალმა სად გადმომაგდო,
 ვინ ცხოვრობს აქა, — უდაბური რომ ჩანს გარემო, —
 კაცნი თუ მხეცნი? შემდეგ დაჯრით ვეტყვიო მოძმეთ.

310

კლდეთა თაღებქვეშ ყურე ჰპოვა, ჩამუქებული
 ტყეთა სიუხვით და ხეების მუქი ჩრდილებით
 გემნი დამალა. თვით აქატე თანვე იახლა,
 ხელთ ეპყრა ორი შუბი ფართობუნიკიანი...

ტყის შუაგულში წინ შემოხვდა დედა-მშობელი,
315

სახე მიეღო ქალწულისა და საჭურველი
სპარტელი ქალის, ჰარპალიკას მიმსგავსებოდა
ცხენის მხედნავსა, სირბილში რომ ჰებრუსსა სჯაბნის.
მხარზე მოეგდო მშვილდ-ისარი, როგორც რიგია
მონადირისა. აეშალა ქარს დაღალები.

320

მუხლმოშიშვლებულს კაბის კალთა ბაფთით შეეკრა.
წინათვე: „ჰეი, — შემოსძახა, — ჭაბუკნო ქველნო,
ჩემი და ხომ არ შეგხვედრიათ აქ მონადირე,
კაპარჭიანი და ფოცხვერის ტყავით მოსილი,
ტახს პირქაფიანს თუ მისდევდა ძლევის ყიჟინით?“

325

ასე მიმართა ვაჟს ვენუსმა. ძემ კი მიუგო:
„არ შემხვედრია და არცა-რა გამიგონია!
ო, რა გიწოდო შენ, ქალწულო, მოკვდავად ვერ გცნობ,
ხმაც მეუცხოვა... ქალღმერთი ხარ უთუოდ შენა!
ბეფუსის და ხარ, თუ ფერიათ დასში ითვლები?“

330

ვინც უნდა იყო, მოგვეც შეება, დარდი დაგვაკლე,
გვასწავლე სად ვართ, რომელ ცის ქვეშ, რომელ მხარეში?
ვერც ხალხს, ვერც ადგილს ველარა ვცნობთ,
გზა დაგვეკარგა...

ქარმა მოგვყარა და ზვიადი ზვირთების სრბოლამ...
საკურთხეველზე შემოგწირავთ ღირსეულ ზვარაკს!“

335

ვენუსმა უთხრა: „ღირსი არ ვარ ამ პატივისა!
ტვირელთა ქალებს სჩვევიათო მშვილდის ტარება
და ძოწისფერი მაღალ წაღით წვივის დაფარვა.

ტვირელთა მხარეს, აგენორის ქალაქსა ხედავ,
ლიბიაში ხარ, ხალხი ბრძოლით დაუთრგუნველი
340

დამკვიდრებულა, მეფედ უვისთ ტვირელი დიდო.
ძმას გამოეცა, მას მრავალი ჭირი გადახდა,
მე კი გიამბობთ მხოლოდ მთავარს. ქმრად გაჰყვა დიდოს
სიქევსი ქველი, უმდიდრესი ფინიკიელი
და ბედკრულს თურმე ჰყვარებია უზომოდ იგი.

345

მამამ უმწიკვლო ჩააბარა ქალი, შეუღლდნენ.
პიგმალიონი, ძმა დიდოსი, მართავდა ტვირელთ,
განთქმული იყო ავკაცობით. შულლი ჩაუდგათ
და მან სიქევსი, ოქროს ხვეჭით დაბრმავებულმა,
საკურთხეველთან ვერაგულად დასცა მახვილით,
350

დის გრძნობებზე კი არც იფიქრა. დიდხანს მალავდა
ჩადენილ ცოდვას, იგონებდა ათასგვარ ამბავს
და ცრუ იმედით ატყუებდა ქალს შეყვარებულს.
მას კი სიზმარში დაუკრძალავ ქმრის მოჩვენება
გამოეცხადა, ფერმიხდილი სახე მიაპყრო,
355

აჩვენა მკერდი, განგმირული საკურთხეველთან
და ცხადყო ამით შინაურის დანაშაული.
ურჩია სატრფოს სამშობლოდან ლტოლვა სასწრაფოდ,
გზად ძველი განძი დამარხული მიაგნებინა,
ქალისთვის უცხო რამ საუნჯე, ვერცხლი და ოქრო.
360

მოეწყო დიდო გასაქცევად, ამხანაგებიც
შემოიკრიბა, ვისაც სძულდა მეფე მტარვალი,
ან ვისაც შიში ჰქონდა მისი. ხელთ იგდეს გემი,

დატვირთეს განძით და სიმდიდრე პიგმალიონის
ზღვით გაიტაცეს, ბელადობა იკისრა ქალმა.

365

აქ მოაღწიეს, სად დღეს ხედავ მაღალ გალავანს,
კოშკს და ქონგურებს, თაღებს ახალ კართაგენისა.
აქ შეიძინეს მათ მიწები, სახელად ბირზა,
რამდენიც შეძლეს მოესალტათ ხარის ღვედებით.
თქვენ კი ვინა ხართ, ან რომელი ქვეყნიდან მოხვალთ?

370

საით გასწიეთ?“ — ასე მკითხველს ოხვრით მიუგო,
გულის სიღრმიდან მოჰყვებოდა ენეასს სიტყვა:
„ქალღმერთო, მე რომ ყოველივე მოგიტხოო დაჯრით,
დიდხანს მოგიწევს მოისმინო ვარამი ჩვენი,
უადრეს ეს დღეც მიიღევა ვესპერისაგან.

375

ჩვენ ტროიდან ვართ, — თუ შემთხვევით გაგიგონია
ტროის სახელი, — მოვიარეთ ზღვა უდიდესი
და ქარიშხალმა გადმოგვრეკა ლიბიის პირად.
ენეასი ვარ, პენატები მიმყავს გემებით,
მტრებს გამოვტაცე, ცად ასულა დიდება ჩემი.

380

მსურს იტალია, წილხვდომილი იუპიტერის.
ფრიგიის ზღვაში შევაცურე ოცი ხომალდი,
გზას მიჩვენებდა მშვენიერი დედა-ქალღმერთი.
შვიდილა დამრჩა, დაწეწილი ევრუსის მიერ.
მე ძლივს გადავრჩი და ლიბიის უდაბნოდ დავძრწი

385

ევროპიდან და აზიიდან გადმოხვეწილი“.
შეაწყვეტინა ჩივილი და გოდება ღმერთმა:
„ვინც უნდა იყო, ვერ გეტყვი, რომ სძულხარ ზეციერთ:

სიცოცხლე ჰპოვე, რაკი ტვირელთ ქალაქში მოხვედ!
მხოლოდ განაგრძე გზა, მიაღექ დედოფლის ზღუდეს.

390

წინასწარ გეტყვი: ამხანაგებს კვლავ დაიბრუნებ,
გემებსაც, როცა აქვილონი შემობრუნდება
(თუკი მისნობა მე ამაოდ არ მისწავლია!)...
შეხედე: ორჯერ ექვსი გედი მხიარულ რიგით

მიაპობს ეთერს, მხოლოდ აკრთობს მარდი ფრინველი

395

იუპიტერის. აგერ მოჩანს — გაწვდილი მწკრივით
უთვალთვალებენ მიწის წიაღს, ჰპოვებენ კიდევ.
რაკი გედები ბრუნდებიან ფრთების ფრთხილით
და ცის კაბადონს მოჰფენია გალობა მათი,
ჩანს, რომ შენს გემებს მოჰყავს ხალხი, მოემართება

400

სავსე იალქნით სასურველი ნავსადგურისკენ.
მხოლოდ იარე იქით, სად გზა მიგიყვანს შენი“.
ასე უთხრა და ვარდისფერი ყელი გამოკრთა,
ღვთაებრივ სურნელს თმანი მისნი ამბროზიულნი
აფრქვევდნენ, მუხლზე გადაცურდა სამოსი თხელი,

405

ქალღმერთი გასცა სიარულმა... მაშინვე იცნო
შვილმა მშობელი, განშორებულს მიმართა სიტყვით:
„დედავ სასტიკო, ცრუ ჩვენებით რად ასე ხშირად
ატყუებ შენს ძეს? რად არ ძალგვიძს მივცეთ ხელი ხელს
და მოვისმინო შენგან მაინც სიტყვა მართალი?“ —

410

ასე ბრალს სდებდა. გზას გაუდგა გალავნისაკენ.
ვენუსმა წამსვლელთ მოაფარა მრუმე ჰაერი,
გარს მოუფინა ნისლიანი რამ საფარველი,

რომ მათი ხილვა, შეკადრება ვერ შესძლებოდა,
ვერც შეყოვნება, ვერცა კითხვა შემთხვევით შემხვდურს.
415

თვით პაფუსისკენ მყის გასწია და მხიარული
ჰპოვა სავანე, სად ტაძარი, საკურთხეველი,
ცოცხალ ყვავილთა გვირგვინები ეგულებოდა.
მსწრაფლ გაჰყვნენ გმირნი გზას, ბილიკი რომ ანიშნებდა.
სერბე ავიდნენ, ქალაქზე რომ აღმართულიყო,
420

გადაჰყურებდნენ ქვემოთ ნაგებ კოშკს და ქონგურებს.
სახლთ სიდიადემ გააოცა მხნე ენეასი,
უკვირდა ბჭე და ქვაფენილი, ხალხის ხმაური
ტვირელთ ნაწილი მტკიცე ლოდებს მოსჭიდებოდა
ციხე-სიმაგრის და გალავნის ასაშენებლად,
425

სხვები ცდილობდნენ საცხოვრებელ ბინის აგებას.
სამსჯავროს, მსაჯულთ, წმინდა სენატს ირჩევდნენ კიდეც.
ხალხი ნავსადგომს შესეოდა, ზოგიც საძირკველს
ყრიდა თეატრის, კლდისგან კვეთდა მაღალ კოლონებს,
მომავალ სცენის მოსაწყობად ემზადებოდა.
430

ზაფხულის დამდეგს გაშლილ ველზე, ასე მზის გულზე
ფუტკრები შრომას ეძლევიან და სკის ნამატი
გამოჰყავთ ხოლმე, აგროვებენ თაფლს ჩამოდვენთილს,
ტკბილი ნექტარით ფიტებს მიჯრით ამოავსებენ,
ნადავალს იღებენ ან დევნიან ყველანი მწყობრად
435

უმაქნის ბზიკებს, მუქთახორებს გულსავსე სკიდან.
დუღს საქმე, თაფლის სურნელება იფრქვევა ირგვლივ...
„ნეტარ არიან, ვინც გალავანს აშენებს ახლა“, —

თქვა ენეასმა, რა ქალაქის თაღებს შეხედა.
ნისლით მოცული, — სათქმელადაც საოცარია, —
440

ხალხს შეერია, მაგრამ მაინც ვერვინ შენიშნა.
ქალაქში იყო ჩრდილოვანი ჭალა და იქვე,
სად ზღვის ქარიშხალს გადაურჩნენ, დაუდგამთ ძეგლი
პუნიელთ — ცხენის ქანდაკება, თვითონ იუნოს
სურვილით, რომ ხალხს საუკუნოდ ბედად ჰქონოდა
445

ძალა დიადი, გამარჯვება სამარადჟამო.
სიდონელ დიდოს მძლე იუნოს ტურფა ტაძარი
იქვე აეგო, სავსე განძით, ქალღმერთის ძალით.
სპილენძის ზღურბლი მიჯნად ედო კიბის საფეხურს,
სპილენძის ძელზე ძიგძიგებდა მძიმე კარები.
450

მხოლოდ ჭალაში მოსვლის შემდეგ დაუცხრა შიში
და იგრძნო სიტკბო ენეასმა გადარჩენისა,
იმედიც ჰქონდა უკვე ჭირთა შემსუბუქების.
მოიხილავდა დიად ტაძარს... ელოდა დიდოს,
იყო ქალაქის ბედით ერთობ გაოცებული
455

და მშენებელთა ხელოვნებით, მხატვართა გარჯით:
იგი ხედავდა ილიონთან ბრძოლებს უღმობელს,
გმირთა ჭიდილს და მათ საქვეყნო დიდებას გრძნობდა,
ატრიდს, პრიამეს და ორივეს რისხვას — აქილევსს.
თქვა ცრემლიანმა: „ო, აქატე, მითხარ ადგილი,
460

მითხარ სამეფო, რომ ჩვენს ვარამს ის არ აღევსოს?
აი, პრიამეც... რა მიიღო ღირსების ჯილდოდ?
ჭირს მოსდევს ცრემლი, გულს კი ამღვრევს უბედურება.

ეს სიდიადე მოგვცემს შვებას ცოტათი მაინც“.
თქვა და უსიტყვო სურათებით სულს იმშვიდებდა,
465

ოხრავდა ხოლმე, სახეს ცრემლის ნაკადით რწყავდა.
ხედავდა ბრძოლას, პერგამოსთან, ბერძენთა ლტოლვას:
ტროა-ქალაქის ჭაბუკობა მოსულ მტერს სძლევდა...
იქ კი ფრიგიელთა აქილევსი მისდევდა გმირი...
თვალცრემლიანმა მყისვე იცნო თეთრი კარვები
470

მოყმე რეზუსის. როცა პირველ ძილს მისცემოდნენ,
მოსრნა ტიდიდმა ყოველნივე და სისხლიანმა
ფიცხი ცხენები გააქროლა ბანაკისაკენ,
უღაფოდ და ქსანთუსის წყლის დაუწაფებლად.
აგერ, ლტოლვილმა ტროილუსმა დაკარგა ხმალი.
475

საბრალლო ბიჭი! აქილევსს ხომ ვერ გაუძლებდა...
მიათრევს ცხენი, თავდაყირა დაკიდებული
სადავეს მაინც ხელს არ უშვებს. მიწას ხნავს მხრებით,
თმანი და შუბი მტვერს ხაზავენ... ამ დროს ეწვივნენ
ტროელთა მოძულე მძლე ქალღმერთის, პალადას ტაძარს
480

ტროელნი ქალნი თმაგაშლილნი, მისთვის სამოსი
მიჰქონდათ ლოცვით, მჯილს იცემდნენ გულში გოდებით.
მაგრამ ქალღმერთმა აარიდა თვალი მლოცველებს...
ტროის გარშემო აქილევსმა ჰექტორი სამგზის
ათრია, შემდეგ კი ოქროზე გაჰყიდა გვამი.
485

ოხვრა აღმოხდა, როს იხილა ეტლი, ნადავლი,
ოდეს მეგობრის გვამს შეხედა და პრიამესაც,
რომელს განერთხო მიწად ხელნი უიარაღო.

აქაველთ შორის იცნო შემდეგ თავისი თავიც,
ნახა რაზმები და მემნონის შავი ჯავშანი,
490

ამაძონთ დასი, ბადრი მთვარის მსგავსი ფარებით,
პენტესილეა, ათასებში გამორჩეული,
ოქროს ბაფთით რომ შეებოჭა შიშველი მკერდი,
მამაკაცებთან რომ ბედავდა ჭიდილს ქალწული.
ეს ყოველივე აოცებდა დარდანელ ვაჟკაცს,
495

განცვიფრებული ვერა სწყვეტდა მზერას სურათებს.
ლამაზი დიდო დედოფალი ტაძრად მოვიდა,
გარს მოხვეოდა დიდი დასი ჭაბუკებისა.
ევროტის პირად, კინთის თხემზე როგორც ფერხული
მიჰყავს დიანას, თან მიჰყვება ათასეული,
500

ორეადები თავს იყრიან, კაპარჯს მოიგდებს,
მიდის, სილალით ყველა ქალღმერთს აღმატებული
(ენით უთქმელი შვება ავსებს ლატონას მაშინ), —
ასევე ლალად მოდიოდა დიდოც ყრმათ შორის
და აღაგზნებდა ახალ ქვეყნის ასაშენებლად.
505

მაღალი თაღის შესასვლელთან შეჩერდა ქალი,
მცველთა თანხლებით შემოსული, ტახტზე დაბრძანდა.
კაცთ მსჯავრს უდებდა და კანონებს, შრომის წილს ყრიდა
და სამუშაოს მოქალაქეთ უნაწილებდა.
ენეას გმირმა ხალხის ჯგუფში ნახა ანთეუს
510

სერგესტუსთანვე, კლოანთუსიც, სხვა ტევკრთაგანნიც,
რომელნიც გრიგალს მრუმე ზღვაში მიმოუფანტავს
და უცხო მხარეს მოუყრია კვლავ თავი მათთვის.

უკვირდა მამაცს. ასე შეძრა აქატეს გულიც
შვებამ და შიშმა... სურდათ ხელნი ხელთა მიეცათ,
515

მაგრამ გულს საქმე უშფოთებდა ანაზდაითი.
უთვალთვალედნენ აგრე ნისლში გახვეულები,
რა მოელითო, სად ჰყავთ გემი დატოვებული,
რისთვის მოვიდნენ, რა მიენდოთ ტროელ მოციქულთ,
რა მოწყალებას ეძებენო ტაძრად მოსულნი,
520

ვით მიიღესო დედოფალთან საუბრის ნება!
ილიონეცმა, უხუცესმა, მშვიდად დაიწყო:
„ო, დედოფალო, ნება მოგცა იუპიტერმა
ხალხის განსჯისა და ქალაქის აღმოცენების...
ზღვაზე დევნილი ტროელებიც შენ გეაჯებით;
525

გვსურს განაშორო ავბედითი ცეცხლი ჩვენს გემებს.
ო, შეიბრალე ქველი ხალხი, საქმე განსაჯე.
არ გვწადს ლიბიის პენატების მოსპობა ხმლებით,
ნაძარცვი განძით ზღვისპირეთში კვლავ დაბრუნება:
დამარცხებულთ სულს თავხედობა არ შეუძლია.
530

არის ადგილი, ჰესპერიად სახლდებული
ბერძენთა მიერ, მხარე ძველი, ნაყოფიერი,
სად ენოტრელნი ხნავენ მიწას. დღეს იტალიად
უხმობენ თურმე, სხვა თაობის მეფის სახელით.
გზა იქით გვიძევს.
535

ანაზდად წვიმით ავსებულმა მძლე ორიონმა
ფარულ მეჩჩებს მიგვახეთქა, ავმა გრიგალმა,
ყოვლისმძლე ზვირთზე და გაუვალ ქვებში გაგვფანტა.

თქვენს ნაპირებთან მოაღწია მცირე ნაწილმა.

რა ქვეყანაა, რა ხალხია, რაჟულად ჰქონიათ,

540

რომ ქვიშრობშიაც თავშესაფრის ძებნა გვიშალონ!

ბრძოლით გვხვდებიან, მიწის პირზე არ გვაყენებენ.

თუ კაცთა მოდგმა და მოკვდავთა გძულთ იარაღი,

ღმერთებს მიხედეთ: ავს და კეთილს არ ივიწყებენ.

გვყავდა ბელადი ენეასი, რომელს სიმართლით

545

თუ სათნოებით, გინა ბრძოლით ვერვინ ვერ ძლევდა.

თულა დაინდო იგი ბედმა, თუ სუნთქავს ჰაერს

და თუ მრისხანე აჩრდილებთან არ განისვენებს,

სათნოებაში, ნუკი შიშობ, არ ჩამოგრჩება.

სიკულთა მხარეს ქალაქები, ყანები გველის,

550

საჭურველი და მძლე აკესტე ტროის მოდგმისა,

აგვაშვებინა ოლონდ გემნი, ქარით ძარცულნი,

ტყეში ძელები ხოფებისთვის მოგვაჭრევინა!

თუ გვიწერია ბელადის და მოძმეთ შეხვედრა,

გვწამს, იტალიის ლაციუმში მხნედ მიგვესვლება.

555

თუ ხსნა არა გვაქვს და ლიბიის ზღვად განისვენებ,

ტევკრთა მამაო, თუ იულუსს გადუწყვეტ იმედს,

მაშინ სიკანის ყურისკენ ვვლით, მზა საცხოვრისთან,

დავუბრუნდებით სახელოვან აკესტეს კვალად“, —

ასე ამბობდა ილიონევს. ერთხმად დასთანხმდნენ

560

დარდანიდები.

თვალი დახარა მაშინ დიდომ, მოკლედ მიუგო:

„ტევკრნო, ჩაიხშეთ გულში შიში, დატოვეთ დარდი.

ბოროტი ბედი მაიძულებს, ახალ ქვეყანას
რაკილა ვმეფობ, ხამს დავიცვა ფართო საზღვრები
565

ენეანთ მოდგმას ვინ არ იცნობს, ან ტროა-ქალაქს,
მამაცთ მძლეობას, ბრძოლის ხანძარს დაუშრეტელსა?
პუნიელთ გული განა ეგრე დაჩლუნგებულა,
მზე აღმაცერად ტვირელთ ქალაქს როდი გადუვლის!
თუმც ჰესპერიას მიესწრაფვით, ველს სატურნუსის,
570

თუმც აკესტესკენ და ერიქსის მიწისკენ მიხვალთ,
მაინც უვნებლად გაგატარებთ, საგზალს გაგიწყობთ.
ხოლო თუ გინდათ დაფუძნება ჩვენს სამეფოში,
ქალაქს რომ ვაგებ, თქვენად ჩავთვლი. გემნი ასწიეთ
ხმელეთზე! ტევკრებს და ტვირელებს არ განვასხვავებ!
575

როდის იქნება, რომ იმავე ქარით დევნილი
მოვიდეს მეფე ენეასი! ხალხს საიმედოს
გავგზავნი, ვბრძანებ, რომ დაჩხრიკონ ლიბიის მხარე,
სადმე ყარიბად ხომ არ დარჩა, ტყვედ ან ქალაქად!“
სული აღუგზნო ამ სიტყვებმა მამაც აქატეს,
580

სათნო ენეასს, უკვე სურდათ ნისლის გარღვევა.
მაშინ ენეასს მიუბრუნდა სიტყვით აქატე:
„ქალღმერთის ძეო, რა განზრახვა იშვა შენს გულში?
ხედავ უვნებლად გემებსაც და ამხანაგებსაც.
ერთადერთია, რომ აღარ ჩანს, ვინც თვით ჩვენ ვნახეთ
585

ზღვად განწირული. დედის სიტყვა სრულად მართლდება“.
ეს თქვა თუ არა, აბოლქვილი ნისლი გარშემო
სწრაფად გაირღვა და ნათელი გახდა ეთერი.

იდგა ენეას სხივმოსილი, მძლავრი მხარ-ბეჭით
ღვთაების მსგავსი, რადგან პირმშოს ტურფა მშობელმა
590

თმები შეუმკო, თინათინით ძოწეულისა
გაასხივოსნა, სიჭაბუკე შემატა თვალებს.
(სპილოს ძვალს ასე ამშვენებენ, ელვარებს ვერცხლი
ოქროჭედური, მარმარილო პაროსის მხარის).
ანაზღად გმირმა ყველასათვის მოულოდნელად
595

დედოფალს უთხრა: „ვისაც ეძებთ, აგერ აქ არის,
მე ვარ ენეას, ლიბიაში გადმოხვეწილი!
ო, დედოფალო, შენღა იგრძენ ტროის ვარამი,
ქალაქში უხმობ, ვინც დანაელთ მახვილს გადურჩა,
ვინც ამოწურა ზღვის და მიწის ყველა სიმწარე!
600

რომ ღირსეული, დედოფალო, მადლობა გიძღვნათ,
ძალაც არ შეგვწევს, არც სხვა ვინმეს ხელეწიფება
მთელს სამყაროში მიმოფანტულ დარდანელთ შორის!
დაე, ღმერთებმა, სათნოებას თუკი სწყალობენ,
თუ სადმე არის სამართალი, სიკეთის ფუძე,
605

გიზღან სანაცვლო! რა ნეტარმა ხანამ დაგბადა!
ან რომელ მშობელს ჩაესახე ასეთი სათნო?!
სანამ მდინარე ზღვას შეერთვის, სანამ ბარბაცებს
ჩრდილი მთის თხემზე, ცად ვარსკვლავნი იალაღობენ,
დიდება შენდა! მარად ქებით ვიტყვი შენს სახელს,
610

რომელ მიწამაც არ მიმიხმოს!“ — ეს თქვა. მეგობრებს
მისცა მან ხელნი — სერესტუსსა და ილიონევსს.
შემდეგ კლოანთუსს მიესალმა და მამაც გიასს.

ჯერ მისი ნახვით სიდონელი გაოცდა დიდო,
ხოლო შემდეგ კი მისი ბედით და ასე უთხრა:

615

„ქალღმერთის ძეო, ეს რა ხვედრი გდევს სატანჯველად,
რა ძალა გიძღვის ნაპირისკენ ასე მძვინვარე?
ენეასი ხარ, ვინც მამაცი ანქიზესაგან
დედა ვენუსმა სიმოისის ტალღებთან გშობა?
მახსოვს ტევკრუსიც, ვინც ოდესღაც სიდონს გვეწვია.

620

გამოდევნილი სამშობლოდან, ახალ სამეფოს
მაძიებელი. მამაჩემმა ბელუსმა სძლია
კვიპროსის მხარე და მძლეველი მას ეპატრონა.
მას შემდეგ ჩემთვის ცნობილია ხვედრი ტროისა,
შენი სახელიც და მეფენიც პელაზგთა მოდგმის.

625

მტერიც რომ იყო, მაინც მამა ტევკრთ აღიდებდა,
ტევკრთა ძირიდან წარმოშობით მოჰქონდა თავი.
მოდით, მამაცნო, ჩვენს საცხოვრისს მოეახლენით,
მეც ხომ იგივე ხვედრი მერგო, მეც განვიცადე
ჭირი მრავალი და ამქვეყნად ვირჩიე ყოფნა.

630

უბედურებამ შემასწავლა ბედკრულთა შველა“, —
ეს თქვა და მეფის სასახლეში იხმო ენეას.
ღვთაების ტაძრებს მიუჩინა ღირსი პატივი.
მგზავრებს უბოძა ოცი ხარი და ჯაგრიანი
ასი კერატის ხორცი მისცა, გამოუგზავნა

635

ასი ცხოვარი თავთავიანთ ბატკნებთან ერთად —
ღმერთთა ძღვენი და სიხარული.
სახლი მეფური ფუფუნებით მოირთო ამ დროს,

დარბაზის შუა მოამზადეს უხვი ნადიმი,
უცხო ხელობის ხალიჩები გაიწყო ძოწით,
640

უხვობდა ვერცხლი და ნივთები ოქროჭედური, —
მაცნე მამაცთა სიგულვანის, მრავალი ამბის,
წარმომდინარე ძველი მოდგმის დასაბამითგან,
ენეასს გრძნობამ მამობრივმა არ მისცა შვება,
მარდი აქატე გააგზავნა ხომალდებისკენ
645

ასკანიუსის მოსაყვანად, გასაფრთხილებლად, —
მიწყივ ზრუნავდა შვილზე მამა მოსიყვარულე.
უბრძანა, განძი, ილიონში რაც გადაურჩათ,
თან მოეტანა: მოსასხამი ოქროცურვილი,
მშვენივრად ჩაწულ-ჩაქარგული ყვითელ აკანთით, —
650

რომელი მოჰყვა მიკენიდან ლამაზ ელენეს,
როს პერგამოსში ესწრაფოდა აკრძალულ ქორწილს
(იგი წარმტაცი დედის — ლედას სახსოვრად ჰქონდა);
აგრეთვე კვერთხი, ილიონე რომ ატარებდა —
უფროსი ქალი პრიამესი, და ყელსაბამიც
655

მარგალიტისა, თან ორმაგი გემმაც ოქროსი...
ამ დავალებით გზას გაუდგა გმირი აქატე.
კითერეას კი გულში ზრახვა ედო ახალი,
სურდა კუპიდონს გარეგნობა გამოეცვალა
და დედოფალთან წარმდგარიყო, ვით ასკანიუს.
660

ვნების მცხუნვარე ცეცხლით ქალის ძვლები აენტო.
ტვირელთა კერის, ორგულების შიში აკრთობდა.
წვავდა იუნოს მრისხანება და ღამით — დარდი...

ასე მიმართა ფრთოსან ამურს დედამ, ქალღმერთმა:
„შვილო, შენა ხარ ძალა ჩემი, მხოლოდ შენ ძალგის
665

მამის სწრაფ ისრებს — ტიფოეას არად აგდებდე.
ვდგავარ ღვთაება თავდახრილი და გევედრები.
სანაპიროებს მოწყვეტილი შენი ძმა ზღვაში
დაეხეტება მძლე იუნოს რისხვით დევნილი,
შენ ეს ხომ იცი, — ხშირად ჩემს დარდს იზიარებდი,
670

ფინიკიელი დიდო ახლა მოწყალედ შეხვდა,
მაგრამ მე ვშიშობ, — აწ იუნო მის მასპინძლობას
როგორ წარმართავს? ხელსაყრელ დროს ის არ გაუშვებს.
მსურს ცბიერებით, შემდეგ ცეცხლით ხელთ ვიგდო დიდო.
არ მინდა აზრი შეიცვალოს ვისიმე ნებით,
675

მსურს ჩემთან ერთად მიეჯაჭვოს გრძნობით ენეასს.
თუ როგორ უნდა შეძლო ესა, ჩემს აზრს უსმინე:
მეფის ბიჭუნა, საზრუნავი ჩემი დიადი,
სიდონელთ ქალაქს გაემგზავრა მამის სურვილით,
თან ძღვენი მიაქვს, ტროის ხანძარს რაც გადაურჩა.
680

მას, ძილში ჩაფლულს, კითერონის თხემზე დავმაღავ,
ან სავანეში მშვენიერი იდალიუმის,
რომ უნებურად ბიჭმა ხელი არ შეგვიშალოს.
შენ მხოლოდ ერთი ღამით მისი მიიღე სახე
და შეიმოსე გარეგნობით ბიჭისა, ბიჭო!
685

დიდო მუხლებზე რომ დაგისვამს აღტაცებული,
სუფრასთან ახლოს, ლიეუსის, სინების გვერდით,
რომ მოგეხვევა და უნაბეს კოცნას დაგიწყებს,

იდუმალ ცეცხლით, საწამლავით დაწვი ანაზდად“.
ამურმა ფრთები მოიშორა, დედის დამყოლმა,
690

იულუსივით გაიარა გულმხიარულმა.
შემდეგ ვენუსმა მშვიდი ძილი ასკანიუსის
სხეულს შთაჰბერა და ქალღმერთმა ატატებული
იდალიუმის ტყეში დასვა, სად ყრმას ჰფარავდა
მაიორანის ყვავილები ტკბილი ჩრდილებით.
695

დედის მორჩილი კუპიდონი მეფური ძღვენით
ტვირელთ ქალაქში მიჰყვებოდა აქატეს ლაღად.
როცა მივიდა, დედოფალი ძვირფას ხალებზე
სასახლის შუა იჯდა ოქროს მოფარდაგულში,
მამა ენეას და ტროელი ახალგაზრდობა
700

დაბლა დაგებულ ძოწეულზე დაშვებულიყო.
წყალი მიართევს მსახურებმა ხელის საბანად,
კალათით — პური, ხელსახოცი გაკრეჭილ შალის.
ევალებოდა ორმოცდაათ მშვენიერ მხევალს
სუფრის გაწყობა, პენატებთან ცეცხლის დანთება.
705

ასიც კიდევ სხვა, მათი ტოლი მსახური, სუფრას
ნუგბარს ჰმატებდა, მაგიდაზე ფიალებს დგამდა.
ზღურბლს მოზეიმეს ტვირელებიც მოადგნენ უხვად,
წვეულნი დასხდნენ ხალიჩებზე, გაოცებულნი
ენეასით და იულუსის სახის მშვენებით,
710

მგზნებარე ღმერთით, შემპარავი სიტყვებით მისით,
ყვითელ აკანთით მოოჭვილი საბურველითაც.
საბრალო ქალი! განწირული მომავალ დარდით,

ვერ იყუჩებდა გრძნობას დიდო, სახმილი სწავდა,
ძვირფასი ძღვენი აღელვებდა, უცხო ყმაწვილი.

715

ყელს მოეხვია კუპიდონი სათნო ენეასს,
თითქოსდა მამის სიყვარულის გზნება დააცხრო.
შემდეგ მიიღო დედოფალმა, მკერდში ჩაიკრა,
ეფერებოდა წრფელი გულით, როდი იცოდა,
რა ღმერთს კოცნიდა!.. გაახსენდა კუპიდონს დედა —

720

აკიდალია, ნელა მოსპო სიქევის სახე,
სცადა ცხოველი სიყვარულით მიეპყრა სული,
დამშვიდებული, ვნებათღელვას გადაჩვეული.
როცა ნადიმზე ჩამოვარდა ოდნავ სიწყნარე,
სუფრას შეჰმატეს ფიალები შუშხუნა ღვინით,

725

კვლავ დარბაზებში მხიარული ატყდა ხმაური,
ოქროს ჭერიდან ჩამოცურდა მყისვე შანდლები
და მრუმე ღამე დაამარცხეს ნათელ სხივებით.
დიდომ ითხოვა მოოჭვილი თასი ოქროსი,
აავსო ღვინით, ამით სვამდა ხოლმე ბელუსი,

730

ბელუსის მოდგმაც. კვლავ სიჩუმე ჩამოდგა სახლში.
„იუპიტერო, შენ სტუმრების ქომაგად გთვლიან,
ნეტავ, აჩუქო ეს დღე გმირებს, ტროიდან მოსულთ,
შვება უბოძო სასახელოდ ჩვენი მოდგმისა!
გვატკობდეს ბახუს — ღვინის მამა და მძლე იუნო!

735

მაშ, იზეიმეთ თქვენც, ტვირელნო, ჩვენი შეხვედრა!“ —
ეს თქვა და სუფრას დაასხურა კამკამა ღვინო,
მანამ კი ნაზად თასს შეეხო ბაგეთა კიდით.

ბიტიასს უხმო, გულმოდგინედ დააცლევინა
შუშხუნა ღვინო, შემდეგ თასი სხვებმაც დააშრეს.

740

თმებაქოჩრილი იოპასი ნაზ კითარაზე
ატლანტისაგან ნასწავლ ჰანგებს ტკბილად მღეროდა,
ამკობდა მზესა და მთოვარის მოქცევას ცაზე,
კაცთა გაჩენას, ცეცხლს და ამინდს ხოტბას ასხამდა,
დიად არკტურუსს, ჰიადებს და ორსავე ტრიონს...

745

ოკეანეში რად ჩქარობსო ზამთრის მნათობი
ჩაშვებას, ზამთრის ზარმაც ღამეს რად აყოვნებსო...
ტვირელნი ხშირად ტაშსა სცემდნენ, მათთან ტროელნიც
საბრალო დიდოც საუბარში ათევდა ღამეს
და სიყვარულით ინთებოდა თანდათანობით.

750

სურდა გაეგო პრიამეზე, ბევრიც — ჰექტორზე,
რა იარაღი ჰქონდა ხოლმე ავრორას ვაჟსა,
როგორი იყო აქილევსი, ან დიომედეს
ფიცხი ცხენები, ასე სთხოვდა: „გვითხარო დაჯრით,
ჩვენო სტუმარო, დანაელთა ყველა ოინი,

755

ტროის ამბავი... უკვე შვიდი წელი წაიღო
თქვენმა სილტოლვამ და მრავალი გიხილავთ მხარე...”

წიგნი მეორე

ყველა გაყუჩდა. ყურადღებით მიაპყრეს თვალი,
ტახტზე ჩამოჯდა ენეასი, თხრობა დაიწყო:

„ენით უთქმელმა გაიღვიძა დარდმა ჩემს გულში,
ო, დედოფალო, რაკი ბრძანე — გიამბობ, ტროა

5

თუ ვით დაამხეს დანაელთა. მეც, მეომარი,
რას არ მოვესწარ... ალბათ ცრემლებს ვერ შეიკავებს
ვერცა დოლოპი, ვერც მებრძოლი მირმიდონელი,
ანდა ულიქსეს თანამგზავრი, ეს რომ იცოდეს.

ღამე დაგვიდგა, ძილი მოაქვთ მწუხრის ვარსკვლავებს,

10

მაგრამ ესოდენ რაკი გნებავთ ჩვენი ვარამის
და ილიონის ბოლო დღეთა ამბის მოსმენა,
თუმც გული მიკრთის, მოგონების ბალღამს გაუბრის,
მაინც დავიწყებ... ომით, ბედით დაღლილ დანაელთ
და მათს ბელადებს, რომ გავიდა მრავალი წელი,

15

მთასავით ცხენი აუგიათ ქალწულ პალადას

გეშთაგონებით. აუწყვიათ ნაძვის ძელისგან.
ხმა გაავრცელეს: დაბრუნების აღთქმა დავდეთო.
წილისყრით ჩასხეს ცხენის ფერდში რჩეულნი გმირნი,
ღრუ გამოავსეს უსაშველო და უკუნეთი —

20

რაშის სხეულში მეომარნი იმალებოდნენ.
ჩვენ წინ მოჩანდა ტენედოსი, კუნძული ქველი,
ოდესღაც უხვი (სანამ იდგა ტროის სამეფო),
ახლა იქ მხოლოდ არცთუ სანდო ნავსადგომია,
იქით გასწიეს და ყრუ ნაპირს ამოეფარნენ.

25

ჩვენ კი გვეგონა, შორს, მიკენში გადაიხვეწნენ,
და ამის გამო გლოვა შეწყდა მთელს ტევკრიაში.
განიხვნა ბჭენი, მტრის ბანაკში გასვლა გვატკობდა,
მისი ნაშთის და უკაცრიელ ნაპირის ხილვა.
იქ — დოლოპთ წყობა, აქ პელიდის მხედრობა იდგა,

30

ხომალდნი — იქა, აქ კი ხშირად იბრძოდნენ მწყობრად...
ზოგს ავბედითი აოცებდა მინერვას ჯილდო,
ცხენის სიდიდე. თიმეტემ თქვა თავდაპირველად
გალავნის შიგნით, ციხე-კოშკში შევიტანოთო.
ღალატი სურდა, თუ ეწერა ტროას ეს ბედი?

35

მხოლოდ კაპისი, და ვინც იყო ჭკუადამჯდარი,
დანაელთ მახეს, საეჭვო ძღვენს, ზღვაში ჩაძირვას
ანდა კოცონზე უქადოდა აგიზგიზებას,
ან ღრუს გახვრეტას და გასინჯვას სიცარიელის.
გაიყო ხალხი განსხვავებულ ფიქრით და ვნებით.

40

სხვაგვ პირველად წამოენთო ლაოკოონი,

მაღალ კოშკიდან ჩამორბოდა და მოსძახოდა:

„მოქალაქენო უბედურნო, რა სიგიჟეა!

ნუთუ გკერათ, რომ მტერი გარბის, რომ დანაელებს
თუნდ ძღვენი ძალუძთ უვნებელი? ასე გიცვნიათ

45

ულიქსე განა? აქაველნი შიგ ჩამალულან,

ან გალაფნების დასაქცევად შექმნეს ეს მახე,

რომ გვითვალთვალონ და ქალაქში შემოგვეპარონ.

ნუ მიენდობით, ტევკრნო, ამ ცხენს; რაც უნდა იყოს,

ძღვენიც მოჰქონდეს, მზარავს შიშით მე დანაელი!“

50

ესე თქვა, შემდეგ დიდი ძალით ვეება შუბი

ურჩხულს გვერდში ჰკრა, ამობერილ მუცელში ჩასცა.

შეიძრა ცხენი მისი დარტყმით, სიცარიელემ

დაიგუგუნა და აკვნესდა მუცლის ღრუ ბნელი.

ღვთის ბედსწერას და გონებას რომ არ ემტყუნა,

55

ჩვენ არგოლიკურ საფარს რკინის ხმლით ავჩეხავდით!

გადარჩებოდა ტროაცა და პრიამეს კოშკიც.

ამ დროს ყიჟინით მოათრევდნენ მწყემსები ჭაბუკს,

ზურგს უკან მტკიცედ შებორკილი მეფეს მოჰგვარეს.

თავისი ნებით ჩავარდნია შემხვდურებს იგი,

60

საქმეს აწყობდა, რომ აქაველთ აეღოთ ტროა,

სჯეროდა თვისი სიმამაცის, მზად იყო კიდეც

ან ვერაგობით გაემარჯვა, ან მომკვდარიყო,

მის შესახვედრად ყრმა ტროელნი შეგროვილიყვნენ,

ერთურთს ასწრებდნენ ტყვის გაქირდვას და განქიქებას.

65

აწ დანაელთა ვერაგობა ისმინე, ერთში

შეიცან ყველა!

იდგა ჩვენ წინა შემკრთალი და უიარაღო,
თვალი მოავლო ფრიგიელთა ჯარს და შესძახა:
„ვაგლახმე! ახლა რომელ ზღვას და მიწას ვეწვიო?

70

რა დამრჩენია მე უბედურს, ჩემთვის ხომ უკვე
დანაელთ შორის აღარ არის ადგილი, აქ კი
ჩემი დასჯა და სისხლი უნდათ მრისხანე ტროელთ“.
მისმა გოდებამ ხალხი მყისვე დააშოშმინა.

ვკითხეთ, რომელი მოდგმის იყო, რომელი სისხლის,

75

რას გვპირდებოდა, რის იმედი რჩებოდა ტყვექმნილს?
შიში დაძლია და მოგვიგო ბოლოს პასუხად:

„სიმართლეს გეტყვი, ო, მეფეო, რაც უნდ მელოდეს:

როდი დავმალავ, რომ გახლავარ არგოლიკელი.

თუმცა ფორტუნამ უბედური გახადა სინონ,

80

მზაკვრად, ვერაგად ის წყეული მაინც ვერ აქცევს.

გაგიგონია პალამედეს სახელი ეგებ,

ბელუსის ვაჟის განდიდება ქვეყნის კიდემდე?

დასწამეს, თითქოს მტერთან ბრძოლას გაურბოდაო,

ვით მოღალატე. პელაზგებმა სიკვდილით დასცეს.

85

დასმენას ენდნენ. დასტირიან ახლა კი მოკლულს.

ომის პირველ წელს გამაგზავნა ბედკრულმა მამამ

მასთან, ვით სისხლით ნათესავთან, თანამოლაშქრედ.

თავს მტკიცედ გრძნობდა სამეფოში, მეფეთა დასში

თვისი ხმა ჰქონდა, ჩვენც პატივი არ მოგვკლებია.

90

როცა ულიქსეს ცბიერებით გასცილდა ზესკნელს, —

მე ხომ გიამბობთ, რაც საქვეყნოდ არის ცნობილი, —
წყვდიადას დავენებდი დარდს და ვარამს დამონებული.
გული მეწვოდა ალაღ-მართალ მეგობრის ხვედრით.
და მე, უგნური, არ გავჩერდი: თუ მიწერია

95

მშობლიურ არგოსს დაბრუნება ძლევა-დიდებით,
შურს ვიძიებ-თქო, სიძულვილი აღვანთე სიტყვით.
ეს იყო წყარო ავბედობის: ულიქსე მიწყვი
მემუქრებოდა, ჩემ შესახებ ხალხში თესავდა
ბნელ ხმებს და, თვითონ დამნაშვე, საბაბს ეძებდა.

100

ვერ შევძელ მისი დაწყნარება, სანამ კალქანტმა...
თუმც რად ვიგონებ ამ კრულ ამბავს, რაღას ვაყოვნებ?
თუ აქაველნი თქვენთვის მართლაც ყველა ერთია,
საკმარისია, რაც გიამბეთ, ახლა დამსაჯეთ!
ამით აამებთ ითაკელს და ატრევსის ძეთაც“.

105

სურვილმა გვძლია, რომ გაგვეგო ლტოლვის მიზეზი,
ვერ ვცანით პელაგთ ცბიერება, სიმუხთლე მათი.
გულში სიცრუე ჩაემარხა, თრთოლით ამბობდა:
„ხშირად დანაელთ დატოვება სურდათ ტროისა
და წინაუკმო ლტოლვა, ხანგრძლივ ომით გატანჯულთ.

110

ნეტამც კი ექმნათ! მათ მრისხანე ზღვის ქარიშხალი
გზას უღობავდა, ავსტრის შიში ლტოლვას უშლიდა.
და მაშინ უფრო, როს ააგეს ხის მორებისგან
ეს ცხენი, რისხვით აგუგუნდა ჰაერში ქარი.
შიშმა შეგვიპყრო და ვაფრინეთ ფეხუსის მოგვთან

115

მყის ევრიპილე. სამწუხარო ამბით დაბრუნდა:

„ქალწულის სისხლით, დანაელნო, დააცხრეთ ქარი,
როს ილიონის სანაპიროს მიეახლენით,
ახლაც გვარაკად ხამს შეწირვა არგოლიკელის!“
როცა ამ ცნობამ მოაღწია ხალხის ყურამდე,
120

სული შეზარა, ცივმა ყინვამ დააბრო ძვლები:
ვინ ისურვაო მსხვერპლად ბედმა და აპოლონმა?
ხმაურით მისწვდა ითაკელი ჩვენს მისანს, კალქანტს,
გამოათრია და უბრძანა ემცნო ღვთის ნება.
მე მაშინ ბევრი მიქადოდა ავბედით სიკვდილს
125

ამ ცბიერისგან; სეირს ჩუმად ელოდა ყველა.
ორჯერ ხუთი დღე გულთმისანი ხმას არ იღებდა,
რომ არ გაეცა სასიკვდილოდ ვინმე ჩვენგანი.
ბოლოს კი გატყდა ითაკელის ძალდატანებით,
გვარაკად გამცა იმ ვერაგის თანამოაზრემ.
130

ხალხი დაწყნარდა, ყოველ მათგანს რაც მოელოდა,
რაკი წილად ხვდა მხოლოდ ერთ კაცს, მსხვერპლად
განწირულს.
დადგა დღე ძნელი, საზვარაკოდ უკვე მზად იყო
ფქვილი, მარილი, ხილაბანდი ზორვად მდგომისთვის...
გავხსენ ხუნდები, ვალიარებ, სიკვდილს გავეძეც,
135

ჭაობის პირად ლელიანში ვიმალებოდი,
სანამ იალქანს აუშვებდნენ სპანი ლტოლვილნი..
არ დამრჩენია ჩემი ძველი სამშობლო მხარის,
ძვირფასი მამის და შვილების ნახვის იმედი!
იქნებ სასჯელით სცადონ ჩემი დანაშაული
140

მათ აზღვევინონ და სიკვდილი არგუნონ ბედშავთ?
ღმერთებს გავედრებ, სიმართლეს რომ მარადჟამს სცნობენ,
თუკი მოკვდავებს ის დაუცავთ პატიოსნებით,
ებრალეოდეს მსხვერპლი დიდი უბედურების,
სული ბედკრული შეიწყალე, პატივაცარილი!“

145

ჩვენც შეგვებრალა და სიცოცხლე ვაჩუქეთ მტირალს.
პრიამემ ბრძანა — მოხსენითო მჭიდრო ხუნდები,
ხელბორკილები, დაყვავებით მიმართა შემდეგ:
„ვინც უნდა იყო, დაკარგული დათმე ბერძნები,
ჩვენთან იყავი. ოღონდ მითხარ სიმართლე ახლა:

150

რისთვის ეგულვათ ეს მერანი? ვისი ბრალია?
აღთქმული ჰქონდათ, თუ საბრძოლო მახედ უნდოდათ?“
ცბიერებით და პელაზგური ხრიკით აღსავსემ
აღაპყრნა ხელნი ხუნდებისგან თავისუფალნი:
„მოწმედ მეყავით, საუკუნო მანათობელნო,

155

საკურთხეველო, სატევარო, რომელს გაგექეც,
და ხილაბანდო, ვით ზვარაკი რომ გატარებდი, —
მინდა გავწყვიტო აწ ბერძნებთან წმინდა კავშირი,
მწადს შევიძულო, სხვებს გავუხსნა მათი ზრახვები,
ხომ აღარ მბორკავს არც მამული, არცა კანონი!

160

თუ ვთქვი სიმართლე, ჩემი დაცვით გადამიხადე
ეს დახმარება, ილიონო თავისუფალო!
დანაელთ ომში იმედი და ღვთის სასოება
მარად პალადას ძალა იყო, ხოლო როდესაც
უპატიოსნო ტიდიდმა და ავმა ულიქსემ

165

წმიდა ტაძრიდან მოიტაცეს პალადიუმი,
მოსპეს მცველები, მიითვისეს წმიდა ბომონი,
სისხლიან ხელით შეუბედეს ღმერთქალს შეხება
და ქალწულებრივ შესაკრავებს ქალღმერთისასა,
მაშინ დაემხო სასოება დანაელების,

170

განქარდა ძალა და განუდგა ქალღმერთი მხსნელი,
ცით სასწაული მოუვლინა მათ ავბედითი.
ოდეს ქანდაკი ბანაკს დადგეს, ალი დაიფრქვა
თვალთაგან მისთა შიშით ცივი ოფლის მომგვრელი,
თვით კერპი სამგზის, — სათქმელადაც საოცარია, —

175

შეიძრა, ფარით, მოძიგძიგე შუბით შემკული.
მაშინ კალქანტმა განაცხადა: ზღვას მივცეთ თავი,
ტროას ვერ დასცემს იარაღი არგოლიკური,
თუ კერპს, კაუჭა ხომალდებით არგოსს წაღებულს,
არ დავაბრუნებთ, როს ვნახავთო ღვთიურ სასწაულს.

180

ქარს უნდა გავყვეთ, ვეწვიოთო მშობლიურ მიკენს,
ხმალი გავჭედოთ, მოვუხმოთო მეგზურად ღმერთებს,
კვლავ დავბრუნდეთო! ასე ახსნა ღვთის სასწაული.
კალქანტის რჩევით ნაცვლად ნაწყენ ქალღმერთის კერპის,
ეს ცხენი დადგეს მძიმე ცოდვის გამოსასყიდად.

185

მანვე უბრძანა, რომ აეგოთ მუხის ძელისგან
ეს საოცარი ქანდაკება ცადაღმართული,
ვეება ცხენი რომ ციხეში ვერ შეეტანათ
და ძველი რწმენით ტროელთ შემწე არ გამხდარიყო.
თუ თქვენ მინერვას წილხვედრ ქანდაკს წაბილწავთ, —
მტრისას, —

მთელი სამეფო პრიამესი, ფრიგიელთ ტომი
უნდა ელოდეს წრეგადასულ უბედურებას.
თუ თქვენივ ხელით შევა ცხენი ციხე-ქალაქში,
მაშინ აზია შეესევა პელოპის კედლებს,
გაიზიარებს ჩვენს საზარ ხვედრს შთამომავლობაც!”

და ჩვენც ვირწმუნეთ სიცრუენი ცბიერ სინონის,
გზა აგვიბნია ნატყუარმა მისმა ცრემლებმა,
თუმც ვერც ტიდიდმა გვძლია, ვერცა გემმა ათასმა,
ვერც ლარისელმა აქილევსმა, ვერც ათმა წელმა.
ამ დროს ჩვენს თვალებს წარმოუდგა საშინელება,

საზარი რამე, შეაძრწუნა გული ანაზდად.
მოგვს ნეპტუნუსის, ლაოკოონს, წილით არჩეულს,
კერპთან მიჰყავდა საზვარაკო მოზვერი დიდი,
ამ დროს, — თქმისაც კი მეშინია, — ტენედოსიდან
ორი ურჩხული, აგორგლილი დიდრონ რკალებად

ზვირთზე გაწვა და ნაპირისკენ მოისწრაფოდა.
მკერდით ტალღებში ირწეოდნენ, სისხლიან ჯაგარს
ზემოთ აჩენდნენ, სხვა დანარჩენ ხერხემალს ტალღა
რკალად ახვევდა უზარმაზარს. ზვირთი აქაფდა
ანაზდეულად მოგუგუნე, ველთან მოცურდნენ.

ცეცხლით და სისხლით სავსე თვალნი რისხვით ელავდნენ.
მთრთოლვარე ენით ილოკავდნენ დახრჭენილ ხახას.
ფერწასულები გავიფანტეთ, ურჩხულნი მტკიცედ
ლაოკოონთან ისწრაფოდნენ. მაშინ ვიხილეთ,
ორ ბედშავ ყმაწვილს თუ გველები ვით ეხვეოდნენ,

215

როგორა კბენდნენ უძლურსა და უბედურ სახსრებს.
ბოლოს თვით მამა, იარაღით მოსული შემწედ,
შეიპყრეს, შეკრეს საზარელი რკალები ირგვლივ,
გარშემო ორგზის მოესალტნენ, ჯაგრიან ზურგით
ყელს მოენასკვნენ და წამოყვეს თავები მაღლა.

220

ხელით ცდილობდა ავბედითი ნასკვების გახსნას,
საწამლავით და ლორწოთი სველ რკალებს ებრძოდა,
თან ვარსკვლავამდე აღავლენდა საზარ გოდებას.
ასევე ღმუის ხარი, როცა საკურთხეველთან
ზურგში შეიგრძნობს უნიათოდ ჩაცემულ ნაჯახს...

225

ბოლოს გაცურდნენ დრაკონები ტაძრის თაღისკენ
და ესწრაფოდნენ უსასტიკეს ტრიტონიას კოშკს,
რომ მის ფეხებთან, მრგვალ ფარის ქვეშ ეპოვათ ბინა.
საზარი შიში შეეპარა ხალხის მთრთოლავ გულს.
ამბობდნენ, თვისი ცოდვა ზღაო ლაოკოონმა,

230

რამეთუ შუბით განგმირაო ქანდაკი წმინდა.
შეურაცხელო, ოდეს რკინა ჩაარჭო ფერდში.
ცხენი ქალღმერთის სავანეში შევიყვანოთო,
შეგვეწიოსო ტრიტონია.
გალავნის გახსნას შევუდექით, ბურჯებს ვანგრევდით.

235

ყველა შრომობდა, მივაცურეთ ცხენთან ბორბლები
გასაგორებლად, ქედზე თოკი მოვებით მერანს.
მტრებით აღუსილი, ავბედითი მიადგა ციხეს.
გაუთხოვარი გოგონები და ჭაბუკები
ჰიმნს უგალობდნენ, აამებდათ თოკზე შეხება.

240

მორზე ხოხავდა და მუქარით ბრბოს შერეოდა.
ვაგლახ, მამულო, ღმერთთა სახლო და ილიონო,
დარდანელთ ციხევ!... ოთხჯერ შედგა გალავნის
ზღურბლთან

და მუცლის ღრუში იარაღის ჩქამი გაისმა.
ჩვენ კი ყოველი დაგვაფიქრა ბრმა მისწრაფებამ

245

და წმიდა კოშკში შევიტანეთ ავი ურჩხული.
კასანდრამ გვამცნო მომავალი, თუმც ღვთის სურვილით,
ტევკრებს ქალწულის არასოდეს არა სჯეროდათ.
ბედკრულთ, თუმც ეს დღე დაგვრჩენოდა უკანასკნელი,
ქალაქში მოვრთეთ ყვავილებით ღმერთთა ტაძარნი.

250

ზეცა მობრუნდა, ღამე მოდგა ოკეანიდან,
ჩრდილით დაფარა დედამიწა და ვერაგობა
მირმიდონელთა. გალავანში გაფანტულ ტევკრთა
დაღლილ სხეულებს დაეუფლა მშვიდობის ძილი.
ამ დროს არგიველთ სპამ ხომალდთა ერდო აავსო,

255

ტენედოსიდან თან გამოჰყვა მთვარის ჩრდილს მყუდროს,
ნაპირს მოადგა დარდანელთა, გემის კიჩოდან
ცეცხლით ანიშნეს და სინონმა ღმერთთა თანხმობით
კარი გაუღო დანაელებს, ცხენში დამალულთ,
ურდული მოხსნა... გამოყარა მებრძოლნი გარეთ

260

ცხენის ქანდაკმა. მხიარულად ხეს გაეცალნენ
თესანდრუსი და სთენელუსი, ავი ულიქსე,
ბაგირს ჩამოჰყვნენ აკამანტი, მასთან თოანტი,
ნეოპტოლემუს პელიდის ძე, თუ მაქაონი,

მენელაოსი, ეპეოსი — მახის დამგები.

265

ქალაქს მოედვნენ, ღვინითა და ძილით ძლეულნი

დასცეს გუშაგნი, კარი გახსნეს და შემოუშვეს

ამხანაგები, შეუერთდნენ თანამზრახველებს.

ის ჟამი იყო, ოდეს მაშვრალ მოკვდავთ მოიცავს

პირველი ძილი, ღვთაებრივი სიმშვიდე ტკბილი.

270

სიზმრად ვიხილე ნაღვლიანი გმირი ჰექტორი,

მას, სვეუბედურს, ცრემლის ღვარი ურწყავდა სახეს,

ვით მაშინ, ოდეს მიათრევდნენ ეტლზე გამობმულს,

მტვერს რწყავდა სისხლი, დასიებულ ფეხს ღვედი ეკრა.

ვაგლახ, რას ჰგავდა! სულ სხვა იყო გმირი ჰექტორი,

275

როს აქილევსის იარაღით აღჭურვილიყო,

დანაელთ გემებს ფრიგიული ცეცხლით აშთობდა.

სიზმრად კი წვერი ჭუჭყიანი, თმა წებოვანი

და სისხლიანი ჰქონდა, ტანი — ნაიარევი —

მშობლიურ ციხის დამცველ მებრძოლს. სიზმარში თითქოს

280

ხმით დაზაფრულით მოვუხმობდი მტირალი მამაცს:

„ო, დარდანეთის ჩირაღდანო, ტევკრთა იმედო,

რამ შეგაყოვნა? რომელ მხრიდან მოსულხარ ჩვენთან,

ჰექტორ, ძვირფასო! როგორ მოხდა, რომ შენთანთა,

მოქალაქეთა და ქალაქთა დაცემის შემდეგ

285

კვლავ გხედავთ, გმირო? რა მიზეზმა დაგიმახინჯა

სახე, სხეული, რატომ ვხედავ უხვად იარებს?“

ამ ფუჭ კითხვებზე არაფერი არ მიპასუხა,

მხოლოდ აღმოხდა მძიმე ოხვრა გულის სიღრმიდან:

„ქალღმერთის ძეო, მსწრაფლ გაიქეც, ცეცხლს გაეცალე,
290

მტერმა აიღო გალავანი, დაეცა ტროა!
ბევრს ვაძლევთ მამულს და პრიამეს! ხსნა პერგამოსის
რომ ეგებოდეს, ეს მარჯვენა მას დაიცავდა.
ტროა გაბარებს პენატებს და ბომონებს თვისას,
ბედის მეგზურებს განუახლე ციხე-გოდოლი!
295

ქალაქს აღმართავ, რომ უღეველ ზღვებს გადალახავ!“ —
ეს თქვა, ტაძრიდან მძლავრი ვესტა გამოიტანა
თავსაკრიანი და მაშხალა მარადიული.
ამ დროს ქალაქში მრავალ ხმაზე გაისმა გმინვა.
თუმცა ანქიზეს სახლს ხეები ეფარებოდა.
300

შორს იდგა, კვნესა მძლავრდებოდა უფრო და უფრო,
იქაც შეიჭრა იარაღის საშინელება.
გამომეღვიძა, სახურავზე ავედი მაღლა,
სმენად ვიქეცი, ვიყავ ისე გაფაციცებით,
თითქოს ქარბუქში მოსდებია ცეცხლი ბალახებს,
305

თითქოს მთის ნაკადს გაშლილ ველზე გადაუვლია,
ლალი ჭეჯილი წაუღეკავს, ხარის ნაშრომი,
ტევრს შესკდომია ნიაღვარი, გაკვირვებული
გახეხებულია ხმაურისგან კლდის ქიმზე მწყემსი...
ბოლოს გავიგე, რაც ხდებოდა, გამოჩნდა ხრიკი
310

დანაელთ ლაშქრის. ვულკანუსმა დაღეწა სახლი
დეიფობუსის. აელვარდა მეზობლად კოშკი
უკალეგონის. სიგეუმი შორს აციმციმდა.
ატყდა ყიჟინა და ნაღარის ცემა გაისმა.

ხმაღს ხელი ვიკარ უგუნურმა, — რა ბედენაა!

315

სულს ხალხის შეკვრა და გოდოლში შეჭრა სწყუროდა.

სიშმაგემ, რისხვამ ამაჩქარა, ფიქრმა გამმსჭვალა:

მშვენიერია, საჭურველში თუ ჰპოვებ სიკვდილს!

ამ დროს პანთუსი აქაველებს გამოჰქცეოდა,

პანთუსი, ქველი ოთრიადი, ფეხუსის მოგვი.

320

ხელთ ეპყრა ძლეულ ღმერთთა კერპი. ზღურბლთან მოვარდა

გაგიჟებული, შვილიშვილიც მოჰყავდა ჩვილი.

„პანთუს, რა გველის? ან რომელი გოდოლი დაგვრჩა?“ —

შევძახე, ხოლო მან მაშინვე მომიგო ოხვრით:

„უკანასკნელი დღე და ჟამი დაუდგა ქალაქს!

325

ვიყავთ ტროელნი, იყო ტროა, დიდება ტევკრთა,

დღეს კი არგუნა ძლევა არგოსს იუპიტერმა.

დაფერფლილ ქალაქს დაეუფლნენ დანაელები.

ცხენი რომ გვიდგას ციხის შუა, შიგნიდან აფრქვევს

იარაღასხმულთ. თვით სინონი დაგვცინის ახლა

330

და ცეცხლსა თესავს, კარიბჭეში ჩამდგარა ჯარი,

ათასობით რომ მიკენიდან მოსულა ჩვენში.

შუბნი აღმართეს, დაიკავეს ქუჩაბანდები,

ლტოლვილთ მოუჭრეს გზა ყოველი შიშველი ხმლებით,

იმუქრებიან სასიკვდილოდ. ძლივსღა იბრძვიან

335

კარიბჭის მცველნი, თავს იცავენ ბრმა სიმამაცით“.

პანთუსის სიტყვამ და ღმერთების ნებამ აღმანთო,

ცეცხლში შევიჭერ, სად მიწვევდა ავი ერინის,

სად ცას სწვდებოდა გოდება და გუგუნი ბრძოლის.

ვნახე რიფევესი, მძლე მებრძოლი და მთვარის შუეზე —
340

ეპიტუს, მასთან ჰიპანისი, შემდეგ — დიმასი.
გვერდით მომიდგა კორებუსი, მიგდონეს წულიც,
რომელიც იმ დღეს ილიონში შემთხვევით მოხვდა,
აღმოდებული გიჟურ ტრფობით კასანდრასადმი,
პრიამესა და ფრიგიელთა შემწედ მოსული.

345

მან, უბედურმა, აღგზნებული საცოლის რჩევა
ყურად არ იღო.
ოდეს მივუხვდი ბრძოლის წყურვილს, ასე მივმართე:
„გულით ამაო სიმაჰაციო გზნებულნო ყრმანო,
უკიდევანო მისწრაფებას რომ მისცემიხართ

350

ბელადთან ერთად, ხედავთ, საქმე როგორ მობრუნდა?!
ყველა ტაძარი მიგვიტოვეს დიდმა ღმერთებმა,
აქამდე მათი ძალა ედგა ჩვენს სახელმწიფოს.
ხმლებს შევეგებოთ და შევაკვდეთ ანთებულ ქალაქს, —
დამარცხებულთა საშველია უსაშველობა!“

355

ასე მიეცა მძვინვარებას ჭაბუკთა სული.
ვით მგელს აბრმავებს შავ ღამეში მუცლის სიხარბე,
გამშრალი ხახით ლეკვები რომ ელოდებიან,
ასე მტრებსა და იარაღში სიკვდილს ვეძებდით,
ციხე-ქალაქში როს დავძრწოდით გულაღგზნებულნი.

360

პირქეში ღამე სქელი ჩრდილით გადაგვაფარა.
რა ენა იტყვის იმა ღამის მკვლევლობის ამბებს
და რა ცრემლები ეყოფოდა იმ ღამის ვარამს?
დაეცა ძველი ილიონი, მრავალწლოვანი,

უიარაღო სხეულები ქუჩებს ეყარა,

365

სასახლეებთან და ტაძრების წმიდა ზღურბლებთან.

მაგრამ სიკვდილმა განა ტევკრნი დასაჯა მხოლოდ:

ძლეულთა გულებს სიმამაცე ხშირად ეწვია

და მძლე დანაელთ კი — სიკვდილი. ყოვლგნით სასტიკი

იდგა გოდება, ყოვლგნით ძრწოლა, სიკვდილის სუსხი.

370

დანაელთ დასით ანდროგეოს ჩვენს შესახვედრად

გამომმართა უმეცარი, თავისიანთა

რაზმად ჩაგვთვალა, მოგვესალმა კეთილი სიტყვით:

„იჩქარეთ, ყრმანო, ასე ხანგრძლივ რამ დაგაყოვნათ?

სხვები პერგამოსს აღმოდებულს ინაწილებენ,

375

თქვენ განა ახლა ჩამოხვედით ხომალდებიდან?“ —

თქვა და ნათელი პასუხი კი ველარ მიიღო.

მაშინლა მიხვდა, რომ მოექცა მტრის შუაგულში.

შეჰკივლა, წამსვე უკუიქცა შეძრწუნებული.

ასევე ხდება, როცა ვინმე გველს დააბიჯებს

380

ბარდნარში ფეხსა და მთრთოლვარე მსწრაფლ გაეცლება

მრისხანებისგან მოსისინეს, ყელგამობერილს.

ანდროგეოსიც გაგვეცალა ათრთოლებული.

ხელში ჩავბლუჯეთ იარაღი, გარს შემოვერტყეთ.

შეშინებული, უმეცარი ამ ადგილისა

385

დავხოცეთ ყველა. თვით ფორტუნა გვწყალობდა მაშინ.

და კორებუსმა, ამ მიღწევით აღტაცებულმა —

„ო, მეგობრებო, — დაიძახა, — იმ გზით წავიდეთ,

რომელსაც ბედი გვიკარნახებს, ჩვენი მოწყალე.

დანაელთ ფარი და ჯავშანი თვითონ ავისხათ.

390

ვინ იტყვის, ხერხი არ სჯობია სიმამაცესო?
თვითონ მოგვცემენ საჭურველსაც“. ეს თქვა და დასწვდა
ანდროგეოსის ფარს და ჯავშანს აელვარებულს,
წელზე აისხა არგოსული ბასრი მახვილი.
ასე მოიქცა რიპევისი და დიმასიც შემდეგ.

395

ყრმებს უხაროდათ, რომ აისხეს უცხო ჯავშანი.
აღვერიენით დანაელებს, თუმც ღმერთს არ ვსურდით.
ლამის წყვდიაღში საფრთხე ვძებნეთ და ხშირ ბრძოლაში
მრავალ დანაელს ერგო ჩვენგან ორკუსის მღვიმე.
ზოგი გემისკენ გაიძურწა, ნაპირს მიადგა,

400

ხოლო ნაწილი ძრწოლით ეცა ცხენის მუცლის ღრუს
და სამარცხვინო შიშმა კვლავ შიგ შედენა ბევრი.
ვაგლახ! უღმერთოდ ამაოა ყველა იმედი!
პრიამეს ქალი თმებგაშლილი, ტურთა კასანდრა
მინერვას ტაძარს გამოსტაცეს და მიათრევდნენ,

405

თვალები, რისხვით ანთებული, აღეპყრო ზეცად,
მაგრამ ამაოდ, ნაზ ხელებს კი ხუნდი უჭერდა.
ველარ გაუძლო კორებუსმა ამის შეხედვას,
მზად იყო, თუნდაც მომკვდარიყო, მტერს შეერია.
ჩვენც იარაღებს ხელი ვტაცეთ მისაშველებლად.

410

ტაძრის ქიმიდან ჯერ ჩვენებმა დაგვცხეს ისრები,
სხვათა საჭურვლის მფლობელთ მძიმე დღე დაგვაყარეს,
ბერძნულმა ჯილამ და ჩაჩქანმა ბევრი აცთუნა.
განრისხდნენ მაშინ დანაელნიც: ქალს გვართმევნო.

მოგროვდნენ ყოვლგნით, აიაქსი შემოუერთდა,
415

ორივ ატრიდი დოლოპების ლაშქართან ერთად.
როგორც ავდარში ავარდება და ერთურთს ებრძვის
ავი ნოტუსი, ზეფირურსი, რაშით — ევრუსიც,
ტყე ილეწება, მძვინვარედ სცემს სამწვერა ფიწალს
ქაფზე ნერევსი, ააბორგებს ფსკერიდან ჯურღმულს, —
420

ასევე აღარ ილეოდნენ, ღამის წყვდიაღში
რაც არ გავფანტეთ დანაელნი, კვლავ გროვდებოდნენ.
მიხვდნენ, რომ ფარმა შეაცდინა და საჭურველმა,
რომ ბაგე ჩვენი სხვას ამბობდა, მათი კი — სულ სხვას.
მტერთა სიმრავლე მოგვერია. კორებუს დასცა
425

პენელეუსმა მძლე ქალღმერთის საკურთხეველთან.
სათნო რიპევსიც მაშინ მოკლეს, დარდანელთ შორის
ყველაზე მეტად რომ უყვარდა სიმართლის დაცვა,
ღმერთს კი სხვა სურდა! ჰიპანისი, მასთან დიმასიც
თავისიანთა მსხვერპლნი გახდნენ. შენც დაბარბაცდი,
430

პანთუს, ვერ გიხსნა სათნოებამ, ვერც ღვთის თავსაკრმა.
ტროის პარტახო, ახლობელთა ბოლო კოცონო,
მოწმედ მეყავით, ავბედობას არ გავქცევითვართ,
არც შუბს, არც ხიფათს, მაგრამ ჩემთვის ბედს რომ ნდომოდა
სიკვდილი, კიდევ მივიღებდი დანაელთ ხელით.
435

ძლივს გავცდით... მახლდა იფიტუსი უკვე წლოვანი
და პელიასიც ხეიბარი — ულიქსემ დაჭრა.
კვნესამ მოგვიხმო კვლავ პრიამეს სასახლისაკენ.
იქ საშინელი ბრძოლა ვნახეთ, თითქოს ქალაქში

სხვაგან არცა ვის უბრძოლია და მომკვდარაო.

440

დაუოკველნი დანაელნი სართულს უტევდნენ,
ალყა დაურტყამთ ზღურბლისათვის კუს საფარველით.
სახლზე მიუდგამთ კიბეები, საფეხურებზე
ზედ ასულიყვნენ და მტრის ისრებს ფარს აგებებდნენ
მარჯვნით, ხოლო მარცხენა ხელს სართულს ავლებდნენ.

445

დარდანიდები ქონგურებს და სახლის სახურავს
ზედ ანარცხებდნენ, რაკი სხვა გზა არ დარჩენოდათ,
მით გაურბოდნენ საზარ სიკვდილს მოახლოებულს.
წინაპართაგან დატოვებულ ოქროს სამკაულს
ზემოდან ყრიდნენ, გაშიშვლებულ ხმლებით იცავდნენ

450

სასახლის კარებს მჭიდრო რიგად დარამბმულები.
მეფის სავანის დასახსნელად აღმეგზნო სული,
მამაცთ საშველად, დამარცხებულთ გასამხნეველად.
სასახლეს ჰქონდა საიდუმლო კავშირის კარი
შესაერთებლად მეფის ვრცელი დარბაზებისა.

455

სანამ სამეფო მტკიცედ იდგა, ხშირად ამ კარით
მართო შესულა ანდრომაქე თვის მამამთილთან,
ასტიანაქსი — ძე — პაპასთან მიჰყავდა ბედკრულს.
ავედი ჭერის მაღალ ქიმზე, იქიდან ტევკრნი
ხელით სტყორცნიდნენ ბასრ ოროლებს, თუმცა ამაოდ.

460

კოშკი მაღალი სახურავით ცასა სწვდებოდა,
აქედან ჩანდა მთელი ტროა და ადრე ხშირად
დანაელთ გემებს და აქაველთ ბანაკს ვზვერავდით.
მორყეულ მორებს მოვახვიეთ რკინა მაგარი,

მტკიცედ მოვწიეთ და მაღალი სახურავიდან
465

მოვწყვითეთ მალე, მეყსეულად საშინელ ძალით
დანაელთ რაზმებს მოგუგუნე დაეცა თავზე.

სხვებიც მოვიდნენ დასაცავად, დიდი ლოდების
ან სხვა საჭურვლის რიცხვი უკვე აღარ იკლებდა.
ჩვენი სასახლის წინ პირუსი მოადგა ზღურბლსა,
470

სპილენძისა და იარაღის აელვარებით.

ასევე გველიც, რომ გამძღარა ავი ბალახით,
გამოთრად მძინარე, შავ მიწაში დაბუდებული,
ტყავს რომ მოიცლის, ყრმობის ეშხით კვლავ განახლდება,
მკერდს მაღლა ასწევს და სრიალა ხერხემალს კლავნის
475

მზის გულზე, ენას გამოაკრთობს ხახიდან სამმაგს...

მოდგა პერიფას, აქილევსის ცხენთა მეურვე,
ავტომედონტი და სკიროსის ახალგაზრდობაც.
ჩვენს კოშკს მოადგნენ, სახურავზე გვესროდნენ ცეცხლსა.
პირველთაგანმა ზეაღმართა მჭრელი ნაჯახი,
480

ზღურბლს მოურყია მძლე პირუსმა სპილენძის კავი,

მორი გადაჭრა, შეანგრია მუხის კარები,
შიგ გამოტეხა ფართო ხვრელი, იქიდან ჩანდა
ვრცელი მეფური პალატები, მოხუც პრიამეს
სავეანეები, ძველ ბელადთა მტკიცე შენობა.

485

შიგ მყოფთაც ნახეს მტრის მხედრობა კარზე მომდგარი.

მაშინ სასახლე აირია ავბედით გლოვით,
სიღრმეში დიდი დარბაზები წამსვე აკვნესდა
ქალის გოდებით, ცად აღწევდა კივილის ხმები.

შეძრწუნებულნი პალატებში კრთოდნენ დედები,
490

ძელებს ეკვროდნენ და ალბობდნენ მხურვალე კოცნით.
იძალა მკლავმა პირუსისა, ვერ აკავებდნენ
კლიტე და მცველნი, შეტორტმანდა კარები მუხის,
ანჯამებიდან ჩამოცვივდა რკინის კავები.
მზეს გზა გაეხსნა, დაანგრის შემოსასვლელი,
495

შემხვდურნი დასცეს და სასახლე აივსო ლაშქრით.
აქაფებული ასე ჯებირს ვერ გადალახავს,
ლოდებს ვერ დაძრავს მთის მდინარე თვისი ზვირთებით,
როგორც მოვარდა გმირი მაშინ, მიფანტ-მოფანტა
ხალხი, ვით ჯოგი. თვით ვიხილე განრისხებული
500

ნეოპტოლემუს, ზღურბლთან იდგა ორივ ატრიდი.
ვნახე ჰეკუბა, ასი რძალით, პრიამეს სისხლიც
თუ ვით შეესხა ბომონებთან წმიდა ჩირაღდნებს.
ორმოცდაათი სანთიობოც, შვილთაშვილების
იმედი, უცხო ოქროთი და ნადავლით სავსე,
505

დაიმსხვრა. მტერმა ხელთ ჩაიგდო, რაც ცეცხლს გადურჩა.
იქნებ პრიამეს ხვედრიც გინდა გაიგო ახლა?
ოდეს ქალაქი დატყვევნილი იხილა, კარი —
შემონგრეული, დარბაზებში შეჭრილი მტერი,
მხცოვანმა მხრები, მძიმე ბექთარს გადაჩვეული,
510

წელთა სრბოლისგან მოცახცახე, კვლავ აღიჭურვა,
ხმალი აღიღო, სიკვდილისკენ მიისწრაფოდა.
შიგ სასახლეში ზეცის ღია თაღის ქვეშ იყო
საკურთხეველი, ძველი დაფნაც. იქ შემოვიდა,

ბომონთან დადგა და პენატებს ჩრდილი აფარა.

515

ქალ-რძლებთან ერთად იქ ჰეკუბა შეყუჟულიყო.
თითქოს ქარიშხალს გაექცნენო მტრედის ხუნდები,
ერთურთს ეკვროდნენ და ღვთის კერპებს ეხუტებოდნენ.
როს ჭაბუკურად აღჭურვილი პრიამე ნახა –
„ბედშავო ქმარო, – თქვა ჰეკუბამ, – რა განიზრახე,

520

ეს იარაღი რად აგისხამს, რას მიესწრაფვი?
ვერ გვიხსნის შენი დახმარება, ველარ გვიშველის
ჩემი ჰექტორიც, აქ რომ იყოს! მოგვიახლოვდი,
ყველას დაგვიცავს ეს ბომონი, ან მოვკვდეთ ერთად!...“
ასე ევედრა ქმარს ჰეკუბა, მოიახლოვა

525

მოხუცი თვისკენ და ჩამოსვა წმიდა ადგილთან.
ვნახე პოლიტე, გაჰქცეოდა პირუსის მახვილს,
პრიამეს შვილი გაურბოდა მტრების იარაღს,
ყრუ დარბაზებში ბარბაცებდა მძიმედ დაჭრილი.
მისდევდა პირუს ანთებული, მოკვლას უქადდა,

530

ლამის ოროლის ჩასაცემად მისწვდა მღევარი.
ძლივს ბარბაცებდა, დაენახა სანუკვარ მშობლებს,
პირქვე დაეცა და სისხლს სული ამოაყოლა.
მაშინ პრიამემ, თუმც სიკვდილის სალტეში იყო,
ველარ გაუძლო, არ დააკლო სიტყვა მრისხანე:

535

„დე, ეს სიავე, თავხედობა წრეგადასული,
ღმერთებმა, თუკი მოწყალება იციან ზეცად,
უხვად მოგიზღან, როგორც საქმით დაიმსახურე!
იძულებულ-მყავ აღსასრული მენახა შვილის,

პირმშოს მკვლელობით აამღვრიე მამის თვალები.

540

აქილევსიც კი, რომლისაცა შვილობას ცრუობ,
ასე ვით მტრობდა პრიამესა, მან პათივი სცა
მამის უფლებას, მავედრებელს მომცა იმედი —
ჰექტორის გვამი სამშობლოში გამომატანა!“ —
ეს თქვა თუ არა, შუბი სტყორცნა ძალაგაცლილი,

545

ვერც მოიქნია, უკუვარდა ყრუ სპილენძისგან
და ფარის კუბზე უვნებელად ჩარჩა ოროლი.
პირუსმა უთხრა: „მაშ, გადასცემ ამ სიტყვას მამას,
მაცნედ შენ წახვალ, მოუყვები ჩემს ბოროტ საქმეს,
ნეოპტოლემუს შენ არ გგავს-თქო... ახლა კი მოკვდი!“ —

550

ეს თქვა თუ არა, შვილის სისხლში განრთხმული მამა
სამსხვერპლოსაკენ წაათრია ათრთოლებული.
თმები მარცხენით ჩაიბლუჯა, მარჯვენით იძრო
ელვარე რკინა, სატევარი ვადამდე ჩასცა.
ასე ეწერა აღსასრული პრიამეს თურმე,

555

რომ ტროის ხანძარს მოსწრებოდა და პერგამოსის!
ოდესლაც ხალხის და ქვეყნების სიმრავლით ამაყს
მთელი აზია ეპყრა. ახლა სანაპიროზე
აგდია გვამი უსახელო და თავწაცლილი.
თავბარი დამცა ამ სურათმა, შიშმა შემიპყრო,

560

თვალწინ დამიდგა მამაჩემი, ოდეს ვიხილე,
მისივ ასაკის მეფე სასტიკ ჭრილობებისგან
როგორ კვდებოდა, წარმომიდგა ობლად კრეუბა,
სახლი ძარცული, ძნელი ხვედრი იულუსისა.

მიმოვიხედე, ვინღა დამრჩა ერთგული-მეთქი!

565

გაფანტულიყვნენ, თანამებრძოლთ ძაბუნნი გვამნი

უხვად ეყარა, დაეფერფლა ანთებულ ხანძარს.

მარტოღა დავრჩი!.. შორიახლო, ვესტას ტაძართან,

მიმალულს მოვკარ თვით ტინდარისს ანაზღად თვალი,

ომის ხანძარი მინათებდა გზას ყოველ მხრიდან,

570

გაპარტახებულ მიდამოს რომ ჩუმად ვზვერავდი.

ტევკრთ გაურბოდა დანგრეული პერგამოსისთვის,

დანაელთა და მიტოვებულ ქმრის შიშიც ჰქონდა,

იგი, საერთო ერინისი ტროის მხარისა

და სამშობლოსი, ჩუმად ბომონს ეფარებოდა.

575

გულში იფეთქა რისხვამ ტანჯულ მამულის გამო,

შურისგება და დამნაშავის დასჯა მინდოდა.

„მაშ, სპარტას ნახავს, დაუსჯელად მიკენში წავა,

ვით დედოფალი მოზეიმე? ქმარს, სახლს და მშობლებს,

საყვარელ შვილებს ეახლება? მხევლად წაასხამს

580

ფრიგიელების ლამაზ ქალებს ილიონიდან?

პრიაზე დასცეს? ტროა დაწვეს? ნუთუ ამდენჯერ

უნდა მოირწყას სანაპირო დარდანთა სისხლით?

არა, კმაროდეს! თუმც დიდებას ეს ვერ მომიტანს,

ქალის დამსჯელი მოწონებას არ იმსახურებს,

585

მაინც მაქებენ, თუ სიავეს მოვუღე ბოლო

და ის დავსაჯე! მეამება აღვაფსო გული

შურისძიებით და ახლობელთ ფერფლი დავაცხრო“, —

ასე ვფიქრობდი, გულს მძვინვარე გზნება უვლიდა.

ანაზდეულად სანუკვარი დედა სულ ცხადად

590

დამიდგა თვალწინ, ღამის შუქში გაბრწყინებული.

ქალღმერთი ისე მომეველინა, როგორც ხედავენ

ზეცად მცხოვრებნი და როგორიც ნამდვილად არის.

ხელი შემახო, ვარდისფერი ტუჩებით მითხრა:

„შვილო, რა ჭირმა მრისხანება აღაგზნო შენი?

595

რამ გაგახელა, ჩვენზე ფიქრი რამ დაგავიწყა?

სად მიატოვე, განა იცი, წლებით ძაბუნი

მამა ანჭიზე? ცოცხალი გყავს ცოლი — კრეზბა?

ან ასკანიუს, შვილი შენი? ყოველი მხრიდან

ბერძენთა ტალღა შესევია, რომ არ მეშველა,

600

ცეცხლი შთანთქავდა, მტრის მახვილზე აეგებოდნენ.

არცა ტინდარისს, შენს საძულველს, ლაკედემონელს,

არც პარისს, შენ რომ აყვედრიდი, არამედ ღმერთებს,

დიახაც, ღმერთებს დაულეწავთ დიდება ტროის!

შეხედე! გავჭრი წყვილიადს, გარს რომ შემოგხვევია,

605

მოკვდავის თვალნი რომ დაუხშავს ნამიან ბურუსს...

ნუ გეშინია დედობრივი ბრძანების, შვილო,

მის დარიგებას ნურასოდეს ნუ გაექცევი.

შენ რომ უყურებ ნაპარტახალს, ქვებს ქვებზე მიყრილს,

აბოლქვილ კვამლსა, ზეავარდნილს, მტვერში არეულს —

610

ეს ნეპტუნუსი არყევს კედლებს სამწვერა ფიწლით,

ანგრევს საფუძველს და ქალაქის ფუძე შეუძრავს.

იქ პირველი დგას თვით იუნო განრისხებული

სკეის ბჭისკარში, გემებიდან მოუხმობს ჯარებს,

ხმალი აუსხამს!

615

შეხე, პალადა, ტრიტონია ზის მაღალ ქიმზე!
ღრუბლით მბზინავი, გორგონებით შიშის მომგვრელი.
თვით ღმერთთა მამა აძლევს ძალას დანაელთ ლაშქარს,
ღმერთებს ტევკრების საჭურველზე აგულიანებს.
გაიქეც, შვილო და მიეცი საზღვარი ტანჯვას.

620

არ მიგატოვებ, მე მიგიყვან მშობლიურ ზღურბლთან!“ —
ასე მითხრა და შეეფარა ღამის სიბნელეს.
ვნახე ძლიერთა ღვთაებათა მრისხანე სახე.
მტრად ვცანი ტროის.
ვიხილე დიდი ილიონი ცეცხლით მოცული.

625

და ნეპტუნუსის ტროა ერთად ამოძირკვეული.
ასე ცდილობენ ორლესული ცულით მთის თხემზე
მიწის მუშები, რომ კენარი მოჭრან კედარი,
ხე კი ამაყი ჯერ კიდევ დგას და იქადნება,
კანკალებს, უთრთის ფოთლები და წვეროკინები,

630

ნელა ქანაობს, უკანასკნელ დარტყმას მიიღებს,
ამოიგმინებს და ერთბაშად დაენარცხება.
წავედი, ღმერთის დახმარებით განვვლე კოცონი,
გზა მომცა ცეცხლმა, ავერიდე მებრძოლთ მახვილებს.
მამისეულ სახლს მივაღექი, მსურდა მეპოვა

635

და წამეყვანა მამაჩემი. ყველაზე მეტად
მწყუროდა მისი გადარჩენა. მან უარი თქვა,
რომ ტროის შემდეგ კვლავ ეცოცხლა სხვაგან განდევნილს:
„თქვენ, ვისაც სისხლი საუკუნემ არ დაგისუსტათ, —

ასე მოგვმართა, — ვისაც ძალა კვლავ შეგრჩენიათ,
640

უშველეთ თავსა!

ჩემი სიცოცხლე რომ უნდოდეთ ზეცაში მცხოვრებთ,
შემინახავდნენ სამშობლოსაც! საკმაოდ ვნახე
და განვიცადე იავარქმნა ციხე-ქალაქის.
დამემშვიდობეთ, ჩემი გვამი დარჩეს ეულად,
645

მე თვით შევიძენ სიკვდილს, მტერი ჩემგან მიიღებს
ოდენ საჭურველს. დაე, დავრჩე დაუკრძალავი.
მოვძულებივარ ღმერთებს, წლებსლა მივათრევ მხოლოდ,
მას შემდეგ, ოდეს უკვდავთ მამამ, კაცთა მეუფემ
ელვით დამკვესა, უცაბედი ცეცხლით დამნაცრა“.
650

ამ აზრზე იდგა შეურყევლად. მთელი ჯალაბი
ცხარე ცრემლებად იღვრებოდა: რძალი კრეუზა,
ასკანიუსი... ვაგლახ, რატომ სწყუროდა მამას
ჩვენი დაღუპვაც, ასრულება ბედის მუქარის?
არ დაგვიჯერა, აღარ დათმო აზრი კვიმატი.
655

ამაო ბრძოლა კვლავ მომწყურდა, სიკვდილს ვეძებდი,
რა დამრჩენოდა, რა ბჭობა და ხვედრი მიხსნიდა?
„ნუთუ გგონია, მამაჩემო, რომ შენ დაგტოვებ?
როგორ წამოსცდა მამის ბაგეს ასეთი სიტყვა?
თუ ღმერთს სურს მოსრას ამ ქალაქში რაც კი გადარჩა,
660

თუ განგიზრახავს შეგვაერთო დაღუპულ ტროას,
კარები ფართოდ გაგიღია სიკვდილისათვის,
პირუსიც აგერ გამოჩნდება, პრიამეს მკვლელი
(ვაჟი მოუკლა თვალწინ, თვით კი ბომონს დააკლა)!..

დედავ ძვირფასო! განა მისთვის გადამარჩინე

665

ცეცხლს და იარაღს, რომ ჩემს სახლში ვიხილო მტერი?

ასკანიუსი, მამაჩემი, ცოლი კრეუზა

ერთუროთის სისხლში მოცურავე რომ დავინახო?

მომეცით ხმალი, დღე მოგვიხმობს უკანასკნელი,

დანაელებთან განახლება მწყურია ბრძოლის,

670

ყველანი სისხლის აულებლად როდი მოვკვდებით!“

მოვისხი ხმალი, ცაციაზე მოვირგე ფარი

და მოვემზადე სასახლიდან გამოსასვლელად.

მაგრამ კარებთან მომეხვია მუხლებზე ცოლი,

მეკვროდა, ჩემკენ თან იწვდიდა ყმაწვილ იულუსს:

675

„თუ სასიკვდილოდ მიხვალ, მაშინ ჩვენც წაგვიყვანე!

თუ იმედი გაქვს იარაღის, მრავალნაცადის,

ჯერ ჩვენ დაგვიცავ! ვის უტოვებ პირმშოს, იულუსს?

მამაშენს ვისლა? ან ქალს, ვისაც მეუღლე ერქვა?“ —

ასე წარმოთქვა და გოდება მოჰფინა დარბაზს.

680

ამ დროს ანაზდად, — სათქმელადაც სასწაულია, —

მშობლების ხელთა და მწუხარე სახეთა შორის

მსუბუქი ცეცხლი იულუსის თავს მოეფინა,

შუქი გამოსცა, უვნებელად ლოკავდა ალი

ბიჭის საფეთქლებს და რბილ კულულს ნაზი ლიცლიცით.

685

შიშით ავთრთოლდით, აღმოდებულ თმას ვუფერთხავდით,

წყალს ვასხურებდით ჩასაქრობად ღვთაებრივ ხანძარს.

ამ დროს ვარსკვლავებს მხიარულად მამა ანქიგემ

მიაპყრო თვალი, შეჰღაღადა ხელაპყრობილმა:

„მძლე იუპიტერ, თუ ისმინე ვედრები ჩვენი,

690

მოგვაპყარ თვალი, მოკრძალებით ვუცდით შენს ნიშანს.
გვამცნე მყობადი, ღირს გვყავ, მამავ, და დაგვიმტკიცე“, —
ეს თქვა თუ არა, წამსვე მარცხნივ იქუხა ზეცამ
და სიბნელეში მოწყვეტილმა ვარსკვლავმა შუქი
თან გაიყოლა, მოელვარე სხივით გაქანდა.

695

იგი გაცურდა სახლის ჭერის მიმართულებით
და იდას ტევრში დაიმაღლა. ვნახეთ — აღნიშნა
შუქით გზა თვისი, ნაკვალევი შორს ციმციმებდა,
იბოლქვებოდა კიდევანი გოგირდის კვამლით.
მაშინ დაგვნებდა მამაჩემი, მყისვე წამოდგა,

700

მიმართა ღმერთებს, შეჰღალადა წმიდა ვარსკვლავებს:
„აწ რალა გვიშლის: მეც წამოვალ, სადაც წამიყვანთ.
ღმერთნო, შეინდეთ მამეული სახლი, შვილის ძე,
ეს სასწაული თქვენგან მოდის, ტროას თქვენ იცავთ!
ვთმობ, შვილო ჩემო, მე მზადა ვარ ყველგან წამოგყვით!“ —

705

ეს თქვა თუ არა, გაძლიერდა გუგუნიც ხანძრის
ციხე-ქალაქში, მცხუნვარება მოგვიახლოვდა.
„მამავ ძვიფასო, უნდა მხრებზე შეგისვა ახლა,
ძირს დავიხრები, რომ ეს შრომა გაგიადვილო,
რაც უნდა იყოს, ჩვენ საერთო ხიფათი გველის,

710

ხსნაც გვაქვს საერთო. დე, გამიძღვეს ყრმა იულუსი,
მეგზური ჩვენი, ხოლო ცოლი გამოჰყვეს კვალსა!
თქვენ კი, მსახურნო, დაიხსომეთ, რაც მე გიბრძანოთ:
ქალაქის ბოლოს არის სერი, მივიწყებული

ცერერას კოშკი, ძველისძველი დგას კვიპაროსი,
715

ჩვენთა წინაპართ რომ დაუცავთ ღვთის მოშიშებით.
სხვადასხვა მხრიდან მოვგროვდებით იმა ადგილას.
მამავ, აიღე პენატები მამაპაპური,
მე, ბრძოლიდან და სისხლისღვრიდან ახლად გამოსულს,
არ მმართებს ხელით მათ შევეხო, სანამ ნაკადში
720

განვიბანები“.

ეს ვთქვი თუ არა, დაქანებულ ფართო ბეჭებზე
წამოსასხამი შემოვისხი და ლომის ტყავი,
აწვიე ტვირთი, იულუსმა ხელი მომკიდა,
მტკიცედ წამომყვა, თუმც ყმაწვილი ფეხს ვერ მიწყობდა.
725

ცოლი მომდევდა, ღამის წყვდიადს მივეცით თავი.
არასდროს შიში არ მქონია საჭურვლის ტყორცნის,
არცა ბერძენთა მხედრობისა, მაგრამ იმ ღამეს
სიოს ყოველი ჩამიჩუმი, ყოველი ბგერა
მაკრთობდა ძვირფას ტვირთისა და მეგზურთა გამო.
730

უკვე კარიბჭეს მივადექი, როცა მეგონა —
გზა დაილია. მაგრამ ამ დროს ნაბიჯთა ჩქამი
მომესმა, ბნელში მოთვალთვალე მშობელმა მითხრა:
„შვილო, გაიქეც, მტრის ლაშქარი გვიახლოვდება,
ვხედავ ფარების ელვარებას, სპილენძის ბზინვას“.
735

არ ვიცი, მაშინ ღმერთთა შორის რომელს მოვძულდი,
ჭკუა ამემღვრა, გავიქეცი და უნებურად
გზაგასაყარზე ნაცნობ გზიდან გადავუხვიე.
ვაიმე! ბედმა გამომტაცა ცოლი — კრეუზა,

გზა თუ აებნა, ან დაღლილმა ჩამოისვენა? —

740

არ ვიცი... შემდეგ ჩვენთან აღარ გამოჩენილა.

არც მომაგონდა, თვალში მანამ არ დამკლებია,

სანამდის სერზე არ ავედი, ცერერას ტაძარს

არ მივადექი. მხოლოდ ერთი აკლდა ჩვენს კრებულს —

ვინც მოატყუა მეგობრები, ქმარი და პირმშო.

745

მოკვდავთ თუ ღმერთებს, უბედურმა, ვის არ ვაბრალებ.

დამწვარ ქალაქში რა ვიგემე ამაზე მწარე?

მამა ანქიზე, ასკანიუს და პენატები

მეგობრებს ვანდე, საიმედოდ დავმალე ხევში,

თვით ქალაქს წავედ, წელზე მერთყა ხმალი ელვარე.

750

მსურდა ხიფათის განახლება, ტროის შემოვლა,

საბედისწერო გასაჭირის გამოცდა კვლავაც.

ბნელ ბჭეს მივადექ, კვლავ გალავანს მივუახლოვდი,

უკან გავყევი ჩემსავე კვალს, აქა თუ იქა

ვგვერავდი ადგილს, ბნელ ღამეში თვალს ვაცეცებდი.

755

შიშმა გამსჭვალა სული, ზარსა მცემდა სიჩუმეც.

იქნებ შებრუნდა-მეთქი სახლში, იქით წავედი.

ვნახე, დანაელთ დაერბიათ სასახლე მთელი,

ქარბუქს ხანძარი აჰყოლოდა მაღალ ტერამდე,

ალი ღვიოდა, ბული იდგა, ცასა სწვდებოდა.

760

მივუახლოვდი, შევეყურებდი პრიამეს კოშკებს.

იქ უკაცრიელ პალატებს და იუნოს საყდარს

მტკიცედ იცავდნენ ფენიქსი და ავი ულიქსე.

უხვი ნადავლი, ტროის მთელი განძეულობა,

დაფერფლილ ტაძრებს რომ მოსტაცეს, ღმერთთა ტახტები,
765

ბაჯაღლო ოქროს ფიალები და სამოსელი
იქვე ეყარა. ბიჭები და მფრთხალი დედები
გრძელ მწკრივად იდგნენ.

ღამის ბნელეთში დაძახება გავბედე ცოლის,
ხმა გზას მოვფინე, ნაღვლიანი კრეუმას დიდხანს
770

ამაო ოხვრით კვლავ და კვლავაც მოვუწოდებდი.
ოდეს ვეძებდი უნუგემოდ მოხეტიალე,
გამომეცხადა თვით კრეუმას მკრთალი აჩრდილი,
სახება მისი ჩვეულებრივს ოდნავ ჭარბობდა.
გავშეშდი, თმები ყალყზე დადგა, ენა ჩამიწყდა.
775

ხმა გამოიღო, საზრუნავი დამიცხრო სიტყვით:
„რა ბედენაა, საყვარელო მეუღლე ჩემო,
უგნური გლოვა? ყოველივე ღვთის ნებით ხდება.
შენ არ გეწერა ბედად ჩემი თანვე წაყვანა,
ეს არა სურდა თვით ოლიმპოს მაღალ მეუფეს.
780

დიდხანს მოგიწევს ხეტიალი, ზღვის გადალახვა,
ჰესპერიაში მიხვალ ბოლოს, სად მოჩუხჩუხებს
უხვნაყოფიან ველ-მინდვრებზე წყალი ტიბრისის.
იქ მზად დაგხვდება მყუდრო ბინა და დედოფალი,
შენი სამეფოც, ნულარ გლოვობ სატრფო კრეუმას.
785

მე არ ვიხილავ მირმიდონელთ, დოლოპთა მხარეს,
ბერძენთა ქალებს ტყვედ და მხევლად არ ვეახლები
მე, დარდანისი, ქალ-ღვთაების, ვენუსის რძალი!
ღმერთების დედა აქა მტოვებს. იყავ მშვიდობით

და ჩვენი შვილის სიყვარული გქონდეს მარადის!“ —
790

ეს თქვა. გამცილდა მოქვითინე, მასთან საუბრის
მარადის მსურველს და თხელ ჰაერს კვლავ შეერია.
სამგზის ვეცადე მის მშვენიერ ყელს მოვხვეოდი,
მოხვევნას ჩემსას გაეცალა აჩრდილი სამგზის,
მჩატე, ვით სიო და ფრთოსანი სიზმრის სადარი.
795

ის ღამე ასე გავატარე, შემდეგ დავბრუნდი,
გაოცებულმა შევამჩნიე ახალ მეგზურთა
დიდძალი რიცხვი, მოსულიყვნენ ქალნი, კაცები,
ლტოლვილნი ყრმანი, სავალალო ბრბო უბედურთა.
გარს მომესალტნენ, მოიკრიბეს ძალა სულისა,
800

რომ ჩემს არჩეულ გზას საზღვაოს გამოჰყოლოდნენ.
ამონათა ლუციფერმა იდას მწვერვალზე
დღე მოჰყვა, ზღურბლნი დაიკავეს დანაელებმა
კარიბჭეების. დახმარების იმედი გაქრა,
უკუვდექ, მამას დავწვდი ისევ და მთისკენ წავედ.

წიგნი მესამე

ოდეს ღმერთებმა განიზრახეს აზიის დანთქმა,
პრიამეს მოდგმის, ილიონის გაცამტვერება
და ნაცარტუტად ნეპტუნუსის ტროა აქციეს,
მაშინ შორს ლტოლვა, უკაცური მიწების ძებნა

5

ღვთის სასწაულმა მიგვანიშნა. გემნი ავაგეთ
ფრიგიულ იდას მაღალ მთებთან და ანტანდროსთან.
თვით არ ვიცოდით, გადახვეწა საით გველოდა,
სად გვექონდა ბინა... გაზაფხული როცა დაგვიდგა,
მამა ანქიზემ ბრძანა, აფრა ბედს მივანდოთო.

10

თვალცრემლიანი დავეთხოვე მშობლიურ ნაპირს,
ტროის ველ-მინდვრებს. ზღვას გავყევი გადახვეწილი,
ბავშვთან, მხლებლებთან, პენატებთან, ღმერთებთან
ერთად.

შორს მარსის ველი გადაშლილა. იქ თრაკიელნი
იღვწიან. წინათ ეს მიწები ეპყრა ლიკურგეს.

15

იმ ძველ დროს ტროას იქაური ძმობდა პენატი,
სანამდის ბედმა არ გვიმტყუნა. იქით გავწიე.
დამრეც ნაპირზე ციხე დავდგი, ბედს არა ვკითხე,
ქალაქს დავარქვი ენეადა — ჩემი სახელი.
დიონეს ასულს, დედაჩემსა, მსხვერპლიც შევწირე,
20

ღმერთებს, ქომაგებს ახალ საქმის, დიად მეუფეს
ბეცად მცხოვრებთა. გამოვლადრე ყელი მოზვერსაც.
იქავე იყო ერთი ბორცვი, ეკალ-ბარდებით
წამოქოჩრილი და ბუჩქებში მირტი ყვაოდა.
მივედი, მსურდა, რომ მიწიდან მწვანე ნაყარი
25

ამომეგლიჯა და ბომონზე შტო მომეფინა,
ვგრძნობდი სასწაულს, — გადმოცემაც საოცარია, —
იმ პირველ ჯეჯილს, ფესვიანად რომ ამოვგლიჯე,
სისხლი სდიოდა, შავი ლაქით ღებავდა მიწას.
სახსრებს მომედო გამყინავი, მსუსხავი ძრწოლა
30

და ცივი სისხლი შიშისაგან გამიშრა ლამის.
შემდეგ მივადექ მოსათხრელად მეორე ნერგსაც,
მსურდა გამეგო ხვაშიადი მისი წიაღის.
ნაზი ქერქიდან ვნახე სისხლი ჩამოღვენთილი...
ვევედრებოდი გულმხურვალედ სოფლის ფერიებს,
35

გეტთა მიწა-წყლის კეთილ მფარველს, მამა გრადივუსს,
რომ მათ კეთილად აეხდინათ ეს სასწაული.
ხოლო როდესაც მესამე ფესვს მივადექ ძლიერს,
უფრო ღრმად გამჯდარს და მუხლებით დავაწექ ქვიშას, —
ვთქვა თუ გავჩუმდე? — ამ დროს კვნესამ საწყალობელმა
40

ბორცვის გულიდან მოაღწია ჩემს ყურებამდე:
„რად გლეჯ ამ საწყალს, შეიბრალე მოკლული მაინც,
ხელს კეთილშობილს ნუ გაისვრი. მე უცხო არ ვარ,
ტროას ვიზარდე და ეს სისხლი ფესვს როდი დასდის!..
ვაგლახმე! გასწი ამ ქვეყნიდან, ხარბ ნაპირიდან.

45

პოლიდორუს ვარ, განგმირული... რკინის შუბების
გროვამ დამფარა და ოროლმა აყარა ყლორტი“.
მაშინ გაკენწლა ჩემი გული ძლიერმა შიშმა,
გავშეშდი, ყალყზე თმა დამიდგა და ხმა ჩამიწყდა.
პოლიდორუსი განძეულთან ერთად პრიამემ

50

წინათ იდუმლად გაუგზავნა თრაკიის მეფეს,
გამოსაზრდელად, როს დაკარგა დარდანელთ ხმალის
იმედი სრულად და ალყაში ნახა ქალაქი.
ოდეს დაეცა ტევკრთა ძალა, მეფემ უმუხთლა,
აგამემნონის საქმეს გაჰყვა და მძლე საჭურველს,

55

ზავს უღალატა და განგმირა პოლიდორუსი,
განძს დაეუფლა. მოკვდავთ რას არ ჩაადენინებ,
ტრფობავ ოქროსი, დაწყევლილო!.. როს შიში გაქრა,
რჩეულ ბელადებს, მშობელ მამას თავდაპირველად
ვაუწყე ღმერთთა სასწაული და რჩევა ვკითხე.

60

ყველა ფიქრობდა, გაუტანელ მხარეს გავშორდეთ,
შევარჩინოთო ეს სირცხვილი ვერაგ მასპინძელთ.
დაკრძალვის წესი პოლიდორუსს ავუგეთ შემდეგ.
ტაგრუცი დავდგიტ სადიდებლად ქვეშეთის სულთა,
გლოვის მომგვრელი, კვიპაროსით ჩაშავებული.

65

ილიადებმა მის გარშემო, როგორც რიგია,
გლოვით გაშალეს თმები, თბილი რძე მივასხურეთ
წმინდა სისხლს თასით, სული ასე დავასამართ,
მაღალ გოდებით საბოლოოდ დავემშვიდობეთ.
ზღვას ვანდეთ თავი და ქარებმა დაგვიმორჩილეს
70

ზვირთნი. ავსტერმა ნელი ქროლით მოგვიხმო ზღვისკენ,
გემნი წყალს ჩავსხით, მეგზურებიც შემოიკრიბნენ,
გავცურეთ, დაგვრჩა უკან მიწა და ქალაქები.
ზღვის შუა იყო წმინდა მხარე, უცხო სავანე
ნერეიდების დედისა და ნეპტუნისისა.
75

მოხეტიალე იგი მიწა მშვილდის მპყრობელმა
კუნძულ მიკონოსს და გიაროსს შუა ჩაუდგა,
მყუდროდ დატოვა ქარისგან და ზღვისგან დაცული.
იქ გადავსხედით და მიგვიღო მშვიდად ნაპირმა.
პატივი ვუზღეთ აპოლონის ქალაქს მაშინვე.
80

მეფე ანიუს იქ მეფობდა, ფებუსის მოგვი,
ბაფთა შვენოდა მის საფეთქლებს და წმინდა დაფნა.
იცნო ანქიზე — მეგობარი, ჩვენთან მოიჭრა.
მარჯვენა ერთურთს გავუწოდეთ, შევედით სახლში.
კრძალვით ვეახელ ძველი ქვისგან აგებულ ტაძარს:
85

„თიბრევს! მომეცი სახლი, დაღლილთ მიეც კედლები,
საუკუნო ჰყავ მოდგმა ჩვენი, ახალი ტროა,
დანაელთაგან, აქილევსის რისხვისგან ხსნილი.
ვისთან წავიდეთ? სად გვიბრძანებ? სად ვპოვოთ ბინა?
გვითხარი რჩევა, მამავ, და ჩვენს სულში ჩასახლდი!“
90

ეს ვთქვი თუ არა, აცახცახდა თითქოს ყოველი:
ბჭე, ღვთაებრივი შტო დაფნისა, მთაც დაბარბაცდა
და ღვთის ტაძარში აგუგუნდა საკურთხეველი.
პირქვეშ დავემხეთ სასოებით და ხმა ჩაგვესმა:
„ო, დარდანიდნო, მიწა-წყალი, რომელმაც გშობათ,
95

წინაპართ ფუძე კვლავ მიგიღებთ თავის წიაღში —
იქ დაბრუნებულთ. მოიხილეთ მშობელი ძველი.
ენეანთ მოდგმა მთელ ქვეყანას დაეუფლება
და ძეთა ძენი და ისინიც, ვინც მათგან იშვის!“
ასე გვაუწყა ჩვენ ფეხუსმა, შვების ხმაური
100

ხალხს მოეფინა. კითხულობდნენ — რომელ ქალაქში
კვლავ მოგვიხმობსო აპოლონი დასაბრუნებლად?
მაშინ მშობელმა გაიხსენა ძველი თქმულება,
და გვითხრა: „სცანიო, ო, ბელადნო, იმედი თქვენი:
ზღვაში ძევს კრეტა, კუნძულია იუპიტერის,
105

იქ, იდას მთასთან, აკვანია ჩვენი მოდგმისა,
ასი ქალაქი და სამეფო ნაყოფიერი.
იქიდანაა პაპათპაპა, როგორც მე მახსოვს.
ტევკრუს მიცურდა რეტეუმთან და სამეფოსთვის
პოვა ადგილი, პერგამოსი ჯერაც არ იყო.
110

ველზე სახლობდნენ, კვიბელეს ტყის მფლობელი დედა
იქიდან არის და სპილენძიც კორიბანტების,
იდაზე — ტევრი და მდუმარედ მსხვერპლის შეწირვა...
აქვე ლომებმა გააქროლეს დედოფლის ეტლი.
მაშ, გავემგზავროთ, სადაც გვიხმობს ღვთაების ნება.
115

ქარებს შევუტევთ და გნოსიურ მხარეში წავალთ,
გზა არ გვაქვს დიდი. თუ გვიშველის იუპიტერი,
მესამე დღესვე მივადგებით კრეტას ნაპირებს“, —
თქვა და ბომონთან ღმერთს მიჰგვარა წმინდა ზვარაკი,
ნეპტუნუსს — ხარი და შენც — ხარი, მხნეო აპოლონ!

120

ხოლო ქარიშხალს — შავი ცხვარი, თეთრიც — ზეფირუსს.
ხმები დაირხა, რომ დევნილმა იდომენევსმა
დათმო მამული, კრეტის მიწა დაცარიელდა,
სახლში არც მტერი დარჩენილა, არც მოყვარეო,
მეგზავრები ახმაურდნენ ცხარე კამათით,

125

მეგზურნი კრეტას წასვლას მთხოვდნენ — წინაპართ მხარეს.
მივქროდით ზღვაზე, გავეცალეთ პორტს ორტიგიის.
მთას ნაქსოსისა, ბაკქელთა ხმას, მწვანე დონუზას,
ოლეაროსი მოვიტოვეთ, თეთრი პაროსი,
ზღვად კიკლადები გაფანტული, სრუტე მრავალი.

130

კიჩოს მოაწვა ქარიშხალი და გაგვაქროლა.
ბოლოს მივედით კურეტების ძველ ნაპირებთან.
ხარბად შევუდექ სასურველი ციხის შენებას,
ქალაქს ვუწოდე პერგამეა და კმაყოფილმა
ხალხს ვთხოვე ბომონთ სიყვარული, კოშკის აგება.

135

უკვე გემები მშრალ ნაპირზე ამოვიტანეთ
და ქორწილისთვის მოიცალა ახალგაზრდობამ.
სამართალს ვჭრიდი, ხალხს ვაძლევდი სახლს, ვით რიგია...
მერე ჩვენს სხეულს უძლურება ცით მოევლინა,
ხორბალი გაწყდა, დადგა წელი სიკვდილის მგვრელი.

140

ეთხოვებოდნენ ტკბილ სიცოცხლეს, ან დაათრევდნენ
სნებიან სხეულს. სირიუსმა ველნი დაბუგა,
ბალახი გახმა, ჯეჯილს საზრდო აღარ მოჰქონდა.
კვლავ მთხოვა მამამ — აპოლონის მისანს ჰკითხოე,
როს ზღვით მიაღწევ ორტიგიას მავედრებელი:

145

რა ბოლო აქვს-თქო ჩვენს წამებას, საით ველოდოთ
ამ სატანჯველში შემწეობას, რა გზას დავადგეთ?“
ღამე ჩამოდგა. ძილს მიეცა ყველა ცოცხალი.
ღმერთთა სახენი, ფრიგიული პენატნი წმინდა,
ტროის ხანძარს რომ გამოვტაცე და წამოვიღე,

150

ვნახე, თვალთა წინ დაძინებულს წამომდგომოდნენ.
კაშკაშა შუქი მოჰფენოდათ, რადგანაც ამ დროს
ფანჯრის დვირეში ბადრმა მთვარემ შემოანათა.
კერპებმა სიტყვით ურვა ჩემი შემიმსუბუქეს:

„აპოლონ ღმერთი ორტიგიას რასაც გეტყოდა,

155

აქ დაგვაბარა და სათქმელად თვით მოგვავლინა.
ერთად დავტოვეთ დარდანეთი, შენ გამოგყევით
და შენს იარაღს, მქუხარე ზღვა ერთადვე განვვლეთ,
ვარსკვლავებს მოვფენთ შენს დიდებას, შენს შთამომავალთ
და ხალხს მივუთვლით ხელმწიფებას. მაშ, მოუმზადე

160

ძლიერთ ძლიერი გოდოლები. ნუ გაკრთობს ლტოლვა.
შეცვალე ბინა, ეს ნაპირი არ მოგიჩინა
აპოლონ ღმერთმა, კრეტად ყოფნა როდი გიბრძანა.
არის ქვეყანა, ჰესპერიად სცნობენ ბერძენნი,
ძველი მხარეა, ძლიერი და ნაყოფიერი,

165

ენოტრელები იქ ცხოვრობდნენ, დღეს კი ამბობენ,
რომ იტალია უწოდაო ახალმა ხალხმა
ბელადის ხათრით. იქ მიგელით ნამდვილი ბინა!
დარდანუსი და იაზიუს, თქვენი პაპანი
იქ იშვნენ. ლაღად მოხუც მამას ეს მოახსენე.

170

დე, კორითუსი მოიძიოს, ავზონთა მიწა,
შენთვის დიქტეა იუპიტერს არ ნდომებია!“
ო, შემაშფოთა მოჩვენებამ, ხმამ ღვთაებისა,
ეს ხომ გმანება აღარ იყო: თვალნათლივ ვიცან
თავსაკრი თმათა და სახენი უკვდავ ღმერთების!

175

სხეული ჩემი ცივმა ოფლმა დაცვარა მაშინ,
უმაღ წამოვდექ და ვედრებით აღვაპყარ ხელნი
ზეცის თალისკენ, წმინდა ღვინო ვასხურე კერას,
თაყვანი ვეცი ბომონებსა, მოხარულ მამას
ვამცნე, რაც მოხდა, ყოველივე ვუამბე დაჯრით.

180

სცნო მოდგმა ძველი, წინაპარნი შეიცნო ორნი,
თქვა, რომ შევცდიო, ამ ძველ მიწას როს მივადექი.
შემდეგ თქვა: „შვილო, ილიონის ბედით ტანჯულო,
წინათვე მამაცნო ეს საქმენი ჩემმა კასანდრამ.
ახლა მენიშნა, თუ ჩვენს მოდგმას რას უმიზნებდა,

185

ხშირად ახსენა ჰესპერია, იტალთ სამეფო.
მაგრამ ვინ დაჰყვა ჰესპერიას გასამგზავრებლად?
ან ტევკრთა შორის ვის სჯეროდა კასანდრას სიტყვის?
მივენდოთ ფეხუსს და უკეთეს რჩევას ვუსმინოთ“.
ასე გვიბრძანა. დავეთანხმეთ მძლავრი ყიჟინით.

190

დავტოვეთ კრეტაც, დაგვრჩა იქა მხლებელთ ნაწილი.
ავფინეთ აფრა და გაშლილ ზღვას ვანდეთ გემები,
შორს გავიჭერით, არსაიდან მიწა არ ჩანდა,
ყოველგნით ცა იყო მხოლოდ და ზღვა უკიდევანო.
მაშინ ჩვენს თავზე აღიმართა შავი ღრუბელი,
195

ღამის მომტანი და გრიგალის, დადგა წყვდიადი.
ზღვა წამოშალა ქარიშხალმა, საზარი ზვირთი
წამოიქოჩრა, ხომალდები მიფანტ-მოფანტა.
დღე დააბნელა ქარბორბალამ, ცა შთანთქა ღამემ,
ღრუბლებს აპობდა და მრავალგზის კვესავდა ელვა.
200

გზა აგვერია, ბრმად მივნებდით ზვირთთა დინებას.
პალინურუსმა აღიარა, რომ ღამეს დღისგან
ვეღარ არჩევდა და აქ გზასაც ვერ გააგნებდა.
სამი დღე ბნელში უგზო-უკვლოდ, ბრმად გავატარეთ
და უვარსკვლავო ღამეებში ვიხეტიალეთ.
205

მხოლოდ მეოთხე დღეს გამოჩნდა შორიდან მიწა
და მთის თხემები, მათზე ბოლი იბოლქვებოდა.
მწყობრად ვუსვამდით ხოფებს, აფრა არ აიფაფრა,
წინ გადახრილნი ზღვის ლაჟვარდში ქაფს ვაყენებდით.
ზვირთს გადავურჩი, სტროფადებთან პირველი მივედ, —
210

იონიის ზღვის ამ კუნძულებს ასე უწოდებს
ბერძენი ხალხი. იქ ბოროტი კელენო ცხოვრობს,
სხვა ჰარპიებიც საშინელნი. როცა ფინევსმა
კარი დაუხშო, შიშით დათმეს მათ სალაფავი.
უფრო საზარი არ არსებობს ურჩხული ქვეყნად,
215

ღვთის წყრომა, სტიქსის ზვირთისაგან ნაშობი წყლული.
ქალის სახიან ჩიტებს ძალუძთ ქშენა საზარი,
ჭანგებიანი ხელები აქვთ, სახე შიმშილით
მარადის მკრთალი.

ყურეს როგორც კი მივადექით, ანაზდეულად
220

მხიარულ მოზვრებს თვალი ვკიდეთ, მოიალაღეთ,
ქურციკთა ჯოგი დაუცველი ვნახეთ მინდვრებში.
ხმლით დავერიეთ და ღვთაებებს, თვით იუპიტერს
ძღვენს აღვუთქვამდით, მოვემზადეთ დასასვენებლად
დამრეც ნაპირზე, შევუდექით ნოყიერ საზრდოს.

225

ამ დროს საშინელ შემოტევით მთიდან გამოჩნდა
ყველა ჰარპია, ფრთები მძლავრად აატკაცუნეს,
საჭმელს გვტაცებდნენ და შეხებით წაბილწეს სუფრა.
ატყდა ხმაური, საზარელი სიმყრალე დადგა.

229

მოვშორდით და კვლავ კლდეში გაჭრილ გამოქვაბულში
231

მოვაწყვეთ სუფრა. განვაახლეთ სამსხვერპლო ცეცხლი.
კვლავ ცის სხვა მხრიდან და წყვდიადი ბუდეებიდან
ზათქით მოცვივდნენ ჰარპიები ნადავლისათვის.
საჭმელს ბილწავდნენ მყრალი პირით. მეგზურთ ვუბრძანე

235

ხმალი აეღოთ და შებმოდნენ საზიზღარ ჯილაგს.
როგორც ვუბრძანე, შეასრულეს, ბალახში დასწვდნენ
ორღესულ მახვილს და დამალულ ფარებს აჩენდნენ.
მათი ყიჟინა მოეფინა ციცაბო ნაპირს.

ნიშანს აძლევდა მიზნუსი მაღალი მთიდან

240

სპილენძის ბუკით. გააჩაღეს სასტიკი ბრძოლა
ზღვის ამაზრზენი ფრინველების ხმლით ასაკუწად.
მაგრამ ვერც ზურგზე, ვერც ნაკრტენზე ვერ მიაყენეს
ჩიტებს ჭრილობა, მსწრაფლ აიჭრნენ ვარსკვლავთქვეშეთში,
ნადავლის ნაშთი და საზარი კვალი დატოვეს.

245

ამ დროს კელენომ, წამომჯდარმა კლდის მაღალ ქიმზე,
ვაების მაცნემ, მკერდით სიტყვა აღმოუტევა:
„ხარების გამო, ამ დახოცილ მოზვრებისათვის,
ლაომედონტის მემკვიდრენო, საომრად მზად ხართ
და მამულიდან ჰარპიების გადასახვეწად?

250

მაშ, მოისმინეთ ჩემი სიტყვა, გულს ჩაიმარხეთ,
იგი აუწყა ფეხებს მამამ, აპოლონმა კი
გადმომცა, ხოლო მე, ფურია, თქვენ მოგახსენებთ:
იტალიისკენ გიძევთ გზა და მოუხმეს ქარებს,
რომ იტალიის ნავსადგურთან მიღწევა შეძლოთ.

255

მაგრამ თქვენს ქალაქს ვერ მოავლებთ მტკიცე გალავანს,
სანამ შიმშილით არ ზღავთ თქვენსავ უსამართლობას
და არ გამოხრავთ მაგიდასაც გამწარებულნი!“ —
გვითხრა და გაკრა ფრთები, ტყეში გაუჩინარდა,
მხლებელთ სისხლიც კი გაუყინა სასტიკმა შიმშმა.

260

რწმენა დაკარგეს და ითხოვდნენ არა საჭურვლით,
არამედ ლოცვით მივიღოთო მათგან მშვიდობა,
გინდ იყვნენ ღმერთნი, გინდა იყვნენ ხარბნი ფრინველნი.
მამა ანქიზემ ზეაღაპყრო ვედრებით ხელნი,
ღმერთებს აღუთქვა ღირსეული თაყვანისცემა:

265

„ღმერთნო! გვიხსენით მუქარისგან! გვაშორეთ ურვა
და მსასობელთ, მოწყალენო, მეოხ გვეყავით!“
შემდეგ გვიბრძანა თოკის მოხსნა, ღუბის აშვება.
ქარმა გაბერა იალქნები, გზას აქაფებულს
გავყევით იქით, სად ეჭირა გეზი მესაჭეს.

270

გზაში გამოჩნდა ზაკინთოსი უკვე, ტყიანი
დულიქიუმი, ნერიტოსი ქვიანი, სამე.
კლდიან ითაკას გავუარეთ, ლაერთის მხარეს,
ვერაგ ულიქსეს დავუწყევლეთ გამზრდელი მიწა.
მალე გამოჩნდა ღრუბლიანი ლევკატეს თხემი,

275

დიდი ტაძარი აპოლონის, შიშის მომგვრელი.
იქით გავწიეთ, დაქანცულნი ვეწვიეთ ქალაქს,
ღუბა ჩავუშვით, მივაყენეთ ხომალდნი ნაპირს.
ბოლოს, მიწას რომ დავეუფლეთ მოულოდნელად,
იუპიტერის ძღვნად დავანთეთ საკურთხეველნი.

280

გავახალისეთ აქტიუმი თამაშობებით.
ვით სამშობლოში, ვვარჯიშობდით, შიშველმა ყრმებმა
იცხეს სუნამო. უხაროდათ, რომ გამოექცნენ
მტრის მწყობრს უთვალავს და ქალაქებს არგოლიკისა.
მზემ შეაბრუნა წელიწადი, ზამთარმა სუსხი

285

მიწას მოჰფინა, აქვილონმა ზვირთნი აშალა.
სპილენძის ფარი, საჭურველი დიად აბანტის,
მივატდე ბჭისკარს და ეს საქმე ლექსით აღვნიშნე:
„აქ გამარჯვებულ დანაელთა ფარს დგამს ენეას“.
ვბრძანე, დავვეთმო ნავსადგური, მოგვესვა ხოფი,

290

ტალღებს დავცხეთ და გაიფანტა წინწკლები მაღლა.
კოშკნი შორს დაგვრჩა ფეაკების, ცადაზიდულნი,
ეპირუსს ახლოს გავუარეთ, ქაონიაში
შევედით, ვნახეთ, ბუთოროტუმის ციხე მაღალი.
აქ ჩვენ გავიგეთ საოცარი ამბავი: ფლობსო
295

ბერძნების ქალაქს ჰელენუსი, პრიამეს ვაჟი.
ცოლად დაუსვამს ეაკიდი, პირუსის ცოლი
და ანდრომაქე ტროელ ვაჟკაცს დაჰბრუნებია.
გავოცდი, გულში უცნაური სურვილი მქონდა —
მისვლა მინდოდა მასთან, კითხვა მომხდარი ამბის
300

დავტოვე ყურე, ხომალდები და სანაპირო.
შემთხვევით ამ დროს გლოვის ძღვენი ნემტთან მიჰქონდა.
ქალაქის გარეთ, სად ახალი ჩქეფდა სიმოის,
აჩრდილთ უხმობდა ანდრომაქე ჰექტორის ბორცვთან.
თუმც ცარიელი დახვდა მწუხარს მწვანე ტაგრუცი,
305

ორი ზვარაკი ცრემლთა მისთა მიზეზს მიუძღვნა.
ამ დროს შემხედა და იხილა შეცბუნებულმა
ირგვლივ ტროელნი. სასწაულმა შეაკრთო იგი,
შიშმა დაძლია, გაეცალა ფერი მის სახეს.
თავბრუ დაეხვა, ხოლო შემდეგ ძლივსღა წარმოთქვა:
310

„ნუთუ შენა ხარ, მაცნედ მოხვედ, ქალღმერთის ძეო?
ო, ცოცხალი ხარ? ხოლო შუქი თუ დაიბინდა,
ჰექტორი სად გვყავს?“ და ცრემლებში მთლად ჩაძირულმა
იწყო გოდება. მწუხარებით გონდაკარგულ ქალს
მივუგე, თვითონ დაბნეულმა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად:
315

„მე ცოცხალი ვარ ჭეშმარიტად... ძლივს სული მიდგას.
ნუ გიკვირს ჩემი ცხადლივ ხილვა.

ვაგლახ! ბედშავო, დამკარგველო ასეთ მეუღლის,
რა ხვედრი გერგო, ანდრომაქევ, ჰექტორის ცოლო!
ახლა პირუსთან იცავ განა წესს ქორწინების?“

320

თვალეზდახრილმა ქალმა ნაზი ხმით მიპასუხა:

„მხოლოდ ასული პრიამესი არის ნეტარი,
მას მტრების ხელით ტროის თაღქვეშ ეწერა მოკვლა,
მას არ არგუნა სიმძიმილი ხვედრმა ტყვეობის,
გამარჯვებულის სარეცელსაც არ შეხებია!

325

მე კი სამშობლო რომ დამიწვეს, ზღვა-ზღვა მატარეს,
აქილევსისთვის საამაყო თავხედ ჭაბუკის
მონად მაქციეს. შეეუღლა თვით ჰერმიონეს
ლაკედემონურ ქორწინებით — ლედას ქალიშვილს.
მე კი — მხევალი მიმაკუთვნა მონა ჰელენუსს.

330

შემდეგ ორესტე, მითაცებულ მეუღლის ტრფობით
აფეთქებული, ფურიების მიერ ტანჯული
მას თავს დაესხა, მამაპაპურ ბომონს დააკლა.
ნეოპტოლემუს როცა მოკვდა, ჰელენუსს ერგო
ეს მიწა; მან კი ქაონიის ველს, ქაონიას

335

მისცა სახელი ქაონესი, ტროელი გმირის,
ციხე აღმართა ილიონის, მთაზე — პერგამოს.
რა ქარმა მოგცა და რა ბედმა ეს გზა სავალად?
ღმერთი გდევნიდა ჩვენს ნაპირთან მოულოდნელად?
ასკანიუსი როგორა გყავს, სუნთქავს სიცოცხლით?

340

იგი ტროაში შენთვის....

თულა აქვს ყმაწვილს კიდევ დარდი დაკარგულ დედის?
მის სულში ანთებს მამაცობას მამა ენეას,
როგორც ოდესღაც საყვარელი ბიძა — ჰექტორი?“
ასე ამბობდა ცრემლიანი, დიდხანს ამაოდ

345

გოდებდა. ამ დროს გალავნიდან მხლებელთა დასით
გამოიწია გმირი ჰელენუსი, ძე პრიამესი.
იცნო თვისტომნი და გულლიად ბჭეში შეუძღვა,
ცრემლმორეული საუბრობდა ნათესავებთან.
შევედ, ვიცანი მცირე ტროა, ძველი სურათი

350

მძლე პერგამოსის და პატარა ქსანთუს-მდინარე.
სკეის ბჭისკართან მოვეხვიე ურდულებს კარის.
ტევკრნი ტკბებოდნენ მოკავშირე ქალაქის ხილვით.
მეფე შეუძღვა სტუმრებს თავის ვრცელ სასახლეში.
შუა დარბაზში იდგნენ, ხელში თასები ეპყრათ,

355

ღვინო სვეს. ოქროს ლანგარებზე ეწყო ხორაგი.
გავიდა უკვე ერთი დღე და მეორეც მიჰყვა.
ავსტერმა აფრას გზად მოუხმო, ქარმა აშალა.
მივედ ქურუმთან და მივმართე ასეთი სიტყვით:
„ღმერთთა მკითხავო, ტროის ძეო, ფებუსის ნება,

360

კლაროსის დაფნა და მთიებნი რომ შეგიცვნია,
ფრინველთა ენა, მარდი ფრთების ნიშანიც იცი,
აბა, მითხარი, ხომ კეთილმა ღვთის სასწაულმა
მაჩვენა ეს გზა და ღმერთების ნება მაცნობა,
რომ იტალიას, უცხო მხარეს მეცადა ბედი?

365

მაგრამ კელენომ სასწაული მამცნო ახალი,
როგორ გითხრა და, ღმერთის რისხვა გამომიცხადა
და შიმშილობა, რომელ ხიფათს უნდა გავექცე,
ან რას მივმართო, რომ გავუძლო ამდენ გასაჭირს?“
პირველ ყოვლისა ჰელენუსმა ზვარაკი დაკლა,
370

ღმერთებს ევედრა, და თავსაკრი იძრო თავიდან
და შენს ტაძარში, — ო, აპოლონ! — თვითონ შემიძღვა
შემკრთალს ღვთაების სიახლოვით. შენმა ქურუმმა
ღვთაებრივ ბაგით ეს სიტყვები აღმოუტევა:
„ქალღმერთის ძეო, შენ რომ ზღვაზე გაჰყევ მისნობას,
375

ცხადზე ცხადია, ბედის რიგი მოატრიალა
ღმერთთა მეუფემ, შენი ხვედრი ასე განავო.
ბედის სვლას გაჰყევ, ცოტას გეტყვი, თუმც ბევრი ვიცი,
მსურს ზღვა განვლო და მხნედ ეწვიო ავზონთ ნაპირებს.
მე ხომ პარკები არ მაძლევენ მეტის თქმის ნებას.
380

იუნო, შვილი სატურნუსის, მიკრძალავს სიტყვას.
ახლოს რომ ეძებ იტალიას და უმეცარი
მიესწრაფები ახლომახლო ნავმისადგომებს,
მისგან მრავალი ქვეყანა და გზები გაშორებს.
მანამდის ხოფებს ტრინაკრიის ტალღა გალუნავს,
385

ზღვას გადაცურავთ ავზონიის, ტბას მიწისქვეშას,
აიიას ინახულებთ, კირკეს კუნძულსა.
თუ რომელ მხარეს დაფუძნება ძალგიძს ქალაქის,
მე გეტყვი ნიშანს, დაიმარხე მესხიერებით:
როცა, ტანჯულო, შორეული მდინარის პირას
390

იპოვი ღორ-ქებს უზარმაზარ მუხის ქვეშ განრთხმულს,
ოცდაათ გოჭს რომ მისწოლია თეთრი, ქათქათა
და მის ჯიქნებთან ფუსფუსებენ თეთრი შვილები,
მაშინ ექნება ქალაქს ფუძე და თქვენს მშვიდობას.
ნულარ გაქვს შიში, რომ ოდესმე დახრავ მაგიდას.
395

ბედი გზას მოგცემთ, აპოლონი შეისმენს ლოცვას.
ოღონდ იმ მიწას, სანაპიროს იტალიისა,
ჩვენი მხრიდან რომ ზღვის მოქცევა ეთამაშება,
უნდა გაექცე! იქ ქალაქებს ბერძნები ფლობენ.
იქ ნარიკიელ ლოკრებს უდგათ კოშკნი მაღალნი.
400

სალენტინუსი ლიკტიელმა იდომენევსმა
ხელში ჩაიგდო, ფილოქტეტემ კი, მელიბელმა,
კედლით შემზღუდა პეტელიას ციხე პატარა.
ოდეს გემები ზღვას წიაღვლენ და დადგებიან,
იქვე აღმართავ სამსხვერპლოებს აღთქმის საყოფად.
405

ძოწით მოსილმა მოიხურე თავსაბურავი,
რომ წმიდა ცეცხლთან ავბედითი რამ არ გეჩვენოს
და არ ჩაშალოს ნამისნევი მსხვერპლშეწირვის ჟამს.
ეს ჩვეულება წესად გქონდეთ შენ და შენს მეგზურთ,
შვილთაშვილებმაც ასევე ყონ ღვთისმსახურება.
410

როს მიადგები სიცილიის სანაპიროებს,
წინ გამოჩნდება პელორუსის ვიწრო ბოლაზი,
მარცხნივ გაჰყევი, მხოლოდ მარცხნივ, შორს მოუარე
მარჯვენა ნაპირს, იქ ერიდე ზღვასაც და ხმელეთს.
თქმულა: ძალამ და ნგრევამ გაყო ეს მხარეები, —
415

ჟამთა დინებას რამდენი რამ ძალუძს შეცვალოს!
იმ დროს, როდესაც ერთად იყო ორივე მიწა,
ზღვა შევარდნილა და კიდური ჰესპერიისა
სიცილიისგან მოუჭრია, ვიწრო სრუტეში
გატრილა ველთა და გაყოფილ ნაპირთა შორის.

420

მარჯვნივ სკილაა, მარცხენა მხრით — ავი ქარიბდი.
იგი ჯურღმულში სამჯერ შთანთქავს ვეება ტალღებს
და რიგრიგობით ამოაფრქევს ზვირთებს უკანვე,
შემდეგ ვარსკვლავებს აღწევს ხოლმე ზღვის მღელვარება.
მღვიმე აკავებს ბნელ ჯურღმულში საშინელ სკილას,

425

თავს რომ გამოჰყოფს, მიახეთქავს ხომალდებს კლდეზე.
ადამიანის სახე აქვს და მკერდი — ქალწულის,
ხოლო წელს ქვემოთ — საშინელი ურჩხულის ტანი,
დელფინის კუდი, ზედ რომ მგლები მიჰკვრია მუცლით.
ჯობს, გაეცალოთ ტრინაკრიის საზღვარს — პაქინუმს,

430

ნელა შემოვლოთ შორეული გზა უხიფათო,
ვიდრე თუნდ ერთხელ დაინახოთ პირქუშ მღვიმეში
სკილა და ცისფერ ძაღლის ყეფით შეძრული ტინი.
გარდა ამისა, თუ ჰელენუსს კვლავ უჭრის სიბრძნე,
თუ გჯერა მისი, აპოლონიც თუ სწორად ამცნობს,

435

ქალღმერთის შვილო, ერთ ხვაშიადს გაუწყებ ბედის.
წინასწარ გამცნობ, კვლავ და კვლავაც გაგიმეორებ:
თავდაპირველად თაყვანი ეც ღვთაებრიობას —
იუნოს ძალას, აღთქმა დადე, მხურვალე ლოცვით
მოიმხრე ღმერთი უმძლავრესი, ასე დატოვებ

440

ტრინაკრიას და ძლევით შეხვალ იტალიაში.
მხოლოდ მაშინლა მიადგები შენ კუმე-ქალაქს,
ღვთაებრივ ტბას და მოშრიალე ავერნუსს ტყიანს,
მისანს შეხვდები, მღვიმეში რომ ბედს გამოიცნობს.
ხოლო ფოთლებზე სახელებს და ნიშნებს აღნიშნავს.

445

რასაც დააწერს ის ქალწული ფოთლებზე, ყველას
რიგზე დააწყობს და ჩაკეტავს გამოქვაბულში.
იქ დევს ფოთლები გაუნძრევლად, როგორც დააწყვეს,
მაგრამ კარი თუ გაიღება, ჩუმი ნიავი
აშლის მათ წყობას, ააღელვებს ფოთლებს მაშინვე.

450

ხოლო ქალწული მათ დაჭერას აღარა ცდილობს,
მათ ამორჩევას და სიტყვათა დაკავშირებას,
ვინცა სთხოვს პასუხს, შეიძულებს სიბილას სახლი.
იქ დაყოვნებას ნუ მიიჩნევ მძიმე რამ ცოდვად.
თუნდაც ეწყინოთ ამხანაგებს, თუნდ ზღვაში წასვლად

455

გიხმობდეს აფრა, გაიშალოს საკეთილდღეოდ,
მაინც მკითხავთან უნდა დარჩე, მისნობა სთხოვო,
რომ გიპასუხოს ხალისით და გახსნას ბაგენი.
გეტყვის მომავალ ბრძოლის ამბებს და იტალიელ
ტომებს გაგაცნობს, ტანჯვისაგან ხსნის გზას გიჩვენებს,

460

პატივისცემას გადაგიხდის კარგი მისნობით.
აი, ყოველი, რისი რჩევის ნებაც მე მქონდა.
გასწი, ცათამდე აამაღლე გმირობით ტროა!“
მეგობრულ ბაგით ასე გვამცნო მისანმა ბედი.
შემდეგ გვიბრძანა მიგვეტანა გემებთან ოქროს

465

და სპილოს ძვლისგან ნაკეთები დიდძალი ძღვენი.
ურიცხვი ვერცხლი, დიდონური დიდი თასები,
ჯაჭვის პერანგი, აკინძული სამკეც რგოლებით,
ჩაჩქანი ნეოპტოლემუსის და საჭურველი.
მამასაც უძღვნა საჩუქრები. ჩვენ დავგვისართა
470

ბედაურები მხედრებითურთ.
მეხოფურები, იარაღი აახლა მოძმეთ.
შემდეგ ანქიზემ იალქნების გამართვა ბრძანა,
დაუბრკოლებლივ მეგზურ ქარის გამოყენება.
ფებუსის მოგვმა მოწიწებით ასე მიმართა:
475

„ანქიზე, ღმერთთან ქორწინებით განდიდებულო,
გადარჩენილო პერგამოსის პარტახში ორგზის,
შენ წინაშეა ავზონია, მისკენ ისწრაფე,
თუმც გვერდის ავლა მოგიხდება ზღვაზე ცურვის დროს —
ღმერთის აღთქმული სანაპირო კიდევ შორსაა!
480

მამაშვილური სიყვარულით სვებედნიერო,
სხვა რაღა გითხრა, ქარი რისთვის გაგაცდენინო?“
ანდრომაქემაც, განშორებით დამწუხრებულმა,
კაბა მიაართვა ოქრომკედით ამოქარგული
ყრმა ასკანიუსს. ფრიგიული ქსოვილი წმინდა,
485

გულუხვად გასცა საჩუქარი და ასე უთხრა:
„ჩემო ბიჭუნა, ჩემგან გქონდეს კეთილსახსოვრად
და ანდრომაქეს სიყვარულის საწინდრად იყოს,
გმირი ჰექტორის ცოლყოფილის. მიიღე ჯილდო.
შენღა მეგულვი ხატად ჩემი ასტიანაქსის.
490

ო, ეს თვალები! ხელნი, სახეც ასეთი ჰქონდა
და ასაკითაც შენი ტოლი იყო... ო, შვილო!“
ცრემლით მივმართე წასასვლელად გამზადებულმა:
„ლხენით იცხოვრეთ, ვისი ბედიც უკვე აღსრულდა!
ჩვენ კი ერთი სვე კვლავ გვეცვლება სხვაგვარი ხვედრით...
495

გელით სიმშვიდე, ზღვის გაცურვა აღარ მოგიწევთ,
სულ შორ-შორს მსრბოლელ ავზონთა ველს თქვენ
არ ეძიებთ,
ტკბებით მსგავსებით ქსანთუსის და ტროა-ქალაქის.
მსურს მათი შექმნა ყოფილიყოს თქვენთვის კეთილი
და უფრო ნაკლებ გახიდული ბერძენთა გზაზე!
500

თუ ვნახავ ტიბრისს და ტიბრისის მეზობელ ველებს, —
ვნახავ გოდოლსაც, ჩვენს მოდგმას რომ ბედად ეწერა,
მონათესავე ქალაქს ვნახავ, ახლობელ ხალხსა,
ზღვარს ეპირუსის, ჰესპერიას, რომლის წინაპრად
დარდანუს თქმულა. ორთავ ტროას ერთ სულს შთავებერავთ.
505

დე, ეს ელოდეს საზრუნველად შთამომავლობას!“
გავყევით ზღვასა, კერავნიის ახლო გავცურეთ,
უმოკლესია გზა იქიდან იტალიაში.
მზე ჩაესვენა, ჩამობნელდა მუქი გორები,
ტალღებს მივყევით სანუკვარი ხმელეთისაკენ.
510

წილისყრით დავსხით მეხოფურნი, სხვები ნაპირზე
დავწექით. ძილი ჩაგვეღვარა დადლილ სახსრებში.
ღამეს ჯერ კიდევ ნახევარი წრე არ დაერტყა,
პალინურუსმა რომ დატოვა უკვე საწოლი,
ქარს მოელოდა, სიოს ქროლას აკვირდებოდა,

515

და მშვიდ ცარგვალზე მოძრაობას ვარსკვლავებისა,
არქტურუსს, ცვრიან ჰაიდებს და ორმაგ ტრიონებს...
ოქროს ჯავშანში ორიონი ნახა მესაჭემ.

როცა დარწმუნდა, რომ კაშკაშა ცა მშვიდი იყო,
ნიშანი მოგვცა და მოვხსენით წამსვე ბანაკი

520

გასამგზავრებლად, მყის გავშალეთ ფრთები აფრების.
უკვე ავრორამ მეწამულმა ცის ვარსკვლავები
განდევნა, როცა იტალია ბუნდოვნად ვნახეთ,
პირველად გვამცნო მისი ახლო მოსვლა აქატემ.
ხმით ბედნიერით მივესალმეთ ჩვენს იტალიას.

525

მამა ანქიზემ დიდი თასი ღვინით აავსო,
ღმერთებს მიმართა ღალადისით, მსასოველი
იდგა კიჩოზე:
„ღმერთო, ზღვის, მიწის და ამინდის მძლე მეუფენო,
ქარს გაგვაყოლეთ, დაუბერეთ საკეთილდღეოდ!“

530

ქარმა იმძლავრა, ნავსადგური გამოჩნდა ჩვენ წინ,
ბორცვზე მინერვას მძლე ტაძარი წამოიშალა.
აფრა დავუშვით, ნაპირისკენ მივმართეთ გემნი.
აღმოსავლეთით ყურე რკალად შემოჭრილიყო,
ხოლო პირდაპირ მლაშე ტალღა კლდეს ეხლებოდა.

535

კოშკებრი კლდენი ზღვაში იდგნენ, როგორც კედელნი,
ხოლო ტაძარი გაურბოდა თითქოს ნაპირებს.
ვნახე პირველი სასწაულიც: ოთხი მერანი,
თოვლივით თეთრი, ბალახს ძოვდა გულდამშვიდებით.
ანქიზემ ბრძანა: „ომს გვიქადი, ხმელეთო, განა

540

სტუმართმოყვარევ? ცხენს ბრძოლისთვის ინახავს ხალხი.
ომს გვემუქრება ცხენთა რემა, ეტლს მიჩვეული?
მაგრამ უღლითაც ატარებენ ტვირთს და ამიტომ
მშვიდობის იმედს არა ვკარგავ“. ლოცვა დავიწყეთ
პალადას მიმართ, მძლე საჭურველს რომ აუღარუნებს.

545

ბომონთან გვესხა ფრიგიული წამოსასხამი.
ვით ჰელენუსმა დაგვარიგა, უპირველესად
ქაღალდმერთ იუნოს, არგოსელსა, თაყვანი ვეცით.
დრო არ ითმენდა. ვით რიგია, ზორვა გავწიეთ.
დავბრუნდით უკან ისევ ზღვაში, ფართო იალქნით

550

დავტოვეთ ბერძენთ დასახლება, მიწა საეჭვო.
როგორც ამბობენ, ტარენტუმის ყურე ჩანს იქვე,
ქაღალდმერთ იუნოს ტაძარიცა, ხოლო პირდაპირ
კავლონის კოშკი, გემთ მმუსვრელი სკილაკეუმი.
ეტნა გამოჩნდა მოშორებით, ტრინაკრიული.

555

ზღვის საშინელი გუგუნია და ლოდების ნგრევა
გვესმა შორიდან, ხმა წყვეტილი — სანაპიროდან.
რიყე გამოჩნდა ქვიშიანი ანაზღეულად.

მამა ანქიზემ ასე გვითხრა: „ეს ქარიბდია,
აი, იმ კლდეზე გვიამბობდა ალბათ ჰელენუს,

560

მობრუნდით, ძმებო, დააწექით მწყობრად თქვენს ხოფებს“.
როგორცა ბრძანა, შეასრულეს, მარცხენა მხარეს
პალინურუსმა მოჭრიალე გემი მიმართა.
ხოფის ცემა და ქარის ქროლაც მარცხნივ გვისროდა.
ზეცამდე გვწევდა მძიმე ზვირთი, ხოლო როდესაც

გაგვეცლებოდა, უფსკრულამდე მიგვაქანებდა.
 სამგზის ხმაური გამოიღო კლდეთა ტინებმა,
 ტალღა შხუოდა და შხეფებში ჩანდნენ მთიეზნი.
 მზემ და ქარებმა მიგვატოვეს ზღვაში დაღლილნი,
 გზა არ ვიცოდით და კიკლოპთა ნაპირს ვეახლეთ.

570

ნავმისადგომი დიდი იყო, ქარს არ უშვებდა.
 იქავე ეტნა გუგუნებდა დამანგრეველი.
 ზოგჯერ ეთერში დადგებოდა პირქუშ ღრუბლებად
 ბოლქვი მჭვარტლისა და მდულარე ფერფლის ნაკადი
 ქვებს ატყორცნიდა, ცის კამარას წვავდა ლოკვითა.

575

ზოგჯერ სულ კლდეებს, გამოგლეჯილს მთის წიაღიდან
 აღმონათხევდა, გამდნარ ლოდებს ცაში ისროდა
 ამომგმინავი, ფსკერიდანვე ადუღებულნი.
 ამბობენ, ელვამ გააშიშვლა ენკელადუსი,
 კლდემ გასრისაო, ხოლო ეტნა გორგლებს მოანთხევს

580

მწველი ცეცხლისა გახეთქილი ქურის პირიდან,
 როცა დაღლილ გვერდს შეაბრუნებს, ზათქით ზანზარებს
 მთლად ტრინაკრია და ცა კვამლით იქუფრებაო.
 ღამით ტყის ჩრდილში გავუძელით სასტიკ სასწაულს
 და ვერ ვხედავდით, რაც ამ საზარ ხმას გამოსცემდა.

585

ვარსკვლავთა შუქი როდი ჩანდა, არცა პოლუსი
 განათებული, ცას ღრუბლები ეფარებოდნენ,
 კვამლში მალავდა ავდრიანი ღამე მთვარესაც.
 აღმოსავლეთით ახალი დღე იბადებოდა,
 ღამეს ნამიანს ცით ავრორა სდევნიდა უკვე,

590

როდესაც ტყეში დავინახეთ უცნობი კაცი,
გამხდარი ძონძის სამოსელში ძაბუნად ქმნილი,
სანაპიროსკენ მას აღეპყრო ხელნი ვედრებით,
ჰქონდა წვერები გაბურძგნილი, ჭუჭყი ფარავდა,
ძენძი მოსავდა, თუმცა სხვა მხრივ ბერძენსა ჰგავდა.

595

აღბათ, ტროაშიც მოჰყოლია მშობლიურ ლაშქარს.
როცა შორიდან დარდანული სამოსი ნახა
და იარაღი, შეეშინდა, ბორძიკით შედგა,
შემდეგ ტირილით გამოიქცა ნაპირისაკენ
და შეგვევდრა: „გაფიცებთო ზეცის ვარსკვლავებს,
600

ღმერთებს, დიადს და მაცოცხლებელ ცის ბრწყინვალეებს!
ტევკრო! მეც თქვენთან წამიყვანეთ, სადაც ისურვებთ!
დღეს მარტო დავრჩი დანაელთა ხომალდებიდან
და აღვიარებ, სამტროდ ვიყავ თქვენს პენატებთან,
თუ ასე მძიმე ბოროტება მიმიძღვის თქვენთან,
605

წყალს გამატანეთ და ჩამძირეთ უძირო ზღვაში.
მაინც ვიხარებ, კაცთა ხელით თუკი მოვკვდები!..“ —
ასე თქვა, ჩოქვით მოხობავდა, მუხლთ მომეხვია.
ვუბრძანეთ, ეთქვა, თუ ვინ იყო, რომელი მოდგმის,
გაენდო მისი ახლანდელი მდგომარეობაც.

610

მამა ანქიზემ დიდხანს ფიქრით არ დააყოვნა,
ხელი მისცა და დაამშვიდა ჭაბუკის სული.
ბოლოს, შიში რომ მოიღია, ასე გვიაშბო:
„აქემენიდეს მეძახიან, ითაკას ვიშევ,
ბედი მქონოდა ღარიბ მამის — ადამასტუსის,

615

ოღონდ ულიქსეს ილიონში არ გავყოლოდი!
როს აჩქარებით შორდებოდნენ საშინელ მღვიმეს,
კიკლოპის ქვაბში დავავიწყდი მე ჩემიანებს
და იქ დამტოვეს. სისხლიანი საჭმლით სავსეა
ვეება მღვიმე. თვით სიმაღლით ზეცამდე სწვდება.

620

ღმერთნო, აშორეთ დედამიწას ურჩხული მავნე!
ვერვის დანახვას და საუბარს ვერ ითმენს იგი,
შავი სისხლით და უბედურთა შიგანით ძლება.
თვით ვნახე, მაღლა რომ ასხლიტა ორი ჩვენგანი
ვეება ხელით, დაანარცხა მღვიმის შუაში,

625

კლდეს მიახეთქა და მიწაზე დაღვარა სისხლი.
სულ ასო-ასოდ გადაყლაპა და მძლავრ კბილებში
მთრთოლვარე სახსრებს სისხლიანსა ატკაცუნებდა.
ვერ გადაგვირჩა: ეს ულიქსემ ვერ მოითმინა,
წარმოიდგინა ითაკელმა თავისი თავი.

630

როცა წამოწვა გამაძლარი და ღვინით მთვრალი,
კისერი გვერდზე მოელრიცა, საზარ პირიდან
ძილში ანთხევდა სისხლს და ღვინოს ხორცში არეულს,
დიად ღვთაებებს შევღალადეთ და წილი ვყარეთ,
ყოველი მხრიდან მივესიეთ და დავუბურღეთ

635

წამახულ ბარჯით კიკლოპს თვალი უზარმაზარი,
ერთი რომ ჰქონდა დამალული საზარ შუბლის ქვეშ,
არგოლიკურ ფარს, ან ფეხუსის შანდალს რომ ჰგავდა.
შური ვიძიეთ დაღუპულთა აჩრდილთა გამო...
ო, გაიქეცით, უბედურნო, შორს გაეცალეთ,

640

ნაპირს მოსწყვეტეთ ბაგირები!

რაც არ უნდ იყოს პოლიფემუს ღრჯუ და მძვინვარე,
ცხვარს საწმისიანს რომ ამწყვდევს და ჯიქანს უწველის,
ასი კიდეც სხვა კიკლოპია დასახლებული
დამრეც ნაპირზე და აქ, მთებში, დახეტიალობს.

645

უკვე მესამე მთვარეს რქები ევსება შუქით,
რაც ამ ხმირ ტყეში ვიმალები, ცარიელ ბუნაგს,
მხეცთა სადგომებს მივადგები. ვხედავ კიკლოპებს,
მათი ფეხის ხმით და ძახილით ათრთოლებული.
მე, ბედკრულს, საზრდოს ტყის ნაყოფნი, ველურ ეკალას

650

შტონი მაძლევენ, ვიკვებები ბალახის ფესვით.
ზღვას გავცქეროდი და ვიხილე თქვენი გემები,
როს ნაპირს გავედ, მას, როგორიც არ უნდა იყოს,
მივანდე თავი: გავცქეოდი ოღონდაც ურჩხულს.
ჯობს, ამომართვათ თუნდაც სული საზარ სიკვდილით!“ —

655

ეს თქვა და ვნახეთ კიდეც: მთაში ჯოგს მოჰყვებოდა
კიკლოპი ზღაზღვნი — უძლეველი ცხოვართა მწყემსი,
ჩამოდიოდა პოლიფემუს ნაცნობ ნაპირთან.
ურჩხულსა ჰქონდა უსინათლო თვალი მახინჯი,
ხელში ეჭირა ფიჭვის ძელი გზის გასაკვლევად.

660

ახლდნენ ვერძები — ერთადერთი შვება ბედკრულის,
ნუგეში მისი.
ზღვის ღრმა ტალღებში რომ შევიდა, გამოიბანა
თვალიდან სისხლი, ამოთხრილ ღრმულს რომ დასდიოდა.
ამოიოხრა და კბილების კრაჭუნით გაჰყვა

665

ზღვის წიაღს, მაინც კოჭებამდე სწვდებოდა ტალღა.
თრთოლით ვისწრაფეთ გასაქცევად, მავედრებელი
თან წავიყვანეთ, გადავჭერით ბაგირი ჩუმაღ,
გადავიხარეთ და ხოფებით გავაპეთ ტალღა.
ხმა გაიგონა და მას გაჰყვა გაცოფებული.

670

და რომ ვერ შეძლო ხელთ ჩაეგდო შესაძლებელი,
ვერც იონიის ტალღას სრბოლით ვერ გაეჯიბრა,
დაიღრიალა, ზღვა მისმა ხმამ ააბარბაცა,
ტალღამ მრავალმა იტალიის მიწა შეაკრთო
და ბნელ მღვიმეში ჩახვეულმა ეტნამ იქუსა.

675

კიკლოპთა ტომი გამოფხიზლდა ტყიან თხემებზე,
სანაპიროსკენ გამოიქცა, ყურე გაავსო,
ამაოდ იდგნენ, გვაცილებდნენ მძვინვარე მზერით.
ეტნელი ძმები აღაპყრობდნენ ზეცისკენ თავებს.
ასევე მაღლა წვეროკინებს აღმართავს მუხა,

680

გირჩებიანი კვიპაროსი დიდღეროვანი,
იუპიტერის ტევრის მკვიდრი, დიანას ჭალის.
შიში გვიძლოდა აღგზნებულებს, ოღონდ საითმე
გზა გვეპოვა და გაგვეშალა ქარში აფრები.
თუმც ჰელენუსმა გაგვაფრთხილა, სკილას და ქარიბდს

685

მოერიდეთო, სიკვდილს მოგგვრით ერთიც, მეორეც,
ბოლოს ვიფიქრეთ ხომალდების შემობრუნება.
ამ დროს ბორეას, მოვლენილი პელორუსიდან,
მოგვეჭრა. ახლოს გავუარეთ ქვიან შესართავს
პანტაგიისა, თაპსუსსა და მეგარის ყურეს.

690

ყველა ნაპირი მიგვითითა უკან სრბოლის დროს
აქემენიდემ, თვით ულიქსეს მხლებელმა ძველმა.
პლემირიუმის წინ, ყურეში სიცილიისა
არის კუნძული, ორტიგია უწოდეს ძველად.
თურმე ალფეუსს ელისიდან აქ უპოვია

695

ზღვად გასასვლელი; არეთუზა, შენი წყაროდან
მოსულა იგი, სიცილიის ტალღებს შერთვია.
ადგილის ღმერთებს, ვით გვიბრძანეს, თაყვანი ვეცით,
უხვნაყოფიან ველებს გავცდით ჰელორუსისა,
მაღალ ტინებს და პაქინუმის შემხვდურ კლდეებსაც

700

არ მივეახლეთ. შორით ჩანდა ბედით უძრავი
კამარინა და მინდორ-ველნი გელაისანი,
თვით გელას ციხეც მარდი ჩქერის სახელს ატარებს.
მაღლით გამოჩნდა აკრაგანტის მტკიცე კედლები,
ოდესღაც იქ ხომ კეთილშობილ ცხენს აშენებდნენ.

705

ქარით გაგცილდით პალმოვანო, ო, სელინუსო,
ფონს გავუყევით, ლილიბეურ წყლებით დაფარულს
და დრეპანუმის უსიამო ნაპირს მივედით.
იქ რამდენი ზღვის დამლახავი, ქარით დევნილი,
ვაგლახ, ანქიზე, მამაჩემი — ჭირში ნუგეში,

710

როგორ დავკარგე! იქ დამტოვე, კეთილო მამავ,
მაშვრალი! ვაგლახ! რამდენ ტანჯვას კი გაუძელი.
არც ჰელენუსმა, საზარი რამ ბევრი რომ გვამცნო,
ეს დიდი ცრემლი აღარ გვითხრა, არცა კელენომ.
ეს იყო შორით ხეტიალის ბოლო საზღვარი.

იქიდან ღმერთმა თქვენს ნაპირთან გამომიყვანა“, —
ასე თქვა მამამ ენეასმა, ყველა უსმენდა,
როს ამცნო ღმერთთა განჩინება, ამბავი თვისი.
ბოლოს გაჩუმდა, დაამთავრა და დაისვენა.

წიგნი მეოთხე

დედოფლის გული საზრუნავმა დასერა მწვავემ,
ძარღვებს მოედო, იდუმალი სახმილით სწვავდა.
ვაჟის გმირობამ და დიადი მოდგმის დიდებამ
გამსჭვალა სული, მკერდს მოედო გმირის სიტყვები

5

და გამოხედვა, დიაცს დარდი არ ასვენებდა.
ფეხუის ცეცხლით გააშუქა მიწამ ავრორა,
ცვრიანი ჩრდილი პოლუსიდან შორს გადასწია.
ამ დროს, ვით ხელმა, საყვარელ დას მიმართა დიდომ:
„ანა, დაიკო, ზმანება და ფიქრი მაშინებს...

10

უცხო სტუმარი რომ ეწვია სასახლეს ჩვენსას,
ო, რა სახე აქვს, მტკიცე გული და საჭურველი!
ვგონებ, არ ვცდები, ღვთის ნაშობად რომ მიმაჩნია!
მდაბიოთ სულებს შიში ამხელს, მას კი, ვაიმე! —
ბედმა რა უყო, რა საშინელ ამბებს ჰყვებოდა!

15

ჩემს სულს განზრახვა ურყეველი რომ არ ჰქონოდა,

კაცთან კავშირი რომ არ მძულდეს, მას შემდეგ ოდეს
მწარე სიკვდილით მომაცეუა პირველმა ტრფობამ,
რომ არა მძულდეს სარეცელი და სანათური,
ამ ერთ სისუსტეს, მე მგონია, მივეცემოდი!..

20

გამოგიტყდებით, რომ სიქევის სიკვდილის შემდეგ,
როს დაესხურა ნათესავის სისხლი პენატებს,
მხოლოდ მან შეძლო ჩემი გრძნობის შემობრუნება,
სულის აღგზნება. პირველყოფილ კვალსა ვგრძნობ ცეცხლის.
დე, მიწამ მიყოს პირი უმაღ და ყოვლისშემძლე

25

მამამ დამლახვროს აჩრდილებთან ელვა-ქუხილით,
მკრთალ აჩრდილებთან ერეხის, ვიდრე დავარღვევ,
კდემავ, შენს კანონს, ზურგს შევაქცევ ლალტიანი!
ვინც შემეუღლა პირველადვე, მან წარიტანა
ვნებანი ჩემნი, დე, დაიცვას ბნელ სამარეში“.

30

ასე ამბობდა და ფიქალ მკერდს ცრემლებით რწყავდა.
ანამ მიუგო: „დავ უდესო, უსაყვარლესო,
გსურს დაგკნეს სიყრმე უქორწინოდ, მიეცე სევდას?
არც ბაღლნი გინდა, არც ვენუსის სიამე გწყურის?
ან იქნებ ფიქრობ, ნეშტს დაკრძალულს მით შეაშფოთებ?

35

ვერ დაგითანხმეს საქმროებმა გულდასერილი
ვერც ლიბიაში, ვერც ტვიროსში უფრო უადრეს.
იარბას დათმე, სხვანიც, ძენი აფრიკისანი...
შენთვის სანუკვარ ტრფობას გინდა ებრძოლო განა?
არ მოგდის აზრად, ვის ველებზე დაფუძნებულხარ?

40

გეტულო ქალაქნი არის აქა, ხალხი მეგრძოლი,

ღრჯუ ნუმიდები და სირტები სტუმართმოძულე,
სხვა მხრიდან უწყლო უდაბნოა და ბარკელები.
რალა ვთქვა ომზე, ტვიროსში რომ აიხანძრება,
ანდა ღვიძლი ძმის მუქარაზე?

45

ვგონებ, ღმერთების და იუნოს სურვილით ქარმა
აქ მოუძევა ილიონის ხომალდებს ბინა.
რა სამეფოს და ქალაქს ნახავ, დაო, აგებულს
გმირთან ქორწილით! დაცვა ძალუძს ტევკრთა საჭურველს
და პუნიკური ძლიერების კვლავ ამაღლება!

50

ღმერთებს ევედრე მოწყალება, უძღვენ ზვარაკი
და მასპინძლობით სტუმრებს წასვლა დაუგვიანე.
კვლვ ორიონი წვიმს და ზღვაზე ქუხს ქარიშხალი,
გემნი დაიმსხვრენ, ცა ხომ ჯერ არ დაწყნარებულა!“ —
თქვა და აღუნთო სული, ტრფობის ცეცხლით გზნებული,

55

გულში იმედი ჩაუსახა, კდემა დათრგუნა.
ტაძრებს მიადგნენ, კერპებს სთხოვდნენ ღმობიერებას.
ადათისაებრ რჩეულ ვერძებს ყელს სჭრიდა მოგვი
ლიევსის მამის, ფეხუსის და ცერერასათვის,
იუნოსათვის, ქორწინების ზღურბლს რომ მფარველობს.

60

მარჯვენით თასი უტურფესმა დიდომ ასწია
და რქების შუა თეთრ დეკეულს გადმოასხურა.
ბომონთა შორის საკურთხეველს მიუახლოვდა,
დღე წმინდა გახდა მისი ძღვენით, დაკლულ ცხოველებს
თვალი დაადგა მკერდზე, მერე თბილ შიგნეულზე.

65

მისნებმა არა იციან რა! ხელქმნილის აღთქმით

ბომონს რა შველა შეუძლია! ძვლებს კვლავ მოედო
ტრფობის აღმური, კვლავ გაცოცხლდა მუნჯი იარა.
იწვოდა ქალი და ქალაქში ილტვოდა ისე
გახელებული, როგორც შველი, ჭდეული ისრით,
70

კრეტის ტყეში რომ მწყემსმა დაჭრა მოულოდნელად,
სდია უმეცარს და მფრინავი რკინა ესროლა.
ტყისკენ გაიქცა, დიქტეს ჭალას მიადგა შველი.
ფერდში სიკვდილის მომტან ლერწამს თან მიათრევდა...
ქალმა ენეასს გალავანი აჩვენა ციხის
75

და ქონგურები სიდონური, განძეულობა.
რამეს ეტყოდა, უცაბედად ხმა უწყდებოდა.
შემდეგ, საღამოს, მიმწუხრის ჟამს, ლხინი გამართა,
კვლავ ილიონის საზარ ამბის მოსმენა სურდა,
მთხრობელის ბაგეთ ესწრაფოდა დაუოკველად.
80

ერთურთს დასცილდნენ, მთვარეს შუქი ოდეს მოაკლდა,
ძილი მოჰქონდათ ჩამქრალ ვარსკვლავთ, მარტოკა დარჩა.
დაწვა საწოლზე ენეასის, თვალმოუკრავად
ხედავდა, გრძნობდა შორეულ გმირს, ვითომც კოცნიდა
ასკანიუსსაც, გასაოცრად რომ ჰგავდა მამას.
85

თითქოს შეეძლო მოტყუება უსაზღვრო ტრფობის.
შეწყდა შენება კოშკებისა, აღარც მოყმენი
ეუფლებოდნენ იარაღსა, აღარ აგებდნენ
ნავთ მისადგომს და ომის საფარს, დადუმდა საქმე,
დუმდნენ კედლები ცად მიმსწრაფი ქონგურებითა.
90

იუპიტერის სათნო ცოლმა წამება ქალის

შენიშნა, მიხვდა, რომ ჭორიც კი არ აცხრობს ვნებას.
ვენუსს მიმართა სატურნიამ ასეთი სიტყვით:
„დიდებას იმკით, ჭეშმარიტად, სრული ნადავლით
შენ და ძე შენი, ო, ქალღმერთო, ძლევით სავსეო,
95

ორმა ღვთაებამ ერთი ქალი როგორ დასძლიეთ!
მე კარგად ვიცი, გეშინია ჩვენი გალავნის,
ეჭვებს აღგიძრავს კართაგენის კოშკი მაღალი.
როდის მორჩება, ან სანამდე მიგიყვანს შულლი?
მარადი ზავი რად არ დავდოთ და ქორწინებით
100

არ განვამტკიცოთ? მიაღწიე, რაც გულით გსურდა:
ვნება წვავს დიდოს და სიგიჟე ძვლებამდე ატანს.
მოდო, თანაბრად დავეუფლოთ ამ ხალხს საერთოს.
დე, ემსახუროს დედოფალი ფრიგიელ ვაჟკაცს.
და, ვით მზითევი, ტვირელები დაგიმორჩილოს“.
105

მიხვდა იუნოს თვალთმაქცობას: დედოფალს სურდა,
ეხსნა ლიბია იტალიის ძალადობისგან.
ამიტომ უთხრა მას ვენუსმა: „ვის უნდა უგნურს,
შენთან არჩიოს შეჯიბრება ქიშპით და ომით?
ნეტავ, შეუწყოს ბედმა ხელი შენს ნათქვამ საქმეს.
110

არ ვიცი, ბედი რას გვიქადის, ისურვებს განა
იუპიტერი ტვირელთ მხარე დაუთმოს ტროელს?
ერთად შეყაროს ტომნი, მტკიცე კავშირით შეკრას?
შენ, ვით მეუღლეშ, გამოსცადე და შეევედრე,
მეც თან მოგყვები“. დედოფალმა იუნომ უთხრა:
115

„ეგ მე მომანდე. ყურადღებით მისმინე ახლა,

მოკლედ აგისსნი, თუ ეს საქმე ვით მოვაგვაროთ.
ნადირობის დროს ენეასი, საბრალო დიდოც
ჭალაში შევლენ, ოდეს დილის სისხამზე მიწას
ახლად ამდგარი ტიტანუსი სხივებს მოაფრქევს.

120

როს რაზმი ჭალას მოედება ორივე მხრიდან,
დავუშენ ღვართქათს ბინდის მომტანს, სეტყვაგარეულს
და მთელი ზეცა შეიძვრება ჭექა-ქუხილით.
მხლებლებს გაფვანტავ და დავფარავ ღამის წყვდიადში.
ერთ მღვიმეს შევლენ დედოფალიც, ტროელთ ბელადიც.

125

მეც იქ ვიქნები, ასე მესმის სურვილი შენი.

127

იქ იყოს მათი ჰიმენა!“ თხოვნა მიიღო,
თან აცინებდა კითერეას ცრუ დაპირება.
ამ დროს დატოვა ოკეანე ტურფა ავრორამ.

130

ქველი მოყმენი სისხამ დილით გასცდნენ კარიბჭეს.
მსხვილნი ბადენი, ოროლები ეჭირათ ხელში,
მხნედ ამხედრებულ მასილელებს ახლდათ ძაღლები.
სანთიობოში შეყოვნებულ დიდოს ელოდნენ
დიდებულები კარის ზღურბლთან. ელოდა რაში

135

ოქრო-ძოწებით აკაზმული. მძვინვარედ ხრავდა
ქაფიან აღვირს. დიდ ამაღლას წარუძღვა დიდო.
ქლამიდი ჰქონდა სიდონური, ოქროს აშია,
ოქროს კაპარჭი, დაღალეებშიც ოქრო ჩაწნული
და ოქროს კავი ძოწის კაბის შესაკავებლად.

140

არცთუ ფრიგიელთ დაუყოვნდათ და ლალ იულუსს.

ყველას სჯობნიდა სილამაზით გმირი ენეას,
დასს შეუერთდა სათნო მოყმე ტროელთა რაზმით.
ასეთი არის აპოლონიც, როს ცივ ლიკიას
და ქსანთუსს ტოვებს, დედისეულ დელოსისაკენ
145

ფერხულს მიუძღვის, ბომონებთან დგას ჟრიაშული
კრეტელების და დრიოპების, აგათირსების;
კინთუსის სერზე აბრძანდება, მოქნილ შტოებით
თავს დაიმშვენებს და შეიკრავს ოქროს სამაგრიტ.
მხრებზე ისრები ზრიალებენ... სწორედ მას ჰგავდა
150

ციურ სიტურფით მოზეიმე სათნო ენეას.
მიუახლოვდნენ მთის მწვერვალებს და ყრუ ნაპრალებს,
მაღალ მწვერვალებს ჯიხვთა ჯოგი მოსწყდა ანაზღად,
მეორე მხრიდან კი ირმები ქორბუდიანნი
ველზე მიქროდნენ, მტვრის ავარდა კორიანტელი,
155

სურდათ გასცლოდნენ მეყსეულად საშიშ გორაკებს.
ასკანიუსი, ფიცხი ცხენით ატაცებული,
ველზე მიქროდა, თან ნატრობდა მინდორზე მსრბოლი,
რომ ამდენ წყნარ და მშვიდობიან ცხოველთა შორის
ტახს გადაჰყროდა პირქაფიანს, ან ლომს მძვინვარეს.
160

ამ დროს ცა უცბად ახმიანდა, წამოუშინა
კოკისპირულმა, გაერია სეტყვის მარცვლები.
ტვირელთ ბელადნი, ტროელთ ყრმანი შემოიფანტნენ,
შეშინებული შვილიშვილიც ქალღმერთ ვენუსის...
საფარს ეძებდნენ. ნიაღვარი მოსკდა მთებიდან.
165

მღვიმე ისაფრეს მყის დიდომ და ტროელთ ბელადმა,

მიწა-ტელუსმა და იუნომ — ქორწილის ღმერთმა
ნიშანი მისცეს. აელვარდა ცეცხლით ეთერი —
ქორწილის მოწმე, ახმაურდნენ მთებში ნიმფები.
დღე იგი იყო სიკვდილის და უბედურების.

170

აღარ აკრთობდა აწ დედოფალს ჭორი და კდემა,
არცა მალული სიყვარული: მას ქორწინების
სახელს არქმევდა, თითქოს ამით ცოდვას ფარავდა.
ლიბიის ქალაქთ მყის მოედო მაშინ ხმა-ფამა,
ხმა უფრო სხარტი, ვიდრე ყველა დანაშაული...

175

ძალა შემატა მოძრაობამ, გზაზე გაივსო,
ჯერ შიშით კრთოდა, მაგრამ მალე ჰაერს შეერთო,
ხმელეთი განვლო და ღრუბლებში გაუჩინარდა.
ღმერთებზე მწყრალმა, ნათქვამია, მიწამ-ღმერთქალმა
დად უშვა იგი კეუსსა და ენკელადუსსა,

180

თანაც აღჭურვა ფეხმარდობით და მალი ფრთებით,
საზარელ ურჩხულს ტანთ იმდენი ბუმბული ესხა,
რამდენიც თვალი, — სათქმელადაც საოცარია, —
ენაც იმდენი, იმდენივე ბაგე და ყური!
ლამით ცასა და მიწას შუა დაქროდა ბნელში,

185

დამაშვრალ თვალებს ტკბილი ძილით არ ასვენებდა.
დღისით გუშაგად სახლის სხვენზე, მაღალ ქონგურზე
დასკუპდებოდა და ქალაქებს შიშის ზარს სცემდა.
ემარჯვებოდა სიცრუეც და ჭეშმარიტებაც.

ახლაც აღავსო ნიმფამ ხალხი ათასი სიტყვით,

190

ხალისით ერთურთს გაურია ცრუ და მართალი;

ტროელთა მოდგმის ენეასთან, ვით მამაკაცთან,
უხარიო ლამაზ დიდოს დაკავშირება.

ზამთარს კვლავ ერთად ნეტარებით გაატარებენ,
სამეფო დათმეს, ავხორც ვნებას მისცესო თავი...

195

საზარმა ნიმფამ ყველა ბაგე ჭორით აღავსო.

შემდეგ წავიდა და აანთო რისხვით იარბას,
რომელიც ჰამონს შეეძინა, როს მოიტაცეს
გარამანტელი ნიმფა. მეფეს ვრცელ სამეფოში
ასი ტაძარი აუგია იუპიტერის,

200

ასი ბომონი აღუმართავს, ცეცხლი უშრეტი, —
ღმერთთა დარაჯი მარადისი, ზვარაკთა სისხლით
სავსე სამსხვერპლო, ყვავილებით მორთული ზღურბლნი.
სული აენტო გაშმაგებით, საზარი ჭორით,
კერპებს, ამბობენ, ყოვლისშემძლე ღმერთებს მიმართა,

205

ევედრებოდა იუპიტერს ხელაპყრობილი:

„ყოვლად ძლიერო! შენთვის მავრნი, ჭრელ ხალიჩებზე
მონადიმენი, ასხურებენ ზვარაკს ზედაშეს.

ხომ ხედავ ამას?... როცა ელვას გვტყორცნი, მამაო,
ვძრწით და ღრუბლებში ავარდნილი ბრმა ნაკვერცხლები

210

სულს გვიშფოთებენ... განა გრგვინვა ამაოდ ისმის?

დიაცი, ვინაც ჩვენს საზღვრებში იძენდა ქალაქს,
რომელსაც ერგო სანაპირო ხოდაბუნები,
მეფობაც მივეც, დღეს ცოლობას უარყოფს ჩემსას,
ენეასს იღებს, ვით მბრძანებელს სამეფოისა!..

215

პარისი იგი, ქალაჩუნა ბრბო რომ თან ახლავს,

მეონიური ქუდით თმები რომ დაუფარავს,
მიჰპარვია და ეუფლება... ვაგლახ, ამაოდ
გიძღვნით ტაძრებში ზვარაკს შენდა მსასოებელნი“.
საკურთხეველთან ძირს განრთხმულის ლოცვა ესმოდა
220

მძლე იუპიტერს. სასახლეს და მიჯნურთ შეხედა,
ტრფობაზე მეტი დიდება რომ არც უნატრიათ.
მერკურიუსი წარავლინა ღმერთთა მეუფემ:
„შვილო, ზეფირუს მოიხმე და ფრთები აისხი,
დარდანთა ბელადს, კართაგენში რომ დარჩენილა,
225

დავიწყებია ქალაქები ბედით აღთქმული,
ცით მოევლინე და უთხარი დანაბარები:
განა ასეთად შვა მშობელმა პირმშვენიერმა,
ბერძენთა ხმლისგან განა ორჯერ მისთვის დაიხსნა,
რომ არ ეუფლოს იტალიას, ომით დატანჯულს?
230

ტევკრთა ძველ სისხლით მართებს მოდგმის აღორძინება,
დამორჩილება სამყაროსი თვისი კანონით!
თუკი დიდება არ აღელვებს ამა საქმეთა,
სასიქადულო შრომისათვის თვით არ აღიძვრის,
განა შურს მამას რომის კოშკი იულუსისთვის?
235

რას სჩადის, ან რა იმედით დგას მტრულ ტომთა შორის?
არ ახსოვს ავგონთ მოდგმა, ველნი ლავინიუმის?
წავიდეს! ამას ვიტყვი ბოლოს! ამ სიტყვას სდიოს“, —
ასე თქვა. საქმეს მყის შეუდგა მერკურიუსი,
უმაღ მოირგო ღმერთმა ოქროს ფრთამაღი ქოში,
240

რომელიც ფრთებით ზღვებისა და ხმელეთის ზემოთ

ქარივით სწრაფად გააფრენდა. კვერთხი აიღო,
რომლითაც იგი მკრთალ აჩრდილებს მოუწოდებდა
ბნელ ორკუსიდან, სხვებს ქვესკნელში კვლავ ჩაამხოვდა,
მოკვდავთ რულს ჰგვრიდა, მიცვალებულთ თვალებს უხელდა.

245

იმ კვერთხის ძალით გაჭრა ქარი და ღრუბლებს გასცდა,
ფრენის დროს ნახა მწვერვალები, ციცაბო მთები
მტკიცე ატლანტის, მწვერვალით რომ ცას შებჯენია.
ატლანტის თხემი გახლართულა ღრუბლის ფთილებში,
ფიჭვით დაფარულს ქარი ურტყამს და ნიაღვარი,

250

თოვლი ჰფენია მხრებზე, ხოლო წვერს ნაკადები
ჩამოსდენია და ყინვაში გაშეშებია.
აქვე შეჩერდა ჯერ ფრთოსანი კილენიუსი,
მთელი სხეულით ტალღებისკენ დაქანდა შემდეგ.
როგორც ფრინველი თევზით სავსე ზღვის ნაპირებთან

255

ირაოსა ჰკრავს, დაბლა იწევს წყლის ჭავლებამდე, —
ისე მიფრინავს და მიაპობს ქარს ქვიშიანი
ლიბიის პირას კილენებზე შობილი იგი,
იქ, სად დედული ჰქონდა, პაპა სადაცა ჰყავდა.
მფრინავი ქოშით როს შეეხო ქოხთა სახურავს,

260

ჰპოვა ენეას, კოშკს აგებდა ტროელი გმირი.
მახვილი ერტყა მოოჭვილი ყვითელ აკანთით,
მძლავრი მხრებიდან ეშვებოდა ტოგა, ელვარე
ტვიროსულ ძოწით, დედოფლისგან მიედო ჯილდოდ
მისივ ნაკერი, ოქროს ძაფით ამოქსოვილი.

265

მაშინვე უთხრა: „კართაგენის საფუძველსა ჰყრი,

აამებ ქალს და ულამაზეს ქალაქს აშენებ?
ეჰ, დაგვიწყნია სამეფო და საქმენი შენნი!
შენთან მოვფრინდი ოლიმპოდან, უკვდავთ მეუფის,
ზეცის და მიწის მიმომძვრელის მკაცრი ბრძანებით.
270

თვითონვე მითხრა, მაიძულა შენთვისაც მეთქვა:
— რას სჩადი, უქმად რას უდგახარ ლიბიის მხარეს?
272

თუ დიად საქმეს შენი სული არ აღუგზნია,
274

ყრმა ასკანიუს გაიხსენე და იმედები
275

მემკვიდრეობის. იგი მეფედ უნდა გაუხდეს
იტალიას და რომის მიწას“, — კილენიუსმა
ასე უთხრა და მყის მოკვდავის სახე გაუქრა,
თვალებს მოშორდა და ბრწყინვალე ეთერს შეერთო.
თავბარი დასცა ამ ზმანებას მამა ენეასს,
280

თმა ყალყზე დადგა, ხოლო ხორხში სიტყვა გაუწყდა.
ლტოლვას ესწრაფა და საამო ქვეყნის დათმობას,
ღმერთების ნებით და ბრძანებით გაოცებული.
რაღა ეღონა, დედოფლისთვის ვით გაეხედა
მძიმე სათქმელი? სადღა იყო გამოსავალი?!
285

ბორგავდა გმირი ენეასის მკვირცხლი გონება
სხვადასხვა გზის და ამოცანის გადასაწყვეტად.
ბოლოს ეს აზრი მოეჩვენა საუკეთესოდ:
მნესთევსს მოუხმო, სერგესტუსს და მამაც სერენტუსს,
გემთა მოწყობა დაავალა, მეგზურთ თავშეყრა
290

და საჭურვლისა, ხვაშიადის გულში ჩამარხვა.
სანამდის ეტვი არა ჰქონდა მშვენიერ დიდოს
მოყმის ღალატის, სანამ ტრფობის ბზარს არ ელოდა,
მზადება იწყო ენეასმა, მსწრაფლ ირჯებოდა,
ხელქვეითები დაარიგა, ყველამ სიამით
295

მიიღო მისი ბრძანება და საქმეს შეუდგა.
დიდომ სიცრუე, — სატრფოს ვინ რას გამოაპარებს, —
პირველმა იგრძნო, სამზადისიც და განსაცდელი...
მაგრამ უფრთხოდა სინამდვილეს. უზნეო ჭორმა
უთხრა მრისხანეს, გასაქცევად დგანანო გემნი.
300

ციხე-ქალაქში დედოფალი უმწეო სულით
ილტვოდა შმაგად, ასე თიასს საკურთხეველთან
აცოფებს ხოლმე ორგიები მძლე ბახუსისა
და მოუწოდებს კითერონის გამოძახილი.
ბოლოს ენეასს დედოფალმა მიმართა სიტყვით:
305

„განა შეგეძლო, მოღალატე, მაგ ბოროტების
ჩემგან დამალვა, დატოვება კართაგენისა?
ნუთუ ვერც ტრფობა, ვერც მარჯვენა მოწოდებული,
დიდოც, მოსურნე სიკვდილისა, ვერ შეგაკავებს?
ზამთრის ცის პირზე, ო, სასტიკო, გემებს ამზადებ,
310

ზღვით მიისწრაფვი, აქვილონის ქროლას მიჰყვები...
სხვათა ქვეყანა და უცნობი სასახლეები
რომ არ გეძებნა, კვლავ მდგარიყო ამაყი ტროა,
მღელვარე ზღვაში გაჰყვებოდა ახალ ილიონს?
გამირბი განა? ო, გაფიცებ ცრემლით მარჯვენას, —
315

ბედკრულს ნუგეშად რად არ შემერჩა სხვა არაფერი, —
ჩვენს მჭიდრო კავშირს, ჰიმენეას, ტკბილად დაწყებულს,
თუ რამ სიკეთე გახსოვს ჩემგან, თუ რამ გიყვარდა,
გებრალეობდე, გეაჯები, სახლს ნუ დამინგრევ,
თუ გულში ჩემთვის შეგერჩა კუთხე, დათმე ეგ აზრი!

320

განა შენ გამო არა ვძულვარ ლიბიის ხალხსა,
ნუმიდთა ტირანს და ტვირელებს? შენ შემოგწირე
სირცხვილ-ნამუსი და სახელი ვარსკვლავთ სადარი!
დღეს კი, სტუმარო, სასიკვდილოდ ვისთანა მტოვებ?
ნუთუ აწ შენგან მრჩება მხოლოდ სახელი ქმრისა?

325

რალას ველოდო? დამაქციოს პიგმალიონმა,
ტყვედ წამიყვანოს იარბასმა, გეტულთა მეფემ?
განშორებამდე ჩამსახოდა, ნეტავი, ბავშვი,
ჩემს სასახლეში ეთამაშა ყმაწვილ ენეასს,
და შენი სახე მისგან მაინც მომგონებოდა,

330

თავს არ ჩავთვლიდი დაგმოხილად, გაწბილებულად“.
რაკი ახსოვდა გაფრთხილება იუპიტერის,
ქალს თვალს არ სწყვეტდა, გულში დარდი ძალით ჩაიხშო.
მოკლედ მიუგო: „დედოფალო, მე ვერ უარყვოვ
შენს მადლს, რომელიც შეგიძლია ჩამომითვალო.

335

გწამდეს, ყოველთვის მოვიგონებ ელისას ტკბილად,
სანამ თავს ხსოვნა შერჩენია და სული — სხეულს.
მოკლედ აგისხნი: არ გეგონოს, იმედი მქონდა
უჩუმრად ლტოლვის, საქორწინო შანდალს ვესწრაფე,
ანდა მოვედი აქ ამ ტკბილი კავშირისათვის.

340

ბედმა რომ მომცეს ჩემი აზრით ცხოვრების ნება,
ჩემთა საქმეთა სასურველი შემობრუნება,
მაშინ ძვირფასი ტროისათვის მე ვიბრუნებდი
და ვისურვებდი, რომ მდგარიყო პრიამეს სახლნი
და დამარცხებულთ კვლავ პერგამოსს დაუფუძნებდი.

345

იტალიაში აპოლონმა წასვლა მიბრძანა,
იტალიაში ლიკიუსის მომიხმობს მოგვი.
იქ მელის ტრფობა და მამული. შენ, ფინიკიელს,
თუ კართაგენი და ლიბიის ქალაქი გზღუდავს,
რად გშურს ტევკრთაგან ავზონიის დასაკუთრება?

350

სხვათა სამეფოს მოპოვება გვიბრძანა ღმერთმა.
მამა ანქიზე, ოდეს ღამე დაფარავს მიწას,
ცაზე მთიებნი დასხდებიან მანათობელნი,
მომევლინება, შემაშფოთებს ხოლმე გმანებით.
ასკანიუსსა, პირმშოს ძვირფასს, ხომ დაუვკარგავ

355

სანუკვარ ველებს და სამეფოს ჰესპერიისა!
იუპიტერის მოგზავნილმა ღმერთების მაცნემ,
ჩემსა და შენს თავს გეფიცები — მსწრაფლ ეთერიდან
გადმომცა ღმერთის განჩინება. ნათლად ვიხილე
გადმოსვლა ღვთისა და მესმოდა სიტყვები ცხადლივ.

360

თავს ნუ აღიგზნებ, მეც ნუ დამწვავ შენი სახმილით,
მე ჩემი ნებით როდი მივალ იტალიაში!“
ცერად გახედა მოსაუბრეს გამწყრალმა ქალმა
თავით ფეხამდე, გამსჭვალავი, მდუმარე მზერით
და შემდეგ რისხვით ანთებულმა ასე მიუგო:

365

„არა ქალღმერთმა გაგაჩინა, არცა დარდანუს
გყავდა წინაპრად, მოღალატევ! გშობა კლდოვანმა
კავკასიონმა, ჰირკანელი ვეფხეების ძუძუ
თუ გიწოვია?! აწ უარესს რას ვნახავ კიდევ?
ჩემს გოდებაზე თვალიც კი არ დაახამხამა,
370

ცრემლი არ ღვარა, სატრფო თვისი არ შეიბრალა!
რაღას ველოდე? არც იუნო, არც ღმერთთა მამა
წყალობის თვალით არ შეხედავს აქ მომხდარ ამბავს.
კაცი ვერავის ვერ ენდობა! გაძევებული
მე შევიფარე, უგუნურმა, ჩემს სამეფოში,
375

დავისხენ გემნი და მხლებელნი სიკვდილისაგან!
ო, მწვავს ფურია! აპოლონმა, მისანმა გითხრა,
იუპიტერმა მოგივლინა ლიკიის მოგვნი,
ღმერთების მაცნემ მოგიტანა მკაცრი ბრძანება?
უზრუნველ ღმერთებს შენზე ზრუნვა აღარ ასვენებს!
380

მე არ გაკავებ, არც შენს სიტყვას ვეპაექრები,
გასწი, ეძიე იტალიას სამეფო შენი!
მჯერა, რაც ძალუძს ღვთაებათა მართლმსაჯულებას,
შენ გიბლავს იგი კლდეთა შორის და დიდოს სახელს
ხშირად ახსენებ. შენკენ ვილტვი შავი მაშხალით,
385

და როს სიკვდილი განაშორებს შენს სულს ხორცისგან,
მოგვევლინები ვით აჩრდილი, ვერაგო, დასჯილს!
ო, მე გავიგებ, ჩამოაღწევს სულეთში ცნობა!“
სიტყვა შეწყვიტა, გაეცალა, ზურგი აქცია,
თვალს მიეფარა. მოყმე დარჩა გაოგნებული...
390

თან რიდი ჰქონდა, თან სათქმელიც ბევრი რამ დარჩა.
მხევლებმა ხელში აიტაცეს, დუნე სახსრები
მარმარილოვან სანთიბოს ფარდაგზე დადეს.
სათნო ენეასს ღმობიერი სიტყვებით სურდა,
რომ გაეფანტა მწუხარება საბრალო ქალის.

395

ხშირად ოხრავდა, სიყვარულით სულით ძირიან
აღბორგებული, მაინც ღმერთის ბრძანებას გაჰყვა.
ტევკრებმა იწყეს ყოველი მხრივ სანაპიროდან
მაღალ გემების ჩამოშვება, აატივტივეს.
გაუსხეპავი ჩამოჰქონდათ ხოფი, მორები,

400

რადგან გაქცევას ესწრაფოდნენ.

უნდა გენახა ქალაქიდან ლტოლვილთა დასი, —
თითქოს მარცვლის გუნდს ზამთრის შიშით ჭიანჭველები
მიათრევენო, რომ ბუდეში მოიმარაგონ:

მიცოცავს ველზე შავი მწკრივი და ბალახებში

405

მიათრევს ნადავლს, მიაგორებს მსხვილ მარცვლებს მხრებით.
სხვები მიმავალ მწკრივს, ხანდახან გზად დაყოვნებულს.

წააქეზებენ, დულს ბილიკი მხურვალე შრომით.

რას გრძნობდი, როცა, დედოფალო, ამას ხედავდი?

როგორ ოხრავდი, ოდეს ველი შენი კოშკიდან

410

იხილე ვრცელი, მუშაობით ადუღებული

და ზღვის ნაპირას ჟრიამული, შეხლა-შემოხლა?!

ტრფობავ, მოკვდავთა გულებს რას არ ჩაადენინებ!

კვლავ აიძულებ შეევედროს თვალცრემლიანი,

თვისი ამაყი სული ვნებას დაუმორჩილოს,

415

არა დარჩეს რა განუცდელი აღსასრულამდე!
„ანა, ხომ ხედავ, ზღვის ნაპირზე როგორ ჩქარობენ,
ყოვლგნით მოგროვდნენ, იალქნები ქარს მოეღიან,
მეზღვაურებმა გვირგვინებით შეამკეს კიჩო...
მე რომ წინასწარ განსაცდელი მეგრძნო საზარი,
420

ხომ გავუძლებდი კიდევ, დაო! მაგრამ უბედურს
ერთი თხოვნაღა შემისრულე. ის მოღალატე
შენ პატივს გცემდა და გიმხელდა გულის ხვაშიადს.
ნაზი მოპყრობა და შერჩევა იცოდი დროის.
დაო, ეახლა ჩვენს ამაყ მტერს შესავედრებლად.
425

დანაელთათვის არ აღმითქვამს ავლიდს ტროელთა
მოდგმის მოსპობა, პერგამოსში გემთა გაგზავნა,
მე არ შემოძრავს მისი მამის, ანქიზეს სული.
მაშ, რად არ უნდა ჩემი სიტყვა ისმინოს გმირმა?
სად გარბის? სატრფოს მით აამოს უკანასკნელად,
430

რომ დაელოდოს ზურგქარსა და ჟამსაც ხელსაყრელს.
არ მოვაგონებ წარსულ ტრფობას, მისგან დათმობილს,
არ ვთხოვ მშვენიერ ლაციუმის სამეფო დათმოს.
ცოტა შეეოვნდეს, რომ სიგიჟე განშორებისა
დაცხრეს და ბედმა მიმაჩვიოს ძლეული დარდსა!
435

ამ მოწყალებას გვევდრები, დას შეეწიე
და სიკვდილამდე მადლიერი გიზღავ სანაცვლოს“, —
ასე ევედრა, უბედურ დას მისი ნათქვამი
მიჰქონდა გმირთან, მაგრამ თხოვნამ ვეღარ მოაღბო
და არ დანებდა ენეასი სატრფოს ვედრებას.
440

ბედმა იმძლავრა და ჩაუხშო სიკეთე გულში.
მსგავსად იმისა, ვით ბერმუხას ეჭიდებიან
ალპების მთების ბორეასნი, დაუქროლებენ,
ამოთხრა სურთ და ერთურთს ძალით ეცილებიან;
ირყევა მუხა და ფოთოლი მაღლიდან ცვივა,
445

კლდეს დასჭდობია და ეთერში რაც სიმაღლე აქვს,
იმდენი სიღრმე ტარტარში აქვს ფესვით გადგმული...
გმირიც ასევე შეარყია სატრფოს სიტყვებმა,
ღიადი გული დაესერა დარდს, ხოლო აზრი
არ შერყეულა და ამაო იყო ცრემლები.
450

ბედმა შეაკრთო უბედური დიდო, მოუხმო
სიკვდილს, შესძულდა ცის ზვიადი კამარის მზერა.
ბოლო რომ მალე მოღებოდა, დიაცს ზვარაკი
მიჰქონდა კერპთან, საკმეველთან და რა იხილა, —
თქმაც მიმძიმს, — სითხე უწმინდესი უმაღლ გაშავდა.
455

ღვინო კამკამა გადაიქცა ავბედით სისხლად!
მან არვის უთხრა, არც დას ამცნო, რაც მოეჩვენა.
ტაძარი იდგა სასახლესთან მარმარილოსი —
პირველი ქმრისა. სასოებით უვლიდა ქალი,
როგორც ზეიმზე, ყვავილებით რთავდა მუდამჟამს.
460

იმა ტაძრიდან შემოესმა ქმრის დაძახილი...
ღამის წყვდიადი დედამიწას გადაეფარა,
სხვენზე მღეროდა მიკიოტი სიკვდილის ჰანგებს,
ტირილს უგავდა მკვნესარი და გამყინავი ხმა.
ძველი მისნების სხვა მრავალი სასწაულები
465

შიშს ჰგვრიდა მის სულს. ძილში თითქოს სდევდა ენეას
გაშმაგებული; ხან აკრთობდა ქალს მარტობა,
არვინ არ ახლდა მას, შორეულ გზაზე მიმავალს,
უდაბურ მხარეს ტვირელების საძებრად წასულს...
ასე ხედავდა ევმენიდებს გიჟი პენთევსიც,

470

ეჩვენებოდა მზე ორმაგად, თებეც ორმაგად,
აგამემნონის ძე ორესტეც სცენაზე ასე
გაურბის დედას, ჩირაღდნით და გველებით მდევარს,
მაგრამ ღირები დასასჯელად ზღურბლთან უცდიან.
დარდით დანებდა დედოფალიც სიგიჟეს ასეთს.

475

გულში იზრახა თავის მოკვლა, ხერხი იღონა
და მწუხარე დას დაუმალა განზრახვა თვისი,
ვითომც იმედით უბრწყინავდა სახე და შუბლი:
„ვპოვე გზა ხსნისა, შეგიძლია დას მიულოცო!
ან დავიბრუნებ, ან მის ტრფობას გადავურჩები.

480

საზღვართან ახლოს ოკეანის, სადაც მზე ჩადის,
ქვეყნის კიდებზე ეთიოპთა მხარეა, ცის თაღს
იჭერს ატლანტი, ვარსკვლავებით უხვად დაცხრილულს.
მითხრეს მისანი იქაური, მასილთა მოდგმის,
ჰესპერიდების ტაძრის მცველსა, დრაკონს რომ უვლის,

485

იქვე ხეხილის წმინდა შტოს რომ ფხიზლად გუშაგობს,
გოლეულით და ყაყაჩოთი, ძლისმომგვრელით,
ძალუძს, რომ დარდი ააშოროს თვის რჩეულს ლოცვით,
სხვას კი მიაგოს საბრუნავი აუტანელი,
წყარო შეტბოროს, ვარსკვლავები უკმოაქციოს,

490

ლამის მანები ნაზმანები გამოიწვიოს,
შენს ფეხქვეშ მიწა ააკვნესოს, ხე მთას მოსწყვიტოს!..
ძვირფასო დაო, გეფიცები ღმერთებს და შენს თავს,
ჩემს დას სანუკვარს, გრძნეულების არ მაქვს ხალისი,
მაგრამ სატახტოს შუაგულში და ღია ცისქვეშ
495

ცეცხლი აღაგზნე, საჭურველნი, რომელნიც დარჩა
იმ უსინდისოს, საქორწინო ის სარეცელიც,
მე რომ დამღუპა, ზედ დაადე. მსურს, რომ დაიწვას
ბოროტი კაცის ყველა კვალი, მოგვმაც მირჩია“, —
თქვა და გაჩუმდა, ტურფა სახეს ფითრი მოედო.
500

ვერ მიხვდა ანა, რომ მისი და სიკვდილს ფარავდა
ახალი ხერხით, რომ შეეძლო ასეთ სიგიჟეს
უფრო მოესპო ქალი, ვიდრე სიქევისის სიკვდილს.
მოაწყო ისე, როგორც უბრძანეს.
თვით დედოფალმა, როცა ცის ქვეშ, დარბაზთა შორის
505

ცეცხლი გაჩაღდა ფიჭვისა და მუხის ძელისგან,
გვირგვინით მორთო და შეამკო შემოგარენი
სამგლოვიარო ყვავილებით. საწოლზე დადო
მყოფადის მცოდნემ მოყმის ხმალი და ქანდაკება.
კერპს შემოუდგნენ, თმაგაშლილმა მისანმა სამგზის
510

მოუხმო ას ღმერთს, სამსახოვან ჰეკატეს ქალღმერთს,
ერებუსს, ქაოსს და დიანას სამპიროვანსა.
ასხურა ვითომც ავერნუსის ნაკადის წყალი.
სპილენძის ნამგლით მთვარის შუქზე მოჭრილი ღერო
რძიან ბალახთა — შხამიანი იქვე ეფინა,
515

იქვე დაედოთ კვიცის შუბლზე აჭრილი თია —
დედის უნებურ მონატაცი.

თვითონ დიდო კი წმინდა ფქვილით ბომონს ეახლა,
ფერხთ გაიხადა, ჩამოშალა ტანისამოსი,
ღმერთებს მოუხმო სიკვდილის წინ და ვარსკვლავებსა,
520

მომავლის მცოდნეთ, შეევედრა, თუ მართლა სჯის ღმერთი,
მამ, იზრუნოსო მიჯნურების მტანჯველ ვნებაზე.
ღამე იყო და დაღლილ სხეულთ საამო ძილი
მიწაზე, ტყეში დაეუფლა, ზვირთიც მიწყნარდა.
მნათობთ ზეცაზე ნახევარი გაევილოთ გზისა.
525

იდგა სიჩუმე, ცხოველნი და ჭრელი ფრინველნი,
ტბათა სივრცეზე, თუ ბუჩქებში მიმალულები,
527

მდუმარ ღამეში ჩაიძირნენ უძირო ძილში.
529

მხოლოდ ბედკრულმა ერთმა ქალმა ფინიკიელმა
530

ვერ შეძლო ძილი, არცა გულით უგრძნია ღამე,
ვერ დაცხრა, მძიმე საზრუნავი გაუორკევდა.
გაშმაგდა ვნება და შეიძრა რისხვა მღელვარე.
მის გულს მხოლოდღა ფიქრი ერთი არ ასვენებდა:
„ვაი, ჩემს თავსა! უარყოფილ ძველ საქმაროთა
535

კვლავ მივუბრუნდე და ქორწილი ვთხოვო ნომადებს,
რომელნიც თვით მე დავიწუნე, ვით მამაკაცნი?
ნუთუ გემებს და ტევკრის სურვილს უნდა დავნებდე?
არად ჩააგდეს შემწეობა ძნელბედობისას,
და არც ძველ ამბებს იგონებენ მადლობის გრძნობით.

540

ამაყ ხომალდზე, რომცა მსურდეს, ვინღა მიმიღებს
საძულველ ქალსა? შე საბრალოვ, განა არ იცი
ლაომედონტის მემკვიდრეთა ფიცისმტეხლობა?
რაღა ვიღონო? მართო გავყვე ზღვად მოზეიმეთ,
თუ ტვირელთ რაზმი შემოვკრიბო, სიღონ-ქალაქში —

545

ძლივს რომ დავიხსენ, მათთან ერთად ზღვას მივცე თავი,
ვუბრძანო, რომ ქარს კვლავ მიანდონ თეთრი აფრები?
მოკვდი, ასე ჯობს! და მახვილით განგმირე ტანჯვა!
დაო, პირველად შენ მოგალბო ცრემლმა და უგნურს
უბედურება დამატეხე, მტერს მიმეც მსხვერპლად!

550

ბედმა არ მომცა საქორწინო სარეცლის რიდი,
ველური ჟინის, საჩოთირო საქმის შეხების.
ო, სიქევსის ფერფლს ერთგულება ვერ შევუნახე!“
ქალის მკერდიდან მოხეთქავდა გლოვა ასეთი.
წასვლის იმედით დამშვიდებულს, მაღალ კიჩოზე

555

ეძინა ბელადს. ყოველივე მზად იყო უკვე.
ღმერთის ზმანება, იმავ სახით დაბრუნებული
გამოეცხადა, კვლავ თავიდან გაუმეორა.
ჰგავდა სახითაც მერკურიუსს, ნაამბობითაც,
ოქროსფერ თმებით თუ სიტურფით ნორჩი სხეულის:

560

„ქალღმერთის ძეო, ნუთუ ძალგიძს იძინო ახლა
და ვერა გრძნობდე, თუ რა მძიმე საფრთხე მოგელის?
უგნურო! კეთილ ზეფირუსის ნუთუ არ გესმის?
ქალმა სასტიკი ბოროტება გულში ჩაიდო,
სწყურია მოკვდეს, მრისხანებით დუღს და მღელვარებს.

565

არ წახვალ განა, სანამ კიდევ ძალგის წახვიდე?
მალე იხილავ ზღვას, დაფარულს გემებით, საზარ
ჩირადნის ელვას, მოედება კოცონი ნაპირს,
თუ დააყოვნებ და მოგისწრებს დილის ავრორა.
ისწრაფე-მეთქი, ქალი მიწყევ ცვალებადია!“ —

570

ასე უბრძანა და შავ ღამეს შეერთო ღმერთი.
ანაზდეულმა მოჩვენებამ შეაკრთო გმირი,
ძილი გაუქრა, წამოყარა ამხანაგები:
„ადექით, ძმებო, და სასწრაფოდ ხოფს მოუსხედით,
ჩქარა აუშვით იალქნები! ცით მოვლენილი

575

ღმერთი გვასწრაფებს გაქცევას და ბაგირის ახსნას
კვლავ გვაიძულებს. გემონებით, ღმერთო წმინდაო!
ვინც უნდა იყო, სიხარულით დაგყვებით ნებას.
ო, მეოხ გვეყავ, სათნოვ, უხმე ცად მაღალ მთიებს
სიკეთის ნიშნად!“ — თქვა და იძრო ხმალი ელვარე,

580

გაშიშვლებული რკინით გაჭრა მტკიცე ბაგირი.
ფიცხლავ მიადგა ნიჩბებს ყველა და ზღვას მიენდნენ.
ნაპირს განშორდნენ, დაიფარა ზღვა ხომალდებით.
ზვირთს აქაფებდნენ, მიაპობდნენ ზღვის სილაჟუვარდეს.
კვლავაც ახალი ბრწყინვალეობით მოფინა მიწა,

585

დათმო ტითონის სარეცელი ტურფა ავრორამ.
კოშკიდან ნახა დედოფალმა, როცა ინათა,
რომ გაეშალათ იალქნები ლტოლვილ ხომალდებს,
იგრძნო ნაპირი უკაცურად და ნავსადგომი...
სამგზის, თუ ოთხგზის ღამეებ მკერდზე მჯილი დაიცა

590

და ოქროსფერი თმა გაშალა: „ო, იუპიტერ!
წავიდა უცხო, სამეფოს შემგინებელი, —
ასე თქვა, — განა კვლავ გავუშვებ, რომ საჭურველით
ხელში ჩაიგდონ სხვა ქალაქი და ხომალდები?!
ჩქარა აისხით იარაღი, დასცხეთ ხოფები! —

595

რას ვამბობ! სად ვარ? რა სიგიჟე გიმღვრევს გონებას,
ბედკრულო დიდო, ახლა გიკვირს მისი სიმუხთლე?
კვერთხს რომ აძლევდი, რას ფიქრობდი? თურმე
რას ნიშნავს

მისი მარჯვენა, ერთგულება, ვისაც მშობელი
მხრებზე შეუსვამს, კერპთან ერთად წაუყვანია.

600

მე ხომ შემეძლო ამეკუწა მისი სხეული
და გამეფანტა ზღვის ტალღებზე? ასკანიუსი
მომეკლა, მამის კერძში შვილის ხორცი ჩამედო?
იქნებ საეჭვო ყოფილიყო ბრძოლის სასწორი,
მაგრამ სიკვდილთან მიახლებულს რა შემაკრთობდა?

605

ბანაკს და გემბანს ცეცხლს მივცემდი, შვილსა და მამას
მთელ ტომთან ერთად რომ მოვსპობდი, მეც მოვკვდებოდი!
მზეო, მიწიურ ყველა საქმის მანათობელო,
იუნო, მოწმევ, გასაჭირში შუა მდგომელო,
ჰეკატე, ღამის თემშარაზე რომ შეგცმუიან,

610

მზღველო დირებო, მომაკვდავი ელისას ღმერთნო!
რამე იღონეთ, რაც ეკუთვნის ამ ჩემს ვაებას,
ისმინეთ ჩემი ღაღადისი! თუ ის ბოროტი
კაცი ნავსადგურს, იტალიას უნდა მიადგეს,

თუ ამას ითხოვს განჩინება იუპიტერის,

615

მაინც ეწამოს და ებრძოლოს ხალხს უმამაცესს,
საზღვრით ილტვოდეს, იულუსის ხვევნასაც მოსწყდეს,
ღმერთს შეჰღაღადოს და იხილოს თავისიანთა
საზარი ბოლო. როს მშვიდობას კვლავ ეღირსება,
ვერ დატკბეს ნანატრ სამეფოთი, სიცოცხლით ტკბილით,
620

უწინამც მოკვდეს ქვიშროვანში დაუკრძალავად!
ამ ლოცვას ვიტყვი უკანასკნელს, სისხლდანთხეული...
ტვირელნო! ფესვი და მყოფადი მოდგმა ტროელთა
გძულდეთ მყოვარჯამ, მით ახარეთ აწ ფერთლი ჩემი!
ნურც სიყვარული, ნურც კავშირი ნულარ შეიკვრის!..

625

ჩვენი ძვლებიდან წარმოიშვას შურისმგებელი,
დარდანთ ახალშენს რომ ამოყრის ცეცხლით და რკინით,
ახლა თუ შემდეგ, დრო რომ გავა, ძალაც გაჩნდება:
ხმელეთი — ხმელეთს, ზვირთნი — ზვირთებს, ბექთარი —
ბექთარს!

გაფიცვით: ბრძოლად კვლავ ჩაებას შთამომავლობა!“ —

630

ასე ამბობდა, როს ტანჯული სული ბორგავდა,
სურდა სიცოცხლე საძულველი მსწრაფლ შეეწყვიტა.
მოკლედ ჰრქვა ბარკეს, ქმრის, სიქევსის, მოხუც გადიას
(თავისი ძიძის შავი ნეშტი მამულში დარჩა):

„ანას მოუხმე, ჩემს დაიკოს, ძიძავ ძვირფასო,

635

მალე სხეული განიბანოს მდინარის წყლითა,
რომ განსაწმენდად წამოასხას ცხოველთ ზვარაკი,
მოვიდეს. და შენც მოიხვიე წმინდა მანდილი,

მსურს იუპიტერს, სტიქსის მფლობელთ წმინდა ადათით
მსხვერპლი შევწირო, ვემზადები, როგორც წესია.

640

ამით ცეცხლს მივცემ ჩემს სატანჯველს, თავს დარდანელის“
ასე თქვა. ბებრულ ნაბიჯს დგამდა მოწადინებით
მოხუცი ძიძა... გააშმაგა დიდო ფიქრებმა,
თვალს სისხლი ადგა და უთრთოდა ღაწვები ტურფა,
ფორაჯდაყრილი და სიკვდილის ლოდინით მკრთალი.

645

შმაგად შეიჭრა სავანეში, ანაზღეულად
მიადგა კოცონს და სატევარს დასწვდა დარდანულს, —
ჯილდოს, რომელიც ამისათვის არ მისცემია.
თვალი რომ მოჰკრა ილიონურ სამოსელს ქალმა,
ნაცნობ სარეცელს, შეაყოვნა ფიქრმა და ცრემლმა,

650

საწოლს დაეცა და ესლა თქვა უკანასკნელად:
„ო, სამოსელო, სანამ ნებას მოგვცემენ ღმერთნი,
მიიღე სული, შეაყოვნე ხვედრი საზარი!
რაც ბედმა მომცა განჩინება, მას ვემონები
და პირქუშ ქვესკნელს ვეახლები ფერმკრთალ აჩრდილად.

655

მე დავაფუძნე უტურფესი ქალაქის ზღუდე,
შური ვიძიე ქმრისთვის, ჩემი ძმა კი დავსაჯე,
ო, ბედნიერიც ვიქნებოდი, რომ ჩვენს ნაპირებს
არ მოსდგომოდა დარდანელთა გემი არასდროს!“
თავით ჩაემხო სარეცელში და კვლავ განაგრძო:

660

„შურს ვერ ვიძიებ, მაგრამ ვკვდები... ესეც ტკბილია!
დაე, კოცონი ზღვის სივრცეში ნახოს სასტიკმა
დარდანმა და თან წაიყოლოს სიკვდილის ხატი!“

ესღა თქვა: მხევალთ ნახეს, რკინას ვით წამოეგო,
სისხლმა დაფარა სატევარი, შეღება ხელი,
665

გლოვა მოედო დედოფალის მაღალ დარბაზებს,
და მოეფინა ხმა მთელ ქალაქს, შეძრწუნებულსა.
ააკანკალა სასახლენი ქალთა კივილმა,
კვნესით, გოდებით აგუგუნდა ირგვლივ ჰაერი,
თითქოს განერთხო კართაგენი მტრთა წინაშე,
670

ძველი ტვიროსი, ხოლო ცეცხლმა გადაურბინა
სახლთა სართულებს, მაღალ ტაძრებს და ღმერთთა
თაღებს.

დამ გაიგონა, შიშით, სრბოლით სულშეგებულმა
ლაწვნი ფრჩხილებით, ძუძუები მჯილით აიწვა,
ბრბოში შევარდა და ჰკიოდა დედოფლის სახელს:
675

„თურმე რა გსურდა!.. მატყუებდი, დაიკო, განა?
ამას ნიშნავდა კოცონი და საკურთხეველი?
სიკვდილის მსურველს ხვედრი დისა არად მიგაჩნდა?
მეც რად არ მიხმე ბედთან? ერთად გაგვაქროლებდა
იმავე სატევრის სატკივარი, ჟამიც იგივე!..
680

მე თვით აღვაგე სამსხვერპლო და ხმამაღლივ ვუხმე
მშობლიურ ღმერთებს... მომიშორე, როცა გიჭირდა!..
თავი დაღუპე, მეც დამღუპე, მთელი სამეფოც,
სიდონელებიც... ო, მიმიშვით, წყლით გადავუბან
ჭრილობებს და თუ სუნთქვა ბორგავს უკანასკნელი,
685

დავეკონები ბაგეებით!“ საფეხურებზე
ნახევრად ცოცხალს მოეხვია, მკერდზე მიითბო,

ტანსაცმლით წმენდდა ჩაშავებულს სისხლსა მტირალი.
სცადა აღეხვნა თვალნი დიდომ, მაგრამ მისუსტდა,
მკერდის არეში აშიშინდა იარა მწველი.

690

სამჯერ დაეყრდნო იდაყვზე და ადგომა სცადა,
სამჯერ დაეცა სარეცელზე, ცაში ეძებდა
სინათლეს თვალით და კვნესოდა, რომ მიაგნებდა.
ძნელი სიკვდილი არ უნდოდა იუნოს მისი
და მოავლინა ოლიმპოდან ირისი უმაღლ,

695

რომ დაერღვია სულისა და ხორცის კავშირი.
გინდ ბედით იყოს, გინდა ნებით მისი დაღუპვა,
მაინც ცოდოა, ანთებული უეცარ ვნებით!..
ნათელ კულულებს არა ხსნიდა ჯერ პროზერპინა,
ორკუსს, სტიქსის წყლით მორწყულს, მის თავს არ ანებებდა.

700

ცვარნაპკურები, ცით მოსული ალისფერ ფრთებით,
მზის სხივებისგან ათასფერად მოთინათინე
თავთან დაუდგა მას ირისი: „დისის ზვარაკად
თმა მიმაქვს, ამით ვაცილებო სულს სხეულისგან!“ —
ასე წარმოთქვა, კულულები მოსჭრა, მაშინვე

705

სულ გაქრა სითბო და სიცოცხლე გაფრინდა ქარში.

წიგნი მეხუთე

ამ დროს ენეას მტკიცედ ადგა უკვე შუა გზას,
აქვილონს მიჰყვა, პირქუშ ტალღებს ნიჩბებით კვეთდა.
ქალაქს მოხედა, უბედური ელისას ალით
უკვე აღგზნებულს. რა მიზეზმა ააკაშკაშა, —
5

ვერვინ გაიგო, მხოლოდ ტანჯვამ უარყოფილი
ტრფობის და რისხვამ, რაც მძვინვარე ქალს შეუძლია,
გამსჭვალა ავი წინათგრძნობით ტევკრთა გულები.
გემნი მიეცნენ ზღვის კიდეგანს, მიწა არ ჩანდა,
ირგვლივ ზღვა იყო და მხოლოდღა ცა იყო ყველგან.
10

გემოთ ღრუბელი მოიქუფრა პირწვიმიანი,
ავდრის მომტანი... უკუნეთში აღელდა ტალღა.
პალინურუსმა, მხნე მესაჭემ, მაღალ კიჩოდან:
„ვაჰმე, — შესძახა, — რად დაფარა ღრუბელმა ზეცა,
რას გვერჩი, მამა ნეპტუნუსო?“ ეს თქვა თუ არა,
15

ბრძანა, აფრები დაეშვათ და ხოფს დასწოლოდნენ.

ქარს აარიდა იალქანი. ენეასს უთხრა:
„სათნო ენეას, რომ მირჩიოს იუპიტერმაც,
ვერ გავბედავდი იტალიას გაცურვას ახლა,
ირიბად ურტყამს, ღმუის, უფრო მძლავრად აშლილა
20

დასავლეთიდან ქარიშხალი, ღრუბლებს თავს უყრის.
ძალა არ გვეოფნის მას ვებრძოლოთ, რაკი დაგვძლია
ბედმა, ჯობია, ნებას დავცვეთ, მასვე მივენდოთ,
გზა შევაბრუნოთ, მე მგონია, შორს არ იქნება
ერიქსის მიწა, ნავსადგური სიცილიისა.
25

თუ არ შევმცდარვარ და მთიებნი მახსოვს ნაცნობნი“.
ამაზე სათნო ენეასმა: „მე უკვე ვამჩნევ, —
მიუგო, — ქარებს სხვაგვარ უნდათ, შენ სხვაგვარ მართავ,
რა გაეწყობა, შეაბრუნე ხომალდის გეზი!
უფრო საამო სად მეგულვის მხარე, რომ მსურდეს
30

გემთა მიყვანა, ვიდრე ტროელ აკესტეს მიწა,
თავის წიაღში დამკრძალავი ანქიზეს ნეშტის?“ —
ასე თქვა, მყისვე გაემართნენ და იალქნები
ზურგის ზეფირმა გამობერა, ზვირთზე მიქროდნენ,
შემდეგ ხალისით გადავიდნენ ნაცნობ ქვიშრობზე:
35

ხოლო სერიდან შეეგება მეფე აკესტე
მეგობრულ გემთა მოვლინებით განცვიფრებული.
ხელთ ეპყრა შუბი, მხრებზე დათვის ტყავი აესხა.
ტროელმა დედამ კრინიზუსის წყალით ჩასახა
და შვა აკესტე. წინაპრები არ დაივიწყა,
40

მოსულთ დაუხვდა და გულლიად გაუმასპინძლდა,

სუფრის სიუხვით აამებდა დაღლილ მეგობრებს.
როს დადგა დილა მშვენიერი, აღმოსავლეთით
ჩაქრნენ ვარსკვლავნი, ენეასმა ყოველი მხრიდან
მოუხმო მეგზურთ, სერზე მდგომმა ასე მიმართა:

45

„ო, დარდანელნო, მართლმორჭმულნო! ღვთაებრივ სისხლით
წელიწდეული წრე შეიკრა წარსულ თვეებით,
რაც ღვთაებრივი მამის ნეშტი და ძვალნი მისნი
მიწად დავკრძალეთ და ბომონნი აღვუგეთ სევდით.
თუ არა ვცდები, ჟამი დადგა, რომელს მწუხარე,

50

თქვენი სურვილით, ო, ღმერთებო, წმიდად დავიცავ!
გეტულთ სირტებშიც რომ მამყოფა გადახვეწილი,
ან არგოლიკის ზღვაში ვიყო, ტყვე მიკენისა,
მაინც ფერხულით წმიდა აღთქმას აღვასრულებდი,
სამსახვერპლოებს კი ჩემი ძღვენით დავამძიმებდი.

55

მით უფრო, ვდგავარ მამაჩემის ძვლებთან და ფერფლთან!
ჩვენ არ მოვსულვართ, ვგონებ, ღმერთთა ნების გარეშე,
ღვთის შთაგონებით მოვადექით მეგობრულ ნაპირს.
ამიტომ მალე ვიზიემოთ ანქიზეს ხსოვნა!

ქარებს ვევედროთ, მამას ზორვა წელიწდეული

60

მისი სურვილით აღვუსრულოთ მაღალ ტაძრებში.
წყვილ ხარს აკესტე დაურიგებს, ტროას შობილი,
ჩვენს გემს თვითეულს, პატივი ვცეთ ძვირფას პენატებს,
აგრეთვე კერპებს, თაყვანებულს აკესტეს მიერ!

მეცხრე ავრორა ოდეს უძღვნის დღეს ამაღლებულს

65

მოკვდავთ და მიწას გადაფარავს ღრუბლის ფთილებით,

მოვაწყობ ტევკრთა ხომალდების მარჯვე მარულას,
ვინც ფეხმარდია, გამოჩნდება, ვინც მამაცია,
ანდა ოროლის ტყორცნა უყვარს და მჩატე ისრის,
არ ემინია შიშველ ხელით მუშტი-კრივისა,
70

ყველა მოვიდეს და ელოდეს საჩუქრად პალმას,
ილოცოს ყველამ და მოირთოს შუბლი შტოებით!“ —
თქვა და მოირთო საფეთქლები დედობრივ მირტით,
თავი შეემკოთ ჰელიმუსს და ჭარმაგ აკესტეს,
ყრმა ასკანიუსს და დანარჩენ ახალგაზრდობას.
75

შემდეგ გაუძღვა ენეასი დასს ათასიანს,
გამცილებელთა დიდ კრებულით და ადათ-წესით
ილოცა, ორი თასი, სავსე წმიდა ბახუსით,
მიწას ასხურა, ორი რძეში, ორი კი სისხლში
ნაფერი ვარდი დააყარა და ასე ბრძანა:
80

„სალამი, მამა, უნაყოფო ნეშტო მამისა,
სალამი, სულო და წმიდაო აჩრდილო! ვაგლახ,
არ მიწერია სანეტარო იტალია და
ავზონთ ტიბრისი ვინახულო მე შენთან ერთად!“ —
თქვა და იმავ დროს კერპის ქვემოთ გველი გამოძვრა,
85

შვიდი წრე შეკრა უზარმაზარ შვიდი გორგალით,
მშვიდად მოსალტა სერი, კვერთხთან მიცურებულმა.
ლურჯი ლაქები ჰქონდა ზურგზე და უელავდა
ქერცლი ოქროსი, თითქოს ისვრის ცისარტყელაო
ფერს ათასნაირს, როს მზე უდგას საპირისპიროდ.
90

გაოცდა გმირი ენეასი, ამის მხილველი.

გველი გაცურდა და ფიალებს შემოუარა,
ნუგბარს გადასწვდა და უწყინრად ისევ ჩაეშვა
სერის წიაღში, მსხვერპლის მხოლოდ გემო მოსინჯა.
ხოლო ენეას განაგრძობდა დაწყებულ ზეიმს,
95

მას ვერ გაეგო, ის ადგილის იყო გენია,
თუ მამის მონა? შემდეგ დაკლა ცხოვარი წყვილი,
ღორიც, მოზვერიც იმდენივე, შავზურგიანი.
ღვინო ასხურა თასებიდან და ანქიზეს სულს
მოუხმო, მანებს მოუწოდა აქერონტიდან.
100

ამხანაგებიც მხიარულად ძღვენს მოათრევდნენ,
ბომონს ტვირთავდნენ, ხოლო სხვები მოზვრებსა კლავდნენ,
კარდალებს დგამდნენ, ნახშირებზე შამფურს აწყობდნენ,
ზვარაკეულის შიგნეული აეგოთ ზედა.
დადგა დათქმული დღე სისხამი და მოელვარე
105

მეცხრე ავრორა ფაეთონის რაშებს გამოჰყვა.
ხალხი მოყარა ხმამ, აკესტეს დიდმა სახელმა
და სანაპირო ბედნიერთა დასით აივსო.
სურდათ ეხილათ ენეანნი. ზოგი მათგანი
შესარკინებლად მოემზადა, ძღვენი დააწყვეს
110

ბომონისათვის — სამფეხები და გვირგვინები,
ჯილდოდ — პალმები, საჭურველი და ძოწეული,
ტანსამოსელი, ტალენტუმი ოქროს და ვერცხლის.
ბუკმა აუწყა დასაწყისი ასპარეზობის.
შეჯიბრი იწყო თანაბარმა ოთხმა ხომალდმა,
115

მძიმე ხოფებით აღჭურვილმა. სწრაფმსროლ „ხერხთევზას“

მნესთევს მიუძღვის. იგი მალე იტალიელი
და წინაპარი უნდა გახდეს მემიუსისა.
გიასს ვეება, უმძიმესი მიჰყავს „ქიმერა“ —
ციხის სადარი. მეხოფურნი სამ მწკრივად სხედან
120

და სამ რიგადვე ხოფი მალლა აღიმართება.
სერგესტუს (მისგან სახელს იღებს სერგიანთ მოდგმა)
„კენტავრუსზე“ დგას, ლურჯ „სკილაზე“ მიქრის კლოანტუს
(მის სახელსა ფლობ, რომაელო კლუენციუსო!).
შორს კლდე დგას ზღვაში, ქაფიანი ხმელეთის წინა,
125

ეხეთქებიან აქოჩრილი ტალღები ნაპირს.
ზამთარში ვარსკვლავთ ჩრდილოეთის ქარბუქი ფარავს,
როს სიწყნარეა, უძრავ ზვირთზე ვაკე ამოდის —
პაპანების დროს თოლიების მშვიდი სავანე.
იქ ენეასმა მუხის ტოტი ხშირფოთლოვანი
130

ნიშნად დაუთქვა მეზღვაურებს, რომ შემოევლოთ
და ვრცელი სრბოლა მოერკალათ მწვანე მეტასთან.
წილი ჰყარეს და ბელადები დადგნენ კიჩოზე,
ძოწეულში და ოქრომკედში აელვებულნი;
ალვის შტოების გვირგვინებით მოირთნენ ყრმანი,
135

ზეთით დაბელილთ აუბზინდათ შიშველი მხრები.
დასხდნენ მერხებზე, გაუწვდინეს ხელები ხოფებს,
ელოდნენ ნიშანს, გული ძგერდა მომავალ სრბოლის
მოწადინებით და სიხარბით ქება-დიდების.
დასცა მჭექარე ხმა საყვირმა და მეყსეულად
140

წამოიშალნენ, ეთერს გასწვდა მძლავრი ყიჟინა

და ზღვა აქაფდა შორს გაწვდილი მათი ხელისგან.
ტალღებსა ჰკვეთდნენ და ხოფებით სულ გადაიხნა
ზვირთები ზღვისა, გაპობილი ხომალდთა წვერით.
დოღში ეტლები ასე მარდად როდი მიჰქრიან,
145

წყვილი რაშებით გამოჭრილნი ცხენთსარბიელზე.
მხედრებს სადავე მიუშვიათ, წინ გადახრილნი
თითქოს ჰკიდიან დასარტყმელად შემართულ მათრახს.
მთელს ტევრს მოედო ტაშისცემა, მამაცთ ყიჟინა,
კეთილმოსურნეთ შეძახილი — მთელს სანაპიროს.
150

ირგვლივ სერები გააყრუა ხმების გუგუნმა.
ყველას გაასწრო, გასრიალდა ზღვაზე გიასი,
უკან მისდევდა კლოანთუსი კვალდაკვალ გიასს.
თუმც მძლავრი ჰქონდა მას ხოფები, მაგრამ უშლიდა
ტვირთის სიმძიმე. მოჰყვებოდნენ უკან თანაბრად
155

„ხერხთევზა“, იქვე „კენტავრუსი“, ერთურთს ასწრებდნენ.
ხან წინ მოექცა „ხერხთევზა“ და ხან „კენტავრუსი“,
ხან კი ორივე მოღუნულ წვერს ერთურთს ახლიდა
და მიარღვევდნენ მარილიან ზვირთებს თანაბრად.
კლდეს რომ მიადგნენ, როცა უკვე მეტას აღწევდნენ,
160

გამარჯვებულმა, მეწინავე გიასმა მყისვე
გემის მესაჭეს მიაძახა, განთქმულ მენეტეს:
„რატომ მიგყავარ ახლა მარჯვნივ? აქეთ მომართე,
ნაპირისაკენ, ქვებს შეეხო მარცხენა ხოფი,
ზღვის შუაგულში სხვამ გაცუროს!“ მაგრამ მენეტეს
165

ფარულ მეჩქითა შიში ჰქონდა, ზღვისკენ შებრუნდა.

„საით, მენეტევ, მიაბრუნე კლდეებისაკენ!“ —
კვლავ თქვა გიასმა, ამ დროს მოჰკრა თვალი კლოანთუსს,
რომელიც მის კვალს მოჰყვებოდა და ეწეოდა.
გიასის გემს და კლდეებს შორის დარჩენილ გზაზე
170

მოქროდა იგი, მეწინავეს მალე გაასწრო,
მეტა დატოვა და უწყინარ ზღვისკენ წავიდა.
მოყმეს აენთო ძვლებში დარდი და სიმწრისაგან
ცრემლი დასდინდა, მოუხეშავ მენეტეს მოსდგა,
დათმო ზრდილობა და მეგზურთა უსაფრთხოება,
175

მაღალ კიჩოდან აქაფებულ ზღვაში ისროლა.
დადგა სატყესთან — თვით მესაჭე, თვით მეთაური.
ხალხს აქეზებდა, გემს იღებდა ნაპირისაკენ.
ბებერ მენეტეს გაუჭირდა ზღვიდან ამოსვლა,
წყლით დამძიმებულს, ტანსაცმელი დასველებოდა,
180

კლდის წიბოს მისწვდა და მშრალ ლოდზე აფოფხდა შემდეგ.
ჯერ მოცურავეს დასცინოდნენ ხმამაღლივ ტევკრნი,
ახლა კი მლაშე წყლის მნთხეველი სულ მთლად აიგდეს.
ორ ჩამორჩენილს კვლავ იმედი გულს ჩაესახა —
სერგესტუსს, მნესთევსს, დაეჯაბნათ, სურდათ, გიასი.
185

გემი აიღო სერგესტუსმა და კლდეს მიადგა.
მაგრამ გაასწრო მხოლოდ გემის მცირე ნაწილით,
რადგან „ხერხთევზა“ თვისი ჭვინტით გზას არ აძლევდა.
მაგრამ როდესაც გაიარა მხლებელთა შორის,
მნესთევსმა უხმო: „დააწექით ხოფებს, მოყმენო,
190

ჰექტორის გმირნო, ტროის ბოლო დღეებში მე რომ

ამხანაგებად აგიყვანეთ! აჩვენეთ ძალა,
გეტულთ სირტებში, იონიის ვეება ზღვაში
და მალეასთან ზვირთთან ბრძოლის გამოჩენილი!
არ ველი ჯილდოს, გამარჯვებას. ნეტამც, შემეძლოს!

195

ნეპტუნუს, ვისაც შენა სწყალობ, მან გაიმარჯვოს!
სულ ჩამორჩენა სირცხვილია, ეს ამაცდინეთ,
მოქალაქენო!“ და ისინიც ძალას იკრეფდნენ,
კიხო სულ თრთოდა, მოსალტული სპილენძის სალტით,
ძირს რბოდა წყალი, დაეხუთათ შრომით სახსარნი,

200

გაუშრათ პირი, გამოსცვარა ოფლის ღვარებმა.
შემთხვევამ მისცა სასურველი დიდება მამაცთ:
გულადგზნებულმა სერგესტუსმა კლდისკენ მიმართა
ხომალდის წვერი, უხეირო ადგილი შეხვდა
და საცოდავად გაეჩხირა მეჩხერ ლოდებში.

205

შეიძრნენ კლდენი და ნიჩაბნი წამახულ ტანზე
უმაღ დაიმსხვრნენ, გემმა ცხვირი მალლა აღმართა.
მეზღვაურები აიშალნენ, ყიჟინა დასცეს,
მყის მოათრევდნენ წვერწამახულ სპილენძის ბარჯებს
და ზღვის ტალღებში აგროვებდნენ ნიჩბებს დამსხვრეულს.

210

ხოლო მნესთევსმა, წარმატებით აღტაცებულმა,
ხოფებს მოუსვა და ზურგქარის იმედით ზღვაში
სწრაფად გაცურდა, გაშლილ ტალღებს მიანდო გემი.
როგორც მღვიმიდან მიქრის მტრედი შეშინებული,
ბუდე რომ უდგას, დაჩვრეტილი ქანით ნაგები,

215

შეშინებული დაფრთხილებს ჯერ თავის ბუდეს,

შემდეგ შორდება და ზეცაში რომ აიჭრება,
შეერთვის ჰაერს გამჭვირვალეს ფრთების ფარფატით, —
ასე მნესთევსი და „ხერხთევზა“ ტრიდნენ ზღვის ტალღებს,
თითქოს ფრინავდნენ, შეჯიბრებით ასწრათებულნი.

220

ჯერ სერგესტუსი მოიტოვა, რომელიც კლდესთან
კვლავ ცოდვილობდა და ამაოდ ითხოვდა შველას,
გადატეხილი ხოფებით რომ კვლავ სურდა სრბოლა.
გიასს გაასწრო და ვეება „ქიმერას“ შემდეგ,
რომელსაც უკვე აღარ ჰყავდა მარჯვე მესაჭე.

225

დარჩა მხოლოდლა კლოანთუსი, მას გაეკიდა,
დაძაბა მთელი თვისი ძალა და დაეწია.
კვლავ გაძლიერდა შეძახილი და აქეზებდნენ
მღევარს ყველანი, ჰაერს ფლეთდა ხმების გუგუნი.
რა ფასი ჰქონდა მეწინავეთ მოწადინებას,

230

თუ დაკარგავდნენ მოპოვებულს? თავს არ ზოგავდნენ.
მღევნელთაც სურდათ წარმატება, რწმენით მოსილებს.
შესაძლო არის, დასწეოდნენ, მიეღოთ ჯილდო,
რომ არ აღეპყრო თხოვნით ხელნი კლოანთუსს ზღვისკენ,
ლოცვა არ ეთქვა, ღმერთნი ზორვად რომ არ მოეხმო!

235

„ღმერთნო ზღვათანო, ვის წიაღშიც მე შევიტყერი,
ხმელზე რომ გავალ, სიხარულით თეთრ მოზვერს
მსხვერპლად

კერპთან მივიყვან, აღთქმას ვდებ, რომ მის შიგნეულს
ზღვაში ჩავყრი და მორაკრაკე ღვინოს ვასხურებ!“

მისი ნათქვამი ნერეიდთა დასმა ისმინა,

240

ფორკუსმა, მასთან პანოპეა ქალწულმაც — ფსკერზე;
ხოლო ძლიერი ხელით მისწვდა გემს პორტუნუსი;
მაგრად მიაწვა, ფრთოსანი ისარს და ქარს გაასწრო,
მიწას მიადგა, ღრმა ყურეში შევიდა გემი.
ანქიგეს შვილმა წესისამებრ ყველას მოუხმო.

245

და მაცნეს პირით კლოანთუსი გამოაცხადა
გამარჯვებულად, მწვანე დაფნით შეუმკო შუბლი.
გემთა საჩუქრად მან სამ-სამი ხარი გაიღო,
ღვინო და ვერცხლის ტალანტები თან გააყოლა.
განსაკუთრებით მეთაურნი დააჯილდოვა.

250

ოქროს ქლამიდი გამარჯვებულს ერგო, გარშემო
მას ორხაულად ძოწი სდევდა მელიბეური,
ზედ მოექარგათ უფლისწული, მაღალ იდაზე
ბასრი ოროლით რომ მისდევდა ირმებს ფეხმარდებს,
თვითონაც სული შეხუთვოდა, იუპიტერის

255

ფრინველს ზეცაში აეტაცა მრუდე ჭანგებით.
ძველნი გუშაგნი ზეცისაკენ ხელს აღაპყრობდნენ
და ნაგაზებიც შეძრწუნებით შეჰყეფდნენ ზეცას...
ვინც სიმაძაცით მოიპოვა მეორე ჯილდო
მას მისცა გლუვი, სამმაგ ძაფით ასხმული თორნი,

260

რომელიც ახსნა დემოლეოსს, როს დასცა იგი
სწრაფ სიმოისთან, ქედმაღალი ტროის მახლობლად,
რომ საბრძოლველად გმირს ჰქონოდა და სამკაულად.
მსახურთ აიღეს — ფეგეუსმა და საგარისმა
თორნი, კუნთები დაეძაბათ, დემოლეოსს კი

265

ოდესღაც ეცვა და მისდევდა გაფანტულ ტროელთ.
მესამე ჯილდოდ მიიჩნია წყვილი ფიალა,
შესანიშნავად მოჭედილი ვერცხლის ზოდებით.
გამარჯვებულნი ამაყობდნენ მდიდრულ საჩუქრით,
კოხტად შეემკოთ საფეთქლები ძოწის თავსაკრით.

270

ძლივს იხსნა თავი კლდეებისგან და ოსტატურად,
უნიხბოდ, ფერდებმონგრეული მოჰყავდა გემი
სერგესტუსს, ასე დამარცხებულს და ყბადაღებულს.
როგორც აგდია გზაზე გველი, რომელს ზემოდან
გადაუარა ბორბალმა, ან გამვლელმა დარტყმით

275

ცოცხალ-მკვდარი და დამტვრეული გზაზე დატოვა
და ტანს ამოდ გასაქცევად იწვდის და კლავნის,
მხოლოდ ნაწილი ბრავობს მისი თვალანთებული,
თავს სწევს სისინით, ნაწილი კი ნაიარევი
უშლის ხვეულებს გაშლასა და წინ გაცოცებას, —

280

ასე ნელ-ნელა მოცურავდა ხომალდი ზღვაში,
აფრავაშლილი ძლივს მიაღვა მყუდრო შესართავს,
ჯილდოს აძლევდა ენეასი სერგესტუსს აღთქმულს,
გახარებული გემისა და მეგზურთ სიმრთელით.
მხევალი ქალი, გაწაფული მინერვას საქმით,

285

კრეტელი, ტყუპი ვაჟის დედა, ფოლოე მისცა.
შემდეგ დატოვა ენეასმა საასპარეზო,
ხუჭუჭა მთებით გარშემორტყმულ ველზე მივიდა.
ირგვლივ ტყე იყო, ხოლო დაბლა, როგორც თეატრი,
რკალი — მინდორზე. გმირი ათას მხლებელთან ერთად

290

შევიდა შიგნით. ჩამომჯდარმა მოუხმო ყველას,
ფეხმარდ სირბილში ვისაც სურდა თავის გამოცდა,
ხალხს აქებებდა, გამარჯვებულთ უდგენდა ჯილდოს.
მოგროვდნენ ტევკარი, სიკანელნიც მოვიდნენ უხვად,
პირველად — ნიზუს და ევრიალუს.

295

ბრწყინავს სიტურფით ევრიალუს, ჭაბუკურ გზნებით.
ბიჭთან დგას მისი მოყვარული ნიზუსი, შემდეგ
მოდის დიორე, ჩინებული პრიამეს გვარის,
სალიუს, შემდეგ გმირი პატრონ, ერთი მათ შორის
აკარნელია, მეორე კი არკადიელი.

300

ტრინაკრიელნი — ჰელიმუსი და პანოპესი —
მოხუც აკესტეს მეგზურები, ტყედ გაჩვეულნი.
კიდევ მრავალი, მკრთალ დიდებას რომ დაუმაღავს.
ბოლოს მიმართა ენეასმა შეკრებილ მოყმეთ:

„გულით მიიღეთ, სიხარულით აღბეჭდეთ ცნობა,

305

რომ უბოძვარი არ დარჩება თქვენ შორის არვინ.
გნოსურს, ელვარეს, წყვილ შუბს, მჭრელი რკინით წამახულს
ვუბოძებ, ვერცხლით მოოჭვილსაც — მახვილს ორლესულს,
ყველას ერგება! ჯერ პირველ სამს მივაგებ ჯილდოს
და შუბლს შევუმცობ ზეთისხილის ლამაზ შტოებით:

310

პირველს ერგება მოკაზმული ტურფად მერანი,
ამაძონური კაპარჯი — სხვას, თრაკიულ ისრით
სავსე, მორთული ოქროჭედით, ფართო ქამარი,
რომელს ბალთაზე აზის თვალი პატიოსანი.
მესამეს ერგოს მუზარადი არგოლიკური“.

315

როცა ესა თქვა, დაიკავეს ადგილი სწრაფად.
ნიშანი მისცეს, მწკრივში დადგნენ, დატოვეს ზღურბლი,
მოსწყდნენ, ვით წვიმა, ყველა მიზანს მისჩერებოდა.
სხვებს გამოეყო, წინ გაიჭრა პირველად ნიზუს,
ქარზე უმაღლეს, ელვის ფრთებზე უსწრაფესადრე.

320

კვალში ჩაუდგა სალიუსი, თუმცა მანძილი
ვერ შეამცირა. მათ შემდეგ კი მესამე იყო
ევრიალუსი.
შემდეგ ჰელიმუსს დიორესი მოჰყვა კვალდაკვალ,
ლამის სწვდებოდა, ფეხი მის ფეხს მიეხლებოდა.

325

მხრით აწვებოდა, მეტი სივრცე თუ ექნებოდა,
დასძლევდა, ან ცდას გაუხდიდა საეგებიოდ.
თითქმის მიეჭრნენ უკვე საზღვრის ბოლოს ყველანი,
სრბოლით დაღლილნი, როცა ნიზუსს ფეხი დაუცდა
მინდორში, სადაც უხვად იყო მოზვრების სისხლი,

330

მიწა და მოლი ამოზრდილი რომ დაეთხვარა.
გამარჯვებულმა მოზეიმე მოყმემ ვერ შეძლო
ამ სველ მიწაზე შემაგრება, გაშლით დაეცა
ბინძურ ნაგავში და მოზვერთა სისხლში პირდაღმა.
მაგრამ არ დათმო სიყვარული ევრიალუსის,

335

წამოდგა სველი, შესახვედრად დახვდა სალიუსს,
ფეხით დაუდო, ისიც დასცა ნაყარ მიწაზე.
ევრიალუსმა გაიქროლა მოძმის შეწევნით,
სწრაფმსრბოლელს გაჰყვა თანაგრძნობის დიდი ყიჟინა.
შემდეგ ჰელიმუს, და მესამედ დიორეს მოჰყვა.

340

მაშინ კრებულს და უხუცესთა დასს შემოსჩივლა
აცრემლებულმა სალიუსმა, ღირსების დაცვას
ითხოვდა გმირი ცბიერებით მიტაცებულის.
ხალხს ევრიალუს მოეწონა: ცრემლიც შვენოდა,
რაც ეშხით ბრწყინავს, მით უფრო სჯობს გამარჯვებული!
345

მოცმეს იცავდა დიორესიც თავგამოდებით:
ის უკანასკნელ ჯილდოს სულაც ვერ მიიღებდა,
სალიუსი რომ პირველ ჯილდოს დაუფლებოდა.
მაშინ თქვა მამა ენეასმა: „თქვენი ჯილდონი
სწორია, ყრმანო, ვერ დავარღვევთ მათ რიგს, ოღონდაც
350

შემნანებია შემთხვევითი დაცემა გმირის“.
თქვა და სალიუსს ლომის ტყავი არგუნა ჯილდოდ,
ხშირი ბალნითა და ოქროვან ჭანგით მოსილი.
მაშინ ნიზუსმა: „დამარცხებულთ ჯილდოს თუ აძლევ,
და მათ დაცემას ასე წუხხარ, — უთხრა, — რა ჯილდოს
355

მისცემდი ნიზუსს, რომელს დაფნა უნდა მიეღო
მას, ვით სალიუსს, ბედი რომ არ გამტყუნებოდა?“
მან ამ სიტყვებთან ერთად თვისი სახე, სხეული
აჩვენა ნეხვში ამოსვრილი. კეთილმა მამამ
ბრძანა, მიერთვით ნახელავი დიდიმანონის,
360

ნეპტუნუსის ბჭეს რომ ჩამოხსნეს დანაელებმა.
მშვენიერ მოცმეს მან უბოძა ეს საჩუქარი.
როს მორჩა სრბოლა, საჩუქრებიც დარიგდა უკვე,
თქვა ენეასმა: „ვისაც ერჩის გული და ღონე,
დაე, მოსინჯოს მუშტად შეკრულ მტევნების ძალა“.
365

ეს თქვა და მებრძოლთ დაუნიშნა ორგვარი ჯილდო:
მძლეველს — მოზვერი მოკაზმული ოქროთი, ბაბთით,
ძლეულს — მახვილი და ჩაჩქანი დასამშვენებლად.
მყისვე წამოდგა მხნე დარეტი, ღონით განთქმული,
სახე აჩვენა. მოწონების ხმები დაირხა.

370

იგი პარისტან შერკინებას იყო ნაჩვევი
იმ ბორცვზე, სადაც განისვენებს დიდი ჰექტორი.
მან სძლია ბუტეს, ახოვანსა, რომ ამაცობდა
ამიკუსისგან მომდინარე ბებრიკულ მოდგმით,
ყვითელ ქვიშაზე მომაკვდავი პირქვე გაშალა.

375

კრივში პირველმა გამოიღო თავი დარეტმა,
მხრების სიმძლავრე აჩვენა და ორივე ხელნი
რისხვით ჰაერში რიგრიგობით მიმოიქნია.
მეტოქეც იყო საჭირო და ვერ კი ბედავდნენ
ამ კაცთან გასვლას, ხელთათმანით შეკვრას ხელების.

380

ყრმამ მიიჩნია, რომ უთმობდნენ მას გამარჯვებას,
არ დააყოვნა მისულიყო ქველ ენეასთან,
რქაზე უტაცა ხარს მარჯვენა და დაიძახა:
„ქალღმერთის ძეო, როცა არვინ გამოდის კრივში,
სანამდე უნდა ვიდგე აქა ასე უაზროდ?

385

ჯილდო მომეცი!“ დარდანელნი ერთხმად დათანხმდნენ,
რომ, რაც დაპირდნენ, მიესაჯათ მამაცისათვის.
მამინ აკესტემ საყვედურით უთხრა ენტელუსს,
გვერდით რომ იჯდა მწვანე მოლზე მშვიდად,
ფეხმორთხმით:

„ენტელუს, წინათ გმირთაგმირი იყავ ამაოდ?

390

ნუთუ მოითმენ დამშვიდებით, რომ უბრძოლველად
წაიღოს ჯილდო? სადღა გაქრა ერიქსის რჩევა,
ძველი დიდება, ტრინაკრიას რომ მოსდებია?
ან საჭურველი განა სახლში არ გეგულებათ?“
მან კი მიუგო: „არ გამქრალა დიდება შიშით,

395

მხოლოდ სიბერემ გამოაშრო აწ სისხლი ცივი
და მოდუნებულ სახსრებს ჩემსას ძალა ელევა...
თუ კიდევ ცოტა, რაცა მქონდა და რითაც ახლა
ასე ამაყობს ეს თავხედი, შემრჩა ყრმობისა,
არა საჩუქრის ხათრით გავალ, არა მოგვერის!

400

მე არ მიზიდავს საჩუქრები!“ — ეს თქვა თუ არა,
ხელთამანები გადმოაგდო დიდი წონისა,
რომლით ერიქსი მიდიოდა ბრძოლაში ხოლმე
და მოიკრავდა ხელს სასტიკი, უხეშ ღვედებით.
ყველა გაოცდა. შვიდი ღვედი ეგდო ტყავისა,

405

ტყვიით შეწნული და შეკრული უდრეკი რკინით.
იდგა დარეტი ნირწამხდარი, კრივს გაურბოდა,
სათნო ენეას, ანქიზეს ძე მისჩერებოდა
მძიმე ხელთათმანს, ნატყელობას თვალით ზომავდა.
მაშინ მოხუცმა მკერდით სიტყვა აღმოუტევა:

410

„ვისმე უხილავს ჰერკულესის მძლე საჭურველი,
მძვინვარე ბრძოლა წინათ აქვე, სანაპიროზე?
შენი ძმა ფლობდა ამ იარაღს, ერიქსი, ხედავ?
აქამდე შხეფი შერჩენია სისხლის და ტვინის.
თვით დიდ ალკიდეს შეერკინა! მეც მივეჩვიე,

სანამ მაძლევდა სისხლი ძალას საუკეთესოს,
 სანამ სიბერემ საფეთქლები არ გამითეთრა.
 რადგან დერეტი უკუაგდებს ამ ჩემს იარაღს,
 თუ ეთანხმება ენეასიც, თვითონ აკესტეც,
 ბრძოლის მოთავე, მე ერიქსის ტყავს გადავაგდე,
 420

ნუ შიშობ! შენ კი ხელთათმანი დათმე ტროული!“ —
 ეს თქვა და მხრიდან გადმოიგდო წამოსასხამი,
 გამოაჩინა მხარ-მკლავები, მძლავრი კუნთები
 და ასპარეზზე ბუმბერაზი წამოიმართა.
 ანქიზეს შვილმა თანაბარი ორი ხელჯაგი
 425

გამოიტანა, გაუმაგრა მებრძოლებს ხელნი.
 ფეხის ცერებზე აიმართნენ, ორივე გმირმა
 მყისვე აღაპყრო გულუშიშრად ჰაერში ხელი,
 დარტყმისგან უკან გადასწიეს თავები სწრაფად,
 ხელი ხელს მოხვდა და აღაგზნეს ერთურთი ბრძოლით.
 430

ერთი მძლე იყო ფეხმარდობით, ყრმობის იმედით,
 მეორე მძლავრი აღნაგობით, თუმცა მუხლები
 უთრთოდა, სხეულს უბორკავდა სულხუთვა მალე.
 მრავალგზის ერთურთს მამაცები ურტყამდნენ ძლიერ,
 ფერდზე ხვდებოდათ და ძალუმი მათი მკერდები
 435

ხმას გამოსცემდნენ, საფეთქლებთან ხეტილობდნენ
 მძიმე მუშტები, იმსხვრეოდნენ დარტყმისგან ყბები.
 ურყევად იდგა ენტელუსი, მთელი სხეულით,
 მახვილი თვალით ხერხიანად იცდენდა დარტყმებს.
 მეტოქე ჰგავდა ციხე-კოშკზე მოიერიშეს,

440

ან იარაღით მთის მწვერვალზე ჩასაფრებულსა,
ხან აქ, ხან კი იქ რომ დაეძებს მისადგომ ადგილს,
მარდად გადივლის მანძილს, დამხვდურს ამაოდ უტევს.
მარჯვენა მარდად ენტელუსმა მტერს მოუღერა,
მაგრამ წინასწარ მიხვდა საფრთხეს ცბიერი მოყმე,
445

მყის გააცალა საშიშ დარტყმას მარდი სხეული.
ჰაერს ამაოდ მიეხარჯა მოხუცის გარჯა,
ანაზღეულად ენტელუსი დაასკდა მიწას,
ასე ასკდება ერიმანთუსს ან იდას მწვერვალს
მოხუცი ფიჭვი, ამოთხრილი ძირფესვიანად.
450

ტევკრნი წამოდგნენ თანაგრძნობით, ტრინაკრიელნიც,
ცამდე ავიდა ხმა, აკესტე გმირს მიეშველა,
წამოაყენა თანატოლი. მაგრამ დაცემით
როდი შემკრთალა გმირი, ძალა როდი გასცლია.
ბრძოლად ჩაება, ძალა მისცა რისხვამ მძვინვარმა.
455

სირცხვილმა, თანაც სიმამაცის შეგნებამ იგი
უფრო აღაგზნო, გამოენთო გაქცეულ დარეტს,
უხშირა დარტყმებს ხან მარჯვენით, ხანაც მარცხენით,
შეუსვენებლად. როგორც სეტყვა დიდძალ მარცვლებით
ატკაცუნებდა სახურავზე, ასევე გმირმა
460

ხშირად დაურთო, დაუნდობლად სცემდა დარეტსა...
არ დაანება ენეასმა ენტელუსს რისხვის
უფრო აღგზნება და ნაწყენი სულის ანთება,
ბოლო მოუღო კრივს. დარეტი ძლივს გამოჰგლიჯა
უძლური, შემდეგ დაამშვიდა ტკბილი სიტყვებით:

„შენს სულს, საწყალო, რა სიგიჟე დაუფლებია!
 ნუთუ ვერა გრძნობ სხვა ძალას და ღვთაებას შეცვლილს?
 ღმერთს დაუთმეო!“ — თქვა, მებრძოლნი მყის გააშველა.
 თანატოლებმა, მუხლებს ძლივსღა რომ მიათრევდა,
 თავს აქნევდა და თან ანთხევდა პირიდან სქელ სისხლს,
 470

რომელსაც ხორცთან ერთად კბილიც თან მოჰყვებოდა,
 გემს მიაყენეს, თან წაიღეს მისი მახვილი
 და მუზარადი. ხარიც, პალმაც დარჩა ენტელუსს.
 მან, გამარჯვებით და საჩუქრით ამაყმა უთხრა:
 „ქალღმერთის ძეო, თქვენაც ტევკრნო, მაშ, აღიარეთ,
 475

რა ძალა უნდა მქონებოდა ჭაბუკობის ჟამს
 და რა საშინელს გამოსტაცეს სიკვდილს დარეტი!“
 თქვა და შუბლის წვერს ხარს დაუდგა — ჯილდოდ
 წილხვედრილს,
 მაღლა ასწია მძლე მარჯვენა ხელჯაგიანი,
 შემოუქნია, რქების შუა დაუშვა მძიმედ,
 480

გადმოუნთხია ხარს ტვინი და ძვლები შემუსრა.
 უსულო ხარი, მოცახცახე, დაეცა მიწას.
 მან კი გულიდან კვლავ ეს სიტყვა აღმოუტევა:
 „ერიქს, ამ წმიდა სულით მინდა გამოვისყიდო
 მტრის გადარჩენა და წავიდე გამარჯვებული“.
 485

შემდეგ ინება ენეასმა სწრაფი ისრებით
 მშვილდოსნობაში შეჯიბრება, ჯილდოც აღუთქვა:
 ძლიერი ხელით სერესტუსის ანძა ანიშნა,
 ზედ ნაზი მტრედის, მოფრთხიალე, თავისუფალი

მიამბევენა, მიუჩინა სამიზნედ მამაცთ.

490

მოგროვდნენ მყისვე მშვილდოსნები და წილი ჰყარეს
სპილენძის ზუჩში, თანაგრძნობის ყიჟინა ერგო
პირველი წილი გმირ ჰირტაკიდს ჰიპოკოონსა.
შემდეგი იყო ზღვად სრბოლაში გამარჯვებული
მნესთევსი, მწვანე ზეთისხილით დამშვენებული.

495

ევრიტიონი შემდეგ, შენი ძმა, ო, პანდარუს! —
შენ ხომ ოდესღაც დაარღვიე ზავი ღვთის ნებით,
აქაველთ ლაშქარს პირველად რომ სტყორცნე ისარი.
ჩაჩქანის ფსკერზე კიდევ დარჩა აკესტეს წილი,
ვინც ჭაბუკობის შესაფერი შრომა გაბედა.

500

მრუდე მშვილდები გადალუნეს ძალუმი ძალით,
კაპარჭებიდან ამოზიდეს მალი ისრები.
ლარს ათრთოლებულს სულ პირველად მოსწყდა ისარი
ჰირტაკიდისა და გააპო ჰაერი მკვეთრად,
ანძამდე კიდევ მიაღწია, ძელში ჩაეჭდო.

505

ანძა შეიძრა, აფრთხილდა შიშით ფრინველი
და მოეფინა მთელს მიდამოს ფრთების ტკაცუნი.
დაჭიმულ მშვილდით შემდეგ დადგა გმირი მნესთევსი,
ნიშანს ისარი დაუმიზნა, თვალით მოზომა,
მაგრამ ვერ შეძლო განეგმირა ის საცოდავი.

510

მხოლოდ გაწყვიტა განასკული საბელი მტრედის,
მაღალ ანძაზე ფრინველს ფეხით რომ ამაგრებდა.
ქარში გაფრინდა და გასწია შავი ღრუბლისკენ.
მაშინ ჩაუქმა ძმას მოუხმო ევრიტიონმა,

დიდხანს ეჭირა თან ისარი დაჭიმულ ღარზე,

515

ილოცა, ცაში მიაჩერდა მტრედს გაღალეხულს
და შავ ღრუბლებთან მოკლა იგი ფრთამოფარტატი.

დაბლა დაქანდა, ცად დატოვა სული ფრინველმა,
ჩამოიტანა ძირს ისარი, გულში ჭდეული.

აკესტე დარჩა, უკვე ჯილდოს ვერ მიიღებდა,

520

მაინც ისარი ტყორცნა გმირმა ზეცის სიმაღლეს,
ხალხს ოსტატობა, მოძიგძიგე მშვილდი აჩვენა.

უეცრად თვალებს წარმოუდგა რამ სასწაული,
ნიშანი ხალხის მყოფადისა გასაოცარი

(მოგვიანებით ავგურებმა ამოხსნეს იგი).

525

ღრუბლის ფოთლებში მიფრინავდა ისარი, ცეცხლით
აჩვენა გზა და სულ დაიწვა მსუბუქ ჰაერში.

ასევე ხშირად ზეცის თაღზე უძრავად მსხდომნი
მყის მოსწყდებიან ვარსკვლავები, კუდს მოათრევენ.

შეძრწუნებულნი ლოცულობენ ზეციერთ ძაღზე

530

ტრინაკრიელნი და ტევკრები. ვერ მიხვდა ნიშანს
ენეას, მაგრამ ლალ აკესტეს ხელი მოჰხვია.

მისცა დიდძალი საჩუქარი და ასე უთხრა:

„აჰა, მამაო! რადგან დიდმა ოლიმპოს ღმერთმა

გვანიშნა, რომ შენც ღირსეული პატივი გეზღას!

535

შენ გაძლევე ჯილდოს, მრავალწლოვან ანქიზეს ნაქონს,
მოოჯვილ თასსა, ჩემს მშობელს რომ ერგო ოდესღაც

საჩუქრად ქველი თრაკიელის — კისეუსისგან,

მისდა სახსოვრად და საწინდრად სიყვარულისა“, —

ეს თქვა და მორთო დაფნის მწვანე გვირგვინით იგი,
540

გამოაცხადა უპირველეს გამარჯვებულად.
მისი პატივი ევრიტიონს როდი შეშურდა,
თუმც მან პირველმა ჩამოაგდო ციდან ფრინველი.
შემდგომი ჯილდო მან მიიღო, ვინც კვანძი გახსნა,
უკანასკნელი — ვინც ისარი ჩააჭდო ანძას.
545

მძლე ენეასი შეჯიბრებას ამით არ მორჩა:
ყრმა იულუსის მცველს და მეგზურს თვისთან მოუხმო, —
მამაც ეპიტიდს, ასე უთხრა თანამგზავრს ერთგულს:
„წადი და უთხარ ასკანიუსს, თუ მოამზადა
ბიჭების რაზმი, ხამს მოაწყოს ცხენთა ჯირითი.
550

აქ გამოცხადდეს პაპამისის სადიდებელად!“
შემდეგ უბრძანა შეკრებილ ხალხს ვრცელი რკალიდან
გვერდზე განდგომა, ველის გაცლა საასპარეზოდ.
მამათა თვალწინ გამობრწყინდნენ მარდი ყმაწვილნი
მორთულ რაშებზე, გააოცეს ახალგაზრდობა
555

ტრინაკრიისა და ტროისა, გაისმა ტაში.
თმები შეენოდათ შეკრეტილი, თავზე გვირგვინი,
ხელში ეჭირათ შუბნი, რკინის ბუნიკიანნი,
ზოგს მხრებზე ჰქონდა კაპარტები, ყელიდან მკვერდზე
გადმოჰფენოდათ მოხდენილი ოქროს ძეწკვები.
560

მხედართა სამ გუნდს წინამძღოლად სამი ყმაწვილი
ჰყავდა, მათ უკან დამდგარიყო თანაბარ მწყობრად
ორჯერ ექვსი ყრმა, თანატოლი მეთაურებით.
ერთ გუნდს წინ ედგა წინამძღოლად პაპის სეხნია,

პოლიტევ, შენი ქველი პირმშო — ნორჩი პრიამე,
565

რომელსაც იტალოთ გამრავლება ბედად ეწერა.
თეთრლაქიანი თრაკიული მერანი ჰყავდა,
თეთრი კანჭებით, თეთრი შუბლით დამშვენებული.
შემდეგ ატიისი, — მისგან იშვა ატიანთ მოდგმა.
უყვარდა იგი იულუსსა, ბიჭს — ბიჭი ტოლი.

570

შემდეგი იყო იულუსი, ყველაზე მშვენი,
სიდონურ ცხენზე იჯდა, რაში ლამაზმა დიდომ
სახსოვრად მისცა და საწინდრად სიყვარულისა.
სხვანი აკესტეს, მოხუც გმირის, ცხენებზე ისხდნენ
და მოგელავდნენ.

575

მორცხვებს ტაშისკვრით დარდანელნი შემოეგებნენ,
ცნეს სიხარულით მათში მშობელთ სახე და ქცევა.
როს მხიარულად თავისიანთ შემოუარეს,
მხედრებს ნიშანი ეპიტიდმა მისცა შორიდან,
ბოლოს მათრახი მან შემოსცხო თავის ბედაურს.

580

ერთნაირ მწყობრით გაიფანტნენ და სამ-სამ გუნდად
რაზმი გაშალეს, მეთაურის ბრძანებით ისევ
შემოტრიალდნენ და მრისხანედ იქნევდნენ შუბებს.
დაიწყეს სრბოლა წინ და უკან, წრე შემოარტყეს
და რკალის შიგნით დაახვიეს პატარა რკალი,

585

იარაღებით ბრძოლის მსგავსი იწყეს თამაში.
ხან გარბოდნენ და ზურგს აქცევდნენ, მტრულად ოროლებს
იქნევდნენ ხოლმე, რონინებდნენ ხანაც მწკრივებად.
ასე ამბობენ, რომ ლაბირინთს ოდესღაც კრეტას

ბნელ ხვეულებში გზა გაჰყავდა და ათას მაცდურ
590

ბილიკს ახვევდა შესაცდენად, რომ შიგ შესული
დაუბრუნებელ და მაცდური გზით წაეყვანა.
ასე ახვევდნენ ტევკრთა შვილნიც ვალს აურაცხელს,
ბრძოლას და ლტოლვას აჩვენებდნენ მარდი თამაშით.
ასე აპობენ დელფინები ცურვით ტალღებსა
595

ლიბიის ზღვის ან კარპათუსის სანაპიროსთან.
მსგავსი თამაში განაახლა შემდგომ ხანებში
ასკანიუსმა, ალბა-ლონგას რომ გალავანი
გარს შემოერთყა. და ასწავლა იგი ლათინებს,
რაიც ყრმობის ჟამს ტროელების დასში სჩვეოდა.
600

ალბანელებმა შეასწავლეს თავისიანებს,
რომმა შეიტკბო, წინაპართა დღესასწაული.
ეს თამაშობა ტროულ წესად ახლაც ითვლება,
დღემდე ზეიმით პატივს სცემენ წმიდა წინაპარს.
შემდგომ ფორტუნამ ერთგულება დათმო ჩვეული:
605

როს გრძელდებოდა საზეიმო ასპარეზობა,
გამოაგზავნა ცით ირისი თვითონ იუნომ
ილიონელთა ხომალდებთან, ფიქრში შთანთქმულმა
ქარი აშალა, ველარ გაძღა კვლავ ძველი ბოღმით.
გზა აისწრაფა უჩინარმა, ათასფერ სხივად
610

ცისარტყელაზე ნაპოვნ ბილიკს გაჰყვა ქალწული,
იხილა ხალხი, სანაპირო ჰპოვა ტრიალი,
ნავმისადგომი და გემები უკაცრიელი.
შორს, უდაბნოში, ცალკე იდგნენ ტროელნი ქალნი,

ანქიზეს ცხედარს დასტიროდნენ, ცრემლიან თვალით
615

ზღვას გაჰყურებდნენ. ვაგლახ, კიდევ

დაღლილ-დაქანცულთ

რამდენი ზღვა და გზა ელოდათ! ამას სჩიოდნენ.

ქალაქი სურდათ და მობეზრდათ ზღვად ხეტიალი.

ქალთა შუაში ჩამოეშვა უჩუმრად სამტროდ,

მყის მოიშორა სამოსი და ქალღმერთის სახე,

620

იქცა ბეროედ, ტმარიელი დორიკლეს ცოლად,

რომელს ოდესღაც გვარიც ჰქონდა, ჰყავდა შვილებიც.

შევიდა იგი დარდანიდთა დედების დასში:

„ვაი, უბედურთ! — თქვა, — აქაველთ ვინც გადავურჩით,

ომში არ დაგვცეს მშობლიური გალავნის გვერდით!

625

მოდგმავ ბედშავო, რა ბნელ დღისთვის დაგინდო ბედმა?

ტროის დაქცევის შემდეგ გადის მეშვიდე წელი,

რაც ზღვებზე დავძრწით, ამდენ მიწას, კლდეებს ვეწვევით.

ამდენი ცის ქვეშ მივცურავთ და მივესწრაფებით

ჩვენ იტალიას, მუდამდღე რომ სულ შორს გავგვირბის.

630

აქ მიწა არის ერიქსისა, აკესტეს სახლი,

რად არ დავფუძნდეთ, რად არ მივცეთ ხალხსაც ქალაქი?

სამშობლოვ, კერპო, თქვენც ამაოდ გადარჩენილნო!

ნუთუ არ აღდგეს ტროელთ მხარე? ნუთუ ვერ ვნახოთ

ჰექტორის წყალნი — სიმოისი, სწრაფი ქსანთუსი?

635

გვიჯობს წავიდეთ, ავბედითი გემები დავწვათ.

მე ხომ მეგმანა ძილში მისნის — კასანდრას სახე,

მამხალა მომცა — „აქ ეძიეთ ტროაო, — მითხრა, —

აქ დაეფუძნეთ“. დადგა ჟამი მოქმედებისა,
დრო აღარ ითმენს. ჰა, ღვთაების ოთხი ზვარაკიც,
640

ნეპტუნუს მოგვცემს სიმამაცეს და მაშხალებსაც!“ —
ეს თქვა და ავის მომტან ცეცხლსაც დასწვდა პირველად,
მაღლა ასწია, მოიქნია ძალუმად ხელი
და შორს გატყორცნა. ტროელ ქალებს აღეგზნოთ სული,
შეშფოთდა გული, უხუცესმა ტროელმა პირგომ,
645

პრიამეს შვილთა ძიძამ, ქალებს მიმართა ასე:
„ნუ გეგონებათ ეს ბეროე და რეტეუმელ
დორიკლეს ცოლი... ხომ შენიშნეთ ციური ძალა,
მშვენება მისი და თვალები აღის მომდები?
ო, რა სახე აქვს, რა ბგერა და ნაზი რონინი!
650

მე თვით დავტოვე ავადმყოფი, უკმაყოფილო
ბეროე, რადგან თვისი ვალი ვერ შეასრულა
და ვერ მიუზღა მან ანქიზეს ღირსი პატივი“, —
ასე თქვა.

დედები კვლავაც დაფიქრებით, რისხვიან თვალთ
655

გემთ შეჰყურებდნენ, ყოყმანობდნენ კვლავ სიყვარულით
იმა ქვეყნისა, სად სამეფოდ ელოდათ ბედი.

შემდეგ ქალღმერთი სწრაფად აჰყვა ფრთებს ფართოდ
გაშლილს,

ღრუბელთა ქვეშე გაიქროლა და წრე დაარტყა.
დასძლია ქალნი სასწაულმა, უგნური გზებით
660

წამოიყვირეს და კერიას მოსტაცეს ცეცხლი.
ბოგნი ძარცვავდნენ საკუროთხეველს, ძეძვებს

და ფოთლებს,

ერთ გროვად ჰყრიდნენ, ვულკანუსი უფრო შმაგობდა
ხოფების შუა და მშვენიერ ნავის კიჩოსთან.

ხმამ მიაღწია თეატრამდე, ანქიზეს ბორცვთან

665

ხანძრის ამბავი მოიტანა მყის ევმელუსმა.

სხვებმაც იხილეს შავ ღრუბლებად აჭრილი ფერფლი.

ასკანიუსი, მოკისკასე მხიარულ ცხენით,

უცბად მობრუნდა ბანაკისკენ შეშფოთებული,

გულმა ვერ გაძლო, მღელვარებამ სული შეუკრა:

670

„ეს რა სიგიჟე დაგერიათ, სად მიისწრაფვით.

ბეკრულნო ქალნო, — შეუძახა, — თქვენ ხომ არგიველთ

ბანაკს არა სწავთ, ანადგურებთ თქვენსავე იმედს...

თქვენთან ვარ თქვენი ასკანიუს!“ მოიხსნა ზუჩი,

ომობანის დროს რომ ეხურა, ძირს დაანარცხა.

675

იქავე გაჩნდა ენეასიც და ტევკრთა რაზმიც.

სანაპიროსკენ გამორბოდნენ შეძრწუნებულნი.

ტყეებს, მღვიმეებს დასამალად მიაწყდნენ ქალნი,

გონს რა მოვიდნენ, გიჟურ საქმის სწავდათ სირცხვილი.

მათი გულიდან მძლე იუნო კვლავ გამქრალიყო.

680

მაგრამ ეს ძალას დაუოკველს საზარ ხანძრისა

რას დააკლებდა? სველი მუხის ქვეშ ნაღვერდალმა

ნელა იმატა, კვამლი მაღლა წამოიშალა,

ცეცხლი გემს ხრავდა, ყველა კუთხეს ალი მოედო,

არც მონდომება არ შველოდა, არც წყლის ნაკადი.

685

მძლე ენეასმა მოიცილა წამოსასხამი,

შემწედ მოუხმო მაღალ ღმერთებს მავედრებელმა:
„იუპიტერო ყოვლისშემძლევ, თუ არ მოგძულდა
ყველა ტროელი, თუ სათნოყოფ კვლავინდებურად
მამაცთა გარჯას, ააშორე გემებს ხანძარი,
690

მამავ, მოსტაცე კოცონს ტანჯულ ტევკრთა ქონება,
ანდა ბოლომდე მოგვივლინე სიკვდილის ელვა,
და თუ მეკუთვნის, მეც დამსაჯე ღვთიურ მარჯვენით!“ —
ეს თქვა და უკვე წვიმით სავსე, კოკისპირულით,
მოდგა ღრუბელი და ქუხილზე თრთოლვა დაიწყეს
695

მთებმა, ველებმა, მაღალ ციდან მრისხანე ღვარად
ჩამოიღვარა წვიმა, ქარით გაშავებული.
კიხო გაივსო, გაიჟღინთა ძელი დამწვარი.
ბოლოს კი ჩაქრა მთლად ხანძარი და ოთხის გარდა
გადურჩა კოცონს ყველა გემი დარდანელების.
700

მაგრამ ენეას, ავბედობით ზარდაცემული
გულში ხან ერთ ფიქრს, ხან მეორეს დაადგებოდა:
ეურჩოს განა ბედისწერას, სიკულის მხარეს
დარჩეს, თუ ისევ იტალიის მიწას ესწრაფოს?
მოხუცმა ნავტემ, ტრიტონისი პალადას მიერ
705

განსწავლულმა და დიდი ცოდნით სახელგანთქმულმა,
რომელს შეეძლო ეპასუხა, თუ რა იწვევდა
ღმერთების რისხვას, ბედისწერა რას ამზადებდა, —
ასეთი სიტყვით დაამშვიდა მამა ენეას:
„ქალღმერთის ძეო, უნდა დავყვეთ ნებას ბედისა,
710

რაც უნდ გველოდეს, მოთმინებით მივიღოთ ხვედრი!

შენ გყავს აკესტე, დარდანელი და ღვთისმცერი,
მას შეუთანხმდი, მისი რჩევა მიიღე თანაც.
დატოვე აქვე, ვინც დაღუპულ გემთაგან დარჩა,
ან ვისაც უმძიმს შენთან ერთად შორი მგზავრობა.

715

გადაარჩიე მხცოვანები, ზღვით გატანჯულნი,
მანდილოსანნი, დავრდომილნი და მშიშარანი.
დე, ამ მიწაზე ჰპოვონ ბინა და გალავნები,
ქალაქს დაარქვან შეთანხმებით შემდეგ აკესტა“.
ძველი მეგობრის სიტყვით ოდნავ დამშვიდებული

720

სულით საზრუნავს მისცემოდა მაინც უთვალავს.
ღამე მოევლო რაშს და მიწას დაფარებოდა.
ამ დროს ანქიზეს, მამის, სულმა მაღალი ციდან
ანაზდეულად ჩამოსულმა ჩასძახა პირმშოს:
„სანამ სიცოცხლე შემრჩენოდა, შვილო, შენ მყავდი,

725

სულზე უტკბესად, ილიონის ბედით ნაცადო!
იუპიტერის ნებით მოველ, რომელმაც ცეცხლი
დააცხრო გემზე, შეგიბრალა მაღალ ზეცაში.
მხცოვანი ნავტეს უკეთესი რჩევა ისმინე,
იტალიაში წაიყვანე რჩეულ ჭაბუკთა

730

სულნი მამაცნი. სასტიკ მოდგმას უნდა შეებათ
თქვენ ალციუმში, მანამდის კი ქვეშეთის მხარეს
მეწვიე, შვილო, და წიაღვლე ავერნის წყალი,
იჩქარე ჩემთან. მე საძულველ ტარტარში არ ვარ,
ანდა მწუხარე აჩრდილებთან, არამედ ვსუფევ

735

ელიზიუმში. აქ ტაძრიდან სიბილა-ქალი

გამოგაგზავნის, ზვარაკის სისხლს როცა გაიღებ.
შენ აქ გაიგებ ტომის ბედს და ქალაქის ადგილს.
მაგრამ შემინდე... ნამიანი ღამე მომიხმობს,
აღმოსავლეთი მაფრქვევს უკვე მერანის სუნთქვას!“ —
740

თქვა და განივლტო, როგორც კვამლი, დადნა ჰაერში.
„შენ, — შეუძახა ენეასმა, — საით გასწიე?
ვის გაურბიხარ? ჩემს მოხვევნას ვინ გამოგგლიჯა?..
ასე თქვა. შემდეგ გააღვიდა ჩამქრალი ალი,
კერპს პერგამოსის, უძველესი ვესტას სიწმინდეს
745

ემთხვია ლოცვით, წმიდა ფქვილით, დიდძალი კმევით.
მცისვე მოუხმო ამხანაგებს, უხმო აკესტეს,
იუპიტერის ნება, ქველი მამის ნათქვამი
ამცნო, თან უთხრა, გულში თუ რა გადაეწყვიტა.
მცისვე განსაჯეს: დაეთანხმა აკესტე მეფეც.
750

კოშკში დატოვეს დიაცები, აგრეთვე სხვები,
ვისაც დიდების მოლოდინი აღარ ატკობდა.
თვით შეაკეთეს შერუჯული ძელები ისევ,
გემებს მოუწყვეს ბაგირები, მტკიცე ხოფები.
ცოტანი დარჩნენ, მაგრამ მხნენი, ომში მამაცნი.
755

გუთნით მოსალტა ენეასმა ქალაქის რკალი,
ილიონისა, იქვე ტროის მხარე მონიშნა,
ტროელ აკესტეს უხაროდა, მამაცებს მისცა
წმიდა ფორუმი, ხოლო რჩეულთ — უფლება განსჯის.
ერიქსის მწვერვალს ამშვენებდა ვარსკვლავთან ახლოს
760

ტაძარი კვიპრელ ვენუსისა, ახლად აღნაგი,

ანქიზეს ტაგრუსს — წმიდა ჭალა და სამლოცველო.
ცხრა დღეს ხალისით იზეიმეს, კერპს თაყვანი სცეს.
ქარებმა ნაზი დაქროლებით ზღვა დააწყნარეს.
და კვლავ სამგზავროდ მოუწოდა გმირებს ავსტერმა.

765

დამრეც ნაპირზე საშინელი გლოვა გაისმა,
ერთურთს ჰკოცნიდნენ, დღით და ღამით არ შორდებოდნენ.
ქალი თუ კაცი, ვინც საზარლად ჰგონებდა ზღვასა,
მხოლოდ სახელიც აშინებდა, წასვლას ლამობდა,
ახლა მზად იყო ასატანად ყველა სიძნელის.

770

მეგობრულ სიტყვით დაამშვიდა მხნე ენეასმა,
ცრემლით მიანდო მეგზურები მეფე აკესტეს.
ერიქსს სამი ხბო, ხოლო გრიგალს ვერძი შესწირეს.
შემდეგ რიგ-რიგად ბაგირები გაახსნევინა.
შუბლი შეიმკო ზეთისხილის მოჭრილი შტოით,

775

გემზე შედგა და მარილიან ზვირთში ჩაყარა
შიგანი, თან ზღვას დაასხურა კამკამა ღვინო.
ქარი ზურგიდან მიჰყვებოდა მძლე მემღვაურებს.
დასცხეს ტალღებს და ააშხეფეს წინწკლები მაღლა.
ამ დროს მივიდა ნეპტუნუსთან მშფოთვარე ვენუს

780

და მის წინაშე მოიოხა გული ჩივილით:
„ო, ნეპტუნუსო, გულუმაძღარ იუნოს რისხვა
დამამცირებელს მაიძულებს ლოცვა-ღაღადისს,
არც ჟამთა სრბოლა არ ამშვიდებს, არც მორჩილება,
იუპიტერის ნებასა და ბედს აჰყოლია.

785

ეცოტავება ფრიგიელთა ქალაქის დანთქმა

და დაუსჯელი დამნაშავეს ბოღმით აღვსილა,
დაღუპულ ტროის ნაშთს, ფერფლსა და ძვლებს
სდევნის იგი,
მხოლოდ მან უწყის მძვინვარების მისის მიზეზი.
ლიბიის წყალში შენა მყავდი თვითონვე მოწმედ,
790

რა ქარიშხალი დაატეხა, ცას შერთო ზვირთნი,
გრიგალს მიენდო ეოლუსის, ქარის იმედით
შენს სამეფოში გაგიბედა ეს თავხედობა!
ტროელთ ქალები წააქეზა ბოროტებისთვის,
უტიფრად დაწვა მათი გემნი და მაიძულა,
795

რაზმის ნაწილი რომ დამეგდო უცხო მხარეში.
გემუდარები, უშიშარი მგზავრობა მიეც,
ვინც დარჩა, შეძლო ლავრენტუმის ტიბრისთან მისვლა,
თუ შეიძლება, თუ გვარგუნა ბედმა ის ციხე!“
სატურნიუსმა, ზღვის მეუფემ ასე მიუგო:
800

„ო, კითერეა, ჩემს სამეფოს ენდე, შენც მოდგმით
აქაური ხარ, გწამდეს ჩემი, რადგანაც ხშირად
ენეასს რისხვა ავაშორე ზეცის და ზღვისა,
მიწის — აგრეთვე, მოწმედ ვუხმობ სიმოისს, ქსანთუსს:
როს აქილევსი ტროელთ ლაშქარს მისდევდა რისხვით
805

და გალავანთან მიიმწყვდევდა დაქანცულ მხედრებს
ათასებს კლავდა, გაისმოდა გმინვა საზარი,
მდინარეები ივსებოდნენ და ზღვაში ჩაღვრა
ქსანთუსს უჭირდა. ვნახე პელიდს ვით შეერკინა
გმირი ენეას, ძალით მას ვერ შეედრებოდა...
810

ცად ავიტაცე, თუმც კი მსურდა დანგრეულიყო
კედლები ჩემი ხელით შექმნილ ცბიერი ტროის,
დღესაც იმავე აზრისა ვარ. ნუ გეშინია,
ვიქმ, რასაც შენ მოხოვ, ავერნუსსაც მიაღწევს იგი
მხოლოდ ერთია, ვისაც ზღვაში გამოიტირებ,
815

ის ერთი აგებს პასუხს გზაში ყველას მაგიერ“.
ოდეს ქალღმერთი დაამშვიდა კეთილი სიტყვით,
რაში შეაბა ოქროს ეტლს და აქაფებული
სადავეები სულ მიუშვა, მსუბუქად სრობდა
ზღვის ზედაპირზე ლაჟვარდოვან ეტლში ნეპტუნუს.
820

ტალღა დაწყნარდა და მგრგვინავი ღერძის ქვეშ ზვირთმა
ლივლივი იწყო, კვლავ გარბოდნენ ღრუბლები ცაზე.
უზარმაზარი ვეშაპები გამოჩნდებოდნენ,
შემდგომ გლავკუსი, პალემონი ინოს ნაშობი,
მთელი მხედრობა ტრიტონისა და ფორკუსისა.
825

მარცხნივ თეტისი მიცურავდა და პანოპეა —
ნაზი ქალწული, ნიზე, სპიო და კიმოდოკე.
ქველ ენეასის შეშფოთებულ სულს მეყსეულად
შვება შეეხო მოალერსე. ბრძანა გამართვა
ყველა ანძისა, იალქნების აფრიალება.
830

ერთად მოსწიეს ბაგირები, ხან ქარებს მარჯვნივ,
ხან მარცხნივ აფრებს მიუშვერდნენ, ატრიალებდნენ
აქეთ თუ იქით. გემს შველოდა მეგზური ქარი.
წინ პალინურუს მიუძღოდა მჭიდრო მხედრობას.
გემებს ებრძანა ჩადგომოდნენ კვალში მის ხომალდს.
835

ცვრიანმა ღამემ მიაღწია ზეციური გზის
თითქმის ნახევარს, მეზღვაურნი ნიჩბებთან ისხდნენ
და წყნარ ღამეში ასვენებდნენ დამაშვრალ სახსრებს.
ზეცის მნათობებს მოსწყდა ძილი მსუბუქფრთიანი,
ბნელი ჰაერი გააპო და პალინურუსთან

840

მივიდა, თანვე მიუტანა ავი ზმანება.
მაღალ კიჩოზე ჩამომჯდარი ღმერთი ემსგავსა
ფორბანტუსს, მისდა გასაგონად აღმოუტევა:
„ო, პალინურუს იაზიდო, გემი ზღვას მიჰყავს,
ქარმა დაქროლა, დასვენების დაგვიდგა ჟამი,

845

დახარე თავი და თვალები, შრომით დაღლილნი...
მე შენს მაგივრად შევასრულებ მოვალეობას“.
ძლივსღა განახვნა თვალნი, უთხრა პალინურუსმა:
„შენ ბრძანებ, თითქოს მე არ ვიცი უწყინარი ზღვის
და დაწყნარებულ ტალღის ჟინი? მწამდეს ურჩხულის?

850

მამა ენეასს მე ვერ ვანდობ ვერაგულ ქარებს,
რამდენგზის შევცდი სხივნათელი ცის ცბიერებით!“ —
ასე მიუგო და მიეკრა სატყეს, არ დათმო
არც ერთი წამით, ცად ვარსკვლავებს მიაჭდო თვალი.
ლეთეურ ნამით, სტიქსის ძალით შტო გამსჭვალული,

855

ძილის მომგვრელი, საფეთქლებთან მიაღო ღმერთმა.
მყის დაეუფლა ტკბილი თვლემა მოღლილ წამწამებს,
ტანი მოეშვა მოულოდნელ სიმშვიდით... გმირი
დაეცა კიჩოს, მოაგლიჯა ზედა ნაწილი,
სატყეს გადაჰყვა ქაფიანი ტალღის მორევში,

860

თუმცა ამაოდ მოუხმობდა საშველად მოძმეთ.
ხოლო თვით ღმერთი ცად აფრინდა, როგორც ფრინველი.
ზღვაზე მიქროდნენ კვლავ გემები დასახულ გზებით,
გულუშიმარნი, ნეპტუნუსის იმედზე მყოფნი.
მიუახლოვდნენ სირენების ადგილსამყოფელს,
865

ოდესღაც მძვინვარს და მოფენილს ძვლების სითეთრით.
შორს ყრუ კლდეები ხმაურობდნენ ზღვის დაჯახებით.
შენიშნა მამამ, რომ მესაჭის დაკარგვით გემმა
იწყო ბარბაცი. თვით წარმართა ხომალდი ღამით.
მეგობრის ბედმა ააკვნესა გმირი ენეას:
870

„ზედმეტად ენდე, პალინურუს, ზღვას და ცის ნათელს,
უცნობ ქვიშაზე განძარცული ობლად დარჩები...“

წიგნი მეექვსე

ასე თქვა თვალუბცრემლიანმა, გემი მიუშვა,
ევების კუმეს სანაპიროს მიუახლოვდა.
ჭვინტით ზღვისაკენ შემობრუნდნენ, კბილი ჩაასო
ღუბამ ნაპირთან, მორკალული კიჩო მიადგა

5

ხმელეთს. გავიდა ჰესპერიის ველზე ტროელთა
ახალგაზრდობა. დაეძებდნენ თესლს კოცონისა,
კაჟში დამალულს, სხვანი ბუჩქებს შემოესივნენ —
ნადირთა საფარს და მიაგნეს წყაროს ანკარას.

სათნო ენეას აპოლონის ბორცვზე ავიდა,

10

მყუდრო მხარეში ის მიადგა სიბილას მღვიმეს,
შემადრწუნებელს, სად მომავალს ამცნობს ღვთაება,
სულს და გონებას დელოსელი ადაგზნებს ხოლმე.
ტრივიას ჭალას და ოქროს ზღურბლს მიადგნენ ტევკრნი.
როს დედალუსი მინოსის სახლს გასცილებია

15

და გაუბედავს მარდი ფრთებით ზეცად ნავარდი,

მიცურებულია ყინულოვან არკტოსთან თურმე,
ბოლოს მწვერვალზე ქალკიდისა დამდგარა მოყმე.
კვლავ დაბრუნებულს, ფეხუს, შენთვის მას მიუძღვნია
ფრთოსანი ხოფი, აღუმართავს დიდი ტაძრები.

20

კარზე სიკვდილი დაუხატავს ანდროგეოსის,
კეკროპიდთაგან მსხვერპლშეწირვა შვიდი ქალ-ვაჟის,
ყოველწლიური, იქვე ურნა წილის საყრელი.
მის წინ, ზღვის ზემოთ მან აღმართა გნოსიის მიწა,
ასახა ვნება ბუღასადმი, პაზიფეს საწოლს

25

ორსახიანი, აღრეული მოდგმა რომ მოჰყვა,
მინოტავრუსი, აკრძალული ტრფობის ნაყოფი,
სახლი, შრომა და უთავბოლო სახეტილო;
დედოფლის დიდი ტრფობის რიდით სცნა დედალუსმა
სიცრუე და გზა ნაგებობის ძაფით აჩვენა.

30

შენ მისი შრომის წილს, იკარუს, მიიკუთვნებდი,
რომ დარდს მიეცა ამის ნება. ოქროზე ძერწვა
ორჯერა სცადა შენი ბედის, ორჯერ უძღურად
ხელი დაუშვა... ალბათ სურათს თვალს არ მოსწყევტდნენ,
ამ დროს ერთგული აქატე რომ არ მოსულიყო.

35

ახლდა ფეხუსის და ტრიავის ქურუმი ქალი —
გლავკუსის წული დეიფობე. მან მეფეს უთხრა:
„ახლა დრო არ გაქვთ დატკბეთ ამო სანახაობით,
ხამს ხელუხლებელ ჯოგში მყოფი შვიდი მოზვერი
და იმდენივე ვერძი დაკლათ ურჩეულისი“, —

40

უთხრა ენეასს. წმიდა ნებას დაჰყვნენ მოყმენი.

ქურუმმა ქალმა ყველა ტევკრი მოიხმო ტაძრად.
ევბეის ქიმი უზარმაზარ მღვიმით გაჭრილა,
ასი კარი აქვს და ასი აქვს მისადგომელი,
შიგნით სიბილას იმდენივე პასუხი ისმის.

45

ზღურბლს რომ მიადგნენ, ქალწულმა თქვა: „დრო არის ბედი
ვიკითხო. ღმერთი, აჰა, ღმერთი!“ მას, მოღალადეს
ზღურბლთან არც სახე, არცა ფერი, არც ვარცხნილობა
არ ეტყობოდა, მხოლოდ შერჩა მძლე გულისძგერა
და სულს უმღვრევდა მძვინვარება დაუოკველი,

50

უკვდავი ბგერა მოისმოდა, ახლო მოსული
ღვთის ძალა იგრძნო. „აღთქმასა და ლოცვას აყოვნებ, —
თქვა, — ენეასო, რას უდგახარ! არ გაიხსნება
უმისოდ სახლი შთაგონების!“ ასე უთხრა და
ისევ დადუმდა. ცივმა თრთოლვამ შეიპყრო ძვლები

55

ტევკრი გმირების. მეფემ ლოცვა აღმოუტევა:
„ფებუს! ბედკრული ტროელების სათნომყოფელო,
პარისის ხელით რომ მიმართე დარდანთ ისარი
ეაკიდისკენ, რამდენ ზღვაში შენი იმედით
მე გამივლია; მასილების შორეულ მხარეს,

60

თვისი ველები სირტებით რომ შემოუსაღტავს...
ბოლოს გაქცეულ იტალიის ნაპირს ვეწვიეთ.
ნეტავ, აგვცილდეს ტროის ბედი ამიერიდან!
დროა ტროელთა ტომს შეუნდოთ, ღმერთნო, ქალღმერთნო,
რომ ხელს გიშლიდა ილიონი, ქვეყნის დიდება!

65

მყობადის მცოდნევ, ო, მისანო, ყოვლად წმიდაო,

სამეფოს არ გთხოვ ბედისაგან ჩემად წილხვდომილს,
მხოლოდ მიეცი ლაციუმში თავშესაფარი
ტევკრებს, ბომონებს და ღვთაებებს მოხეტიალეთ.
ტრიავისა და ფებუსის თაღს მარმარილოსგან
70

მაშინ აღვაგებ, ზეიმს ფებუსს მე დავუწესებ.
გელოდებიან ჩვენს მხარეში წმიდა ტაძარნი,
მე იქ გავიგებ საიდუმლო მისნობას შენსას,
სიტყვებს ავაწყო, რჩეულ კაცებს, ო, მოწყალეო,
ვაუწყებ ყოველს. ფურცლებზე კი არ იმკითხაო,
75

მქროლავ ქარების სათამაშოდ რომ არ გაფრინდნენ.
თავად იმღერე, გევედრები“, — ასე თქვა მეფემ.
მაგრამ მღვიმეში კვლავ ველური ფებუსის ურჩი
შფოთავდა ქალი და მკერდიდან ვერ ამოეღო
ღიადი ღმერთი. იგი უფრო გულს უღელვებდა,
80

იმორჩილებდა ქალ-ქურუმსა გაველურებულს.
გაიხსნა ასი კარი ტაძრის, უზარმაზარი,
და მოეფინა ორაკულის პასუხი ჰაერს:
„ზღვის საშინელი შეტევისგან გადარჩენილნი
ახალ მიწაზე ლავინუმის მხარეში მივლენ
85

დარდანიდები, ნუღარ წუხან ახლა ამაგე.
მაგრამ იქ მისვლას ინანებენ: ომს, საშინელ ომს
ვხედავ და ტიბრისს აქაფებულს დიდძალი სისხლით!
ჰპოვებ სიმოისს, ქსანთუსსაც და დორიელთ ბანაკს.
სხვა აქილევსი დაიბადა უკვე ლაციუმს,
90

ისიც ქალღმერთის ნაშობია, ტროელთ იუნო

არ მოეშვება. იტალიის ყველა ტომსა და
ყველა ქალაქსაც შველას მოსთხოვ მავედრებელი.
ჭირის მიზეზი ისევ ქალი, ტევკრთათვის უცხო
და ქორწინება კვლავ იქნება!

95

ნუ დანებდები ავბედობას, გულადად დადექ,
არ გიღალატებს ბედისწერა, ხოლო გზა ხსნისა,
რომ არ მოელი, ისე მოვა ბერძნების მხრიდან“, —
ასე უთხრა და კვლავ განაგრძო სიბილამ ტაძრად
შმაგი სიმღერა, კვლავ მოუხმო გამოქვაბულში.

100

სიმართლეს ბნელი შეერია და აპოლონი
ქურუმს უჭერდა სადავეებს, მკერდს უღელვებდა.
როს გაიარა რისხვამ, შეწყდა ბაგეთ სიცოფე,
მიუგო გმირმა ენეასმა: „ახალი შრომა
მოულოდნელი, ო, ქალწულო, აღარ იქნება.

105

გულში განსაზღვრე ყოველივე წინასწარ უკვე,
მხოლოდ ერთსა გთხოვ: თუ ქვეშეთის მხარეში არის
აქ შესასვლელი, აქერონტის შავი ჭაობი,
შემაძლებინე მამის ნახვა, მოსმენა მისი,
გზად დამაყენე და გახსენი წმიდა კარები!

110

მე იგი ვიხსენ ალისაგან, მდევართ ისრისგან
და ჩემი მხრებით მტრის დასიდან გამოვიტაცე,
მან, მონაწილემ ჩემი გზისა, ზღვა ჩემთან ერთად,
ზვირთთა შეტევა და ზეცისა სრულად უძლურმა,
სიბერიო სუსტმა, მაინც მტკიცედ გადაიტანა!

115

მან მიანდერძა მოვსულიყავ შენს სავანესთან,

ძე — მამის გამო. ო, კეთილო, მავედრებელი,
გთხოვ, შეიბრალო. ყოვლისშემძლევ, განა ამაოდ
გადაგაბარგა თვით ჰეკატემ ტყე ავერნუსის?
ხომ შეძლებია ცოლის ჩრდილი გამოეთხოვა
120

კითარის კეთილხმოვანებით განთქმულ ორფევსსაც!
პოლუქსმა შეძლო გაეცვალა სიკვდილი ძმისთვის,
მრავალგზის ვლიდა წინ და უკან. ანდა თეგვესი,
განა ალკიდე? მეც ვარ მოდგმა იუპიტერის!“
ასე ევედრა და შეეხო საკურთხეველსაც,
125

ხოლო მისანმა უპასუხა: „ღვთაებრივ მოდგმის
ანქიზიადი ავერნუსთან იოლად ჩავა.
ღამით და დღისით ღია არის დისის კარიბჭე,
მაგრამ ძნელია მაღალ ჰაერს გადასცდე ბიჯით.
ბევრმა, ვინც უყვარს იუპიტერს მართლისმოყვარეს,
130

ვინც სიმამაცემ აღიყვანა მაღალ ცათამდე, —
ღვთის ნაშიერმა, ეს ვერ შეძლო. ყველგან ტყე აკრავს
და კოკიტოსი სალტავს ადგილს შავად მდინარე.
თუ ასეთი გაქვს მისწრაფება და სიყვარული,
რომ გადაცურო ორგზის სტიქსი, ორგზის იხილო
135

შავი ტარტარი, და უგნური საქმე გალაღებს,
მამინ მისმინე. ხის ქვეშ ერთი ოქროს ძელია,
ხშირი ფოთლებით დაფარული და მოქნილ შტოით,
ქაღდმერთ იუნოს წილხვდომილი, მიწისქვეშელის.
მას ფარავს ტევრი და პირქუში ჩრდილი ველისა.
140

მაგრამ მანამდე ვერ ჩასწვდები იდუმალებას,

სანამ ოქროვანს არ მოსტაცებ ნაყოფს იმ ხეხილს,
საჩუქრად იგი პროზერპინას დაუდგენია.
ერთს როცა მოწყვეტ, კვლავ მეორე შტო ოქროისა
აღმოცნდება ახუნძლული იმავე ლითონით.

145

წვეროს ახედე, როს იპოვი, რაცა გჭირდება,
უმაღ მოწყვიტე, დაგნებდება ნაყოფი თვითონ,
თუ გწყალობს ბედი და თუ არა, ვერ დასძლევ ძალით,
ვერც მტკიცე რკინით მოერევი მას მოსაკვეთად.
გარდა ამისა, ბანაკში ძევს უსულო გვამი,

150

ვაგლახ, არ იცი! — და სიკვდილით ხომალდს აწუხებს,
მაშინ, როდესაც რჩევას უცდი, ჩემთან ყოვნდები.
ჯერ მიასვენე ადგილზე და დაკრძალე იგი.
შავი ვერძები მოიყვანე წმიდა ზვარაკად.
ბოლოს იხილავ სტიქსის ჭაღას, ცოცხალ არსთათვის

155

მიუკარებელს“, — თქვა და მყისვე მოკუმა ბაგე.
თვალნი დახარა ენეასმა, შეწუხებულმა
დატოვა მღვიმე, გულში კიდევ ბნელ მომავალზე
ფიქრობდა. გვერდით მიჰყვებოდა ერთგული მოყმე
აქატე. მასაც საზრუნავი რამ გასჩენოდა.

160

რა არ იფიქრეს და არა თქვეს, რომელ მეგზურზე
ბრძანებდა მოგვი, მიწას უნდა მიაბაროთო?
როცა მიადგნენ სანაპიროს, ჰპოვეს მიგნუს,
რომ მიეტაცა უღირს სიკვდილს, შეუბრალებელს.
მიგნუს, გმირი ეოლიდი, გამორჩეული

165

მამაცთა შეყრით და სპილენძით მარსის აღგზნებით.

ჰექტორს თან ახლდა წინათ იგი, მას მიჰყვებოდა
მუდამ ბრძოლაში ბუკითა და შუბით განთქმული.
როცა ჰექტორი დასცა ველზე მძლე აქილევსმა,
მამაცი გმირი თვით მივიდა ქველ ენეასთან
170

და აირჩია სამსახური არანაკლები.
მაგრამ როდესაც ერთხელ ზღვაზე სპილენძის საყვირს
ჩაბერა გმირმა, ღმერთებს უხმო შესარკინებლად,
თუ მართალია, თვით ტრიტონმა შეიპყრო იგი
და კლდეთა შორის აქაფებულ ზღვაში ჩაძირა.
175

გარშემო ყველა ქვითინებდა, სხვებზე მეტადრე
სათნო ენეას, ასრულებდნენ სიბილას ნათქვამს,
თვალცრემლიანნი დასაკრძალავ კოცონს აწყობდნენ
ხის მორებისგან და ცდილობდნენ ცად შერთვას ცეცხლის.
ტყეში წავიდნენ, სად ბუნაგი იყო ნადირთა.
180

იქ სეკირებით ხეთა ძელებს ჭრიდნენ ხმაურით,
ადვილად პობად მუხის მორებს სპილენძის სოლით
მარდად ჩეხავდნენ, მთიდან იფნებს მოაგორებდნენ.
ხოლო ენეას, თვით პირველი გამრჯე მამაცი,
სხვებს ამხნევებდა, ხელში ეპყრა მჭრელი სეკირა,
185

სევდიან გულში შესეოდა ფიქრი მრავალი.
ტყეს შემოხედა უსიერს და ლოცვა დაიწყო:
„ნეტავ, ოქროს შტო შეგვხვდებოდეს ახლა ამ ტევრში!
ვაგლახ, მიზნუს, გავიგებდი შენზე სიმართლეს,
რადგან ასეთი მოვისმინე მისნობა მოგვის“.
190

ეს თქვა თუ არა, ორი მტრედი ანაზდეულად

ციდან მოფრინდა გმირის თვალწინ და ჩამოეშვა
მწვანე მინდორზე. მაშინ იცნო ანქიბეს ვაჟმა
დედის მტრედები, მხიარულად მათ შეჰღაღადა:
„იყავით ჩემი წინამძღოლნი, თუ გზა არსებობს,
195

ტყეში გაჰყევით ქარს, სადაც შტო სახელოვანი
ამშვენებს მიწას. ნუ დამტოვებ აწ უნუგეშოდ,
დედავ, ქალღმერთო!“ — შეევედრა. სვლა შეანელა.
ელოდა, საით განაგრძობდნენ მტრედები ფრენას.
ფრთები გაშალეს და იმდენად დასცილდნენ მდევართ,
200

რომ შეძლებოდათ მათთვის თვალი ედევნებინათ.
როს მიაღწიეს საზიზღარი ავერნის ხახას,
სწაფად აფრინდნენ და დაეშვნენ უმაღვე დაბლა
აღთქმულ ადგილზე და ორკაპა ხეზე ჩამოსხდნენ,
სადაც შტოებზე ოქროს სხივი თინათინებდა,
205

ვით ფითრი ზამთრის ბუნიობის ჟამს ხეს განძარცულს
შემოეხვია ნორჩი შტოით და მოყვითალო
ფერი გადაჰკრავს, თუმცა საზრდო შემოჰკლებია,
ისეთი იყო შტო ოქროსი პირქუშ მერქანზე,
ნიაფში თრთოდნენ ოქროს წვრილი თინათინები.
210

მყის ხელი სტაცა ენეასმა, ხარბად მოწყვითა
შტო და გასწია მსწრაფლ სიბილას გამოქვაბულში.
ამ დროს მიზენუსს დასტიროდნენ ველზე ტევკრები
და უგრძნობელ ნემსს უკანასკნელ პატივს უზღავდნენ.
მუხის დარჩენილ მორებს ცეცხლზე უხვად აწყობდნენ,
215

კოცონს ანთებდნენ და გარშემო რკალად არტყამდნენ

პირქუშ სიმწვანეს მგლოვიარე კვიპაროსების.
მორთეს ყოველი მოელვარე იარაღებით.
ზოგი უვლიდა მოთუხთუხე სპილენძის ქვაბში
ცხელ წყალს, ჰბანდნენ და მკვდრის ცის სხეულს
ასუფთავებდნენ:

220

ატყდა გოდება, და ცხედარი დატირებული
შემოსეს ნაცნობ სამოსელით და ძოწის კაბით,
ხელში აიღეს მებრძოლეებმა მძიმე საკაცე
და შეასრულეს ადათ-წესი მამაპაპური.
დაბლა დახარეს ჩირაღდნები. ერთად იწვოდა

225

საჭმელ-საკმაზი, თასით სითხე ზეთისხილისა.
როს გაიფანტა ფერფლი, ცეცხლის ენები დაცხრა,
ღვინით განბანეს ნეშტი, ძვლები მყის მოაგროვა
კორინეუსმა და სპილენძის ჭურჭელში დაფლა.
კრებულს სამჯერად მოუარა ანკარა წყლითა,

230

ნამი ასხურა, ზეთისხილის შტოით შეეხო,
განწმინდა კაცნი და თქვა სიტყვა გამოთხოვების.
ენეასმა კი დიდი ბორცვით დაფლა სამარე,
შიგნით ჩამარხა ბუკი, ხოფი და საჭურველი,
იმ მაღალ სერსაც ეწოდება დღეს მიზენუსი, —

235

გმირის სახელი და შერჩება სამარადუამოდ.
შემდეგ იჩქარა შესრულება სიბილას სიტყვის.
ჰპოვა ღრმა მღვიმე, დიდი ჰქონდა მას შესავალი,
ტყეთა წყვდიადში მომწყვდეული და დაფარული
პირქუში ტბითა, ჩიტიც კი ვერ შეფრინდებოდა.

240

გამოქვაბულის შავი ხახა აფრქვევდა სუნთქვას
და სუნი მისი ცის კამარას ეფინებოდა
(ამ ტბას ბერძნები უწოდებდნენ ხოლმე აორნოსს).

აქ მოაყენა მოგვმა ოთხი შავი მოზვერი,
შუბლზე ასხურა წმიდა ღვინო და რქების შუა

245

ბეწვი შეკრიჭა, დააყარა წმიდა კოცონზე
პირველ ზვარაკად. მაღალი ხმით უხმო ჰეკატეს,
ძალმოსილს, მაღალ ზეცაშიაც და ერებუსშიც.
დანა აიღეს, მსხვერპლთა სისხლი მყის შეაგროვეს
თასებში თბილად. ენეასმა შავმატყლიანი

250

ვერძი დაუკლა ევმენიდთა დედას და დასა
და, პროზერპინა! — შენ მოგიძღვნა მან დეკეული.
სტიქსის მეუფეს მიუჩინა ღამის სამსხვერპლო
და ცეცხლის აღზე მოათავსა მოზვერთა ხორცი,
ანთებულ შიგანს დაასხურა ნელსაცხებელი.

255

ამ დროს აკვნესდა ამომავალ მნათობის შუქზე
გმირთა ფეხებქვეშ დედამიწა, ტყის მწვერვალებმა
დაიწყეს რყევა და ქაღალმერთის მოსვლას თან მოჰყვა
ძაღლთა ყმუილი. „შორს, უღირსნო, შორსო! — ხმამაღლა
შესძახა მაშინ მოგვმა ქალმა, — დატოვეთ ჭალა!

260

გაჰყევი გზასა და იშიშვლე მყის სატევარი,
აი, სად გმართებს სიმამაცე, გმირო ენეას!“ —
ასე წარმოთქვა მრისხანემ და ღია მღვიმეში
შევიდა, გაჰყვა ენეასი მტკიცე ნაბიჯით.

ღმერთნო, სულთა და მღუმარ აჩრდილთ მძლე მეუფენო, —

265

ქაოს, ფლეგეთონ! მდუმარენო ღამით ადგილნო!
ნება მომეცით, გაგონილი მოვყვე და თქვენით
გავხსნა საქმენი დაფრულნი მიწის წიაღში.
პირქუშ აჩრდილთა შორის ვლიდნენ წყვდიად ღამეში,
დისის უკაცურ და უდაბურ სამფლობელოში.

270

მიბნედილ მთვარის ცბიერ შუქსაც ასე სჩვევია
ტყეში გზის პოვნა, რაკი ჩრდილით იუპიტერი
ცას ფარავს, ღამე მოქუფრული ფერს ართმევს საგნებს.
მისადგომებთან და ორკუსის მღვიმის კარებთან
შურისმგებელნი ბრუნვის ღმერთნი გლოვას მართავდნენ.

275

შიგ დაცულიყო სნეულება, სიბერის მწუხრი,
ავი მრჩეველი შიმშილი და შიში საზარი,
მათთანვე შრომა მტანჯველი და სიკვდილი მკაცრი,
მისივ მოდგმისა ძილი, გულის ავი ბრახვანი,
ომი — სიკვდილის შემომტანი — ზედ რკინის ზღურბლთან.

280

ევმენიდების საზარელი შუღლიანობა...
თმები-გველები სისხლიანი ბაფთით შეეკრათ.
იქ გაეშალა მარადისი ტოტნი, ვით ხელნი
პირქუშ ხეს, მაცდურ ოცნებათა მყუდრო სავანეს.
ამბობენ, სულნი ფოთლებს ქვემოთ მშვიდად ფრენენო.

285

გარდა ამისა მრავლად იყო აქ ურჩხულთ წყება,
კენტავრუსები თუ სკილები ორსახიანნი,
ასელიანი ბრიარევსი, მის გვერდით ლერნა,
ეკლით მოსილი, ცეცხლს აფრქვევდა იქვე ქიმერა,
გორგონები და ჰარპიები თუ აჩრდილები...

290

შიშმა შეიპყრო ენეასი, ხმაღს სტაცა ხელი
და წამახულ წვერს ჭიქურ საზარ მომხედურთ უშვერდა,
რომ მისან მხლებლებს დროით გონზე არ მოეყვანა,
არ ეთქვა, რომ აქ უსხეულო სულნი ფრენენო,
თავს დაესხმოდა, გააპობდა აჩრდილებს რკინით.

295

შემდეგ წავიდა აქერონტის ტალღებისაკენ,
ჩანდა მორევი ამღვრეული ბინძურ ტალახით.
მოშხაპუნებდა, მიაფრქვევდა კოკიტუსს ქვიშას.
აქ მდინარეებს ღრჯუ მეტივე ჰყავდა გუშაგად,
მურდალი ქარონ, დაფარვოდა მთელი ნიკაპი

300

ჭაღარა წვერით. უბრწყინავდა თვალი სიავით,
ჩამოფენოდა ჭუჭყიანი სამოსი მხრიდან,
ტივს ორთაყვირით მიათრევდა, აფრით მართავდა,
შავი ბორანით გადაჰყავდა სულეები ქარონს.
თუმცა მოხუცდა, მტკიცე იყო სიბერე ღმერთის.

305

აჩრდილთა დასი მიილტვოდა ნაპირისაკენ,
ქალნი და კაცნი, გმირთა სულნი უსიცოცხლონი,
იქვე ჭაბუკნი, ქალწულები უქორწინონი,
მამათა თვალწინ კოცონებზე დამწვარნი შვილნი.
ვით შემოდგომის სუსხში ხიდან ჩამოცვივდება

310

ფოთოლთ სიმრავლე, ან მიწიდან ზღვად გადივლიან
ფრინველთ გუნდები, რომ ზამთარი ყინულოვანი
მიერეკება ზღვათა გავლით თბილ ქვეყნებისკენ,
ასე მრავალნი იყვნენ, ქარონს ევედრებოდნენ,
მიესწრაფოდნენ გაღმა გასვლას ხელაპყრობილნი.

315

ხოლო მეტივე ზოგს დასვამდა პირლამიანი,
სხვებს ნაპირიდან განდევნიდა. მაშინ გაოცდა
მამა ენეას და წარმოთქვა შეძრწუნებულმა:
„ქალწულო, მითხარ, ამ ნაკადთან ბრბო რად გროვდება?
რას სთხოვენ სულნი? ან რის გამო დევნიან ზოგსა,
320

ხოლო ზოგნი კი მიარღვევენ ამღვრეულ ტალღებს?“
მოკლედ მიუგო მას წლოვანმა ქურუმმა ქალმა:
„ანქიზეს ძეო, ჭეშმარიტო შვილო ღმერთისა!
შენ კოკიტუსის ჭოჭსა ხედავ და სტიქსის ჭაობს,
რომელთ სახელი ძრწოლასა ჰგვრის თვითონ ღმერთებსაც.
325

შენ ახლა ხედავ ბრბოს ბედშავთა, დაუკრძალავთა!
ეს ქარონია... წყალზე გავა, ვინც საფლავშია;
არ შეიძლება ტალღებს გაჰყვნენ და გადავიდნენ
სულები მანამ, სანამ მათს ძვლებს არ დაკრძალავენ.
აქეთ ნაპირას ასი წელი ეხეტებიან
330

და მხოლოდ შემდეგ მიუშვებენ ნანატრ ჭაობთან“.
შეჩერდა მაშინ ანქიზეს ძე, ფიქრმა წაიღო,
გულში დარდობდა უსამართლო ხვედრზე ჩაგრულთა,
ხედავდა სულებს მწუხარეებს, დაუკრძალავებს,
ლეევასპეს, ბელადს ლიკიელთა გემის – ორონტეს,
335

ისინი ერთად გაემგზავრნენ ტროის ქვეყნიდან,
ავსტერმა გემნი და მეგზურნი ზღვაში ჩაძირა.
პალინურუსი მოახლოვდა, მესაჭე იგი.
ლიბიის გზაზე ვარსკვლავეთში გზას რომ ეძებდა,
მაღალ კიხოდან ჩავარდნილი ზღვამ რომ დაფარა.
340

იცნო მწუხარე აჩრდილი და ასე მიმართა:

„ო, პალინურუს, რომელ ღმერთმა გამოგიტაცა
ჩვენი გემიდან და უფსკრულის ძირში ჩაგმარხა?
მიაბე, რადგან ამ კითხვაზე შეუცდენელმა
ფებუსმა სული ამიმღვრია თვისი პასუხით,
345

მითხრა, რომ თითქოს ზღვას გადურჩი და იმყოფები
ავღონიაში. განა რაც თქვა, ეს მართალია?“
მან უპასუხა: „ღმერთს სიცრუე არ უთქვამს შენთვის,
ანქიზიადო, ზღვაში ღმერთმა როდი ჩამძირა,
რადგან უეცრად მოგლეჯილი საჭე ხელთ მქონდა
350

და ის მშველოდა, რომ გზა ზღვაში კვლავ გამეკვლია.
ჩამოვარდნის დროს თან ჩამომყვა. ვფიცავ სასტიკ ზღვას,
რომ ჩემი ბედი მე იმდენად არ მაფიქრებდა,
რამდენად შენი, მესაჭისგან დატოვებული
არ დანთქმულიყო გემი მყისი მღელვარების დროს!
355

სამ პირქუშ ღამეს უნაპირო ზღვაზე მაქცია
ნოტუსმა, ჩემზე გულმრისხანემ, მეოთხე დილას
ტალღას ავყევ და იტალიას მოვკარი თვალი.
ნელა გავცურე, მივალწიე მყარ სანაპიროს
და იქ სასტიკმა ხალხმა სამოსდასველებული
360

და მტკიცე ხელით კლდეების ქიმს ჩაჭიდებული
გამგმირა ხანჯლით. არდასარჩენ მტრად მოვეჩვენე.
ახლა ზღვაში ვარ და დამათრევს ტალღებზე ქარი.
ცის შუქს გაფიცებ სანეტაროს და სიცოცხლესა,
მამას, იულუსს, ენეასის იმედად აღმდგარს,
365

მიხსენ, გმირთ გმირო, ვარამისგან! მიწა მაყარე!
შენ შეგიძლია ველინუმის ყურეს მიადგე,
ან რამე ხერხი, თუ გასწავლა დედა-ქალღმერთმა,
გამოიყენე. მივხვდი, მზად ხარ ღმერთთა ნებართვით
წიაღვლო წყალნი და დიადი სტიქსის ჭაობი.

370

მომეც უბედურს ხელი, იქით გადამიყვანე,
რომ თუნდ სიკვდილში აწ მელირსოს სავანე მშვიდი“.
მისდა პასუხად მაშინლა თქვა ქურუმმა ქალმა:
„რა უგნურ რამეს მიესწრაფვი, ო, პალინურუს?
დაუკრძალავმა გინდა ნახო სტიქსის ნაკადი,

375

ევმენიდების მორევი და გზა აკრძალული?
ნუ გაქვს იმედი, ლოცვით ღმერთნი დაიყოლიო.
მაგრამ გახსოვდეს ჩემი სიტყვა, ნუგეშად გქონდეს.
ხალხს შთააგონებ ქალაქებში სასწაულებით,
რომ შენი ძვლები მსხვერპლშეწირვით გაწმინდონ, შემდეგ

380

მოაწყონ ბორცვი, დააწესონ დღესასწაული,
და საუკუნოდ პოლინურუს უწოდონ ადგილს“.
ასეთმა სიტყვამ მწუხარე სულს აშორა დარდი
და დაამშვიდა მიწიურმა მეცნიერებამ.
ისევ განაგრძეს გზა, მიადგნენ პირქუშ მდინარეს,

385

სტიქსის მორევში შეამჩნია მყისვე მეტივემ,
რომ ჭალაკიდან ნაპირისკენ გზა მიემართათ,
თავდაპირველად საყვედური უთხრა შორიდან:
„ვინც უნდა იყო, იარაღით რომ გვეახლები,
შორიდან მითხარ, რად მოდიხარ, მანდვე დადექი!

390

აქ სავანეა სულთა, ნატვრის, ძილისმგვრელ ღამის.
ცოცხალ სხეულთა გადატანა არ მევალება.
შვებას არ მგვრიდა არც ალკიდეს მოგზაურობა,
არც თეზევსისა და არცა თუ პირითოესი,
თუმც ღვთისნაშობნი იყვნენ გმირნი და უძლუველნი.
395

ტარტარის მცველი ბორკილებში თვითონ ჩაჭედა
და სამეფო ტახტს მოაშორა. იმ ორს კი სურდა
დისის მეუღლე მოეტაცათ სანთიობოდან“.
მოკლედ მიუგო მას ქურუმმა ამფრიზიელმა:
„აქ საამისო არა არის და შენ ნუ ღელავ,
400

არც იარაღით იმუქრება, დაე, მეკარემ
მარადი ყეფით შეაშინოს უსულო ჩრდილნი,
და დროზე ბინა პროზერპინამ დაიცვას ბიძის!
ეს ხომ ტროელი სათნო გმირი ენეასია,
თავის მშობელთან ერებუსის ქვეშეთში მიდის.
405

თუ არ გაღელვებს სათნოება მამაშვილური,
მაშინ შტო, — და შტო დამალული გამოუჩინა, —
იცან საშენოდ!“ დაცხრა ავი მეტივის გული.
სიტყვა არ დაძრა. შესციცინა მშვენიერ ჯილდოს,
საბედისწერო შტოს, დიდხანს რომ აღარ უნახავს.
410

ცისფერი ტივი მოაქცია ნაპირისაკენ.
ნაპირზე მსხდომნი სხვა სულები მყისვე განდევნა,
კიჩო გაწმინდა, ენეასი მიიღო ნავში
და სიმძიმის ქვეშ დაიკვნესა ძველმა ბორანმა.
დახეთქილ ძირში შეიწოვა ბლომად ჭაობი.
415

ნაკადის გაღმა ენეასი და ქალ-ქურუმი
გადმოსვა ლამში, მონაცრისფრო ლერწმების ტევრში.
აქ კერბერუსის ხაფი ყეფა ისმოდა ირგვლივ.
მღვიმის პირდაპირ შესავალთან დაწოლილიყო.
როცა მის ყელზე ყალყზე მდგარი გველები ნახა,
420

ძილის მომგვრელი მორგვი სტყორცნა ქურუმმა ქალმა, —
თაფლით ნაზავი. სამი სახით იგდო მშვიერმა
ეს საჩუქარი, დაუსუსტდა მცისვე სხეული
და მღვიმის პირად გაიშოტა უზარმაზარი.
კარებს მიადგა ენეასი, გასცდა მეკარეს,
425

ნაპირს საზარელს, ტალღას უკან მოუბრუნებელს.
წამსვე მოესმა ხმამალალი გოდება მამაცს,
ზღურბლთან ბავშვების სულთა გლოვა, რომელთ წაართვა
ტკბილი სიცოცხლე და მშობლიურ მკერდს გამოსტაცა
დღემ ავბედითმა და მწუხარე სამარეს მისცა.
430

ცრუ ბრალდებებით დასჯილებიც იქავე იყვნენ,
მაგრამ წილისყრით შეხვედრიათ მათ ეს სავანეც.
მსაჯი მინოსი დგამდა ურნას, მდუმარე დასის
ცოდვას იკვლევდა და სწავლობდა გზას ცხოვრებისა.
იქვე მწუხარე სულნიც იყვნენ, თავიანთ ნებით
435

მინებდნენ სიკვდილს, მათს სხეულებს სინათლე სძულდათ
და სულს განშორდნენ. ო, ზესკნელში ახლა ცხოვრება,
როგორ უნდოდათ, სიღარიბის, შრომის სიმძიმეც!
წერამ შებორკა და ტალღებში მტრული ტალახი
მიეკრა სულებს და თვით სტიქსი, ცხრაგზის მსრბოლელი,
440

ახლოვე ჩანდა, განფენილი ოთხსავე მხარეს —
ველი დარდისა (ასე ჰქვია კიდეც სახელი!).
ვინც სიყვარულმა დაუნდობელ შხამით შემუსრა,
მყუდრო ბილიკით მიჩქმალულა, მირტის რტოებით,
განმარტოებით, დარდმა აქაც არ მოასვენა...

445

ფედრას და პროკრისს და მწუხარე ერიფილესაც,
ძისგან მიღებულ ჭრილობებით მკაცრად დასერილს,
ევადნესა და პაზიფაეს, ლაოდამias
ხედავდა გმირი, — კენეუსსაც, ოდესღაც ჭაბუკს,
ახლა კვლავ ქალსა, რაიც იყო, იმადვე ქცეულს.

450

აქ იყო დიდოც სიდონელი, ახლად დაჭრილი,
ჭალად ვიდოდა, ოდეს დადგა ტროელი გმირი
წინაშე მისა, იცნო სატრფო ჩრდილით მოცული.
ახალ მთოვარეს შუქს რომ მოჰკრავს კაცი, ჰგონია,
მნათობი ნახა წამომდგარი ღრუბლის ქულიდან.

455

ცრემლი მოადგა, სიყვარულით და ტკბილად უთხრა:
„საბრალო დიდო, ჩანს მაცნობა მართალმა მაცნემ
სიკვდილი შენი, აღსასრული ვერაგი რკინით?
ვაგლახ, მიზეზი განა მე ვარ? მაღალ ვარსკვლავებს,
ზეცას და ღმერთებს, თუ ქვეშეთში არის სიმართლე, —

460

ვფიცავ, ნაპირი მე დავტოვე ჩემს უნებურად,
ღმერთის ბრძანებით, ვინც ამჟამად აჩრდილთა შორის
ეკლოვან გზებზე მაიძულებს ღამით სიარულს.
ძალით გამაგდეს. არ შემეძლო აზრად მქონოდა,
რომ ჩემი წასვლით მოგიტანდი უბედურებას!

465

შესდექ, ნუ მიხვალ, ო, ჩვენს თვალებს ნუ ეფარები,
ვის გაურბიხარ? უკანასკნელ საუბარს ისმენ!“
ასე უნდოდა, რომ ენეასს განრისხებული
სული მოეღბო, მოეტაცნა ცხარე ცრემლები.
ქალს კი თვალები დაღვრემილი ძირს დაეხარა
470

და ვაჟის სიტყვით სახე აღარ ათრთოლებია,
თითქოს კაცი ან მარპეზიის კლდე ყოფილიყო.
ბოლოს გაიქცა და ჩრდილოვან ჭალაში მტრულად
გაუჩინარდა, სად პირველი ქმარი სიქევსი
ზრუნავდა მასზე, შერჩენოდა კვლავ სიყვარული.
475

სათნო ენეას შეაძრწუნა სასტიკმა ხვედრმა,
შორით გახედა მტირალმა და შეურევებულმა.
ისევ განაგრძო აღთქმული გზა, ბოლო ფერდობებს
მიადგა, სადაც მემართა სულნი სუფევდნენ.
შეხვდა ტიდევსი და საჭურვლით სახელოვანი
480

პირთენოპევსი, ადრასტუსი — ფერმიბნედილი,
იქავე იყვნენ ომის გმირნი დატირებულნი, —
დარდანიდები. ყველა ნახა მოყმემ ვრცელ მწკრივში:
გლავკუს, მედონტი და მის შემდეგ თერსილოქუსი,
ანტენორიდნი, პოლიბეტე, ცერერას მოგვი,
485

იდევსი კვლავაც ეტლზე მდგომი, კვლავ იარაღით.
სულნი შეუდგნენ დიად დასად მარჯვნივ და მარცხნივ
ერთხელ შეხედვა არ იკმარეს, სურდათ მოცდა და
მგზავრობა მასთან, რომ გაეგოთ მოსვლის მიზეზი.
დანაელთ გმირნიც, აგამემნონ, ფალანგნი მისნი
490

მას შეჰყურებდნენ, ელვარებას სცნობდნენ საჭურვლის.
შეშინებულმა მტრის ნაწილმა ზურგი აქცია,
როგორც ოდესღაც გემებისკენ გარბოდნენ ხოლმე.
ნაწილმა სუსტი ხმა გაიღო, ბგერა ამაო.
აქ ნახა გმირმა პრიამეს ძე დეიფობუსი,
495

დასახიჩრებულ-დაჩეხილი, ყურებწაჭრილი,
ატყავებული საფეთქლებით გულშემზარავი
და სამარცხვინოდ ახლეჩილი ნესტოებითაც...
სცნო მოცახცახე, იარების დაფარვის მდომი
და ნაცნობი ხმით დაუძახა ანქიზეს წულმა:
500

„ხმაღშეუვალო დეიფობუს, ტევკრეს სისხლისავ,
ვინ მოგიჩინა ესოდენი მკაცრი სასჯელი?
განა ვინ შეძლო? ბოლო ღამეს ხმა მომივიდა,
რომ პელაგების დიდი დასით გარშემორტყმული
მოკლულთა გროვას ზედ დაეცი ბრძოლით დაღლილი.
505

რეტეუმის წინ ცარიელი საფლავი დავდგი,
სამგზის მოვუხმე მაღალი ხმით სულთა აჩრდილებს.
იქ გენახება იარაღი, გმირის სახელი,
თუმც ვერ შევძელი სამშობლოში დამარხვა შენი“.
პრიამეს შვილმა უპასუხა: „არ დამივიწყე,
510

ღირსი მიუზღე დეიფობუსს და აჩრდილს მისას.
მაგრამ მე ბედმა, ლაკონიკელ ქალის ოინმა
ჭირში ჩამაგდო, მისგან დამრჩა ეს სახსოვარი.
ჩვენ ბოლო ღამე გავატარეთ ამაო შვებით,
შენც იცი, ახლა უნებურად ვიგონებ წარსულს.
515

ბოროტი ცხენი გადაეწო მალალ გალავანს,
პერგამოსს მისწვდა და სხეულით რაზმი მოასხა.
ფრიგიელ დიაცთ მოზეიმე ფერხულს უძლოდა
ცბიერი ქალი, ზე ასწია მან ჩირაღდანი,
ქონგურებიდან მოუხმობდა სასტიკ დანაელთ.

520

მაშინ დაღლილი და ღრმა ძილით დამძიმებული
საწოლს ვიყავი, მომეხვია ტკბილი სიმშვიდე,
მსგავსი უზრუნველ სიკვდილისა, ამ დროს კი ქალმა
სახელოვანმა გაიტანა აბჯარ-ბექთარი,
ამომაცალა სასთუმლიდან ერთგული ხმალი,

525

სახლში მოუხმო მენელაოსს, კარი გაუღო,
ამით ფიქრობდა მოეპოვა დამსახურება
და ბოროტება დაეფარა მას წინანდელი.
სხვა რალა გითხრა? შემოვარდა გაბოროტებით
ბერძენთ ბელადი ეოლიდი. ღმერთო, მიუზღე

530

ბერძნებს იმითვე, ღვთისმოშიში ბაგეებით გთხოვ!
მაგრამ შენ მამცნე, აქ ცოცხალი რამ მოგიყვანა,
მიამბე, ზღვაზე ხეტიალმა აქეთ მოგაგდო,
თუ შთაგონებამ ღვთაებისა? რა ბედი გდევნის,
რომ მღვრიე ლაშში და უმზეო ქვეყნად მოხვედი?”

535

ამ სიტყვების დროს ძოწის ეტლით უკვე ავრორამ
გადაიარა შუა ღერძი საჰაერო გზის.
მათ კი შეეძლოთ, რომ მთელი დრო შემოხარჯვოდათ,
მაგრამ სიბილა ჩაერია და მოკლედ მოჭრა:

„ენეას, უკვე ღამე დგება, ჩვენ კი ტირილში

540

დრო გვეხარჯება. აგერ გზათა გასაყარია:
მარჯვნით თუ წახვალ, მიაღგები დისის დიდ კედლებს,
ელიზიუმში გადაგიყვანს, ხოლო მარცხენა
ბოროტთა გზაა და პირდაპირ ტარტარში მიდის“.

დეიფობუსმა: „ნუ ბრახობო, ქურუმო ქალო,
545

დავუბრუნდები ისევ წყვილიადს, ხოლო შენ გასწი,
ჩვენო დიდებაჲ! უკეთესი ბედი გქონოდეს!“ —
ასე წარმოთქვა და უჩუმრად უკუმიიქცა.
მიმოიხედა ენეასმა და მარცხნივ, კლდის ქვეშ
კოშკი იპოვა, სამმაგ კედლით გამაგრებული.

550

სწრაფი ნაკადი ცეცხლოვანი გარს ევლებოდა,
თვით ფლეგეთონი ტარტარისა ღორღს მოარღვევდა.
აღმართულიყო ბჭემაღალი, მძლავრი სვეტები,
ვერც კაცთა ძალა, ვერც ზეციერთ ძალუმი ბრძოლა
ვერ შეარყევდა. აწვდილიყო რკინის ქონგური,
555

ზედ ტიზიფონე დამჯდარიყო სისხლიან კაბით,
ძილის არმცოდნე, დღით და ღამით კარიბჭის მცველი.
ისმა გოდება, საშინელი დარტყმით გუგუნო,
ჟღარუნო მძიმე რკინისა და ბორკილებისა.
შეჩერდა გმირი და ისმენდა ზარდამცემ ხმაურს:
560

„რა ბოროტება აქ ტრიალებს, მითხარ, ქალწულო,
რა სასჯელია, რა ხმაური მოდის ჩვენამდე?“
მაშინ ქურუმმა უპასუხა: „ტევკრთა ბელადო,
ბოროტების ზღურბლს აქ ვერავინ დაიმორჩილებს.
როს მე მანდობდა თვით ჰეკატე ავერნის ჭალებს,
565

მაშინ მასწავლა ღვთის სასჯელი. მამცნო ყოველი.
ამ სასტიკ მხარეს ფლობს გნოსელი რადამანთუსი,
იგი ბჭობს, სჯის და აიძულებს ხუნდის მიღებას,
ვინც სააქაოს ნეტარებდა ამაოებით,
შორს გადაუდო მათ ცოდვათა შემსუბუქება.

570

მძიმე მათრახით მივარდება შურისმგებელი
ტიზიფონე და ცოდვილთ ურტყამს, როს გველს ცაცით
აისხლეთს, თანაც მოუწოდებს დებს შემზარავად.
როს განიხვნება მოგუგუნე ანჯამებიდან
ჭრიალით ბჭენი, ნახავ გუშავს შეუბრალებელს

575

და საზარელ მცველს კარიბჭისა, ურჩხულის სახით.
ორმოცდაათი ხახით იცდის ვეება ჰიდრა
ავისმორბედი. შიგნით კიდევ თვით ტარტარუსი
ორად იყოფა და ჯურღმულში იმოდენაა,
რამხელაც არის ოლიმპოს მთა ზეცად მიმსწრაფი.

580

აქ მიწის ძველი მოდგმა არის ტიტანუსისა,
რომელიც ელვით ძირს დანთქმულა ქვესკნელის ფსკერზე.
მე იქ ვიხილე ბუმბერაზი ალოიდები,
რომელთაც სურდათ გაეხვრიტათ ხელებით ზეცა
და სამეფოდან ჩამოეგდოთ იუპიტერი.

585

მინახავს, სასჯელს ვით იხდიდა სალმონეუსი,
რადგან მიჰბაძა ელვა-ქუხილს იუპიტერის.
ის ოთხცხენიან ეტლში მჯდარა, აქნევდა ლამპარს
ბერძენთა შორის და ქალაქში შუა ელიდის.
ზეიმიტ მსრბოლი ღმრთის შესაფერ თაყვანს ითხოვდა,

590

იგი, უგნური! სურდა მეხი, ელვა უბადლო
წარმოესახა სპილენძით და ცხენთა დგრიალით.
ყოვლისმძლე მამამ ღრუბლებიდან ისარი სტყორცნა,
არა სანთლის და კვამლიანი კვარის მაგვარი,
და მეყსეულად შთანთქა იგი საზარ ქვესკნელში.

595

ტიტიოს ვნახე ყოვლისმშობელ მიწის აღზრდილი,
თუ ვით განერთხო მისი გვარი და საუკუნოდ
სასტიკი ორბი უკორტნიდა საზარ ნისკარტით
უკვდავ ღვიძლსა და ტანჯვისათვის გაჩენილ შიგანს,
შიგ ქოთქოთებდა და მაღალ მკერდს გადაუფრენდა.

600

ველარ ეღირსა განსვენება მის ტანჯულ სხეულს.
ლაპითებზე ვთქვა, პირითუსზე, თუ იქსიონზე?
მათ ხომ საცაა დაეცემა ტინი პირქუში,
სულ ჩამოსკდომით ემუქრება. მაღლა ბრწყინავენ
ოქროს ფეხები სარეცლისა, პირთან ნუგბარი

605

სულ ახლოსა აქვთ, მაგრამ იქვე ფურია უწევთ
და უშლის ტანჯულთ, რომ ამ სუფრას ხელი შეახონ.
ჩირალდანს ასწევს და საზარელ ყიჟინას ატეხს.
ვის სიცოცხლეში სძულდა ძმები და თავის მამას
შეურაცხოფდა, ვინც სიცრუით კლიენტს აცდენდა,

610

ვინც განძი ჰპოვა, თავისიანს არ უწილადა,
არამზადების ბრბო ასეთი, თუ გარყვნილების,
შემდეგ მოკლულნი, სამარცხვინო ომში ჩაბმულნი,
ბილწნი, ორგულნი, ბატონების ფიცის გამტეხნი
ელიან სასჯელს დამწყვედულნი. ნუ გსურს გაგება

615

მათი სასჯელის საშინელის და მათი ხვედრის.
ზოგი აგორებს ვეება ლოდს, ზოგი ბორბლებზე
არის გაკრული... აქვე რჩება სამარადისოდ
ბედკრული თეზეს, ფლეგიასი საწყალობელი,
აჩრდილთა შორის მაღალი ხმით მარად მყინავი:

620

„ჩემგან ისწავლეთ, ძრწოდეთ, ღმერთის უარმყოფელნო!“
მაგან გაჰყიდა სამშობლო და ძლიერი მტერი
შემოიყვანა. ფულზე ცვლიდა წმიდა კანონებს,
აკრძალულ ვნებით სარეცელი დაგმო ასულის.
ყველას ვერ ვიტყვი, ვინც ბოროტი საქმე გაბედა,

625

ასი რომ მებას ენა, ასი პირიც რომ მქონდეს
და ბგერა — რკინის, ბოროტების სრულად ჩამოთვლას
და მათ სასჯელთა სრულ აღნუსხვას როდი შევძლებდი“.
სათქმელს რომ მორჩა, ასე ბრძანა ფებუსის მოგვმა:

„განაგრძე კვლავ გზა, დაწყებული საქმე, ენეას,

630

უნდა დასრულდეს! კიკლოპების ქურებში მოჩანს
უკვე კედლები და ახლობელ თაღში — კარები,
რომელთაც უნდა დავუტოვოთ აღთქმული ძღვენი“.
ბრძანა და განვლეს კედლის გვერდით გზა ჩრდილოვანი,
ფრთხილი ნაბიჯით კარიბჭესაც მიუახლოვდნენ.

635

ზღურბლს როს მიადგა ენეასი, ცინცხალი წყალი
მყის შეისხურა და აღთქმული შტო დაამაგრა.
როს შეასრულეს ქალღვთაების თაყვანისცემა.
ნეტართა მხარეს მიაღწიეს, საამო მდელოს,
რომ გაშლილიყო სანეტარო საცხოვრისამდე.

640

უფრო ვრცელია აქ ეთერი, ველს შუქი უვლის,
საკუთარია აქ მთიებნი და მზე ელვარე.
ზოგი ვარჯიშობს აყვავებულ მწვანე ბალახში,
ზოგნი კი ყვითელ ასპარეზზე ეჯიბრებიან.
ნაწილი ფერხულს შესდგომია ტკბილი სიმღერით.

645

აქ თრაკიელი მოგვი დგას და ტკბილად აჟღერებს
შვიდლარიანსა თავის ღირას, ხან თითს ამოჰკრავს,
ხან კი სპილოს ძვლის წკირით უკრავს საამო ჰანგებს.
აქ სუფევს მოდგმა ტევკრუსისა, ქებული ტომი,
სულით ძლიერი ბელადები, კარგ დროს შობილნი,

650

ილუს, დარდანუს, ასარაკუს, ტროის ამგებნი.
გმირს გაუკვირდა, ცარიელი ეტლნი რომ ნახა,
შუბნი, მიწაში ჩარტობილნი, ხოლო ცხენები
ბალახს რომ ძოვდნენ არხეინად. რაც სიცოცხლის ჟამს
უყვარდათ ეტლი, იარაღი, იმდენად უფრო

655

მიწაში ჩაფლულთ ცხენთა მოვლა ეამებოდათ.
მარჯვნივ თუ მარცხნივ მოღზე მსხდომნი ვაჟკაცნი ნახა,
ესმა პეანი მხიარული დაფნის ჭილებში
მომღერალ გუნდის; ხოლო მთიდან მოჩხრიალებდა
ტევრში ნაკადი უხვწყლიანი ერიდანუსის.

660

აქ სამშობლოსთვის დაჭრილ გმირთა სავანე იყო
და სიცოცხლის ჟამს უბიწოთა, წმიდა ქურუმთა,
აქვე ფეხუსის ღირსეულნი მისანნი იყვნენ
და ვინც შეამკო ხელოვნებით ცხოვრება თვისი,
ვინც დაუტოვა ხალხს სიქველთა კეთილი ხსოვნა.

665

მათ შუბლს უმშვენებს მშვენიერი თეთრი თავსაკრი.
გარს შემოკრებილთ ასე უთხრა მოგვმა სიბილამ, —
ჯერ კი მუზეუსს, აღმატებულს მძლავრი მხარბეჭით,
სხვები რომ რიდით შეჰყურებდნენ ქვემოდან ზევით:

„ნეტართა სულნო, ღირსეულნო მისანო, მამცნეთ

670

სად არის მხარე ანქიზესი, მისთვის მოვედით

და გადავცურეთ ერებუსის დიადი წყლები“.

სახელოვანმა მუზეუსმა მოკლედ მოუჭრა:

„არ გვაქვს ადგილი მონიშნული, ჩვენ ტყეში ვსუფევთ,

სანაპიროზე, მდინარეთა მორწყულ ველებზე,

675

მაგრამ თუ თქვენს გულს მისი ნახვა მოსურვებია,

გარდავლეთ ქედი, დაგაყენებთ იოლ ბილიკზე“, —

თქვა, წინ წავიდა და ზემოდან ნათელი ველი

ხელით აჩვენა. მყის დატოვეს სერი მაღალი.

მამა ანქიზე ამ დროს მწვანე ველის სიღრმეში

680

შემწყვდეულ სულებს, ქვეყნის შუქის მიწვდომის მსურველთ

აკვირდებოდა და არჩევდა თავისიანებს,

ტკბილ და სანუკვარ შვილიშვილებს, ბედნიერ მყოფადს,

მამაცთა ხვედრს და მათი ხელით ჩადენილ საქმეთ.

როს დაინახა ენეასი, მის შესახვედრად

685

ველზე მოსული, ორივე ხელი მიაპყრო მისკენ.

ლაწვზე ცრემლები ჩამოსდინდა, ბაგიდან — სიტყვა:

„ბოლოს მოხვედი, სიყვარულმა შეგაძლებინა

ძნელი გზის გავლა. კვლავ მეღირსა შენი დანახვა,

შვილო, ო, ვისმენ შენს სანატრელ და ნაცნობ ბგერას!

690

ასეც ვიცოდი, მომავალზე ვფიქრობდი მუდამ,
დღეებს ვითვლიდი და იმედი არ გამიცრუვდა,
რამდენი მიწის, ზღვის დამლახავს გიყურებ, შვილო,
ო, რაოდენი გასაჭირი გამოგიცდია!
როგორ ვშიშობდი, როს იყავი ლიბიის მხარეს!“

695

შვილმა მიუგო: „შენი, მამავ, მწუხარე სახე
მეწვია ძილში და ამ მხარეს მოსვლა მიბრძანა.
ტირენის ზღვაში მიდგას გემნი. მომეც მარჯვენა,
და ჩემს მოხვევნას, მამავ, ნულარ განერიდები!“ —
თქვა და სახეზე დაედინა ცრემლთა ნაკადი.

700

სამგზის ეცადა მოეხვია მამისთვის ხელი,
სამგზის აჩრდილი გაუცურდა სწრაფად ხელიდან,
მსუბუქი ქარის, ფრთაშესხმული ძილის სადარი.
გაფურჩქნილიყო გაშლილ ველზე განმარტოებით
მუქი ბუჩქნარი მოშრიალე, ლეთევსის წყარო

705

ნეტართა მყუდრო სავანესთან მორაკრავებდა.
მოგროვილიყო უთვალავი ტომი და ხალხი,
ფუტკრებსა ჰგავდნენ მინდორ-ველზე ნათელ ზაფხულში
ყვავილზე მსხდომთა, ჩაკრობილთა სპეტაკ შროშანებს, —
მათი ფუსფუსით გუგუნებდა ველი გაშლილი.

710

უცბად შეაკრთო ენეასი სანახაობამ:
მდინარის გაღმა რა ხდებოა, იკითხა გმირმა.
რა ხალხიაო, სანაპირო რომ დაუფარავთ?
ანქიზემ უთხრა: „სულეებია, რომელთაც ბედი
ახალ გვამს მისცემს; დღეს ლეთევსის ნაკადულებში

715

ეწაფებიან ანკარა წყალს, დროს რომ ავიწყებს.
დიდი ხანია მსურდა, შენ ეს დასი გენახა,
შთამომავლობა რომ გამეცნო შენთვის. მით უფრო
გაიხარებდი იტალიის ნაპირის პოვნით“.

„მამავ! — მიმართა, — ნუთუ მართლა აქედან ცაზე

720

უნდა აფრინდეს ვისმე სული, რომ დაუბრუნდეს
კვლავ დუნე სხეულს? დღის სინათლეს რად ესწრაფვიან?“

„გიამბობ, შვილო, გაგიფანტავ ეჭვებს უმაღვე“, —
უთხრა ანქიზემ და მემკვიდრეს დაჯრით აუხსნა:

„თავდაპირველად ცას და მიწას, თუ წყლიან ვაკეს,

725

მთვარის ელვარე გლობუსს, თუნდაც ტიტანის მნათობს,
სული უდგას და ჩაღვრილი აქვს გონების ძალა,
რაც ამოძრავებს სიდიადით, ტანთან შერთული.

აქედან არის კაცთა მოდგმა, მხეცთა, ფრთოსანთა,
გინა ურჩხულთა, მარმარილოს ზვირთებში მსრბოლთა.

730

თესლს ზეციური, ცეცხლოვანი ძალა თან ახლავს,
თუ მას სხეული არ აწამებს ავისმორბედი
და არ აჩლუნგებს მიწა მხვრელი, მოკვდავთა გვამი.

ამის შიში აქვთ, მწუხარებენ და უხარიათ,
ცას არ ხედავენ ბრმა ჯურღმულში ჩაკეტილები.

735

ამიტომ, როცა მათ სიცოცხლის სინათლე ტოვებს,
განილტვის არა ყველა ჭირი სხეულებრივი,
არამედ იგი, რაც დიდი ხნით მასთან შეზრდილა
საოცარი გზით, კიდევ დიდხანს დარჩება სულში.

ამიტომ ძველი ბოროტების გამო სატანჯველს

740

დიდხანს ითმენენ, უნაყოფო ქარში გაშლილან,
ისე მიქრიან. ხოლო ზოგი მტანჯველი ცოდვის
მოსაშორებლად ცეცხლზე იწვის და განსაბანად,
როგორც მანები, ვითმენთ. შემდეგ ელიზიუმის
გავლით ამ ნათელ ველ-მინდვრებში ცოტანი ვსუფევთ,
745

სანამდის ვრცელი დღე და დროის რკალი შეკრული
არ მოაცილებს შეზრდილ ლაქას და სუფთა სახით
ეთეროვან აზრს არ დატოვებს და ცეცხლსა მარტივს.
ხოლო როდესაც დროის რკალი ათას წელს შეკრავს,
მათ კვლავ ლეთევსის მდინარესთან მიიყვანს ღმერთი,
750

რომ უხსოვარი კვლავ იხილონ ცის კაბადონი
და მოისურვონ დაუბრუნდნენ მიწიერ სხეულთ“, —
ასე წარმოთქვა ანქიზემ და შვილიც, სიბილაც
პირდაპირ ბრბოსკენ წაიყვანა, ავიდა სერზე,
რომ შესძლებოდა სიმაღლიდან ყველას ჩამოთვლა
755

და გამოეცნო სახით ახლოს მოსული სული:
„ისმინე, სახელს ვით მოიხვეჭს დარდანთა ტომი,
რა შთამომავლებს ხამს ელოდე ტროის მოდგმისა,
სცან წმინდა სულნი, სახელს ჩვენგან რომ მიიღებენ,
მოკლედ გაუწყებ შენ მომავალ ხვედრს და საქმეებს.
760

ჯაბუკი, შუბს რომ დაყრდნობია, როგორცა ხედავ,
წილისყრით ქვეყნად დაიკავებს ადგილს პირველად,
მას შერევია სისხლი კიდევ იტალიური,
სილვიუს ჰქვია, ალბანური სახელი შენს ძეს,
შენი სიბერის ჟამს აღგიზრდის მას ლავინია
765

სამეფო ტევრში, ვით მეფეს და მეფეთა მამას.
მისივე მოდგმა დაიკავეს ღონგა ალბასაც.
აქ დგას პროკასი, ტროელების ტომის დიდება,
კაპისი, შემდეგ ნუმიტორი, შენი სეხნია —
გმირი სილვიუს ენეასი, სათნო მებრძოლი,
770

ოდესმე იგი მეუფებას მიიღებს ალბის.
აი, ჭაბუკნი! შეხე, მათში რა ძალა მოჩანს,
მათ შუბლს უმშვენებს ქალაქური მუხის გვირგვინი!
მთაზე ნომენტუმს, გაბიებს და ქალაქ ფიდენას
და კოლატინას აგიგებენ, ციხესიმაგრეს,
775

ინუი-კასტრუმს, პომეციოსს, ბოლას და კორას.
ახლა იმ მხარეს უსახელო მიწაა ოდენ.
პაპის კვალს მისდევს რომულუსი, მარსის შობილი,
ასარაკუსის სისხლისგან ჰშობს დედა — ილია.
ხედავ თავზე რომ ორი ჯილა ათრთოლებულა?
780

ღმერთების მამა შვილს ამზადებს დიდებისათვის.
ეს არის, შვილო, ვისი ძალით დიადი რომი
მიწით განსაზღვრავს მეუფებას, სულს — ოლიმპოთი.
იგი აუგებს ვრცელ გალავანს შვიდ ზვიად ქონგურს.
ბერეკინტია, ბედნიერი დედა ღმერთების,
785

ეტლით დაივლის ქონგურიან ფრიგიის ქალაქთ,
ღმერთების ბრძოლით, ასეული შთამომავლობით
გახარებული. აქ ყველანი შვებით სუფევენ,
თვალნი მოაპყარ, აქ შეხედე შენს რომაელებს!
ჰა, კეისარი, იულუსის მოდგმა დიადი,
790

მუდამ მზად მყოფი ცის თაღის ქვეშ კვლავ გასავლელად.
აქ არის იგი ასე ხშირად შენთვის ნაქები —
ავგუსტუს ცეზარ, ღვთაების ძე, რომელიც ოქროს
ხანას მოუტანს კვლავ ლაციუმს, სადაც მეფობდა
თვით სატურნუსი, იხელმწიფებს გარამანტებზე,
795

ინდოელებზე. მათი მიწა მზის წელიწდეულ
გზის იქითა ძევს. იქ ატლანტი ზეცის დამჭერი
მხრით ამოძრავებს ღერძს, ელვარე ვარსკვლავთ საამოს.
იმის მოსვლამდე უკვე ახლაც კასპიის მხარე
და მეოტია თრთის ღვთაებრივ მისნობის გამო,
800

შიშით ცახცახებს ვრცელ ნილოსის შვიდი სათავე.
თვით ალკიდევც კი არ გასულა ამდენ მხარეში,
როცა განგმირა მარდი შველი, სპილენძისფეხა,
ლერნა დააფრთხო, ტყე დააცხრო ერიმანთუსის.
არცა აღვირით ეტლს მართავდა ასე ლიბერი,
805

მწვერვალებიდან ნიზას სასტიკ ვეფხის მღევარი.
განა გვაეჭვებს სიმამაცის კვლავ განმტკიცება,
ან შიში გვიშლის ავგონიის მხარეს რომ დავრჩეთ?
ის ვინღა არის, ზეთისხილის შტო რომ ამშვენებს,
ხელში — ბომონი? თმით, ჭაღარა ნიკაპით ვიცან
810

რომაელთ მეფე, კანონეს რომ მისცემს ქალაქს და
წესს დაუფუძნებს, კურების და ღარიბი მიწის
წარმოგზავნილი სამეუფოდ. მას თან მოჰყვება
ტულუსი, იგი სამშობლოს მშვიდობას დასცემს,
უქნარა კაცებს, ტრიუმფს უკვე გადაჩვეულებს,
815

იარაღს მისცემს. უკან მოსდევს თავხედი ანკუს,
დღეს რომ ალაღებს სიყვარული მთელი ხალხისა.
შენ გინდა ნახო ტარკვინიელთ მეფენი, სული
შურისმგებელი ბრუტუსისა, ხელშეკრულება?
იგი მიიღებს კონსულობას, მძიმე სეკირებს
820

და თავის ძეებს ახალ ომებს მიუჩენს მამა
კვლავ დასაცავად მშვენიერი თავისუფლების.
რაც არ უნდა თქვას მის საქმეზე შთამომავლობამ,
სამშობლოს ტრფობა გაამართლებს, ქების წყურვილი.
შეხე დაციებს, დრუბებს, მათთან მამა ტორკვატუსს
825

სეკირის მპყრობელს და ალამთა მხვეჭელ კამილუსს!
ვისაც შენ ხედავ იარაღში აელვარებულს,
ის სულეზია, ჯერ კიდევ რომ ღამე აკავებს.
ვაგლახ, ერთურთში რა დიდ ბრძოლას გააჩაღებენ,
რომ მიაღწიონ კვლავ როგორმე სიცოცხლის ნათელს!
830

სიმამრი მოდის ალპებიდან, მონეკუსიდან,
ხოლო სიძე კი აღმოსავლეთით დიდძალი ჯარით.
შვილებო, სული ასეთ ომებს არ მიაჩვიოთ.
სამშობლო მხარეს იარაღით ნუ შეესევით!
შენ დათმე, შენა, ოლიმპოდან რომ მოგდევს მოდგმა,
835

ხმაღს ხელი უშვი, სისხლო ჩემო!..
კაპიტოლიუმს მიადგება მძლეველი ეტლით,
ვინც კორინთოში იზეიმა აქაველთ ძლევა;
აგამემნონის მიკენი და არგოსი მოსპო
და ეაკიდიც, აქილევსის შთამომავალი.
840

შური იძია ტროელთ გამო, მინერვას ტაძრის
წაბილწვისათვის! ვინ არ იტყვის, ო, კიტონ, შენზე,
ანდა კოსუსზე, ორ გრავხუსზე, სციპიადებზე;
დიდი ლიბიის ბრძოლაზე და მრისხანებაზე,
ფაბრიციუსზე, სერანუსზე კვალში მთესვარზე?

845

დაღლილს სით მერჩით, ფაბიებო? შენ ხარ მაქსიმუს,
ვინც გაასწორებს წამხდარ საქმეს დაუყოვნებლივ.
ცხოველი რკინა, დაე, სხვებმა გაჭედონ ხოლმე,
მარმარილოდან გამოკვეთონ ცოცხალი სახე;
ქმნან ხელოვნება, გამოსახონ ცის მოძრაობა,

850

წკირით მოხაზონ და მნათობთა მოსვლა გვაუწყონ...
შენ, რომაელო, გმართებს ხალხთა მართვა უფლებით,
ეს არის შენი ხელოვნება! — მშვიდობის დაცვა,
ამაყთ დათრგუნვა და მორჩილთა მოწყალებობა!“ —
ასე წარმოთქვა ანქიზემ და კვლავ დაუმატა:

855

„შეხე მერკელუსს, განდიდებულს მეფურ ნადავლით,
გამარჯვებული ყველა კაცს რომ აღემატება!
ის რომის ძალას ამბოხების ჯანყით შერყეულს,
კვლავ განამტკიცებს, კვლავ დაამსხვრევს პუნებს
და გალებს,
ხოლო მესამე იარაღით ქვირინუსს დასცემს“.

860

მაშინ მიმართა ენეასმა, როს გვერდით ნახა
ჭაბუკი უცხო სილამაზის და საჭურველით
ელვარე, გარნა დაღვრემილი, თვალებდახრილი:
„ვინ არის, მამავ, ეს ჭაბუკი და რა მოელის?
დიადი მოდგმის განა არის შთამომავალი?

865

რა ხმაურია მის გარშემო, ელვის დიდება?
მას ხომ თავს ღამე დასდგომია მწუხარე ჩრდილით“.

მამა ანქიბემ ცრემლიანმა მიუგო მაშინ:

„ნუ მკითხავ, შვილო, შენს საკუთარ უბედურებას.

ქვეყნად ასეთად მას მოგივლენს ბედი, მაღევე

870

უკან წაიყვანს. მეტისმეტად რომაელთ ტომი,
ღმერთებო, მძლავრი იქნებოდა, რომ შერჩენოდა
ეს საჩუქარი! კაცთა კვნესას მოუვლენს ქალაქს,
მარსის მინდორი! თიბერინუს, ნახავ აკლდამას,
როცა გაუვლი მობიბინე ახალ სამარეს!

875

ილიონელთა მოდგმისაგან სხვა ყრმა ვერ მისცემს
ლათინელ პაპებს იმედს. მხარე რომულუსისა
ასეთი შვილით აწ ვერასდროს ვერ იამაყებს.

ო, სათნოებავ, ერთგულება, ომში ნაცადო
მძლეო მარჯვენავ! ბრძოლას მას ვინ გაუბედავდა,

880

თუნდაც ფეხდაფეხ მიჭრილიყო, ან ამხედრებულს
ფერდში ჩაეჭდო აქაფებულ ცხენისთვის დეზი.

საბრალლო ყრმაო, ვაგლახ, გდევნის ბოროტი ბედი,

შენ — მარკელუსო, შენ! მომეცით ხელში შროშანი,

ძოწისფერ ყვავილს მიმოვფანტავ, ყრმა შვილიშვილის

885

სულს მაინც ვუძღვნი ამ საჩუქარს და პატივსა ვცემ!“

ასე იარეს ჰაეროვან მხარეში დიდხანს,

ფართო მინდვრებში და ყველაფერს აკვირდებოდნენ.

როცა ანქიბემ გაატარა შვილი ყოველგან,

აღუნთო სული მომავალი საქმის დიდებით,

890

უამბო შემდეგ რა ომები ხალხს მოელოდა,
ლავრენტელთ ტომზე, ლატინუსის ქალაქზე უთხრა,
ხერხიც აჩვენა, ამცდენელი განსაცდელისა.
ორი კარი აქვს, თურმე, ძვლისა. ერთი რქოვანი,
იქიდანა ქრის მყუდრობა ნეტარ აჩრდილთა,

895

ხოლო მეორე — სპილოს ძვლისგან ამოკვეთილი,
გეცამდე მიდის მისგან ჩრდილთა ცრუ ოცნებანი.
შვილი ანქიზემ სიბილასთან ერთად კარამდე
მიაცილა და ძვლის ჭიშკართან გაუშვა ბოლოს.
გმირი წავიდა გემებისკენ და ლაშქარს შეხვდა.

900

გზით პირდაპირით კაიეტას სადგურს შევიდნენ,
ღუზა ჩაუშვეს და ხომალდი მიადგა ნაპირს.

წიგნი მეშვიდე

ო, კაიეტავ, ენეასის მხცოვანო ძიძავ,
ჩვენს სანაპიროს შერჩა შენი ხსოვნა მარადი.
ახლაც სავანე და სახელი ჰესპერიაში,
თუკი დიდებად ეს გეყოფა, შენს ძვლებს ინახავს.

5

ადათისაებრ შეგისრულა დაკრძალვის წესი,
ყორლანი დადგა ენეასმა. ოდეს ზღვა დაცხრა,
გზასაც დაადგა, დათმო მყუდრო ნავსაყუდელი.
ქროდა ნიავი, ბადრი მთვარე გზას ანათებდა,
ზღვა კი ბრწყინავდა მოფარფატე სინათლისაგან.

10

ახლოს ცურავდნენ კირკეს მიწის სანაპიროსთან,
სად მზის ასული უმღეროდა მიუვალ ჭალებს,
დიდებულ სახლში სურნელოვან კედარსა წვავდა
ლამის წყვდიადის გასაფანტად და წვრილ ძაფებზე
წყნარი ზუმუნით საჩეჩელი გადაივლიდა.

15

ისმოდა მტკიცედ შებორკილი ლომის ქუხილი,

გვიან ღამეში მოგუგუნე, იქვე გომურში
ტახნი, დათვები მძვინვარებდნენ, ყმოდნენ მგლები.
კაცური სახე აღარ ჰქონდათ მხეცებად ქცეულთ, —
ჯადო-ბალახით თურმე კირკეს წაურთმევია.

20

რომ ქველ ტროელებს, ამ ნაპირთან მიახლოებულთ,
არ განეცადათ ისეთივე სახეცვლილება,
საშინელ მიწას სულაც რომ არ გაჰკარებოდნენ,
მყის ნეპტუნუსმა ხელსაყრელი ქარი დაჰბერა,
შეუმსუბუქა გემებს საზარ მეჩქითა ავლა.

25

ზღვა წითლდებოდა მზის შუქისგან, მაღალ ზეცაზე
ვარდისფერ ეტლში ოქროვანი ავრორა ჩანდა.
ამ დროს მიყუჩდა უცბად ქარი, ნიავიც შეწყდა.
ხოფი შეეხო ზღვის კრიალა და გლუვ ზედაპირს.
აქედან ნახა ენეასმა დიადი ჭალა,

30

მისგან ნაკადად ზღვას ერთვოდა სწრაფი ტიბერი,
ლალად მდინარი, თიხნარისგან გაყვითლებული.
ირგვლივ და მაღლა ფრინველები დანავარდობდნენ,
მიჩვეულიყვნენ მდინარეს და ტიბრის ხეობას,
ტკბილ ჭიკჭიკს ჰფენდნენ შემოგარენს, ეთერს და ჭალას.

35

მეგზურთ უბრძანა ენეასმა, ეცვალათ გეზი.
მიუახლოვდა სიხარულით მდინარის ნაპირს.
ახლა, ერატო, მე გიამბობ, თუ ვინ მეფობდა,
როგორი იყო ლაციუმში ადათ-წესები,
როგორ მოადგა ავგონიას უცხოთ ხომალდნი.

40

მინდა გადმოვცე იმ პირველი ბრძოლის ამბები...

ქალღმერთო, მგოსანს მოაგონე! ვიტყვი ომებზე
და ბელადებზე, ბრძოლას ასე რომ ესწრაფოდნენ,
ტირენტა რაზმზე, ბრძოლად გასულ ჰესპერიაზე,
დიდი ამბები მსურს გადმოვცე, დიდ საქმეს ვიწყებ!

45

მეფე ლათინუს თვის ქვეყანას მშვიდობიანად
დიდხანს მართავდა, — გაშლილ ველებს და წყნარ ქალაქებს.
ის ფავნუსისგან ლავრენტელმა ფერიამ შობა —
ტურფა მარიკამ. ფავნუსს მამად ჰყავდა პიკუსი,
ხოლო იგი კი მამად გთვლიდა შენ, სატურნუსო!

50

ღმერთების ნებით ძე არ ესვა მეფე ლათინუსს,
სიჭაბუკეში მოჰკვდომია მემკვიდრე თურმე,
მხოლოდ ასული აგრძელებდა სამეფო მოდგმას,
უკვე აღვსილი, საქორწინოდ მომწიფებული.
ბევრი ცდილობდა ლაციუმში, ავგონიაში

55

ქალწულს შერთვოდა, ესწრაფოდა მის ხელს უბადლო,
წარჩინებული პაპითა და პაპისპაპებით, —
გმირი ტურნუსი, დედოფალსაც სიძედ ის სურდა,
მაგრამ ღმერთები ავბედითი ნიშნით აფრთხოვდნენ.
სასახლის შუა ლავრუს-დაფნა ჰყვავოდა თურმე,

60

მრავალწლოვანი, სასოებით მოვლილ ფოთლებით;
მას წასწყდომია, როს აგებდა ციხესიმაგრეს
და მიუძღვნია ფეხუსისთვის თვითონ ლათინუსს,
მისივ სახელი მიუცია ლავრენტებისთვის.

ფუტკართ სიმრავლე, — სათქმელადაც საოცარია, —

65

ბზუილით ფრენდა გამჭვირვალე ჰაერში მაღლა,

დაფნის წვეროზე ჩამომსხდრებმა თათი თათს მისცეს
და მწვანე შტოზე სკად ეკიდნენ. მისანმა ბრძანა:
„ჩვენ ახლა ვხედავთ მოახლებას უცხოტომელთა,
უცხო ქვეყნიდან მოისწრაფვის მათი ლაშქარი
70

და ამაღლებულ ციხე-კოშკებს დაუფლებია...“
შემდეგ ქალწული ლავინია წმიდა ჩირაღდნით
ბომონს მიადგა, მშობლის გვერდით ცეცხლს აჩაღებდა
და ამ დროს, — ეჰა, საოცრებაჲ! — ცეცხლი მოედო
მის გრძელ კულულებს, ტანსაცმელიც ცეცხლმა მოიცვა,
75

გვირგვინს მოედო ქვით მოოჭვილს და გაეხვია
ყვითელ სხივებში, გააჩალა მწველი კოცონი.
ეს სასწაული სათქმელადაც საშინელია!
ასე ამოხსნეს მკითხავენმა ეს საოცრება:
თვით იქნებაო ქალი ბედით განდიდებული,
80

ხალხს ეს დიდება საზარ ომად დაუჯდებაო.
თავზარი დასცა სასწაულმა მეფეს, ეახლა
ფავნუსის მშობლის მოგვს, რომ რჩევა მიეღო მისგან.
ალბუნეასთან სახელგანთქმულ ჭალას მიადგა,
სად ოხშივარი ასდიოდა წყალს მოჩუხჩუხეს.
85

იტალიელნი, ენოტრიის მკვიდრნი აქ სთხოვდნენ
ძნელბედობის ჟამს ღმერთებს რჩევას, აქ მოდიოდა
ქურუმი ხოლმე უხვი ძღვენით და წყნარ ღამეში
დასაძინებლად ცხვრის ტყავებზე წამოწებოდა.
ბევრი აჩრდილი ჩაუვლიდა აბორგებული,
90

ხმაც ბევრი, და გულს დაიტკბობდა ღმერთთან საუბრით,

ლაპარაკობდა აქერონტთან ღრმა ავერნუსში.
ამავ ჭალაში მოიყვანა თვით ლათინუსმა
ზვარაკად ასი მატყლიანი ვერძი და პასუხს
ელოდებოდა ცხვრის ტყავებზე წამოწოლილი.
95

ჭალის სიღრმეში ხმა გაისმა ანაზდეული:
„ნუ მიესწრაფვი, ჩემო ქველო შთამომავალო,
რომ ქორწინებით შეაუღლო ლათინელს ქალი,
მოგივა სიძე უცხოელი: ზეცად აღავლენს
ლათინთა მოდგმას და მყოფადი თაობის სახელს.
100

მთელი სამყარო, მზის ნაფერი და ოკეანე
ქვეშ გაეგება შვილიშვილებს მათდა სამეფოდ“.
ველარ დამალა ლათინუსმა მისნის პასუხი,
მოგვის ჭალაში მოსმენილი მყუდრო ღამეში,
და ამ სიტყვებმა ავზონია შემოიარა...
105

ლაომედონტის მოდგმა ამ დროს მოადგა უკვე
გემთა კრებულთ სანაპიროს ლერწმიან კიდეს.
ენეასი და ბელადები თავდაპირველნი,
ყრმა იულუსიც ხის ტოტებქვეშ ხორაგს აფენდნენ,
მწვანე ბალახზე დებდნენ პურსაც სადილისათვის.
110

თვითონ ურჩია ეს ადგილი იუპიტერმა.
პურს ტყის ნაყოფიც დაატანეს დამშეულებმა.
როცა სუფრაზე აღარ დარჩა აღარაფერი,
შიმშილმა პურის ნატეხიც კი მოაძებნინა,
ხელი წაავლეს, გადასანსლეს, მასაც დახარბდნენ,
115

ერთი ნამცეციც არ დაინდეს ღარიბულ ნამცხვრის.

„ვაიმე, სუფრაც კი შევჭამეთ!“ — წამოიძახა
ხუმრობით მაშინ იულუსმა. ამ სიტყვამ თითქოს
ბოლო მოუღო ძნელბედობას. რა ყური მოკრა,
მყის მიხვდა მამა, რომ აღსრულდა ღმერთების ნება,
120

შვებით შესძახა: „შენ სალამი, აღთქმულ მიწავ,
სალამი ტროის პენატებო! აქ გვიცდის ბინა,
აქ არის ჩვენი სამშობლოცა! მე მაგონდება
მამის ნათქვამი, ხვაშიადი როს მითხრა ბედის:
„როცა შიმშილი უცხო მხარეს შენ გაიძულებს
125

სუფრაც შეჭამო, როცა ხორაგს ბოლოს მოუღებთ,
მაშინ პოვებსო იქ სავანეს მაშვრალი ხალხი
და ჩაეყრება საძირკველი სახლს და გალავნებს.
ეს იყო სწორედ ის შიმშილი და გასაჭირი,
ბოლო მოეღო ჩვენს ხეტიანს!

130

მზის პირველ შუქზე გავემართოთ, დავგვეროთ მიწა,
რა ქვეყანაა, რა ხალხია, რა ქალაქები?
ნავსადგურიდან გავიფანტოთ სხვადასხვა მხარეს.
დღეს კი მივმართოთ იუპიტერს მხურვალე ლოცვით,
მამა ანქიზეს და ვასხუროთ სუფრას ზედაშე!“ —

135

ასე წარმოთქვა და მოირთო შუბლი შტოებით,
ლოცვით მიმართა ამ ადგილის მფარველ ღვთაებას,
ნიმფებს ევედრა, დედამიწას — ღმერთს უპირველესს,
უცნობ წყაროებს, ღამეს, ვარსკვლავთ, ცას მსხმოიარეთ,
იუპიტერსა იდაელს და ფრიგიელ დედას,

140

მშობლებს — ზეცად და მიწისქვეშა სამეფოშიაც...

მძლეთამძლე მამამ მაშინ სამგზის იქუხა ცაში,
კაშკაშა სხივი ოქროვანი ანიშნა შუქის,
ხელით აჩვენა აღმართული გეცად ღრუბელი.
ხმები დაირხა ტროელთ შორის — დღე დაგვიდგაო
145

ციხე-ქალაქის დაფუძნების. შესვენების დროს
ისევ შეუდგნენ ლხინს, ატკობდათ ღვთის სასწაული,
თასები დადგეს და პირთამდე აავსეს ღვინით.
დადგა შემდგომი დილა და მზის პირველი სხივი
მიწას დაეცა, ენეანნი უცნობ მხარეში
150

იკვლევდნენ ქალაქს და ნაპირებს: ეს ნუმიკუსი,
ეს კი ტიბრისი, ლათინები ცხოვრობენ აქა...
შემდგომ ანქიზეს წულმა ბრძანა, მთელი რაზმიდან
ასი რჩეული ორატორი მეფეს ხლებოდა
დიდებულ ციხესიმაგრეში, პალადას შტოით
155

და მოსაკითხით დამშვენებულთ გამოეთხოვათ
ტევკრთათვის ზავი. ისწრაფოდნენ მისი ბრძანების
მყის შესრულებას. თვით აღნიშნა ციხის საზღვრები,
თხრილი გაავლო, ღობე დაწნა ნარეკლიანი,
ბანაკის მსგავსად ააშენა სახლების რიგი...
160

ოდეს გზა განვლეს ჭაბუკებმა, მაშინღა ნახეს
ლათინთა სახლი და მიადგნენ კიდევ გალავანს.
ქალაქთან ახლოს ბიჭები და ნორჩი ჭაბუკნი
ცხენებზე ისხდნენ, გაქანებულ ეტლებს მართავდნენ.
ან მოზიდავდნენ მშვილდებს, ზოგჯერ ხელით ტყორცნიდნენ.
165

მოქნილ ოროლებს და სიმარდით ერთუროს ჯაბნიდნენ.

ამ დროს მოიქცა მარდი ცხენით მეფესთან მაცნე,
მოხუცს აუწყა, რომ ეახლნენ უცხოელები,
მეფემ უბრძანა მოგზაურთა მიპატიჟება,
თვითონ დაეშვა პაპისეულ სამეფო ტახტზე.

170

ბექობზე იდგა მაღალი და წმიდა შენობა,
ასსვეტიანი, ლავრენტელი პიკუსის სახლი,
ძრწოლის მომგვრელი წინაპართა სახელის გამო.
აქ მეფეები კვერთხს იღებდნენ, ამ სახლში იყო
წმიდა ტაძარი და კურია, აქვე ხდებოდა

175

ხოლმე ნადიმი, ვერძსა კლავდნენ მამები წმიდას
და გრძელ მაგიდას მოწიწებით მოუსხდებოდნენ.
კარებთან იყო ძველი კედრით ქანდაკებული
პაპათ სახენი — იტალუსი, მამა საბინუს,
ვაზის ჩამყრელი (ქანდაკების ქვემოთ კი ჩანდა

180

მრუდე ნამგალი), სატურნუსი, კვლავ იანუსი
ორთავიანი, ოდინდელი სხვა მეფეებიც,
ქანდაკნი, ომში დაცემულთა გამომსახველი.
იქვე კავებზე იარაღი ეკიდა მრავლად,
ომებში ბრძოლით მოხვეჭილი, შემდეგ ეტლები,

185

მუზარადები, საკლიტურნი, კაუჭა ცული,
კვლავაც შუბები, ფარები და გემთა ჭვინტები.
ჩანდა პიკუსი, ცხენთ მხედნავი, კვირინულ კვერთხით,
შემოსულიყო ტრაბეაში, ცაცით ეპყრა
პატარა ფარი. ვნებიანმა მეუღლემ კირკემ

190

ოქროს გრძნეული წკირით იგი ჩიტად აქცია,

ფრთები მოურთო ყვავილებით... ლატინუს იჯდა
ღმერთთა ტაძარში მამისეულ ტატბე მორთხმული.
მოუხმო ტევკრებს სასახლეში. როს შემოვიდნენ,
თვითონ მიმართა მათ პირველად მოხუცმა მოკლედ:
195

„გვამცნეთ, დარდანნო (ჩვენ ხომ თვითონ ვიცნობთ თქვენს ქალაქს,
თქვენზეც გვსმენია), რად მოსულხართ ლურჯი ზღვის გავლით,
რას მიესწრაფვით, რა მიზეზით მოხვედით გემით,
რამ გაიძულათ ავზონიის ნაპირს სწევოდით?
თუ გზა აგებნათ და ყურეში მოგდენათ ქარმა,
200

მრავალ განსაცდელს რომ მოუვლენს ხოლმე მეზღვაურთ?
მდინარის ნაპირს მოსდგომიხართ და ნავსაყუდელს...
ნუ დაგვიწუნებთ მასპინძლობას, გვეწვიეთ ლათინთ,
სატურნუსის ტომს, საღვთო ადათს ნებით რომ იცავს
და არა შიშით ბორკილთა და კანონთ წინაშე.
205

მახსოვს (თუმც ამბავს მოჰფენია დროის წყვედიადი),
ავრუნკელ მოხუცთ უთქვამთ, ჩვენში შობილ დარდანუსს
შეუღწევია ფრიგიაში, სწევია სამოსს,
თრაკიულს, ახლა რომ უხმობენ სამოთრაკიად.
ტირენთა ქალაქ კორინთოდან წასული გმირი
210

ამჟამად ზეცის ვარსკვლავიან ოქროს სამეფოს
დაუფლებია. აღუმართავს საკურთხეველი“, –
ასე თქვა მეფემ. უპასუხა ილიონევსმა:
„მეფეო, მოდგმავ ფავნუსისა! არც ქარიშხალმა
ტალღით დევნილნი გამოგვყარა თქვენს ქვეყანაში,
215

არც ვარსკვლავებმა აგვაცდინეს არჩეულ გზიდან,

ჩვენ ამ ქალაქში საკუთარი ნებით მოვედით,
დეწილნი დიად სამეფოდან, რომელს ოდესღაც
მზე ანათებდა, როს ოლიმპოს თხემს გადივლიდა.
იუპიტერმა გაგვაჩინა, დარდანელები

220

ვამაყობთ ამით. მეფემ, დიდი იუპიტერის
მოდგმის, ტროელმა ენეასმა, მოგვიხმო თქვენთან.
თუ რა მრისხანე მეხი მოსწყდა მიკენის მხარეს
და იდას ველებს გადუქროლა, ყველას სმენია, —
როგორ ჩაება ევროპა და აზია ომში.

225

ქვეყნის კიდეშიც კი იციან ჩვენი ამბავი,
ზღვათა გადაღმა, ცხელი მხარე რომ აცალკევებს
ოთხი სარტყლისგან დედამიწას. ჩვენ გავექეციით
განადგურებას, მოვიარეთ უსაზღვრო ზღვები...
პატარა ადგილს გევედრებით პენატებისთვის,

230

უშიშარ ნაპირს, წყალს და ჰაერს — ყველასთვის ღიას!
ჩვენ არ შევარცხვენთ თქვენს სამეფოს, თქვენი დიდება
უფრო იმატებს, სათნოება დაგიფასდებათ,
არ ინანებენ ავზონელნი ტროელთ მიღებას,
მოწმედ მოვიხმობ ენეასის ხვედრს, მძლე მარჯვენას,

235

ყველას, ვინც იგრძნო მისი ძმობის და ბრძოლის ძალა,
მრავალ ხალხს და ტომს. ნუ შეგვრისხავ, რომ ხელთ
გვაქვს ბაფთა

და სხვა მოდგმასთან შეერთების წადილი გვქონდა
მაგრამ ღმერთებმა თვისი ნებით აქ მოგვიყვანეს
თქვენი მიწების საძიებლად, აქვე შობილი

240

დარდანუს ისევ აქ ბრუნდება და აპოლონი
ტირენტ ტიბრისთან დასახლებას გვიბრძანებს ტროელთ
და ნუმიკუსის მოკამკამე, წმიდა წყაროსთან.

გარდა ამისა ენეასიც გიძღვნის ძღვენს მცირეს,
ძველი დიდების ნაშთს, გამოსხნილს ტროის ხანძრიდან:

245

ანქიზე ტარიგს ოქროს თასით დაასხურებდა,
ხოლო ეს იყო სამკაული თვით პრიამესი,
მართლმსაჯულებდა ამა კვერთხით, ეს ტიარაა.
ეს სამოსელნი ტროელ ქალთა ნახელავია“.

როს ილიონევს საუბრობდა, ლათინუს მეფე

250

ტახტზე იჯდა და შესცქეროდა გაყუჩებული.
არ აღელვებდა არც პორფირი, პრიამეს კვერთხიც,
მხოლოდ ასულის გათხოვების დარდიღა ჰქონდა
და საქორწინო სარეცელზე ფიქრს მისცემოდა,
კვლავაც ფავნუსის მისნობაზე ფიქრობდა ახლა.

255

ჰმართებდა სიძედ აერჩია შორეთის მკვიდრი,
ტახტი გაეყო, რომ ჰყოლოდა შთამომავლობა
მძლე და მამაცი მთელ სამყაროს დასაუფლებლად.
ბოლოს წარმოთქვა სიხარულით ლათინუს მეფემ:

„ღმერთმა მიხედოს ჩვენს საქმეს და გააცხოველოს

260

მისნობა თვისი! აღსრულდება, ტროელო, რაც გსურს,
არც ძღვენს ვიწუნებ და სანამდის მეფობს ლათინუს,
არ მოგაკლდებათ ველთ სიუხვე ტროის მიწისა,
ოღონდ მოვიდეს ენეასი, თუ გულს სწყურია,
გვეწვიოს სტუმრად, მოკავშირედ იწოდებოდეს.

265

ნუ ეშინია მეგობრების, ხელის მიცემა
იქნება ჩემთვის საწინდარი კავშირ-მშვიდობის.
უთხარი ჩემი დავალება: მივის ასული,
მის შეუღლების ნებას ჩვენი ტომის მამაცთან
კრძალავს მისანი და ნიშანი ღმრთივ-ზეციური.

270

ამბობენ, მოვლენ სასიძონი უცხო ქვეყნიდან
ლაციუმს, მოდგმით ჩვენს დიდებას ცად აიყვანენ.
ვფიქრობ, რომ ბედი სწორედ ამ გმირს არჩევს სასიძოდ,
მეც ასე მინდა, თუ სიმართლეს მაუწყებს გული“.
ეს თქვა და მეფემ მიუჩინა სამასი ცხენი,

275

მაღალ თავლებში იდგნენ რაშნი, უბრძანა მაშინ,
ტევკრთ მოჰგვარეთო რიგრიგობით ცხენნი ფეხმარდნი,
ძოწის ასალით და ხალიჩით მოკაზმულები.
ყელსაბამები მოოქრულნი ეფინათ მკერდზე,
სალტემორტყმულნი ღრღნიდნენ ოქროს ლაგამს მერნები.

280

იქ დაუსწრებლად შეარჩიეს ენეასისთვის
ეტლი, ცხენები ღვთაებრივნი, ალის მფრქვეველნი.
ცბიერმა კირკემ თურმე მამას მოჰპარა რაში,
მიჩენილ ჭაკით სულ სხვა ჯიში გამოიყვანა.
ასეთი ძღვენით და ლათინუსის წინადადებით

285

გმირ ენეასთან ამხანაგებს მიჰქონდათ ზავი.
ამ დროს ინაქეს არგოსიდან იუპიტერის
სასტიკი ცოლი ბრუნდებოდა, მაღლით მფრინავი,
ზეციდან მოჰკრა გახარებულ ენეასს თვალი
და სიცილიის პაქინუმთან — დარდანთა გემებს.

290

ნახა, ტროელნი აშენებდნენ ხმელეთზე ბინას,
გემებს ტოვებდნენ. შედგა დარდით გაქვავებული
და სინანულით ღმერთმა თავი გადააქნია:
„ვაგლახმე, მოდგმავ საძულველო, ფრიგიელთ ბედო!
რა იქნებოდა, სიგიონის ველს დაკვდომოდენ!

295

რატომ არ დარჩნენ დატყვევნილნი? ანთებულ ტროას
რატომ გადურჩნენ? მტრის რაზმთა და კოცონთა გავლით
გზა გაუგნიათ! ნუთუ უკვე უნდა ჩავთვალო,
რომ დამეკარგა ნებისყოფა, ვიკმარე რისხვა?
არა! მწყურია კვლავად ვდიო ტროიდან დევნილთ

300

და ზღვის წიაღში შევამთხვიო ტანჯვა ათასი!
მათთვის დავცალე ზეცისა და ზღვათა ძალები.
რით შემეწივნენ მე სირტები, მრისხანე სკილა,
ანდა ქარიბდი? სახლდებიან ტიბრის აუზში
ჩემგან და ზღვიდან გულუშიშრად. მარსმა ხომ შეძლო

305

ურიცხვი ტომი შემეუსრა ლაპითებისა,
დიანას მისცა ღმერთთა მამამ ნება რისხვისა
ძველ კალიდონზე! თუმც ასეთი რა ჩაიდინეს
ლაპითებმა და კალიდონმა? იუპიტერის
ცოლს ხომ შემეძლო და ყოველი ღონე ვიხმარე.

310

ენეასისგან აწ ვმარცხდები! თუ არა მყოფნის
ძალა, შევიძენ, ხომ იქნება სადმე ასეთი!
ღმერთებს ვერ-რას ვთხოვ? მაშინ ქვესკნელს მოვიშველიებ,
თუნდ ვერ განვდევნო ენეასი ლათინთ მიწიდან,
ჩემივე ნებით ლავინიაც ცოლად დავუსვა,

315

მაინც შეყოვნდეს შესრულება ამ დიდის საქმის!
იქნებ მოისპონ ქვეშევრდომნი ორთავ მეფეთა,
ეს საზღაური მოელოდეს სიძეს და სიმამრს,
ქალწულს კი მზითვად — ტროელთა და რუტულთა სისხლი!
ომის ქალღმერთმა უმაჯანკლოს! მხოლოდ ჰეკუბამ,
320

ცეცხლზე ფეხმძიმემ, საქორწინო შვა ჩირაღდანი?
ასეთი ძე ჰყავს თვით ვენუსსაც, ეგ სხვა პარისი!
აქვს დამლუპველი ჩირაღდნები პერგამოსისთვის!“ —
ეს თქვა თუ არა, გულმრისხანე ზეგარდმოიჭრა,
უხმო თავის დებს მან ქვესკნელის ბნელ სამეფოდან —
325

ალექტოს, რისხვის, ომისა და დარდის მოყვარეს,
მკაცრი სასჯელის შესაფერი დანაშაულის.
თვით მამა პლუტონს სძულს ურჩხული და ტარტაროსის
სასტიკი დები. ათასგვარად შეიცვლის იერს
და მიმოაფენს ხოლმე საზარ გველების ჯილაგს.
330

თვითონ იუნომ წააქეზა ალექტო სიტყვით;
„ქალწულო, უნდა შემეწიო, ღამით შობილო,
რომ არ შეირყეს დიდება და ღირსება ჩვენი,
ვერ დაითანხმონ ლათინუსი ქორწინებაზე,
ვერ დაიკავონ იტალია დარდანიდებმა.
335

შენ ძალგიძს ბრძოლის იარაღით აჭურვო ძმები
და სიძულვილით აამღვრიო ტკბილი ოჯახი,
შიგ გააჩაღო შუღლი, ბრძოლა, გლოვის მაშხალა,
ათასი ხერხი და ათასი სახელი გამკობს.
აღძარი ქიშპით გმირთა გული, დაშალე ზავი,
340

დათესე ომი, აღიჭურვონ ბრძოლად ჭაბუკნი!“
მყისვე აღექტო, მოწამლული გორგონას შხამით
მოდგა ლაციუმს, ლავრენტუმის მეფის დარბაზში
ამატას ზღურბლზე ჩუმად იჯდა, ქალს, შეურევბულს
ტევკრთა მოსვლის და დაწინდვითა, ტანჯავდა დარდი,
345

ქალური რისხვით ანთებოდა გული დედოფალს.
ქალღმერთმა თმიდან მოისხლიტა შავი ქვემძრომი,
სტყორცნა დედოფალს მკერდზე, გახსნილ გულისპირიდან
ჩაცურდა გველი, ქალს სიგიჟით რომ მთელი სახლი
შეეძრა. ოდნავ ეხებოდა ფიქალ ძუძუ-მკერდს,
350

გაშმაგებული ამატასთვის შეუმჩნეველი.
შთაბერა სული ქალს გველური. ქვეწარმავალი
ხან იქცა ოქროს ყელსაბამად, ხან თმების ბაფთად,
ხან თმას ჩაეწნა. ხან კი გლუვად ცურავდა ტანზე.
უმაღლ გავრცელდა საწამლავი გველის შხამისა,
355

აღაგზნო გრძნობა და ჩაღვარა ძვლებში აღმური,
ჯერ სულს მთლიანად არ მოედო ალი. ტიროდა,
როგორც სჩვევიათ დედებს, როდი შერიგებოდა
თვისი ასულის გათხოვებას ფრიგიელ გმირზე:
„ნუთუ, მამაო, ლავინია ტევკრს მისთხოვდება?
360

არ გებრალევა არც ასული, არც შენი თავი,
არც დედა? მას ხომ აქვილონის დაქროლებაზე
მყისვე დატოვებს ავაზაკი, მოსტაცებს ასულს.
ასე მიადგა ლაკედემონს ტროელი მწყემსიც.
ტურფა ელენე გაიტაცა, ლედას ასული.
365

სადღაა შენი ერთგულება, შენიანებზე
ბრუნვა, მარჯვენა ხომ მიეცი ტურნუსს-ნათესავს?
თუკი ლათინებს უნდათ სიძე უცხოქვეყნელი,
თუ ეს გადაწყდა, გაიძულა მამა ფავნუსმა,
მაშინ ის მიწაც, ჩვენს სამეფოს რომ არ მორჩილებს,
370

უცხოეთია, ასეც არის ღმერთების ნებით.
გინდა გაიგო, ვისგან მოდის ტურნუსის მოდგმა?
ინაქსი და აკრიზიუს ჰყავს წინაპრებად,
ხოლო სამშობლო მიკენია...“ ამაოდ დაშვრა,
ლათინუს ველარ დაარწმუნა, საგარი შხამი
375

მოედო სხეულს აღმგზნებული რისხვის, სიცოფის.
ის უბედური, სასწაულით შემფოთებული,
გახელებული მძვინვარებდა ციხე-ქალაქში.
ჩიკორიც ასე მათრახის ქვეშ აბზრიალდება,
როცა თამაშში ყურადღებად ქცეულნი ყრმანი
380

წრებე, ცარიელ დარბაზებში ატრიალებენ.
მიქრის ჩიკორი მრუდე ხაზზე, გაჰკვირვებია
მისი ბზრიალი გამოუცდელ ბავშვების კრებულს,
დარტყმა სისწრაფეს უფრო ჰმატებს. ასევე სწრაფად
რბოდა ამბატა ქალაქში და მებრძოლთა შორის,
385

ტყეშიც გაიქცა და ბახუსის ორგიებს მოჰყვა,
უფრო დიდ ცოდვას მიედევნა, როს მძვინვარებით
ტყეში დამალა ქალიშვილი, რომ ჩაეშალა
მისი ქორწილი სახელოვან ტევკრთა ბელადთან:
„ევოე, ბახუს! შენ ხარ ღირსი ამ ქალწულისა, –
390

ასე შესძახა, — მხოლოდ შენთვის აიღებს თირსებს,
როკვით ჩადგება შენს ფერხულში, დაღალებს გაზრდის“.
გავრცელდა ხმები, იმავე გრძნობით შმაგი დედები
დასაუფლებლად მიემართნენ ახალ სავანის.
დათმეს ოჯახი, შიშველ მხრებზე თმა ჩამოშალეს,
395

ჰაერს მოედო გლოვა მათი, შუბლი დაფარეს
ვაზის შტოებით, ტყაპუჭებში შემოსილებმა.
თვითონ მათ შორის ჩამდგარიყო ჩირაღდნით ხელში,
ტურნუსს და ქალწულს საქორწინო ჰიმნს უმღეროდა,
სისხლიან თვალებს ანათებდა და გაჰყვიროდა:
400

„ლათინთ დედანო! გესმათ, სადაც არ უნდა იყოთ!
თუ გულში დაგრჩათ სიყვარული ამატასადმი,
ჩემო ერთგულნო, თუ გაფიქრებთ დედის უფლება
და თუ გემწარათ ჩემი ტანჯვა, დათმეთ მანდილი
და ჩემთან ერთად ორგიებში ჩაებას ყველა!“
405

ტყეში, ნადირთა ბუნაგებთან ახეთიალა,
როს საკმარისად შთაუნერგა ქალს მძვინვარება,
სახლი არია და გეგმები ლატინუსისა,
მჭმუნვარე ღმერთი ბნელი ფრთებით გაშორდა ქალაქს,
რუტულთა ციხეს. ეს ქალაქი, როგორც ამბობენ,
410

აკრიზიელებს დაუფუძნა თვითონ დანაემ,
როს გადმოხვეწა ის ნოტოსმა. ადგილს არდეა
უწოდეს წინათ წინაპრებმა, დღესაც ასეა.
ის დრო განქარდა. ბნელ ღამეში ტკბებოდა ტურნუს,
მაღალთაღოვან სასახლეში სრული სიმშვიდით.
415

ალექტომ მყისვე შეიცვალა სახე საზარი,
უმსგავსი შუბლი დაიფარა ბებრულ ღარებით,
ჭაღარა თმებით შეიმოსა, ქალის მანდილით,
შემდეგ ჩაიწნა ბუწუწებში შტო ზეთისხილის.
კალიბედ იქცა ის, იუნოს ტაძრის ქურუმად.

420

გამოეცხადა და მიმართა მოყმეს: „ო, ტურნუს,
ნუთუ დაუშვებ, უსარგებლოდ დაკარგო შრომა,
მოახალშენე დარდანელებს დაუთმო კვერთხი?
მეფეს არ უნდა შენი სისხლით მოპოვებული
დაგიტომოს ქალი, მეფედ სწადის უცხოტომელი.

425

გმართებს შერცხვენილს საშინელი საფრთხე ეძიო,
დასცე ტირენთა რაზმი, ლათინთ მისცე მშვიდობა!
მძლე სატურნიამ დამავალა ამ წყნარ ღამეში
შენ მოგიწოდო — სიხარულით წამოიმართო
და გაიყოლო კარბჭიდან მოყმენი ბრძოლად.

430

გაანადგურე ფრიგიელნი, რომ ჩამომდგარან
ლამაზ ჩქერებთან და დაუწვავთ კოხტა გემები.
ღმერთი გიბრძანებს მოქმედებას, თუ ლატინუსი
გადავა სიტყვას, ქალს არ მოგცემს ფიცის გამტეხი,
მაშინ გაიგოს, თუ როგორი ბრძოლა გჩვევია!”

435

ყრმა დასცინოდა მისი აზრის უარმყოფელი:
„ტიბრის ნაკადთან ხომალდების მოსვლის ამბავი,
რატომ გგონია რომ ჩემს ყურებს გამოეპარა?
ნუ დამაბრალებ შიშს! იუნოს, ღმერთთა დედოფალს,
არ ვავიწყდებით!

440

სიბერე, წლობით უმოქმედო, ჭეშმარიტებას
ვეღარ მიაგნებს, ეს გაცდუნებს ამაო ზრუნვით
და ბრძოლის შიში! დედი, შენ ხომ მოვლა შეგფერის
ბომონების და ღვთის ტაძრების, ხოლო მამაცნი
მოაგვარებენ ომსა თუ ზავს. ბრძოლა მათ შვენის!“

445

გმირის სიტყვებმა მყის ქალღმერთი რისხვით აღანთო,
იმავედროულად მოყმის სახსრებს თრთოლვა მოედო,
თვალნი უძრავად გაუშეშდა და ერინისმა
სტვენა გამოსცა აურაცხელ გველის სასიდან
და მოევლინა ჭაბუკს თვისი საზარელ სახით!

450

თვალს ანათებდა მოელვარეს, ხელი ჰკრა მოყმეს,
შეყოვნებულსა და საუბრის კვლავაც მოსურნეს,
აახმიანა თმებზე გველნი, მათრახი დასცხო,
შმაგად მიუგო: „განა წლებით დაძაბუნებულს
სიბერე მაცდენს ანუ შიში? ფურიათ მხრიდან

455

გამოგეცხადე, მომაქვს ომი, მომდევს სიკვდილი!“
თქვა და ესროლა ვაჟს მაშხალა, გულში ჩაუჭდო
პირქუში ალით ანთებული. შიშმა დიადმა
ანაზღეულად გაუფანტა საამო ძილი
და მთელს სხეულზე დაუარა ოფლის ღვარებმა.

460

გმირი ხმაურით ხმაღს ითხოვდა სანთილობოში,
გულში გაღვივდა ომისადმი უგნური ვნება,
რისხვა აინთო, გეგონება, ტკაცუნებს ალი
ნაკვერცხლიანი, მოსდებია კარდალის გვერდებს,
შიგნით ჩაუსხამთ უხვად სითხე, წყალი სიცხისგან

465

ორთქლად მოიწევს ქაფიანი, თუხთუხებს ქვაბში.
ასე მღელვარემ წააქეზა ბელადნი ბრძოლად
ლათინუს მეფის წინააღმდეგ, გაქრა მშვიდობა.
ხმალი აიღეთ, იტალია დაიცავითო,
მტერი განვდევნოთ, მე თვითონვე შემოძლიაო
470

ტევკრთაც ვებრძოლო, ლათინთაცო, — ეს თქვა და ლოცვით
ღმერთებს მოუხმო. რუტულები მოუწოდებდნენ
ერთურთს საომრად და მათ შორის ყველას სჯობნიდა
გმირი ტურნუსი სხეულის და სიყრმის მშვენებით,
სახელოვანი წინაპრებით და სიჩაუქით.
475

სანამ ტურნუსი უნერგავდა რუტულთ სიმხნევს,
სტიგიურ ფრთებით ტევკრთ ეწვია გულღრძო ალექტო,
დაზვერა ველი, სად მისდევდა ყრმა იულუსი
ველურ ნადირებს და დროდადრო უსაფრდებოდა.
ქვეშეთის ქალმა მყის ჩაბერა სიცოფე ძაღლებს:
480

ნაცნობი სუნი აგრძნობინა, რომ გაჰყოლოდნენ
ფეხმარდ ირემს და ამ მიზეზით აღგზნებულიყო
ომი და ვნება. აამხედრა სოფლის მცხოვრებნი.
ირემი იყო უტურფესი, ქორბუდა რქებით,
დედას მოსწყვიტეს და ტირუსის შვილები ზრდიდნენ,
485

თვითონ ტირუსიც, მეფის ჯოგის ამილახორი,
ვრცელი ველების მეთვალყურედ განწესებული.
თვინიერ ირემს არ აკლებდა სილვია ზრუნვას,
ყვავილთა კონას ლამაზ რქებში ჩაუხლართავდა,
ფუჩნიდა ხელით და კამკამა წყაროში ბანდა.
490

იმშენებდა ალერსს მიჩვეული პატრონის საზრდოს,
ტყედ გაივლიდა, სახლს თვითონვე უბრუნდებოდა,
მიადგებოდა ნაცნობ ჭიშკარს ნაშუაღამევს...

ყრმა იულუსის მეძებრებმა შორს მოსეირნე
მყის წამოაგდეს, როცა ნაპირს მიუყვებოდა,

495

ჩეროს ეძებდა მდინარესთან, გამაგრილებელს.

ასკანიუსმა, სახელისთვის გახელებულმა,
მოზიდა მშვილდი მომართული, ისარი სტყორცნა.

ჭაბუკს ღვთაება შეეწია, ძლიერი სტვენით
ირმის შიგნეულს ჩაეჭედა რკინის ბუნიკი.

500

მაგრამ დაჭრილმა მიაშურა ნაცნობ საცხოვრისს
მიადგა გომურს, მგლოვიაზე დიაცის მსგავსად
კვნესით აავსო სისხლიანმა ეზო-გარემო.

სილვია მახა და ხელი ხელს შემოჰკრა მყისვე,
მოუწოდებდა უხეშ სოფელელთ დასახმარებლად.

505

მყისვე მოგროვდნენ (ალექტო კი ტყეს შეეფარა).
ერთს ეპყრა მწველი მუგუზალი, სხვას კი — კომბალი,
დაკოჟრებული. რაც ხელთ მოხვდათ ნაუცბადევად,
რისხვამ აქცია იარაღად. ხოლო ტირუსმა,
მუხის მორს ოთხად რომ აპობდა წვეტიან სოლით,

510

ხელთ იპყრა ცული და მღელვარედ მოუხმო რაზმებს.
ქაღდმერთმა მყისვე დრო იხელთა, ვნების მომტანმა,
ტყიდან მოიჭრა და ავიდა გომურის ჭერზე,
ნიშანი მისცა მრუდე მწყემსურ ბუკით, ხმას ძალა
ჯოჯოხეთური დაატანა, ჭალა ათრთოლდა

515

და აცახცახდა დაბურული ტყე უსიერი.

ეს ხმა ისმინა შორეულმა ტრივიას ტბამაც,
მდინარე ნარმაც, გოგირდისგან გათეთრებულმა,
ანკარა წყარომ ველინუსის, დედებმა მკერდზე
თრთოლვით მიიკრეს პატარები. ბუკის ავ ხმაზე,
520

სადაც მოესმათ, იარაღით მოიჭრა ხალხი,
მიწათმოქმედნი უძლეველნი. ტროელთ მოყმენი
სტოვებდნენ ბანაკს, რომ იულუსს მიშველებოდნენ.
დადგნენ მწკრივებად, არ იბრძოდნენ სოფლური წესით, —
მხოლოდ კომბლებით, გარუჯული შუბით, მესრებით, —
525

ორივე მხრიდან ხმლები ეპყრათ წვერწამახული.
მზის შუქი სპილენძს თვალწარმტაცად აელვარებდა,
აირეკლავდა ღრუბლებამდე სხივთა თინათინს.
ასევე ზვირთი ელავს ხოლმე ქარის ქროლვაზე,
შემდეგ ნელ-ნელა იქოჩრება ზღვა და მაღლა სწევს
530

მღელვარე ტალღებს, აიჭრება ფსკერით ზეცამდე.
პირველი იდგა მოყმე ალმონ, რომელიც იყო
მოხუც ტირუსის ვაჟებს შორის სხვებზე უფროსი.
მსტვენავი ისრით განიგმირა; ყელში დაიჭრა,
სისხლმა დახურა გზა ბგერისა, შეწყდა სიცოცხლე.
535

მამაცთა გვამებს მიემატა ბერი გაღებუს,
როს მოდიოდა მებრძოლ გმირთა შესარიგებად,
ავზონიაში სიმართლით და სიმდიდრით ცნობილს
ხუთი ფარა და ხუთი ჯოგი დაუდიოდა.
საძოვრისიდან, ასი ხარი ხნავდა ხოდაბუნს.
540

როდესაც ველზე იღვრებოდა თანაბრად სისხლი,
ამით ქალღმერთი ასრულებდა აღთქმულ პირობას.
სისხლი დასთხია და მკვლელობას მისცა სათავე,
შემდეგ დატოვა ჰესპერია, გეცად ავიდა
გამარჯვებული და იუნოს უთხრა ამაყად:

545

„აჰა, აღიძრა შენი ნებით სასტიკი ომი!
იტყვი, რომ დაცხრნენ და კვლავ დადონ ძმური კავშირი?
ტროელნი უკვე შეიღებნენ აზონელთ სისხლით.
ხოლო სურვილი შენი თუკი მეცოდინება,
უფრო მეტსაც ვიქმ: მოწოდებით ჩავაბამ ომში

550

მეგობელ ქალაქთ, ბრძოლის ჟინით ავანთებ გულებს,
ყოვლგნით მოზღვავენ, მე დავთესავ ველზე იარაღს!“
მაშინ მიუგო მას იუნომ: „კმარა სიცრუე
და ვერაგობა; უკვე არის ომის მიზეზიც,
სისხლით გაწითლდა იარაღი საუცაბედო.

555

დაე, ასეთი ქორწინება მიიღონ წილად
ვენუსის ქველმა ვაჟიშვილმა და ლატინუსმა.
არ ისურვებდა, თავისუფლად ენახე ცაში
დიად ოლიმპოს უზენაეს მამა-მეუფეს.
გასწი და, თუ რამ დარჩა საქმე, მე თვით მოვუვლი“, —

560

ასე მიუგო სატურნიამ სიკვდილის ქალღმერთს.
მან ფრთა გაშალა, მოსისინე გველებთან ერთად
მალლით დაეშვა კოკიტუსის ჭაობისაკენ.
იტალიაში მაღალ მთებში არის საქვეყნოდ
სახელგანთქმული და ცნობილი ველი — ამსანკტუს.

565

ზედ ეკვრის ჭალა ფოთლოვანი, ჩამუქებული,
კლდეს ეხეთქება ნაკადული ხმაურიანი,
ისმის ქუხილი საშინელი, ბრუნავს მორევი;
აქ ჩანს საზარი დისის მღვიმე — მიწისქვეშეთი,
პირქუშ უფსკრულში აქერონტი შემოიჭრება.

570

აქ იმალება ერინისი, ღმერთი პირქუშში,
მისი არყოფნით ცას და მიწას უგრძნია შვება.
ბოლოს დედოფლურ ნებს დაადებს ომს სატურნია.
მწყემსთა სიმრავლე მიაწყდება ანაზდად ქალაქს,
რათა დაიცვან საზარ ომში მოკლულთა გვამნი,

575

მოყმე აღმონ და გაღებუსი ხმლით აჩეხილი.
ღმერთს შელაღადეს და მოუხმეს ლათინუს მეფეს,
მკვლელთ დასდო ბრალი, გულში ცეცხლი გააორკეცა
და თქვა ტურნუსმა: აქ სამეფოდ შემოსულანო,
შეგვერევანო ტროელთ მოდგმა, მეც განმდევნესო.

580

მაშინ ისინი, დედები რომ ბახუსის ჟინით
ჭალებში ჰყავდათ — აყოლილნი ამატას სახელს,
შეგროვდნენ ერთად, მარსს მოუხმეს გამძვინვარებით,
არად ჩააგდეს ღვთის ნიშანი და მოითხვეს
სასტიკი ომი უნებურად მაღალ ღმერთების.

585

გარს შემოერთყნენ ლათინუსის მეფურ სასახლეს,
იგი ურჩობდა, როგორც ზღვაში უძრავი ტინი;
კლდეს საკუთარი კიდევანი მტკიცედ აკავებს,
როცა ხმაურით ეხეთქება მრისხანე ზვირთი,
ამაოდ დუღს და აქაფდება, ტინის ქიმებზე

590

მიწებებული ზღვის ბალახი უკუვარდება...

მაგრამ იგრძნო, რომ უგნურ ზრახვას ვერ დაუშლიდა,
ეს ხომ ხდებოდა გულმრისხანე იუნოს ნებით.

ღმერთებს მოუხმო და ხმამაღლა გასძახა ჰაერს:

„ვაგლახ! ბედითი ქარი გვათრევს, უბედურებო!

595

ამ დანაშაულს თვითონვე ზღავთ უღირსი სისხლით!

შენზე იქნება ცოდვა, ტურნუს, მკაცრი სასჯელიც!

შეევედრები ღმერთებს აღთქმით ნაგვიანევიტ.

მე კი სიმშვიდე მელის მყუდრო თავშესაფარში,

მაგრამ აღსასრულს აწ ბედნიერს ვერ ვეღირსები!“ —

600

თქვა, შინ შევიდა და დატოვა სამეფოს სატე.

ლაციუმს იყო ჩვეულება ჰესპერიული,

ალბანთ ქალაქნი მას იცავდნენ წინათვე წმიდად,

რომი, ქალაქი უდიდესი, დღესაც მას იცავს,

როს მოუწოდებს საბრძოლველად მარსს, როცა ცდილობს

605

თავს მოახვიოს ომი გეტებს, გინა ჰირკანებს,

გინდ არაბებზე როს მიდიან, გინდ ინდოეთში,

აღმოსავლეთში, პართელებთან დროშას ელტვიან.

არსებობს ომის ორი კარი, წმიდა არს შიშით

მარსის წინაშე, ადევს რკინის ასი ურდული

610

შეურყეველი, იანუსი უდგას გუშაგად.

როდესაც ომი გადაწყდება, კონსულს ტრაბეა

აქვს კვირინული, გაბინურად მოირტყამს სარტყელს,

თვითონვე გახსნის მოჭრიალე კარიბჭეს მყისვე,

ბრძოლად მოუხმობს ჭაბუკებს და ყველა მიჰყვება,

615

სპილენძის ბუკი ხმადახშული ახმიანდება.
უხმეს ლათინუსს, რომ დაეცვა ძველი ადათი,
ბრძოლად მოეხმო და გაეხსნა კარი მჭმუნვარე.
მან უარი თქვა შეხებოდა, სწრაფად მიბრუნდა
საძულველ საქმეს აერიდა, სახლს მიეფარა.

620

მაშინ ღმერთების დედოფალი ცით გადმოვიდა,
ანაზღეულად დაყოვნებულ კარებს ჰკრა ხელი,
შემოაბრუნა ანჯამებზე ომის კარიბჭე.

623

მშვიდმა და წყნარმა ავგონიამ უმაღ იფეთქა:

628

ზოგს შვებას ჰგვრიდა დროშით სვლა და ხმაური ბუკის:
ხუთი ქალაქი — ხალხმრავალი, მძლავრი ატინა,

630

ამაყი ტიბურ, არდეა და კრუსტუმერები,
ქონგურიანი ანტემნები აწყობდნენ ქურებს
და ამზადებდნენ იარაღებს — ერთნი ჩაჩქანებს,
სხვები ძეწნისგან წნავდნენ ფარებს, სპილენძის მტკიცე
სამკერდულებს, და საბარკულებს — რბილი ვერცხლისგან.

635

დაცხრა პათივი ნამგლისა თუ კევრის და გუთნის.
მახვილს აწრთობდნენ მამისეულს, ისმოდა ხმები,
ბრძოლას ნიშანი უტყუარი მიეცა უკვე.

624

ზოგი ფეხით და ზოგი მტვერში ცხენის ჭენებით
შეიჭრა ველზე, ყველა დასწვდა მახვილ იარაღს.
ზოგი სქელ ცხიმით პოხავდა და ფერავდა ფარებს,

627

ელვარე შუბებს, ხოლო ზოგი ლესავდა მახვილს.

ერთი საჩქაროდ ჩაჩქანს დასწვდა, სხვა ცხენს კაზმავდა,
ზოგი ისხამდა ფარს სასწრაფოდ, სამმაგი ოქროს
640

ჯავშანს იცვამდა და იკრავდა ხმაღს საიმედოს,
ქალღმერთნო, მაღალ ჰელიკონზე იწყეთ გალობა
რომელ ბელადებს მიჰყვებოდნენ ომში რაზმები,
ვის გაედევნენ, მინდორ-ველი რომ აუვსიათ,
ვინ ასახელა იტალია იმდროინდელი,
645

რომელ ომებით ის იწვოდა! თქვენ ხომ, ქალღმერთნო,
გახსოვთ! ჩვენამდე კი ძლივს მოდის ხმა თქმულებისა.
პირველი იწყებს ომს ტირენთა მხრიდან მოსული
ღმერთი მოძულე მეზენციუს, რაზმებს შეკაზმავს.
გვერდით ჰყავს ლავსუს, ვაჟიშვილი, რომლის უტურფესს
650

ვერვის ნახავდით, ლავრენტელი ტურნუსის გარდა.
ლავსუსს, ცხენტ მხედვენელს, ნადირთ მძლეველს,
ტყუილუბრალოდ
ათასი კაცი მოჰყვებოდა აგილინადან,
მშობელზე უფრო კეთილი სვე უნდა ჰქონოდა,
ნეტავ, ჰყოლოდა მამად არა მეზენციუსი!
655

მათ პალმით მორთულ ეტლით მოჰყვა ველზე ელვარე,
მძლეთამძლე ცხენით, ჰერკულესის შთამომავალი
ყრმა ავენტიუს. ფარზე მამის დავლა ეხატა —
ასი გველი და ჰიდრა, გველთა დასით მოსილი.
ავენტინუსის უღრან ტყეში ქურუმმა რეამ
660

ფარულად შობა ღვთაებასთან შეუღლებულმა.
როს ლავრენტის მიაღწია გამარჯვებულმა

ტირინთიელმა, გერიონეს გმირმა მძლეველმა,
ხარნი განბანა იბერულნი ტირენის წყალში...
ხელთ აქვთ კომბლები და უპყრიათ შუბნი საზარნი
665

კაუჭა ხმლებით და საბელურ ოროლით მებრძოლთ.
თვითონ კი, ქვეითს, ლომის ტყავი მოუსხამს დიდი,
ხშირბეწვიანი, უელავდნენ ლომის ეშვები
თავის სარქმელზე და ეწვია საზარი სახით
სასახლეს, მხრებზე ჰერკულესის წამოსასხამით.
670

შემდეგ ორმა ძმამ მყის დატოვა ტიბურტის ციხე,
ხალხი, ტიბურტის ძის სახელით ზედწოდებული, —
კატილუსმა და ფიცხმა კორამ, არგიველ მოყმეთ.
მოქროდნენ ლაშქრის წინ, ისართა ორომტრიალში.
თითქოს მთას მოწყდნენ ღრუბლის ძენი კენტავრუსები,
675

რომელთ ჰომოლუე და ოთრისი უხვთოვლიანი
სწრაფად განვლეს და გზას აძლევსო თითქოსდა ტევრი.
მათ წინ ბუჩქნარი ლაწალუწით მოიმსხვრეოდა.
არ დაჰკლებია არც პრენესტეს დამფუძნებელი,
სოფლად რომ შობა ვულკანუსმა — გმირი კეკულუს,
680

ვინც იპოვესო ცხელ ღუმელში, ამბობს თქმულება.
მიწისმოქმედთა დიდი რაზმი მას მოჰყვებოდა,
ვინც ცხოვრობს მაღალ პრენესტეში, გაბიის ველზე,
იუნოს ცივი ანიენის ნამიან რუსთან,
ჰერნიკის კლდეს ფლობს, ანაგნია კვებავს მდიდარი
685

და შენც, მამაო ამაზენო! ხმალი არ ჰქონდათ,
ფარი თუ ეტლი, ზოგი ტყვიის ნაჭრებს ტყორცნიდა,

ზოგს ორთავ ხელში თითო-თითო შუბი ეჭირა.
მგლის ტყავი ჰქონდათ თავზე ჩაჩენად. მარცხენა ფეხი
ჰქონდათ შიშველი, მარჯვენას კი უმკობდაწალა
690

მოუხეშავი, გაუთელავ ტყავით ნაკერი.
მესაპუს, ცხენთა დამორგუნველმა, ძემ ნეპტუნუსის,
რომლის განგმირვა ცეცხლით, რკინით არვის შეეძლო,
ანაზღეულად მოუწოდა ხალხს ბრძოლისაკენ,
ომს გადაჩვეულს და მშვიდობით განებივრებულს.
695

ამ დასში იყვნენ ფესცენინნი, იქვე ექვები
და ფალისკებიც, მოსახლენი სორაკტეს თხემზე,
ფლავინიაში, კიმინასთან, კაპენის ტევრში.
მიუახლოვდნენ მწყობრი რაზმით და მიესალმნენ
მეფეს, თითქოსდა თეთრი გედნი ღრუბლის ფთილებში
700

გაჰყვიანო შორი გზიდან დაბრუნებულნი,
მათი ძახილი მთელს აზიას გადასწვდენია.
ვინ იფიქრებდა, რომ ეს რაზმი ჯავშანასხმული
ადამიანთა ჯარი იყო, გეგონებოდა
ფრინველთა გუნდი, ხრინწიანი ხმით რომ ისწრაფვის
705

ზღვის ნაპირისკენ. ჰა, კლავსუსი, საბინთა მოდგმის,
მოჰყავდა რაზმი და თვითონაც ერთ ლაშქრად ღირდა.
კლავსუსისაგან მოგვდგამს ტრიბიც, შთამომავლობაც
კლავდიებისა — ლაციუმში, მას შემდეგ ოდეს
საბინთა მოდგმას ერგო რომი სახელოვანი.
710

ამიტერნელთა კოჰორტა და ძველი კვირიტნი,
მუტუსკა, უხვი ზეთისხილით და ერეტუმი,

ვინც ნომენტუმში ცხოვრობს, ვინცა ნოყიერ ველზე —
ველინუსისა, ვინც — ტეტრიკას მაღალ კლდეებზე,
ვინც — სევერუმზე, კასპერიას, თუ ფორულებში,
715

ვინც — ჰიმელასთან, ვინც სვამს ტიბრისს, ფაბარის წყალსა,
ცივმა ნურსიამ ვინც მოგზავნა, ჰორტინას ჯარი,
ლათინნი, ტომი, ვინც ფლობს მიწებს ალიას პირად,
ისე მოაწყდა, ვით ზვირთები — ლიბიის ზღვიდან
დევნილნი, ოდეს ირიონი ჩაიძირება
720

მჩქეფარე წყლებში, თავთუხები როცა მწიფდება
ჰერმესის ველზე ან ლიკიის ყვითელ მიწებზე.
აჟღარუნებდნენ იარაღს და იძვროდა მიწა
ფერხთაგან მათთა. ჰალეზუსი, აგამემონის
ვაჟი, ტროელთა მტერი, ეტლში ცხენებს კაზმავდა,
725

ტურნუსს მიჰგვარა მან ათასი მებრძოლი, ვინცა
ამუშავებდა მასიკის ველს, მდიდარს ვაზებით
ვინც სადიკინის ველზე იდგა. ვინც იყო კალესს,
მემობლად იყო ვულტურნუსის, მდინარის მცირის,
მათთან მძვინვარე ოსკები თუ სატიკულელნი,
730

წვრილ ოროლებს რომ იარაღად ხმარობდნენ, მოქნილ
ქამარზე მჭიდროდ იმაგრებდნენ, პატარა ფარი
მარცხენით ეპყრათ, კაუჭა ხმლით იბრძოდნენ ხოლმე.
ო, შენ, ებალუს, ჩვენს ლექსებში არ გამოგვრჩები,
ტელონმა გშობა, სებეთიდე-ნიმფემ იმხანად.
735

როცა მოხუცი ფლობდა კაპრებს და ტელებოებს,
სამეფოებით უმაძღარ შვილს უკვე მაშინაც

ეკავა სივრცე სარასტების, სარნუსი რომ რწყავს,
რუფრების მკვიდრნი მორჩილებდნენ და ბატულუმის,
კელემნას ველის მფლობელნი და ვაშლით განთქმული
740

ხილთა სიუხვით გამდიდრებულ აბელას ციხის.
ისინი კომბლებს, ტევტონური წესის მიხედვით
ხმარობდნენ ხოლმე, იყენებდნენ ჩაჩქნად მუხის ქერქს.
ელავდა ფარი სპილენძისა, ზუჩიც სპილენძის.
სახელოვანო, მთიან ნერსებს მოუგზავნიხარ
745

შენცა, ო, უფენს! ბრძოლის ველზე სვებედნიერი
მოგდევს მრისხანე, ნადირობას ჩვეული ტომი
ექვიკულების, უნაყოფო ველზე მოსახლე.
იარაღასხმულთ უყვართ მიწის დამუშავება,
ძარცვით შოვნა და ყაჩაღობა მათ სიხარულს ჰგვრის.
750

აქვე მოვიდა მოგვი, მოდგმით მარუვიელი,
ჩაჩქანი ჰქონდა ზეთისხილის შტოთ მორთული
არქიპუს მეფის წარმოგზავნილს — უმბრონს უებროს.
იგი სიმღერით და მხოლოდლა ხელის აქნევით
ძილს ჰგვრიდა ხოლმე გველეხს, ჰიდრას რისხვას აცხრობდა
755

და ხელოვნებით მათ ნაკბილარს ართმევდა ძალას.
თუმც არ შეეძლო დარდანელთა შუბისგან დაცვა,
ძილის მომგვრელი ჰანგი ნაჭდევს ვერ ამთელებდა,
ვერც ბალახები, მოკრეფილნი მარსის ფერდობზე.
შენ დაგიტირა ანგიციამ და ფუცინუსმა,
760

ტბამ მოკამკამემ.
ომში წავიდა ჰიპოლიტეს ვაჟი ვირბიუს,

გაუშვა დედამ — არიციამ მორჭმული მოყმე,
სანაპიროსთან, ეგერიის ჭაღას ნაზარდი,
სადაც მოწყალე დგას დიანას საკურთხეველი.

765

ამბობენ, როცა ჰიპოლიტემ სისხლი გაიღო
მამის წინაშე, დედინაცვლის ფანდით ძლეულმა,
გაშმაგებულმა ცხენებმა რომ მტვერში დაფლითეს,
კვლავ დაუბრუნდა ვარსკვლავებს და ცას ეთეროვანს,
გაცოცხლებული ბალახთა და დიანას მიერ.

770

მძლეთამძლე მამამ, გულმრისხანემ, რამეთუ ქვეშეთს
გასცდა მოკვდავი და სიცოცხლეს კვლავ დაუბრუნდა,
შემქმნელი წამლის და ასეთი ხელოვნებისა,
ფეხუსის პირმშო, სტიქსის ზვირთში ელვით ჩააგდო.
მაგრამ დამალა ჰიპოლიტე სათნო ტრივიამ

775

ტურფა ფერიის ეგერიის განთქმულ ჭალაში.
იგი ფარულად იტალიის ტყეში ცხოვრობდა.
ამიერიდან ვირბიუსი ერქვა სახელად.
ამიტომ უთქვამთ, რომ ტრივიას ტაძარს და ჭალებს
ვერ მიაღგება მერანიო, რადგან ზღვის ურჩხულს

780

რომ დაუფრთხია, მას მოუკლავს ნაპირზე მოყმე.
ვაკებე მისი ვაჟიც მარჯვედ მართავდა ცხენებს.
შეიტრებოდა ხოლმე ეტლით მებრძოლთა ბრბოში.
პირველთა შორის ბრძოდა ტურნუს ულამაგესი,
მამაც მებრძოლებს მთელი თავით აღმატებული,

785

ქიმერა ჰქონდა მუზარადზე გამოხატული,
ხახიდან ეტნის მწველი ცეცხლი რომ ეფრქვეოდა:

რაც უფრო ომში გაძლიერდა სისხლისღვრა, ბრძოლა
უფრო გამძაფრდა, მით უმეტეს აინთო ცეცხლი,
ხელაპყრობილი იო ოქროს ვარაყით რთავდა
790

მსუბუქ ფარს, იო ბეწვიანი, რადგან იმხანად
მას სახე ჰქონდა დეკეულის, ფარზე არგუსი —
მისი გუშაგი, იოს მამა ინაქეც ჩანდა,
წყალს ასხურებდა მოზარნიშულ სურის ყელიდან.
ჯარმა დაფარა მინდორ-ველი, არგიველები,
795

ავრუნკელები, რუტულები თუ სიკანები,
საკრანთ ლაშქარი, ლაბიკები და ვინც თქვენს ყანებს
ხნავდა, ტიბრო და ნუმიკუმის წმიდა ნაპირნო,
ან რუტულთ სერებს ნაყოფიერს, თუ კირკეს ზეგანს,
ვისაც წყალობდა ანქსურუსი — იუპიტერი
800

და ფერონია, მწვანე ჭალით აღტაცებული,
სად ძევს ჭაობი სატურასი, გრილი უფენსი
მოედინება დაბლობზე და ეშვება ზღვაში.
ლაშქრით მოვიდა თვით კამილა, ვოლსკების მოდგმის,
თორნ-მუზარადით მოელვარე მამაცნი მოჰყენენ.
805

არ მიაჩვია მან ქსოვას და მინერვას კალთას
ქალური ხელი, თუმც ქალწულად იყო შობილი,
ბრძოლას შეეწყო და სრბოლაში ქარს გაასწრებდა,
ისე შეეძლო მას ჯეჯილზე გადაეფრინა,
რომ ნაზ თავთუხებს მალემსრბოლი არას ავნებდა.
810

შეეძლო ზღვაზე გაქროლება ტალღაზე შემდგარს,
რომ ზღვის ზედაპირს მარდი ტერფით არ შეხებოდა.

ყრმანი, დედები, სახლებიდან გამოცვენილნი,
გაოცებულნი შესცქეროდნენ, პირდაღებულნი.
როგორ ფარავსო ძოწის კაბა და სამკაული
815

მის მხრებს მშვენიერს, როგორაა ოქროს სამაგრით
შეკრული თმები, ვით იცვამსო ლიკიურ ჯავშანს,
რად აქვს მწყემსური მირტის შუბი, ბუნიკიანი.

წიგნი მერვე

დროშა აღმართა ლავრენტუმის კოშკზე ტურნუსმა,
ბრძოლის ნაღარამ ხრინწიანი ხმა გამოიღო;
ხელი მიჰმართა იარაღს და აღაგზნო ცხენნი,
გულიც ატოკდა, ლაციუმი ფიცს დებს ჯანყისთვის,
5

მძვინვარე მოყმეთ მღელვარებამ დარია ხელი.
ჯარს თავს უყრიან ყოველ მხრიდან პირველსარდალნი:
მესაპუს, უფენს, მეგენციუს ღმერთთა მოძულე.
გაუდაბურდა ველ-მინდვრები თვალუწვდენელი.
დიომედესთან აგზავნიან ვენულუსს, რათა
10

შემწედ მოუხმოს და შემოსვლა აუწყოს ტევკრთა:
ზღვით მოსულს თვისი პენატები მოუყვანია,
თუ ბედმა მისცა, ენეასი მეფობას ჩემობს,
მრავალი ხალხი შეუდგაო დარდანელ ვაჟკაცს.
მთელს ლაციუმში გავრცელდაო სახელი მისი.
15

რა განუზრახავს, ბრძოლის რა გზა უსურვებია,

ბედს თუ ეწია. დიომედე ხომ ხედავს ამას
მეფე ტურნუსზე და ლათინუს მეფეზე უკეთ.
აი, რა ხდება ლაციუმში. ლაომედონტელს
ესეც სცოდნია. მოემატა გმირს საზრუნავი.

20

სხარტი გონებით ხან ერთ გეგმას, ხან სხვას ირჩევდა
და ყოველი მხრით საფიქრალი აწონ-დაწონა.
ეს იმას ჰგავდა, როს სპილენძის წყლიან თუნგებში
აირეკლება შუქი მზისა, ნათელ მთვარისა
და თინათინი ყოველ მხარეს მოეფინება,

25

სახლის მაღალ ჭერს მიადგება ციაგი სხივის...
ღამე ჩამოდგა, ძილს მიეცა ქვეყნად ყოველი,
ჩიტი, ცხოველი, საქონელი დღისით დაღლილი.
მამა ენეას, ომის ზარით შეშფოთებული,
მაშინღა დაწვა ღია ცის ქვეშ, სანაპიროზე,

30

სახსრებს სიმშვიდე მიაწია ნაგვიანევი.
მოხუცი ტიბერ, მდინარის და ადგილის ღმერთი,
თითქოს ალვის ხის შტოთა შორის წამოიმართა,
ფირუზისფერი მოსასხამი მოსავდა თხელი,
თმებს უფარავდა ლელიანი, მუქჩრდილიანი,

35

ასე მიმართა და დაუცხრო გმირს საზრუნავი:
„სახელოვანო, დიად ღმერთთა შთამომავალო,
მტერთაგან ტროის, პერგამოსის დამბრუნებელო,
შენ მოგელოდა ლავრენტუმი, ლათინთ ველები!
აქ გელის ბინა საიმედო და პენატები.

40

ბურგს ნუ შეაქცევ მათ და ომი ნულარ გაშინებს,

გაქრა ღმერთების მრისხანება და გულისწყრომა.
რომ არ გეგონოს ნატყუარი ზმანება ნახე,
გეტყვი: ნაპირთან მუხის ძირში იპოვი დიდ ქუბს,
მას ოცდაათი გოჭი ჰყავს და ზურგზე დაწოლილს
45

თეთრი გოჭები შესევნიან მსუყე ცურებთან.
ქალაქის ფუძე აქ იქნება და შრომის ბოლოც.
ასკანიუსი ოცდაათი წლის შემდეგ ალბას
აქვე ააგებს სახელოვანს, მე ხომ სიმართლეს
გამცნობ წინასწარ. მომისმინე, მოკლედ აგისნა —
50

როგორ დააღწევ საფრთხეს თავს და გამარჯვებული
აიცდენ მას, რაც გემუქრება. არკადელებმა, —
ევანდერ მეფეს რომ ჩამოჰყვნენ პალანტის ძენი, —
და მის ნიშანთა, საცხოვრისი აქ აირჩიეს,
მთაზე ქალაქი დააარსეს — პალანტეუმი,
55

სახელი მისცეს პალანტისა, მათი წინაპრის.
ლათინთ ებრძვიან დღემუდამჟამ, მაშ, შეუერთე
მოკავშირენი შენს მხედრობას. თვით წაგიძღვები,
მდინარეს გაჰყევ ნაპირ-ნაპირ, ჩემი შეწევნით
გასჭერ დინება, აღდექ დილით, ქალღმერთის ძეო,
60

ქალღმერთ იუნოს აღთქმა მიეც მსასოღველი,
მითვე დაძლიე რისხვა მისი, შემდეგ მადიდე —
ცის საამური ნაკადი ვარ, ლაჟვარდოვანი
ტიბრისი, ნაპირს მივყვები და ველამუნები,
ნაყოფიერი ველ-მინდვრების გასწვრივ მდინარი.
65

აქ აღმართულა სახლი ჩემი, ქალაქთა თავი“.

როს აგრე ბრძანა მოკამკამე მდინარის ღმერთმა,
ფსკერზე დაეშვა, ჩაიმალა პირქუშ მორევში.
ღამე დადნა და ენეასიც დატოვა ძილმა,
პეშვით მოხაპა, ვით წესია, მდინარის წყალი,
70

ბეცას მიმართა: „ო, ნიმფებო ლავრენტუმისა,
წყალთა სათავევ, შენც ტიბრისო, მდინარის მამავ,
შენი წმიდა წყლით მეოხეყავ, საფრთხეს არიდე
შენი ენეას! რა სათავეც არ უნდა გქონდეს,
შენ ხარ ნუგეში დაჩაგრულთა უსასოების!
75

ო, მშვენიერო, მომდინარევ ორ კალაპოტში,
წყალთა მეუფევ ჰესპერიის მიდამოების,
მარად ზვარაკით თაყვანსა გცემთ, ოლონდ გამოჩნდი,
ოლონდაც უფრო ნათლად გვამცნე სურვილი შენი!“ —
ასე მიმართა. ორი ნავი გამოარჩია,
80

ნიჩბები დადო, იარაღი მისცა მეგობრებს.
ანაზღად თვალწინ წარმოუდგა მათ სასწაული:
მწვანე ნაპირზე დაინახეს თეთრი ღორ-ქუბი
მისივე ფერის გოჭებითურთ. სათნო ენეას
შენ შემოგწირავს, ო, იუნო, მათ სამსხვერპლოზე!
85

ტიბრისი ღამით აწყნარებდა მშფოთვარ მდინარეს,
დამშვიდდა ტალღა, უკუმიდგა და ზედაპირი
მთლად მოისარკა, თითქოს წყნარი გუბურააო,
ანდა ტბა მშვიდი, აღარ იყო უკვე ნაკადი
ძნელი მამაცთა ხოფებისთვის, დასცხეს თანაბრად
90

სწრაფად გაუდგნენ დანიშნულ გზას დარდანიდები,

მიქროდა წყალზე ნავი, სცემდა მეგზური ქარი.
წყლებსა და ჭალებს, მიუჩვეველთ უცხო სანახავს,
მყუდრო ჭავლებში მოლაპლაპე მამაცთ ფარები
და ნავის კიდე აოცებდა. დღისით და ღამით
95

ხოფებს უსვამდნენ, მიჰყვებოდნენ წყლის მისაქციელს,
ხეთა ჩრდილის ქვეშ სრობდნენ, ჰკვეთდნენ ატეხილ ჭალებს,
მდინარის მკერდზე დახატულებს. მზე ცეცხლოვანი
შუა ცას იყო, როს კოშკი და ქონგურნი ნახეს,
მომცრო სართულნი სახლებისა, რომის დიდებამ
100

ახლა რომ ზეცას გაუსწორა. იმ დროს ევანდერ
ღარიბ სამეფოს განაგებდა. სანაპიროსკენ
სწრაფად მიმართეს ნავები და მიადგნენ ქალაქს.
ჰერკულესის და ღმერთებისთვის ზვარაკს სწირავდა
არკადელთ მეფე. ყრმანი ახლდნენ და ძე — პალანტი,
105

სენატიც მცირე. საკმეველი და თბილი სისხლი
იბოლქვებოდა. დაინახეს უცხოქვეყნელნი,
ჩრდილოვან ჭალას რომ მოადგნენ მაღალ ნავებით
და ნაპირისკენ მოიწევდნენ, შეძრწუნებულნი
მოულოდნელი გამოჩენით. წამოდგნენ ზეზე,
110

დატოვეს სუფრა. აუკრძალა გმირმა პალანტმა
საქმის შეწყვეტა. ხელში შუბით გაემართა და
შორით სერიდან შეუძახა: „ჰეი, ჭაბუკნო!
რამ გაიძულათ უცხო გზები, რა ტომისა ხართ,
სადა გაქვთ ბინა, ომით მოხვალთ თუ სამშვიდობოდ?“
115

მაშინ მიუგო ენეასმა მაღალ კიჩოდან,

ზეთისხილის შტო გაუწოდა მშვიდობიანი:

„ტროელთ ჯარს ხედავ, ლათინთა მტერს, ჯიუტი ომით
მათგან დამაშვრალს. ჩვენ დავეძებთ მეფე ევანდერს,
ეს გადაეცით და უთხარით, — გეახლებიან

120

ქველნი ბელადნი დარდანელთა, გთხოვენ-თქო შველას“.

გაოცდა პალანტ, ვინაობა გაიგო ოდეს,

„გამოდი, — უთხრა, — მეომარო, ვინც უნდა იყო,
თვით მიესალმე მამას! მოვედ, როგორც სტუმარი,
გვეწვიე შინა!“ — შეაშველა მომხედურს მარჯვენა,

125

ხმელზე გადმოსვა, მიატოვეს მდინარის კიდე,

ჭალას მიადგნენ. ენეასმა მეფეს მიმართა:

„ბერძენთა შორის თვალსაჩინოვ, ბედმა მარგუნა
თხოვნით მოგმართო, ბაფთიანი შტო გაგიწოდო.

არ მაკრთობს ის, რომ ბელადი ხარ არკადიელთა

130

და ატრიდების ნათესავი. ბედმა კეთილმა,

წმიდა მისნობამ ღვთაებათა, წინაპართ მოდგმამ

ნათესაურმა და დიდებამ ბედის სურვილით

შენთან მამყოფეს. დარდანუსი, მამა პირველი

და ილიონის ამგებელი, როგორც ამბობენ,

135

ელექტრამ შობა პაპისპაპად ტევკრთა მოდგმისა,

ქალმა ატლანტის, ვისაც მხრებით ზეცა უჭირავს.

მერკურიუსი დიდებული გეკუთვნით მამად,

იგი მაიამ მშვენიერმა შობა ოდესღაც,

მაღალ კილენეს ცივ მწვერვალზე მუცლადღებული.

140

თუ მართლად თქმულა, თვით ატლანტმა, იმა ატლანტმა,

ცის მნათობნი რომ უკავია, შობა მაია.

მაშ, ერთი სისხლის, მოდგმისა ვართ, სწორედ ამიტომ
შენი აზრების დასაბვერად ელჩებს არ ვენდე,
არც ცბიერებით მოვინდომე, გამეგო რამე.

145

თვითონ გაახელ თავი ჩემი. მოველ ვედრებით
შენს ზღურბლთან. მოდგმა დავნუსისა, მდევნელი შენი
სასტიკი ომით ჩვენც შეგვება და იმედი აქვს
ჩვენი გარეკვის, თან ჰგონიათ ხელს ვერ შეუშლის
ვერვინ, რომ მთელი ჰესპერია დაიმორჩილონ,

150

ზღვას დაეუფლონ. ერთგულების საწინდარსა გთხოვ:
გვაქვს სიმამაცე ომში, ყრმობა — ბრძოლით ნაცადი“.
თქვა ენეასმა, ევანდერი აკვირდებოდა
სახეს და თვალებს, აღნაგობას მოსაუბრისა,
შემდეგ კი მოკლედ უპასუხა: „სიამით გისმენ.

155

უმამაცესო ტევკრთა შორის, ვიგონებ ტკბილად
ხმას შენი მშობლის, გარეგნობას ანქიზე-გმირის.
მახსოვს პრიამე, ძე განთქმული ლაომედონტის,
დის — ჰესიონეს სამეფოს რომ ესტუმრებოდა,
სალამინს მყისვე ჩავიდოდა, რომ არკადიის

160

საზღვრები კვლავაც მოეხილა. პირველი ყრმობა
მაშინ მაყრიდა ღაწვზე ღინღლებს. ო, მაცუებდა
ტევკრთა სარდალნი, თვით პრიამე, მაგრამ ანქიზე
ყველას სჭარბობდა ახოვნებით. გულით მწყუროდა
მისთვის მესმინა და მიმეცა მარჯვენა ხელი.

165

მივეუახლოვდი ფენეუსში ხალისით წავჰყევ.

ისარნი მომცა ლიკიურნი, კოხტა კაპარჭი,
ოქროცურვილი ქლამიდი და ოქროს აღვირი,
ახლა მას ჩემი პალანტი ფლობს. მაშ, ის კავშირი,
თქვენ რომ ესწრაფვით, შეკრულია. როგორც დადგება
170

დილის სისხამი, შეგიერთებთ დამხმარე ლაშქარს,
საგზალსაც მოგცემთ, გაუდგებით გზას კმაყოფილნი.
მაგრამ რადგანაც ჩვენს მხარეში მოყვრად მოსულხართ,
კეთილინებეთ, შეასრულეთ ზორვა წლიური,
არ ხამს შეწყვიტა. მიეჩვიეთ მოძმეთა ნადიმს“.
175

თქვა და უბრძანა, რომ დაედგათ კვლავ ფიალები,
თვით დასხა გმირნი კორდის მერხზე, ხოლო ენეას
მოიპატიჟა მოწიწებით ნეკერჩხლის ტახტზე,
რომელს ეფინა ლომის ტყავი ხშირბეწვიანი.
შემდეგ რჩეულმა ჭაბუკებმა, ბომონის მოგვმა,
180

შემოიტანეს ზვარაკეულ ხარის შიგანი,
აავსეს ძღვენით კალათები, მიაართვეს ღვინო,
ენეასი და მასთან ტროის ქველნი ჭაბუკნი
დატკბნენ სამსხვერპლო ხორცეულით, გული იჯერეს.
როცა დაიცხრეს შიმშილი და სხვა აღარ სურდათ,
185

ევანდერ მეფემ ასე ბრძანა: „არა ცრუ რწმენამ,
არა ღმერთების უმეცრებამ დაგვიდო წესად
ჩვენ ეს ადათი, ზორვად დგომა დიდი ღმრთისადმი,
ტროელო მოძმევ, ჩვენ ამ ადათს მარად ვასრულებთ
განსაცდელისგან გამოსხნილი და მსხვერპლსა ვწირავთ.
190

შეხედე ამ ტინს უზარმაზარს, რომ ამართულა

შვერილ კლდეებზე, ხედავ, რა შორს მიმოფანტულა
მძიმე ლოდები. როგორა დგას განმარტოებით
კლდეთ შორის მღვიმე, მზის სხივთაგან მიუწვდომელი.
იქ იდგა კაკუს საზარელი, ნახევრადკაცი,
195

ახალ-ახალი სისხლით რწყავდა მიწას მიწყივად,
კარებზე ესხა კაცთა თავნი ფერდაკარგულნი
შედედებული სისხლით ზედვე. ამ საზარ ურჩხულს
მამად ეკუთვნის ვულკანუსი. პირით აფრქვევდა
იგი ნალვერდალს მამისეულს, კლდეებრ აღმდგარი.
200

ბოლოს გვიშველა ღალადისმა; ხსნად მოგვევლინა
ბოროტთა მტერი ჰერკულესი, ვინც ამაყობდა
სამთავიანი გერიონეს განადგურებით
და იარაღით. გამოცხადდა, როგორც მძლეველი,
აქვე მორეკა უთვალავი ჯოგი ხარების,
205

ველი და წყარო დაიკავა. ხოლო კაკუსის
სული ბორგავდა, აღარ იყო ქვეყნად სიავე
და ვერაგობა, მას, მძვინვარეს, რომ არ ეცადა.
ოთხი მოზვერი მოიტაცა და იმდენივე
ულამაზესი დეკეული. კვალს არ ტოვებდა,
210

ამიტომ კუდით შეათრია გამოქვაბულში,
მიტაცებულნი პირქუშ კლდეებს ამოაფარა,
მდევარი მღვიმეს ვერა ნიშნით ვერ მიაგნებდა.
ამფიტრიონის ძე ველიდან ჯოგს მორეკავდა,
ემზადებოდა წასასვლელად, ამ დროს ხარებმა
215

მაღლა შებღავლეს, გააყრუეს ღმუილით ჭალა,

გადაიარეს მთის ბექობი ხმით შესაბრალოთ.
მყისვე მღვიმიდან დეკეულმა ხმა გამოიღო.
არ გაუმართლა ცბიერების იმედმა კაკუსს.
რისხვით აინთო მყის ალკიდეს პირქუში სული,
220

ხელი დასტაცა მან იარაღს, კოჟრიან კომბალს,
სწრაფად შეუდგა მაღალი მთის ციცაბო კიდეს.
პირველად ნახეს მაშინ შიშით მოცული კაკუს,
ქარზე უსწრაფეს უკუიქცა თვალამღვრეული.
მღვიმეს მიადგა, შიშმა თითქოს ფრთები შეასხა,
225

გაწყვიტა ჯაჭვი, მოარყია ტინი ვეება,
რკინით რომ ჰქონდა თვით მის მამას დამაგრებული.
მძიმე ურდული გადაუგდო დაგმანულ კარებს.
ამ დროს გამოჩნდა თირინთელიც გააფთრებული,
მღვიმის შესასვლელს დაეძებდა კბილების ღრჭენით,
230

ირგვლივ უვლიდა, სამგზის თვალი მოავლო სწრაფად
მთას — ავენტინუსს, სამგზის სცადა, თუმცა ამაოდ, —
კარის მორყევა, დაბლობისკენ დაეშვა სამგზის.
თაღს გადმოჰყურებს ბასრი ტინი, ყოველი მხრიდან
სალი კლდეებით აწყვეტილი, თვალშეუდგამი,
235

მხოლოდ მტაცებელ სირთა ბუდედ რომ გამოდგება,
მარცხნივ წახრილი მდინარისკენ. ძალა მოიხმო,
საპირისპირო მხრით მიაწვა, მარჯვენა მხრიდან,
მაღე ძირიან-ფესვიანად ვეება ტინი
ფუძეს მოჰგლიჯა გმირმა, ბიძგით ცა დაბარბაცდა,
240

ნაპირს მოსწყდა და უკუიქცა მდინარე ზათქით.

გამოჩნდა მღვიმე პირგახსნილი, კაკუსის ბინა,
ჩაშავებული, ჩრდილიანი ეხი, დარანი.
თითქოს გაიპო დედამიწა შინაგან ძალით
და გადაიხსნა სამფლობელო მიწისქვეშეთის —
245

ღმერთებსაც რომ სძულთ. დააღრჭინა უფსკრულმა პირი.
შეჭრილმა შუქმა აათრთოლა მკვდართა სულები,
მყისვე ისრები დაუშინა სინათლით მოცულს,
კლდეში დამალულს, აბლავლებულს საწყალობელად.
ხელში რაც მოხვდა, მეყსეულად სტყორცნა ალკიდემ —
250

მორი თუ ძელი, ქვა და ლოდი უზარმაზარი.
ურჩხულს დაეხშო უცაბედად ყველა გზა ხსნისა,
ენა ვერ იტყვის, რაც მან ხახით გადმოაფრქვია
ყომრალი კვამლი და გაბურა წყვდიადით ბინა,
ხედვა მოუსპო, გადაწურა თვალსაწიერი.
255

ღამე ჩამოდგა, შეერია სიბნელეს ალი,
ვერ მოითმინა ალკიდემაც, ცეცხლში შევარდა,
სადაც ტალღებად დახვეული კვამლი დიოდა,
გამოქვაბული დაეფარა ჭვარტლიან ღრუბელს.
ბნელში შეება კაკუსს, ცეცხლის ამოდ მფრქვეველს,
260

მჭიდროდ მკლავები მოასალტა, თვალი დაუცვო
გადმოკარკლული და მოაშთო სისხლდაწრეტილი.
როცა კარები ჩამოგლიჯა, მღვიმე გაიხსნა,
მაშინ გამოჩნდა საქონელიც მიტაცებული.
კაკუსის გვამი საზარელი გამოათრია.
265

სული ვერ გაძღა გადმოკარკლულ თვალთა ყურებით,

სახის და მკერდის გაბანჯგვლული ნახევარკაცის,
ყელის სიღრმეში ჩაშრეტილი საზარი ცეცხლის.
იმ დღიდან ხალხი დღესასწაულს ზეიმობს შვებით.
პოტიციუსმა, ქველმა მოდგმამ პინარიუსის,
270

აღმსარებელმა ჰერკულესის ძლიერი რწმენის,
ჭალას აღმართეს ეს ბომონი დიადი მარად,
კვლავაც იქნება ეს ბომონი დიადი მარად.
ამიტომ, ყრმანო, სადიდებლად ვაუკაცობისა
თმები მოირთეთ მწვანე შტოით, თასი აიღეთ,
275

მოუხმეთ ღმერთსა და ზედაშე აპკურეთ შვებით“.
აღკიდეს ალვამ მოყმეთა თმებს მოჰფინა ჩრდილი —
ორფეროვანმა, გვირგვინებში ჩაწნულ ფოთლებით.
მარჯვენა ხელში თასი ეპყრათ, სუფრას ზედაშე
შვებით ასხურეს და ღვთაებას მიმართეს ლოცვით.
280

დათმო ოლიმპო, მოახლოვდა დაისი ამ დროს.
მოგვთ მოუძლოდა პოტიციუს, ადათისამებრ
ტყავი ემოსათ, მაშხალები ეჭირათ ხელში.
სუფრა გააწყვეს ტკბილეულით და სამსხვერპლოზე
საესე თასები ჩაარიგეს, მყის სალიებმა
285

ბომონის ირგვლივ, საგალობლად აღგზნებულებმა,
ალვის შტოებით საფეთქლები გაილამამეს.
გუნდი ჭაბუკთა და მხცოვანთა ხოტბას უგალობს
დევემირ ჰერკულესს, თქვეს — ხელებით როგორ გათანგა
ორი ურჩხული, დედინაცვლის გამოგზავნილი,
290

ვით იავარყო ექალია და ტროა ბრძოლით,

მეფე ევრისტეს ტყვეობაში რა გარჯა ნახა,
მასზე გამწყრალი მძლე იუნოს განჩინებული.
„ხარ დამთრგუნველი მტკიცე ხელით ღრუბლით შობილი
კენტავრუსების — ჰილევსისა და ფოლუსისა,
295

კრეტის ურჩხულის — ნემეის კლდის ლომის მძლეველი!
ო, შენს წინაშე თვითონ სტიქსის ტბაც კი ცახცახებს
და მიწისქვეშა ბჭის გუშაგი, გაცრეცილ ძვლებზე
სისხლიან ქვაბში რომ ისვენებს. ო, ვერ გაშინებს
ვეება ტიფვეს აღჭურვილი, შენს სიმამაცეს
300

ვერარას აკლებს მრავალთავა ჰიდრა ლერნესი,
იუპიტერის ძევ, დიდება! ღმერთთა მშვენებაჲ,
შემწედ გვეწვიე, ბედნიერო, შენს დღეობაზე!“
ასე აქებდნენ მის გმირობას და უგალობეს
კაკუსის მღვიმეს, ამბავი თქვეს ცეცხლის მფრქვეველის,
305

ჭალა აივსო მათი ხმებით და მაღალ სერებს
გადაურბინა შეძახილმა. ზორვას რომ მორჩნენ,
კვლავ ქალაქისკენ გაემართა მთელი ლაშქარი.
მეფეს თან ახლდა ენეასი და ვაჟი მისი
გზას ამოკლებდა მხნე მოხუცი ტკბილი საუბრით.
310

განცვიფრებული ენეასი გზას გაჰყურებდა,
აღტაცებული ამ მიწა-წყლით, კრძალვით ისმენდა
წინაპართ ამბებს. ბოლოს უთხრა ევანდერ მეფემ —
რომის სიმაგრის ამგებელმა: „აგერ ჭალაში
წინათ ცხოვრობდნენ ფავნუსები და ტყის ნიმფები,
315

მოკვდავთა მოდგმაც, მუხის ფესვზე აღმონაცენი.

არ ჰქონდათ კანონ-სამართალი, არც განათლება,
მიწას არ ხნავდნენ და არც დოვლათს არ აგროვებდნენ,
ხის ნაყოფით და ნადირობით ირჩენდნენ თავსა.
თავდაპირველად ოლიმპოდან თვით სატურნუსი
320

აქ ჩამოვიდა, იუპიტერს როს გამოეცა,
მთებში გაფანტულ ველურ ტომებს თვისთან მოუხმო,
კანონი მისცა. ლაციუმი დაარქვა მხარეს,
რადგანაც სწორედ აქ უშიშრად იმალებოდა.
მისი მეფობის დროს დაგვიდგა ხანა ოქროსი
325

მშვიდობით მხარეს განაგებდა, სანამ თანდათან
დრო არ წაგვიხდა, მძვინვარება არ მოგვერია,
ომის წყურვილი და წადილი მომხვეჭელობის.
ავგონელთ რაზმი და სიკანის ხალხი მოვიდა,
ბევრჯერ იცვალა სატურნუსის მხარემ სახელი.
330

ტიბრისიც გვყავდა მაშინ მეფედ და იტალიელთ
მისი სახელი მიანიჭეს მდინარე ტიბრისს,
დაკარგა ძველმა ალბულამაც სახელი თვისი.
მეც, სამშობლოდან გადმოხვეწილს, ზღვად მოწანწალეს,
მძლე ბედისწერა, გარდუვალი ხვედრი მდევნიდა,
335

აქ დამაფუძნა საშინელმა მისნობამ დედის —
კარმენტის — ნიმფის და უფალი აპოლონისა“, —
ასე თქვა, შემდეგ გმირს ბომონი და ბჭე აჩვენა,
კარმენტისეულს რომაელნი რომ უწოდებენ,
მომავლის მისნის, ძველი ნიმფის სადიდებელად,
340

ვინც ენეასის მომავალი მოდგმა შეაქო.

პალანტეუმი კვლავ აჩვენა, დიადი ჭალაც,
რომელიც ფიცხი რომულუსის შესაფრად იქცა,
სად ცივი კლდის ქვეშ ლუპერკალი იყო ოდითვე,
პანს, ლიკიელთ ღმერთს რომ მიეძღვნა ადათის ძალით.

345

შემდეგ აჩვენა წმინდა ჭალა არგილეტუმის,
სტუმრის — არგუსის სიკვდილზედაც უამბო ფიცით.
ტარპეიას კლდეს აჩვენებდა, კაპიტოლიუმს,
ახლა უმდიდრესს, ხოლო მაშინ ძეძვით დაფარულს.
თუმცა იმ დროსაც ხალხს აკრთობდა სიწმინდე მისი,

350

ტყეც ძრწოლას ჰგვრიდა, კლდეც და ირგვლივ მთელი მიდამო.
„ამ ჭალაშიო, — ასე ბრძანა, — და ტყიან თხემზე
ღმერთია, თუმცა როდი ვიცით, რომელი ღმერთი!
არკადიელთ სწამთ, რომ აქ ნახეს იუპიტერი,
შავი ეგვიდით და მარჯვენით ღრუბელთშემკრები.

355

შენ აქვე ხედავ ორ ძველ ქალაქს, გალავნის ნანგრევს,
ნაშთს და დიდებას ძველი ხალხის. აქ აღუმართავს
ციხე იანუსს, მეორე კი — სატურნუსს დიადს.
იანიკულუმ ერქვა ერთს და ერთს სატურნია“.
ასე ბაასით ევანდერის სახლსაც მიადგნენ,

360

ღარიბულს, ნახეს, რომ აქა-იქ რომის ფორუმზე,
ლამაზ კარინეს ველზე ძოვდა საქონლის ჯოგი.
შინ რომ მოვიდნენ, მეფემ ბრძანა: „გამარჯვებული
გვეწვეოდაო მძლე ალკიდევ ამ სასახლეში.
და შენც, სტუმარო, ფუფუნება არად ჩააგდო,

365

იყავ ღვთის ღირსი, სიღარიბეს ნუ დაგვიწუნებ!“ —

ასე თქვა მეფემ, შეიყვანა ვიწრო ბინაში
სახელოვანი ენეასი მოსასვენებლად
ლიბიის დათვის ტყავისა და ჩალის ლოგინზე.
ღამე ჩამოდგა, ბნელი ფრთებით მოიცვა მიწა.

370

დედა ვენუსი ამ დროს მართლაც შეშინებული
ლავრენტუმელთა ქადილით და სასტიკი ომით,
ვულკანუსს შეხვდა ქმრის მოოქრულ სანთიობოში
და ტკბილი სიტყვით ღვთაებრივი ტრფობა შთაბერა:
„როს არგიველნი მტვრად აქცევდნენ ციხეს ტროისა,

375

მტრის ცეცხლი სწვავდა მის ქონგურებს, არ მითხოვია,
რომ ბედისწერით განწირულებს დახმარებოდი,
არც ძალა შენი, არც მახვილი არა მნდომია,
ქმარო უტკბესო, აგაცილე ამაოდ გარჯა,
თუმცა ბევრი რამ კარგი მახსოვს პრიამიდთაგან,

380

ცრემლიც მდენია ენეასის ავბედობისთვის.
იუპიტერის ნებით რუტულთ მხარეს დაყოვნდა...
ვით დედა — ძისთვის გევედრები, ჩემო ღვთაებავ,
მტკიცე საჭურველს. შენ ხომ წინათ ნერევესის ქალმაც,
ტითონის ცოლმაც ტკბილი სიტყვით დაგიყოლია!..

385

ნახე, რა ხალხი შეიყარა, შეხე ქალაქებს,
ბჭეს ამაგრებენ, ხმაღს ლესავენ ჩემიანებზე“, —
უთხრა ქალღმერთმა, თეთრი ხელი ნაზად მოჰხვია,
ეფერებოდა მიმყოფრებით, ღმერთი დრკებოდა...
მას მეყსეულად მოერია ნაცნობი ცეცხლი,

390

ვნებამ სახსრები დაუმსხვრია, გულში შეიჭრა.

ასე გააპობს ხოლმე ელვა ღრუბელს ქუხილით
და ბრწყინვალეა აფეთქდება თვალისმომჭრელი.
ცოლი სიყვარულს თვისას გრძნობდა, ფანდით ტკბებოდა,
ბოლოს თქვა მამამ, მარადიულ ტრფობით ძლეულმა:

395

„შორით რომ მივლი, ადრინდელი ნდობა ჩემდამი
რისთვის გაგიქრა, ო, ქალღმერთო! შენ თუკი გსურდა,
ადრე შეგვეძლო აღგვეჭურვა ტევკრთა ლაშქარი,
ველარ დასცემდა ტროას მამა ყოვლის მძლეველი,
ვერც ბედი. ათ წელს იცოცხლებდა კიდევ პრიამე.

400

თუ ახალ ომის განზრახვა გაქვს, პირობას გაძლევ,
რაც შემიძლია ჩემი შრომით და ხელოვნებით,
რასაც გამოსცემს რკინა მტკიცე, ქარვა ნათელი,
რაც შეუძლია მქშინავ ცეცხლსა და ქროლვას ქარის,
მიიღებ, გწამდეს ჩემი ძალის. ნუ მევედრები“.

405

თქვა და იგემა სასურველი მოხვევა ცოლის,
მკერდში ჩაეკრა, ჩაიძინა დამშვიდებულმა.
შუალამისას დასვენებამ განდევნა ძილი,
ამ დროს ხომ სახლში შრომობს გამრჯე დიასახლისი,
რომელსაც მართებს ცხოვრებაში მინერვას საქმე.

410

მბეჭველი ქსლისა შუალამით მუშაობის დროს
ფერფლს ამოჩიქნის, გააღვიძებს დაშრეტილ კერას,
მხევლებს ავალებს მუშაობას გამთენიისას,
რომ ქმრის საწოლი წმიდად ჰქონდეს, რომ ბავშვთა აღზრდა
კარგად შეეძლოს. სწორედ ამ დროს და ამგვარადვე

415

სწრაფად წამოდგა ვულკანუსი რბილ სარეცლიდან,

რათა დაეწყო ხელოვნება. სიკანთ ნაპირთან,
ეოლიასთან კუნძულია, ღიპარა ჰქვია,
მაღალკლდოვანი, შიგ მღვიმეა, ქურა კიკლოპთა.
ეტნის ღრმულებში გრდემლის ცემა გუგუნს გამოსცემს,
420

შიგნით შიშინებს სიმხურვალით დამსკდარი ზოდი
ფოლად-ხალიბის და ქურაში გუზგუზებს ცეცხლი.
ვულკანის სადგომს ვულკანიის ქვეყანა ჰქვია.
მაღალ ზეციდან ცეცხლისშემძლე ღმერთი მოვიდა,
კიკლოპებს რკინა ღრმა მღვიმეში გამოეჭედათ —
425

ბრონტეს, სტეროპეს და პირაკმონს გაშიშვლებულებს.
ხელთ ჰქონდათ ელვა ნაწილობრივ გამოწრთობილი.
ღმერთთა მშობელი ელვას უხვად სტყორცნის ზეციდან
ქვეყანას ხოლმე. მზად არ ჰქონდათ მხოლოდ ნაწილი.
სამი წვიმის და სამიც ღრუბლის სხვივი შემატეს,
430

სამიც წითელი ცეცხლის, სამი — სწრაფი ავსტრისა.
თავის ქმნილებას დაუმატეს ბრწყინვა, ქუხილი,
შიში და რისხვა საზარელი, აღმოდებული.
სხვა მხარეს მარსის ეტლს აგებდნენ, სწრაფმავალ
ბორბლებს,
რომლითაც ღმერთი ბრძოლად აღძრავს ხალხს და ქალაქებს.
435

სასტიკ პალადას მძლე საჭურველს, საზარელ ეგიდს
ბეჯითად რთავდნენ გველის ქერცლით და ოქრომკერდით,
ქალღმერთის მკერდზე გადასკვნილი გველი ეხატა,
თავად გორგონა მოჩეხილი, თვალეგბრიალა.
„შეწყვიტეთ საქმე, — ასე უთხრა ეტნელ კიკლოპებს, —
440

და მთელი თქვენი ხელოვნება სხვას მოახმარეთ,
გულად მეომარს გაუჭედეთ მძლე საჭურველი,
თქვენი ძალა და თქვენი მარდი ხელი მჭირდება
და თქვენი დიდი ხელოვნება! ნუღარ აყოვნებთ!“
სხვა არა თქვა რა. მუშაობას შეუდგნენ მყისვე.

445

ყველას თანაბრად ჰქონდა საქმე: სპილენძი, ოქრო
რუდ დაიღვარა, დიდ ქურაში აწყობდნენ ფოლადს,
ფარს აკეთებდნენ, რომელს ძალუძს მარტო გაუძლოს
ყველა ლათინის ისარს, ხოლო მის ზედაპირზე
გამოსახავდნენ შვიდ წრეს, სხვანი საბერვლით ქმენდნენ,

450

ზოგი კი სპილენძს წყალში დებდა აშიშინებულს,
გრდემლზე დარტყმებით გუგუნებდა, კვნესოდა მღვიმე,
ზოგი კიკლოპი თანაბრად და შეთანხმებულად
ხელში გაზებით გამდნარ ლითონს ურევდა ხოლმე.
ეოლიაში ლემნოსელ ღმერთს ეს საქმე ჰქონდა,

455

ცხოველმა შუქმა და ფრინველთა ჭიკჭიკმა სხვენზე
როს გააღვიძა ევანდერი ღარიბულ სახლში.

მოხუცი ადგა და ჩაიცვა მყისვე ტუნიკა,
ფეხზე მოირგო ტირენული ქოშები შემდეგ,
ხოლო მხარიღლივ ტეგეური ხმალი აისხა.

460

მარცხნივ ეფინა მშვენიერი პანთერას ტყავი.
დიად პალატთა ორი მცველი წინ მიუძღოდა,
პატრონს მორჩილად მიჰყვებოდნენ მარდი მწევრები.
გმირ ენეასის სავანისკენ შორს გაემართა,
დაპირება და საუბარი არ დავიწყნია.

465

არც ენეასი აყოვნებდა მასთან შეხვედრას,
მეფეს პალანტი ახლდა შვილი, მას კი აქატე.
ხელი ხელს მისცეს და სასახლის პალატში დასხდნენ.
გმირნი გულწეული სჯა-ბაასით დიდხანს ტკბებოდნენ.
მეფემ პირველმა უთხრა სიტყვა:

470

„ტევკრთა დიადო მესვეურო, შენი სიკეთით
ენა არ მერჩის ვთქვა დაცემა ტროის ქვეყნისა.
ცოტა გვაქვს ძალა თუმცა ომში თქვენს შესაწევნად,
ტუსკუსის წყალიც გვავიწროებს და რუტულებიც,
გალავნის ირგვლივ ისმის ზათქი იარაღისა.

475

მაგრამ მე მინდა შევიერთო ძლიერი ხალხნი,
მძლავრი ლაშქარი სამეფოთა, შემთხვევა გვაძლევს
გზას გადარჩენის: აქ მოსულხარ ბედის წყალობით.
აქვე ოდესღაც კლდეზე ნაგებ ციხე-ქალაქში
აგილინეში ლიდიელნი დასახლებულან, —

480

ეტრუსკთა მთებში ცხოვრობს ხალხი, ომში ნაცადი
მრავალ წელიწადს აქ მეფობდა სასტიკი მეფე,
მხარეს მართავდა იარაღით მეზენციუსი.
რად მოვიგონოთ მკვლელობა და საქმე ტირანის?
დაე, ღმერთებმა მას მიუზღონ და მთელს მის მოდგმას.

485

იგი ერთმანეთს მკვდარს და ცოცხალს გადააბამდა,
ხელებს ხელებზე მიუკრავდა, სახეს სახესთან,
ო, რა სასტიკი წამებაა! და ასე კლავდა
ნელი სიკვდილით — საზარელი მოხვევნისაგან.
ბოლოს აღშფოთდნენ, თავს დაესხნენ მოქალაქენი,

490

კარს შემოერთყნენ გაცოფებულს და მის სასახლეს,
დამხვდურნი გვემეს და კოცონი შეუგდეს სხვენზე.
ბრძოლას გაექცა, შეეფარა რუტულთა მხარეს.
ახლა ტურნუსი იცავს დევნილს, ვით მასპინძელი.
რისხვა მოედო ეტრურიას სამართლიანი.

495

ამ სასტიკ ომში მოითხოვენ დასჯას მეფისას.
გმირო ენეას, ვით წინამძღოლს, გაბარებ ლაშქარს!
სანაპიროზე დგას გემები, დრტვინავს მხედრობა,
მოითხოვს გასვლას, მაგრამ მისნის სიტყვა აყოვნებს:
„ო, მეონიის ჭაბუკობავ სახელგანთქმულო,

500

პაპათ მშვენებავ, გულისწყრომა სამართლიანი
მტერზე მიგიძღვის, მეზენციუს მას იმსახურებს.
მაგრამ არ გარგებთ მეთაურად იტალიელი,
ნება გაქვთ უცხო აირჩიოთ“. ეტრუსკთა ჯარი
ველზე დაყოვნდა, ღმერთთან ნებით შეშინებული,

505

თვითონ ტარხონმა მომიგზავნა მოციქულები,
გვირგვინი, კვერთხი და სამეფო ნიშნები; მთხოვა
ბანაკში წასვლა და ტირენთა წინამძღოლობა,
მაგრამ სიბერე, წლოვანებით დამძიმებული,
ძალას არ მაძლევს გმირობის და ლაშქრის გაძღოლის.

510

ძეს გავუშვებდი, რომ მას სისხლი საბინელ დედის
სამშობლოს წილად არა ხდიდეს, ხოლო შენს ასაკს,
და მოდგმას შენსას ეთანხმება ღვთიური წერა,
ო, იტალიელთ და ტევკრების მხედარმთავარო!
გასწი! შენ განდობ ჩემს შვილს პალანტს, იმედს და ნუგეშს,

515

დე, მიეჩვიოს ბრძოლას შენი წინამძღოლობით,
გადაიტანოს სიძნელენი საომარ საქმის,
და ყრმობიდანვე გაუკვირდეს გმირობა შენი.
რჩეული რაზმი მივეც ორას არკადიელის,
ხოლო პალანტი შენ გაახლებს ყველას უკლებლივ“.

520

ეს თქვა თუ არა, ენეასმა თვალი დახარა,
ანქიზეს წულმა, და ერთგულმა გმირმა აქატემ.
ბევრი რამ ჰქონდათ საფიქრალი გულდარდიანებს,
რომ კითერეას სასწაული არ მოევლინა.

კრიალა ცაზე ელვა გაკრთა, თითქოს ქუხილმა

525

ქვეყნიერება დააქცია და ეთერს შეწვდა
ტირენულ ბუკის შეყივლება ომახიანი,
ცას შესცქეროდნენ, კვლავ გაისმა ჭექა-ქუხილი,
ულრუბლო ზოლში იარაღის ბზინვა შენიშნეს,
მეხის დარტყმისგან ჟღარუნობდა ის საჭურველი.

530

ყველა გახევდა, მხოლოდ იცნო ტროელმა გმირმა
ხმა მეხისა და შეპირება დედა-ქალღმერთის,
თქვა: „ნუ ეცდები, მასპინძელო, ზუსტად იცოდე,
რას მოასწავებს სასწაული. ოლიმპო მიხმობს.

დედამ მაუწყა — სასწაულით მიგანიშნებო,

535

ომი რომ ატყდეს, ვულკანუსის აბჯარს ნახავო
ნიშნად ღვთაების მოწყალების!

ო, რა საზარი სვე მოელით ბედშავ ლაკრენტებს!

ო, ჩემგან როგორ დაისჯები, მამაცო ტურნუს!

რამდენ ფარს, ჩაჩქანს, გმირთა გვამებს წყალს გააყოლებ,

540

მამავ ტიბრისო! ატყდეს ომი, დე, ზავი დათმონ!“
ამის თქმა იყო და წამოდგა მაღალ ტახტიდან,
მყის გაადვივა მიფერფლილი ცეცხლი ბომონზე,
მერმე გუშინდელ მფარველ ლარს და მცირე პენატებს
მიმართა ლაღად. წესისამებრ შესწირეს ვერძნი
545

ევანდერმაც და ტროის ქვეყნის ახალგაზრდობამ.
გემებს მიაღგა ენეასი, მხლებელთა შორის
მტერთან საომრად აირჩია უმამაცესნი,
ამხანაგების სხვა ნაწილი გაჰყვა მდინარის
ქვემო დინებას, რათა მყისვე მათგან შეეტყო
550

ყრმა ასკანიუსს საქმის არსი, ამბავი მამის.
ტევკრებს, ტირენთა მხარეს წამსვლელთ, მისცეს ცხენები,
ენეასს — რაში, დარახტული ყვითელი ტყავით,
რომ უბზინავდა ოქროვანი ლომის ჭანგები.
სწრაფად გავარდა ხმა ქალაქში, რომ მთელი ჯარი
555

ტირენელ მეფის საზღვრებისგან მიემართება.
დედებმა შიშით ღმერთს აღუთქვეს ორმაგი აღთქმა:
საშიშროებას ჭარბობს შიში და უფრო მეტად
მკაცრი ჩანს მარსიც. ევანდერმა შვილის მარჯვენა
გულში ჩაიკრა და ქვითინი ვერ შეიკავა:
560

„იუპიტერმა ყრმობის წლები რომ დამიბრუნოს, —
როგორიც ვიყავ პრენესტესთან მტერთა მძლეველი,
გამარჯვებულმა რომ ჩავბლუჯე ფარების გროვა,
ვძლიე ერულუსს ფერონიამ, მზრუნელმა დედამ,
თქმაც საოცია! — შობილს სამი სული შთაბერა,
565

მისცა სამმაგი საჭურველი, საჭირო იყო
სამგზის განგმირვა. ამ მარჯვენით სამივე სული
მე ამოვხადე და ავყარე სამი ჯავშანი!
მე შენს მოხვევენას ვერ დავთმობდი, შვილო, ვერასდროს
ვერ დამცინებდა მეზობელი მეზენციუსი,
570

ვერ ჩაიდენდა დანაშაულს ესდენ მძვინვარეს,
ამდენ ქალაქს და მოქალაქეს როდი მოსპობდა!
ო, ზეციერნო! იუპიტერ, ღმერთთა მეუფე!
ერისმთავარი შეიბრალებთ არკადიისა,
ისმინეთ მამის ღალადისი: თუ თქვენი ნებით
575

ბედი დაიცავს უვნებლობას ჩემი პალანტის,
თუ ვცოცხლობ, რათა კვლავ ვიხილო და შევუერთდე,
ხანგრძლივ მაცოცხლეთ და გავუძლებ ყოველგვარ ვარამს!
ხოლო თუ, ბედო, შენ საშინელ რასმე მიმზადებ,
მაშინ, ო, ახლავ ნება მომეც შევწყვიტო სუნთქვა,
580

ჯერ სანამ კიდევ ბუნდოვანი ჩანს მომავალი,
სანამ ვეხვევი შვილს, ჩემს გვიან, ერთადერთ ნუგეშს,
რომ მასზე მძიმე ცნობამ სმენა არ შემიზაროს!..
ასეთი სიტყვით მამა ჭაბუკს გამოეთხოვა
და მსახურებმა გონწასული შინ შეიყვანეს.
585

განახვნეს ბჭენი, ცხენოსნები გაიჭრნენ გარეთ,
წინ ენეასი, მას ერთგული აქატე გაჰყვა,
ტროელთ მამფალნი, ლაშქრის შუა ჩანდა პალანტი,
მოზარნიშულ ხმლით და ქლამიდით გამორჩეული:
ჰგავდა ლუციფერს, მღელვარე ზღვას რომ გაუწეწავს,
590

ვენუსს რომ ყველას ურჩევნია მნათობთა შორის —
ცად აღმართული, გამფანტველი ღამის წყვდიადის.
მფრთხალი დედები გალავნიდან თვალს აყოლებდნენ
ღრუბელს მტვრისას და რაზმს, სპილენძით აელვარებულს.
მხედრობა მოკლე გზით წავიდა, ეკალ-ბარდებით,
595

ატყდა ყიჟინა და როდესაც ჯარი შეჯგუფდა,
ცხენთა ფლოქვებმა აათრთოლა ველი ფხვიერი.
კერეს ცივ ნაკადს ჭალა აკრავს თვალშეუდგამი,
მამათა რწმენით წმიდათწმიდა, ყოველი მხრიდან
ერთყმის სერები, დაბურული ტყე წიწვიანი,
600

ამბობენ, ძველმა პელაგებმა უძღვნეს სილვანუსს,
ღმერთს ველების და საქონლისა, ეს წმიდა ჭალა
მათ სულ პირველად დაიკავეს ლათინთა მხარე.
აქ შეეფარა ტარხონი და ტირენთა რაზმი.
მაღალი მთიდან კარგად ჩანდა, მთელი ლაშქარი
605

რომ გაშლილიყო მინდორ-ველზე. მამა ენეასს,
მტერთან საომრად შეყრილ მოცმეთ დრო მოუნახავთ
მაშვრალ სხეულზე საზრუნველად, ცხენთ მოსავლელად.
იმხანად ვენუსს პირმშვენიერს ზეცის ღრუბლებში
ძღვენი მოჰქონდა, როცა თვისი პირმშო იხილა
610

განმარტოებით ველზე, ცივი მდინარის პირას,
გამოეცხადა მყის ღმერთქალი და ასე უთხრა:
„აჰა, აღთქმული საჩუქრები, ჩემი ქმრის ხელით
ნახელოვნები! ნუ შედრკები, გამოიწვიე
მძიმე ბრძოლაში ლავრენტელნი ან მძლე ტურნუსი“, —
615

თქვა კითერეამ, მოეხვია შვილს და მზრუნველად
მისი ელვარე საჭურველი მუხის ქვეშ დადო.
ქალღმერთის ძღვენით და ასეთი დიდი პატივით
გახარებულ გმირს არ შეეძლო თვალის მოწყვეტა
მძლე საჭურვლიდან. მყისვე დასწვდა გაოცებული
620

ჯილიან ჩაჩქანს, მოელვარეს ცეცხლის ალივით,
ხმაღს სისხლის მომტანს, სპილენძიან ჯავშანს
სისხლისფერს,
ვით ლაჟვარდოვან ცაში ღრუბელს, მზით გასხივებულს,
მაღალ შორეთში მოელვარეს. ნახა მსუბუქი
საბარკულები ოქროყრილი, ელვარე შუბი,
625

ფარი, უცხო რამ სურათებით ამოძერწილი;
იტალო მეფენი, რომაელთა გამარჯვებანი,
არც უმეცარმა მომავალთა საუკუნეთა
ცეცხლთამძლემ ფარზე გამოსახა, მოდგმაც მყოფადი
აკანიუსის და ომების რიგი უწყვეტი:
630

მარსის მღვიმეში შობით მწოლი ძუ მგელიც ჩანდა,
მკერდზე მიჰკვროდა ორი ჩვილი და მის ძუძუებს
დათამაშებდა, თან უშიშრად ლოკავდა დედას.
მასაც კისერი დაუხრია და ეფერება,
ხან ერთს ულოკავს ტანს ალერსით, ხან კი მეორეს.
635

იქვეა რომი, მოტაცება საბინელ ქალთა
თეატრში, ცირკში დიდებული წარმოდგენის დროს.
ანაზღად ატყდა რომაელთა შორის სისხლისღვრა,
ტატიუსსა და კურებს შორის. შემდეგ მეფენი
დაზავებულნი ჩანან იქვე, იარაღასხმულთ

640

იუპიტერის ბომონის წინ თასი უჭირავთ,
ტახი დაუკლავთ და მშვიდობით შეთანხმებულან.
ოთხმა მერანმა გააქროლა მეტუსი იქვე
(ო, ალბანელო, შენ რომ სიტყვა არ გაგეტყუა!),
ცრუ კაცის გვამი გაათრია ტყეში ტულუსმა,
645

დანესტიანდა, გაიჟღინთა ბუჩქები სისხლით.
პორსენა ბრძანებს, დაიბრუნონ ტარკვინიუსი,
ძლიერი ალყით ციხე-ქალაქს შემოსალტვია.
თავისუფლების დასაცავად ენეადები
შეიარაღდნენ. იქ ნახავდი ნაწყენ პორსენას,
650

რადგან კოკლესმა გაუბედა ხიდის დანგრევა,
კლელიამ ხუნდი მოიშორა, წყალი გასცურა.
მაღლა ეხატა მანლიუსი, ტარპეას მცველი,
ტაძართან იდგა, ფლობდა ზვიად კაპიტოლიუმს.
აქვე სასახლე რომულუსმა დახურა ისლით.
655

იქ ვერცხლისფერი ბატი ფრინავს ოქროს თაღებთან,
გალები ბჭესთან მოვიდნენო. ღამემ აჩუქა
გალებს წყვდიადი, ეკლიანი ბუჩქნარი განვლეს,
ციხეც აიღეს, ოქროსფერი თმები ამშვენებთ
და სამოსელი ოქრომკედით მოუქსოვიათ.
660

რძეებო თეთრ ყელსაც ოქრო ამკობს და ყოველ მათგანს
ორი ალპური ოროლი აქვს ხელში ბრწყინვალე,
ხოლო სხეული დაუფარავს გრძელი ფარებით.
ჩანან მროკველი სალიები და ლუპერკები,
ხშირბეწვიანი ქუდი, ფარი, ცით მოვლენილი.

665

წმიდა ნივთები ტახტრევანით მიაქვთ ქალაქად
გულსათნო დედებს. მოშორებით მოჩანს სამეფო
ქვეშეთის, დისის სამფლობელო, მკაცრი სამსჯავრო
გულღრძო ბოროტთა. კათილინა, შენც კლდეს ჰკიდისარ,
ათრთოლებული ფურიების წინაშე შიშით.

670

კეთილთა შორის ჩანს კატონი კანონმდებელი.
აღელვებული ზღვის სურათის არის შუაში,
ცისფერი მკერდი რუხი ტალღით აქაფებია.
ვერცხლად მბზინავი დელფინები დათამაშებენ,
კუდს ახეთქებენ ზღვის ზედაპირს, ტალღებს აპობენ.

675

ზღვაში ხომალდნი დაუხატავს რვალით მორთულნი,
ომში ჩაბმული აკტიუმი, ლევკატის კონცხი
და ზღვის ზვირთები ბობოქარი, ოქროცურვილი.
ბრძოლებში გაჰყავს იტალები ავგუსტუს ცეზარს
სენატით, ხალხით, ღმერთებით და პენატებიოთრთ.

680

შევებით ანთებულს მშობლიური ზეცა დაჰნათის.
იქით აგრიპას ზურგქარის და ღვთის დახმარებით
ბრძოლით ნაცადი ჯარი მოჰყავს, საფეთქლებს შვენის
მოპოვებული ზღვად გვირგვინი ნისკარტიანი,
ველურთ ლაშქარი მოჰყოლია აქ ანტონიუსს

685

აღმოსავლეთში გამარჯვებულს მეწამულ ზღვასთან,
სხვადასხვა ტომი მოსდევს ლაშქრად ეგვიპტიდანაც,
შეუპოვარნი მეომარნი აღმოსავლეთის
და შორეული ბაქტრიისა... ვაი, სირცხვილო! —
ცოლით მოჰყვება ეგვიპტელი... მისი გემები

690

სწრაფად გაქროლდნენ. ქაფიანი ზღვა ატორტმანდა
სამქიმიანი გემთა ჭვინტით, გეგონებოდა,
ზღვაზე ცურავენ კიკლადები, ან მთა მთას მისდევს,
ისე დიდია გმირთა დასი გემის კიჩოზე.
ტყორცნიან ისრებს და ანთებულ მაშხალებს ხელით,

695

მკვლელობის კვალი ნეპტუნიას წითლად დააჩნდა.
რაზმებს აღაგზნებს დედოფალი მამის სისტრუმით,
ზურგს უკან ორ გველს ველარ ამჩნევს. ყველა ურჩხული
და ანუბისი ძაღლისთავა შეიარაღდა,
ვენუს, მინერვას, ნეპტუნუსის სამტროდ, საცილოდ.

700

მძვინვარებს მარსი აღჭურვილი რკინის ჯავშანში,
მჭმუნვარე დირებს აუვსიათ ირგვლივ ჰაერი,
დადის დაწეწილ მოსასხამში შუღლის ქაღალმერთი,
მოდეს ბელონა, სისხლიანი მათრახის მქონე,
აპოლონ დასცქერს აკტიუმის ტაძრიდან ყოველს,

705

მოზიდავს მშვილდსა. მისი შიშით უკუილტვიან
ინდო-არაბნი, საბინელნი თუ ეგვიპტელნი.
თვით დედოფალი მეგზურ ქარებს მოუხმობს თრთოლვით,
აფრებს გაშლის და გრძელ ბაგირებს ბოლომდე უშვებს.
აღსასრულის ჟამს ფერმიხდილი გამოუსახავს

710

ცეცხლთამძლეს იგი. ქარს და ტალღებს მოჰყვა სიკვდილი.
პირდაპირ მოჩანს ტანვეება, მჭმუნვარე ნილოს,
მოსასხამის ქვეშ რომ მოუხმობს დამარცხებულებს,
კლავნილ ნაკადის ლაჟვარდოვან წიაღში შთენილთ.
სამმაგ ტრიუმფით კეისარი შემოდის რომში,

715

აღავლენს უკვდავ აღთქმას იტალთ ღმერთთა წინაშე.
სამას მშვენიერ, დიად ტაძარს აგებს ქალაქში,
ქუჩა გაივსო შვებით, ტაშით, თამაშის ხმებით.
ყველა ტაძარში — დედათ გუნდი, ყველგან — ბომონნი...
ბომონთ წინაშე — ძირს გართხმული დაკლული ხარი..

720

თეთრი თოვლივით თეთრ ზღურბლზე ზის თვით კეისარი,
ათვალიერებს ხალხის მოძღვნილ ძღვენს, წინ ილაგებს.
მწკრივად გაივლის მის წინაშე ძღეული ხალხი,
განსხვავებულნი იარაღით, სამოსით, ენით.
ჩანს ნომადთ ტომი, აფრიკელნი ლამაზ სამოსით,

725

აქვე ლელეგნი, კარიელნი და გელონები,
მშვიდი ევფრათი, მორინელნი, შორეთის მკვიდრნი.
რენუსი ორი შენაკადით, მკაცრი დაჰები,
შმაგი არაქსი, ხიდ-ბონდებით დაუთრგუნავი.
გმირს ვულკანუსის მოხატული ფარი აოცებს.

730

მან როდი იცის, დედის ძღვენზე რაც ასახულა...
ხატით ტყვექმნილი მხრებზე ისხამს შვილთა დიდებას.

წიგნი მეცხრე

როს იტალია შორეული მოეცვა ამ შუღლს,
წარმოავლინა სატურნუსის ქალმა იუნომ
მაცნე ირისი გმირ ტურნუსთან ზეცის ზღურბლიდან.
იმ დროს ტურნუსი პილუმნუსის ჭალაში იყო.

5

თავმანტიასის ქალმა ამცნო ვარდისფერ ბაგით:
„ტურნუს, გარგუნა დღევანდელმა დღემ თავის ნებით,
რასაც ვერც ერთი ღმერთი მლოცველს ვერ გპირდებოდა:
ციხე დატოვა ენეასმა, გემიც, მოძმენი,
პალატინელი ევანდერის მხარეს წავიდა.

10

ეს არ იკმარა, კორითუსის ციხე-კოშკებში
ლიდიელთ ლაშქარს და მცხოვრებლებს საჭურველს აძლევს.
რადას აყოვნებ, მოითხოვე ცხენი და ეტლი,
იჩქარე, ბანაკს გზააბნეულს ხელში ჩაიგდებ!“ —
თქვა და აფრინდა, ცისარტყელამ აღნიშნა ცაში

15

ქალღმერთის ფრთების ნაკვალევი ღრუბლების ქვემოთ.

ყრმამ იცნო იგი, ზეცისაკენ აღაპყრო ხელნი
და მიაძახა ლამაზ ქალღმერთს სიტყვა მხურვალე:
„ირისო, ცათა მშვენებაო, ვინ გაიძულა,
მოულოდნელად მომვლენოდი გაბრწყინებული!

20

ცას ვხედავ წმიდას და ვარსკვლავებს მასზე გაფანტულთ,
გემორჩილები, ო, მისანო, ვინც არ უნდა იყო,
რაკი ბრძოლისკენ მომიწოდებ იარაღასხმულს!“ —
თქვა და მდინარის მორევიდან წყალი მოხაპა,
ბევრი ილოცა, შეჰღალადა აღთქმა ღვთაებას.

25

და, აი, უკვე გაიშალა ველზე ლაშქარი
ცხენთა სიმრავლით, მოოქრული ხატსამოსითა
პირველი იყო მესაუსი, ლაშქრის ბოლოში
იყვნენ მოყმენი ტირუსისა, შუაში — ტურნუს,
ხელთ ხმალი ეპყრა, ერთი თავით სჭარბობდა ყველას.

30

თითქოს განგესი თვისი შვიდი წყნარი ნაკადით,
ანდა ნილოსი ველებიდან მოედინება
და გაიშლება კალაპოტში, ისე ხედავდნენ
შორიდან ტევკრნი უცაბედად აბოლქვილ ღრუბელს
შავი მტვერისა და მინდვრებზე გაწოლილ წყვდიადს.

35

ყველაზე ადრე კაიკუსმა შესძახა კოშკში:
„მოქალაქენო, მტერის ღრუბლებში რა ბრბო გამოჩნდა?
ჩვენკენ მოიწევს... იარაღი აისხით სწრაფად.
შუბნი მოყარეთ გალავნებში! ჰა, მოდის, მტერი!“
ტევკრთა ყიჟინით მყის გაავსეს ყველა ქონგური,

40

ციხის კოშკები, ენეასმა რადგან უბრძანა,

არ გაებედათ ველზე გასვლა საბრძოლო მწკრივით,
მხოლოდ დაეცვათ გალავნები, შემოზღუდული
მტკიცე ბანაკი. თუმც რისხვა და სირცხვილი სთხოვდა
ტროელთ ხელჩართულ ბრძოლას გასვლას, მაგრამ ბანაკში
45

რჩებოდნენ მაინც, ასრულებდნენ ბრძანებას და მტერს
ელოდებოდნენ ქონგურებში... ოცი მხედარი
თან ახლდა ტურნუსს, მყის გაუსწრო ლაშქარს ქარივით,
ქალაქში გაჩნდა, ყრმას შვენოდა ოქროს ჩაჩქანი,
წითელი ჯილა, თეთრლაქიან თრაკიულ ცხენზე
50

ამხედრებულ გმირს. „ჰე, ჭაბუკნო, ვინ გამომყვება,
მტერზე პირველი ვინ აღმართავს ხელს?“ — დაიყვილა
და მოიქნია იარაღი, შუბი გატყორცნა
ნიშნად ომისა და გაიჭრა ამაყად ველზე.
ყიჟინი დასცეს მებრძოლეებმა და გაჰყვნენ ბელადს.
55

გაჰკვირვებოდათ სულმდაბლობა ტროელებისა,
რად არ გვხვდებიან იარაღით, ჩაკეტილანო.
მრისხანე ტურნუს გალავანის კიდეს მიეჭრა,
შეუვალ კოშკშიც შესასვლელი სურდა ეპოვა.
ვით მგელი დაძრწის შუალამეს ფარეხის ირგვლივ,
60

ქარში, ავდარში ღობის ძირას რომ აყმუვლდება,
ხოლო ბატკნები კიკინებენ დედებთან მშვიდად,
უძღები მგელი კვლავ უჩინარ ცხვრებზე მრისხანებს.
შიმშილი ტანჯავს რა ხანია, ყელი გაუშრო
სისხლის წყურვილმა, — რუტულუსიც ასე იწვოდა,
65

ოდეს ხედავდა მტრის გალავანს, ძვლებში უვლიდა

ნაღველი მწველი... შესასვლელი ვით გაეჩინა,
ვით გამოეხმო სანგრებიდან ტევკრთა ლაშქარი,
ვით გაეყვანა ველზე ციხეს შეფარებული?
მაშინ ტურნუსი ხომალდებთან მიიჭრა სწრაფად,
70

რომელთ იცავდა სანგრები და მდინარის წყლები.
ამხანაგები წააქეზა — გემნი დავწვათო,
შმაგად დასტაცა გაღვივებულ მუგუზალს ხელი,
თან მიჰყვა ყველა, აღგზნებული მისი იქ ყოფნით.
შეიარაღდნენ ყრმანი მყისვე შავი მაშხლებით.
75

ცეცხლი გაიყვეს. აბოლქვილ ფიჭვს ზეთი სდიოდა,
ვულკანუსს ფერფლი ცად მიჰქონდა ნაპერწკლიანი.
რომელმა ღმერთმა, ო, მუზებო, ტევკრებს ხანძარი,
ხოლო ხომალდებს განარიდა ცეცხლი სასტიკი?
ძველი თქმულება გვამცნობს ამბავს მარადიულსა.
80

როცა იდაზე, ფრიგიაში ხომალდს აგებდა,
ემზადებოდა ენეასი ზღვად გასასვლელად,
ბერეკინტიამ, ღმერთთა დედამ, როგორც ამბობენ,
მიმართა დიად იუპიტერს: „შვილო, აღსრულდეს,
რასაც გთხოვს დედა სანუკვარი — ოლიმპოს მეფეს:
85

ფიჭვის ტყე მქონდა საყვარელი, მრავალწლოვანი,
მთის თხემზე იდგა ტევრი იგი შავი სოჭების
და ნეკერჩხლისა, იქ ხდებოდა მსხვერპლთა შეწირვა...
ხალისით მივეც დარდანელ ყრმას ხომალდებისთვის.
ახლა კი შიში დამეუფლა და ეს მალეღვებს.
90

გაფანტე შიში, შეასრულე ვედრება დედის:

დაე, ხომალდნი ქარიშხალს და ზღვას გადაურჩნენ,
უშველოს იმან, რომ ჩვენს მთებში აიგო გემნი!“
შვილმა, მნათობთა გამგებელმა, ასე მიუგო:
„რა გსურს ბედისგან, დედავ, განა დასაშვებია,
95

რომ მოკვდავთ გემებს უკვდავების მივცე უფლება?
განა ენეასს საფრთხის შიში არ უნდა ჰქონდეს?
განა რომელ ღმერთს ღირსებია ასეთი ძალა?
არა! ოდეს გზას გაივლიან და მიაღწევენ
სანაპიროებს ავზონიის, უკვდავად გავხდი
100

გემებს, დარდანელთ გადამსხმელებს ლავრენტთა მხარეს,
სახეს შევუცვლი, გადავაქცევ ზღვის ღმერთქალებად,
ნერეიდების — გალატეას და დოტოს მსგავსად,
ქათქათა მკერდით რომ აპობენ ზღვას აქაფებულს!“ —
ასე თქვა, შემდეგ დაიფიცა ძმის, სტიქსის წყლები,
105

კუპრით გზნებული ნაპირები, შავი მორევი.
თავი დახარა და შეიძრა ოლიმპოს თხემი.
დადგა აღთქმული დღე, პარკებმა დრო დანიშნული
მოჭრეს, მოქსოვეს, როს ტურნუსის სიავემ დედას
კვლავ მოაგონა ხანძრისაგან გემების დახსნა.
110

ცაზე ღრუბელი გაიშალა აღმოსავლეთით,
იდელთ დასითურთ; ხმა გაისმა ძრწოლის მომგვრელი,
და მოეფინა ტროელთა და რუტულთა რიგებს:
„ნუ ესწრაფვითო, ტროელებო, გემების დაცვას,
ხმაღს ნუ აისხამთ. უფრო ადრე შეძლებს ტურნუსი
115

თვით ზღვა გადაწვას, ვიდრე თქვენი წმიდა გემები.

ზღვის ქალღმერთებო, მშვიდად გასწით, გიბრძანებთ დედა!“
მყისვე გემებმა გადაწყვიტეს მტკიცე ბაგირნი,
დელფინებივით ცხვირჩარგულნი ზღვას შეერივნენ,
ხოლო იქიდან იმდენივე, — ო, საოცრებაჲ, —
120

ქალი დაბრუნდა ახალგაზრდა, რამდენი გემიც
იდგა ნაპირთან, სპილენძ-რვალით შემოსალტული,
შემდეგ ქალწულნი ნებიერად მიქროდნენ ზღვაზე.
რუტულნი შეკრთნენ, მესაპუსიც შემფოთდა ძლიერ,
ცხენიც ათრთოლდა გმირის, ხოლო მდინარე ტიბრი
125

შედგა, დუდუნით უკუიქცა გაშლილი ზღვიდან.
მაგრამ ტურნუსი როდი დათმო ძალგულოვნებამ,
მაინც აღანთო სიმამაცე, შესძახა კიდევ:
„ამ სასწაულით თვით ტროელებს იუპიტერმა
ხსნის გზა მოუსპო, ხოლო რუტულთ არ ემუქრება
130

ცეცხლი და შუბი. ზღვა ვერ იხსნის ტროელებს უკვე,
გაქრა იმედი გაქცევის და ყველა გზა ხსნისა!
მთელი ქვეყანა ჩვენს ხელთაა, მრავალ ათასმა
იტალიელმა იარაღი აიღო ხელში,
ღმერთთა მისნობა არ მაშინებს — ტევკრთა იმედი.
135

ბედი, ვენუსიც იკმარებენ, რომ ტროელებმა
ავზონიაში შეაღწიეს. მეც მაქვს საბუთი:
საცოლის წამრთმევ ხალხს ხმლით მოვსპობ, რისხვა სჩვევია
განა ატრიდებს მხოლოდ, განა მიკენს აქვს ნება.
ოდენ აისხას იარაღი. განა არ კმარა
140

ერთხელ სიკვდილი? მათ მართებდათ, რომ ძველი ცოდვა

ეკმარებიანთ. კვლავ დიაცთა მოდგმას ეტრფიან!
სიმხნევეს ჰმატებს მათ სანგრები, თხრილის იმედი,
და მცირეოდნად გადაწევა სიკვდილის ვადის.
განა ვერ ნახეს, ნეპტუნუსის ხელით ნაგები
145

ტროის კედლები რომ დაშალა დიდმა ხანძარმა?
აბა, რჩეულნო, ვინ გაბედავს სანგრის დანგრევას,
ვინ გამომყვება ბარდაცემულ ტევკრთა ბანაკში!
რად მინდა ხმალი ვულკანუსის, გემი ათასი
ტევკრთა საჟლეტად? შეუერთდნენ თუნდაც ეტრუსკნი,
150

დე, შიში ნუ აქვთ წყვდიადის და პალადიუმის
სულმდაბალ ქურდებს ნუ უფრთხიან: მაღალ გალავნის
მცველებს რომ მოვსპობთ, ცხენის ღრუში არ მოვეყუჩდებით,
დღის სინათლეზე უნდა დავწვათ მტრის გალავნები!
მათ არ იფიქრონ, რომ ებრძვიან პელაზგ მოყმეებს,
155

ან დანაელებს, ჰექტორი რომ ათ წელს უძლებდა!
ახლა კი, რადგან მიიღია დღე, ჟამს დარჩენილს
გამოვიყენებთ ჩვენთვის. საქმე კეთილად მიდის,
იხარეთ, ყრმანო! მოემზადეთ, ელოდეთ ბრძოლებს!“
შემდეგ მესაპუსს დაავალეს გარს შემორტყმოდა
160

ბჭეს მეომრებით. გალავნისთვის შეენთო ცეცხლი.
ორჯერ შვიდ მოყმეს თან ასობით ჭაბუკი გაჰყვა,
მბზინავნი ოქრო-ძოწეულით, ჯილააშლილნი.
მწკრივი გაშალეს და განეწყვნენ გალავნის გასწვრივ.
მოღზე წამოწვნენ და სპილენძის ფიალებს ცლიდნენ.
165

ენტო კოცონი, გუშაგები ლალი თამაშით

უძილო ღამეს ათენებდნენ.

ამ დროს ტროელნი ყოველივეს ხედავდნენ კარგად
და ამაგრებდნენ საგუშაგო, მაღალ ქონგურებს,
შიშითა თრთოდნენ, კარიბჭეებს უთვალთვალებდნენ,
170

მტკიცე ხიდეებით გადახიდეს სიმაგრეები.

მოჰქონდათ შუბი, მხნე მნესთევის გულს აღუგზნებდა
და სერესტუსი. ენეასმა ეს ორი გმირი
დანიშნა ლაქრის მეთაურად გაჭირვების ჟამს.
გაინაწილეს სახიფათო მისასვლელები
175

ციხე-გალავნის, ყველამ თვისი საქმე იცოდა.

მამაცი ნიზუს, ჰირტაკიდი, ბჭეს დარაჯობდა,
მხლებლად არგუნა მონადირე იდამ ენეასს,
ოროლთ მტყორცნელი უებრო და შორსმოისარი.
ევრიალუსი ჰყავდა გვერდით, ულამაზესი
180

ენეადთა და აბჯარასხმულ ტროელთა შორის.

უწვევრულ სახეს ეტყობოდა პირველი ყრმობა,
გულწრფელი გრძნობით შენივთულნი ერთად იბრძოდნენ,
ახლაც ბჭეს ერთად გუშაგობდნენ. ნიზუსმა უთხრა:
„განა ღმერთები სულს აძლევენ ამ მგზნებარებას,
185

და განა ვნება ჩვენთვის ღმერთად იქცევა ხოლმე?
გული მთხოვს ბრძოლას, ან დიადი საქმის ჩადენას,
მას ხომ მშვიდობა არ აწყნარებს! ხედავ, რუტულებს
რა ლაღი რწმენა დაეუფლათ? აქა-იქ ბჟუტავს
მათი კოცონი. ძილითა და ღვინით ძლეულან.
190

წვანან. სიწყნარე სუფევს ირგვლივ. ახლა მისმინე,

გულში რა აზრი დამებადა, რამ შემაშფოთა:
ხალხს და ბელადებს ენეასის მოწვევა უნდათ,
მაცნის გაგზავნა, სანდო ცნობის შეტყობინება,
თუ მოგეცემა, მათგან შენთვის რასაც მოვითხოვ,
195

მე თვით დიდება ამ საქმისა ჯილდოდ მეყოფა!
მწამს, რომ გავაღწევ სანგარს, ციხეს პალანტეუმის“.
ევრიალუსი მყის მოიცვა დიდების ვნება
და ფიცს მეგობარს ასე უთხრა: „ნუთუ, ო, ნიზუს,
არ გსურს მეც ვიყო მონაწილე დიადი საქმის?
200

მარტო ჩაგაგდებ ამ ხიფათში? ნუთუ ეს გჯერა?
მე ასე როდი გავუზრდივარ მამა ოფელტეს,
არგოლიკის და ტროის საზარ ომის ქარცეცხლში, —
ბრძოლებში ნაცადს შენთან ასე არ მოვქცეულვარ,
რაც ავწყევ სათნო ენეასს და ბედის ბრმა ბორბალს.
205

აქ არის სული, სიცოცხლეს რომ არ დაიშურებს,
მისი დათმობა დიდებისთვის არ ეძვირება“.
ნიზუსმა უთხრა: „ეჭვიც კი არ მეპარებოდა,
მაგრამ მსურს შენთან დამაბრუნოს გამარჯვებული
იუპიტერმა, ან სხვა ღმერთმა კეთილმოსურნემ.
210

მაგრამ თუ ვინმე (შენც ხომ მრავალ ხიფათსა ხედავ),
საფრთხეს შემიქმნის, ეს იქნება ღმერთი, თუ ბედი,
მინდა იცოცხოლო ჩემზე მეტი, ასაკიც მას გთხოვს.
დე, დარჩეს კაცი, ვინც ამიგებს წესს, მიაბარებს
მიწას ჩემს სხეულს, მიტაცებულს, ან გამოსყიდულს.
215

არადა ზვარაკს შესწირავს და ყორღანს ამიგებს.

არ მსურს მიზეზი ვიყო ბედკრულ დედის დარდისა.
დედათა შორის მან გაბედა გამოგყოლოდა,
აკესტეს როდი შეეფარა!“ მოყმემ მიუგო:
„ამაოდ ცდილობ ფუჭი სიტყვით დამიყოლიო,
220

არ შეიცვლება განზრახული, არ დაითმობა.
ვიჩქაროთ!“ — თქვა მან. გააღვიძა მყის გუშაგები,
მათ ნაცვლად დადგნენ სხვები ვალის შესასრულებლად.
ბჭეს გაეცალა, ნიზუსს გაჰყვა მეფის საძებრად.
ამ დროს მიეცა ძილს ყოველი არსება ქვეყნად,
225

დათმო დღიური საზრუნავი, შრომაზე ფიქრი.
მხოლოდ ტროელთა ბელადები და მხნე მოყმენი
არჩევდნენ საქმეს სახელმწიფოს: რაღა ელონათ,
ქველ ენეასთან მალემსრბოლად ვინ გაეგზავნათ.
შუბს დაყრდნობოდნენ დაფიქრებით, ხელი ეპყრათ ფარნი,
230

ბანაკში გაშლილ ველზე იდგნენ; გმირი ნიზუსი
და ევრიალუს მოითხოვდნენ დაბეჯითებით —
მყის გაგვიშვითო, დაყოვნება მარცხს მოასწავებს.
თქვი სათქმელიო, იულუსმა უბრძანა ნიზუსს.
პირტაკუსის ძემ განაცხადა: „ო, ენეანო,
235

ჩვენი ასაკით ნუკი განსჯით ავ-კარგს საქმისა.
ღვინომ და ძილმა დაამძიმა რუტულთ ლაშქარი,
ვნახეთ ადგილი, საიდანაც მალულად გავალთ —
გზაგასაყარზე, ზღვის მხარეზე რომ კარიბჭეა.
ცეცხლი კიაფობს იქ და კვამლი ზეცაში ადის.
240

თუ ნებას დავგვრთავთ არ დავკარგავთ მარჯვე შემთხვევას,

პალანტეუმის ციხე-კოშკში ენეასს ვნახავთ.
კვლავ დავბრუნდებით სისხლისმღვრელი
ბრძოლების შემდეგ,
დიდი ნადავლით, ხოლო გზა კი არ შეგვეშლება.
ნადირობის დროს დაგვივლია შემოგარენი

245

და ამ მდინარის ხეობასაც ხომ კარგად ვიცნობთ!“
მაშინ ალექტე მწლოვანმა და ბრძენმა წარმოთქვა:
„მამულის ღმერთო მოწყალეო, თქვენი სუფევით
ცოცხლობდა ტროა! ჩანს, ტევკრები არ გემეტებათ,
რაკი გვიგზავნით დიდსულოვან, გულმტკიცე მოყმეთ!“

250

ამას ამბობდა, მოყმეთ მხარში ჩასჭიდებოდა,
ცრემლით ურწყავდა შუბლს და სახეს ათრთოლებული:
„რას იმსახურებს, გმირო, თქვენი ეს თავდადება?
თვით ღმერთი მოგცემთ და შეგნება დიადი საქმის —
ღირსეულ ჯილდოს, დანარჩენს კი დაუყოვნებლივ

255

გარგუნებთ სათნო ენეასი და ასკანიუსს,
იგი არასდროს დაივიწყებს თქვენს თავდადებას“.
„მე მხოლოდ მშობლის დაბრუნება თუ გადამარჩენს, —
თქვა იულუსმა, — მოწმედ ვუხმობ დიად პენატებს,
ასარაკუსის ლარს, ჭაღარა ვესტას სამკვიდროს,

260

რა ბედისწერა და იმედიც არ უნდა მქონდეს,
ყოველი თქვენთვის მიმინდვია. მოუხმეთ მამას,
კვლავ დამიბრუნეთ, გამიქარვეთ მით მჭმუნვარება.
ვერცხლით მოჭედილ ორ თასს მოგცემთ მოზარნიშებულს,
იავარქმნილი არისბედან რომ შეხვდა მამას,

265

ორ სამფეხასაც, ოქროს ორ დიდ ტალენტუმს მოგცემთ,
ძველ თასს, თვით დიდომ სიდონელმა რომ მისახსოვრა.
თუ გავიმარჯვებ, იტალიას შემოვიმტკიცებ,
კვერთხს ხელთ ჩავიგდებთ, ბრძოლის ნადავლს გავყოფთ
წილისყრით,
მაშინ, ხომ ხედავ, რა ცხენზე ზის, ვით ფლობს ტურნუსი
270

ოქროს იარაღს? ფარს და მერანს, ჯილას შეწამულს
ახლავე ჯილდოდ შენ აღგითქვამ, ზვიადო ნიზუს!
გარდა ამისა მამაჩემი თორმეტ ქალს მოგცემს,
რჩეულ ქალწულებს, ტყვეებს მათი იარაღითურთ.
მიწებსაც მოგცემს, რაც ლათინთა მეფეს უჭირავს.
275

შენ, ქველო ყრმაო, ასაკითაც მეახლოები,
ამიერიდან წრფელი გულით შემყვარებიხარ,
ვით ამხანაგი მეყოლები ყველა საქმეში.
ამიერიდან არ ვეძიებ უშენოდ სახელს,
მშვიდობა მქონდეს, გინა ომი, მექნება მარად
280

შენი სიტყვის და საქმის ნდობა!“ ევრიალუსმა:
„ვერც ერთი დღე ვერ მომისწრებსო, — ასე მიუგო, —
მოუმზადებელს სამამაცო საქმეებისთვის!
დე, წილად მერგოს გინდ სიამე, გინდ ავბედობა.
მხოლოდ ერთსა გთხოვ: მიმიხედუ დედას, რომელიც
285

ვერ დააყენა ილიონის საამო მიწამ,
ვერცა აკესტეს მიუვალმა ციხესიმაგრემ.
ვტოვებ უმეცარს მოსალოდნელ საშიშროების.
ვერც დავეთხოვე... ვფიცავ ღამეს და შენს მარჯვენას,
ცრემლებს დედისას მე ვერასდროს შევურიგდები!

გთხოვ, დაამშვიდე ბედკრული და მიტოვებული!
 თუ იმედს მომცემ, გაბედულად გავუძლებ ხიფათს!“
 ცრემლი მოადგათ დარდანელებს გულაჩვილებულთ,
 ყველაზე მეტად პირმშვენიერ ჭაბუკს იულუსს
 გულს ჩაეღვენთა სიყვარული დედაშვილური.

295

და ასე უთხრა:

„მაგ დიდი საქმის შესაფერად აგიხდენ სურვილს,
 დედად მივიჩნევ, თუმც კრეუზა მას არ ერქმევა...
 დედას გმირისა განა მცირე ჯილდო მოელის?!
 რაც უნდა მოჰყვეს შემთხვევითი შენს დიად საქმეს,

300

ვფიცავ ჩემს თავსა, მამაჩემის წმიდა საფიცარს,
 რასაც დაგპირდი, ოდეს საქმე დაგვირგვინდება,
 მიიღებს დედა, მთელი შენი შთამომავლობა“, —
 ასე თქვა თვალეცრემლიანმა, მხრიდან მოიხსნა
 ოქროს მახვილი, გნოსიელი ლიკაონისგან

305

გამოწრთობილი და ქარქაში სპილოსძვლიანი.
 მნესთევსმა მისცა ნიზუსს ლომის ტყავი საზარი,
 უერთგულესმა ალექტემ კი ჩაჩქანი მტკიცე.
 აღიჭურვნენ და მეყსეულად გზასაც გაუდგნენ,
 რჩეულთა ყრმათა და მოხუცთა დასი გამოჰყვა,

310

გზას მშვიდობისას უსურვებდა. ყმაწვილ იულუსს,
 თუმც ნორჩი იყო, მოწიფულის გონება ჰქონდა.
 მამასთან გმირებს აბარებდა საქმეს მრავალგვარს,
 ქარს კი მიჰქონდა და ღრუბლებში ფანტავდა სიტყვებს.
 ღამის წყვდიადში გადაღახეს ფრთხილად სანგრები,

ბანაკს მიადგნენ, მოყმეთ სურდათ მტრისთვის დაესწროთ,
 ხან აქ და ხან იქ ღვინისა და ძილისგან ძლეულ
 მტერსა ხედავდნენ, უგრძნობელად მიწაზე განრთხმულს,
 ნაპირზე ეტლებს, ხელნას, მთვრალეებს, იარაღებთან,
 ავჟანდ-აღვირთან და ბორბლებთან მიყრილ-მოყრილებს.

320

ნიზუსმა უთხრა: „ვერიალუს, მარჯვნივ წავიდეთ,
 საქმე მოითხოვს. აგერ, გზაცა, ვერ დაგვეცემა
 ზურგიდან ვერვინ, თუ შენ კარგად დააკვირდები,
 მოვსპობ ყველაფერს და წაგიყვან გზით უვნებელით“.
 ხმადაბლა უთხრა და მახვილი ჩასცა ანაზღად

325

გულზვიად რამნეტს, იმ დროს მაღალ ნარზე რომ იწვა,
 ძილში ხვრინავდა სავსე მკერდით... თუმც იყო მეფე,
 მჩხიბავი ფრინველთ მეოხებით, ტურნუსის მოძმეც,
 მაინც ვერ შეძლო, რომ მისნობით დაეხსნა თავი.

ნიზუსმა მოკლა სამი მონა, ველზე მიყრილნი,

330

საჭურველთა მწდე რემუს, იქვე ეტლთან — მეეტლე,
 წაატრა მძინართ ჩაქინდრული თავები მყისვე.

ბელადსაც მოსჭრა თავი, გვამი იქვე დატოვა
 სისხლმომწთოლვარე, მიწა შავმა სითხემ შეღება.

მოკლა ლამირუს და ლამუსი, ყრმა სერანუსი,

335

პირმშვენიერი, ღამე ლხინში რომ გაატარა,
 ხოლო აწ ეგდო გაღეშილი დიდძალი ღვინით.

რა ბედნიერი იქნებოდა, ცეკვა-თამაშით

ღამე ეტება, მიელწია განთიადამდე!

მშიერი ლომიც შიშის ზარს სცემს გარინდულ ფარებს,

340

ოდეს დაზაფრულ, დამუნჯებულ ბატკანს მიათრევს,
ზედ დააცხრება, აქუხდება სისხლიან ხახით...
ევრიალუსის მძვინვარებაც ასეთი იყო.
მრავალრიცხოვან, დადუმებულ ბრბოს თავს დაესხა,
ფადუსს, ჰერბესუსს, რეტუსსა და იქვე აბარისს.

345

ვინ მოელოდა? მხოლოდ რეტუსს გამოეღვიძა,
ნახა ყოველი, მოეფარა შიშით კარდალას.
წამომხტარს მყისვე განუწონა მკერდში მახვილი,
მოკლა და ისევ ამოგლიჯა. ამოაყოლა
ღვინით ამღვრეულ სისხლის ნაკადს მოკვდავმა სული.

350

გაფიცებული ევრიალუს კვლავ მძვინვარებდა,
უკვე გაიჭრა მესაპუსის მხლებელთა მხარეს,
ნახა კოცონი დაშრეტილი, ცხენნი მძოვარნი,
საბლით დაბმულნი. მეცეულად იგრძნო ნიზუსმა,
რომ გმირს ზედმეტად მოერია სისხლის წყურვილი.

355

„ვიკმაროთ, — უთხრა, — ახლოვდება მტრული აისი,
ჩვენ მათ საკმაო მივუსაჯეთ, გზაც გახსნილი გვაქვს“.
მრავლად დატოვეს მოვერცხლილი აბჯარ-ბექთარი,
თასი, ხალიჩა, მხოლოდ დასწვდა ევრიალუსი
რამნეტის ოქროს ქამარსა და ლამაზ ყელსაბამს.

360

ძველად რემულუსს, ტიბურტელ გმირს ძღვნად გაუგზავნა,
რომ შორიდანვე გაეხადა ერთგულ მეგობრად,
მხნე კედიკუსმა. მან ანდერძად მისცა შვილიშვილს,
ისიც რომ მოკვდა, რუტულებმა ჩაიგდეს ხელში.
ახლაც ამოდ დაეუფლა მას ევრიალუს.

365

შემდეგ მოირგო მუზარადი მესაპუსისა.

ბანაკს გასცილდნენ და უშიშარ გზაზე გავიდნენ.

ლათინთ ციხიდან მოეგზავნათ მეწინავენი,

სანამ ლაშქარი ველზე იდგა დაყოვნებული,

მათ ტურნუსისთვის უნდა ეთქვათ მეფის პასუხი.

370

სამას მეომარს მიუძღოდა გმირი ვოლკენტი.

მიუახლოვდნენ უკვე ბანაკს და გალავანთან

შეაწირეს თვალი ბილიკისკენ გადასულ მსტოვრებს.

ჩაჩქანმა სხივი აირეკლა ნათელ ღამეში,

გასცა ჭაბუკი, ევრაილუსს ეს არ ახსოვდა.

375

მცისვე შენიშნეს და ვოლკენტმა შორის შესძახა:

„ჰეი, შესდექით! საით მიხვალთ, ვისი ჯარის ხართ?“

მათ კი ამაზე არ მიუგეს, უფრო აჩქარდნენ

ჩაშავებული, უსიერი ტევრის იმედით.

მცისვე მიეჭრნენ ცხენოსნები ნაცნობ გზასაყარს,

380

ყოველი მხრიდან გადაუჭრეს მალემსრბოლთ გზები.

შორს გაჰყოლოდა ტყეს ბუჩქები, ეკალ-ბარდები,

ჩაშავებული შესეოდა ხშირი ჯაგნარი,

ზოგჯერ ბილიკი გადაჭრიდა უცხო ნაკვალევს.

ყრმა ევრაილუსს მძიმე ტვირთი, შტოთა წყვდიადი

385

უშლიდა ხელსა, ხოლო შიშმა გზა აურია.

არც უფიქრია მასზე ნიზუსს, სანამ არ გასცდა

ადგილს, რომელსაც დარქმევია ალბას სახელი —

იმ ალბანიას, სად ლატინუსს ედგა ფარეხი.

მაშინღა შედგა და მეგობარს დაუწყო ძებნა.

„ვაგლახ, ბედკრულო ევრიალუს, სად მიგატოვე,
საით წავიდე?“ — გაიხსენა ყველა ბილიკი,
უსიერ ტევრში გაფანტული, თვის კვალს გაუყვა,
უკან დაბრუნდა და ბუჩქნარში იხეტიალა.
უცბად მოესმა ცხენების ხმა, მტრების ყიჟინა.

მალე გაიგო შეძახილი მტრის შუაგულში
ნახა ამაოდ რომ იცავდა თავს ევრიალუს,
შეუცდენია ტყეს და ღამეს, უცაბედ ჩქამზე
გარს შემორტყმია მეყსეულად მთელი ლაშქარი.
რალა იღონოს, მტერს ჭაბუკი ვით გამოსტაცოს?

განა შევარდეს ხმალთა შორის და ჭრილობებით
სიკვდილი თვისი დააჩქაროს? მაღლა აღმართა
შუბი მრისხანედ, შეარხია, შეხედა მთვარეს
და შეჰღალადა მაღალი ხმით: „დიდო ქალღმერთო,
მეოხ-გვეყავი უბედურებს, ჭალების ძრწოლაც,

ო, ლატონია, ზეციურთა მნათობთ მშვენებავ!
მამა ჰირტაკუსს შენს ბომონზე თუ შეუწირავს
ჩემს ნაცვლად ძღვენი და მეც, როცა მინადირია,
თუ ვამშვენებდი ზორვით ტაძარს და გუმბათს შენსას,
ბრბოს აზღვევინე, შუბი სწორად წარმართე ჩემი!“ —

თქვა, გადიხარა და გატყორცნა მძლავრად ოროლი,
შუქმა გააპო გაფრენილმა ღამის წყვდიადი,
ზურგში ჩაუჭდო სულმონს, როცა მიბრუნდა იგი.
მყისვე გადატყდა შუბისტარი, ბუნიკი ჩარჩა.
დაეცა, გულმა ამოჩქეფა სისხლის ნაკადი,

კრუნჩხვა დაეწყო და მუცელი აუცახცახდა.
 მიმოიხედეს მტრებმა, მაგრამ ნიზუსმა ისევ
 მრისხანედ სტყორცნა და მტრის ლაშქარს თავზარი დასცა,
 შუბმა შხუილით საფეთქელი გაუპო ტაგუსს,
 გაჩეხილ თავში გაეჩხირა. მძვინვარე ვოლკენტი
 420

მტერს ვერ ხედავდა, ვერ გაეგო — შუბს ვინ სტყორცნიდა,
 გაშმაგებულმა არ იცოდა, თუ ვის შებმოდა.
 „მაგრამ შენ მაინც ცხელი სისხლით ორთა სიკვდილს ზღავ!“ —
 თქვა და იშიშვლა ორლესული, ჯიქურ მიეჭრა
 ყრმა ევრიალუსს. ამ დროს შემკრთალს და გაშმაგებულს
 425

აღარ შეეძლო ნიზუსს წყვდიადს შეფარებოდა,
 ეს სატანჯველი აეტანა. მაღლივ შეჰყვილა:
 „მე მომკალითო, ყოველივე მე ჩავიდინე,
 მე დავაშავე, ხოლო იგი არცა ცდილობდა,
 და არც შეეძლო, ვფიცავ ზეცას, ვიმოწმებ მთიებს!
 430

მას უბედური მეგობარი უყვარდა მხოლოდ“.
 ეს თქვა ნიზუსმა, მაგრამ ამ დროს ხმაღმა გააპო
 ჭაბუკის ფერდი და გადახსნა მკერდი სპეტაკი,
 ეგდო უსულოდ, მის მშვენიერ სხეულზე ჩქეფდა
 სისხლი მხურვალე, თავი გვერდზე გადაუვარდა.
 435

ვარდის კოკორიც ასე ჭკნება, როცა სახნისი
 ზედ გადაუვლის, ასე კვდება მინდვრის ყაყაჩო,
 ღეროზე დახრის თავს, ავდარი თუ გაუგრძელდა.
 ნიზუს შევარდა მტრის რიგებში, მიისწრაფოდა
 ვოლკენტისაკენ, მხოლოდ მისკენ უწევდა გული.

440

გმირის გარშემო მჭიდროდ იდგა ურიცხვი მტერი,
ყოველი მხრიდან თავს ესხმოდნენ, მაგრამ უტევდა
და ელვასავით აკვნესებდა მახვილს, სანამდის
პირში არა სცა მომაკვდავმა რუტულუსს მყვირალს,
სული აართვა... უსულოდვე დაეცა თვითაც

445

მეგობარს მკერდზე, იქ მიიღო სიკვდილი მშვიდი...
მე ვთვლი ორთავეს ბედნიერად, თუ სიტყვას ჩემსას
რამე ფასი აქვს. თქვენი ხსოვნა არ მიძქრალდება,
კაპიტოლიუმს ვიდრემდის ფლობს ენეანთ მოდგმა,
სანამ იცოცხლებს და იმეფებს მამა რომისა!

450

რუტულნი ნადავლს დაეუფლნენ, გამარჯვებულნი,
გლოვით წაიღეს ბანაკისკენ ვოლკენტის გვამი.
ბანაკშიც იდგა მწუხარება, ნახეს რამნეტი,
სხვა მეთაურნიც, ერთ ბრძოლაში განგმირულები;
სერანუს, ნუმა, ბრბო მიაწყდა უსულო გვამებს

455

და ცოცხალ მკვდრებსაც... ადგილს აჩნდა
მკვლელობის კვალი,
აქაფებული სისხლი კვლავაც ღვარად დიოდა.
საჭურველთ შორის მოელვარე ჩაჩქანი ნახეს
და აგლეჯილი ყელსაბამი მესაპუსისა.
უკვე მოედო დედამიწას ახალი შუქი,

460

დათმო ტითონის სარეცელი ნორჩმა ავრორამ,
მზე აჩახახადა, გაანათა ირგვლივ ყოველი,
ტურნუსმა მოყმეთ იარაღი აასხმევინა,
რაზმი დააწყო საბრძოლველად რვალით მოსილი.

აღაგზნეს ვნება ვაჟკაცებმა მძლავრი ყიჟინით.

465

შუბზე ააგეს, — სავალალო სანახავია, —

თავნი მოჭრილნი, ღრიანცელით მთელი ლაშქარი
გაჰყვა ნიზუსს და ევრიალუსს.

ომში ნაცადნი ენეანნი აწყობდნენ ლაშქარს

გალავნის მარცხნივ, ციხის მარჯვნივ მდინარე იყო.

470

გულნადვლიანნი ქონგურებზე ჩამოდგნენ ტევკრნი.

თავბარი დასცა უბედურებს სანახაობამ:

შუბის წვერებზე ცნობილ გმირთა ჩამოცმულ თავებს
შედედებული შავი სისხლი ზედ შემრობოდა.

ფრთოსანმა ჭორმა დაირბინა მთელი ქალაქი,

475

დედას შეესმა, სითბომ დათმო ბედკრულის ძვლები,

საბეჭი, ქსელი მშობელს მუხლზე ჩამოუცურდა.

ბედუკუღმართი გამორბოდა, თმებს იწეწავდა,

შმაგად მიჰქროდა გალავნისკენ აკივლებული,

მეწინავეებს მიელტვოდა, აღარ ახსოვდა

480

საფრთხე და შიში ისრებისა, გლოვით შესძახა:

„ნუთუ შენ გხედავ, ევრიალუს? განა სასტიკო,

სიბერის ბურჯო, შეძელ ჩემი მართო დაგდება?

არც კი მეღირსა, შვილო, შენთან დამშვიდობება,

როცა საშინელ სახიფათო საქმეზე წახველ!

485

ვაი! მიგიღო უცხო მიწამ, დარჩი ნადავლად

ძალღთა და სირთა ლაციუმის... მე ვერ დაგმარხე,

ვერ დაგიხუჭე თვალი, წყლულიც ვეღარ მოგბანე.

დღე-ღამ გიქსოვდი სამოსს, მაგრამ ვერ მოგისწარი,

ესლა მაძლევდა ძალმილელს სიბერის ნუგეშს.

490

სად გპოვო, სადღა განისვენებს აწ შენი ნეშტი,
მკერდის ნაფლეთი, დამსხვრეული შენი სახსრები?
ო, შვილო, განა მისთვის მოგყევ ზღვით და ხმელეთით?
მომსპეთ, თუ შეგრაბათ თანაგრძნობა, ყველა ისარი
მტყორცნეთ, რუტულნო, მე მომკალით ყველაზე ადრე!

495

ან, ო, დიადო ღმერთთა მამავ, შენ შემიწყალე,
ტარტარს შთააგდე ისრით, შენგან მოძულებული,
რაკი არ ძალმიძს ულმობელი სიცოცხლე მოვსპო!“
გული მოუკლათ ამ გოდებამ, ოხვრა აღმოხდათ.
გატეხილ ძალებს შერკინების ღონე არ ჰქონდა.

500

ხელი მოჰკიდეს იდევსმა და აკტორმა მტირალს,
ილიონევსის, აცრემლებულ იულუსის თქმით,
და სავანეში წაიყვანეს ატატებული.
ანაზდეულად შორს გაისმა ხმა მოგუგუნე
მალღივ მგრგვინავი, სპილენძიან მჭახე ბუკიდან.

505

ატყდა ყიჟინა და ათრთოლდა ზეცის თავანი.
კუს საფარველით მოდიოდნენ სწრაფად ვოლსკები.
სურდათ სანგრების ამოვსება, მესრის მოგლეჯა,
ზოგი ცდილობდა კიბეებით ქონგურზე ასვლას,
სადაც მეჩხერად იყო ჯარი, ხოლო ზემოდან

510

ტევკრების ტომი შუბებსა და ლოდებს ისროდა.
ხანგრძლივმა ალყამ მიაჩვია ისინი დაცვას.
მოაგორებდნენ გალავანთან ვეება ლოდებს,
რომ მტრის მწკრივები დაეშალათ მტკიცედ დაცული.

თითქოს ყველაფერს კი უძლებდა მათი ჯავშანი,
515

მაინც ვერ შეძლეს რუტულებმა თავი დაეცვათ,
რადგან ტევკრებმა დაახეთქეს ვეება ლოდი
და გაურღვიეს საფარველი, შორიდან ძლიეს.
რუტულნი უკვე შემოტევას ველარ ბედავდნენ,
სცადეს კოშკიდან ტროელების გამოტყუება
520

და ამისათვის წვერწამახულ ისრებს სტყორცნიდნენ.
მეზენციუსი საზარელი ეტრუსკულ სოჭით
იმუქრებოდა და აბოლქვილ ცეცხლსა სტყორცნიდა,
მესაპუს — მოდგმა ნეპტუნუსის, ცხენთა მხედნელი
ანგრევდა სანგარს, გალავნისთვის კიბეს ითხოვდა.
525

ქაღმერთნო, და შენ, კალიოპე, მამცნეთ მეხოტბეს,
რამდენგზის სიკვდილს მოავლენდა ტურნუსის ხმალი?
რომელი გმირი შთანთქა მოყმემ შავბნელ ორკუსში?
ერთად გავშალოთ ომის ხატი თვალუწვდენელი.
რადგან თქვენ გახსოვთ, შეგიძლიათ მეც გამახსენოთ.
530

მაღალ ხიდებით იდგა კოშკი თვალშეუდგამი,
მას მიელტვოდა ასაღებად ყველა ვაჟკაცი,
სურდაც დაემხოთ იტალიელთ, აეღოთ ძალით.
ხოლო ტროელნი დიდძალ რაზმით იცავდნენ გოდოლს.
ისარს ტყორცნიდნენ, ქვას და ლოდებს მაღალ დუროდან.
535

თავდაპირველად თვით ტურნუსმა სტყორცნა მაშხალა,
ცეცხლი მოედო კოშკის კიდეს, გადაურბინა
მშრალ ძელებს ალმა, აბრიალდა ჭრიალა კარი,
შიგ მყოფნი თრთოდნენ და ამაოდ ეძებდნენ საშველს,

ერთურთს ეკვროდნენ შეძრწუნებით, მიისწრაფოდნენ,
540

სადაც ჯერ ცეცხლს ვერ შეედწია. უეცრად კოშკი
სიმძიმემ დასცა, აცახცახდა ცა ტკაცუნისგან.
მიწას დაასკდნენ ცოცხალ-მკვდარნი, ჩამოქცეულნი,
საკუთარ შუბზე აგებულნი, ძელით ძლეულნი.
გადარჩა მხოლოდ ჰელენორი, ქველი ლიკუსი.
545

როს მონად იყო ლიკიმნია, ყრმა ჰელენორი
ფარულად შობა მეონიის ბელადისათვის.
ტროას გაგზავნა, ბრძოლა თუმც არ შეერგებოდა.
არ მიუცია ხმაღს და გლუვ ფარს ახლაც დიდება.
როგორც კი იგრძნო, რომ ტურნუსის ლაშქარში მოხვდა
550

და ლათინთ რაზმი შემორტყმოდა ყოველი მხრიდან,
ვით მომწყვდეული მონადირეთ რკალში ნადირი
შმაგად მიილტვის შუბებისკენ და ეძებს სიკვდილს,
კუნტრუშით იცდენს ხოლმე ოროლს, ასევე მოყმე
სიკვდილის მნდომი ტრიალებდა მტრის შუაგულში,
555

იქ, სად ყველაზე მჭიდრო იყო შუბების ტევრი.
ხოლო ლიკუსი, მასზე სწრაფი, მტერს გაურბოდა
და იარაღებს გალავანზე სურდა ასწრება,
სცადა მოძმეთა ხელს და სართულს მოსჭიდებოდა.
უკან ტურნუსი გამოენთო შუბშემართული,
560

გამარჯვებულმა შეუყივლა: „ნუთუ უგნურო,
იმედი გქონდა გაქცევისა?!“ — თან ხელი სტაცა
ჩაბლაუჭებულს, ჩამოგლიჯა ფიცართან ერთად,
იუპიტერის ფრინველს ჰგავდა, ცადატყორცნილი

მტკიცე ჭანგებით გედს ან კურდღელს რომ მიაქროლებს.
565

მგელს ჰგავდა იგი მარსისეულს, ფარეხიდან რომ
ბატკანს იტაცებს, რომელს დედა უხმობს ბღავილით.
ატყდა ყიჟინა, ზოგი სანგარს ავსებდა მიწით,
სხვები სტყორცნიდნენ აალებულ ნაკვერცხლებს ციხეს.
ილიონევსმა უზარმაზარ ლოდით გასრისა
570

ლუკეტიუსი, კარიბჭესთან ცეცხლის მომტანი.
მამაცი ლიგერ — ემათიონტს, ხოლო კორინევს
კლავს აზილასი, ერთი — შუბით, მეორე — ისრით.
კენევსმა სძლია ონტიგიუსს, ტურნუსმა — კენევსს,
მერე — კლონიუსს, დიოქსიპუსს, ითისს, პრომელუსს,
575

საგარისს, იდასს — გოდოლზე რომ წამომდგარიყო.
კაპისმა მოკლა პრივერნუსი, თემილას ოროლს
რომ გაეკენწლა. უგნურს ფარი გადაუგდია
და წყლულზე ხელი უტაცნია. მარდმა ისარმა
ზედ მიაჭედა მის ჭრილობას მარცხენა ხელი,
580

მომაკვდინებელ დარტყმით გაჭრა სასუნთქი არხი.
არკენტის ვაჟი დიდებულად აღჭურვილიყო,
ეცვა ქლამიდი, ძოწეული იბერიული.
გამოეგზავნა მამა არკენტს, მოყმე ნაზარდი
მარსის ჭალიდან და მდინარე სიმეთიიდან,
585

სად პალიკუსის იყო სათნო საკურთხეველი.
მემენციუსმა შუბი დადო, გაჭიმულ თასმით
სამჯერ თავზემით მოიქნია მძიმე შურდული,
გადამდნარ ტყვიით საფეთქელი შუა გაუპო

და განგმირული დაახეთქა ქვიშაზე მოყმე.

590

პირველად თურმე ამ ბრძოლაში ტყორცნა ისარი,
ვინც მხოლოდ მფრთხალი ნადირების დევნა იცოდა,
ასკანიუსმა. მან განგმირა ბრგე ნუმანუსი,
რომელს უხმობდნენ რემულუსად, ტურნუსის დაი
ესვა მას ცოლად უმრწემესი, ახლად შერთული.

595

წინა რიგებში მიდიოდა და მრუდს და მართალს
ამბობდა, გულში ამაყობდა მეფის მოყვრობით.
შესძახა ტევკრებს: „არ გრცხვენიათ, კვლავ გალავანში
რომ ემალებით ყოველ მხრიდან შემოსალტულნი,
ორგზის მონებო ფრიგიელნო, საზარელ სიკვდილს?!

600

ერთი შეხედეთ! მათ ხმლით სცადეს ქალი მოგვტაცონ!
რომელმა ღმერთმა და სიგიჟემ აქ მოგათრიათ?
აქ არც ატრიდნი, არც ულიქსი გხვდებათ ცბიერი,
ჩვენ აკვნიდან ვართ გამოწვრთნილნი, ახალშობილებს
სასტიკ ყინვაში და ტალღებში ვუმაგრებთ სხეულს,

605

ყრმანი მიწყევად ნადირობენ უღრან ტყეებში,
ცხენოსნობა და მშვილდოსნობა თამაშად უღირთ,
შრომაც იციან და ხოდაბუნს ხნავენ სახნისით.
მცირეს კმარობენ, ხან ქალაქებს ანგრევენ ბრძოლით, —
მთელი სიცოცხლე არ ვეშვებით ჩვენ ხომ იარაღს!

610

საქონელსაც ხომ შუბისტარით მივრეკავთ ხოლმე.
ვერ აძაბუნებს სულის ძალას მძიმე სიბერე,
ვერც სხეულს აჭკნობს, ჭაღარა თმებს ჩაჩქანით ვფარავთ,
გვიყვარს ნადავლით დაბრუნება, ცხოვრება ძარცვით.

თქვენ კი სამოსი გყვარებით ზაფრანისფერი

615

და ძოწეული, უქნარობა, ცეკვა-თამაში,

ტუნიკებს გიმკობთ თქვენ სახელო, მიტრებს — ბაფთები,

ო, ფრიგიელი დიაცნი ხართ, კაცთა რა გცხიათ!

დინდიმას გასწით, ორხმიანი ფლეიტით დატკბით,

დაირით, ბზით და იდას დედის ბერეკინტიით.

620

ხმაღს ხელი უშვით, ის დაუთმეთ ნამდვილ ვაჟკაცებს!“

თავხედი სიტყვა და ზვაობა ვერ მოითმინა

ასკანიუსმა. ცხენის ძარღვის ლარზე დაჭიმა

მობრუნებულმა მყის ისარი, ხელი აღაპყრო,

ლოცვით მიმართა იუპიტერს, მხურვალე აღთქმით:

625

„ყოვლისშემძლეო, შეეწიე გაბედულ საქმეს.

მე თვით გაახლებე შენს ტაძარში ბრწყინვალე საზღოს,

საკურთხეველთან მოგგვრი, ღმერთო, ქათქათა მოზვერს,

მოზრდილს, დედის ტოლს ტანადობით და შუბლმოოქრულს,

რქებით მოქადულს, მიწის მჩხვერავს, ქვიშნარის ამყრელს“.

630

მამამ უსმინა; დაიქუხა მოწმენდილ ცაზე,

ხმა გამოიღო მშვილდმა, სტვენით მსრბოლმა ისარმა

თავი გააპო რემულუსის და საფეთქლიდან

მეორე მხარეს გაიარა ფრთების ცახცახით.

„კვლავაც დასცინეს სიმამაცეს ამაყი სიტყვით,

635

ორგბის მონები ასეთ პასუხს აძლევენ მტრებსა!“ —

ასკანიუსმა მხოლოდ ეს თქვა, ხოლო ტევკრებმა

ყიჟინა დასცხეს სიხარულის და მათი სული

მისწვდა ზეცამდე. აპოლონი ამ დროს ზემოდან

აკვირდებოდა ქალაქსა და ავზონელთ ლაშქარს,
640

ღრუბელზე იჯდა. გამარჯვებულ იულუსს უთხრა:
„ახალ გმირობით, ყრმაო, ცამდე გაითქვამ სახელს,
ღმერთთა შვილი და მომავალი ღმერთების მამა,
ბედითი ომი ვერ ძლევს მოდგმას ასარაკუსის,
ვერ დაგაკავებს ტროა!“ — ეს თქვა, მაღალ ზეციდან
645

დაეშვა, გაჭრა მოზუზუნე, ძლიერი ქარი
იულუსისკენ წამოვიდა, მიიღო სახე
მოხუც ბუტესი (ის დარდანელს ახლდა ანქიზეს
იარაღის მწედდ, მისი ზღურბლის ერთგულ გუშაგად,
შემდგომ კი ბუტე ასკანიუსს აახლა მამამ).
650

მოხუცს ამსგავსა აპოლონმა ხმა, სახის ფერი,
ჭაღარა წვერი, იარაღი მაღალხმიანი.
ასე მიმართა ბრძოლის გზნებით ანთებულ მოყმეს:
„ენეასის ძევ, შეგრჩეს მოკვლა ნუმანუსისა,
ღმერთი აპოლონ შენ ამ პირველ გმირობას გითმობს,
655

არა შურს მსგავსი სიმამაცე, მაგრამ, ყმაწვილო,
აწ ომში ნულარ ჩაებმები“, — თქვა აპოლონმა,
სიტყვა გაწყვიტა, მოიშორა მოკვდავის სახე,
თვალთაგან შორეთს მიეფარა, ჰაერს კამკამას.
იცნეს ღმერთი და ღვთაებრივი მისი ისრები
660

დარდანიდებმა, შემოესმათ კაპარჯის ჩქამი.
ფებუსის ნებით ასკანიუსს ეაჯებოდნენ,
მოშორებოდა ასპარეზსა ბრძოლის მწყურვალი.
თვით კი დაბრუნდნენ, არ დაუფრთხნენ სიცოცხლის

საფრთხეს

ყველა კედელს და მესერს მისწვდა მათი ყიჟინა,
665

მოზიდეს მშვილდნი დაჭიმულნი, ტყორცნეს ოროლნი,
მიწა დაფარა ისრის ტევრმა, ფარნი, ჩაჩქნები
ყრუდ ზრიალებდნენ დარტყმისგან. გაჩაღდა ბრძოლა.
წვიმა, მოსული დასავლეთის ვარსკვლავებიდან,
ასევე ურტყამს დედამიწას, სეტყვა ზღვასა სცემს,
670

როცა ავსტერის დახმარებით იუპიტერი
აშლის ქარიშხალს გაათრებულს, ცას ელვით აპობს.
ალკანორის ძეთ პანდარუსსა და მძლე ბიტიასს
იუპიტერის ტევრში ზრდიდა ნიმფა იერა —
სიმაღლით სოჭის და მშობლიურ მთების სადარებს.
675

მკლავის იმედი რაკი ჰქონდათ, გახსნეს კარიბჭე,
მათ მინდობილი და მოუხმეს მტერს გალავანთან.
თვით კედლად დადგნენ, ვით გოდოლნი, მარჯვნივ
და მარცხნივ,
ხმალი აესხათ, თავზე ჯილა უფრიალებდათ.
ასე დგას ხოლმე ორი მუხა გაჭრილ ჩქერებთან
680

გინდ საამური ათეზისის, გინდა პადუსის,
ცამდე აღმართავს მაღალ ტოტებს გალაღებული,
თავაწეული კენწეროებს ააქანავებს.
რაკი კარიბჭე ღია ნახეს, მაშინ რუტულნი —
კვერკვენსი, კოხტად აღჭურვილი აქვიკულუსი,
685

გულფიცხი ტმარუს და ჰემონი მყისვე მიიჭრნენ,
ზოგმა იბრუნა მერე პირი ლაშქართან ერთად,

ზოგიც სიცოცხლეს დაეთხოვა ზედ კარის ზღურბლთან.
რისხვამ იმატა მტრების გულში იმავედროულად,
ტევკრნიც მოგროვდნენ და რიგები შეამჭიდროვეს.
690

ბრძოლა გამართეს ხელჩართული და გამოირჩნენ.
ბელადი ტურნუს მოშორებით მამაც მხედრობას
უშლიდა ბრძოლის საღერღელსა, როცა აუწყეს:
მტერი შეგვება უცაბედად, გახსნაო ბჭენი.
ანაზდეულად გულმრისხანე გამოემართა
695

დარდანელების კარიბჭესთან ზვიად ძმებისკენ.
სტყორცნა ოროლი, ჯერ განგმირა მან ანტიფატე,
ძე თებელ დედის და დიადი სარპედონისა.
იტალიურმა შუბმა გაჭრა თხელი ჰაერი
და გაფრენილი განეწონა მეგრძოლის სტომაქს,
700

ღრმად ჩარჩა მკერდში ამოჩქეფა ღრმა იარიდან
აქაფებულმა სისხლმა, შუბი ღვიძლმა გაათბო,
მოკლა მეროპე, ერიმანტი და აფიდნუსი,
თვალანთებული ბიტიასი განრისხებული,
თუმც არა შუბით, რადგან ამით ელვის სისწრაფით,
705

სიცოცხლეს. სტყორცნა ფალარიკა ელვის სისწრაფით,
სტვენით ჩაეჭდო, ხარის ტყავმაც ვერ შეაჩერა,
ორკეცმა ტყავმა, ვერც ჯავშანმა, ოქროს ორმაგი
ქერცლი რომ ჰქონდა. დაბარბაცდა, მძიმედ დაეცა.
მიწა აკვნესდა, ყრუ ჟღრიალი გაიღო შუბმა.
710

ასე ეცემა ხოლმე ლოდი უზარმაზარი
იქ, სად ევბეის ბაიების არის ნაპირი.

ამ ლოდს წინასწარ ამზადებენ გულმოდგინებით
და მერე ზღვაში გადისვრიან, სწრაფად მიათრევს
გზადაგზა ღორღებს, იმსხვრევა და ფსკერს ენარცხება.
715

ზღვა ქვიშას აჭყრის, ხმა პროქიტას ააზანზარებს,
იუპიტერის ძალით — ტიფევსს, კლდოვან ინარიმს.
მებრძოლმა მარსმა ჩაუნერგა ლათინთ სიმტკიცე,
ძალა შთაბერა, ბრძოლის ნდომა, ხოლო ტევკრებს კი
ძრწოლა მოჰგვარა, გააქცია. ყოველი მხრიდან
720

მოიჭრა მტერი, მისცემოდა ძალა ბრძოლისა.
მებრძოლმა ღმერთმა სიმამაცე შთაბერა გულებს.
ძმის გვამი ნახა პანდარუსმა, მაშინვე იგრძნო,
ბედი ვისა ხვდა, რა შემთხვევამ გადაჭრა საქმე.
საშინელ ძალით ბჭეს მიაწვა, მოატრიალა,
725

ფართო ბეჭეებით შეეხიდა, გალავნის გარეთ
სასტიკ ბრძოლაში დარჩა ბევრი თავისიანიც.
მოყვარეც, მტერიც შემოჭრილი კოშკში ჩაკეტა.
უგნური! მათში ვერ შენიშნა რუტულთ ბელადი!
თვისივე ნებით მოიმწყვდია ციხე-ქალაქში,
730

ვით ფიცხი ვეფხვი — ზარდაცემულ ფარაში ცხვრების,
თვალი აენტო მძვინვარებით, ჩქამი გაიღო
ბასრმა მახვილმა, სისხლიანი ათრთოლდა ჯიდა,
ფარმა არეკლა მყისვე ელვა, იცნეს ენეანთ
ანაზდეულად საძულველი სახე გმირისა
735

და ახოვნება. პანდარუსმაც არ დააყოვნა
და ძმის სიკვდილით აღგზნებულმა ასე მიმართა:

„აქ როდი გახლავს დედოფალი ამატას სახლი,
მზითვად რომ გერგო, არც მშობლიურ არდეაში ხარ,
ტურნუს, შენ მტრების ბანაკში ხარ და ვერც გააღწევ!“
740

დამშვიდებულად და დაცინვით უთხრა ტურნუსმა:
„წვეთიც თუ შეგრჩა სიმამაცის, მო, შემერკინე,
ამბავს მიუტან პრიამესაც ახალ პელიდის!“ —
ასე თქვა. ძალა მოიკრიბა პანდარუსმა და
ესროლა შუბი — კოჟურიანი შუბისტარითა
745

და ნედლი ქერქით. იუნომ კი დარტყმა აშორა,
ჩააჭდო ძელში. „ამ ჩემს შუბს კი ვერ გაექცევი,
ჩემი ძლიერი ხელით ნატყორცნს, განა შენსავით
იცის მიზანი და ჭრილობა გარდაუვალი!“ —
თქვა და გასწორდა, ხმლის ფოლადით შუბლი გაუპო
750

ზედ საფეთქელთან გმირ პანდარუსს და ღრმა ჭრილობა
დაჰყვა ლაწვებზე, ჯერ რომ ღინღლი ფარავდა მხოლოდ.
მიწა შეიძრა სიმძიმისგან და პანდარუსმა
ზედვე განართხო ხელნი ძალაგამოლეულნი,
სისხლი და ტვინი შეეშხეფა, თავი გაიპო
755

და ორივე მხრიდან მოკლულს მხრებზე ჩამოუვარდა...
ყველა ტროელი უკუიქცა შეშინებული,
მძლეველს აზრადაც რომ მოსვლოდა, კლიტე გაეხსნა,
სხვაც შემოეშვა, იმ დღეს ბოლო მოეღებოდა
იმ სასტიკ ომსაც და მთელს მოდგმას ენეასისა.
760

მაგრამ უგნურმა ხოცვის ვნებამ აიყოლია,
მტერს შეუტია ანთებულმა, მოკლა ფალერის,

გიგეს მუხლებქვეშ გადაუჭრა ძარღვი, შემდეგ კი,
შუბს ხელს სტაცა, მიაყოლა ოტებულთ ზურგში.
ძალას ჰმატებდა მას იუნო და სიმამაცეს.

765

ზედ მიაყოლა მან ჰალისი და ფეგუესი,
მოკლა — უმეცრად სანგრებში რომ ებრძოდნენ რუტულთ,
ნემონ, ალკანდერ, ჰალიუსი და პრიტანისი.
ლინკევისი მისკენ მოიწევდა, სხვებს მოუხმობდა
ხმალშემართული, წამოსული სანგრის მარჯვნიდან,

770

მასაც დაასწრო, ერთი დარტყმით მოკვეთა თავი,
და მუზარადთან ერთად თავიც შორს გადაფრინდა.
მოკლა ამიკუს მონადირე, რომელზე უკეთ
არვის შეეძლო გაეპოხა ისრები შხამით.
მოკლა კლიტიუს და კრეთევისი, ეოლუსის ძე,

775

მუზების მოძმე, სიმღერა რომ უყვარდა მიწყვი,
ტკბილი კითარა და სიმებზე ჰანგის აწყობა.
ხოტბას ასხამდა რაშს, იარაღს, ვაჟუაცებს, ბრძოლებს.
თავისიანთა როს იხილეს იავარყოფა,
მოიჭრნენ ტევკრთა მეთაურნი — მნესთევს, სერესტუს,

780

ნახეს სილტოლვა, მტრის შემოჭრა გალავნის შიგნით.
„ჰე, საით ილტვით, სხვა სიმაგრე სად გეგულებათ,
გარდა ამისა?! — შეუძახა ტევკრებს მნესთევსმა, —
თანამებრძოლნო! ერთმა კაცმა, გარსშემორტყმულმა
ჩვენი სანგრებით, დაუსჯელად რამდენი მოკლა,

785

რამდენი მოყმე გააგზავნა ორკუსის მხარეს!
ნუთუ მამული უბედური, ძველი ღმერთები

და ენეასი, თქვე მხდალებო, არ გებრალეებათ?!“
გული მოეცათ, მტერს აღუდგნენ მჭიდრო რაზმებით.
ნელა შებრუნდა, გაემართა მდინარისაკენ,
790

იქითკენ, სადაც ციხე-ქალაქს ჩაუდიოდა.
ტევკრთ რაზმი შეკრეს, მიეძალნენ ტურნუსს ხმაურით:
მონადირენიც ლომს ასევე ავიწროებენ
მტრული შუბებით, იგი თუმცა შეშფოთებულა,
მაინც შმაგი და საშიშია. მას სიმამაცე
795

ნებას არ აძლევს მტერს მოსეულს ზურგი აჩვენოს,
ვერც ბედავს, თუმც სურს შეუტიოს შუბთ და ვაჟკაცებს.
საგონებელში ჩავარდნილი ტურნუსიც ასე
აუჩქარებლად მიილტვოდა რისხვით მდულარე,
ორჯერ მტრის რაზმსაც შეუტია, ორგზის გაფანტა
800

გალავნის გასწვრივ არეულნი, მაგრამ შეიკრა
მთელი ლაშქარი, ბანაკიდან გამოფანტული.
ველარ გაბედა კვლავ იუნომ ტევკრთა გაფანტვა,
რადგან ირისი მოუვლინა იუპიტერმა,
მან დას გადასცა, რაც ელოდა, უკეთუ ტურნუს
805

არ დატოვებდა ტევკრთა მაღალ ციხე-გალავანს.
მამაცი მოყმე უკვე თავსაც ველარ იცავდა
ველარც მარჯვენით, ვერცა ფარით, ისე ცვიოდა
ყოველი მხრიდან გატყორცნილი ისრების სეტყვა.
თავზე ჩაჩქანი ტკაცუნობდა, მტკიცე ჯავშანი
810

ქვებმა ჩაჭეჭყა და მუზარადს მოსცილდა ჯილა.
ტროელთ უმატეს შუბით დარტყმებს, თვითონ მნესთევსმა —

ყოვლისმნგრეველმა. მაშინ ტანზე ოფლმა დაცვარა,
და შავ ნაკადად დაიღვენთა, სუნთქვა გაჭირდა,
მძლავრმა ქოშინმა უძლურება დაატყო სახსრებს.

815

ბოლოს ტურნუსი მყისიერად, საჭურვლიანად
ცივ მდინარეში გადაეშვა, ყვითელ მორევში.
მიიღო წყვილმა მშვიდ ტალღებზე, სისხლი მოჰბანა,
და უვნებელად დაუბრუნა მოკავშირეებს.

წიგნი მეათე

ამ დროს გაიხსნა ყოვლისშემძლე ოლიმპოს კოშკი
უკვდავთ მამამ და კაცთ მეუფემ ღმერთებს მოუხმო
ვარსკვლავთ ბინაში, საიდანაც ჩანს დედამიწა,
დარდანთ ბანაკი და ლაშქარი ლათინთა მოდგმის.

5

ორკარებიან სავანეში შეკრებილთ უთხრა:
„დიადნო მკვიდრნო ზეცისანო, თქვენი ზრახვები
რად შეიცვალა, რად პაექრობთ გულამღვრეულნი?
მე არა მსურდა იტალია ტევკრებს შეებოდა.

შუღლი უჩემოდ ვინ გაბედა? ვინ გაიძულათ

10

შიშით ან ერთის ან მეორის მხარე გეჭიროთ?
ომის დროც მოვა, მანამდე კი ნუ აჩქარდებით!
მოვა მძვინვარე კართაგენი, რომაელთ ციხეს
დანთქმას უქადებს, მისკენ დაძრავს გაპოზილ აღპებს.
მაშინ იფიქრეთ ქიშპობაზე, ომის ნადავლზე.

15

ახლა კი ბავი დაამყარეთ სასიხარულო“.

მან ცოტა რამ თქვა, ხოლო ოქროს ვენუსმა მამას
წილადობილად უპასუხა:

„ო, მამავ, კაცთა და ღმერთების მარად უფალო!
შენ გარდა სათნო მოწყალება ვის უნდა ვთხოვოთ?
20

რუტულთ უხარით, მხედართ შორის დაგელავს ტურნუს,
მარსის წყალობით მამაცი და ძლევამოსილი.

ტევკრებს დახშული გალავანიც კი ვეღარ შველის.
ბჭეში გაჩაღდა უკვე ბრძოლა, სანგრების შიგნით
დარდანელთ სისხლით ავსებულა ღრმა ორმოები.
25

ენეას ვერ გრძნობს, რაცა ხდება. ნუთუ არ ბრძანებ,
რომ შეწყდეს ალყა? ემუქრება ახალი მტერი
მეორე ტროას და დაქცევას უქადის ქალაქს,
ეტოლიიდან ისევ აღდგა ტიდიდის მოდგმა.
უნდა ველოდეთ, ჩანს, ახალი ბრძოლის იარებს.
30

კვლავ შენს იარაღს სასიკვდილოს უნდა შევება!
შენს ღვთიურ ნებას თუ განუდგნენ, როს იტალიას
მოადგნენ ტევკრნი, ცოდვა მართებთ გამოისყიდონ!
მაგრამ იმათ ხომ ზეციერთა სიტყვა იწამეს!
მაშ, რატომ ხდება, რომ შენს ნებას გადადის ყველა,
35

რად მიჰყვებიან თვითნებურად სხვა ბედისწერას?
რალა უნდა ვთქვა ერიქსის წინ გემთა დაწვაზე,
ანდა ქარიშხალთ მეუფეზე, ეოლიიდან
აღძრულ გრიგალზე, ცით მოვლენილ ქალღმერთ ირისზე?
მანებიც აღდგნენ, — აქამომდე მხოლოდ ისინი
40

არ ერეოდნენ, — უცაბედად მათგან მოსული

ავი ალექტო იტალიის ქალაქში დაძრწის.

სამეფოს არ გთხოვ, თუმც იმედი გვქონდა, სანამდის
ბედი გვწყალობდა! მიანიჭე ძლევა, ვისაც გსურს!
თუ აღარ დარჩა უკვე მხარე, რომელს ტევკრთათვის
45

გაიმეტებდა შენი ცოლი, მამავ, გაფიცებ
პარტახს ტროისა, გაიყვანე ბრძოლის ველიდან
ასკანიუსი, შვილიშვილი მაინც დამითმე!
დე, ენეასი კვლავ ილტვოდეს უცნობ მხარეში,
რაგინდრა ზღვა და ახალი გზა არგუნოს ბედმა.
50

მხოლოდ ყმაწვილი გადაურჩეს ბრძოლას საზარელს!
გინდ ამათუსში, გინდ პაფუსზე, კითერას კლდეზე,
ან სავანეში იდალიის დადოს მახვილი,
იცხოვროს მშვიდად. დე, დათრგუნოს იტალთა მხარე
მძლე მეუფებამ კართაგენის, უარს არა ვარ...

55

მაგრამ რას ვხედავ იმაში კარგს, რომ ომს გაექცნენ,
არგოლიკური ცეცხლის შუა გამოვატარეთ,
ამდენი ზღვა და სანაპირო შემოიარეს,
ამაოდ მოხვდნენ ლაციუმს და სხვა პერგამოსი
სცადეს აეგოთ! არა ჯობდა, მამულის ცეცხლში
60

დაფერფლილიყვნენ? გევედრებით, მოგვეც ქსანთუსი,
სიმოის მოგვეც, მძლეო მამავ, ბედშავ ტროელებს, –
კვლავ გამოვცადოთ ილიონის უბედურება!“
რისხვით მიუგო მძლე იუნომ პირმშვენიერმა:
„რად მაიძულებ გაგიმხილო ფარული დარდი?
65

ადამიანთა და უკვდავთა შორის ენეას,

ვინ წააქეზა დასცემოდა მტრულად ლათინუსს?
სურდა ხელთ ეგდო იტალია ბედის ნებიერს,
კასანდრას გესლით შთაგონებულს. განა ვურჩიეთ
ციხე დაეგდო და სიცოცხლე ქარისთვის ენდო?

70

განა ჩვენ ვთხოვეთ, ბიჭს ანდოო ომის სიმძიმე,
სცადე ტირენთა ერთგულება, მშვიდი ტომების,
რომელმა ღმერთმა დააბნია, ან ჩვენმა რჩევამ?
რა შუაშია ან იუნო, ანდა ირისი?

წუხხარ, რომ ძლევენ ახალ ტროას იტალიელნი,

75

ტურნუსი მამულს სამკვიდრებლად ეპატრონება? —
მას დედად ჰყავდა ვენილია, პაპად — პილუმნუს.
რალა დავარქვათ, რომ ტროელნი ლათინთ ებრძვიან,
ყანებს სტაცებენ და ჭირნახულს? ანდა ის რას ჰგავს,
სიძეს არჩევენ, იპარავენ დაწინდულ ქალწულთ?

80

მშვიდობას გვთხოვენ და იარაღს ლესავენ ჩვენზე!
შენ თუ ძალგედვა ენეასი გადაგერჩინა
ღრუბლის საფარით, მისი გემნი გადაგექცია
ზღვის ფერიებად, მაშ, რატომღა გიშფოთებს გულსა
ჩემი მცირედი დახმარება რუტულთა მიმართ?

85

არა იცის რა ენეასმა და არც აქ არის,
არ-რა იცოდეს და არც იყოს! პაფუსს, კითერას,
იდალიუმს ფლობ, მაშ, რატომ ცდი ციხეს და გულებს?
განა ჩვენ გვსურდა დაგველეწა ფრიგიის მხარე,
ჩვენ განა? თუ მას, ვინც ჩაუგდო ბერძნებს ტროელნი?

90

ან რა მიზეზმა ევროპას და აზიას ხელში

მისცა ლახვარი და ქურდობით ზავი დაშალა?
მე მივუძღოდი, რომ დარდანმა, ვნებით აღვსილმა
დაიპყრო სპარტა? კუპიდონი იქნებ მე აღვძარ?
შენს თავს აბრალე! ნაგვიანევ საყვედურს ამბობ
95

და უსამართლო, უნაყოფო კამათს გაჰყევი!“ —
ბრძანა იუნომ. ღმერთთა დასში ისმა ჩურჩული,
როგორც ხშირ ტყეში შეყოვნდება პირველად ქარი,
ყრუდ გაიღმუვლებს მოდუდუნე, გაისმის ხმები,
მალე ქარიშხალს რომ აუწყებს მამაც მეზღვაურთ.
100

მძლეთამძლე მამამ და მეუფემ უზენაესმა
იწყო სიტყვა და მყის გაყუჩდა ოლიმპოს სახლი,
მიწა ათრთოლდა და ეთერი — ზეცისქვეშეთში,
დადგნენ ზეფირნი, მოისარკა ზვირთები ზღვისა:
„გულით მიიღეთ, ჩაიმარხეთ სიტყვები ჩემნი:
105

თუ არ ეგებით ავზონთა და ტევკრთა კავშირი
და თუკი ბოლო აღარ უჩანს თქვენს ჯიბრს და შულლსა,
მაშინ ამჟამად წარმატება ვისიც არ იყოს,
ტევკრი იქნება, თუ რუტული, არ განვასხვავებ.
იტალიელთა ბედისწერა ტროელთ აანთებს,
110

თუ ავ მისნობას დაუჯერეს, რუტულთ მხარეზე
სულაც არა ვარ. ყველამ თვისი ნებითა ჰპოვოს
უბედურებაც და სიკეთეც. იუპიტერი
ყველასთვის ერთი მეუფეა! ბედი გზას ჰპოვებს!“
თქვა... დაიფიცა ფისისებრი სტიქსის ტალღები,
115

თავი დახარა და ოლიმპო იძრა დიადი.

ოქროს ტახტიდან ადგა მამა იუპიტერი
და კარიბჭემდე მიაცილეს ზეციერებმა.
ამ დროს რუტულნი თავს ესხმოდნენ ტროელთ გალავანს,
ემუქრებოდნენ ცეცხლითა და იავარყოფით.

120

ციხეში იყო რაბმი ალყით შეიწრებული,
ლტოლვის იმედიც აღარ ჰქონდათ. კოშკზე ამაოდ
იდგნენ ტევკრები — იშვიათი გვირგვინი კედლის.
ჰიკეტაონის ძე თიმეტე და აზიუსი,
ასარაკუსნი, ტიბრისი და მათთან კასტორი

125

იდგნენ პირველნი, შემდეგ — ძმები სარპედონისა —
კლარუსი, თემონ, ლიკიიდან რომ წაჰყვნენ ტევკრებს.
ტინს უზარმაზარს, კლდის მონაპობს მძიმედ მოათრევს,
ლირნესელ აკმონს დაუძაბავს მთელი სხეული.
არ ჩამორჩება ძმას — მენესთევსს, მამას — კლიტიუსს.

130

ზოგი შუბით და ზოგი ქვებით იცავს სიმაგრეს,
ცეცხლსა სტყორცნიან, ლარს აკრავენ წამახულ ისრებს.
აგერ დგას ისიც, კითერეას ზრუნვის საგანი,
ყრმა დარდანელი, შეხეთ, მთელი თავით მაღლა დგას.
გამოირჩევა ვით აქატი ოქროცურვილი,

135

თითქოს დიადმა ხელოვნებამ გამოძერწაო,
ან ორიკიის ტერებიინთში თითქოს ინათა
სპილოს ძვალმაო. რძესავით თეთრ ქედზე იმშვენებს
ტურფა კულულებს, ვიწრო რკალად მოურტყამს ოქრო.
შენც, ო, ოსმარე, დიდსულოვან მებრძოლთ ეჩვენე,

140

თუ ვით მართავდი ისარს, რკინას აცხებდი შხამსა,

მოდგმაო ქველი მეონიის, სადაც უხვ მინდვრებს
ხნავენ მამაცნი, პაქტოლუსი ოქროს მოაყრის,
იქვე — მნესთევსიც, ვინც ტურნუსი უკუაქცია,
ციხე დაიცვა და დიდებით ზეცას ეწია.

145

აქ დგას კაპისიც, კამპანიის დამფუძნებელი.
როს მებრძოლენი ერთურთს რკინით ეჯიბრებოდნენ,
გმირი ენეას მიაპობდა წყალს შუალამით,
ევანდერისგან ეტრუსკების მხარეს ეწვია.
მეფეს ეახლა, უთხრა მოდგმაც, სახელიც თვისი,

150

მოსვლის მიზანიც, სპათა ძალაც მეზენციუსის,
საშველად ტურნუსს გულამღვრეულს რომ მოევლინა.
თან გაახსენა მერყეობა მოკვდავთა ბედის,
ევედრა თანაც. მყის ტარხონმა ძალა მოიცა,
კავშირი დადო, მორაგა ბედის საქმენი.

155

ლიდიელთ ტომი ნავში ჩასხდა, ღმერთის ბრძანებით
დაემორჩილა უცხო ბელადს, წინ მიდის გემი
ენეასისა, ფრიგიული ლომები ამკობს.
დევნილთა ტევკრთა სანუკვარი შორს მოჩანს იდა,
იქ ზის დიადი ენეასი, გულში იგონებს

160

ბრძოლის მძვინვარე შემთხვევებსა, ხოლო პალანტი
ღამის ვარსკვლავთა გზებსა ჰკითხავს და სთხოვს უამბოს,
ზღვა და ხმელეთზე ვაჟკაცს რაც თავს გადახდენია.
ქალღმერთო, გახსენთ ჰელიკონი, სიმღერით გვამცნეთ
ეტრუსკთა მხრიდან წამოსული რაზმების წყება,

165

მტრებზე სალაშქროდ ხომალდებით ზღვად გამოსული!

„ვეფხვად“ წოდებულ გემს რვალიანს მოჰყვა მასიკუს,
ათასი მოყმეც მოიყოლა კლუზიუმიდან,
კოსას ციხიდან, ფართო ბეჭზე კაპარჭასხმული,
ხელთ რომ უპყრია მშვილდ-ისარი სიკვდილის მგვრელი.
170

აბანტის რაზმი მოელვარე საჭურვლით მოდის,
გემზე გიზგიზებს ოქროს კერპი აპოლონისა.
პოპულონია დედამ მისცა ექვსასი გმირი
ბრძოლით ნაცადი, ხოლო ილვამ კიდევ სამასი,
ქალიბთა რკინით მდიდარმა და უხვმა კუნძულმა.
175

მესამედ მოსდევს აზილასი, ღმერთთა და კაცთა
შუამავალი, ტარიგთა და ვარსკვლავთა მცოდნე,
ფრინველთა ენის ამომცნობი და ელვის ნიშნის.
ათასი წაჰყვა მას მებრძოლი შუბშემართული,
პიზას მცხოვრები. ეს ქალაქი ეტრუსკთა მხარეს
180

ალფეუსიდან მოსულთ შექმნეს. მოსდევს ასტირი,
ცხენს მინდობია, ფერადოვან აბჯარ-საჭურველს.
სამასი კაცი მას მოჰყვება გულაგზნებული,
ცერეს მცხოვრები, მინიონის ველ-მინდვრებისა,
ძველი პირგების და ხრიოკი გრავისკებისა.
185

შენც არ გივიწყებ, ლიგურების ბელადო მხნეო,
ქველო კინირუს და კუპავონ მხედართუფროსო!
შენ დიადი ხარ, გედის ფრთები თავზე გერხევა,
(ო, ავბედიტო ვნებაჲ!) აზრზე მოჰყავთ მშობელი.
ამბობენ, ტყეში დასტიროდა ძვირფას ფაეთონს
190

თურმე კიკნუსი, ალვათა ჩრდილს ეფარებოდა,

მწუხარე ტრფობას დარდიანი მუზით იხშობდა.
ფრთები შეესხა და ბუმბული, ვით თმებს ჭაღარა,
ვარსკვლავებისკენ ხმა მიმართა ომახიანი.
ტოლებს გაუძღვა, ზღვის ზვირთებზე სახელგანთქმული
195

შვილი, „კენტავრუს“ გააქროლა მარდი ხოფებით.
ცამდე ადის და გორასავით ტალღებზე წვება,
დაგრძელებული ჭვინტითა ჭრის წყალს აქაფებულს.
აჰა, ოკნუსმაც სამშობლოდან უხმო მხედრობას,
მისანი ქალის მანტოს ვაჟმა, ეტრუსკმა გმირმა.
200

მან, ო, მანტუა, შეგქმნა, მოგცა დედის სახელი.
შენ მრავალი გყავს წინაპარი სხვადასხვა მოდგმის:
სამი ტომია, თვითეულში ოთხია თემი,
ეტრუსკთა სისხლით მძლავრი ხალხის დედაქალაქო!
ხუთასი გმირი მეზენციუსს მტრად მოეკიდა,
205

მათ მიუძღოდა ბენაკუსის შვილი მინციუს,
ფიჭვის ხომალდით მიარღვევდა ზღვას აქაფებულს.
ავლესტე მოდის, ასი ხოფი ურტყამს ზღვის ტალღებს
და ზედაპირზე მარმარილოს ქაფი გადირბენს.
გემს ძრავს ტრიტონი, ზღვას ლაჟვარდი ნიჟართ აკრთობს,
210

შუბლი და ტანი ბანჯგვლიანი აქვს, თუმც წელამდე
კაცისას უგავს, თევზის ბოლო დაჰყვება ურჩხულს,
ბუყბუყებს ტალღა ცხოველური მისი მკერდის ქვეშ.
ამდენი გმირი მოდიოდა ოცდაათ გემით
ტროის საშველად, მარილიან ველებს აპობდა.
215

დღე ცას მოსცილდა, შუაღამის ჟამი ჩამოდგა,

ფეხუსის ეტლმა ნახევარი ოლიმპო განვლო.
სათნო ენეასს საზრუნავი არ ასვენებდა,
თვითონ მიუჯდა გმირი საჯეს, აფრას მართავდა.
გზაში შემომხვდა ვაჟკაცს დასი მშვენიერ გემთა
220

ყოფილ მეგზურთა, ნიმფებად რომ კიბელეს ნებით
და ქალღმერთებად ქცეულიყვნენ ლაჟვარდი ზღვისა.
ერთად მიქროდნენ და ჯგუფურად არღვევდნენ ტალღებს.
რამდენი გემიც იყო წინათ, იმდენი იყვნენ.
შორიდან იცნეს ბელადი და ჩადგნენ ფერხულში.
225

კიმოდოკეა ენამჭევრი გემს დაეწია,
კიჩოს ჩაავლო მარჯვენა და წყლიდან ამოყო
შიშველი მხრები, ცაციათი ზვირთს მიაპობდა.
გმირს ასე უთხრა განცვიფრებულს: „ო, ღვთის შობილო,
ფხიზლად იყავი, შეასუსტე აფრის ბაგირი.
230

ჩვენ იდას თხემის ფიჭვები ვართ, ახლა ნიმფები,
შენი ხომალდნი... როგორ სურდა რუტულს მოსპობა
მოხრილი რკინით და მწველ ცეცხლით შენი გემების!
ჯაჭვი გავწყვიტეთ უნებურად, ზღვაში გექდებით.
მაშინ მშობელმა შეგვიბრალა, ეს სახე მოგვცა
235

და ქალღმერთებად ზღვის ზვირთებში ყოფნა გვიბრძანა.
ყრმა ასკანიუს მომწყვდეულა ციხის კედლებში,
მარსის აღგზნებულ ლათინების შუბების შუა.
როს ეკვეთება მტერს ეტრუსკი უმამაცესი,
არკადიელი ცხენოსანი, მათ წინააღმდეგ
240

ტურმა ჰყავს ტურნუსს და ბანაკში გზას გადაუჭრის.

იჩქარე, გმირო, როს ავრორა აიმართება,
მებრძოლთ მოუხმე და უბადლო ფარი იჰყარი,
ცეცხლოვან ღმერთის გაჭედილი, ოქროცურვილი.
ხვალინდელი დღე, თუ ჩემს სიტყვას ფუჭად არა თვლი,
245

ურიცხვ რუტულის გვამს იხილავს, განგმირულს ველზე!“
თქვა და დატოვა, მაღალ კიხოს საქმეს ჩვეულმა
მძლავრად ჰკრა ხელი და ტალღებზე, როგორც ოროლი,
ან ვით ისარი ქარზე სწრაფი, გაფრინდა გემი.
მას სხვებიც მიჰყვნენ. არას მცოდნე გაოცდა გმირი,
250

მაგრამ გამხნევდა სასიკეთო მისნობის გამო.
ზეცას შეხედა და ჩურჩულით ლოცვა წარმოთქვა:
„უკვდავთ დედაო, იდეელო, ქალაქთ ქომაგო
ქონგურიანთა, ლომთა მეტრფევ, ჯუფთად შებმულთა!
საომრად მიხმობ, ამიხდინე მისნობაც ჩქარა
255

და გულმოწყალებდ გადმოხედე შენს ფრიგიელებს!“
მორჩა ღალადისს. განთიადი დადგა ნათელი,
დღემ მომავალმა გააძევა სიბნელე ღამის.
ბრძანება გასცა, რომ საომრად მზად ყოფილიყვნენ,
სული აენთოთ ომის ვნებით და სიმამაცით.
260

აჰა, ტევკრებსაც თვალი მოჰკრა და ნაცნობ ციხეს.
კიჩოზე დადგა, მოელვარე ფარი აღმართა.
დარდანელებმაც მიაწვდინეს ცამდე ყიჟინა
ენით უთქმელი, მათ იმედმა რისხვა შეჰმატა.
ისრებს სტყორცნიდნენ. ხმიანობენ ასე ღრუბლებში
265

სტრიმონიელი წეროებიც, მაღლა ეთერში

აიჭრებიან, შორდებიან ზამთარს ხალისით.
რუტულთა ბელადს, სხვა ავზონელ მხედართუფროსთაც
ეოცათ ესა, ოდეს ნაპირს მოახლებული
მათ დაინახეს ხომალდები, ჭავლი გაჭრილი.

270

ელავდა ზუჩი ენეასის, შუქს მიმოჰფენდა,
და ოქროს ფარი შორს ტყორცნიდა სხივთა თინათინს.
ასევე ღამით ავბედითი შუქით ინთება
სისხლით ფერილი კომეტები, მაღალ სირიუსს
მოაქვს კაცთათვის წყურვილი და სნება საზარი,

275

წყვდიაღს მოჰყვება, ცას მიაფენს ავბედით სხივებს.
მაინც არ დათმო თავხედობა გმირმა ტურნუსმა,

277

სცადა ნაპირი ხელთ ჩაეგდო, მტერი მოესრა;

279

„ვპოვეთ რაც გვსურდა, ბრძოლას ვიწყებთ, ჰეი, მამაცნო!

280

ომის სადავე ჩვენს ხელთ არის, მოვიგონებდეთ
ცოლ-შვილს და წარსულს სახელოვანს, გმირთა დიდებას.
წინაპართ საქმეს, და საომრად ზღვას ვესწრაფოდეთ!
მტერი ჯერ კიდევ ფუსფუსებს და ნაპირს ვერ აღწევს,
მამაცთა შემწე ფორტუნაა!“

285

ასე თქვა. გულში კი განსაზღვრა, თუ ზღვის ნაპირას
ვინ წაეყვანა, გალავანი ვისთვის მიენდო.
მაშინ გემიდან ენეასმა ნაუცბადევად
ხალხნი გადმოსვა, დაელოდა ზოგი უკუზღვას,
პირდაპირ ჩახტა მეჩხერ წყალში. ზოგმა ნიჩბებით

290

გაცურა. ამ დროს შეამჩნია ტარხონმა მხარე,
სად არ შხუოდა ღრმა მორევში დაშლილი ტალღა,
სად წყნარ მოქცევით ზღვა უსაფრთხო ტბად დამდგარიყო,
იქით გასწია და შესძახა თანამებრძოლებს:

„ჰე, ერთობლივად, ღირსეულნო, ხოფებს დაჰყარით!

295

ხომალდნი მარდად გააქროლეთ, საპირისპირო
მიწისკენ თვითონ გაიკაფონ გემებზე გემი.
თუნდაც დაიმსხვრენ, სანაპიროს ოღონდაც მისწვდნენ,
ოღონდ ხმელეთი დავიკავოთ!“ — ასე წარმოთქვა
მძლავრმა ტარხონმა, ხოლო ყრმანი ხოფებს დააწვნენ

300

გემი აიღეს ქაფიანი ლათინთ მიწისკენ.
ცხვირით შეეხნენ გემნი ქვიშას, ყველა გადარჩა
გარდა ერთისა, შენი გემის, გმირო ტარხონო!
მეჩეჩზე შედგა, საავბედო ტინს დაეკიდა,
ზედ ირხეოდა, ტალღა სცემდა, შემდეგ ანაზღად

305

გასკდა კიდეც და გადაჰყარა მეზღვაურები.
ბედკრულთ ხოფების ნამსხვრევები ებორკებოდა
და ზღვის მიქცევა ულმობელად შიგნით ითრევდა.
ტურნუსმაც აღარ დააყოვნა, მთელი მხედრობა
ტევკრთ მიუსია, საბრძოლველად ჯარი განაწყო.

310

ბუკი გაისმა. მტერს მიეჭრა ბრძოლის იმედი —
გმირი ენეას და აოტა ლათინელები.
თერონი დასცა, ვინც გაბედა შერკინებოდა
თვითონ ენეასს. დაუგლიჯა სპილენძის თორნი,
ოქროს ტუნიკის ქვეშ გაუპო მძლავრი ნეკნები.

315

განგმირა ლიქას, მკვდარ დედას რომ ამოაცალეს,
ფეხებს მიუძღვნეს ბავშვობაში, რკინამ დაინდო
მხოლოდღა იმ დროს. მოუწვინა გვერდით კისევის
გიასთან ერთად, ვინც მტრებს კომბლით უღებდა ბოლოს
ველარ უშველა ვერც მარჯვენამ, ვერც ჰერკულესის
320

აბჯარ-ბექთარმა, ვერც მელამპემ, მშობელმა მათმა,
ალკიდეს ჰყავდა ის მეგზურად, სანამდის ღმერთი
შრომობდა ქვეყნად. ჰა, ფარუსიც, ოდეს ამოდ
ყოდა, პირში ჩააფრინდა ბასრი ოროლი.
შენც სიჭაბუკის პირველ ღინღლით ღაწვდაფარულსა
325

მიჰყევ კლიტიუსს, კიდონ! აკი გიყვარდა კიდეც.
ტევკრი მოგსპობდა, შე ბედშავო, ყმაწვილთ მოყვარეს,
რომ ძმათა შერთა არ გეხილა მჭიდრო კოჭორტა.
წინ შეეგებნენ გმირს ფორკუსის შთამომავალნი,
შვიდნი იყვნენ და შვიდი შუბი სტყორცნეს ენეასს,
330

ზოგი მათგანი უკუვარდა ფარ-მუზარადით,
სხვანი კი მის ზურგს განაშორა დედა ვენუსმა.
მამაცთმთავარმა ასე უთხრა ერთგულ აქატეს:
„შუბნი მომეცი, რუტულთ როდი ვტყორცნი ამოდ,
ბერძენთა გულებს ილიონში აკი აპობდა!“ —
335

თქვა და შუბს სტაცა მყისვე ხელი, ძალუმად სტყორცნა,
სპილენძოვანმა გაიარა მეონის ფარი,
თორნი გააპო და ჩაეჭდო სხეულში მჭიდროდ.
ძმა ალკანორი მიეშველა პირქვე დაცემულს,
მაგრამ გააპო იდაყვს ზემოთ ოროლმა ხელი
340

კვლავ გატყორცნილმა, სისხლიანი კვალი დატოვა,
ხელი უღონოდ მხარს ძარღვებით ჩამოეკიდა.
მყის ნუმიტორმა ამოაძრო რკინა ძმის სხეულს,
სტყორცნა გმირს, მაგრამ ჩანს, მოხვედრა მას არ ეწერა,
მხოლოდ აქატეს გაუკაწრა თეძო მის ნაცვლად.

345

კლავსუს მიეჭრა კურიელი, ჭაბუკურ ძალით
შორიდან სტყორცნა მან დრიოპეს ოროლი ბასრი,
წვერის ქვეშ მოხვდა და გაუპო ხორხი ერთბაშად,
სიცოცხლე მოსპო, განგმირულმა მტერმა ქვიშაზე
შუბლი ახალა, სქელი სისხლი ღვარად გასდინდა.

350

სამი განგმირა თრაკიელი, ძეც ბორეასის,
იდასის მიერ სამარიდან გამოგზავნილი.
მძლე ჰალეზუსმა ავრუნკთ ლაშქრით მიუსწრო მაშინ,
ნებტუნუსის ძემ მესაპუსმაც, რაშით განთქმულმა.
ხან ერთი რაზმი, ხან მეორე სძლევდა ბრძოლაში,

355

გედ იტალიის სათავესთან შერკინებული.
ასე ეთერში შეებმიან ერთურთს ქარები,
დიადი ძალით, სიმამაცით შესაფერისნი.
არც ქარი თმობს და არც ღრუბელი, არც ზღვა მშფოთვარე,
ბოლო არ უჩანს, აღრეულა ერთად ყოველი...

360

შერკინებულა ტროელთ ჯარი, ლათინთ ლაშქარი,
მებრძოლი მებრძოლს და ფეხი ფეხს გადაჭდობია.
იქ, სად მრგვალ ლოდებს მიარღვევდა ნაკადი მთისა,
ფხვიერ ნაპირებს მოაგლეჯდა აქოჩრილ ბუჩქებს,
ხედავდა პალანტ, ომს უჩვევი არკადიელნი

365

როგორ ილტვოდნენ და მისდევდნენ სპანი ლათინთა.
ცხენნი ადგილმა უხერხულმა დაათმობინა,
ახლა იმედად არკადიელთ ლტოლვადა დარჩა.
ბელადმა მწარე საყვედური უთხრა გაქცეულთ:
„ძმანო, გაფიცებთ მამაცობას, მეფე ევანდერს,
370

ბრძოლებში წარსულ გამარჯვებებს და ჩემს მომავალ
სახელ-დიდებას, მამისეულს რომ უტოლდება,
ლტოლვის იმედი ნუ გექნებათ, რკინითა გვმართებს
გზა გავიკვლიოთ, სადაც უფრო მჭიდროდ დგას მტერი,
ამას გვავალებს ჩვენ სამშობლო სახელოვანი!
375

ღმერთი არ გვებრძვის, მხოლოდ მტერი გვიტევს მოკვდავი
თვითონ მოკვდავებს. სიმხნე რაც გვაქვს, ხელიც — იმდენი.
ზღვა გზას გვიკეტავს, ხმელეთიც კი არ დაგვრჩენია,
მაშ, სით ვისწრაფოთ, ზღვისაკენ თუ ილიონისკენ?“ —
ეს თქვა თუ არა, მტრის მოჯარულ ლაშქარს მიეჭრა.
380

პირველად შეხვდა ავი ბედით მოვლინებული
მოყმე ლაგუსი. ოდეს მძიმე ლოდს გლეჯდა იგი,
ოროლი ჩასცა, სადაც ნეკნებს ჰყოფს ხერხემალი.
ბუნიკი, ძვლებში გაჩხირული, ამოაგლიჯა.
ვერც ჰიზბომ სძლია, თუმც იმედი კი ჰქონდა ძლევის:
385

დაასწრო გმირმა უშიშარს და გაუფრთხილებელს,
სანამ შმაგობდა თანამოძმის დაღუპვის გამო,
ჰაერით სავსე ფილტვში ჩასცა მყის ორღესული.
სთენევსს მიეჭრა, ანქემოლუსს — რეტუსის მოდგმის,
ვინც თავხედურად დედინაცვლის საწოლს შეეხო.
390

რუტულთ ველებზე თქვენც დაეცით, ლარიდევ, თიმბერ,
ტყუპნო და მსგავსნო ერთურთისა, დავკუსის ძენო,
მშობლებს საამოდ ერთმანეთში რომ ეშლებოდით,
ო, რა სასტიკი ნიშნით გაგყოთ ახლა პალანტმა!
შენ ევანდერსის ხმლით მოგკვეთა, თიმბერო, თავი,
395

ლარის, მარჯვენამოკვეთილი შენკენ ილტვოდა,
ცოცხალ-მკვდარ თითებს ხმლის ჩაბღუჯა
კრუნხხვით ეწადათ.
მტრებს სინანულმა და სირცხვილმა არკადიელნი
კვლავ მიუსია აღგზნებულნი გმირის სიტყვებით
და სიმამაცით; რეტევს მოკლა მაშინ პალანტმა
400

თვით ორთვალაზე. ამით ილუსს გაუხანგრძლივა
გმირმა სიცოცხლე, ილუსსა და მის შორის მყოფმა
შუბი აიღო, დაუმიზნა, როს გაურბოდა
რეტევისი ტევთრას, მის ძმას — ტირესს, დასცა ლტოლვილი.
ეტლს დაეკიდა, რუტულთა ველს ტერფით კაწრავდა...
405

ვით მწყემსს ალაღებს ქარიშხალი ამოვარდნილი,
რომ გააჩაღოს ტყეში ცეცხლი მრავალ ადგილას,
დიდი ხანძარი საზარელი მოიცავს ჭალას,
შორეულ ველებს გადაირბენს სპა ვულკანუსის,
თვით ზის ძლიერი და კოცონის შუქი ახარებს,
410

ასე მებრძოლებს ჩაედვარა შენდა საშველად,
პალანტ, სიმტკიცე! გამოიჭრა ომში სივანი
ჰალეზუს, ფეხზე დიდი ფარი ეფარა მოყმეს,
დასცა ლადონი, დემოდოკუს, გმირი ფერეტი,
მახვილით მოსჭრა სტრიმონიუსს მარჯვენა ხელი —

გეაღმართული, ქვა მოარტყა თოანტს სახეში,
 ქალა გაუპო, აურია სისხლი და ტვინი.
 ტყეში ჰალეზუსს მამა ზრდიდა, მაგრამ როგორცკი
 სიკვდილმა მოხუცს დაუბრმავა თეთრი თვალები,
 თვალი დაადგეს შვილს პარკებმა, ევანდერის შუბს
 420

არგუნეს. ასე შეჰღაღადა პალანტმა ტიბრისს:
 „მამაო ტიბრის, შუბს არგუნე ხელში აღმართულს
 ძლევა, გზა მიეც ჰალეზუსის საზარ ნეკნებში,
 შენს წმიდა მუხას მიედღვნება მამაცის თორნი!“
 ღმერთმა ისმინა. ჰალეზუსი იმანის წინ
 425

ჩამომდგარიყო, მტერს დაუცველ მკერდს უჩვენებდა.
 მაინც არ მისცა ლაშქარს ნება შემფოთებისა
 ლავსუსმა, აბანტს შეეჩეხა, უმაღ განგმირა
 ხელჩართულ ბრძოლის უმთავრესი ბურჯი და ძალა.
 ილუპებოდნენ ეტრუსკები, არკადიელნი
 430

და თქვენც, ტევკრებო, ბერძენთ მახვილს გადარჩენილნო!
 იბრძოდნენ რაზმნი ბელადებით და სიმხნით სწორნით.
 ხალხი მოაწყდა, სივიწროვე მებრძოლთ უშლიდა
 მახვილის ქნევას. მხნედ უტევდა გმირი პალანტი,
 იქით ლავსუსი. ცოტაოდნად სხვაობდნენ ხანით,
 435

ორ ყრმას მშვენიერს უკრძავლავდა ბედი მსახვრალი
 მშობლიურ მხარეს დაბრუნებას. არ შეარკინა
 დიდი ოლიმპოს მბრძანებელმა ეს ორი გმირი;
 მალე ელოდა მათ მოქიშპე სახელოვანი.
 დამ აიძულა, რომ მყის ლავსუსს მიშველებოდა

440

ტურნუსი, მტერს რომ მიარღვევდა ფრთოსანი ეტლით.
გმირმა შესძახა: „შეწყვიტეთო ახლავე ბრძოლა,
პალანტთან გავალ, მე ერთს მერგო ჭიდილი მასთან.
ო, ნეტავ, მამაც აქა ჰყავდეს, ხედავდეს ამას!“ —
ასე თქვა, მყისვე დაუცალეს ბელადს ადგილი.

445

რუტულთ განდგომა, თავხედური ბრძანება გმირის
გაჰკვირვებია, განცვიფრებით ახედ-დახედა
მოყმემ მოქიშპეს, შეისწავლა ამაყად შორით.
შემდეგ ტურნუსის ბრძანებაზე ასე მიუგო:
„ან ვპოვებ ნადავლს უძლეველი, ან სახელოვნად

450

დავიღუპები, მშობელი კი შემაქებს მაინც!
კმარა ქადილი!“ — ასე თქვა და ველზე გავიდა.
არკადიელთა გულში თითქოს გაცივდა სისხლი.
გაქანდა ტურნუს შესახვედრად მისკენ ფეხდაფეხ.
ვით ლომი ნახავს მაღალ კლდიდან მინდორში მოზვერს,

455

საზარი რქებით საბრძოლველად გამზადებულსა
და მისკენ მიქრის სისხლის მდგომი, ასევე ტურნუსს
სწყუროდა ბრძოლა. როცა იგრძნო, შუბს მიაწვდენდა,
იმედუღმა, ბედისწერა შემეწევო,
მაღალ ვარსკვლავებს შეჰღაღადა ლოცვა პალანტმა:

460

„ძმადნაფიცობას მამიჩემის, მის ალალ სუფრას
გაფიცებ, ომში შემწედ მეყავ, დიდო ალკიდე!
თორნის ამხსნელად, დე, მიხილოს მან ცოცხალ-მკვდარმა,
მიმქრალი თვალით ჩემს დიდებას მზერდეს ტურნუსი!“
ესმა ალკიდეს მოყმისა და გულში ჩაახშო

ოხვრა საზარი და უძლური ცრემლი დასდინდა.
იუპიტერმა ბედისწერა აუწყა შვილისა:

„დღე დაუდგება ყველას თვისი, წარმავალია
წუთისოფელი... მოპოვება სახელ-დიდების —
აი, გმირების საზრუნავი! ტროის კედლებთან
470

ღვთის შვილიც ბევრი დაიღუპა! ვერ გადამირჩა
ძე სარპედონიც. ტურნუსს ხვედრი მოიხმობს თვისი,
მიუახლოვდა უკვე სამანს დანიშნულ ჟამის“, —
თქვა და თვალები განაშორა ლათინთა ველებს.
ძალუმად სტყორცნა მყის პალანტმა ბასრი ოროლი,
475

შემდეგ იშიშვლა ქარქაშიდან ხმალი ელვარე.
აბჯარასხმული გმირის მხართან მისულმა რკინამ
ფარს აუარა ოდნავ გვერდი, მაგრამ ტურნუსის
მძლავრ სხეულს მხოლოდ განაკაწრი დაატყო მცირე.
მაღლა შემართა შუბი მტკიცე ბუნიკიანი,
480

ესროლა პალანტს ტურნუსმა და ასე შესძახა:
„შენ თვითონ ნახე, უფრო შორს თუ გააღწევს შუბი!“
ძლიერი დარტყმით რკინამ ფარი შუა გაგლიჯა,
გააპო ფენა სპილენძისა და ხარის ტყავი
გადაჭიმული, ველარ იხსნა ჯავშან-ბეჭთარმა,
485

ყმაწვილს ნეკნებში გაეჩხირა შუბის ბუნიკი.
ამოდ სცადა მომაკვდავმა, ამოეგლიჯა
თბილი ოროლი ჭრილობიდან. ერთ და იმავე გზით
გასცილდა სისხლი და სიცოცხლე, პირქვე დაეცა,
ქვეშ მოჰყვა სისხლი. იარაღმა ხმა გამოიღო.

პირი დაადო მიწას. მაშინ ტურნუსმა ბრძანა:
 „არკადიელნო, მოახსენეთ ევანდერს ჩემგან,
 რომ პალანტს ერგო, რაც მართებდა: რაც აკლდამაა,
 ის ნუგეშია სამარეშიც! მეც პატივს დავდე,
 ცოტა არ უღირს მასპინძლობა ენეასისა“, —
 495

თქვა და მარცხენა ფეხით შედგა მოკლულ პალანტზე,
 მყისვე სარტყელი გამოსტაცა, ზედ რომ ეხატა
 დანაშაული: ვერაგულად, ქორწილის ღამეს
 მოკლული ყრმანი, სარეცლები სისხლით აღვსილნი.
 იგი კლონუსმა ევრიტიდმა ოქროს ნაჭერზე
 500

მოაჩუქურთმა. ზეიმობდა ტურნუსი ნადავლს.
 კაცის გონებავ, უმეცარო ბედისწერისა,
 წრეს გადასულო და ამაყო ბედნიერებით!
 მოვა დრო, ტურნუსს, სანანურად რომ გაუხდება
 უვნებელყოფა პალანტისა, დიდ ფასს გაიღებს
 505

და შესძულდება ჯავშანი და დღე გამარჯვების!
 ცრემლით და კვნესით წაგიღებენ ამხანაგები
 ფარზე დადებულს, შენ, მამის დარდს და თან დიდებას.
 შენ მასთან გსურდა დაბრუნება. ამ დღემ პირველად
 მიგიღო ომში, მანვე მოგსპო, მაგრამ დატოვე
 510

რუტულთ გვამების ზედახორა! ხმამ მოაღწია
 გმირ ენეასთან სიკვდილის და უბედურების,
 დრო დადგა ტევკრთა დახმარების, მან ხმლით აკუწა,
 ვინც კი წინ დახვდა, მტრის ლაშქარში გზას იკაფავდა,
 ტურნუს, გეძებდა შენ, სისხლისღვრით გაამაყებულს,

პალანტ, ევანდერ თვალწინ ედგა, პირველი სუფრაც,
 სად მას, უცხოელს, გაუწოდეს ძმურად მარჯვენა.
 ცოცხლად ხელთ იგდო ოთხი მოცმე სულმოს შობილი,
 უფენსის აღზრდილს ამდენსავე მტრულად მიეჭრა,
 რათა ქვეშეთის სულებისთვის მსხვერპლად მიეცა

და ტყვეთა სისხლით საზვარაკო ცეცხლი დაენთო.
 შემდეგ შორიდან შუბი სტყორცნა მაგუსს მრისხანე,
 მარდად გადახრილს მან ძიგძიგით გადაუფრინა.
 მუხლთ მოეხვია ბელადს მტერი და შეევედრა:
 „აჩრდილს გაფიცებ მამისეულს, ყმაწვილ იულუსს,

ჩემი სიცოცხლე ჩემს ვაჟსა და მამას აჩუქე!
 მაქვს სრა-სასახლე და სიმრავლე ვერცხლეულისა,
 ოქრო-ბაჯალლო, გაძერწილიც... მე ვერ მოვუტან
 ტევკრებს დიდებას გამარჯვების, ჩემს ერთ სიცოცხლეს
 არ შეუძლია ომის ჩარხის შემობრუნება!“ —

ასე ევედრა. ენეასმა უთხრა პასუხად:
 „ვერცხლი და ოქრო რომ აღმითქვი აურაცხელი,
 შვილებს დაუთმე, თვით ტურნუსმა უკვე ჩაშალა
 ჩვენი კავშირი, ოდეს მოკლა გმირი პალანტი.
 ამას ანჭიბეს აჩრდილიც გრძნობს და იულუსიც!“ —

თქვა და მარცხენა ხელით ქედი გადაუწია
 და სატევარი გაუტარა ყელში ვადამდე.
 იქავე იყო ჰემონის ძე, ფეხუსის მოგვი
 და ტრივიასი, საფეთქლებზე თავსაკრი წმიდა
 შვენოდა, თეთრად უელავდა აბჯარ-სამოსი.

540

მასაც გასდია, ძირს განრთხმული განგმირა რკინით,
თავზე დაადგა, ვით აჩრდილი სულთამხუთავი.
მახვილი ახსნა სერესტუსმა და საჭურველი,
შენ ძღვნად მოგართვა, ომის მეფევ! ბრძოლად ჩაებნენ
კეკულუს, მოდგმა ვულკანუსის და მარსის მთიდან
545

მოსული უმბრონ. დარდანიდი მათ შეებრძოლა.
ანქსურს გაუპო მყისვე ფარი, მოსჭრა ცაცია.
ამაყი რამ თქვა მტერმა, თითქოს ძალას მისცემდა
ქადილის სიტყვა. ალბათ, კვეხნით ზეცას მოსთხოვდა
ჭაღარა თმებს და მრავალი წლის სიცოცხლეს ზვიადს.
550

მის წინ ტარკვიტუს ამაყობდა ელვარე თორნით,
ნიმფა დრიოპეს და ფავნუსის მიერ შობილი.
გამოემართა გულანთებულ გმირისკენ, მაგრამ
შუბით გაუპო ენეასმა ფარი და თორნი,
თავი მოსხიპა მას, ამაოდ მავედრებელი,
555

ხმა ჩაუწყვიტა, ძირს განრთხმული თბილი სხეული
გადააგორა და მიუგო მრისხანედ, მტრულად:
„იწეეი ახლა, მეომარო, შიშის მომგვრელო,
დედა მშობელი ვერ დაგმარხავს, ვერ დაგიძიმებს
სხეულს სამარე მშობლიური, ყორნებს შერჩები,
560

ან ზღვა წაგიღებს, შენს იარას თევზნი გალოკვენ!“
ტურნუსის მხედრებს — ანტევუსს და ლუკასს მიეჭრა,
ნუმას და კამერსს, ძალგულოვან ვოლკენტის პირმშოს,
რომელიც იყო უმდიდრესი ავზონიდებში
და ხელმწიფობდა არხეინად მყუდრო ამიკლეს.

565

თქმულა, ეგეონს, ასხელიანს, ორმოცდაათი
პირით სდიოდა ცეცხლი, ოდეს იუპიტერის
ელვას ებრძოდა, იმდენივე ფარი ხელთ ეპყრა
და იმდენივე ორლესული გაშიშვლებული.
ასევე გმირი ენეასიც იბრძოდა შმაგად.

570

გახურდა ხმალი, ოთხთვალა ეტლს და ნიფევის მკერდს
მიეჭრა გმირი. როს იხილეს მათვენ მავალი
ფართო ნაბიჯით, შიშის მომგვრელ ზარით, ხმაურით,
უკუმიაწყდნენ შეძრწუნებით, ძირს დაანარცხეს
მხედარი, ეტლი გააქანეს ბედაურებმა.

575

ამ დროს ლუკაგუს ეტლში შებმულ თეთრი ცხენებით,
მისი ძმა — ლიგერ გამოქანდნენ. აღვირს მოსწია
ლიგერმა, ხოლო მხნე ლუკაგუს ხმაღს უღერებდა.
ვერ მოითმინა ენეასმა ფიცხელი ქროლვა
მათი ცხენების. მტრული შუბით გამოეცხადა.

580

ლიგერმა სიტყვა შეაგება:
„შენს წინაშე დგას არა რაში დიომედესი,
არცა თუ ეტლი აქილევსის, არცა ველები
ფრიგიელების! ომს აქ უნდა მოედოს ბოლო
და შენს სიცოცხლეს!“ შორს გაისმა უგნურის სიტყვა,

585

მაგრამ ტროელმა არა სიტყვით მიუგო ლიგერს —
შუბი გატყორცნა. როს ლუკაგუს გადაიხარა
მტრის გასაგმირად, გააჭენა ცხენი და სანამ
მარცხენა ფეხი წინ გადადგა, შუბმა გაუპო
ფარი და მარცხნივ საზარდულში ღრმად ჩაეჭედა.

მყის მომაკვდავი გადაგორდა ეტლიდან ველზე.

ასე მიმართა ენეასმა მწარე სიტყვებით:

„ლუკაგუს, არა ნელმავლობამ შენი ცხენების
ეტლი დაგიმხო და არც ფუჭმა მოჩვენებებმა
დაგიფრთხეს რაშნი, თვით დატოვე შენ ეტლი შენი!“ —
595

თქვა და ცხენები დააოკა. იმავე ეტლიდან
გადმოვარდნილმა ძმამ აღაპყრო ხელნი ვედრებით:
„გაფიცებ შენს თავს, მშობლებს, ვინაც ასეთი გშობა,
სიცოცხლე მომეც, შემიბრალე მავედრებელი!“
გმირმა მიუგო: „ამას წინათ სულ სხვას ამბობდი,
600

მაშ, მოკვდი და ძმას ნუ დატოვებ!“ — თქვა და ანაზღად
ხმლით გადაუხსნა მკერდი — სულის თავშესაფარი.
ისე იბრძოდა დარდანელთა შმაგი ბელადი,
ვით მთის ნაკადი ბობოქარი, გრიგალი შავი.
ველზე გაიჭრა ასკანიუს და მასთან ერთად
605

ამაოდ ალყით მოსალტული ახალგაზრდობა.
იუპიტერმა თვით მიმართა ამ დროს იუნოს:
„ო, დაო, ჩემო, სანუკვარო მეუღლე, მართლაც,
სწორად ფიქრობდი და გუმანი არ გატყუებდა,
რომ თვით ვენუსი მშვენიერი შველოდა ტროელთ,
610

არა მარჯვენა და მხნე გული, ტანჯვის ამტანი!“
მდაბლად მიუგო მას იუნომ: „ქმარო ძვირფასო,
რატომ მაღელვებ ტანჯულს, მონას შენი ბრძანების?
შენს სიყვარულში რომ კვლავ იყოს ისეთი ძალა,
როგორიც იყო და მსურს იყოს, მაშინ ხომ უარს

615

აღარ მეტყოდი, ყოვლისშემძლევ, რომ განვაშორო
ბრძოლას ტურნუსი და უვნებლად მივგვარო მამას.
დე, მოკვდეს ახლა, ტევკრებს საზღო გადაუხადოს
უწმინდეს სისხლით, მაგრამ მას ხომ ჩვენგან აქვს მოდგმა,
პილუმნუსი ხომ მას მეოთხე მამად ერგება,

620

რომელსაც უხვად შენს ტაძარში მოჰქონდა ძღვენი!“
მოკლედ მიუგო ეთეროვან ოლიმპოს მეფემ:
„თუ მოხერხდება დაყოვნება მოყმის სიკვდილის
და თუ გგონია, შემძლია ეს გავაკეთო,
მაშინ ტურნუსი განაშორე ბრძოლის ასპარეზს,

625

ბედის მუქარას გამოსტაცე, ნება გეძლევა.
და თუ ამ თხოვნით მეტი რამ გსურს, — ომის ჩაქრობა,
ან ბედის შეცვლა, ამაოა იმედი შენი!“

ტირილით უთხრა მას იუნომ: „რა იქნებაო,
სიტყვით რაზედაც უარსა ხარ, გულში ჩაიდო,

630

შეუნარჩუნო გმირს სიცოცხლე! ძნელი ბოლო აქვს...
ნეტავ, ცრუ შიში მაცდუნებდეს! ნეტავ, დიადო,
შეცვალო სიტყვა, უკეთესი ბედი გვარგუნო!“
ეს თქვა თუ არა, ჩამოეშვა მაღალი ციდან,
ღრუბლით მოსილმა ააყენა ჰაერში ქარი,

635

ლავრენტუმს, ტევკრთა ბანაკისკენ გამოემართა.
მჩატე ღრუბელი მოიშველა, — ო, საოცრებავ! —
დარდანულ ისრით დაამშვენა სუსტი აჩრდილი
და სახე მისცა ენეასის, მსგავსი ფარი და
ღვთაებრივ თავზე თეთრი ჯილა ათრთოლებული,

640

ხმაც მიანიჭა, მხოლოდ ბგერა აზრის გარეშე,
სიარულითაც მიამსგავსა, ისე გახადა,
ზმანებას ჰგავდა, მოჩვენებას, სიზმარს, რომელიც
გრძნობებს ადუნებს მიძინებულს. ხალისით რბოდა,
ისრით აფრთხოვდა მეწინავეთ და ცრუ სიტყვებით.

645

მიეჭრა ტურნუს და შორიდან სტყორცნა ოროლი.
ზურგი აქცია მოჩვენებად, ფეხს აუჩქარა.
ტურნუსს ეგონა, დავაფრთხეო, გარბისო მტერი
და შემკრთალს გულში გასჩენია ლტოლვის იმედი.
„საით, ენეას? აღთქმულ ქორწილს რატომ გაურბი?

650

მე მოგცემ მიწას, ზღვის ზვირთებში რომ ესწრაფოდ!“ —
შესძახა, მარდად გამოუდგა გმირის სახებას,
ხმალი იშიშვლა და ვერ იგრძნო, რომ ქარს მიჰქონდა
მისი იმედი. იქ შემთხვევით ხომალდი იდგა,
კლდის ძირში, გარეთ კიბეები და ხიდი ჩანდა,

655

მას მოჰყოლოდა კლუზიუმის სანაპიროდან
ოზინიუსი. მოცახცახე გმირის სახება
იქ დაიმალა. მიჰყვა ტურნუს ასევე მარდად,
მსწრაფლ გადალახა დაბრკოლება, ხიდს გადაევლო,
კიჩოს შეეხო, ამ დროს გაჭრა იუნომ თოკი,

660

გემი ახსნა და უკუქცეულ ზვირთს გააყოლა.

663

მჩატე აჩრდილი უკვე საფარს აღარ ეძებდა,

664

მაღლა გაფრინდა და შავ ღრუბელს კვლავ შეერია.

661

ენეასი კი მოითხოვდა შესარკინებლად

662

ტურნუსს და კლავდა დაუნდობლად რუტულებს
მომხედურთ.

665

ამ დროს ხომალდი ქარს მიჰქონდა ზღვის შუაგულში.

მიმოიხედა, ვერაფერი გაეგო ტურნუსს.

ბედზე გამწყრალმა ზეაღაპყრო ხელნი ღალადით:

„მშობელო ყოვლის შემძლებელო, ამ დანაშაულს
რად მაიძულებ და სასჯელიც რისთვის მომაგე?

670

საით მივილტვი? აქ ვით გავჩნდი? როგორ დავბრუნდე?

ნუთუ კვლავ ვნახავ ლავრენტუმის ციხეს და ბანაკს?

რას მეტყვის რაზმი, მე რომ მომყვა და ჩემს იარაღს?

მე კი, ვაიმე, სასიკვდილოდ რომ გავიმეტე!..

ვხედავ დაძრწიან, დაცემულთა კვნესა მომესმის!

675

რა ვქნა? უფსკრულმა პირი მიყოს და ჩამიტანოს!

ქარო, შენ მაინც შემიბრალე, გემუდარები,

მე გთხოვ, ტურნუსი, გააქანე ხომალდი კლდისკენ.

დამლუპველ მეჩეჩს მიაღლეწე და საზარ სირტებს,

სად ვერც რუტულნი მომნახავენ, ვერც ხმა მომწვდება!“

680

ხან რა იფიქრა, ხან რა, როცა ამას ამბობდა.

სიშმაგით სურდა სირცხვილეულს მკერდი გაეპო

და სატევარი საშინელი შიგ გაეყარა.

ან ზვირთთა შუა შეჭრილიყო, ზღვა გაეცურა,

მორკალულ ხმელეთს მისდგომოდა და მტერს შეებოდა.

685

სამგზის ეცადა გაჰყოლოდა ამა თუ იმ გზას,
მაგრამ სამჯერვე შეაჩერა მძლავრმა იუნომ.
ტალღას არღვევდა მეგზურ ქარით ლტოლვილი გემი,
მიუახლოვდა მამისეულ ციხესიმაგრეს.
ამ დროს გამოჩნდა ბრძოლის ველზე იუპიტერის
690

ნებით მძვინვარე მეზენციუს, ტევკრთ თავს დაესხა.
ტირენტ რაზმები შემოერთყნენ მარტოკა მებრძოლს,
მასზე მიმართეს მძულვარება და ზღვა ისრების,
ასე დგას შორეთს ატყორცნილი ტინიც მაღალი,
სიშმაგეს უძლებს ქარიშხლისა, ზვირთების ცემას,
695

ზღვისა და ზეცის მძვინვარებას, არც შეირყევა.
დოლიქაონის ძე ჰებრუსი ძირს დასცა გმირმა.
ზედ მიაყოლა ლატაგუსი, ლტოლვილი პალმუს.
ერთს თავში დასცა ქიმი კლდისა უზარმაზარი,
ხოლო პალმუსს კი, მოდუნებულს, მუხლი მოჰკვეთა
700

და ძირს განართხო. საჭურველი მეზენციუსმა
ლავსუსს აჩუქა და ჩაჩქანიც ჯილით მორთული.
მოკლა ევანთე ფრიგიელი, დასცა მიმანტი,
პარისის ტოლი და მისივე თანამებრძოლი.
იმ ღამესვე შვა ის თეანომ ძედ ამიკუსის,
705

როს კისეისმა შვა პარისი. იგი მამულში
მარხია ახლა, ხოლო მიმანტ — უცხოთა მხარეს.
როგორც ტახს მისდევს ძაღლთა ხროვა, დაცულს
მრავალ წელს
ფიჭვის მშობელი ვეზულუსის მოწადინებით,
ლერწმის ტევრებით ატეხილი ძველ ლავრენტუმის

710

ჭაობში გაზრდილს, გასუქებულს, რკალში მოქცეულს,
როგორც ნადირი დაიღმუვლებს, აიბურძგლება
და არვის ჰყოფნის სითამამე მიუახლოვდეს,
შუბებს სტყორცნიან და უსაფრთხო ყიჟინით სდევნენ,
იგი უშიშრად მიქრის კვლავაც კბილთა ღრჭიალით,
715

შუბს ამოიგლეჯს... ასე სდევდნენ მეზენციუსსაც,
სძულდათ, თუმც არვის არ ჰყოფნიდა გაბედულება,
ხმალი ეშიშვლა და პირისპირ შერკინებოდა.
მხოლოდ შორიდან შუბს სტყორცნიდნენ და ყიჟინებდნენ.
ძველ კორითუსის საზღვრებიდან ბერძენი აკრონ
720

გამოქცეულა, ქორწინებაც კი დაუთმია...
მეზენციუსმა როცა ნახა, რომ ჯარს აფრთხოვდა
იგი მეწამულ ფერის ჯილით და ძოწეულით,
საცოლისაგან ბოძებული უცხო სამოსით, —
ვით ლომი ველებს გადაირბენს ნაშიმშილარი,
725

რომ ჯიხვს შეამჩნევს, ან შემთხვევით ქორბუდა ირემს,
ფაფარს აიყრის და დაახრჭენს საშინელ ხახას,
მსხვერპლს მიუწვება, პირს ჩაავლებს და შავი სისხლით
შეიღებება...
ასევე მარდი მეზენციუს მყისვე შეიჭრა
730

მტრის შუაგულში. დასცა აკრონ სვეუბედური —
ტერფით ფხოტნიდა მიწას, მტერი სისხლს ასხურებდა
დამსხვრეულ ფარ-ხმალს. არ ესროლა ზურგში ოროდეს,
ლტოლვილს, არ დაჭრა დამალულად, თავს მოუარა,
პირისპირ შეხვდა მეზენციუს, მებრძოლი — მებრძოლს.

735

როდი აჯობა ცბიერებით, დაჯაბნა ძალით.

ზედ ფეხით შედგა, შუბს დაეყრდნო და თქვა: „აქ წევსო
ოროდე, არცთუ უმნიშვნელო ბურჯი ბრძოლისა!“

მებრძოლთ ყიჟინა დაცხეს. უთხრა გმირს მომაკვდავმა:

„ვინც უნდა იყო, ჩემი ცოდვით ვერ გაიხარებ,

740

შორს არ გაგყვება დღევანდელი ძლევის ზეიმი!

შენც ეს მოგელის, იმავ ველებს შენც ესტუმრები!“

მწარე ღიმილით და სიშმაგით მიუგო გმირმა:

„აწ მოკვდი!.. ჩემზე ღმერთთა მამა, კაცთა მეუფე
იბრუნებს!“ — თქვა და გამოგლიჯა გვამიდან შუბი.

745

მძიმედ დაახშო თვალნი ძილმა რკინისებურმა,

ღამის წყვდიადი დაეუფლა სამარადჟამო.

ალკათუს მოკლა კედიკუსმა, ხოლო ჰიდასპე —

მძლე საკრატორმა, რაპომ — ორსე და პართენიუს,

ლიკაონის ძე ერიხეტე და კლონიუსი

750

დასცა მამაცმა მესაპუსმა, ერთი — ცხენიდან

გადმოვარდნილი, მეორე კი — ხელჩართულ ომში.

ლიკიელ აგისს ვალერუსმა სძლია. თრინიუსს

კი სალიუსმა, — თვით კი მოკვდა ნეალკესისგან,

რომლის ოროლი და ისარი შორსა წვდებოდა.

755

მარსი თანაბრად დარდს და გლოვას თესავდა ირგვლივ.

თანაბრად კლავდნენ თავდამსხმელნიც და დამცველებიც,

არვინ ილტვოდა, არც მძლეველი, არცა ძლეული.

ღმერთნი ორივე ლაშქრის ბედმა შეაკრთო ზეცად,

მოყმეთ სიშმაგემ, სისასტიკემ სატანჯველისა.

760

აქეთ ვენუსი, იქით ხედავს ბრძოლას იუნო,
ათასთა შორის ტიზიფონე დაძრწის ფერმკრთალი.

აგერ შუბს იქნევს მეზენციუს გულანთებული
და შეიჭრება ბრძოლის ველზე, ვით ორიონი.

ფეხით გაუდგა ორიონი ნერევის მორევს,

765

ტალღა მხრებამდე ძლივს სწვდებოდა; როცა მას მთიდან
თელა მოჰქონდა ძველთაძველი, ფეხი ძირს ედგა,
ხოლო თავი კი შეემალა ღრუბლის ფთილებში.

სწორედ მას ჰგავდა ახოვნებით მეზენციუსი.

მტრის შუაგულში ენეასმა შენიშნა იგი

770

და შესახვედრად გაეშურა. მტერს ძალგულოვანს
მოქიშპეც შეხვდა გოლიათურ ძალის იმედით.

შუბის სატყორცნად მან გაბომა თვალთ მანძილი:

„ჩემმა მარჯვენამ — ჩემმა ღმერთმა და შუბმა ჩემმა
ძლევა მარგუნოს! შვილო ლავსუს, გპირდები ნადავლს —

775

ენეასს მოვკლავ, ამ ავაზაკს ავხსნი საჭურველს
და მის აბჯარში გამოგაწყობ!“ — თქვა და შორიდან

ესროლა შუბი მოზუზუნე, მაგრამ ოროლი

ფარმა ისხლიტა. ჰერკულესის მეგზურ ანტორეს

მოხვდა მკერდსა და მუცელს შუა. არგოსის მხრიდან

780

მოსულა იგი, ევანდერთან დასახლებულა.

ჭრილობა სხვისთვის განკუთვნილი მას ხვდა უბედურს,

ტკბილი არგოსი მოაგონდა აღსასრულის ჟამს.

ოროლი სტყორცნა ენეასმაც, ფარი გააპო,

სამმაგი რვალთ მოჭედილი, ხარის სამმაგ ტყავს,

ქსოვილს გასცილდა, საზარდულში ღრმად ჩაჭედელმა
 ძალაც დაკარგა. გაიხარა ენეას — გმირმა,
 ტირენელს სისხლი რომ შენიშნა, იშიშვლა ხმალი,
 ფიცხლად გასდია დაჭრილსა და აცახცახებულს.
 როგორც კი ნახა ეს ლავსუსმა, კვნესა აღმოხდა.

ცრემლი მოადგა მამის ბედზე გულშეშფოთებულს.
 მე საშინელი იმ სიკვდილის ამბავსაც ვიტყვი,
 შენს სიგულვანეს არ დავმაღავ, ძველმა დროებამ
 შემოგვინახა შენი საქმე, ხამს მოგიგონოთ!
 მეზენციუსი მიილტვოდა, თან მიჰყვებოდა

მის ფარს მტრის შუბი წახდენილი. ამ დროს ყმაწვილი
 ანაზდეულად გამოვარდა, ხელთ ეპყრა ხრმალი,
 სათნო ენეასს ხმალშემართულს წინ გადაუდგა
 და შეაჩერა მისი დარტყმა. ამხანაგები
 შემოეშველნენ მას ყიჟინით, იმ დროს, როდესაც

მამა გასცილდა შვილის ფართო მტრისგან დაცული.
 ისრების ტყორცნით დააყოვნეს შორიდან მტერი.
 აღშთოვებული ენეასი ფარს იფარებდა.

ეს იმას ჰგავდა, ღრუბელი რომ მოიქუფრება
 და ჩამოსკდება დაფანტული სეტყვის მარცვლებად,

ყანიდან გარბის მიწის მუშა, მოგზაური კი
 ეძებს შესაფერს კლდის თაღებქვეშ, მდინარის პირას,
 გამოდარების შემდეგ რომ კვლავ საქმეს მიხედოს.
 ასევე დახვდა ენეასი ისრების სეტყვას.
 იცდიდა, სანამ დაცხრებოდა ომის ტაროსი.

810

ბოლოს იქუხა და მუქარით მიმართა ლავსუს:

„სიკვდილს რად ეძებ? რაც შენს ძალას აღემატება,
რად ელტვი? მამის ნაზ სიყვარულს შეუცდენიხარ!“

ყრმა მასზე ნაკლებ როდი იყო გახელებული.

დარდანელ ბელადს მოთმინება უკვე აევსო,

815

პარკები ქსოვდნენ ლავსუსისთვის ძაფს უკანასკნელს:

უკვე ჩაატდო ენეასმა მძლავრი მახვილი

სხეულში, გაჭრა მჩატე ფარი, დედისმიერი

ნაზი ტუნიკა, მოქსოვილი ოქროს ძაფისგან.

სისხლმა აავსო მოყმის მკერდი. სიცოცხლე სევდით

820

გასცილდა სხეულს და გაფრინდა სულთა სავანეს.

როს მომაკვდავის სახე ნახა ანქიზეს წულმა,

მისი ნაკვთები, ასე უცბად ფერდაკარგული,

ამოიოხრა სიბრალულით, ხელი აშველა

და მამაშვილურ სიყვარულის ძალას დანებდა.

825

„ყრმავ, სიბრალულის ღირსო, შენი სიმტკიცის ფასი

რა უნდა მოგცეს ენეასმა? შეგერჩეს ფარ-ხმალი,

რითაც ხარობდი. მიგაბარებ მკვდართა აჩრდილებს,

ფერფლს წინაპართა, თუკი რამეს ნიშნავს ეს ზრუნვა...

ბედკრულო, სიკვდილს მართო ის თუ შეგიმსუბუქებს,

830

რომ დაგცა მხოლოდ ენეასის მძლავრმა მარჯვენამ!“

მოუხმო მოყმის ამხანაგებს, თვითონ ასწია,

გაშლილი თმები ყმაწვილს სისხლით შეწებებოდა.

მამა კი იმ დროს მდინარესთან წყლით იშუშებდა

იარას, სხეულს იმაგრებდა კუნძზე დამჯდარი.

835

ხის ტოტზე ჰქონდა მუზარადი, ველზე — ფარ-ხმალი.
გარს ეხვეოდნენ მეომრები, დასუსტებული
მძიმედ სუნთქავდა, მაშვრალი და ქედდადრეკილი.
მკერდზე ეფინა გრძელი წვერი, ხშირ-ხშირად ლავსუსს
მოიკითხავდა, აგზავნიდა მალ-მალე მაცნეთ,

840

რომ მოეყვანათ დამწუხრებულ მამის ბრძანებით.
მოჰგვარეს მამას მოქვითინე ამხანაგებმა
საზარ ჭრილობით განგმირული შვილის სხეული.
გული უთქვამდა ცუდს და გლოვაც შორიდან იცნო,
ჭაღარა თმებზე მიიყარა მიწა და მტვერი,

845

ცას შეჰღალადა და მოსხლეტით დაეცა ცხედარს.
„ნუთუ სიცოცხლე ისე მსურდა, რომ ჩემი პირმშო
მტერს ხელთ ჩავუგდე ჩემს მაგივრად? განა მიშველა
შენმა ჭრილობამ და სიკვდილმა მაცოცხლა შენმა?!
ვაი, ჩემს თავსა! ახლა ვიგრძენ დევნილის ხვედრი,

850

ახლა გავიგე საშინელი ჭრილობის ძალაც!
მე ჩირქი მოვცხე, შვილო, ჩემო, შენს ალაღ სახელს,
ყველას შევძულდი სამშობლოდან გაძევებული,
პასუხი უნდა მეგო ჩემი ტომის წინაშე
და სიკვდილისთვის დამნაშავე სული დამეთმო!

855

მე კი არ ვტოვებ სიცოცხლეს და სინათლეს დღისას!
ო, არა, დავთმობ!“ — თქვა, წამოდგა, თუმც ხელს უშლიდა
მწვავე ჭრილობა, ეყო სიმხნე, ცხენი ითხოვა,
მუდამ დიდებას და სიხარულს იხვეჭდა ხოლმე
და იმარჯვებდა ამ მერანზე ამხედრებული.

860

მგუმუნვარე რაში გაამხნევა ასეთი სიტყვით:

„რებუს, თუ რამეს მოკვდავთათვის ნიშნავს დრო-ჟამი,

ჩვენ ქვეყნად ბევრი გვიცხოვრია, გამარჯვებული

აწ წამოიღებ ენეასის თავს და სისხლიან

საჭურველს მისას, ლავსუსთვის შურისმგებელი,

865

ან თუ ვერ გაჭრის ჩვენი ღონე, ჩემთან მოკვდები,

რადგან, ფეხმარდო, ვერ გაუძლებ ტევკრთა მონობას!“ —

ასე თქვა, ქედზე ხელი ჰკიდა, ზედ შემოევლო

ნაცადი გმირი, ორთავ ხელში იპყრა შუბები,

ზუჩი ელავდა სპილენძისა, ჯილა უთრთოდა

870

რაშის ფაფრისგან გაწყობილი. მტერს შეერია.

გულში სირცხვილი, სიგიჟე და სევდა უდუღდა.

სიყვარულს ბოლმა ამძაფრებდა, გმირობის რწმენა.

სამგზის ხმამაღლივ შემოსძახა გმირმა ენეასს.

იმანაც იცნო და ხალისით გაეპასუხა:

875

„ნეტავ, მოგიხმონ აპოლონმა და ღმერთთა მამამ

ხელჩართულ ომში!“ —

ეს თქვა და შუბი მოუღერა. მან კი მიუგო:

„უსასტიკესო, რითღა გინდა, რომ შემაშინო

მას შემდეგ, შვილი რაც მომტაცე? ჩემი მოსპობა

880

ამით შეგეძლო! არც დაღუპვის, არც ღვთის შიში მაქვს,

სიკვდილს თვით ვეძებ! ხმა გაკმინდე! ჯერ ეს მიიღე

ჩემგან საჩუქრად!“ — ესა თქვა და ოროლი სტყორცნა,

კიდევ და კიდევ, მაგრამ ფარის ოქროს სიმრგვალემ

ყველა უვნებლად აისხლიტა. მეზენციუსმა

885

მტერს მოუარა სამგზის მარცხნივ, ისრებს სტყორცნიდა.
ტროელი გმირი ისრების ტყეს, რვაღზე ამოსულს,
გარშემო მარჯვედ იფარებდა. უკვე მობებრდა
ფარიდან ისართ ამოგლეჯა, დროის დაკარგვა,
ტირენ მხედართან ორთაბრძოლა უთანასწორო.

890

დიდხანს ეძებდა გამოსავალს; ცხენს სტყორცნა შუბი,
შუა გაუპო საფეთქლები მეომარ მერანს.

წამოიმართა ყალყზე, ფლოქვით გაჭრა ჰაერი,
ძირს დაენარცხა, თან მხედარი გადმოიყოლა.

თავი დააყრდნო დაჭრილის მხარს. ზეცას შეერთო

895

ტროელების და ლათინების მძლავრი ყიჟინა.

ხმალშემართული ენეასი ფიცხლად მიეჭრა:

„სად არის შმაგი მეზენციუს, სადღაა ძალა
ველურ სულისა?“ — ტირენელმა ზეცას ახედა,
მძიმედ ჰაერი შეისუნთქა და გონს მოეგო.

900

„უწყალო მტერო, კვლავ სიკვდილით რად მემუქრები?

იგი არ არის უღვთოება? განა იმედი

მქონდა სხვა რამის, ჩემმა ძემაც განა ეს გთხოვა?

მხოლოდ თუ ძლეულს თანაგრძნობა ერგება შენგან,

ნება მიეცი, რომ დამმარხონ: გარს მახვევია

905

ჩემიანების სიძულვილი... ო, განმაშორე

რისხვა, გამხადე მოზიარე შვილის სამარის!..“ —

თქვა და მყის იგრძნო ყელში დარტყმა, ელოდა კიდევ,

სიცოცხლე ხმაღზე აშხეფებულ სისხლს გააყოლა...

წიგნი მეთერთმეტე

ამ დროს წამოდგა, ოკეანე დათმო ავრორამ.
მოდმეთ დაკრძალვას ენეასი გულდაკოდილი
თუმც იჩქაროდა, მკაცრ ბრძოლაში გამარჯვებულმა
მაინც რიჟრაჟზე ღმერთს მიუძღვნა მსხვერპლი აღთქმული.

5

საფლავზე დარგო მუხა ტოტეშემოსხეპილი,
დაკიდა ბასრი საჭურველი მეზენციუსის,
შენდა ნადავლად, ღმერთო, ომში სწორუპოვარო!
ჯილა გაშალა სისხლიანი, მამაც მებრძოლის
გადამსხვრეული იარაღი, აბჯარ-ბექთარი,

10

თორმეტ ადგილას დაჩხვრეტილი, მარცხნივ დაკიდა
სპილენძის ფარი, ხმალი სპილოს ძვლის ვადიანი,
შემდეგ გარშემო შემოკრებილ მხედართუფროსებს,
აღფრთოვანებულთ, მოზეიმეთ ასე მიმართა:

„აღსრულდა საქმე ძირითადი, ნუღარ გვექნება

15

აწ ნაშთის შიში, ჰა, ფარ-ხმალი თავხედი მეფის!

ჩემმა მარჯვენამ მეზენციუსს ეს დღე აყარა!
გზა გვიძევს ახლა ლათინთ მეფის სასახლისაკენ,
ხმალი აიღეთ, სიმამაცე გშველოდეთ ომში,
ნუ დავყოვნდებით, ღმერთი ნებას მოგვცემს თუ არა,
20

რომ ბანაკიდან გავიყვანოთ ახალგაზრდობა,
მბორკველმა აზრმან შიშისამან არ შეგაშფოთოთ.
მიწას ვაბაროთ აწ გვამები მოკავშირეთა.
მათ აქერონტის მხარეს ელით დიდი პატივი.
სულთა წინაშე მოვიხადოთ ჩვენ ვალი წმიდა –
25

გმირული სისხლით მოყმეთ მოგვცეს სამშობლო მხარე.
პალანტ მივგვაროთ ევანდერის მწუხარე ქალაქს,
არა, სიკეთე მას არ აკლდა, დღემ უკუღმართმა
ჩაძირა იგი სავალალო, შავ სამარეში“.
თქვა და ტირილით გაემართა იმ მიჯნისაკენ,
30

სადაც აკეტე მოკლულ გმირის სხეულს იცავდა.
იგი ოდესღაც ევანდერის მეგზური იყო.
მოყმეს თან გაჰყვა ახლაც ძველი მისნობის ძალით,
თუმც ბედნიერი მეგზურობა ვერ გაუწია.
იქვე მსახურთა დასი იდგა, ტროელნი ყრმანი,
35

და თმაგაშლილი დიაცები მგლოვიარენი.
ბჭისკარი განვლო ანქიზეს ძემ, ამ დროს ქალები
მკერდს იკაწრავდნენ, ცას წვდებოდა მათი გოდება,
მეფის სასახლე მათი გლოვით კვნესოდა მწარედ.
თვით ენეასმაც ჩაქინდრული თავი რომ ნახა,
40

სპეტაკი სახე პალანტისა, მკერდზე იარა

ავზონურ შუბის, შეიცხადა ცრემლმორეულმა:
„ბედკრულო ბავშვო, ბედმა ჩემთვის არ გაგიმეტა,
ღიმილით მოხველ და ვერ ნახე სამეფო ჩვენი,
გამარჯვებული ვერ დაბრუნდი მშობლიურ სახლში!
45

ვერ შევუსრულე დაპირება მშობელ ევანდერს.
როცა დამცილდა მამაშენი, შეშინებული
კვლავ მარწმუნებდა ძლიერებას ლათინებისა,
სასტიკ ტომებთან გექნებაო ბრძოლა საზარი.
ახლა ამაო იმედებით უდგას მას სული,
50

იქნებ ასრულებს კიდეც აღთქმას, ჩვენ კი გოდებით
ამაოდ ვაძლევთ პატივს მოყმეს, რომელს არ ძალუძს
კვლავაც ელოდოს მოწყალებას მაღალ ზეცისას.
მამავ ბედკრულო, შენი შვილის დაკრძალვას ნახავ.
ესეც — ზეიმი, ესეც — ჩვენი მოსვლა ნანატრი!
55

ჰა, შენი ნდობაც! მაგრამ მას ხომ აწ ველარ ნახავ
აუგად დაჭრილს, არ ისურვებ სიკვდილს შვილისა
სირცხვილნაჭამის. ვაგლახ, მხარეც ავზონებისა,
შენც, ასკანიუს, რა ძლიერი ბურჯი დაკარგეთ!“
რა დაითირა, ბრძანა მაღლა აწევა გვამის,
60

ათასი კაცი გააგზავნა, რომ ასაბიას
თან გაჰყოლოდნენ, დასწრებოდნენ გოდებას მამის,
თუმცა ეს მცირე ნუგეშია მწუხარების დროს,
მაგრამ უბედურ მშობელს მცირე ნუგეშიც ჰყოფნის.
სხვები ბეჯითად ამზადებდნენ მწვანე საკაცეს
65

მუხის ტოტისგან და წნელისგან, ხშირი ფოთლებით

მორთეს საკაცე, ზედ დააგეს რბილი ხალიჩა
და სარეცელზე დაასვენეს ძე ევანდერის.
მას, ვით ნაზ იას, ან სუმბულის მიბნედილ ყვავილს,
ქალწულს მოქნილი თითებით რომ მოუწყვეტია,
70

ჯერ არ გასცლოდა სილამაზე და ბრწყინვალეობა,
თუმც მიწა-დედა არ აწვდიდა სიცოცხლის ძალას.
გამოიტანა ენეასმა ორი სამოსი
ოქროცურვილი, ძოწისფერი, სიდონელ დიდოს
ხალისიანი შრომით მისთვის რომ შეუქმნია
75

და ოქრომკედით მოუქარგავს მძიმე ქსოვილი.
ერთი მეომარს დააფინა მწუხარე სახით,
ცეცხლით დასაწვავ თმებს მეორე დაადო ფრთხილად,
ბრძოლის ნადავლიც გაატანა მან ცხედარს უხვად.
ბრძანა ალაფი წამოესხათ, რემა მეანთა,
80

აბჯარ-ბექთარი, მძაფრ ბრძოლაში მოპოვებული.
ტყვენი, ზურგს უკან ხელშეკრულნი, თან გააყოლა,
რომ ზვარაკთ სისხლი ცეცხლს ბომონთან დასხურებოდა...
გმირებს უბრძანა მტრის ფარ-ხმალზე ამოეტევიფრათ
დამარცხებულთა ვინაობა და თან წაეღოთ.
85

მოდის აკეტე ბედკრული და მრავალწლოვანი,
გულზე მჯილს იცემს, ხან იხოკავს სახეს ფრჩხილებით,
ხან კი უმწეოდ დაეშვება გლოვით მიწაზე.
მოაქვთ ეტლები რუტულების სისხლით პოხილი.
მოდის ეთონი, გმირის რაში აუკაზმავი,
90

მტირალს სახეზე დასდენია ცრემლის წვეთები.

მოაქვთ შუბი და ზუჩი, ხოლო სხვა საჭურველი
მძლე ტურნუსს დარჩა. უკან მოსდევს დახრილ შუბებით
დასი ტროელთა, ტირენელთა, არკადიელთა...
როს გაატარა ასაბია, დადგა ენეას,

95

ამოიოხრა და მწუხარე ხმით განაცხადა:
„პალანტო! ახალ ცრემლებს ჩვენგან მოითხოვს ბედი...
დაგეთხოვები, საუკუნო მშვიდობა შენდა!“
სხვა არა თქვა რა, გაემართა სწრაფი ნაბიჯით
გალავნისაკენ, კვლავ ბანაკში მიისწრაფოდა.

100

ლათინთ მხრიდან მოახლოვდნენ ორატორები,
შტონი ეხვიათ ზეთისხილის, — „შეგვიწყალებო,
დაგვიბრუნეთო განგმირული გვამები, ველზე
საწყლად რომ წვანან, დაკრძალვისა დაგვრთეთო ნება.
უჭაეროდ და უკვე ძლეულთ ვერას დააკლებთ,

105

დაინდეთ, წინათ ვინც მასპინძლად მიგაჩნდათ კიდევ!“
გმირმა შეუნდო მღალადებელთ, არ ეგებოდა
მათი გაშვება, მაგრამ სიტყვა თან დაატანა:
„რა ავმა ბედმა წაგაქეზათ ჩვენზე, ლათინო,
რომ მეგობრობას გაექცით, ომში ჩაებით?

110

მარსის სურვილით მოკლულთათვის ითხოვთ მშვიდობას,
მე კი ცოცხლებსაც ვუსურვებდი! არც მოვიდოდი,
რომ ბედისწერას არ მოეცა ჩემთვის ეს მიწა,
არც ომი მსურდა, მაგრამ მეფემ ჩვენი კავშირი
არ მოისურვა, კვლავ ტურნუსის იარაღს ენდო.

115

ტურნუსზე იყო უპრიანი ეს აღსასრული!

თუ თვისი ხელით სურდა ომი, ტროელთ განდევნა,
გამოსულიყო იარაღით პირისპირ ჩემთან,
ის იცოცხლებდა, ვისაც ღმერთი გაუმარჯვებდა.
ახლა კი გასწით და დაუნთეთ კოცონი ბედკრულთ!“ —
120

ასე თქვა. იდგნენ მოციქულნი განცვიფრებულნი,
ერთურთს შეხედეს, შეაჩერეს მზერა უძრავად.
ბოლოს მხცოვანმა, ყრმა ტურნუსის მტერმა დრანკესმა,
თავის ბელადს რომ მუდამ გმობდა, მიმართა ტროელს:
„თქმულებით ქველო, იარაღით უფრო სვიანო,
125

შენზე რა ხოტბა ვახმიანო ზეცის სადარი?
შენი გმირობა გამიკვირდეს თუ სამართალი?
გმადლობთ! ქალაქში, სამშობლოში წავიღებთ გვამებს,
დაგაახლოებთ ლათინუსთან, თუ გვწყალობს ბედი.
დაე, ტურნუსმა აწ ეძიოს კავშირი სხვასთან.
130

ჩვენ გვეამება საბედითო კედლის აღმართვა,
მზად ვართ, ჩვენს მხრებზე გავიტანოთ ტროის ლოდები“, —
თქვა დრანკესმა და დაეთანხმა ყველა ერთპირად.
თორმეტდღიანი ზავი დადეს, ტევკრნი, ლათინნი
ერთად წავიდნენ ტყიან მთებში აწ დაუსჯელად.
135

ორპირმა ცულმა ააწივლა მწვანე იფანი,
დაეცა ფიჭვი, ცად ასული ვარსკვლავებამდე,
კვლა მუხა გასკდა და კედარი სურნელოვანი.
იფნურა, თელა მოჭრიალე ურმით წაიღეს.
ფრთოსანი ჭორი, მაცნე დიდი მწუხარებისა
140

ეწვია ამ დროს ევანდერს და მის ციხე-კოშკებს,

ცოტა ხნის წინათ რომ მტრის ძლევას იუწყებოდა.
არკადიელნი ბჭეს მიაწყდნენ, ძველი ადათით
სამგლოვიარო ჩირაღდნები მოჰქონდათ, შუქმა
გზა გაანათა, დიდ სივრცეზე — მინდორ-ველები.
145

მიუახლოვდნენ ფრიგიელნიც შესაერთებლად
მწუხარე რაზმთა. დაინახეს დედებმა მათი
მოახლოება და აავსეს კივილით ციხე.
ველარაფერმა შეაჩერა მეფე ევანდერ,
როცა მიწაზე დაასვენეს საკაცე ფრთხილად,
150

მიეჭრა პალანტს და ქვითინით შვილს ჩაეხუტა,
ძლივსღა გაიღო უბედურმა ხმა მგლოვიარე:
„პალანტ, მამაშენს არ დაჰპირდი, რომ მარსს მძვინვარეს
არ დანდობოდი და სიფრთხილე გამოგეჩინა?
ვიცი, იმედი საამოა ბრძოლის დიდების,
155

რა მახეც ელის ვუწყი ომში პირველად გასულს...
ო, რა მძიმეა სიმამაცის ნაყოფი, შვილო,
ცდა ბრძოლისა და ლოცვა ღვთისგან შეუსმენელი!
შენ, ო, დედავ და მეუღლეო უნეტარესო,
ღმერთმა ინება ამ ვაებას არ მოსწრებოდი,
160

მე კი აქამდე ცოცხალი ვარ — ბედკრული მამა!
ნეტავ, რუტულებს ოროლები ეტყორცნათ ჩემთვის,
ტროელთა რაზმის მოკავშირე მე მოვეკალით!
მე წამოველე ასაბიას, არა პალანტი!
მოკავშირენო, თქვენს მარჯვენას არა ვდებ ბრალსა,
165

ჩემი სიბერის ხვედრი თურმე ესა ყოფილა!

თუ ნაადრევი ეს სიკვდილი ჩემს შვილს ელოდა,
ვხარობ, რომ ტროელთ საქმისათვის გასწირა თავი,
მანამ კი დასცა ბრძოლის ველზე ათასი ვოლსკი.
ო, არ ხარ ღირსი უკეთესი პატივისცემის

170

ვიდრე გარგუნეს ენეასმა და ტროელებმა,
ბელადებმა და ტირენელთა მთელმა ლაშქარმა!
მოაქვთ საუნჯე შენი ხელით მოკლულ გმირების.
ტურნუს, ბრძოლაში განგმირული დაეცემოდი,
რომ ყრმას ასაკი და საშენო ძალა ჰქონოდა!

175

მაგრამ ტროელებს რად ვაყოვნებ მე უბედური!
გასწით და ბელადს გადაეცით დანაბარები:
აღარ ცოცხალ ვარ, რაც დაეცა პალანტი ჩემი...
შენმა მარჯვენამ უნდა მოგვცეს ტურნუსის გვამი,
მხოლოდ მას ველარ შეაჩერებს აწ ბედისწერა.

180

ჩემთვის ცხოვრებას აღარა აქვს სიტკბო და ფასი,
სანამ ქვეშეთში შვილს არ ვეცევი ტურნუსის სიკვდილს!“
ამ დროს ავრორამ გამოიღო შუქი კეთილი,
ადამიანებს მოუტანა ზრუნვა და შრომა.

უკვე მოაწყვეს ტარხონმა და მხნე ენეასმა

185

სანაპიროზე კოცონები, მამაპაპური
წესით შეჰყარეს ერთად გვამნი თავისიანთა,
შეუნთეს ცეცხლი ქვეშ პირქუში, მაღალი ზეცა
კვამლის სიშავემ ჩააბნელა, შემოუარეს
სამგზის ამ კოცონს აღჭურვილმა ტევკრმა გმირებმა,

190

შემოუქროლეს ცხენოსნებმა ავბედით ალებს,

მებრძოლთა ბაგეს კვლავ აღმოხდა მწარე გოდება,
ცრემლით მოირწყა იარაღი და მწვანე მდელო,
მებრძოლთ ყიჟინამ და ბუკის ხმამ ცას მიაღწია.

შემდეგ ლათინთა საჭურველი ცეცხლში შეაგდეს:

195

მუზარადები, უზანგები, ხმლები, ლაგამნი,
სწრაფი ბორბლები ცეცხლოვანნი. სხვებმა ნაქები
ფარ-მუზარადი მოიტანეს დაღუპულ გმირთა.
მრავლად მოასხეს მათ მოზვრები კოცონთან ზორვად,
ჯაგრიან ღორებს, ცხვრებს მატყლიანს ბოლო მოუღეს

200

ველ-მინდვრებიდან მიტაცებულთ, შემდეგ მებრძოლნი
კოცონს მოუსხდნენ მოჩახჩახეს. ვერ შორდებოდნენ,
სანამდის ღამეს თან არ მოჰყვა ცა მოჭედილი
სხვივმოციმციმე ვარსკვლავებით. ამ დროს ლათინთაც
აანთეს ცეცხლი, მაგრამ ბევრ გვამს მხოლოდ მარხავდნენ.

205

ზოგს აგროვებდნენ, რომ წაეღოთ მეზობელ მხარეს,
ციხე-ქალაქში გაეგზავნათ, დანარჩენები
კოცონზე დაწვეს, უთვალავი გროვა გვამების,
უანგარიშოდ, უპატიოდ. მაშინ ყოველმხრივ
ვრცელი ველები გაანათა უხვმა კოცონმა.

210

ცაზე გაფანტა ცივი ჩრდილი მესამე დილამ.
სისხამზე ფერფლში გაბნეული ძვლები მოკრიფეს
და თბილი მიწა დააყარეს ნეშტს მეომართა.
უზომო დარდი ლათინუსის ქალაქს მოედო.
ყველაზე მწარედ ქვითინებდნენ მებრძოლთ დედები,

215

მოსიყვარულე მათი დები და პატარძლები,

შვილები, ომში უცაბედად დაობლებულნი.
წყევლიდნენ ომს და ქორწინებას გმირი ტურნუსის.
თვით გადაჭრასო შერკინებით ბედი ბრძოლისა,
ვინც იტალიას და უმაღლეს პატივს მიელტვის.

220

დრანკესი ბოლმას აღვივებდა, ირწმუნებოდა,
ბრძოლა ბედითი მხოლოდ ტურნუსს მოეკითხოსო.
საპირისპირო აზრიც იყო. ბელადს იცავდა
სახელი დიდი დედოფლისა და ის დიდება,
რაც მოუტანა სვიან მებრძოლს გმირულმა ბრძოლამ.

225

ასე ღელავდა მძვინვარება, როს მაცნებმა
სიტყვა მოიღეს დიომედეს დიდ ქალაქიდან:
გულუხვმა ხარჯმა შედეგი ვერ გამოიღოო,
ვერც ძღვენმა, ვერცა ოქროებმა, მხურვალე ლოცვამ
ვერ გვიშველაო. ლათინებმა, გვითხრეს, თვით ჰჰოვონ

230

სხვა იარაღი, ტროელთ მეფეს სთხოვონო ზავი.
დარდმა დააჰკნო ლატინუსი, ცხადად ენიშნა,
რომ ბედისწერით ენეასთან მართებდა ზავი.
ამასვე ითხოვდა ღვთის ნება და საფლავნი გმირთა.
მეფემ მოუხმო მაღალ კოშკში დიად ბჭობაზე

235

თვის სამეფოში რჩეულ მამაცთ, მყისვე შეგროვდნენ
და მეყსეულად გაემართნენ მეფის სადგომთან.
ვით უხუცესი, ვით პირველი კვერთხის მფლობელი
ხალხს წინ დაუჯდა მგლოვიარე. მაცნეთ უბრძანა,
ეტოლიელთა ქალაქიდან მოსულთ, ეამბნათ

240

დაჯრით ყოველი, რაც რამ ჰქონდათ გადასაცემი,

რა სიტყვა უთხრა დიომედემ? ხალხი გაყუჩდა
და ვენულუსმა უპასუხა მეფეს მორჩილად:
„მოქალაქენო! ვინახულეთ ჩვენ დიომედე,
არგიველთ მხარე, გადავლახეთ ყველა ხიფათი,
245

ტროის დამთრგუნველ მარჯვენასაც შევეხეთ რიდით
აგებდა ქალაქ არგირიპას წინაპართ ხათრით
იქ, სად ველია იაპიგის და გარგანუსი.
როს დიომედემ ნება მოგვცა მასთან საუბრის,
ძღვენი მივართვით და ვასწავლეთ ჩვენი მამული,
250

ვთქვით, ვინ გვებრძოდა და არპებში რამ მოგვიყვანა.
გმირმა მსმენელებს გვიპასუხა დამშვიდებულად:
„ო, სატურნუსის ქვეყნის მკვიდრო, ხალხო სვიანო,
რატომ გიმუხთლათ ბედმა, ნეტავ, რამ გაიძულათ,
დათმობთ მშვიდობა, უჩვეულო ბრძოლას მიეცეთ?
255

გავაპარტახეთ ილიონის ველები რკინით,
მაგრამ ქალაქის გალავნებთან ბევრი დავკარგეთ,
ბევრი ჩაძირა სიმოისმა მებრძოლი ჩვენი.
დანაშაულის გამო ისე დავგესაჯა ბედმა,
პრიამესაც კი გულს ატკენდა! ეს კარგად ესმის
260

მინერვას ვარსკვლავს, ევბეის ტინს და კაფერევსსაც.
სხვადასხვა მხარეს მიმოგვფანტა ბერძნები ბედმა:
თვით მენელაოს ატრევსის ძე დიდხანს დაძრწოდა,
ულიქსემ მღვიმეც კი იხილა ეტნელ კიკლოპთა.
266

აქაველთ ბელადს აგამემნონს, მიკენის მეფეს,
267

დახვდა სიკვდილი შინ ავხორცი ქალის მარჯვენით,
268

აზიის მძლეველს ცოლის კურომ მახე დაუგო.
264

რა ვთქვა პირუსის სამეფოზე, იდომენეისის
265

პენატებზე და ლიბიაში — ლოკრიდელებზე?
269

მეც ხომ ღმერთებმა არ მაღირსეს სამშობლოს ხილვა,
270

სანატრელ ცოლის და მშვენიერ კალიდონისა!
სულს სასწაული ღვთაებრივი ახლაც მიშფოთებს:
მეგზურებს ვხედავ ცად ატყორცნილთ მსუბუქი ფრთებით,
ჩიტებად ქცეულთ, — ვაი, ჩემს თავს! — მდინარის ზემოთ
მოფარფატეებს, საწყლად კლდეებს რომ შესწივიან.
275

შურისძიება იმ დროიდან დამყვება ღვთისა,
როს სიგიჟის დროს ღმერთებს ხანჯლით არ შევეპუე,
შეურაცხევავი თვით ვენუსის ხელი ჭრილობით.
ო, არა, ბრძოლა აღარა მსურს. რაც რომ პერგამოს
დაეცა, ტროელთ აღარასდროს არ შევებმები!
280

არ მახსოვს, არც მსურს გავიხსენო ძველი ქიშპობა.
მიართვით ძღვენი ენეასსა, მე რომ მაახლეთ
სამშობლო მხრიდან. ჩვენ მის საზარ შუბს გადავურჩით.
ხელჩართულ ომში, გწამდეთ, იგი საშინელია,
აღიმართება ფარიანად თუ ოროლს ტყორცნის.
285

იდას მიწას რომ მსგავსი ორი გმირი ჰყოლოდა,
ინაქეს მხარეს მოვიდოდნენ თვით დარდანელნი,

და საბერძნეთი იგლოვებდა ღვთის სხვა სასწაულს.
რამდენს იცდიდა გამარჯვება ტროის კედლებთან,
ჰექტორისა და ენეასის მკლავთა წყალობით,
290

ათი წლის შემდეგ შეძლო მხოლოდ ჩვენი მოხვევნა!
ორთავ შვენოდა სიმაძაყე და მძლე ფარ-ხმალი,
ეს ჰექტორს სჯობდა სათნოებით. თქვენი მარჯვენა
მიეცით გამირსა სამშვიდობოდ! ნულარ შეეხებით!“
დიდო მეფეო, ასეთია მისი პასუხი,
295

სასტიკ ბრძოლაზე თვისი აზრი ასე გვაუწყა.
თქვეს მაცნეებმა, მყის ავზონთა მთრთოლვარე ბაგეთ
გადაურბინა ჩუმმა დრტვინვამ. ასე კლდეები
ახშობენ ხოლმე სწრაფ დინებას მთის ნაკადისა,
ბორგავს მორევი, ტალღა ნაპირს მიეხეთქება.
300

როს დაცხრა სული, მოცახცახე ბაგენი დადგნენ,
ღმერთებს ევედრა ლატინუსი და ხალხს მიმართა:
„ლათინო, გვმართებს ჩვენ ეს საქმე კარგად განვსაჯოთ,
სანამ ჯერ კიდევ დაგვრჩენია დრო ბჭობისათვის,
სანამ მტერს ჩვენი გალავნები არ დაუშლია.
305

მოქალაქენო, ჩვენ ღვთაებრივ მოდგმას შევებით,
ომს როდი ძალუძს მათი დაღლა, დაუძლურება,
ვერ დავამარცხებთ, ფარ-ხმალს ველარ დავაყრევინებთ.
თუ გაქვთ იმედი ეტოლიელთ იარაღისა,
ვერ ეღირსებით მკაცრ ბრძოლაში მათ დახმარებას.
310

თქვენს თავსვე ენდეთ, ო, რა სუსტი დაგრჩათ იმედი!
თქვენს წინაშე ჩანს ყოველივე, თვალს და ხელს შუა.

არვის ვაყვედრი: სიმამაცეს რაც რამ შეეძლო,
ის მოგანიჭათ — მთელი ძალით იცავდით მამულს.
ახლა გიამბობთ, თუ რა მიმღვრევს ასე გონებას,
315

თქვენც მიაქციეთ ყურადღება, მოკლედ გაგაცნობთ:
მაქვს ეტრუსკების მდინარესთან ძველი მინდორი,
სიკანთ მხარემდე დასავლეთით გადაჭიმული,
ავრუნკები და რუტულები ხნავენ მწირ სერებს
და აძოვებენ საქონელსაც მთის ფერდობებზე.
320

დავუთმოთ ტროელთ ძმობის ნიშნად ეს მთაგრეხილი,
ფიჭვნარიანი, შევთავაზოთ კეთილი ზავი.
გვეგულებოდნენ მეგობლებად ჩვენს სამეფოში.
თუ ასე უნდათ, აქვე დარჩნენ, ციხე ააგონ.
თუ სხვა სამეფოს, სხვა მეგობლებს მიესწრაფვიან
325

და ისურვებენ, რომ დატოვონ ჩვენი მიწები,
მუხის ძელებით ორჯერ ათი გემი ავუგოთ,
მეტს თუ მოგვთხოვენ, უფრო მეტიც. მდინარის პირას
ტყე გვაქვს საშენი, თვითონ გვამცნონ ხომალდთა რიცხვი.
სპილენძსაც მივცემთ, მუშახელსაც და გემსართავსაც.
330

რომ სიტყვა უთხრან, დაამყარონ ხელშეკრულება,
ასი ლათინი ორატორი ვაახლოთ ტროელთ.
მათ მეგობრულად მიაწოდონ რტო მშვიდობისა,
სპილღოს ძვალი და ტალენტები ოქროსი უძღვნან,
სამეფო ნიშნად ტრაბეა და ტახტი მიართვან.
335

იფიქრეთ, რა სჯობს, როგორ ვპოვოთ გამოსავალი“.
ადგა დრანკესი, რომელს შურდა გმირი ტურნუსის,

სახელ-დიდება ბელადისა გულს რომ უკლავდა.
მდიდარს, ენამჭევრს ომში ცივი ჰქონდა მარჯვენა,
თუმცა თათბირი საიმედო იცოდა ხოლმე.

340

დედის დიდება მოდგმას სძენდა კეთილშობილურს,
მამის შესახებ არაფერი თუმც არ იცოდა.

რისხვა აღაგზნო და დაიწყო მჭევრმეტყველება:

„მეფევ, შენს სიტყვას არ სჭირდება ჩვენი დასტური,
ყველას ხომ ესმის, რა მოუტანს სიკეთეს ხალხსა,

345

მაგრამ ხმამაღლა ვერვინ იტყვის. მოგვეცი ნება
შეგჩივლოთ: დაე, თავხედობა შეწყვიტოს გმირმა
და ცუდბედითი ჩვეულება! მე მართალს ვიტყვი,
თუნდ დამემუქროს მახვილით და საზარ სიკვდილით.

მრავალი გმირის მზე დაშრიტა, დარდში ჩაძირა

350

მთელი ქალაქი, მაინც ცდილობს ტროელთ დათრგუნვას,
ფიქრობს განდევნოს, შეაშინოს მახვილით ზეცა.

უბრძანე, რომ ძღვენს მოსაკითხავს ერთიც შემატონ.

მხოლოდღა ერთი, მეფეთ შორის საუკეთესოვ!

ვერვინ დაგვაბნის, ოდეს მისცემ სასიძოს სვიანს,

355

ქორწინების ღირსს, ტურფა ქალწულს — მშობელი მამა!

ამით მშვიდობას დაამყარებ სამარადისოს.

თუ დაეუფლა ჩვენს გულებს და გონებას შიში,

თვით ტურნუსს ვთხოვოთ მოწყალება, დაე, დაუთმოს

მეფეს და მამულს უფლებანი ლავინიაზე.

360

თანამოძმეებს რატომ აგდებს საფრთხეში მარად,

წყაროვ, მიზეზო ლაციუმის უბედურების?

ხსნა აღარა გვაქვს, ყველა შენ გთხოვს მშვიდობას, ტურნუს!
ურღვევ საწინდარს, საუკუნოს, მეც შენი მტერი,
რომელს ეს გრძნობა შენ მიმართი არ დამიმალავს,
365

თხოვნით მოგმართავ, შეიბრალე შენიანები!
ო, ვით ძლეულმა დათმე შენი გულზვიადობა.
ბევრი ვიხილეთ სამარე და გაპარტახება...
თუ ხმას არ უსმენ, სიგულვანეს აღარ მოიშლი,
თუ ნაბოძვარი გეამება სასახლე კვლავაც,
370

მაშინ გაბედე, შეერკინე მტერს მკერდგაშლილი!
ოღონდ ტურნუსი მეფის ასულს დაუფლებოდა,
ჩვენ ბრბოდ ჩაგვთვალა, დაუტირლად, დაუკრძალავად
უნდა ვეყარნეთ! თუ გაქვს მარსის ძალა, წინაპართ
შეგრჩა სიმტკიცე, შეხე ველზე მებრძოლ ენეასს,
375

ბრძოლაში გიწვევს!“
მისმა სიტყვებმა მყის ალაგზნო რისხვა ტურნუსის,
გმირმა ღრმა ოხვრას ხმა გულიდან ამოაყოლა:
„ო, მართლაც, დრანკეს, არ გაკლია სიტყვის სიუხვე,
რომ ხმაღს მოითხოვს შენგან ომი. უხუცესებთან
380

პირველი მიხვალ და კურიას ავსებ სიტყვებით,
სანამ არაფრის გეშინია, სანამ გაშორებს
მტრისგან კოშკები, სანამ სისხლი არ ავსებს მიწას.
ახლაც იქუხე და სიმხდალეს კი დამაბრალე,
თითქოს ტროელთა გორა დადგა შენმა მარჯვენამ,
385

თითქოს ნადავლით გაგივსია ირგვლივ ველები.
იქნებ გსურს ნახო, რა ძალა აქვს ჩემს სიმამაცეს?

შორს არ მოგვიწევს, რა თქმა უნდა, ჩვენ ძებნა მტრისა,
ციხის გაღავნებს შემორტყმიან ყოველი მხრიდან.
ხომ არ წავიდეთ შესახვედრად? რაღას აყოვნებ?
390

მარსი ენაზე გკიდია თუ იმ მხდალ ფეხებზე,
სულ გასაქცევად რომ მზადა გაქვს?
მაშ, მე დავმარცხდი? ამ სიცრუეს ვინ დაამტკიცებს?
ვინ ვერა ნახა ტროელთ სისხლით ადიდებული
მდინარე ტიბრის, ევანდერის სახლის დაქცევა,
395

არკადიელნი, უნუგეშოდ აბჯარაყრილნი?
მიცნობს ბიტიას, პანდარუსი და სხვაც ათასი,
ქვესკნელში ბევრი გავისტუმრე, როს გზა მომიჭრეს.
ხსნა აღარ გვაქვსო? უგუნურო, სიმღერა ეგე
შენთვისა გქონდეს, დარდანელთა ბელადს უმღერე!
400

რაღას აყოვნებ, შიშის ზარი მოჰგვარე გულებს,
ხოტბა შეასხი ორგზის ძლეულ ვაჟკაცთა ძალას
და ლატინუსის იარაღი ლაფში გასვარე!
მირმიდონელთა წინამძღოლნი, ტიდევსის წული
და ლარისელი აქილევსი შიშით ძრწიან-თქო
405

ტროელთ წინაშე, უკუილტვის ავფიდუს ზღვიდან.
ვითომ შიში აქვს შურისგების, როცა ცილს მწამებს,
თან ჩემს ბრალდებას აზვიადებს შეშინებული.
ნუ შფოთავ, დრანკეს, ეს მარჯვენა სულს არ ამოგხდის,
დაე, იცოცხლოს შენს სხეულში სულმა ძაბუნმა!
410

ახლა, ო, მამავ, შენს გეგმაზე მსურს მოგახსენო.
თუ ჩვენი ხმლისა აწ იმედი არ დაგრჩენია,

თვლი უნუგეშოდ ერთხელ უკვე ოტებულ ლაშქარს,
თუ დავძაბუნდით, ბედს თუ ველარ შემოვაბრუნებთ,
უქმი მარჯვენა სამშვიდობოდ მივცეთ ენეასს!

415

ო, სიმამაცე, შეგრჩენოდა ოდნავად მაინც!
იგი დარჩება ნეტარი და ამაღლებული,
სულით მდიდარი, ვინც ამ სირცხვილს არ იზიარებს,
ერთხელ მოკვდება, ერთხელ შეჭამს პირითაც მიწას!
თუ ჩვენ მოყმენი შეგვგრჩენია ბრძოლის იმედად,

420

ხალხნი, ქალაქნი იტალიის და თუ დიდება
ტროელებს ერგოთ დიდძალ ფასად დაღვრილი სისხლის,
თუ ჭირ-ვარამი მათთვისა და ჩვენთვის ერთია,
მაშინ ახლავე რად განვილტვით სირცხვილგულნი?
ხმა ნაღარისა რატომ ავსებს ძრწოლით ჩვენს სახსრებს?

425

დროსა და შრომას გულმოდგინეს ხშირად მოჰყვება
უკეთესობა, ბედისწერა დასცინის ხოლმე
უქნარებს, მათთვის ჩვეულ ხვედრის შეცვლა არა სურს.
ეტოლიელნი და არპები ვერ გვიშველიან,
მაგრამ ხომა გვყავს მესაპუს და ტოლუმნიუსი,

430

ტომთა ბელადნი, მოიხვეჭენ დიდებას მალე
ლაციუმში და ლავრენტუმის ველზე რჩეულნი.
ჩვენ გვყავს კამილა სასახელო, ვოლსკთა მოდგმისა
მოჰყავს სპილენძით მოელვარე მხედართა რაზმი.
მაგრამ ტროელნი თუ ბრძოლაში მე გამიწვევენ,

435

თუ მე ხელს ვუშლი თქვენს სიკეთეს, თვით გამარჯვება,
დღეს რომ გაგვირბის, ჩემს მარჯვენას არ გაექცევა

მხოლოდ იმ მიზნით, რომ იმედი დამათმობინოს.
ხალისით გავალ ბრძოლის ველზე, გინდ აღემატოს
მტერი აქილევსს, ვულკანუსის ჯავშანში ჩამჯდარს.
440

სიცოცხლეს დავდე თქვენთვისა და ლატინუსისთვის!
მე ვარ ტურნუსი, არც ერთ ძველი გმირს ტოლს არ დავუდებ.
თუ მართო მიწვევს ენეასი, დე, გამიწვიოს.
ჩემს ნაცვლად დრანკეს რისხვას ღვთისას არ შეეწიროს
და მეც მარგუნოს, თუ სიმტკიცე მოსჭარბებია!“
445

ასე დავობდნენ საჭოჭმანო საქმის მჩხრეკელნი.
ენეას გმირმა საბრძოლველად განაწყო ჯარი.
მაცნე მოიჭრა სასახლეში ზარით, განგაშით,
ქალაქს მოჰფინა დიდი შიში ანაზდეული:
ტევკრნი გამოჰყვნენ დარაზმულნი ტიბერის ნაპირს,
450

ტირენტა სპანიც გაშლილანო ფართო ველებზე.
გული აღელდა, ხალხის გონი რისხვამ მოიცვა,
აფორიაქდნენ ამ საზარი ცნობის მოსმენით.
მტერთან საომრად მოითხოვა ახალგაზრდობამ
მტკიცე ფარ-ხმალი, უხუცესნი მწარედ თიროდნენ,
455

ზეცად ავიდა მხნე ყიჟინა ყოველი მხრიდან.
ასე ფრინველთა აიჭრება ჭალაში გუნდი,
გედნი ხრინწიან ხმით ჰყივიან პადუზას ტბაზე,
ჭაობთა გასწვრივ რომ გაშლილა თევზებით სავსე.
„მოქალაქენო, — თქვა ტურნუსმა, — დრო ხომ ბევრი გვაქვს,
460

ბჭობად დასხედით და უმღერეთ ნანატრ მშვიდობას,
ხოლო ტროელნი ჩვენს ქვეყანას ხმლით დაერიონ!“

სხვა არა თქვა რა, გამოვიდა მაღალ კოშკიდან,
„ვეზულუს, — ბრძანა, — ქვეითები შეიარაღდნენ,
უხმე რუტულებს, მესაპუსსა, კორასს და მის ძმას,
465

გაშლილ ველებზე გაარიგე ცხენოსანთ ჯარი,
ბჭე გაამაგრეთ და კოშკები ქალაქისანი,
ჯარის ნაწილი მე გამომყვეს, სადაც ვუბრძანებ“.
მებრძოლნი მყისვე მოეფინენ ციხის ქონგურებს.
ლათინუს ადგა ჟამთ სიავით შემფოთებული,
470

დატოვა საბჭო და ბელადმა გულამღვრეულმა
თავი ჩათვალა დამნაშავედ, რომ დროზე ნებსით
სიძედ ტროელი ენეასი არ გაიხადა.
ბჭესთან სანგრები აღემართათ, ლოდები ჩადგეს,
ყრუდ მოგუგუნე ბუკმა ბრძოლის ნიშანი მისცა,
475

ღიაცებმა და ყმაწვილებმა კარი დახურეს,
სამშობლოს საფრთხემ შემოკრიბა ყველა მცხოვრები.
ამ დროს პალადას ტაძარსა და ქონგურს მიადგა
მანდილოსანთა დასთან ერთად თვით დედოფალი,
მსხვერპლი მოასხეს, ლავინია თან ახლდათ ტურფა,
480

მიზეზს ბრძოლისა დაეხარა კდემით თვალები.
ტაძრად შევიდნენ მლოცველები გუნდრუკის კმევით.
მწუხარე სიტყვებს წარმოთქვამდნენ მაღალ ზღურბლიდან:
„ო, მძლე ქალწულო ტრიტონია, ბრძოლის მესაჭევ,
დათრგუნე შუბი ფრიგიელის, პირქვე დაამხე,
485

ზედ კარიბჭესთან დაამარცხე ვერაგი მტერი!“
განრისხებული ხმაღს ისხამდა გმირი ტურნუსი,

რუტულურ ჯავშანს, ჯაჭვის პერანგს სპილენძის ფხიანს,
ოქროცურვილი მყის მოირგო საბარკულები,
საფეთქლებამდე დაუცველი სახე შვენოდა,
490

კოშკით ჩამომხდარს უბრწყინავდა სხეულზე ოქრო.
გალაღებული მტერს წინასწარ სპობდა ოცნებით.
მერანსა ჰგავდა, საბელი რომ აუწყვეტია,
თავისუფალი გაშლილ სივრცეს შესჭიდებია
და იალაღზე ფაშატების რემას მიელტვის,
495

ხან ბანაობას მიჩვეული ნაცნობ მორევში
მხნედ მიჭენაობს კვლავ ზვიადად აწეულ თავით,
ჭიხვინებს, ქედზე უფრიალებს ფართო ფაფარი...
ვოლსკების რაზმით წინ შემოხვდა ტურფა კამილა,
ბჭისკართან ქალი მერანიდან გადმოხტა მარდად,
500

მთელმა ლაშქარმა მყის მიჰბაძა თავის დედოფალს,
დაბლა დაეშვა. კამილამ კი მიმართა ტურნუსს:
„თუ ჩემი ძალის შემოძლია მქონდეს იმედი,
მაშინ გავბედავ, დაგპირდები, რომ ენეასის
სპას მე შევხვდები და ტირენთა ცხენოსანს ლაშქარს.
505

ნება მიბოძე, მე პირველი ჩავება ომში!
შენ კი აქ დადექ და დაიცავ ციხე-ქალაქი“.
თვალნი მიაპყრო ტურნუსმა და მიმართა ქალწულს:
„ო, დიდებოლ იტალიის, როგორ გადმოგცე
ჩემი მადლობა? შენი სული რაკი აღიგზნო,
510

გაინაწილე ხვედრი ჩემი! ასე ამბობენ,
თავხედ ენეასს უთვალავი ჯარი მოჰყავსო,

ცხენოსანთ რაზმი აღჭურვილი მსუბუქი ჯავშნით,
რომ დალახვროსო მინდორ-ველი, თვით კი სასწრაფოდ
უახლოვდება მთის დამრეცი კალთებით ქალაქს.

515

ტყის ციცაბოსთან მე ვუმზადებ ენეასს მახეს,
მხედრების ორი რაზმით ხევის მსურს დაკავება.
ტირენტ სპას შეხვდი, შეაგებე დროშები დროშებს!
ფიცხი მესაპუს აქ დარჩება, ტიბურტელთ რაზმი,
ლათინთ ლაშქარიც და შენ იყავ ბელადი მათი!“ —

520

ეს თქვა. მესაპუსს და ბელადებს საომრად უხმო.
შემდეგ მტრისაკენ გაემართა. დაბურულ ხევში
იყო ადგილი, საომარი მახისთვის მარჯვე.
ორივე მხრიდან მას პირქუში ტევრი ფარავდა
ხშირფოთლოვანი, საცალფეხო ბილიკი, ვიწრო

525

გასასვლელი და მისადგომი ჰქონდა იმ ტევრსა.
ზემოთ მაღლობზე და მთის თხემზე შეუმჩნეველი
და უშიშარი იყო ერთი თავშესაფარი.
გინა თუ მარჯვნივ, გინა მარცხნივ მტერს დაესხმოდა,
ან მწვერვალიდან კლდის ნახეთქებს დააგორებდა.

530

ბილიკებს გაჰყვა ნაცნობი გზით ჭაბუკი გმირი
და ვერაგ ტყეში ჩაუსაფრდა ტროელთ მხედრობას.
ლატონას ქალმა სწორედ ამ დროს მოუხმო ოპისს.
მხლებელ ნიმფათა წმიდა დასში უმშვენიერესს,
ზეციურ კოშკში ნაღვლიანი სიტყვით მიმართა:

535

„მრისხანე ომში, ო, ქალწულო, მიდის კამილა,
ამაოდ ისხამს ჩვენს იარაღს. მე იგი მიყვარს,

ეს სიყვარული განა ახლა გამიჩნდა გულში,
სული გამსჭვალა უცაბედი სინაზის სიტკბომ...
როს მეტაბუსმა აიმხედრა სამეფო თვისი
540

და გადიხვეწა პრივერნუმის ძველი ციხიდან,
მეამბოხეთა რკალი გაჭრა, თან გაიყოლა
დედა კასმილას მოსახელე პატარა ბავშვი,
ოდნავ შეცვლილად კამილა რომ უწოდა მამამ.
მკერდზე მიიკრა და შორეულ მთებში, ტყეებში
545

ხსნას ესწრაფოდა. გარშემო კი ვოლსკების რაზმი
დაძრწოდა, სიკვდილს უქადოდა, გზაც აღარ ჩანდა:
ამ დროს წყალუხვი ამაზენი ქაფით აივსო
და ნაპირები გადალეკა, ისეთი წვიმა
ასხამდა ციდან. გაცურვასაც ვეღარ ბედავდა,
550

მშობელს სანუკვარ ტვირთის ბედი შიშის ზარს ჰგვრიდა.
ბოლოს ანაზღად დაეებადა ახალი აზრი:
მას მოაგონდა, რომ ხელთ ჰქონდა შუბი მაღალი,
მტკიცე, მკვრივი და კუთხოვანი, მუხის ტოტისა,
ლაფანში ჩასვა მოწიწებით თვისი ასული,
555

ქერქოვან შუბში მოათავსა, მძლავრი მარჯვენით
დაუნანავა და მიმართა ხმამაღლა ეთერს:
„ლატონას ქალო, ქველმოქმედო, მკვიდრო ჭალისა!
მე, მამა, ასულს მხევლად გაძლევ, პირველი შუბი
უჭირავს მას და მტერს გაურბის მაღლა ეთერში.
560

მიიღე, ღმერთო, დანდობილი ცვალებად ქარებს!“
უკან გასწია ხელი, შუბი მძლავრად გატყორცნა,

მღელვარ ტალღების ზემოთ სტვენით მიქროდა შუბი.
ხოლო მეტაბუსს როცა მტერმა შემოუტია,
მყის თავი მისცა მდინარესა და მოზეიმემ
565

ასული თვისი, აწ დიანას წილხვედრი ქალი,
ხელთ აიყვანა, ბალახიდან ააძრო შუბი.
არ შეიკედლა მეტაბუსი არც ერთმა მხარემ,
არც თვით მან დათმო სისასტიკე, გაუვალ მთებში
მწყემსურ ცხოვრებას ეწეოდა, ეკალ-ბარდებში
570

და მიუდგომელ მღვიმეებში ასაზრდოებდა
პატარა ასულს გაუხედნელ ფაშატის რძითა,
ისიც ცხენს ძუძუს უფუხნიდა პაწია პირით.
როგორც კი ბავშვმა სულ პირველად გამართა ტერფი,
მამამ ოროლი ჩაუბლუჯა პატარა ნებში,
575

მხრებზე აჰკიდა მას კაპარჭი და მშვილდ-ისარი,
ნაცვლად ოქროვან სამკაულის, ნაცვლად კაბისა,
შიშველ ბეჭებზე ვეფხის ტყავი გადაუფინა.
საბავშვო ოროლს ნაზი ხელით ისროდა, თავზე
ატრიალებდა შურდულს მაგრად დაწნული ღვედით,
580

კლავდა სტრიმონულ წეროს თუ გედს. ამაოდ სცადა
მრავალმა დედამ წაეყვანა რძლად მშვენიერი.
კამილას მხოლოდ აღაღებდა დიანას ვნება:
ისრებს ეტრფოდა, ქალწულებრივ უბიწოებას.
მე ვისურვებდი, რომ ამ ბრძოლას არ მოეხიბლა,
585

არა ცდილიყო დასცემოდა მახვილით ტევკრებს,
მარად მყოლოდა ჩემდა მხევლად ტურფა კამილა,

მაგრამ რაკილა მას სასტიკი ხვედრი მოეღის,
მო, ციდან, ნიმფავ, და ეწვიე ლათინთა მხარეს,
სადაც მძვინვარებს ომი მძაფრი, ავის მორბედი.

590

ჰა, კაპარტიდან ამომართვი შურისმგებელი
ბასრი ისარი, რომ კამილას ვინც ომში დაჭრის,
არ გადამირჩეს დაუსჯელი. შემდეგ წყვდიადის
მომტან ღრუბლებში გავიტაცებ გვამს საწყალობელს,
აუხსნელ ფარ-ხმალს დავუბრუნებ მშობლიურ მხარეს“, –

595

ეს თქვა დიანამ. მსუბუქ ფრთებზე დაეშვა ნიმფა
მაღალი ციდან, გარს ეხვია ღრუბელი მრუმე.
ტროელთ ლაშქარი შეესია ამ დროს გალავანს
და ბელადები. ეტრუსკების მთელი მხედრობა
გუნდ-გუნდად იყო დაყოფილი თანაბარ წილად.

600

მოუთმენელად ფრუტუნებდნენ მარდი ცხენები,
სადავეს გლეჯდნენ. მოგუგუნე ველი გადიქცა
ტევრად რკინისა, აელვარდა შიშველი ხმლებით.
მესაპუს ფიცხი, ლათინნი და ძმითურთ კორასი,
რაზმი ქალწული კამილასი ველზე გავიდა,

605

შორიდან იწყეს გამზადება სასროლი შუბის,
მარჯვენა უკან გადასწიეს, გატყორცნეს მძლავრად.
ცხენთა ფრუტუნი გაძლიერდა, მეგრძოლთა შეხლა,
ორივ ლაშქარი ისრის სასროლ მანძილზე დადგა,
შემდეგ საზარი შეძახილით ერთურთს მიეჭრნენ.

610

ყოველი მხრიდან ერთდროულად ტყორცნეს ისრები,
თითქოს ცა თოვლმა დაფარაო ყომრალი ჩრდილით.

მედგრად შეიბნენ ტირენუს და ფიცხი აკონტევს,
შუბები ტყორცნეს და ხმაურით ცხენთა მკერდები
ერთურთს შეასკდა დამსხვრეული და აკონტევსმა
615

ზარდაცემულმა ვით მეხისგან, ქვედაზიდულმა,
თითქოს ქვააო მოვარდნილი, თოკს მოწყვეტილი,
სული ჰაერში განუტევა, მყისვე რაზმები
ერთურთს მიეჭრნენ, ლათინებმა ზურგი აქციეს
და მოაბრუნეს მყის მერნები გალავნისაკენ.
620

აზილას მიჰყვა მათ ფეხდაფეხ ტროელთა რაზმით.
როს ბჭეს მიადგნენ, ლათინებმა დასცხეს ყიჟინა,
ცხენებს კისრები მოუგრიხეს, მტერს მოუბრუნდნენ,
ტროელთ გაქუსლეს მიშვებული სადავეებით.
ზღვას ჰგავდნენ უხვს და დაუტევნელს, აქაფებული
625

ხმელს რომ ასკდება, კლდეებამდე აღმართავს ზვირთებს,
სანაპიროზე ქვიშას აჰყრის, ხან უკუილტვის
და მოაგორებს ხმელეთიდან მონგრეულ ლოდებს,
კვლავ წყალნაკლული ტოვებს ნაპირს... ორჯერ ტუსკებმა
შეავიწროვეს რუტულები ქალაქის ბჭესთან.
630

ორჯერ თვითონვე უკუიქცნენ, ფარს იფარებდნენ.
მაგრამ მესამედ როს მიადგნენ ერთურთს საომრად,
მჭიდროდ შეიბნენ, შეერკინა მებრძოლი მებრძოლს.
კვნესა გაისმა მომაკვდავთა, გვამებს დასდინდა
სისხლი მჩქეფარე, ცოცხალ-მკვდარნი იწვნენ მერანნი
635

მოკლულთა შორის და ბორგავდნენ. გამძაფრდა ბრძოლა.
ორსილოქუსმა რემულუსის ცხენს სტყორცნა შუბი,

ახლო მოსვლას და ორთაბრძოლას როდი უცადა,
ყალყზე შედგა და საწყალობლად დაიჭიხინა, —
ველარ გაუძლო ცხენმა ოროლს, ფლოქვი აჰყარა
640

და რემულუსი მეყსეულად დასცა მიწაზე.
იოლას დასცა კატილუსმა და ჰერმინიუს,
სახელგანთქმული იარაღით და სიმამაციით.
უშიშარს შიშველ მხრებზე ქერა თმები ეფინა,
თავს არ იცავდა ოროლისგან. მთრთოლვარე შუბი
645

მხარში ჩაეჭდო და მებრძოლი ორად მოხარა.
გარს იღვრებოდა შავი სისხლი, ხმალშემართულნი
სიკვდილს თესავდნენ და თვითონვე მას ესწრაფოდნენ,
ამ დროს შეიჭრა ამაძონი კამილა ომში
და საბრძოლველად გაიშიშვლა ცალ მხარეს მკერდი,
650

ხან შეამკვრივა ჰაერი და შუბი გატყორცნა,
ხან მოუღლეღმა აიტაცა ორპირა ცული,
მხრებზე შხუოდა ოქროვანი დიანას მშვილდი.
უკუქცეულიც ხშირად მფრინავ ისრებს ტყორცნიდა
ქალწული თვისი მორკალული, მტკიცე მშვილდიდან.
655

ახლდა დობილნი მას: ლამაზი გოგო ლარინა,
ტულა, ტარპეა, სამივენი იტალიელნი,
სპილენძის ცულნი ხელთა ეპყრათ. თვითონ კამილამ
ამოირჩია ქალწულები თვისდა მხლებლებად.
ასე იბრძვიან თრაკიელი ამაძონები
660

ლამაზ საჭურვლით თერმოდონტის სანაპიროზეც.
ხან ჰიპოლიტეს. ხან მეომარ პენტესილევას

გაჰყვებიან და შეჰყივლებენ ქალური ხმებით,
გაშმაგებულებს ხელთ უპყრიათ ნამგალა ფარი.
კამილა, მძლეო ქალიშვილო, პირველს ვის დასცემ
665

და რომელს მოკლავ ამ ბრძოლაში უკანასკნელად?
ევნეუსსა ძლევ, კლიტიუსის ძეს, გრძელი შუბით
შენკენ წამოსულს, გადაუხსნი შუბითვე მკერდსა.
სისხლის ნაკადმა ამოხეთქა, კბილი ჩასჭიდა
შედებილ მიწას, ზედ დააწვა თავის ჭრილობას.
670

შემდეგ ლირისი, პაგაზუსი განგმირა, ერთი
სანამ სადავეს სწევდა, უმაღ ძირს დაანარცხა,
ხოლო მეორე, შიშველ ხელით როცა შველოდა.
ერთურთს დაეცნენ განგმირულნი. ჰიპოტასის ძეს,
ამასტრუსს სდია, შორიდანვე სტყორცნა ისარი,
675

ტერეასს, ქრომისს, ჰარპალიკუსს და დემოფოონტს...
იმდენი დასცა მხნე ქალწულმა ფრიგიელთ გმირი,
რამდენიც ტყორცნა ხელით შუბი. უცხო აბჯარში
იყო ორნიტუს, მონადირე, ცხენს აგელვებდა,
ფართო ბეჭებზე ხარის ტყავი გადაეფარა,
680

თეთრკბილიანი მგლის ლაშები თავს უფარავდა,
ხელში ეჭირა მას მსუბუქი, სოფლური შუბი,
მოდმეთა შორის ერთი თავით მაღლა აღმართულს.
ქალმა განგმირა მძლე მებრძოლი ადვილად, რადგან
ამ დროს მტრის რაზმი არეული უკუილტვოდა.
685

გამძვინვარებით ამაძონმა მისძახა მოკლულს:
„ტირენო, გსურდა ტყეში ნადირს გაჰკიდებოდი?

ჟამი დადგა და ქალის ხელმა ჩაგიკლა ნდომა.
მაგრამ ნება გაქვს, რომ გადასცე წინაპართ ჩრდილებს,
კამილას შუბის ქვეშ სიკვდილი ცოტას არ ნიშნავს!“

690

დასცა ბუტე და ორსილოქუს, ტროელთა გმირნი.
შუბით განგმირა ბუტე, მისკენ ზურგშექცეული
იქ, სად ბექთარს და ჩაჩქანს შორის ქედი უჩანდა.
მარცხენა ხელზე უქმი ფარი მოფარებოდა.
გარეგან წრეზე გამოუდგა ქალს ორსილოქუს,
695

მან გზა მოუჭრა და თვითონვე გამოევიდა,
ყური არ უგდო მის ვედრებას, ორჯერ დაარტყა
მძიმე სეკირა მუზარადზე, რვალი გააპო,
ძვლები დაღეწა, იარიდან დასთხია ტვინი.
აპენინელი ავნუსის ძე შემოეფეთა,
700

გაშეშდა იქვე მეცხეული შეხვედრის შიშით.
ლიგურთა შორის ცბიერებით იყო განთქმული,
მიხვდა, რომ ბრძოლას უკვე ველარ გაექცეოდა,
ვერცა დედოფალს დაჯაბნიდა ჯიქურად შემტევს.
სცადა, ეჯობნა ცბიერებით და ასე უთხრა:
705

„რა ბედენაა, თუ იქნები ცხენის იმედით?
ნუ გამექცევი, ჩამოხედ და სწორ ვაკვს ენდე,
გაბედე ჩემთან შერკინება, ქალო, ფეხდაფეხ!
მაღლე გაიგებ, ცრუ დიდება ვისა ჰქონია!“
გული აენტო ქალწულს რისხვით, დობილს მიჰგვარა
710

ცხენი და სცადა მტერს ქვეითად შერკინებოდა.
იშიშვლა ხმალი და მსუბუქი ფარი აიღო.

ყრმა, ცბიერებით კმაყოფილი, უმაღლესი გაცვილდა,
სადავეები მიუშვა და ცხენი მოღალა
სწრაფი ქროლვით და რკინიანი დეგების ცემით.
715

„ცრუ ლიგურელო, ნატყუარად ზვიადყოფილო!
ამოდ სცადე აწ ხელობა მამისეული,
ეგ ცბიერება ვერ მიგიყვანს ავსუსთან ჯანმრთელს!“ —
თქვა ქალწულმა და გადაუსწრო მარდი ტერფებით
წინ გაჭრილ მერანს, მყის უტაცა ხელი სადავეს.
720

მტრის დაღვრილ სისხლით ადასრულა ბრძოლის სასჯელი.
ისე იოლად გაუსწორდა, ვით ქორი მტრედსა,
რომელს ღრუბლებში ფრთის ფარფატი აუტაცია,
მტკიცედ უჭირავს და ჭანგებით უჯიჯგნის შიგანს,
სისხლი მოწვეთავს ეთერიდან, ცვივა ბუმბული...
725

ღმერთთა მეუფე, კაცთა მამა ოლიმპოს თხემზე
ჯდა დიდებული, შეჰყურებდა მოკვდავთა ჭიდილს,
თან აქეზებდა ბრძოლისათვის ტირენელ ტარხონს,
შთაბერა რისხვა: დაუღლელად შთაბერა ძალა.
შუა ბრძოლაში შემოიჭრა გმირი ტარხონი,
730

შემდრკალნი რაზმნი გაამხნევა მჭევრმეტყველებით.
სახელით უხმო ყველა მებრძოლს და ასე უთხრა:
„ვაი, სირცხვილო! ტირენელნო, სად გაქრა რისხვა,
რა მძლავრი შიში შეჰპარვია თქვენს მამაც გულებს?
ქალმა გაგფანტათ და რაზმები უკუაქცია?
735

მამ, მარჯვენაში რად გვიპყრია რკინა ამოდ?
თქვენ მხოლოდ ვენუსს, ღამისეულ მის ბრძოლებს იცნობთ,

ოდეს ფლეიტა მოუწოდებს ბახუსის ქოროს,
ლხინს ეწაფებით, ღვინის თასებს, აი, ეს არის
თქვენი ტრფობა და სიხალისე, ოდეს მისანი
740

გაუწყებთ ზორვას და ჭალებში მსხვერპლს მიესევით!“ —
თქვა და შევარდა მტრის რიგებში, რომ მომკვდრიყო,
გულაღგზნებული მყის მიეჭრა ვენულუსს გმირი,
ხელი მოჰხვია და ცხენიდან ჩამოათრია,
მკერდზე მიიკრა საშინელი ძალით ვენულუს,
745

ზეცად ავარდა ყიჟინა და ყველა ლათინმა
მზერა მიაპყრო. წინ გაიჭრა შმაგი ტარხონი,
მტერს მიათრევდა, დაუმსხვრია რკინა მაგარი,
შუბის ბუნიკი. მოუძებნა ღია ადგილი,
რომ სასიკვდილოდ განეგმირა, ხოლო ვენულუსს
750

სწადდა ყელიდან მოეგლიჯა მარჯვენა მისი
და ძალადობას თვისი ძალით შებრძოლებოდა.
როგორც მაღლა ფრენს მუქყვითელი ფერის ფრინველი,
გველი უჭირავს და ჭანგებით ჩასჭიდებია,
ქვეწარმავალი იკლაცნება ორმაგ რკალებით,
755

ქერცლი აჰყრია, თავს მაღლა სწევს, შმაგად სისინებს,
ფრინველი კი ფლეთს დაუთრგუნველს დაუნდობელად,
ნისკარტს ჩაასობს და მიაპობს ფრთებით ჰაერსა...
ტარხონს ასევე ბარ-ზეიმით მიჰყავდა მსხვერპლი.
მეონიელთაც თავის ბელადს მიბაძეს მყისვე.
760

მაშინ არუნსმაც განწირულმა შემოუარა
ფეხმარდ კამილას, შუბით დადგა და შეეცადა

რომ ხელსაყრელი მოენახა დრო და შემთხვევა.
სად მტრის რიგებში მხნე ქალწული მიისწრაფოდა,
იქითვე მის კვალს მიჰყვებოდა ჩუმად არუნსი.

765

სად ფეხს დადგამდა ქალი, მტერზე გამარჯვებული,
იქითვე აღვირს მიაქცევდა ფრთხილი ჭაბუკი.
ხან აქ და ხან იქ გაჩნდებოდა შუბშემართული.
კიბელეს მოგვი და წილხვედრი გმირი ქლორევსი
შორით გამოჩნდა, ფრიგიული თორნით ელავდა,

770

ცხენს აგელვებდა აქაფებულს, ზედ რომ ეფინა
ოქროს ქსოვილი დაფარული სპილენძის ფარფლით.
მას ტანს ემოსა უცხოური ძოწის სამოსი.
ისრებს ტყორცნიდა გორტინიულს ლიკიურ მშვილდით,
ოქროს კაპარჭი ზუზუნებდა ქურუმის მხრებზე,

775

შვენოდა ოქროს მუზარადი, ოქროს ქლამიდი.
ტილოს ნაოჭი ტკაცუნებდა, მისი ტუნიკა
და პაიჭები ნემსით იყო ამოკემსილი.
მებრძოლთა შორის მას მისდევდა ქველი ქალწული,
ან ბომონისთვის სურდა ტროელ მოგვის სამოსი,

780

ან ნადირობდა მტრის ოქროზე. რაზმები გაჭრა,
მდევარს აენთო უფრო მეტად ქალური ნდომა
ნადავლისა და თვალისმომჭრელ იარაღისა.
ბოლოს არუნსმა შეარჩია დრო ხელსაყრელი,
შუბი სტყორცნა და აღავლინა ღვთისადმი ლოცვა:

785

„ღმერთო დიადო, სორაკტეს მთის მცველო აპოლონ,
ჩვენო პირველო, ფიჭვის კოცონს რომ გიძღვნიტ ხოლმე,

შენს სათნოებას რომ შევხარით მსასოველნი
და გულუშიშრად შევერევით ცეცხლს შუაგულში!
მამავ ძლიერო, უსირცხვილო საქმე დაამხე!

790

არ მივესწრაფვი მტრის საჭურველს, ან სხვა რამ ნადავლს,
მოკლულ ქალწულის გაძარცვასა. სხვა სასახელო
საქმენი მელის. დე, დაეცეს სასტიკი წყლული,
მე კი სამშობლოს უსახელოდ დავუბრუნდები!“
ღმერთმა უსმინა, განიზრახა თხოვნის ნაწილი

795

სრულექმნა, ხოლო ნაწილი კი ქარს გაატანა.
მყისი სიკვდილით შუბს კამილა მოაკვლევინა.
სამშობლოს ხილვა მკვლელს ამიერ აღარ აღირსა,
ქარმა წაიღო მისი ღოცვა ქარიშხლის გზითა.
როგორც კი შუბმა ხმა გამოსცა, გაიზუმუნა,

800

ფიცხი ვოლსკები შემობრუნდნენ დედოფლისაკენ,
თვით ქალწულს არა გაუგია, არც ხმა შუბისა,
არც ეთერიდან მოქროლილი საფრთხე, სანამდის
არ განეწონა შუბი შიშველ ძუძუს ქალისა.
ღრმად დაჭდობილი ქალწულურ სისხლს უნდობლად სწოვდა.

805

ყველა დობილი იქვე გაჩნდა, მათ მინდობილი
დაეშვა ქალი. გაეცალა მყისვე არუნსი,
შიშით და ღხენით არეული, ოროლს გაექცა,
ქალწულთა ისრებს დაემალა შეშფოთებული.
ვით გარბის მგელი, სანამ შუბი მტრისა მისწვდება,

810

გზას გადაუხვევს, მაღალ მთებში დაიმალება,
ოდეს მოაშთობს მწყემსს ან მოზვერს. მგელს კარგად ესმის

დანაშაული, მთრთოლვარე კუდს ამოიძუებს
მუცელთან ახლოს, შეშფოთებით ტყეს ეფარება.
ასე მიადგა ჯარს არუნსიც შეძრწუნებული.

815

გულით ხარობდა, რომ გაქცევით უშველა თავსა.
ქალი კვდებოდა, თვისი ხელით მოიძრო შუბი,
ბუნიკი შერჩა გაჩხირული ნეკნებში მჭიდროდ.
სისხლი გაუშრა. გაუცივა სიკვდილმა თვალი.
სახეს მოსცილდა ძოწისფერი და მომაკვდავმა

820

აკას მიმართა ჩუმი სიტყვით, საყვარელ დობილს,
გმირი დედოფლის უერთგულესს, ვისაც ქალწული
მუდამ ხვაშიადს და საფიქრალს უზიარებდა:
„აქამდე, დაო, ძალა მქონდა; ახლა სიკვდილმა
დამცა, გარშემო ყოველივე წყვდიადმა შთანთქა...

825

გასწი და ტურნუსს გადაეცი, ბრძოლის სადავე
ხელში აიღოს და გაფანტოს ტროელთა ჯარი...
აწ კი მშვიდობით!...” — თქვა, გაუშვა სადავეს ხელი,
ძირს ჩამოცურდა, სული ნელა გასცილდა სხეულს.
მოქნილი ყელი გადახარა, თავი ჩაქინდრა,

830

სიკვდილს მინებდა, იარაღი უქმად დაყარა.
სიცოცხლე კვნესით გაეშურა ჩრდილთა სამეფოს.
მწარე გოდებამ მიაღწია ვარსკვლავებამდე.
უფრო გამწვავდა ბრძოლა, ოდეს მოკვდა კამილა.
ტროელთა რაზმი, ტირენელნი, არკადიელნი —

835

მხედრობა მეფის ევანდერის, მტერს შეერკინა.
ამ დროს ოპისი თხემზე იჯდა, ტრივიას ნიმფა,

შორით უშიშრად შეჰყურებდა მძვინვარე ბრძოლას.
უცბად კამილა შეამჩნია ომის გნიასში,
სასტიკ სიკვდილით დაცემული. ამოიოხრა,
840

გულის სიღრმიდან გლოვის სიტყვა აღმოუტევა:
„ვაგლახ, ქალწულო, შენ მოგეზლა დიდი სასჯელი.
რადგან ისურვე ტროელების დათრგუნვა ომით,
ვერც მან გიშველა, რომ დიანას თაყვანსა სცემდი,
და ვერც იმან, რომ მხრებზე ჩვენი კაპარჭი გქონდა.
845

მაგრამ შერცხვენილს არ დაგტოვებს შენ დედოფალი,
ვერვინ ვერ იტყვის, რომ დიდებას ხარ მოკლებული,
რომ არვინ დარჩა შენთვის შურის მაძიებელი.
ვინცა ჭრილობით შეურაცხყო შენი სხეული,
დამსახურებულ სიკვდილით ზღავს შენს სისხლს, კამილა!“
850

მთის ძირას, სადაც დერკენუსის აკლდამა იყო,
მიწაყრილი და დაფარული ჩრდილოვან მუხით,
მიფრინდა ნიმფა მშვენიერი და შეისვენა.
უთვალთვალებდა იგი არუნსს მაღალ სერიდან.
ჰპოვა მოსილი ფარ-ხმლითა და ამაოებით.
855

შესძახა: „აქეთ! საით მიხვალ, მომიახლოვდი!
დაიღუპები და ღირსეულს მიიღებ საზღოს
კამილას გამო. ხომ მოკვდები დიანას ისრით?“
ოქროჭედური კაპარჭიდან იძრო ისარი,
განრისხებულმა გადაჭიმა მთრთოლვარე მშვილდი,
860

მაგრად მოსწია, სანამ მისი ორივ თავ-ბოლო
არ შეაერთა მოძიგძიგე. მარცხენა ხელი

ბუნიკს შეახო, მარჯვენა და ღარი — ძუძუსა.
იმწამს არუნსმაც გაიგონა ზუზუნის ისრის,
ანაზღეულად ჩაეჭედა სხეულში რკინა.

865

მოდმეთ დატოვეს მოყმე სულის აღმომტევარი,
უკანასკნელი სუნთქვა მტვერში ამოადინა...
ოპისი ფრთებით გაექანა ოლიმპოს მთისკენ.
კამილას რაზმი უდედოფლოდ მყის უკუიქცა.
შემფოთებული რუტულები და ატინასი,

870

დატოვებული მოლაშქრენი მიისწრაფოდნენ,
მტერს ზურგს აქცევდნენ, კლდისკენ ცხენებს მიაჭენებდნენ.
ვერვინ გაუძლო უკვე ტროელთ, სიკვდილის მომტანთ,
ვინ შეხვედროდა, დაჭიმული ვის ჰქონდა მშვილდი?
უძლურ ბეჭებზე გადაეგდოთ, ხოლო ცხენები

875

ფლოქვების ცემით აბრუნებდნენ ფხვიერ ნიადაგს.
მტერი კედლებზე დამდგარიყო უკვე წყვდიადად.
კოშკში დედები გამწარებით მკერდს იხოკავდნენ
და ქალურ კივილს აღავლენდნენ ცით, ვარსკვლავამდე.
ლაშქრის ნაწილმა მიაღწია ქალაქის ბჯისკარს,

880

მტერმაც მიუსწრო, აირივნენ ერთურთში რაზმნი,
ველარ იცდენდნენ სავალალო სიკვდილს მებრძოლნი.
ნაწილმა სახლში ძლივს შეასწრო და მამის ზღურბლთან
დაღია სული. ზოგმა კარი გამოიხურა
და მტრების შიშით არც გაუხსნა მოკავშირეებს,

885

მათს მავედრებელთ. სავალალო გნიასი ატყდა.
ერთურთს ებრძოდნენ მცველნი ბჯისა და შემომსვლელნი.

მშობლების თვალწინ იცილებდნენ შინ მოსვლის მსურველთ.
თხრილში ჩავარდნილთ მოკლულთ გვამნიც ზედ ეცემოდა.
სხვებს, მტრების შიშით დაბრმავებულთ, არა ესმოდათ.

890

კარიბჭეს სცემდნენ, თუმც მაგარი ურდული ჰქონდა.
ღიატო, ბრძოლაში მეომარი კამილას მხილველთ,
გული აღეგზნოთ ჭეშმარიტი ტრფობით მამულის.
ისრებს ტყორცნიდნენ, ხან რკინას და ხან მტკიცე ძელებს,
კომბლებს, შერუჯულ მუგუზლებს და ვნებით იწვოდნენ,

895

რომ გალავნისთვის, ქალაქისთვის თავი დაედოთ.
ამ დროს ეუწყა ტყეში ტურნუსს მათი ამბავი.
ქალწულმა აკამ მიაწვდინა საზარი ცნობა:
„კამილა მოკლეს, გააქციეს ვოლსკთა ლაშქარი,
მტრებმა ყოველი ხელთ ჩაიგდეს მარსის წყალობით,

900

შიში დაირხა სიკვდილისა!“ მძვინვარე გმირმა, —
ეს სურდა ალბათ იუპიტერს ყოვლად ძლიერსა, —
დატოვა ჭალა და საფარი ტყიანი თხემის.
როცა წავიდა და მხედრობით ველს მოეფინა,
მაშინ შევიდა ენეასიც უკაცურ ხევში,

905

გადაიარა მწვერვალი და ტყიდან გავიდა.
ორივე გმირი ქალაქისკენ მიქროდა სწრაფად.
სულ ახლო იყვნენ მათი რაზმნი, სულ უფრო ახლო.
როს შორს შენიშნა ენეასმა მინდორზე ბოლი
ავარდნილ მტერისა, ლავრენტელთა რაზმები ნახა,

910

იმ დროს ტურნუსმაც ენეასის ფარ-ხმალი იცნო,
ფლოქვთა თქარუნი და მერანთა ჭიხვინი ესმა.

მყისვე ერთმანეთს შეეხებოდნენ, რომ ბრძენ აპოლონს
ტიბერის ზვირთში არ ეფიქრა რაშის დაბანა
და დღის დაცემით კვლავ მოყვანა ღამის წყვდიადის.
915

მყის დაბანაკდნენ ქალაქის წინ, სანგრები გაჭრეს.

წიგნი მეთორმეტე

ხედავდა ტურნუს უღონოქმნილ ლათინთა რაზმებს,
ყველა ელოდა შესრულებას დანაპირების,
იმედით ჰქონდათ მისკენ თვალი. გამხნევდა გმირი,
ისე განრისხდა, როგორც ლომი პუნიელთ მხარის,
5

მკერდში დაჭრილი მონადირის მძვინვარე შუბით,
ბრძოლისთვის კვლავ რომ ემზადება, ქედზე გადიგდებს
აქოჩრილ ფაფარს და მტრის ოროლს უშიშარ ეშვით
მყისვე დაამსხვრევს, სისხლიანი ხახით ღრიალებს.
ასე აღივსო გაშმაგებით ტურნუსის გულიც.

10

მიეჭრა გმირი ლათინუსს და ასე მიმართა:
„მე არ შევდრკები! ვერ გადავლენ მოცემულ სიტყვას
მხდალი ტევკრები, ვერ შეძლებენ ფიცის გატეხას.
მზად ვარ! მოიტა კერპი, მამავ, და მის წინაშე
აღთქმას ვიძლევი: ან მარჯვენით ქვესკნელში ვშთანთქავ

15

ამ აზიიდან გადმოხვეწილს, ნახეთ, ლათინნო!

რკინით დავამხოვ ჩვენს საერთო შეურაცხყოფელს,
ან ძლეულთ მოგვსპობს, ლავინიას დაისვამს ცოლად!“
მშვიდად მიუგო ტურნუსს მაშინ ლატინუს მეფემ:
„დიდსულოვანო ყრმავ, რამდენად ჩემზე მეტიც ხარ
20

ძალგულოვნებით, იმდენადვე სიფრთხილე მმართებს
და ყოველივე საქმის მშვიდად აწონ-დაწონა.
მრავალი ციხე აგიღია და შენს ხელთ არის
დავუნუსის მხარე, ოქრო, სულიც ლატინუსისა!
ლაციუმს, ველზე ლავრენტუმის სხვაც ხომ ბევრია
25

კეთილი მოდგმის ქალწულები. გინდ დაგიმძიმდეს,
გულწრფელი სიტყვა, ჩაიმარხე გულში, ჭაბუკო!
სხვა საქმროთაგანს ვერ მივცემდი ჩემს ასულს ცოლად,
ყველა უკვდავი თუ მოკვდავი ამას მირჩევდა.
მე მძლია შენმა მეგობრობამ, საერთო სისხლმა,
30

ცოლის ცრემლებმა და გავწყვიტე ყველა კავშირი,
ქალი არ მივეც, წამოვიწყე უგნური ომი,
ამ დღიდან იცი შენ თვითონაც, რა გასაჭირიც
მომითმენია, ავბედობა შენც გამოსცადე.
ორგზის დავმარცხდი, ძლივს გადარჩა სასტიკ ბრძოლაში
35

იმედი ჩვენი იტალიის. სისხლით გამთბარა
ტიბრისის წყალი, გადათეთრდა ძვლებით ველები.
რა ვქნა? კვლავაც რა უგნურება მიმღვრევს გონებას?
თუკი შენს ფასად სამეფოში მივიღებ მომსვლელთ,
არა ჯობია, გიხსნა, შეწყდეს ეს შერკინება?
40

რაღას მეტყვიან რუტულები და იტალიის

სხვა ქალაქები, სასიკვდილოდ, ო, ღმერთმა ნუ ქნას, —
თუ გავიმეტებ მას, ჩემს ასულს ცოლად ვინც მოხოვდა?
გნუკევ, დევგმირო, შეიბრაღე მოხუცი მამა,
შორს, არდეაში რომ დატოვე დამწუხრებული!“

45

მისმა სიტყვებმა ვერ დააცხრო ტურნუსის რისხვა,
უფრო აანთო, გააღრმავა თითქოს მალამომ.

როს ხმის უნარი დაუბრუნდა, ასე მიუგო:

„ტურნუსზე ზრუნვა, ო, კეთილო, ტურნუსს მიახდე,
ნება მიბოძე, სახელისთვის სიცოცხლე დავთმო.

50

შუბი მამკობს და რკინას ვთესავ მძლავრი მარჯვენით,
ჩემს ხელებს ძალუძს ააჩქეფოს სისხლი მხურვალე.

ვეღარ მოუხმობს დედა ქალღმერთს, ქალურ ღრუბელში
რომ გადიმალოს, ბნელს აწ ვეღარ შეეფარება!“

ატირდა მაშინ დედოფალი, შეშფოთებული

55

საშინელ ხვედრით, შეცოვნება სთხოვა სასიძოს:

„ტურნუს, ცრემლებით გევედრები, თუკი ამატას
სახელს პატივს სცემ! ერთადერთი იმედი მყავხარ,
შენ ხარ სიმშვიდე, ლათინუსის მხარის დიდება,
სამეფო სახლის ერთადერთო ბურჯო ძლიერო!

60

გემუდარები, აერიდე ხელჩართულ ჭიდილს!

რაც ამ ბრძოლაში შენ მოგელის, იგივე ხვედრი

მეც არ ამცდება. მეცსეულად საძულველ ნათელს
დავტოვებ, სანამ ენეასის ტყვედ შევიქნები“.

დედის სიტყვა რომ გაიგონა, ცრემლი დასდინდა,

65

ცეცხლი მოედო ლავინიას ლამაზ ღაწვებზე,

ქალურმა კდემამ გადურბინა მშვენიერ სახეს.
თითქოს ინდურ ძვალს მეწამული ფერი ასხურეს,
თითქოს ვარდის კვირტს შეერთოთ თეთრი შროშანი,
ქალწულის სახეს მოეფინა ისეთი ფერი.

70

ვნება მოედო და საცოლეს მიაპყრო თვალი,
უფრო მოსწყურდა ომი ტურნუსს. მოკლედ მიუგო:
„გთხოვ, ავბედითი წინათგრძნობით, კვნესით, ცრემლებით
ნუ გამაცილებ მარსის მძიმე ომში მიმავალს.
დედავ, აწ ტურნუსს საფრთხეს ვერვინ ვეღარ აშორებს.

75

მაცნეო იდმონ! მოახსენე ფრიგიელთ მეფეს
საწყენი სიტყვა: როს ზეცაზე წამოინთება
მეწამულ ეტლში მსრბოლის, ნორჩი აისის შუქი,
ნუ აამხედრებს ტევკრებს ჩვენზე, დე, დაცხრეს ხმალი, —
ჩვენი მარჯვენით გადაიჭრას ომის სასწორი,

80

ამ ველზე ჰპოვოს ლავინია ცოლად მძლევველმა“, —
ასე წარმოთქვა, გაეცალა. ცხენები იხმო,
სული აღევგზო მოჭიხვინე რაშების ცქერით.
ისინი ჯილდოდ ორითიამ პილუმნუსს მისცა,
სითეთრით თოვლს და სისწრაფით რომ გრიგალს
არცხვენდნენ.

85

მეკინიბენი იქვე დადგნენ, ეფერებოდნენ,
ხელებს უსვამდნენ და ფაფრიან კისრებს უფხანდნენ.
გმირმა ოქროთი მოელვარე ჯავშან-ბექთარი
მოირგო ტანზე, საჭურველი აისხა მყისვე:
ხმალი და ფარი, ბუჩი, წითელ ჯილით მოსილი.

90

დავუნუს ეს ხმალი გაუჭედა ცეცხლისმფლობელმა
ღვთაებამ, შემდეგ გამოაწრთო სტიქსის ნაკადში.
მოყმემ კოლონის ჩრდილში შუბი მიყუდებული,
გმირი აკტორის, ავრუკთ მეფის მძლე იარაღი
ანაზდეულად ხელთ აიღო და შეჰღალადა:

95

„ჰე, შუბო, ჩემთვის არასოდეს გიღალატნია,
ახლა დაგიდგა ჟამი! გფლობდა წინათ აკტორი,
დღეს კი ტურნუსი დაგეუფლა. დამამხოვინე
ის ქალაჩუნა, მალეწინე მისი ბექთარი.
მტვერში ჩავზილოთ თბილი რკინით ხვეული თმები,
100

ნელსაცხელებელი რომ მოსწვეთავს უძვირფასესი!“
ასე შმაგობდა გმირი, თვალებს სცვიოდა მწველი
ნაპერწკლები და მთელ სახეზე ელავდა ალი.
თითქოს ბრძოლის წინ აღმუვლდაო საზარი ბუღა,
სიკვდილის მომტან რქებს არხევსო, აწვება ხესო,
105

მისი დარტყმებით ზანზარებსო თითქოს ჰაერი,
ქვიშას წამოყრის, ემზადება სასტიკ ბრძოლისთვის.
იმ დროს ტურნუსზე არანაკლებ აღიგზნო ბრძოლით
დედის ბექთარში აღჭურვილი გმირი ენეას,
ხარობდა ომის ორთაბრძოლით შეწყვეტის გამო
110

ამხანაგები დაამშვიდა, მწუხარ იულუსს
წერა გაანდო, მაცნეთ უთხრა, მეფე ლატინუსს
მიუტანეთო პასუხი და ზავი დავდოთო.
ოდეს მთის თხემი ბრწყინვალეებით ოდნავ დაფარა
ახალშობილმა დღემ, ქვესკნელით წამოიშართნენ
115

რაშები მზისა, ნესტოთაგან შუეი აფრქვიეს,
საბრძოლო ველი გაღავანთან ლავრენტუმისა
დათქვეს ტევკრებმა, რუტულებმა და მოამზადეს.
შუაში ჰქონდათ ღმერთებისთვის საკურთხეველი,
კერა გამართეს, სხვებმა წყალი მოიმარაგეს,
120

ცეცხლი მოჰქონდათ ფეშტემალში გამოწყობილებს.
გამოემართა ავზონთ რაზმის ნაკადი მძლავრი
ქალაქის ბჭიდან, ტევკრთა ჯარიც მიუახლოვდა
ტირენთა რაზმთან ერთად, მტკიცე ჯავშნით მოსილი,
თითქოს მრისხანედ მოუხმობსო ბრძოლა მარსისა.
125

ათასთა შორის ბელადები გამორჩეულან,
ოქრო-ძოწებით ზვიადქმნილნი, მოელვარენი:
ასარაკუსის მოდგმა — მნესთევს და აზილასი,
ნეპტუნუსისა — მესაპუსი ცხენით მებრძოლი.
ნიშანი მისცეს, უკუიქცნენ რაზმები მწყობრად,
130

შუბი ქვიშაში ჩააჭედეს, ფარები დადეს.
ცნობისმოყვარე დიაცებმა, ბრბომ მდაბიოთა
სახურავები შენობათა, კოშკნი გაავსეს,
ზოგი კარიბჭის ქონგურებზე აღმართულიყო.
ამ დროს იუნო დამდგარიყო ალბას გორაკზე, —
135

იმ მთას სახელი და დიდება არ ჰქონდა მაშინ, —
თვალი მოავლო ბანაკსა და ორსავე მხედრობას:
ტროელთ, ლავრენტელთ და დიდ ქალაქს ლატინუსისა.
შემდეგ მიმართა ტურნუსის დას, ქალღმერთმა — ქალღმერთს,
რომელიც ტბებს დ მოჩუხჩუხე ნაკადებს ფლობდა
140

(ეთერის მეფემ მიანიჭა ქალს ეს ღირსება —
იუპიტერმა, ნაცვლად წარხდილ ქალწულობისა):
„ნიმფავ, ნაკადთა მშვენებო, გულის სიამევე!
მხოლოდ შენა ხარ ყველა ლათინ ქალწულთა შორის,
იუპიტერის ვერაგ საწოლს ვინც შეხებიო,
145

ჩემთვის საამო. ზეცის ღირსად მიმიჩნევიხარ!
შენვე შეიცან გლოვა შენი, მე არ მაბრალო,
რაც კი ძალმედვა, რაც ძლიერმა პარკებმა მომცეს
უფლება, ტურნუსს და მის ქალაქს ისე ვიცავდი.
ახლა კი ვხედავ უმოწყალო ბრძოლაში ჩაბმულს,
150

საბედისწერო ჟამი დგება, ეს შერკინება
და შემდეგ ზავი, იუტურნა არ მსურს ვიხილო!
თუ შეგიძლია დაეხმარო შენს ძმას უბედურს,
მე ნებას გაძლევ, ვინძლო ვიქნებ გადაარჩინო!“
ეს თქვა თუ არა, იუტურნამ ცრემლები ღვარა,
155

სამგზის თუ ოთხგზის ლამაზ მკერდზე დაიცა მჯილი.
„ცრემლის დრო არ გაქვს, — სატურნუსის ასულმა უთხრა, —
მსწრაფლ იმოქმედე, ძმა დაიხსენ სიკვდილისაგან,
ან აღძარ ომი, დაარღვიე ხელშეკრულება.
მე ვაგებ პასუხს!“ — ასე უთხრა და მიატოვა
160

შეშფოთებული, მწარე სიტყვით გულდაკოდილი.
აგერ ბელადნიც: უზარმაზარ ოთხთვალა ეტლზე
მოდის ლატინუს, მის კულულებს თორმეტი სხივი
წმიდა ოქროსი მოჰფენია, მზეს ედარება.
ხოლო ტურნუსის ეტლში წყვილი თეთრი ცხენია,
165

მრჩობლი ოროლი წამახული ხელთა აქვს მამაცს.
აგერ ენეას, რომაელთა მოდგმის სათავე!
ფარი ანათებს, გეციური თორნი უელავს,
ასკანიუსიც გვერდითა ჰყავს — იმედი რომის.
მიუახლოვდნენ. თეთრ სამოსში შემოდის მოგვი,
170

გოჭი და კრავი, ჯერეთ საწმისგაუკრეჭავი
მოჰყავს ადგილზე აელვებულ საკურთხეველთან.
მზეს ამომავალს ღვთისმოსავნი თვალნი მიაპყრეს,
ფქვილი აპნიეს და მარილი გვარაკს, მახვილი
შუბლს განუწონეს, დაასხურეს თასით ზედაშე.
175

ხმალი ჩაბლუჯა ენეასმა და შეჰღალადა:
„მოწმედ მოვიხმობ დიად მზეს და ამ წმიდა მიწას,
რომლისთვის შევძელ ესოდენი შრომის მოთმენა.
მამავ ძლიერო, სატურნიავ, მისმინე, სათნოვ,
უმორჩილესად, ვიდრე დღემდე, გემუდარები!
180

ბრძოლას წარმართავ, მოწყალეო მამაო მარსო!
მდინარეთ ვუხმობ, ნაკადულებს, მაღალ ეთერში
რაც ღმერთებია, და ბინადართ ლაჟვარდი ზღვისა!
თუ გაიმარჯვებს ავზონელი ტურნუს შემთხვევით,
ძლეული ჯარი ევანდერის ციხისკენ წავა.
185

განილტვის მყისვე ასკანიუს, ამიერიდან
ტევკრნი მახვილით ავზონთ მიწას არ შებედავენ.
თუ ვიკტორიას სურს, რომ მარსი ჩვენა გვწყალობდეს, —
აგრეც მგონია, — აღმისრულოს ღმერთმა ეს სიტყვა,
იტალიელებს დარდანელთა მონად არ გავხდი,
190

ვპოვებ საუფლოს, ხოლო კანონს თანაბრად ფლობდეს
ორივე მოდგმა, მარადისი ჰქონდეთ კავშირი.
ჩვენს ღმერთებს მოგცემთ! ლატინუსი, ჩვენი სიმამრი,
დე, კვლავ მართავდეს ხმლით სამეფოს, ტევკრები ქალაქს
დაუფუძნებენ, ლავინია მას მისცემს სახელს“, —
195

ასე თქვა. შემდეგ ლატინუსმა წარმოთქვა სიტყვა,
ზეცას ახედა, ვარსკვლავისკენ ხელი აღაპყრო:
„ენეას, მიწას გეფიცები, ზღვასა და ზეცას,
ლატონას პირმშოს ორს, იანუსს ორსახიანსა,
ქვეშეთის ღმერთებს და სასტიკი დისის სამსხვერპლოს,
200

მამაც მოწმეა, — მცველი წმიდა, საღმრთო კავშირის,
ბომონს ვეხები, ჰა, ცეცხლსა და ღმერთებსა ვფიცავ,
რომ დაიცავენ ზავს და აღთქმას იტალიელნი,
რაც უნდა მოხდეს, სურვილს ჩემსას ვერავითარი
ძალა ვერ მოსპობს, თუნდ ხმელეთი ზღვად გადაიქცეს,
205

წარღვნამ წალეკოს და შეერთოს ქვესკნელს ზესკნელი!
ამ კვერთხსა ვფიცავ, — მარჯვენაში მას კვერთხი ეპყრა, —
ახალ ფოთლებს რომ არ აიყრის, ჩრდილს არ გამოსცემს,
მშობლიურ ხიდან მოკვეთილი უსიერ ტევრში,
დედას გაცლილი; თმა და ხელი რკინამ მოსხიპა,
210

და შტოყოფილი ხელოვანმა ლამაზ სპილენძში
მოაჩუქურთმა, ლათინთ მთავრებს საუნჯედ მისცა“.
ასეთ სიტყვებით დაამყარეს მტკიცე კავშირი
ბელადთა შორის. ვით წესია, დაკლეს ზვარაკი
წმიდა კოცონთან და ნახევრად ცოცხალი გვამი
215

გაშიგნეს, სინით დაამძიმეს საკურთხეველი.
რუტულნი ბრძოლას მიიჩნევდნენ უთანასწოროდ,
მებრძოლთ უმღვრევდა გულს სხვადასხვა გრძნობის
ჭიდილი,
მით უფრო, გრძნობდნენ მოქიშპეთა ძალის სხვაობას.
მათ აღაგზნებდა ბომონისკენ წყნარად მავალი
220

გმირი ტურნუსი, უსასოოდ მსასოვარი.
ლაწვი გაუკრთა, სახის ყვავილს ფითრი მოედო.
დამ იუტურნამ იგრძნო მყისვე შემკრთალი ხალხის
აზრთა, ნათქვამთა და სურვილთა სხვადასხვაობა.
რუტულთა დასში მიემსგავსა გულზვიად კამერსს,
225

საჩინო მოდგმის ყრმას, რომელსაც მამის სიმხნევე
უმკობდა სახელს, თუმც თვითონაც მამაცი იყო,
ხალხს შეერია, აღასრულა განზრახვა თვისი.
ხმები დაყარა, აყვედრებდა მებრძოლებს ასე:
„არ გრცხვენიათო, რუტულებო, ყველას მაგიერ
230

ერთი გაწიროთ? ნუთუ ძალით არ ეტოლებით
ან რიცხვით მტერსა? ნახეთ ტევკრნი, არკადიელნი,
ტირენთ ლაშქარი ავბედითი და მტერი ჩვენი!
თუ შევებმებით, ერთზე ერთიც ვერ მოვა მაშინ!
ტურნუსი ღმერთებს ეახლება, ვის სამსხვერპლოსაც
235

დღეს თავსა სწირავს, ხალხის აზრში მუდამ იცოცხლებს,
ჩვენ კი დავკარგავთ მამულსა და თავისუფლებას,
ჩვენ, უმაქნისად რომ დავმდგარვართ ამ ბრძოლის ველზე“.
მისმა სიტყვებმა ყრმა მებრძოლთა სული აღანთო,
შორს და შორს გაჰყვა დრტვინვა რაზმებს, გაქრა ყოყმანი.

240

ლავრენტელნი და ლათინები აღშფოთდნენ მალე,
ომის და გლოვის დამთავრების იმედის მქონეთ
ახლა ბრძოლა და შეთანხმების ჩაშლა სწყუროდათ.
ტურნუსის ბედმა ააღელვა მხედრობა მთელი,
უფრო დიდ იონს იუტურნამ მიმართა მაშინ,

245

ნიშანი მისცა, შეაშფოთა იტალთა სული,
მათ სასწაულით დაუბნია უმაღლვე თავგზა:
მეწამულ ცაზე მძლე ფრინველი იუპიტერი
მისდევდა ფრთოსანთ ზღვისპირეთის, შემდეგ დაეშვა
მდინარის მხარეს, წამოშალა ჩიტების გუნდი,

250

კაუჭა ჭანგით აიტაცა გედი ამაყი.
იტალთ მიაპყრეს ყურადღება, ხოლო ჩიტები
შედგნენ, ატეხეს ჟრიამული, საოცარია, —
ფრთებით ჰაერი დააბნელეს, ალყა დაარტყეს
არწივს, ღრუბელი მოასალტეს, სანამ მტრებისგან

255

ძლეულმა ჭანგი არ შეუშვა მსხვერპლს დამძიმებულს,
წყალში ჩაუშვა, თვით ღრუბელში გაუჩინარდა.
ხელი შემართეს და შესძახა ტოლუმნიუსმაც:
„აი, ნიშანი, მე რომ ბევრჯერ მსურდა მენახა!

260

მწამს, ვაღიარებ! უბედურნო, აიღეთ შუბნი
და მე მომეყვით, უკანონოდ მოსული ლაშქრის
შიში ნუ გაკრთობთ, ვით მფრთხალ ჩიტებს; მშობლიურ
ნაპირს

ძარცვავს მხედრობა, მაგრამ მალე ზღვაში აუშვებს
აფრებს, განილტვის! შეაერთეთ მტკიცედ რაზმები

და ტყვე ბელადი დაიცავით, მებრძოლნო, თქვენი!“ —
 თქვა და გაიჭრა, შუბი სტყორცნა ტევკრების მხარეს,
 სტვენა გაიღო გაფრენილმა ჭოკმა, ჰაერი
 გაჭრა ზუზუნით, მყისვე ატყდა მძლავრი ყიჟინა,
 მთელი ლაშქარი აირია, შეშფოთდა გული.

270

შუბის პირდაპირ ცხრა ძმა იდგა პირმშვენიერი,
 რომელნიც ერთმა ტირინელმა ერთგულმა ქალმა,
 არკადიელი გილიპუსის ცოლმა, შვა თურმე.
 მათ შორის ერთ-ერთს, სად დაწნული ქამარი კრავდა
 მამაცის წელსა, სად ტყავს კბენდა სპილენძის ბალთა,

275

ჭაბუკს მშვენიერს, მოელვარე ბექთარში ჩამჯდარს,
 ჩაეჭდო შუბი და ქვიშაზე მყის დაანარცხა.
 ხოლო ძმათ რაზმი, უცაბედი ჭირით გზნებული,
 შიშველი ხმლებით, ამართული მარდი შუბებით
 ბრმად ისწრაფოდა შესახვედრად ლავრენტელთ ლაშქრის.

280

ტევკრნიც მიაწყდნენ მძვინვარენი, ბრბო აგილელთა,
 გამოჩნდნენ ფარნი მოხატულნი არკადიელთა,
 შერკინების და რკინის ვნებამ მოიცვა ყველა.
 მყისვე გაფანტეს სამსხვერპლონი, ცას მოეფინა
 შუბების ჯანყი და მოვარდა რკინის ღვართქაფი.

285

მტერს ცეცხლი სტყორცნეს, ლათინუსმა იგრძნო — კავშირი
 თუ ვით დაირღვა, მყის წაიღო კერპი განძრცვილი.
 სხვები ეტლსა და ბედაურებს მიაგელვებდნენ,
 გაშიშვლებული მახვილებით მოქროდნენ შემწედ.
 რაშიც მიეჭრა მესაპუსი ტირენ ავლესტეს,

290

მეფურად მორთულს და მშვიდობა მსწრაფლ დაარღვია.
შიშით უკუდგა, საკურთხეველს ფეხი წამოჰკრა
მის უკან მორთულს და დაასკდა მიწას ბედკრული.
პირაღმა ეგდო. იარაღით ეცა მესაპუს,
ვეება შუბით მყის განგმირა მავედრებელი,

295

თან მიაყოლა ეს სიტყვები მძვინვარე გმირმა:
„აჰა, მიიღე! ეამები მსხვერპლად უკვდავებს!“
მყის იტალეზმა გააშიშვლეს ჯერ თბილი გვამი.
მაშინვე ცეცხლი კორინეუსმა მოსტაცა ბომონს,
მამაც ებუზუსს, შემართული ხმლით რომ მოქროდა,

300

აღით დაუწვა სახე; ხშირი წვერი განათდა,
დადგა სიღამწერის სუნი, შემდეგ თვითონ ეძგერა,
წვდა მტერს დაბნეულს თმებში გმირი მარცხენა ხელით,
მუხლით დააწვა, ძირს დააკრა, ფერდში სცა რკინა.
პოდალირიუსს გაშმაგებით ცხოვართ მწყემსს აღსუსს,

305

ვინც მეწინავეთ მწკრივში ოროლთ შორის გარბოდა,
ხმალშემართული მიუვარდა, მაგრამ მტერს მწყემსმა
შუა გაუპო შუბლი, პირი, ნიკაპს ჩამოჰყვა
მძლავრი სეკირით და ბექთარი შეღება სისხლით.
მძიმე სიმშვიდე დაეუფლა და რკინის ძილი,

310

გადაეფარა თვალს წყვდიადი მარადიული.
ამ დროს ბელადმა ღვთისმოსავმა ხელი აღაპყრო
უიარაღო და შესძახა თავის მეომრებს:
„რას სჩადით, ეს რა შუღლი ატყდა ასე უეცრად?
რისხვა დააცხრეთ! შეთანხმება დაიდო უკვე,

წესიც დადგინდა: ბრძოლის მართო მე მაქვს უფლება!
 ბრძოლად გამიშვით, ნუ კრთით, კავშირს ჩემი მარჯვენით
 მე განვამტკიცებ, გმირი ტურნუს ენეასს ერგო!“
 როს მეტყველებდა სათნო გმირი, მყის ფრთაშესხმული
 მოიჭრა სტვენით ენეასთან ბასრი ისარი,

320

ვინ იცის, ვისი ხელითა და გულმოდგინებით!
 ვინღა არგუნა ეს დიდება რუტულთ, შემთხვევამ
 თუ, იქნებ ღმერთმა? დაფარულა მიზეზი ჩვენგან.
 ბელადის დაჭრა საამაყო იყო ყველასთვის.
 რა დაინახა ოტებული მტერი ტურნუსმა,

325

ტროელთ სილტოლვა, კვლავ აენთო გულში იმედი,
 ცხენი მოიხმო, ხმალი იპყრა, მძლავრი ნახტომით
 ეტლს შემოევლო და მოზიდა სადავეები.
 მრავალი მოსპო ბრძოლის ველზე შმაგად მქროლავმა,
 ბევრი ათრია ეტლით, ბევრი გასრისა ბორბლით

330

ძლიერმა გმირმა, უკუქცეულთ ოროლი სტყორცნა.
 ვით ცივ ნაკადში ჰებრუსისა აღდგება ხოლმე
 მარსი, მოიქნევს სისხლიან ფარს, მძვინვარე ცხენებს
 ბრძოლის აღმძვრელი მიუშვებს და გაშლილ ველებზე
 ნოტუსს, ზეფირუსს, წინ გაუსწრებს, ფლოქვისგან კვნესის

335

თრაკიის მხარე, იძვრის შავი საშინელება,
 რისხვით მოქრიან ღვთის მხლებელნი უმძვინვარესნი, —
 ასე მიმართა ბრძოლის ცეცხლში ცხენი ტურნუსმაც,
 ქაფიან რაშთა ქროლვით გვამებს გადაურბინა
 დაღუპულ მტერთა... სისხლის შხეფი აყარეს ფლოქვით

340

ბედაურებმა, სისხლის ღვარში არიეს ქვიშა.
მოკლა სთენელუს, თამირუსი, ფოლუს — ახლოდან,
ხოლო სთენელუს შორიდანვე განგმირა შუბით.
იმბრაზიდებიც — გლავკუს, ლადე, რომელნიც მამას
გამოეზარდა ლიკიაში და აღეჭურვა

345

მორკინალებად, ცხენოსნებად ქარზე სწრაფებად.
გმირი ევმედე შემოიჭრა შუა ბრძოლაში.
მოდგმა განთქმული დოლონისა, რომელიც პაპას
სახელით ჰგავდა, ხოლო მამას — ძალგულოვნებით.
მან დანაელთა დასაზვერად ბანაკში შესვლის

350

ჯილდოდ პელიდის ბედაურთა თხოვნა გაბედა.
მძლავრმა ტიდიდმა მტერს ასეთი თავხედობისთვის
სხვა ჯილდო მისცა, დაავიწყა პელიდის რაშნი.
გაშლილ მინდორზე თვალი ჰკიდა გმირმა ტურნუსმა
და მტერს შორიდან დაუმიზნა მსუბუქი შუბი,

355

შემდეგ ცხენები დააოკა, ეტლით გადმოხდა,
ცოცხალ-მკვდარ მებრძოლს მიუვარდა, ფეხით ჩაჭეცყა
მტრის ქედი, ხმალი გამოსტაცა, ყელში ღრმად ჩასცა
ელვარე რკინა, მძვინვარებით ზედვე დაურთო:
„ჰა, მიწა, ტევკრო! მას მახვილით შენ ხომ ეძებდი!

360

ტანით გაზომე ჰესპერია! მასვე მოიმკის,
ვინც ტურნუსს ებრძვის! გალავნებსაც ასე აღმართავს!“
შუბით დარეტი მოკლა, იქვე ასბიტე, ქლორევს,
სიბარისი და თერსილოქუს, შემდეგ თიმეტე,
წაბორძიკებულ მერანიდან გადმოვარდნილი.

თითქოს ბორეას ედონელი ეგეოსს ზემოთ
 ღმუის მძვინვარე, კლდეს ტალღები ეხეთქებიან,
 ქრის ქარიშხალი და ზეცისკენ აღმართავს ღრუბლებს, —
 ასევე ტურნუსს, გზის გამკაფველს, განუდგა მტერი,
 უკუილტვოდნენ მეომრები, მედგრად მიქროდა,
 370

ჯილას აქროლილს გაურბენდა სისინით ქარი.
 ფეგევსმა ველარ მოითმინა მოყმის შეტევა,
 მივარდა ცხენებს აქაფებულთ, აღვირის მღვჭველთ,
 სწვდა, მოუგრიხა მყისვე ქედი მძლავრი მარჯვენით,
 სდია ფეხდაფეხ, საკისრული ხელთ ეპყრა მტკიცედ.
 375

მრისხანე შუბმა გაუნგრია მებრძოლს ჯავშანი,
 მკერდი დაკაწრა და იგემა მტრის სისხლი თბილი.
 ფარი იფარა და გულდაგულ მტერს შეეგება,
 ხმალი დაადრო ქარქაშიდან, მაგრამ მაშინვე
 ბედკრული დასცა ეტლის თვალმა, ტურნუსის შუბმა,
 380

მიწას განერთხო, მეყსეულად ჩასცა ტურნუსმა
 მუზარადსა და ტროულ ჯავშანს შორის კისერში,
 თავი წაადრო, გვამი მტვერში დატოვა იქვე.
 ვიდრემდის ველზე უძლეველი გმირი შმაგობდა,
 ერთგულ აქატეს, მორჭმულ მნესთევსს და ასკანიუსს
 385

მამა ენეას ბანაკისკენ მიჰყავდათ ფრთხილად.
 ფეხს იმაგრებდა გმირი და შუბს იშველიებდა,
 მაინც შფოთავდა, ჭრილობაში ჩარჩენილ ისრის
 აგლეჯა სურდა, განკურნებას ითხოვდა ჩქარა.
 ხმლით გაკვეთეთო იარა და გახსენით ბუდე

390

შეჭრილ ისრისა, გაუშვითო ბელადი ომში!
ყველას დაასწრო იაპიქსმა იაზიადმა,
ფეხუსისათვის სანუკვარმა. აპოლონ ღმერთმა
თვით მისცა ყველა ხელოვნება, ნიჭი არგუნა
მას ავგურობის, კითარაც და სწრაფი ისრებიც.

395

ვაჟს ავადმყოფი, მოხუც მამის სიცოცხლე სწადდა,
ბალახთა ცოდნა, დაუფლება მშვიდი ხელობის,
ექიმთა სიბრძნის მან ისურვა შეძენა მაშინ...
კბილებს აღრჭენდა, შუბს დაეყრდნო მრისხანე გმირი.
მას გვერდით ედგა იულუსი, მებრძოლთა დასი

400

ცრემლმორეული. პეონიურ წესით მოხუცმა
სამოსის კალთა აიკრიფა და მოაგროვა
ფეხუსის შამბი სამკურნალო. ბებერ მარჯვნივ
ამაოდ სცადა აეგლიჯა ჭდეული რკინა,
ჯიუტი გაზით ეწეოდა მას ჭრილობიდან.

405

ხელს არ აძლევდა არც ფორტუნა, არცა მოძღვარი —
აპოლონ ღმერთი. ამ დროს ველზე კვლავ გაცხოველდა
სასტიკი ბრძოლა, მოახლოვდა; მტერით დაიფარა
ცა მათ წინაშე, უკვე მტერი მოადგა ბანაკს.
ცვიოდა შუბი, გაისმოდა მებრძოლთ კივილი,

410

გამძვინვარებულ მავორტის ქვეშ დაცემულ გმირთა.
ვენუსი წუხდა ვაჟიშვილის უბედურებას,
კრეტის იდაზე მან მოწყვითა იფნურას ღერო,
აფოთლილი და დაფარული ძოწისფერ კვირტით.
თქმულა, მუხნარის ჯიხვამაც იცის მალამო იგი,

415

თუ სწრაფფრთიანი გაეჩხირა ისარი ქედზე.
ვენუსმაც იგი წამოიღო, ნისლი იფარა,
პრიალა თუნგში მოათავსა შემდეგ მცენარე,
შთაბერა ძალა საიდუმლო, წვენი დაასხა
ამბროზიისა, სურნელოვან პანაცეასი.

420

მრავალწლოვანი იაპიკსი სწორედ ამ სითხით
ბანდა იარას, სასწაულს კი ვერ გრძნობდა იგი.
მსწრაფლ გაქრა სენი, მყისვე შეწყდა სისხლის დინება,
ხელს მიჰყვა, თვითონ ამოვარდა ბასრი ისარი,
მოყმის მძლავრ სხეულს დაუბრუნდა სიმტკიცე ძველი.

425

„გმირს — იარაღი! რას უდგახართ? — წამსვე შეჰყვირა
იაპიქსმა და კვლავ აღაგზნო ბრძოლისთვის სული, —
არა კაცთ ხელით, არა სიბრძნით სააქიმოთი
აღსრულდა საქმე, შენ განგკურნა არა მარჯვენამ,
უფრო ღიადმა ძალამ გიხსნა ღიად საქმისთვის!“

430

მან კი, უძღებმა ომით, ოქროს საბარკულები
მყის მოისალტა, მოუთმენლად შუბს სწვდა ელვარეს,
როგორც კი ფარი მოიმარჯვა, ჯავშანში ჩაჯდა,
გმირი ბელადი ასკანიუსს გადაეხვია,
აკოცა პირმშოს და ასეთი სიტყვები უთხრა:

435

„შვილო, გმირობა და სიკეთე ისწავლე ჩემგან,
ბედნიერება, ვაგლახ, სხვისგან! დღეს ეს მარჯვენა
დაგიცავს. შემდეგ მოიპოვებ ღიად მომავალს,
როს მწიფობარი ყრმის ასაკი დაგისრულდება.
გახსოვდეს, როცა სამამაცო საქმეს იფიქრებ,

440

ბრძოლაში გიწვევს ენეას და ბიძა — ჰექტორი!“ —
თქვა და გავიდა გმირთაგმირი მყის კარიბჭიდან,
შუბი შემართა, შემოეჭდო მხედრობა მჭიდროდ,
მასთან ანთევსმა და მნესთევსმაც დათმეს ბანაკი,
ლაშქარიც მიჰყვა. ხშირმა ბულმა დაფარა ველი,

445

ძირს აცახცახდა ნიადაგი სრბოლით აღძრული.
მტრების სანგარში სწრაფმსროლ რაზმებს ხედავდა
ტურნუს,
ავგონელთ სახსრებს დაურბინა გამჭოლმა ძრწოლამ.
ხმა გაიგონა იუტურნამ, იცნო თქარუნი,
საზარი შიშით უკუიქცა შეძრწუნებული.

450

მტვრიან მინდორზე მიუძღოდა ჯარს ენეასი.
ნაპირზე გასკდა თითქოს მეხი, მოდგა ღრუბელი
ზვირთთა პირისპირ. ვაგლახ, უგრძნობს გული უბედურთ
საშინელებას, მუხნარს ელის იავარყოფა,
ველებს ხანძარი, ყოველივეს მოსპობს უნდობლად,

455

თან მიჰყვებიან ნაპირისკენ ქარნი ხმაურით.
ასე ბელადიც რეტეელი მტრისკენ გაუძღვა
ლაშქარს მძვინვარეს. მწყობრად დადგა მრისხანე ძალა.
მძიმე ოზირისს კლავს თიმბრევესი და ეპულონეს —
აქატე, მნესთევს არკეციუსს სპობს ულმოებლად.

460

გიასი უფენსს დასცემს, კვდება ტოლუმნიუსიც,
მტრის ლაშქარს შუბი ვინცა სტყორცნა უპირველესად.
ცას მოეფინა ჟრიაშული, ახლა რუტულნი
მტერს ზურგს აქცევდნენ ბრძოლით დაღლილს და

მტვრით დაფარულს.

ლტოლვილნი გმირმა ენეასმა არ ღირსყო მოკვლად,
465

არვის შეება, არც მსროლელთა კვლას მიჰყო ხელი.
ტურნუსს ეძებდა, მხოლოდ ტურნუსს გაუვალ ტევრში,
მხოლოდ იმასთან შეტაკება სწყუროდა გულით.

მაშინ ძლიერმა იუტურნამ შეშფოებულმა
მეეტლე ძმისა მეტისკუსი სწრაფი ეტლიდან
470

ძირს ჩამოაგდო და დატოვა დაბლა განრთხმული.
ეტლზე დადგა და ტალღოვანი სადავე იგდო,
მეტისკუსს ჰგავდა საჭურვლითაც, ხმითაც და ტანით.
თითქოს მდიდრულ ბაღს დაჰფარფატებს შავი მერცხალი,
მაღალ ღობეზე გაიელვებს ბაღის გარშემო,
475

საზრდოს აგროვებს მოჟღურტულე პატარებისთვის,
ცარიელ ბჭესა და გუბეებს ჭიკჭიკით უვლის, —
ასევე ნიშნა იუტურნა მტრის შუაგულში
რაშს მიაქროლებს და გვერდს უვლის მოხერხებულად.
მტრებს ძმას მრისხანეს ხან აქ, ხან იქ თუ მოაჩვენებს,
480

მაგრამ საომრად როდი უშვებს, კვლავ შორს იტაცებს.
ენეას ამ დროს მოუთმენლად ეძებდა მამაცს,
დაშლილ ლაშქარში მაღალი ხმით ტურნუსს უხმობდა,
მაგრამ რამდენჯერ არა ნახა მტერი და სცადა,
ფრთოსანი რაშნი დაეჯაბნა სწრაფი სირბილით,
485

იმდენჯერ ეტლი იუტურნამ უკმოაბრუნა.
ვაგლახ, რა ექნა? ამაოა ვაჟუცის რისხვა,
სულს ამღვრევს ფიქრი სხვადასხვა და მოუსვენარი.

მხნე მესაპუსმა, ორი ბასრი შუბი რომ ჰქონდა,
წვრილ ძელზე რკინა წამოეცვა, ბელადს ანაზღად
490

ესროლა ერთი და უსწორა საგულდაგულოდ.
ფარი იფარა ანქიზიდმა, ტანი მოკუმშა,
მხოლოდღა ჩაჩქნის წვერს შეეხო სწრაფი ოროლი
და მოათალა მის მუზარადს მთრთოლვარე ზუჩი.
რისხვით აინთო ენეასი, თავს რომ დაესხნენ,
495

თანაც შენიშნა, რომ ილტვოდა ეტლი მის გვერდით,
მცის შეჭლალადა იუპიტერს ფიცის დარღვევა,
რაზმს შეერია და საზარი მარსის მხნეობით
განურჩეველი ხოცვა-ჟლეტა გამართა გმირმა,
შურისძიებამ გამოსტაცა რისხვის აღვირი.
500

უკვდავთა შორის ვინ უმღერებს ამდენ გმირობას,
მამაცთა სიკვდილს, რომელთ ველზე ხან ავიწროებს
რუტული გმირი, ხან ტროელი ბელადი დასცემს?
განა შენ ბრძანე, იუპიტერ, ასე შებმოდნენ
ერთუროს ტომები, ვისაც ზავი ეწერა მარად?!
505

მამაცი სუკრონ, ვინც პირველად ტევკრთა შეტევა
მოიგერია, ოდეს შეხვდა ტროელთა ლაშქარს,
ფერდში განგმირა ენეასმა, იქ, სად უმაღეს
ხმალს მოაქვს კვდომა — ნეკნებს შუა, გულის ფიცართან.
ცხენით ჩამომხდარ ტევკრს ამიკუსს, დიორეს, მის ძმას
510

შეხვდა ტურნუსი გულმძვინვარე — ერთს გრძელი შუბით,
მეორეს ხმლითა და მოჭრილი თავები მტრისა
ეტლზე დაკიდა, გააქროლა სისხლმომწვთოლვარე.

ტალოსი მოკლა, ტანაისიც, მძლავრი კეთეგუს,
სამთავე ერთად, ზედ დააკლა მათვე ონიტე —
515

ექიონის ძე (დედად ჰყავდა ყრმას პერიდია).
მყისვე ფეხუსის ლიკიიდან მოსული ძმები
განგმირა, მათთან მენეტესიც, ბრძოლის მოძულე,
არკადიელი წარმოშობით. ლერნას მახლობლად
ცხოვრობდა იგი მესათხევლე, დიდება გმირთა
520

მან არ იცოდა, ხნავდა ხოლმე იჯარით ყანებს.
როგორც ჭალაში მოიჭრება ჭავლი ცეცხლისა,
სიცხით გააშრობს ტევრს, გადირბენს დაფნის ბუჩქნარებს,
ყლორტებს დაუვლის მაღალ მთიდან ჩამოვარდნილი,
აქუხდებიან მდინარენი, ზღვად ისწრაფვიან,
525

გზად ყოველივეს მიანგრევენ, — მათ ჩამოჰგვანან
გმირნი ტურნუს და ენეასი, ლაშქრად მებრძოლნი.
რისხვით გზნებულთა მძლავრი მკერდი ალბათ გასკდება,
ისე დიადი ძალით ახლა იბრძვიან გმირნი.
ტევკრი მორანუსს, პაპათა და პაპისპაპათა
530

შტო რომ გამოჰყავს ლათინების მეფეთა მხრიდან,
კლდის მონაზვავით ზვიადითა ეტლიდან დასცემს,
ველზე განართხოვს უმოწყალოდ მერანთა ქვეშე.
ეტლი მიათრევს, ეხებიან ხშირი ფლოქვებით
სწრაფი რაშები, დაივიწყეს პატრონი ძველი.
535

რუტული შეხვდა მოყიჟინეს ჰილუსს საზარელს,
პირისპირ იდგა, დაუმიზნა უმაღ საფეთქლებს,
ჩაჩქანს გასცდა და ტვინში მჭიდროდ ჩაეჭდო რკინა.

შემდეგ, ო, კრეთევს, ბერძნებს შორის უძლიერესო,
ტურნუსმა მოგსპო! ველარ იხსნეს ვერც კუპენკუსი
540

მისმა ღმერთებმა, როს დაესხა ენეას, რკინას
მკერდი გაეპო, ვერ უშველა სპილენძის ფარმა.
ავზონთა ველმა ეოლუსიც იხილა ომში,
დაეცა გმირი, ფართო მხრებით ქვიშა დაფარა.
იგი ვერ დასცეს ფალანგებმა არგოლიკელთა,
545

ვერც აქილევესმა, დამღუპველმა პრიამეს მხარის.
აქ ჰპოვა ზღვარი... სახლი შენი იდასთან არის —
ლირნესუსისკენ, სამარე კი — ავზონთა ველზე!
ომში ჩაება ყველა რაზმი, ყველა ლათინი
თუ დარდანიდი, მნესთევისი და მძლე სერესტუსიც,
550

იქვე მესაპუს, აზილასი, ტუსკთა ფალანგი,
არკადიელი ევანდერის მხედართა რაზმი.
ბრძოლაში ყოველს თვისი ძალა ჩაუქსოვია.
ჟამი არ იცდის, შესვენების წამიც არ დარჩა.
დედამ ენეასს მოუვლინა სურვილი მაშინ,
555

რომ ლაფრენტუმის ქალაქისკენ ჯარს წასძლოლოდა
და ლათინთათვის უცაბედი ზარი დაეცა.
ტურნუსს ეძებდა, დაიარა ყოველი რაზმი,
მგერა მიაპყრო ყოველ მხარეს, ანაზდად ნახა
ქალაქი ბრძოლით დაუსჯელი, მაშინვე გული
560

აენტო ბელადს მამაცური საქმის განზრახვით.
მნესთევსს მოუხმო და სერგესტუსს სერესტუსთანავე,
ტევკრთა ბელადებს, სერზე დადგა, მასთან მიიჭრა

სხვა ლეგიონიც, ფართა და შუბით შემკული.
გედიმარტა სერზე მათ წინ და ასე უთხრა:
565

„ნუღარ ვაყოვნებთ, ჩვენთან არის იუპიტერი!
ნუ გაგაოგნებთ უცაბედი ბრძანება ჩემი!
ქალაქი, ომის მიზეზი და ლათინთ სამეფო
თუ ძირს განროხმული ჩვენს ნებას არ დაემონება,
დავცემ, მიწასთან გავასწორებ აბოლქვილ კოშკებს!
570

განა ველოდო, სანამ ტურნუს კვლავ მოისურვებს
ძალის გამოცდას და შემებმის დამარცხებული?
მოქალაქენო, საზარ ომის ძარღვი აქ არის!
კოცონი ჩქარა, ცეცხლით ვპოვოთ სიმართლე ჩვენი!“ —
ეს თქვა ბელადმა, შეეჯიბრნენ სულელები სულებს
575

და ქალაქისკენ გაექანნენ მჭიდრო რაზმებად.
გამოჩნდა კიბე, უცაბედი ალი ავარდა,
ზოგნი ქალაქში ლათინების გუშაგებს სპობდნენ,
სხვანი მშვილდს ფლობდნენ და ისრების ცას აბნელებდნენ.
მეწინავეთა მწყობრში მდგომმა ტროელთა ბელადმა
580

ხელი აღაპყრო გალავნისკენ, მეფეს მიმართა:
„ღმერთია მოწმე, რომ კვლავ ბრძოლად იძულებულ მყვეს,
ორგზის იცრუეს ლათინებმა, ზავი დათმესო“.
მოქალაქეთა შორის ატყდა უთანხმოება,
ერთნი ითხოვდნენ, რომ ტროელებს მივცეთ ქალაქი,
585

გავხსნათო ბჭენი. მოიყვანეს ქონგურთან მეფე,
სხვები ისრებით გალავანის დაცვას ცდილობდნენ.
ასეა, როცა კლდის ნაპრაღში იპოვის მწყემსი

სკას ველურს, მყისვე მწარე კვამლით აავსებს ფიჭებს,
აფუსფუსდება ფუტკრის გუნდი შემოფოთებული,
590

ისმის ბზუილი, თითქოს გულის გასამხნეველად.
ავისმომტანი სული შედის სკაში და წყნარად
ხმას გამოსცემენ ქვები, კვამლი გამოდის გარეთ.
უძლურ ლათინებს გაუმრავლდათ ურვა საზარი
და მოეფინა მთელს მათს ქალაქს უბედურება:
595

როს დედოფალმა შეამჩნია მოსული მტერი,
სახურავებზე ავარდნილი ალი იხილა,
რეტულებს ძალა აღარ ჰქონდათ, ტურნუსის მხედრებს
თვალი ვერ ჰკიდა, თქვა თუ: ალბათ ომში დაეცა
ყრმა უბედური. უსასოოდ დაეწვა გული,
600

უბედურების სათავედ ცნო თავისი თავი,
მრავალი რამ თქვა უგნურებით, ცოფმა აღავსო,
მეფური კაბა განიძარცვა და განწირულმა
ნასკვი დაჰკიდა სამარცხვინო სიკვდილისათვის.
ლათინთ ქალებმა როს გაიგეს მისი დაღუპვა,
605

ჯერ ლავინიამ ოქროს თმები ვარდისფერ ღაწვზე
ზედ დაიხოკა, შემდეგ სხეებიც გოდებდნენ შმაგად
და სასახლიდან შორს გაისმა გლოვა საზარი.
მყის მოეფინა ლათინთ ქალაქს ავი ამბავი.
ტოგაგანძარცვილი იდგა მეფე, ბარდაცემული
610

ცოლის ხვედრით და მთელი ქვეყნის უბედურებით,
მტვრით შეიბილწა ტალღოვანი ჭაღარა თმები,
ბრალად დაიდო, ენეასი რომ არ მიიღო

სიძედ, ვიდრემდის მოხდებოდა უბედურება.
ამ დროს ტურნუსი შორს იყო და მტრებს აოტებდა,
615

უკვე ზარმაცად სდევდა ველზე და ცხენთა სრბოლით
ნაკლებად იყო კმაყოფილი. მოულოდნელად
ქარს თანვე მოჰყვა მასთან ხმები გაურკვეველი.
შორი გოდება და ხმაური მოხვდა მის ყურებს,
ესმოდა დრტვინვა ქალაქიდან ავისმორბედი.
620

„ეს რა გოდება ისმის ციხის გალავნებიდან,
ვაგლახ, ჩვენს ქალაქს რა ვარამი დაატყდა თავსა?“ —
ასე თქვა. აღვიროს გამოსწია შეცბუნებულმა.
დამ, რომ მიეღო მეტისკუსის, მეეტლის სახე
და ძმის ეტლსა და სადავეებს მართავდა მისას,
625

აღმოუტევა ეს სიტყვები: „ტურნუს, ვისწრაფოთ
მტრებზე, საითაც გამარჯვება გზას მიგვანიშნებს.
სხვანიც არიან, ვინც მარჯვნივ ქალაქს დაიცავს.
იტალიელებს ენეასი ბრძოლით მიეჭრა?
მერე რა მოხდა, ჩვენ დავთრგუნავთ მარჯვნივთ
დამხვდურს!
630

შინ დავბრუნდებით მტრის მძლეველნი, სახელოვანნი!“
ტურნუსმა უთხრა:

„გიცან მაშინაც, როს პირველად ხელშეკრულება,
ცბიერო დაო, დაარღვიე, ომში ჩაერთე.
ახლაც გვატყუებ, ო, ქალღმერთო! ნათელი ციდან
635

ვინ მოგავლინა, ასეთ შრომას ვინ გაიძულებს?
მისთვის მოსულხარ, რომ სიკვდილი იხილო ძმისა?

სადღა წავიდე, აბა, ახლა რა დამრჩენია?
ვნახე მურანუს მე ჩემდამი მღალადებელი,
მასზე ძვირფასი მეგობარი ვინ დამრჩენოდა,
640

როგორ კვდებოდა განგმირული მძლავრი ჭრილობით...
რომ ეს სირცხვილი არ ენახა, დაეცა უფენს...
და ტევკრნი ფლობენ ბელადის გვამს, ნაძარცვ იარაღს.
სახლთა დანგრევის, — ესლა დარჩა, — უფლებას განა
მტერს მივცემ, განა შევარჩინო სიცრუე დრანკესს?
645

განა იხილავს ავზონია ოტებულ ტურნუსს?
ასე ძნელია, მაშ, სიკვდილი? კეთილ მეყავით,
მანებო, უკვდავთ სიყვარული თუ განმეშორა!
თქვენთან ვისწრაფვი, ვინც ამ სირცხვილს არ მოსწრებიხართ,
ნეტარ აჩრდილად გეახლებით ჩემს ქველ წინაპრებს!“ —
650

ეს თქვა თუ არა, შორიდანვე ნახა საკესი,
ცხენს მათრახს სცემდა ზედ სახეზე ისრით დაჭრილი,
თანაც ხმამაღლა გაჰყიოდა ტურნუსის სახელს:
„შენ ხარ იმედი! ო, დაინდე ნათესაობა!
ხმაღს აელვარებს ენეასი, ცდილობს დაამხოს
655

თვალშეუდგამი გოდოლები იტალიელთა.
სხვენებზე ცვივა ნაკვერცხლები, შენ შეგცქერიან
ახლა ლათინნი, აღარ იცის უკვე მეფემაც,
ვის დაემოყვროს, ვის უწოდოს სიძე რჩეული.
ამატაც, შენი მეგობარი უერთგულესი,
660

თვისივე ხელით სინათლესა და მზეს გაექცა.
ბჭესთან მესაპუს, ატინასი მარტოდშთენილნი

ზღუდეს იცავენ, მძაფრად უტევს დარდანთ ფალანგი,
მჭიდრო რაზმები და შიშველი ხმლების ყანები
აშლილა, შენ კი უდაბნოში ეტლს დააჭენებ!“

665

უბედურებამ დათრგუნა და მყის დაამუნჯა
ტურნუსი, იდგა ჯერ უძრავად, ანთებულიყო
გულში სირცხვილი, სიშმაგე და სევდა საზარი,
ვნება მძვინვარე და შეგნება ძველი გმირობის.
ნისლი გადვიდა, დაუბრუნდა გონებას შუქი,

670

ქალაქს მიაპყრო ანთებული თვალები გმირმა,
წამოიმართა მაღალ ეტლზე. შეხედა ციხეს:
ცეცხლი ტრიალებს ტერასებზე, გოდოლს ედება
ალის ენები, მაღლა ცისკენ მიემართება.

ეს გოდოლი ხომ თვით ააგო შეკრულ მორებით,

675

მძიმე ბორბლებით მოტანილი ზე აიტანა!
„ხვედრი, ო, დაო, ხვედრი მძალავს, ნულარ მაყოვნებ!
წავალ, სად მიხმობს ფორტუნა და ზეცა სასტიკი.
მსურს ენეასთან შეჭიდება, ყოველი მწარე
მწადს გამოვცადო, თვით სიკვდილიც! ძმას უსახელოდ

680

ვერ ჰპოვებ, დაო! დე, მომიცვას ამ მძვინვარებამ!“
ეტლი დატოვა ამის მთქმელმა, მიენდო მინდორს,
მტრებს შეერია, დაც დატოვა დამწუხრებული,
სწრაფად მსრბოლელი შემხედურ რაზმებს სპობდა უწყალოდ.
თითქოს მთის მწვერვალს მოსწყვეტია ლოდი ვეება,

685

ზვავმა, ან წვიმამ ქარიანმა, კოკისპირულმა
გამოურეცხა ფუძე, ანდა ჟამთა სივემ.

ციცაბო კლდიდან საშინელი მოფრინავს ლოდი,
დაეხეთქება ხალხს, საქონელს, მუხნარს და ველსა,
ხეებს მიათრევს... ციხისაკენ მიქროდა ტურნუს
690

იმ ლოდის მსგავსად იქ, სად იყო მიწა მორწყული
სისხლით, სად უფრო ზუზუნებდნენ ბასრი ისრები.
ხელი აღმართა და ყიჟინით შესძახა რაზმებს:
„რუტულნო, კმარა, იარაღი დათრგუნეთ თქვენი!
რაც უნდ მელოდეს, მე ერთს მმართებს გამოვისყიდო
695

საზღო აღთქმული, გადავწყვიტო რკინით ეს საქმე!“
მეის გზა დაუთმეს, გაუცალეს საასპარეზო.
რა ყური მოკრა ენეასმა ტურნუსის სახელს,
მეის დათმო ციხე-ქალაქი და მტრის ქონგურები,
არად ჩააგდო არა საქმე და საზრუნავი,
700

ხალისით მოქრის, აჟღარუნებს საზარ იარაღს,
ერიქსი იყოს თითქოს მძლავრი, ანდა ათონი,
ანდა თეთრშუბლა და ამაყი, მაღალხმოვანი,
ცად აზიდული აპენინუს სახელგანთქმული.
მეის რუტულებმა, ტროელებმა და იტალებმა
705

თვალნი მიაპყრეს: მათაც, ვინც კი მაღალ კოშკიდან
ქალაქს იცავდა, ან ვინც ველზე იბრძოდა მედგრად.
მოიხსნეს ხმლები, თვით ლატინუს მეფეც გაოცდა,
როს ნახა დასი სულ სხვადასხვა ქვეყნის მკვიდრ გმირთა,
დავის გადაჭრას ერთი ერთზე ბრძოლით რომ სცდიდა.
710

სხვა მეომრები თავისუფალ ველზე გავიდნენ.
უკვე შორიდან მოუღერეს შუბი ერთმანეთს,

მარსის აღმძვრელნი მძიმე ფარებს აჟღერიალებდნენ.
აკვნესდა მიწა, იყო მძლავრი ჩეხა მახვილით,
ერთურთს შეერწყა გმირობა და შემთხვევითობა.

715

როგორც სილაში, ტაბურნუსის სერზე შემდგარნი
იბრძვიან ხარნი, ფართო შუბლნი მიუშვერიათ,
შედრწუნებულნი შორდებიან მებრძოლთ მწყემსები,
უხმოდ დგას ჯოგი, არ იციან დეკეულებმა,
თუ ვინ იქნება მეთაური, ტყეთა მეუფე,

720

მძვინვარე ძალით მორკინალნი ერთურთს ებრძვიან,
რქებს მიაბჯენენ, უხვი სისხლით ირწყავენ კისერს
და რქებს გალესილს, ჭალას ავსებს მათი ღმუილი.
ასე ტროელი და რუტულთა მძვინვარე გმირი
ფარს აჯახებდნენ, რკინის ზარი კვეთავდა ჰაერს.

725

იუპიტერმა გაასწორა სასწორი მაშინ
და ფიალებზე მორკინალთა წილხვედრი დასდო,
გასინჯა, ომში ვისი ბედი გადაწონიდა.
ჯიქურ მიეჭრა ტურნუსი და მთელი სხეულით
მხნედ ამართულმა მოიქნია მძიმე მახვილი,

730

გმინვა აღმოხდა ტროელებს და რუტულებს შიშით,
თვალნი მიაპყრეს, მაგრამ გატყდა ანაზდად ხმალი,
სახტად დატოვა შემართული მოიერიშე.
იმედი დარჩა მხოლოდ ლტოლვის, ევრუსზე სწრაფად
განივლტო, ოდეს უძღურ ხელში შემორჩა ვადა.

735

ამბობენ, როცა ისწრაფოდა ამხედრებული,
დაავიწყდაო მას მშობელი დავნუსის რკინა

და სიჩქარეში მეტისკუსის ხმალი აიღო.

ოტებულ ტევკრთა წინააღმდეგ ბევრჯერ წაადგა,
მაგრამ როგორც კი ვულკანუსის საჭურველს მოხვდა,
740

მყის ყინულივით გადაემსხვრა სუსტი მახვილი,
მხოლოდ ქვიშაზე ელვარებდა ნატეხი მისი.
შმაგი ტურნუსი მეყსეულად გაიქცა მაშინ,
უსწორმასწორო წრეზე მსრბოლი აქეთ და იქით.
მას ორი მხრიდან ზღუდედ ედგნენ ტევკრთა რაზმები,
745

აქეთ — ჭაობი, ხოლო სხვა მხრით — კედლები ციხის.
მოჰყვა ენეას, თუმც უშლიდა შმაგი ისარი,
მუხლი უთრთოდა, ველარ სდევდა კვლავინდებურად,
მაინც ფეხდაფეხ გაჰყვა, კვალში კვალი ჩაუდგა,
ასე შველს მისდევს მდინარესთან ხოლმე მწევარი,
750

მეწამული და მოცახცახე ფრთებით შიშნეულს,
მყეფარ მწევარით თავგზას უბნევს ცბიერი მტერი...
მაშინ რომ მახეს და მდინარეს თავი არიდლოს,
გამოსცდის ათას გზას და ბილიკს, მაგრამ უმბრელი,
საცაა თითქმის დაეწევა და თითქოს უკვე
755

ხელთ ჩაიგდო, ყბას ამაოდ დაატკაცუნებს...
ენით უთქმელი ჟრიამული ისმოდა ირგვლივ,
მებრძოლთ ყიჟინა, მთელი ზეცა აფორიაქდა.
იგი გარბოდა, თან რუტულებს მოუწოდებდა —
ყველას — სახელით, ხმლის მოტანას ევედრებოდა.
760

მაგრამ ენეას ახლოს მომსვლელს მკაცრი სიკვდილით
ემუქრებოდა, აშინებდა შემკრთალ მეომრებს.

ციხის დანგრევას უქადოდა. კვლავ მტერს მისდევდა.
ხუთი წრე განვლეს, კვლავ იმდენიც შემოირბინეს.
განა გმირები ერთურთს ჯილდოს ეცილებოდნენ?
765

სიკვდილ-სიცოცხლის საქმეს წყვეტდნენ მოყმე ტურნუსის.
ფავნუსის წმიდა ზეთისხილი მწარე ფოთლებით
აქ იდგა წინათ, მეზღვაურთა ხე სათაყვანო.
თუ ზღვის ქარიშხალს ასცდებოდნენ, ზედ აჭედებდნენ
ლავრენტუმელთა ღმერთებისთვის მიძღვნილ საჩუქრებს.
770

ტროელთ არა სცეს ამ წმიდა ხეს სულაც პატივი,
გადაჭრეს იგი, ომში ხელი რომ არ შემოეღოდათ.
სწორედ იქამდე მიფრინდა და გაჩერდა შუბი
ენეასისა, ფესვში ჩარჩა ღრმად ჩაჭედილი.
დააწვა გმირი, ხელით სწადდა რკინის აგლეჯა,
775

ოროლით სცადა დასწეოდა, თუ მტერს სირბილით
ვერ მისწვდებოდა, მყის რუტულმა შიშით აღვსილმა:
„ფავნუს! გენუკვი, წმიდა მიწავ, — წამოიძახა, —
მიხსენ, მტრის შუბი შეაჩერე, მე პატივს გცემდი,
ხოლო ტევკრებმა ომით დასცეს საკურთხეველნი!“
780

მღალადებელმა ღმერთს მოუხმო მხურვალე ლოცვით.
ბევრი იშრომა, მაგრამ შუბი ხის მოხვევნისგან
დაკავებული ვერ მოგლიჯა გმირმა ძლიერმა.
სანამდის იგი შუბს ამაოდ ეჭიდებოდა,
მეეტლის სახით იუტურნა, დავნუსის ქალი,
785

მოიჭრა და ძმას დარჩენილი მახვილი მისცა.
ვენუსმა ნიმფას თავხედობად ეს ჩაუთვალა,

თვითონ მივიდა, ააგლიჯა ფესვიდან შუბი.
იარაღასხმულთ სიმამაცე კვლავ შეემატათ,
ერთს ხმლის იმედი ჰქონდა, ხოლო მეორეს შუბის.
790

პირისპირ იდგნენ მარსის შუღლით აღგზნებულები.
ამ დროს მიმართა მძლე იუნოს ოლიმპოს მეფემ,
როს ღრუბლებიდან გადახედა ბრძოლის ასპარეზს:
„სადღაა ბოლო, ჩემო ცოლო, აწ რაღა დარჩა?
ხომ ვერ უარყოფ, რომ ღმერთია ამ ადგილისა
795

სათნო ენეას, ცით ცათამდე უნდა ამაღლდეს!
რა განგიზრახავს, ცივ ღრუბლებში რად იყინები?
განა მოკვდავმა უნდა დაჭრას ღმერთი უკვდავი?
უშენოდ ხომ ვერ გაბედავდა, მაშ, იუტურნა,
რომ დამარცხებულს დაუბრუნა ძალა და ხმალი?
800

ბოლოს და ბოლოს დაჰყევ, ცოლო, ჩემს ნება-სურვილს,
ნუ დაგღრღნის სევდა დადუმებულს, ამიერიდან
კმარა, არ ვნახო აბეზარი თხოვნა-ვედრება!
ბოლომდე მიდის საქმე უკვე, ზღვაზე, მიწაზე,
სძლიე დარდანნი, გააჩაღე ბრძოლა ულევო,
805

ქორწილი ცრემლებს შეურიე — ლათინთა სახლში,
კმარა, გიკრძალავ!“ ამ სიტყვებზე მორჩილი სახით
მეუფეს უთხრა სატურნიამ, ტურფა ქაღალმერთმა:
„ღმერთო დიადო! მე ხომ ვიცი სურვილი შენი,
ჩემ უნებურად მისთვის ვტოვებ მიწას და ტურნუსს,
810

თორემ მართო არც ვიქნებოდი ცის სასახლეში,
ავის თუ კარგის მოსათმენად ლაშქრად მნახავდი,

აღმოდებული ვიქნებოდი ტევკრთ დასანთქმელად.
მე ჩავაგონე იუტურნას, რომ ძმას უბედურს
დახმარებოდა და ყოველი მივეცი ნება,
815

გარდა გაჭიმულ მძლე მშვილდიდან ისრის სროლისა.
სტიქსის ნაკადი უღმობელი დამემოწმება, —
უკვდავ ღმერთების ერთადერთი დასაფიცარი.
ყველაფერს დავთმობ, სევდიანი დავტოვებ ბრძოლას,
მხოლოდ ერთსა გთხოვ, ბედისწერის გარდუვალ საქმეს,
820

გაფიცებ წმიდა ლაციუმს და ჩვენს მოდგმას დიადს:
ჰქონდეთ კავშირი, ქორწინება სვებედნიერი,
მაგრამ ერთურთში აღირიოს ადათ-წესები,
ადგილობრივნი თვის ძველ სახელს ნუ დაკარგავენ.
ნუ აიძულებ ტროელებად ჩათვალონ თავი,
825

ენა დაკარგონ, მშობლიური სამოსი დათმონ.
აღბელთ სამეფო, ლაციუმი მარადჟამს იყოს,
იტალთა სიმხნემ რომაელთა მოდგმა ამრავლოს.
ტროა გამქრალა, მაშ, სახელიც განქარდეს ტროის!“
ღიმილით უთხრა საგანთა და კაცთა შემქმნელმა:
830

„იუპიტერის დაო, შვილო სატურნუსისა,
რისხვის მორევი ახლაც გულში გიდულს, ქალღმერთო!
მაგრამ დაიცხრე მძვინვარება, მეუღლე ჩემო,
სიამოვნებით გითმობ მძლეველს, აგიხდენ წადილს.
ავზონნი ენას და ძველ ადათს არ დაკარგავენ,
835

არცა თუ სახელს, მხოლოდ სისხლი მათ შეერევათ,
ტევკარი იტალებს შემატებენ ღვთისმსახურებას,

ერთგვაროვანნი იქნებიან მარად ლათინნი.
ავზონთ შერეულ სისხლისაგან გაჩენილ მოდგმას
ჰპოვებ კაცთა და უკვდავებზე უსათნოესად,
840

ვერ ნახავ ხალხს, რომ მათზე მეტად შენ განგადიდოს!“
მყისვე ხალისით მძლე იუნომ შეცვალა აზრი.
ზეცით დაეშვა, დათმო უმაღლრუბელი მრუმე.
ამ დროს კი გულში სხვას ფიქრობდა იუპიტერი:
სურდა, ბრძოლიდან იუტურნა გამოეყვანა.
845

ამბობენ, არის საზარელი ორი ფურია,
პირქუშმა ღამემ მეგერასთან ერთად რომ შობა,
შემდეგ შეუმკო საზარელი გველის გრაცნილით
სამივეს თავი, მყის მფრინავი ფრთებიც მოაბა.
იუპიტერის ტახტთან, მძლავრი მეუფის ზღურბლთან
850

გამოჩნდებიან, ვნება მოაქვთ ბედშავ კაცთათვის,
უკვდავთ მეუფეს თუ ჭირი და იავარყოფა
სურს მოუვლინოს, ან დასაჯოს ლაშქრით ქალაქნი.
მაღლა ზეციდან წარმოგზავნა იუპიტერმა
მათ შორის ერთი რისხვის ნიშნად იუტურნასთან.
855

მიწისკენ სწრაფად გამოქანდა, ვით ქარიშხალი,
თითქოს ცით რკინა გადატკეცილ მშვილდს მოსხლეტილი,
შხამით პოხილი, სასიკვდილო, პართელმა მძლავრმა,
გინა კიდონმა მძვინვარებით მტერს გასტყორცნაო,
სტევნით განვლოო უჩინარი, მრუმე ღრუბლები...
860

ასე მოქროდა მიწისაკენ ღამით შობილიც.
როს ნახა რაზმი ტურნუსის და ილიონისა,

მყის მცირე ჩიტად გადაიქცა ავი ქალღმერთი,
მაღალ ბორცვებზე და უდაბურ კლდეებზე ხშირად
რომ ჩამოჯდება და უმღერის წყვილიადს ღამისას.

865

ასეთი სახით ზედ ტურნუსის წინ გაიქროლა,
ფრთების ფართოხუნით ფარს შეეხო ზიზღის მომგვრელი.
გმირს უცაბედმა უძღურებამ სახსრები დახსნა.
თმა ყალყზე დადგა, შიშმა მყისვე ხმა ჩაუწყვიტა.
შორითვე იცნო საზიზღლარი სტვენით და ფრთებით,

870

თმები იხოკა უბედურმა დამ იუტურნამ,
ლაწვები ფრჩხილით დაისერა და მკერდი ნაზი.
„ვაიმე, რა ვქნა, რით გიშველო, ტურნუს, ო, ძმაო!
რა დამრჩენია, რაღა ხერხით მე შენს სიცოცხლეს
კვლავ გავაგრძელებ? განა ამ მხეცს წინ აღვუდგები?

875

არა, ომს ვტოვებ... ნუ მაშინებთ, ო, ნუ მაშინებთ!
მესმის საზარი ფრინველების ფრთების ტკაცუნი
და ხმა სამარის... ვგრძნობ ბრძანებას იუპიტერის:
„აი, რა მომცა ქალწულობის სანაცვლოდ ღმერთმა!
განა რად მინდა უკვდავება, რისთვის წამართვეს

880

ადამიანთა მძიმე ხვედრი? დარდს ხომ ჩავკლავდი
და წავყვებოდი აჩრდილებთან ჩემს ძმას უბედურს!
მე განა რამე მეამება უშენოდ, ძმაო,
თუნდ უკვდავება? ო, რაოდენ ღრმა მღვიმე უნდა
გადაიშალოს, რომ მანებთან გაჩნდეს ქალღმერთი!“ —

885

თქვა და ზეწარი გადიფარა ლაჟვარდოვანი,
მაღლივ გოდებდა. ღრმა ნაკადში გაქრა ქალღმერთი.

მტერს შეეგება ენეასი ელვარე შუბით,
მძვინვარე მკერდმა ამოხეთქა ხმა ბობოქარი:
„რაღა გაბრკოლებს, სადღა უნდა გამექცე ახლა?
890

არა სირბილით, იარაღით ხამს შევერკინოთ.
მაგრამ, თუ გინდა, შენებურად გაექეც სიკვდილს,
მფრთხალი სული და ოსტატობა როგორც გაგწვდება,
ზეცად გაფრინდი, ან ჩაეშვი ქვეშეთის მღვიმეს!“
„არ მაშინებსო შენი სიტყვა, — მიუგო მტერმა, —
895

ღმერთნი მაკრთობენ და განდგომა იუპიტერის!“ —
ეს თქვა თუ არა, თვალი ჰკიდა გმირმა დიდ ლოდსა,
ლოდს ძველთაძველსა, შემთხვევითსა, ველზე დაგდებულს,
ყანის სასაზღვროს, მინდვრის შუღლის გამაყუჩებელს.
ორჯერ ექვს ვაჟკაცს, რომელსაც დღეს შობს მიწა ჩვენი,
900

ძლივს თუ შეეძლო თუნდაც დაძვრა ამ მძიმე ლოდის.
ის კი ხელით წვდა, დაუმიზნა მამაც ენეასს,
მაღლა ეჭირა და სირბილით აღიგზნო გმირი,
მაგრამ ველარ ცნო თავი თვისი ვერცა შემტევად,
ვერცა ლტოლვილად. აღმართული ქვა როს მიჰქონდა,
905

მუხლნი უთრთოდა, შიშით სისხლი შედედდა თითქოს
და ლოდმაც, მისგან გატყორცნილმა მაღლა ჰაერში,
ვერ გაჭრა სივრცე და დარტყმისგან ხმა არ გაიღო.
ძილში, როდესაც დაღლილ თვალებს ცივი სიმშვიდე
დახუჭავს ღამით, ხშირად გვინდა ხოლმე გაქცევა,
910

ამაოდ ვცდილობთ და შემდეგ კი ანაზღეულად
ვეცემით, მაშინ არც ენა გვაქვს, არც ძალა გვყოფნის,

და მისუსტებულთ აღარ გვეძვრის სიტყვა ხორხიდან.
ასე ტურნუსმაც, რა არ სცადა გამარჯვებისთვის,
მაგრამ ფურია ხელს უშლიდა. გულში აღიძრა
915

ათასი აზრი. კვლავ შეხედა ქალაქს, რუტულებს,
შუბი იხილა შემართული, შიშმა შეიპყრო,
ვით გაჰქცეოდა მტერს, ან როგორ შებრძოლებოდა?..
არც ეტლი ჩანდა, არც მეეტლე — და იუტურნა.
მხოლოდ ენეასს შეემართა შუბი ბედიით!
920

თვალით მოზომა წამი, ტანით წამოიწია,
შორიდან სტყორცნა, მძლე შურდულით ნასროლი ლოდი
ასე როდი სტვენს, არცა მეხი გამოსცემს ცაში
ქუხილს ამის დარს, მიჰქრის როგორც შავი გრიგალი
შუბი, მომტანი სიკვდილისა. გაფლითა ფარფლი
925

სამმაგი ჯავშნის, შვიდფენოვან ფარს გაუარა,
სტვენით ჩაეჭდო ვაჟკაცს ფერდში, მოშლით დაეცა
გმირი ტურნუსი განგმირული, მუხლმოდრეკილი.
რუტულებს კვნესა აღმოხდათ და ერთბაშად მთელი
მთა ახმაურდა, მაღალ ჭალებს გადასწვდა ოხვრა.
930

იგი მორჩილად შეევედრა თვალაპყრობილი:
„დავიმსახურე, ვაღიარებ... ბედს არ ვემდური...
იხარე... მაგრამ თუ მოგილობოს გულს მოხუც მამის
უბედურება, — შენც ხომ გყავდა მოხუცი მამა, —
გნუკევ, სიბერე შეიბრალე, გმირო, დავნუსის!
935

ან მე, ან გვამი, მოწყვეტილი საქვეყნო ნათელს,
დაუთმე... მძლიე, ავზონებმა იხილეს ტურნუს

ხელებგანროხმული... ლავინია გერგო ქალწული,
უარესს ნუ იქმ!.." ზედ ხმლით ადგა გმირი ენეას,
თვალთ გაზომა და მარჯვენა დააცხრო წამით,
940

უფრო და უფრო შეებრაღა, საწყალობელმა
სიტყვამ მოაღბო, მაგრამ უცბად ტანზე შენიშნა
ქამარი, თვალწინ ელვარებდა ნაცნობი ბალთა
ჭაბუკ პალანტის, ის ხომ მოკლა მძვინვარე დარტყმით
ტურნუსმა და მყის საჭურველი ახადა მძიმე!..
945

როს დარდანელმა დარდის ნიშანს დიდხანს უყურა,
ფურიამ გული აუფეთქა საშინელ რისხვით,
შესძახა: „როგორ! ჩემს ბექთარში მყოფი გაგიშვა?
არა! პალანტი, ამ ჭრილობით გლუპავს პალანტი
და შურს იძიებს, დამნაშავეს სისხლსაც აიღებს!“ —
950

ეს თქვა თუ არა, მკერდში ჩასცა გმირმა მახვილი.
გაისმა კვნესა, დაეშალა სიცვიით ძვლები,
გაფრინდა სული აჩრდილებთან გაოგნებული...

შენიშვნები

პუბლიუს ვერგილიუს მარო

(ძვ. წ. 70 — ძვ. წ. 19)

ვერგილიუსი ჩრდილოეთ იტალიაში, მანტუას მახლობლად, ანდეს-ში დაიბადა წვრილი მიწათმფლობელის ოჯახში.

დაწყებითი განათლება ვერგილიუსმა ჯერ კრემონაში, შემდეგ მე-დიოლანუმში (თანამედრ. მილანი) მიიღო. 50-იანი წლების ბოლოს ვერგილიუსმა რომს მიაშურა ფილოსოფიისა და მჭევრმეტყველების შესასწავლად.

ვერგილიუსი ლექსებს ჭაბუკობიდანვე თხზავდა და მის ლიტერატურულ ორიენტირს „ნეოტერიკოსები“ წარმოადგენდნენ.

ძვ. წ. 42-39 წლებში მან დაასრულა „ბუკოლიკები“ — სამწყემსო სიმღერები, რომლებიც 10 ელეგიისაგან შედგებოდა. ამ ნაწარმოებით ვერგილიუსმა დიდი პოპულარობა მოიხვეჭა. განსაკუთრებულმა ნიჭმა მალე სახელი გაუთქვა ახალგაზრდა პოეტს, იგი მეცენატის ლიტერატურულ წრეს შეუერთდა და ავგუსტუსს დაუახლოვდა. სწორედ ამ უკანასკნელს უძღვნა ვერგილიუსმა მომდევნო პოემა „გეორგიკები“ („მიწათმოქმედებზე“), რომელიც ოთხი წიგნისაგან შედგებოდა. ეს დიდაქტიკური თხზულება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგს შეეხებოდა. ეს კონკრეტულად აბსტრაქტირებულია მითოლოგიური ჩანართებით, შეიცავს მეცენატისა და ავგუსტუსის განმადიდებელ სტრიქონებსაც.

პოემის გასრულების შემდეგ ვერგილიუსმა მეცენატისაგან სანაგებო დავალება მიიღო, შეეთხზა ეპოსი რომის დიდებულ წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე.

ვერგილიუსი, ბუნებით მოკრძალებული და თავმდაბალი ადამიანი, დიდხანს მერყეობდა, თუმცა, განსხვავებით პროპერციუსისგან, თავის მფარველს და კეთილისმყოფელს უარი ვერ შეჰბედა. მუშაობასაც მისთვის ჩვეული მუყაითობით შეუდგა.

ვერგილიუსმა გადაწყვიტა შეექმნა პოემა „ენეიდა“, რომელიც ტროელ გმირს, ენეასს ეძღვნებოდა. ენეასის, რომაელთა ლეგენდარული წინაპრის განდიდებით ვერგილიუსმა უმღერა იმპერიის წარსულს, აწმყოს და მომავალს. თხზულება ხოტბას ასხამდა რომს, როგორც განახლებულ ტროას. ვინაიდან იულუსების გვარი თავის წარმომავლობას ენეასის ვაჟს, ასკანიუსს — იულუსს უკავშირებდა, „ენეიდა“ ავგუსტუსის წინაპართა სადიდებელიც იყო.

ნაწარმოები პოეტმა ძვ. წ. 19 წელს დაასრულა, თუმცა მის სრულყოფას მომდევნო სამი წლის მანძილზე გეგმავდა. ამ მიზნით ვერგილიუსმა განიზრახა მოენახულებინა საბერძნეთი და მცირე აზია, რათა გასცნობოდა ეპოსის სამოქმედო გარემოს. მოგზაურობისას ვერგილიუსი ავად გახდა და 21 სექტემბერს ბრუნდისიუმში (თანამ. ბრინდიზი) მოულოდნელად გარდაიცვალა.

სიკვდილის წინ პოეტმა არ ისურვა, რომ მისი აღსასრულის შემდეგ პოემა გამოქვეყნებულიყო, რადგან ნაწარმოებს დაუსრულებლად მიიჩნევდა.

ამის მიუხედავად, ავგუსტუსმა მაინც ბრძანა, რომ „ენეიდა“ გამოეცათ, ხოლო დაუმთავრებელი ჰექსამეტრული ტაეპები ხელუხლებლად დაეტოვებინათ.

თორმეტი წიგნისაგან შემდგარი „ენეიდა“ ასახავს ტროელი გმირის, ენეასის მოგზაურობას და მის ბრძოლებს იტალიაში. პირველი ექვსი წიგნი ვენუსის ვაჟის ხეთიალს ეძღვნება, ბოლო ექვსი კი — მის ომს იტალიკურ ტომებთან.

ამით ვერგილიუსი შეეცადა, ერთ პოემაში ჰომეროსის ორი ეპოსის — „ილიადასა“ და „ოდისეას“ თემები გაერთიანებინა.

წიგნი პირველი

1. „ენეიდას“ წინ უძღვის ოთხი ტაეპი, რომელთა ავტორ-კუთვნილების საკითხი არ არის გარკვეული. ფიქრობენ, რომ ისინი ვერგილიუსს

არ უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა ზოგ გამოცემაში ეს ტაეპები განსხვავებული შრიფტით მაინც შეაქვთ ძირითად ტექსტში. ამ ტაეპებში ლაპარაკი უნდა იყოს ვერგილიუსის ადრინდელ ნაწარმოებებზე („ბუკოლიკებსა“ და „გეორგიკაზე“) და ამიტომაც ეს აშკარა ინტერპოლაცია ყურადღებით სარგებლობს გამომცემელთა შორის. აქვე გადმოგცემთ ამ ტაეპების თარგმანს:

ოდესღაც ნარნარ სალამურზე სიმღერა მითქვამს.

ჭალა და ტევრი მეზობელი მინდორ-ველების

მიწისმოქმედის ხარბ მარჯვენას დაუუმორჩილე

ამო ჰანგებით. დღეს კი მარსის სასტიკ ხმებს ვგალობ!

ეს სტრიქონები ვერგილიუსს რომც ეკუთვნოდეს, დაუჯერებელია ამით იწყებოდეს „ენეიდა“. საგმირო ეპოსში ჰომეროსის დროიდანვე დამკვიდრებული იყო პოემის დაწყება მუზისადმი მიმართვით და არა პოეტის ძველ დამსახურებაზე ლაპარაკით. „ილიადა“, მაგალითად, ასე იწყება: Μῆνιν ἄειδε, θεά, Πηληϊάδεω Ἀχιλῆϊ... („რისხვა მიმღერე, ღმერთქალო, პელიდი აქილევსის“); მსგავსად იწყება „ოდისეა“: Ἀνδρᾶ μοι ἔννεπε, Μοῦσα, πολύτροπον... („მრავალჭირნახულ ვაჟკაცზე გვიაშუბე, მუზავ...“). ვერგილიუსი, მართალია, პოემის დასაწყისშივე არ მიმართავს მუზას, მაგრამ პოემას იწყებს პირდაპირ თემის დასახელებით, ისევე როგორც ჰომეროსი ასახელებდა დასაწყისშივე პოემის თემას („აქილევსის რისხვა“ ან „ამბავი მრავალჭირნახული, მოხეტიალე ვაჟკაცისა“): Arma virumque cano, Troiae qui primus ab oris და ა.შ.

სტრ. 1-2 იგულისხმება ენეასი, ანქიზეს და ქალღმერთ ვენუსის შვილი. გადმოცემით, იგი ტროელთა ნაწილთან ერთად გადარჩა ტროის დანგრევის დროს და დიდი ხეტიალის შემდეგ მოხვდა იტალიაში, სადაც მის მიერ დაარსებულ ქალაქს უწოდა მეორე ცოლის (ადგილობრივი მკვიდრის), ლავინიას სახელი. მისმა ვაჟიშვილმა ასკანიუსმა, ანუ იულუსმა იქვე დააარსა ქალაქი ალბა-ლონგა (ვრცელი ალბა).

სტრ. 6 ენეასმა ლაციუმში წამოიღო ღმერთთა კერპები, კერის ღვთაებანი, ანუ პენატები. „ტომი ლათინთა...“ არასწორი ფორმაა, სამწუხაროდ, ისე მტკიცედ დამკვიდრებული, რომ ჩვენც იძულებულნი ვართ ტრადიციას გავუწიოთ ანგარიში. უნდა იყოს „ლატინთა ტომი“, „ლატინი“ (Latinus).

სტრ. 7 ალბელთ მამანი — იგულისხმება რომაელთა მითიური წინაპრები: ასკანიუსი (ენეასის ვაჟი), რომელმაც დააარსა ქ. ალბა-ლონგა (ვრცელი ალბა), ამავე ქალაქში მეფობდა ნუმიტორი, რომის დამაარსებლის, რომულუსის პაპა. ესენი არიან ალბელთა მამები — რომაელთა წინაპრები. დედნის მიხედვით უფრო სწორი იქნებოდა „ალბანთ მამანი“ (Albanique patres), მაგრამ ამ ფორმას თავი ავარიდეთ, რათა არ მომხდარიყო აღრევა „ალბანელებთან“ ან „ალბანეთთან“, რომელიც სულ სხვა ეთნიკურ და გეოგრაფიულ ცნებას გულისხმობდა წინათაც და ახლაც.

სტრ. 26 პარისი იუნომ (ჰერამ), ვენუსმა (აფროდიტემ) და მინერვამ (ათენამ) მსაჯულად აირჩიეს, რომ გადაეწყვიტა, თუ რომელი იყო ქალღმერთთა შორის უტურფესი. ვენუსის დაპირებით მოხიბლულმა პარისმა (სილამაზის ქალღმერთი უმშვენიერესი ქალის — ელენეს ტოფობას დაჰპირდა), ულამაზესად იგი მიიჩნია. ამიტომ იყო იუნო განრისხებული პარისსა და მის ხალხზე.

სტრ. 33 გადმოცემით, რომაელი ხალხი მცირე აზიიდან გადმოხვეწილი ენეასის რაზმისა და ძველი ლათინების აღრევის შედეგად შეიქმნა, მაგრამ ამ ტომთა შეკავშირებას აფერხებდა იუნო.

სტრ. 35 „მხნედ გაჭრეს რვალით“ — რომაელთა ხომალდების ძირი მოჭედილი იყო სპილენძით.

სტრ. 38 გადმოცემით, კრეტიდან გადმოსახლებულმა ტევკრემ პირველად დააფუძნა ტროაში ახალშენი, ამიტომაც ტროელებს ზოგჯერ ტევკრებსაც უწოდებდნენ, ზოგჯერ ტევკრეს მემკვიდრის სახელის მიხედვით — დარდანიდებს. ტროელები მათ ეწოდათ დარდანეს შვილიშვილის სახელის მიხედვით.

სტრ. 41 აიაქს ოილევის ძემ (ოილიადმა) ტროის აღების შემდეგ გააუპატიურა ტროის მეფის, პრიამეს ქალიშვილი კასანდრა პალადას (ათენას) ტაძარში. განრისხებულმა ქალღმერთმა მასზე შური იძია.

სტრ. 67 ტირენები, ტირსენები, ტუსკები ანუ ეტრუსკები უძველესი ტომია, მდიდარი ცივილიზაციის მქონე. ისინი მოსახლეობდნენ ხმელთაშუა ზღვის აუზში; ენათესავებოდნენ თანამედროვე საბერძნეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ პელაზგურ ტომებს. ეტრუსკები შემდგომში გაითქვიფნენ ლათინურ ტომებში და ლათინურ ენაში დატოვეს არაინდოევროპული სუბსტრატის სახით ცალკეული სიტყვები თუ სუფიქსები. ეტრუსკების არქიტექტურამ, რომლის სათავეს მკვლევრები მცირე აზიაში პოულობენ, დიდი გავლენა მოახდინა რომაულ ხუროთმოძღვრებაზე. ეტრუსკების ენა დღემდე შეუსწავლელია სათანადოდ, თუმცა ჩვენამდე მოაღწია ათი ათასზე მეტმა ეტრუსკულმა წარწერამ. მხოლოდ ზოგი რამ არის ამ წარწერებში უტყუარად გაშიფრული, ისიც არა ბოლომდე. მაგალითად, აღმოჩენილ იქნა კამათლის ქვაზე წერტილების ნაცვლად წარწერები: „ცალ“, „სა“, „ჰუთ“ და სხვა, სულ ექვსი სიტყვა, რომელნიც ციფრებს უნდა აღნიშნავდნენ ერთიდან ექვსამდე, მაგრამ რომელი — რომელს, ეს დაუდგენელია (თუმცა მათი ფონეტიკური მსგავსება იბერიულ-კავკასიურ რიცხვით სახელებთან ჩანს). ზოგიერთი სუფიქსისა და ბრუნვის ნიშნის მნიშვნელობაც გარკვეულია. მაგალითად, სიტყვაში „კლენ-არ-ისა“ „კლენ“ ანუ „კლან“ ნიშნავს ვაჟს, „არ“ მრავლობითის მაწარმოებელია, ხოლო „ისა“ — ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი. ეს და მსგავსი მოვლენები მკვლევრებს აფიქრებინებს, რომ ეტრუსკული ნათესაურ კავშირში უნდა იყოს იბერიულ-კავკასიურ ენებთან, მაგრამ ჯერჯერობით ვერც ამ ენათა მოშველიებით ხერხდება ეტრუსკული წარწერების უტყუარი გაშიფვრა.

სტრ. 68 პენატებს რომაელები უწოდებდნენ ღვთაებათა კერპებს, რომელნიც ოჯახებში ჰქონდათ. მათ კერის მფარველებად თვლიდნენ.

სტრ. 109 Aras კართაგენის წინ მდებარე პატარა, კლდოვანი კუნძულებია.

ლათინურად არა სამსხვერპლოს ნიშნავს, ავტორი მიანიშნებს ამ კუნძულთა უდაბურობასა და საშიშროებაზე.

სტრ. 182 ბირემები — („ორნიჩბიანი“, „ორხოფიანი“) ხომალდები, რომლებზედაც ორ მწკრივადაა დაყენებული ნიჩბები.

სტრ. 215 ბახუსი — ღვინის ღმერთი. აქ ავტორი მიმართავს მეტონიმიას, იგულისხმება ღვინო.

სტრ. 242 ანტენორი ტროის დაცემის შემდეგ ილირიაში გადასახლდა, შემდეგ ლიბურნიაში, ბოლოს კი დასახლდა ვენეციის მხარეში.

სტრ. 285 არგოსი — იგულისხმება საბერძნეთი.

სტრ. 286 იგულისხმება ვერგილიუსის თანამედროვე ოქტავიანე ავგუსტუსი, რომის იმპერატორი.

სტრ. 288 დედის მხრიდან ოქტავიანე იულიუს კეისარს ენათესავებოდა.

სტრ. 294 ომის კარიბჭე — იანუსის ტაძრის კარები, რომელსაც კეტავდნენ მშვიდობიანობის დროს. იანუსი ძველ ლათინთა ღვთაება იყო, მას ორი სახე ჰქონდა.

სტრ. 267 ფინიკიური სიტყვა Borsa (ციხესიმაგრე) გაგებულია როგორც ბერძნული βύρσα (წმიდა ტყავი). თქმულებით, დიდომ ადგილობრივი მეფისაგან შეიძინა იმდენი მიწა, რამდენსაც მოსაზომლად ეყოფოდა ხარის ტყავი. მან ეს ტყავი ისე, წვრილ ღვედებად დაჭრა, რომ ხელთ ჩაიგდო დიდძალი მიწა.

სტრ. 389 ეს ტაეპი ზოგ გამომცემელს ინტერპოლაციად მიაჩნია.

სტრ. 403 ამბროზია — ღვთაებრივი საზრდო. ღმერთები მას ხმარობდნენ მარად უჭკნობი და ჭაბუკური სახის შესანარჩუნებლად. ისინი რაშებსაც ამბროზიით კვებავდნენ. გადატანითი მნიშვნელობით — ღვთაებრივი.

სტრ. 426 ეს ტაეპი მიჩნეულია გვიანდელ ჩანართად.

სტრ. 490 ამაძონები — ამორძალები — მითიური მეომარი ქალები. მოსახლეობდნენ მცირე აზიაში მდინარე თერმოდონტთან, აგრეთვე

კოლხეთში. ომის დროს ხელი რომ არ შეშლოდათ და მარჯვედ ეხმარათ იარაღი, მარჯვენა ძუძუს იწვავდნენ. მძვინვარე ბრძოლა სჩვეოდათ, ამავე დროს, ქალური მშვენებაც არ აკლდათ. გადმოცემით, ერთხელ აქილევსმა დაამარცხა ამადონთა ერთი რაზმი და მოკლა მათი წინამძღოლი — პენტესილეა, მაგრამ როცა მისი სიტურფე იხილა, უიმედოდ შეუყვარდა განგმირული მტერი. „ენეიდას“ XI წიგნში აღწერილია ამადონ კამილას გმირული ბრძოლა.

სტრ. 598 დანაელები — ტროაში მოლაშქრე ბერძნული ტომი. ზოგადად, ეს სახელი იხმარება ბერძენთა მხედრობის აღსანიშნავად, ისევე, როგორც აქაველები და არგიველები. დანაელები ითვლებიან ეგვიპტოსის ძმის, დანაოსის შთამომავლებად, რომელიც თავის 50 ქალიშვილთან (დანაიდებთან) ერთად გაიქცა პელოპონესში და დააარსა არგოსი.

სტრ. 624 პელაზგები — წინაბერძნული ტომი. „პელაზგთა მოდგმის მეფეებში“, ეტყობა, იგულისხმებიან იან ჰომეროსის „ილიადის“ ის გმირები, რომელნიც ტროის წინააღმდეგ მებრძოლთა რაზმების ჩამოთვლის დროს ავტორს სპეციალურად გამოუყვია და „პელაზგური არგოსის“ მკვიდრებად უცვნია: აქილევსი, პროტესილაოსი, პოდარკე, ევმელოსი, ფილოქტეტე, მედონი, პოდალეიროსი, მაქაონი, ევრიპოლოსი, პოლიპოიტე, ლეონტევსი, გუნევსი და პროთოსი. პელაზგური ენა წერილობითი წყაროებით არ დადასტურებულა და ამიტომ იგი შეუსწავლელია. მაგრამ ბერძნულ ენაში შესული არაინდოევროპული ელემენტები, როგორიც არის -ნთოს სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები (კორინთოს, ძაკინთოს, პირანთოს, ტრიკორინთოს და სხვ.), აგრეთვე -სს, -ტტ სუფიქსიანი სიტყვები (ლარისსა, თალასსა და სხვ.), ზოგი ღვთაების სახელი (ათენა, ჰეფესტოს, ჰერმეს და სხვ.), მიაჩნიათ პელაზგურიდან შეთვისებულად; აგრეთვე პელაზგური მითოლოგიიდან და პოეზიიდან ნასესხებად მიაჩნიათ არგონავტებისა და პრომეთეს მითები, სალექსო საზომი — დაქტილური ჰეგზამეტრი და ამიტომ გამოთ-

ქვამენ ვარაუდს, რომ პელაგების ენა დღევანდელ იბერიულ-კავკასიურ ენებს და, მეორე მხრით, ეტრუსკულს უნდა ენათესავებოდეს. ამ საკითხებზე საფუძვლიანი გამოკვლევები აქვთ პ. კრეჩმერს, ა. მეიეს, ე. ბუაბაკს, კ. მეისტერს, ჯ. ტომსონს, ს. ყაუხჩიშვილს, პ. ბერაძეს, ა. ურუშაძეს და სხვებს. ანტიკური ხანის ავტორებიდან პელაგებს ეტრუსკებთან აიგივებდნენ და მათ აღმოსავლურ წარმოშობაზე მიუთითებდნენ ჰელანკიკე ლესბოსელი, ჰეროდოტე, მარსილე, ტიმეოსი, დიოდორე სიცილიელი, პლუტარქე, აპიანე, სკიმნოს ქიოსელი, სტრაბონი, ველეუს პატერკულუსი, ვალერიუს მაქსიმუსი, სენეკა, პლინიუსი, ტაციტუსი, ჰორაციუსი, სტაციუსი, „ენეიდის“ ავტორი ვერგილიუსიც და სხვანი.

სტრ. 649 აკანთი — *Acanthus*, მცენარე, რომელსაც ხშირად გამოძერწავდნენ ხოლმე ხელოვნების ნაწარმზე.

სტრ. 665 ტიფოეა — *tela Tiphoea* აღნიშნავს ელვას, მესხ, სიტყვა-სიტყვით — ტიფოეუსის ისრებს, ე. ი. ისრებს, რომლებითაც იუპიტერმა მოკლა გოლიათი ტიფოეუსი.

სტრ. 702 დედანში პურის აღსანიშნავად გვხვდება ცერერა — სატურნუსის ქალიშვილი, იუპიტერის და, მიწათმოქმედების მფარველი ქალღმერთი. აქ იგულისხმება ცერერას საჩუქრები — ნაყოფით დახუნძლული კალათები. ბერძნულ პანთეონში მას ცვლის დემეტრე, ზევსის და, პერსეფონეს (ლათ. პროზერპინას) დედა.

წიგნი მეორე

სტრ. 76 ეს ტაეპი ემთხვევა III წიგნის 612-ე ტაეპს და აქ იგი ზოგ გამოცემელს ინტერპოლაციად მიაჩნია, რადგან არ არის მთლად ნათელი, სად უნდა იყოს მისი ადგილი, მით უმეტეს, რომ იქაც და აქაც შინაარსს კარგად ეხამება. ჩვენ ეს ტაეპი ორივეგან დავტოვეთ. ვითვალისწინებთ იმასაც, რომ ეპიკური ტრადიციით განმეორება სრულიადაც არ არის უჩვეულო რამ.

სტრ. 84 პელაგები — იხ. შენ. I, 624. აქ ეს სიტყვა ვერგილიუსს უხმარია ბერძენთა მთელი მხედრობის აღსანიშნავად.

სტრ. 100 ეს არ არის ნაკლული ტაეპი. სინონი აქ იყენებს რიტორულ ხერხს, წყვეტს ფრაზას, რათა უფრო დააინტერესოს მსმენელი.

სტრ. 116-118 ევრიპილე მოაგონებს ბერძნებს, რომ მათ ტროაში გალაშქრებისას მსხვერპლად შესწირეს ღმერთებს აგამემნონის ასული იფიგენია.

სტრ. 133 ხილაბანდს უკეთებდნენ გვარაკსაც, ქურუმებსაც და ღვთაებათა კერპებსაც.

სტრ. 198 ლარისა — თესალიის ქალაქი. ეს ერთ-ერთი იმ გეოგრაფიულ სახელთაგანია, რომლებიც ბერძნულ ტოპონიმიკაში მიაჩნიათ წინაბერძნული, პელაგური ენის გადმონაშთად.

„ვერც ათმა წელმა“ — იგულისხმება ის, რომ ბერძნებმა ათი წლის მანძილზე ვერაფერი მოუხერხეს ტროას.

სტრ. 246 კასანდრა — ტროელთა მისანი, პრიამეს ასული. ტროის აღების შემდეგ იგი აგამემნონის ტყვე გახდა და კლიტემნესტრამ, აგამემნონის ცოლმა, თავისი კუროს, ეგისტეს დახმარებით მოკლა მიკენში. აპოლონმა მას მისნობის ნიჭი მისცა, მაგრამ შემდგომ, მასზე განაწყენებულმა, ქალს მიუსაჯა, რომ მისი წინასწარმეტყველება არავის დაეჯერებინა.

სტრ. 264 სწორედ ეპეოსმა ააგო ხის ცხენი (შდრ. ჰომეროსის „ოდისეა“, VII, 493).

სტრ. 272-273 აქილევსმა როცა ჰექტორი მოკლა, ცხენით ათრია მისი გვამი, რათა ამით კიდევ უფრო მეტი შეურაცხყოფა მიეყენებინა მტრისათვის.

სტრ. 275 ჰექტორმა აქილევსის საჭურველი ხელთ ჩაიგდო, როცა მის აბჯარ-ბექთარში აღჭურვილი ძმობილი პატროკლე მოუკლა.

სტრ. 441 „კუს საფარველი“ რომაული სამხედრო ხერხია, რომელსაც იყენებდნენ ციხესიმაგრის იერიშის დროს. მეწინავენი მთელ ტანს იფარავდნენ უზარმაზარი წნული ფარებით, ქმნიდნენ მჭიდრო რკალს,

კუს ჯავშნის მაგვარს. მათ უკან მოდიოდა დანარჩენი ლაშქარი და ასე მიჰქონდათ იერიში ციხეზე.

სტრ. 456 ანდრომაქე — პლაკიის თებეს მეფის, ჰეტიონის ასული, „ილიადის“ გმირის, ჰექტორის მეუღლე. ტროის დაცემის შემდეგ იგი აქილევსის ვაჟს, ნეოპტოლემუსს ჩაუვარდა ტყვედ, რომელმაც შემდგომში ანდრომაქე მიათხოვა პრიამეს ვაჟს — ჰელეონოსს.

სტრ. 477 სკიროსის ახალგაზრდობა — ნეოპტოლემუსის ანუ პირუსის მეომრები მოსახლობდნენ ეგეოსის ზღვის კუნძულ სკიროსზე, ევბეის აღმოსავლეთით.

სტრ. 517 საკურთხეველს შეფარებული ადამიანი, რომელიც ბომონს ხეებოდა, ხელშეუხებლად ითვლებოდა.

სტრ. 601 ლაკედემონელი — სპარტელი. იგულისხმება ელენე.

სტრ. 602 პარისი, იგივე ალექსანდრე (თუმც ამ სახელით არ იხსენიება „ენეიდაში“), პრიამეს ძე. მან სპარტის მეფეს, მენელაოსს მოსტაცა ცოლი — ელენე. ელენე პარისს არგუნა ვენუსმა (აფროდიტემ) იმის გამო, რომ მან მოქიშპე ქაღმერთებს (მინერვას, იუნოსა და ვენუსს) შორის უპირატესობა სიყვარულისა და სილამაზის ღვთაებას მიანიჭა. ელენეს გატაცებამ გამოიწვია ტროას ომი.

სტრ. 613 სკეის ბჭისკარი — ტროის ერთ-ერთი მთავარი შესასვლელი; ეტყობა, დასავლეთის მხრიდან, ბერძენთა ბანაკიდან იგი კარგად ჩანდა.

წიგნი მესამე

სტრ. 110 კვიბელე — ფრიგიელი ღმერთქალი, გამოხატავდნენ ხოლმე ეტლში, რომელშიც ლომები იყო შებმული. აქ, ამ შემთხვევაში, ლაპარაკია იმავე სახელწოდების მთაზე, რომელიც ფრიგიაში მდებარეობდა.

სტრ. 111 კორიბანტები — ქალღმერთ კვიბელეს მოგვები. ამ ტაეპში იგულისხმება მუსიკალური საკრავები, რომელთაც იყენებდნენ კორიბანტები ღვთისმსახურების დროს. კორიბანტებს მიაწერდნენ ძველად დამწერლობის გამოგონებაში დიდ დამსახურებას (კორიბანტებზე ვრცლად იხ. ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, გვ. 158-164).

სტრ. 115 გნოსიური მხარე — კრეტას მხარე, კუნძული კრეტა.

სტრ. 127 ბაკქელთა ხმა — იგულისხმება ორგიები ღმერთ ბახუსის სადიდებლად.

სტრ. 230 *Arboribus clausi circum atque horrentibus umbris* — არ გვხვდება საუკეთესო ნუსხებსა და გამოცემებში. ეს ტაეპი გადმოტანილა II, 311-დან.

სტრ. 248 „ლაომედონტის მემკვიდრენო...“ — ლაომედონტმა ფიცი გატეხა, არ მისცა ჰერკულესს რაშები, რომელნიც მას ტროის გალავნის აშენებისათვის ეკუთვნოდა. განრისხებულმა ჰერკულესმა ტროა დაანგრია. ლაომედონტის მემკვიდრეობა აქ გულისხმობს უპირობას.

სტრ. 283 არგოლიკის ქალაქები — საბერძნეთის ქალაქები.

სტრ. 340 „იგი ტროაში შენთვის“ (*quem tibi iam Troia...*) — აქ დედანში აკლია რაღაც ფრაზა. შემჩნეულია, რომ „ენეიდის“ ყველა არასრული ტაეპი დასრულებულ აზრს გამოხატავს, გარდა ამ ერთისა. ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ ავტორი კიდევ ერთხელ აპირებდა მობრუნებოდა ტექსტს, მაგრამ არ დასცალდა.

სტრ. 399 ნარიკიელი ლოკრები — ქალაქ ნარიკსის მკვიდრნი.

სტრ. 405 რომაელები მსხვერპლშეწირვის დროს თავსაბურავს იხურავდნენ, შავი თავსაბურავი ქვეშეთის ღმერთებისადმი მსხვერპლშეწირვის დროს ეხურათ, ძოწისფერი — ოლიმპიელთა პატივსაცემად. ძოწი მლოცველებს თითქოს იცავდა მავნე სულებისაგანაც.

სტრ. 94 „შენ და ძე შენი“ — იგულისხმება არა ენეასი, არამედ სხვა ძე ვენუსისა — ღმერთი ამური, რომელმაც აღაგზნო დიდოს გულში ტრფობა.

სტრ. 106 „ეხსნა ლიბია იტალიის ძალადობისგან...“ — იუნო ცდილობს, ჩაშალოს ენეასის იტალიაში გამგზავრება დიდოსთან მისი და-ქორწინებით.

სტრ. 126 *Conubio iungam stabili propriamque dicabo* — ნასესხებია I წიგნიდან (ტ. 73). ამიტომ საუკეთესო გამოცემებში ეს ტაეპი გამოტოვებულია.

სტრ. 127 ჰიმენეა — ქორწინება.

სტრ. 129 „ამ დროს დატოვა ოკეანე ტურფა ავრორამ“ — ეპიკური ფორმულა, მხატვრული ხერხი, რომლითაც ავტორი გვაუწყებს გათენებას, ახალი დილის დადგომას.

სტრ. 137 ქლამიდი — ბერძნული და რომაული მოსასხამი ნაზი შალის ქსოვილისა.

სტრ. 215 „პარისი იგი“ — განრისხებული მეტოქე ენეასს ადარებს პარისს, რომელმაც ოდესღაც ელენე მოიტაცა.

სტრ. 273 *Nec sup̄ ipse tua moliris laude laborem* — ნასესხებია 233-ე ტაეპიდან და საუკეთესო ნუსხებში არ გვხვდება. ჩვენც არ გვითარგმნია.

სტრ. 303 კითერონი — მთა ბეოტიაში, განთქმულია ბახუსისადმი მიძღვნილი დღესასწაულებით.

სტრ. 469-470 პენთევსი თებელთა მეფე იყო, კადმოსის შვილიშვილი. როცა ბეოტიაში მკვიდრდებოდა ბახუსის კულტი, პენთევსმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მას და მოინდომა თვით ბახუსის ხელყოფა. განრისხებულმა ღმერთმა ჭკუიდან შეშალა პენთევსი და მას ეჩვენებოდა ფურიები, გაორმაგებული მზე და ორმაგი ქალაქი თებე (*solem gem num et duplices Thebas*, 470).

სტრ. 471-472 აგამემნონისა და კლიტემნესტრას ვაჟმა ორესტემ მოკლა დედა, რომელსაც ბრალი მიუძღოდა აგამემნონის მოკვლაში.

დედის მკვლელს მოსვენებას არ აძლევდნენ შურისმაძიებელი ფური-ები. ამ ტაეპებში, ეტყობა, იგულისხმება ამ თემაზე შექმნილი რომელი-ღაც ანტიკური ტრაგედია, კერძოდ, შესაძლოა, ეს იყოს ესქილეს ტრი-ლოგიის „ორესტეას“ მესამე ნაწილი — „ევმენიდები“.

სტრ. 585 „დათმო ტითონის სარეცელი ტურფა ავრორამ“ — ეპიკური ფორმულა, დამახასიათებელი ანტიკური ეპოსისათვის. ე. ი. ავრორამ გაიღვიძა, წამოდგა, მაშასადამე, გათენდა.

სტრ. 625-629 იგულისხმება პუნიკური ომები რომსა და კართაგენს შორის.

წიგნი მეხუთე

სტრ. 105 „მეცხრე ავრორა ფაეთონის რაშებს გამოჰყვა“ — ეპიკური ფორმულა — გათენების აღმნიშვნელი. ფაეთონი — ჰელიოსისა და კლი-მენეს ვაჟი, მზის ღმერთი, მზე. ამ ტაეპის აზრი ასეთია: გათენდა მეცხრე დილა.

სტრ. 112 ტალენტუმი — წონის საწყაო, ფულის ერთეული. როგორც წონის ერთეული, იგი უდრიდა დაახლოებით 26 კგ. როგორც ფულის ერთეული, ვერცხლის ტალანტი უდრიდა 60 მნას, ბაბილონური, სპარ-სული და ეგინის მხარისა — 100 მნას. ოქროს ტალანტი 10 ვერცხლის ტალანტის ტოლფასი იყო და უდრიდა 600-დან 1000-მდე მნას (μν).

სტრ. 131 მეტა — მიზანი, საზღვარი, ბოლო წერტილი, ასპარეზობის დროს დათქმული ნიშანი, მოსაბრუნებელი ადგილი.

სტრ. 251 მელიბეური — ძოწის ქსოვილებით განთქმული თესალიის ერთ-ერთი ქალაქის ნაწარმი.

სტრ. 252 და შმდ. იგულისხმება ტროელი უფლისწული განიმედე, რომელიც იუპიტერმა არწივს მოატაცებინა და ოლიმპოზე მერიქიფედ გაიხადა.

სტრ. 306 გნოსური — კრეტული (კრეტის ერთ-ერთი ქალაქის სა-ხელწოდების მიხედვით).

სტრ. 311 ამაძონი — მითიური მეომარი ქალი. იხ. შენ. I. 490.

სტრ. 524 ავგურები — ქურუმები, ფრინველებზე მკითხავნი.

სტრ. 568 ატიანთ მოდგმა — gens Atia, ატისი (ატყს) იყო ასკანიუსის მეგობარი, ატიანთ მოდგმას ეკუთვნოდა ოქტავიანე ავგუსტუსის დედაც.

სტრ. 646 რეტეელი — Rhoeteius, ეს სიტყვა მომდინარეობს კონცხის სახელიდან — Rheteum, რომელიც ტროაში იყო. ზოგადად, ნიშნავს ტროელს.

სტრ. 800-801 „...მოდგმით აქაური ხარ...“ — სილამაზის ქალღმერთი ვენუსი ხომ ზღვის ქაფში გაჩნდა! ამიტომ თვლის მას ნეპტუნუსი ზღვის მოდგმისად.

წიგნი მეექვსე

სტრ. 1-2 ზოგ გამოცემაში გადატანილია მეხუთე წიგნის ბოლოს. ამას, თითქოს მოითხოვს შინაარსი. მაგრამ არც მესამე ტაეპით ივარგებს მეექვსე წიგნის დაწყება. საერთოდ, ეს ორი წიგნი მექანიკურად არის გამოყოფილი ერთმანეთისგან. აზრი ყველა შემთხვევაში წყდება, ამიტომ ჩვენ ვარჩიეთ ხელნაწერთა ტრადიციამე დაყრდნობა.

სტრ. 57-58 „პარისის ხელით რომ მიმართე დარდანთ ისარი ეაკიდისკენ...“ — იგულისხმება ტროელი უფლისწულის, პარისის მიერ აქილევსის მოკვლა.

სტრ. 82 ორაკული — ღმერთთა ნება, მისნის პირით გამოცხადებული.

სტრ. 242 „ამ ტბას ბერძნები უწოდებდნენ ხოლმე აორნოსს“. ააორნოს მართლაც ბერძნული სიტყვაა: Αορνος. პლუტარქეს, დიოდორეს და სხვათა ცნობით, ეს არის ციხესიმაგრე ინდოეთის საზღვარზე, ხოლო სოფოკლეს ცნობით — ტბა კამპანიაში. ლათინურად მისი შესატყვისია Avernus, ტბა კამპანიაში, რომელიც შხამიან ოხშივარს უშვებდა. მითის

მიხედვით, ამ ტბასთან ახლოს იყო ქვეშეთის სულთა სამეფოს შესასვლელი. Averna ნიშნავს „ქვეშეთს“, სულთა სამეფოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ VI, 242-ე ტაეპი ზოგ გამომცემელს ინტერპოლაციად მიანია და ტექსტში არ შეაქვს. ასე მაგალითად, ისეთ ცნობილ და პოპულარულ კორპუსში, როგორიც არის Bibliotheca Teubneriana, ეს ტაეპი (unde locum Grail dixerunt nomine Aornon) საერთოდ გამოუტოვებიათ და მხოლოდ სქოლიოში მიუთითებიათ (იხ. P. Vergili Maronis Aeneis, recognovit Otto Ribbeck, Lipsiae, in aedibus B.G. Teubneri, 1882, col. 198).

სტრ. 417 კერბერუსი — სულთა სამეფოს გუშაგი, სამთავიანი ძაღლი.

სტრ. 445 ფედრას დანაშაულებრივი სიყვარულით შეუყვარდა გერი, თებევსის შვილი ჰიპოლიტე. მაგრამ ვაჟმა უარყო მისი სიყვარული. შურისძიების მიზნით ფედრამ ქმართან დაასმინა გერი: ჩემი შეურაცხყოფა განიზრახაო. თებევსმა დასწყევლა შვილი და შეევედრა ზღვის ღმერთს, პოსეიდონს (ნეპტუნუსს), რომ მოეკლა იგი. ღმერთმა სანაპიროზე ეტლით მიმავალ ჰიპოლიტეს მიუგზავნა უზარმაზარი ხარი, რომელმაც დააფრთხო ცხენები, ჰიპოლიტე გადმოვარდა და გაგიჟებულმა ცხენებმა იგი ნაფლეთებად აქციეს. ამ თემაზე დიდ ბერძენ ტრაგიკოსს ევრიპიდეს (480-406) დაწერილი აქვს ტრაგედია „იპოლიტე“.

პროკრისი — ათენის მეფის, ერექთევსის ასული. იგი მისმა ქმარმა შემთხვევით მოკლა ნადირობის დროს, როცა ეჭვიანი ქალი მას მალულად თვალყურს ადევნებდა.

ერიფილე — ერიფილე მოკლა საკუთარმა ვაჟმა იმის გამო, რომ ქალმა გასცა მეუღლე, რომელიც თებეს წინააღმდეგ ბრძოლას თავს არიდებდა.

სტრ. 511 ლაკონიკელი ქალი — იგულისხმება ელენე, ტროას ომის მიზეზი.

სტრ. 585 გაამაყებულმა სალმონეუსმა თავი იუპიტერის ტოლად წარმოიდგინა და სცადა მიეხატა მისი ჭექა-ქუხილისათვის სპილენძის

ეტლით სპილენძისავე ხიდზე ქროლით, და ჩირაღდნების ტყორცნით. იუპიტერმა იგი მეხით გაანადგურა და ქვესკნელში შთანთქა.

სტრ. 657 პეანი — საგმირო სიმღერა.

სტრ. 724-751 ანქიზე გადმოსცემს პითაგორელთა მოძღვრებას მეტემფსიქოსზე (სულთა გადასახლებაზე).

სტრ. 725-727 ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მისაღები ადგილი ქრისტიანული მოძღვრებისთვის. სწორედ ამიტომაც ფრანგი ღვთისმეტყველი და პოეტი აბელიარი (1079-1142) ურჩევდა ქრისტიანებს ეკითხათ ვერგილიუსი, რომელიც — „მსოფლიო სულს აყენებს ყველა შექმნილზე მაღლა“.

სტრ. 772 „ქალაქური მუხის გვირგვინი“ — ქალაქის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის რომაელებს წესად ჰქონდათ შეემკოთ ღირსეული თანამემამულენი მუხის შტოთი დაწნული გვირგვინით.

სტრ. 789 და შემდ. ლაპარაკია ვერგილიუსის თანამედროვე რომის იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტუსზე.

სტრ. 817 ტარკვინიელთ მეფენი — ეტრუსკული წარმოშობის რომის მეფენი. L. Tarquinius Priscus იყო რომის მეხუთე მეფე (ანკუსის შემდეგ), იგი მოკლეს ტახტის მაძიებლებმა, მეორე მეფე ტარკვინიუსების მოღგმისა იყო. L. Tarquinius Superbus, რომელიც ძვ. წ. 510 წელს გადაქვეს რომიდან.

სტრ. 830-831 ლაპარაკია იულიუს კეისარსა და პომპეუსზე, რომელსაც ცოლად ჰყავდა კეისრის ასული.

სტრ. 837 იგულისხმება მხედართმთავარი ლუციუს მუმიუსი, რომელმაც 146 წ. ძვ. წ. დაწვა კორინთო.

სტრ. 838-839 იგულისხმება ლუციუს ემილიუს პავლუსი, რომელმაც 146 წ. ძვ. წ. ა. დაამარცხა მაკედონელთა მეფე პერსეესი, რომელიც თითქოს აქილევსის შთამომავალი იყო.

სტრ. 861 და შემდ. ლაპარაკია მარკუს კლავდიუს მარცელუსზე, ავგუსტუსის დის, ოქტავიას ვაჟზე. ოქტავიანემ მას თავისი ასული იულია მიათხოვა და მემკვიდრედ მიიჩნია, მაგრამ ოციოდე წლის ჭაბუკი

ბრძოლაში დაიღუპა. სვეტონიუს დონატუსის ცნობით, ვერგილიუსი ამ ადგილს რომ უკითხავდა, ზვიად იმპერატორს ცრემლები მოადგა.

წიგნი მეშვიდე

სტრ. 43 ტირენელები — ეტრუსკები. იხ. შენ. I, 67.

სტრ. 63 „მისივ (ე. ი. დაფნის) სახელი მიუცია ლავრენტებისთვის“ — ლათინურად დაფნას ეწოდება ლურუს, აქედან არის მეფე ლატინუსის სამეფოს დედაქალაქისა („დაფნარი“ ან „დაფნისი“) და ტომის სახელიც.

სტრ. 123-125 ეს ადგილი ეწინააღმდეგება III სიმღერის 256-257-ე ტაეპებს, საიდანაც ჩანს, რომ ასეთი ბედი ენეასს პირველად ჰარპია კელენომ აუწყა და არა ანქიზემ.

სტრ. 174 კურია — სენატის სხდომათა ადგილი.

სტრ. 188 ტრაბეა — ძოწის ზოლებიანი მოკლე მოსასხამი, რომელსაც მეფეები და ქურუმები ატარებდნენ.

სტრ. 247 ტიარა — თავსაბურავი.

სტრ. 389 „ევოე, ბახუს“ — euhoē Bacche! — ბერძნულიდან მომდინარე შეძახილი, გავრცელებული ბახუსის ორგიების დროს — „ვაშა, ბახუს!“

სტრ. 391 „დალალებს გაზრდის...“ — ზოგჯერ თმებს იზრდიდნენ რომელიმე ღმერთის პატივსაცემად და იჭრიდნენ ხოლმე მსხვერპლშეწირვის ნიშნად.

სტრ. 607 პართელებმა კრასუსს წაართვეს საბრძოლო ნიშნები, რომელნიც 30 წლის შემდეგ დაუბრუნა რომს ავგუსტუსმა, მაგრამ არა ბრძოლის, არამედ დიპლომატიური მოლაპარაკების გზით.

სტრ. 612 „გაბინურად მოირტყამს სარტყელს“ — ქამრის ასეთი წესით მორტყმის დროს ტოგას მაღლა სწევდნენ, მარცხენა მხარეზე გადაიგდებდნენ და მისი კიდეები მარჯვენა ხელთან მკერდს სწვდებოდა.

სტრ. 663 ჰიბერული — იბერიის (ძველი ესპანეთის).

სტრ. 688-689 „მარცხენა ფეხი ჰქონდათ შიშველი“ — სიტყვასიტყვით „მარცხენა ფეხით შიშველ კვალს ტოვებენ“ (*Instituere vestigia nuda pedis sinistri*).

სტრ. 700 სიტყვასიტყვით: „მაღალი ყელიდან იძლევიან ომახიან ჰანგებს“ (*et dant per longa colla modos canoros*).

სტრ. 710 კოჰორტა — ლეგიონის მეთაუდი ნაწილი.

სტრ. 768 „კვლავ დაუბრუნდა ვარსკვლავებს და ცას ეთეროვანს“ — სიტყვასიტყვით: „კვლავ დაუბრუნდა ცის ვარსკვლავებს და ეთერის ზეციურ, ზემო ფენებს“ (*ad sidera rursus aetheria et superas coeli venisse sub auris*).

სტრ. 785 ტურნუს ჩაჩქანზე გამოხატული ჰყავდა ლიკიის გამანადგურებელი ურჩხული — ქიმერა.

წიგნი მერვე

სტრ. 1 რომაელთა ომის გამოცხადების დროს წესად ჰქონდათ: კაპიტოლიუმზე აღმართავდნენ დროშებს, ცხენოსანი ჯარისთვის — წითელს, ხოლო ქვეითთათვის — ლურჯს.

სტრ. 96 „ხეთა ჩრდილის ქვეშ სრბოდნენ“ — სიტყვასიტყვით: „ეფარებიან სხვადასხვა ხეს“ (*variisque teguntur arboribus*).

სტრ. 120 „გთხოვენ-თქო შველას“ — სიტყვასიტყვით: „სთხოვენ მოკავშირე იარაღს“ (*socia arma rogantes*).

სტრ. 167 ქლამიდი — მოსასხამი.

სტრ. 271-272 დედანშიც ასევე მეორდება სიტყვები: *Hanc aram luco statuit, quae maxima semper Dicetur nobis et erit quae maxima semper*.

სტრ. 288-289 იგულისხმება მითი: ჰერკულესმა, როცა ჯერ კიდევ აკვანში იწვა, დაახრჩო დასაკბენად მოცურებული გველები.

სტრ. 319 და. შმდ. იუპიტერმა გაანადგურა ძველი ღმერთების მოდგმა და მათი მეუფე სატურნუსი, რომელიც ოლიმპოდან გამოიქცა, დასახლდა იტალიაში და სამეფო დააარსა. მითის მიხედვით, იტალიელთა პირველი მეფე ღმერთი იყო.

სტრ. 322-323 დედანში ლაციუმი გააზრებულია ლატერე (დამალვა) ზმნისაგან შედგენილ სიტყვად.

სტრ. 329 იტალიას ეწოდებოდა ჰესპერია, ავზონია, ენოტრია...

სტრ. 345-346 Argiletum გაგებულ იქნა ორ სიტყვად *Argi* და *letum* (არგუსის აღსასრული), რის საფუძველზეც შეიქმნა ლეგენდა ვილაც არგუსზე, რომელიც ევანდერის დაუკითხავად მოკლეს არკადიელებმა.

სტრ. 354 ეგიდი — იუპიტერისა და მინერვას ფარი.

სტრ. 360 ფორუმი — მოედანი, საკრებულო.

სტრ. 383 ნერევსის ქალი — იგულისხმება აქილევის დედა თეტისი, რომლის თხოვნითაც ჰეფესტომ დაამზადა აქილევის საჭურველი („ილიადა“).

სტრ. 384 ტითონის ცოლი — ავრორა. ტითონი იყო პრიამეს ძმა, მან უკვდავება მიიღო, მაგრამ სიბერე ვერ აიცდინა. თავმოებზრებულმა სთხოვა ცოლს — ავრორას, ჭრიჭინად გადამაქციეო.

სტრ. 596 „ცხენთა ფლოქვებმა აათრთოლა ველი ფხვიერი“ — სიტყვასიტყვით: „ფლოქვები შეძრავენ რბილ ველს ცხენის ხმით“ (*Quadrupedante putrem sonitu quatit ungula campum*).

სტრ. 664 „ფარი ცით მოვლენილი“ — გადმოცემით, მოგრძო ფარი ციდან ჩამოვარდა და ხელთ ჩაუვარდა მეფე ნუმა პომპილიუსს შავი ჭირის მძვინვარების დროს ნიშნად იმისა, რომ ხსნა ახლოს იყო.

სტრ. 683 საზღვაო ბრძოლაში გამარჯვებულს ლითონის გვირგვინს მიართმევდნენ ხოლმე, რომელზედაც გამოყვანილი იყო გემის წვერი, ნისკარტი. აგრიპამ ეს ჯილდო დაიმსახურა სექსტუს პომპეუსზე, ავგუსტუსის მოწინააღმდეგეზე, გამარჯვებისთვის.

სტრ. 697 კლეოპატრამ თავი გველებს დააკბენინა, როცა ოქტავიანეს გამარჯვება გაიგო, მაგრამ აქ ასახულია მომენტი, როცა დედოფალმა ჯერ კიდევ არ იცის მომავალი.

სტრ. 696 სისტრუმი — მუსიკალური საკრავი, ბარბითი.

წიგნი მეცხრე

სტრ. 41 „არ გაეხედათ ველზე გასვლა საბრძოლო მწკრივით“ — სიტყვასიტყვით: „არ გაეხედათ არც საბრძოლო წყობით ჯარის გაწყობა, არც მინდობოდნენ ველს“ (*neu struere auderent aciem, neu credere campo*).

სტრ. 64 „რუტულუსიც ასე იწვოდა“ — სიტყვასიტყვით: „მტკიცე ძვლებში დარდი ანთებულიყო (გიზგიზებდა)“.

სტრ. 449 კომენტატორთა ნაწილი „რომის მამად“ თვლის ავგუსტუსს, სხვებს მიაჩნიათ, რომ აქ იგულისხმება იუპიტერი.

სტრ. 506 კუს საფარველი — რომაული სამხედრო ხერხი. იხ. შენ. II, 441.

სტრ. 705 ფალარიკა — გრძელი, სასროლი შუბი.

სტრ. 742 „ახალი პელიდი“ — ტურნუსი გულისხმობს თავის თავს, თავი მეორე პელიდად, ანუ აქილევსად მიაჩნია.

წიგნი მეათე

სტრ. 1 აქ ვერგილიუსი, ეტყობა, განიცდის ნევიუსის თუ ლევიუსის პოემის გავლენას, რომელსაც იმოწმებს აპულეუსი (*De orthog.*, XV). ტექსტობრივად სიახლოვე თვალნათლივ ჩანს: *Panditur interea domus altitonantis Olympi*.

სტრ. 12 „მოვა მძვინვარე კართაგენი“ — იგულისხმება მომავალი პუნიკური ომები რომსა და კართაგენს შორის.

სტრ. 81 ვენუსის (აფროდიტეს) თხოვნით, ნეპტუნუსმა (პოსეიდონმა) ღრუბელი მოაფარა ენეასს და აქილევსთან ორთაბრძოლას აარიდა („ილიადა“, XX, 318-335).

სტრ. 114 იგულისხმება, რომ იუპიტერმა დაიფიცა ქვეშეთის ძალე-ბი.

სტრ. 157-158 ენეასის გემზე გამოხატულია კვიბელეს კულტის ემ-ბლემები — ქალღმერთის ეტლში შებმული ლომები და ფრიგიის იდა — ქალღმერთის სავანე.

სტრ. 176-177 მკითხაობის ოთხი ხერხი, რომელნიც რომაელებმა შეითვისეს ეტრუსკებისგან: ზვარაკის შიგნეულზე, ვარსკვლავებზე, ფრინველებზე და მეხდაცემულ ადგილზე მკითხაობა.

სტრ. 187 იგულისხმება, რომ გმირს ჩაჩქანზე გედის ფრთებისგან გაკეთებული ჯილა ჰქონდა.

სტრ. 240 ტურმა — 30 კაცისგან შემდგარი ცხენოსანთა რაზმი.

სტრ. 497-498 ლაპარაკია დანაიდების დანაშაულზე: ქორწილის და-მეს მათ დახოცეს თავიანთი ქმრები მამის — დანაეს დავალებით.

სტრ. 773-774 „ღმერთთა მოძულე“ მეზენციუსი ვედრებით მიმარ-თავს არა ღმერთებს, არამედ თავის მარჯვენასა და შუბს.

წიგნი მეთერთმეტე

სტრ. 2-4 რომაული ადათის თანახმად, თუ დაკრძალვა და მსხვერ-პლშეწირვა ერთმანეთს ემთხვეოდა, ჯერ უნდა ჩატარებულიყო მსხვერ-პლშეწირვა.

სტრ. 7 იგულისხმება ომის ღმერთი მარსი.

სტრ. 249 „ვასწავლეთ ჩვენი მამული“ — ე. ი. ავუხსენით, რომელი მხრიდან ვიყავით მოსულნი.

სტრ. 266 და შმდ. გამოცემებში ტრადიციულად ასეა დალაგებული ტაეპები, ხელნაწერებისაგან განსხვავებით.

სტრ. 276-277 „როს სიგიჟის დროს ღმერთებს ხანჯლით არ შევეპუე, შეურაცხვეყავი თვით ვენუსის ხელი ჭრილობით“ — დიომედე იგონებს ტროის ომში მის შებრძოლებას ღმერთებთან. ეს ეპიზოდები აღწერილია ჰომეროსის „ილიადაში“ (V, 350, 855-865).

სტრ. 334 ტრაბეა — მეფეთა, კონსულთა და მოგვთა სადღესასწაულო თეთრი მოსასხამი, ძოწით მორთული.

სტრ. 483 „ო, მძლე ქალწულო ტრიტონია, ბრძოლის მესაჭევ“ — ლოცვით მიმართავენ მინერვას, ომის ქალღმერთს.

წიგნი მეთორმეტე

სტრ. 91 სტიქსის ნაკადში გამოწრთობილი იარაღი არც ჩლუნგდებოდა და არც ტყდებოდა.

სტრ. 187 ვიკტორია — გამარჯვება.

სტრ. 247 იუპიტერის ფრინველად ითვლებოდა არწივი.

სტრ. 394 ავგურობა — მისნობა, ქურუმობა.

კითარა — მუსიკალური ინსტრუმენტი.

სტრ. 419 ამბროზია — ღვთაებრივი საზრდო.

სტრ. 725-726 იუპიტერი (ზევსი) ბედის სასწორით ხელში გვხვდება ჰომეროსის „ილიადაშიც“ (VIII, 69-74; XXIII, 209-213). ეს მოტივი ფართოდ გავრცელდა ბერძნულ და რომაულ პოეზიაში.

სტრ. 753 უმბრელი — ლაპარაკია მონადირე ძაღლზე. მონადირე ძაღლებით განთქმული იყო უმბრია.

სტრ. 862-864 იგულისხმება ბუ.